ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

ცნობები

2

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები

წელიწადი 66-ე, № 2 თებერვალი, 1990 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ახალი აღთქმა — სახარება მარკოზისა. თარგმანი ძველბერძნულიდან 3

პროზა, პოეზია

ტარიელ ჭანტურია — ლექსები 29
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლექსები 33
ჯემალ დავლიანიძე — მოთხროგები 36
სანდრო მათიაშვილი — ლექსები 51
ოთარ შალამბერიძე — ლექსები 56
თამარ პოთუა, ალექსანდრე გოთუა — თავგადასავალი ლევან გოთუასი. გაგრძელება 59
დილარ იპარდავა — ლექსები 77
გათუ დანელია — ლექსები 79
ლევან დუმგაძე — ლექსები 82
ლეილა ცომაია — თვითმკვლელთა სასაფლაო. მოთხრობა 83

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მერაბ კოსტავა — გზა მეწმარიტებისაკენ 127
ჯან თინგუა — დაუვიწყარი დღეები 155

მეცნიერება

ეკვთიმე თაყაიშვილი — დამსახურებული კროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო 159
ნელი ჩართოლანი — გრიგოლ ლორთქიფანიძის ფილოლოგიური ძიებანი 169

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
მიაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, ბ. კალანდია, მ. ლეგანიძე, ე. მაღ-
რაძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქ-
ტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. ფულეისკირი, ო. ჭი-
ლაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმა

სახარება მარკოზისა

თავი პირველი

1. დასაწყისი იესო ქრისტეს, ღმერთის ძის, სახარებისა.

2. როგორც დაიწერა წინასწარმეტყველთა მიერ: აჰა, მე ვგზავნი ჩემს ანგელოსს შენს წინაშე, რომელიც განამზადებს შენს გზას.

3. ხმა უდაბნოში მღაღადებლის: გაამზადეთ გზა უფლისა, გაასწორეთ მისი ბილიკნი.

4. იყო იოანე უდაბნოში, ნათელს სცემდა და ქადაგებდა ნათლის ცემას სინანულისას ცოდვათა მისატევებლად.

5. და გამოდიოდა მის მიმართ მთელი იუდეის ქვეყანა და იერუსალემელნი; და ყველანი ნათელს იღებდნენ მისგან მდინარე იორდანეში, და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს.

6. ხოლო იოანეს ემოსა აქლემის ბეწვი, და წელს ერტყა ტყავის სარტყელი. და ჭამდა კალიებს და ველურ თაფლს.

7. ქადაგებდა და ამბობდა: მოდის ჩემს შემდგომ ჩემზე უძლიერესი, ვის წინაშეც არა ვარ ღირსი, დავიხარო და გავხსნა მისი ხამლის საკვრელი.

8. მე თქვენ ნათელს გცემთ წყლით, ხოლო ის ნათელს გცემთ თქვენ სულით წმიდით.

9. და იყო იმ დღეებში, მოვიდა იესო გალილეის ნაზარეთით და ნათელ იღო იორდანეში იოანესგან.

10. და წყლიდან ამოსვლისთანავე, იხილა ცანი გახსნილნი და სული ღმრთისა მტრედივით გადმომავალი მასზე.

11. და გაისმა ხმა ზეცით: შენა ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელშიაც კეთილად გამოვჩნდი მე.

12. და მაშინვე სულმა გაიყვანა ის უდაბნოში.

13. და დაჰყო იქ ორმოცი დღე, და გამოიცდებოდა სატანისაგან; და ცხოვრობდა მხეცებს შორის; და ანგელოზები ემსახურებოდნენ მას.

14. ხოლო იოანეს შეპყრობის შემდეგ მოვიდა იესო გალილეაში, ქადაგებდა სახარებას ღმერთის სასუფევლისას,

15. და ამბობდა: გასრულდა დრო და მოახლოვდა ღმერთის სასუფეველი: მოინანიეთ და იწამეთ სახარება.

16. ხოლო როდესაც მიდიოდა გალილეის ზღვის პირას, დაინახა სიმონი და მისი ძმა ანდრია, რომლებიც ბადეს ისროდნენ ზღვაში, ვინაიდან მებადურები იყვნენ.

17. და უთხრა მათ იესომ: მოდით, უკან გამომყევით და კაცთა მებადურებად გაქცევთ.

18. და მათაც მყისვე მიატოვეს თავიანთი ბადე და გაჰყვნენ მას.

19. იქიდან ცოტა რომ გამოვლო, დაინახა იაკობი ზებედესი და მისი ძმა იოანე, რომლებიც ბადეს კემსავდნენ ნავში.

20. და მაშინვე მოუხმო მათ. და მიატოვეს თავიანთი მამა ზებედე, ნავში, მუშებთან ერთად, და გაჰყვნენ მას.

21. და შევიდნენ კაპერნაუმში; და მაშინვე, შაბათს, შევიდა სინაგოგაში და ასწავლიდა მათ.

22. და უკვირდათ მისი მოძღვრება, ვინაიდან ის ასწავლიდა მათ რო-

---

გაგრძელება. „მნათობი", № 1.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ძალმოსილი, და არა როგორც მწიგნობარნი.

23. და იყო მათ სინაგოგაში უწმინდური სულით შეპყრობილი კაცი, რომელმაც შეჰყვირა და თქვა:

24. რა ჩვენ და შენ, იესო ნაზარეველო? ჩვენს დასაღუპად მოსულხარ! გიცნობ, ვინცა ხარ, ღმერთის წმიდანო.

25. მაგრამ შერისხა იგი იესომ და თქვა: ხმა გაკმინდე და გამოდი მაგისგან.

26. და შეარყია იგი უწმინდურმა სულმა, და ხმამაღალი ყვირილით გამოვიდა მისგან.

27. და შეძრწუნდა ყველა, ისე რომ ერთმანეთს ეკითხებოდნენ და ამბობდნენ: რა არის ეს? რა არის ეს ახალი მოძღვრება, რომ ძალმოსილებით უწმინდურ სულებსაც უბრძანებს, და ისინიც ემორჩილებიან მას?

28. და მალე მისი ამბავი კიდით-კიდემდე მოედო მთელი გალილეის მხარეს.

29. და მყისვე გამოვიდა სინაგოგიდან, და მივიდა სიმონისა და ანდრიას სახლში, იაკობსა და იოანესთან ერთად.

30. ხოლო სიმონის სიდედრი ცხელებით შეპყრობილი იწვა. და მაშინვე უთხრეს მისი ამბავი.

31. მივიდა, ხელი მოჰკიდა და წამოაყენა, და მყისვე გაუარა ცხელებამ; და ემსახურებოდა მათ.

32. ხოლო საღამოს, მზის ჩასვლისას, მიჰგვარეს მას ყველა სნეული და ეშმაკეული.

33. და მთელმა ქალაქმა კარწინ მოიყარა თავი.

34. და განკურნა მრავალი, სხვადასხვა სენით სნეული, და განდევნა მრავალი ეშმაკი, და არა რთავდა ეშმაკებს იმის თქმის ნებას, რომ ისინი იცნობდნენ მას.

35. ხოლო ცისკრისას დილაუთენია ადგა და გამოვიდა; უდაბურ ადგილას მივიდა და იქ ლოცულობდა.

36. და გაჰყვა მას სიმონი და მასთან მყოფნი.

37. იპოვეს იგი და უთხრეს: ყველანი შენ გეძებს.

38. და უთხრა მათ: წავიდეთ მახლობელ სოფლებსა და ქალაქებში, რათა იქაც ვიქადაგო, ვინაიდან ამისათვის მოვედი.

39. და მთელს გალილეაში ქადაგებდა მათს სინაგოგებში და აძევებდა ეშმაკთ.

40. მაშინ მიადგა ერთი კეთროვანი, ევედრებოდა და მუხლმოყრით ეუბნებოდა მას: თუკი გნებავს, შეგიძლია გაწმენდა ჩემი.

41. შეებრალა იგი იესოს, ხელი გაიწოდა, შეეხო და უთხრა მას: მნებავს, განიწმინდე!

42. ამის თქმაც იყო და მყისვე გაეყარა მას კეთრი და განიწმინდა.

43. და შერისხა და მაშინვე გაისტუმრა იგი.

44. და უთხრა მას: იცოდე, ნურავის ნურაფერს ეტყვი, არამედ წადი, ეჩვენე მღვდელს და შესწირე შენი განწმენდისათვის, რაც ბრძანა მოსემ მათდა სამოწმებელად.

45. მაგრამ ის გამოვიდა და დაიწყო ქადაგება და მთელ ქვეყანას მოსდო მისი ამბავი;ასე რომ, იესოს აღარ შეეძლო ქალაქში აშკარად შესვლა, და იყო გარეთ, უდაბურ ადგილებში. და მოდიოდნენ მასთან ყოველი მხრიდან.

თავი მეორე

1. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შევიდა კაპერნაუმში; და გავარდა ხმა: სახლში არისო.

2. და მაშინვე შეიკრიბნენ მრავალნი, ისე რომ კართანაც აღარ დარჩა ადგილი; და ეუბნებოდა მათ სიტყვას.

3. მოვიდნენ და მოჰგვარეს დავრდომილი, რომელიც ოთხ კაცს მოჰყავდა.

4. და რაკი ხალხის სიმრავლის გამო ვერ შესძლეს მასთან მისვლა, სახურავი ახადეს სახლს, სადაც ის იყო, ჩაამტვრიეს და ჩაუშვეს სარეცელი, რომელზედაც დავრდომილი იწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მათი რწმენა რომ იხილა, იესომ უთხრა დავრდომილს: შვილო, მოგეტევოს შენი ცოდვანი.

6. იჯდა იქ ზოგიერთი მწიგნობარი და გულში ამბობდა:

7. ამას რას ამბობს? ღმერთს ჰგმობს! ვის შეუძლია ცოდვათა მიტევება, გარდა ერთის — ღმერთისა?

8. ხოლო იესომ მყისვე შეიცნო სულით, რასაც ფიქრობდნენ ისინი, და უთხრა მათ: რად ფიქრობთ მაგას თქვენს გულში?

9. რა უფრო ადვილია: ამისი თქმა დამბლადაცემულის მიმართ: მოგეტევოს შენი ცოდვანი; თუ ამისა: აღდეგ, აიღე შენი სარეცელი და წადი?

10. მაგრამ რათა თქვენ იცოდეთ, რომ ძეს კაცისას ძალი შესწევს ამ ქვეყნად ცოდვათა მიტევებისა, — უთხრა დავრდომილს:

11. შენ გეუბნები: აღდეგ, აიღე შენი სარეცელი და წადი შენს სახლში.

12. ისიც მაშინვე აღდგა, აიღო თავისი სარეცელი და გამოვიდა ყველას წინაშე, ისე რომ უკვირდა ყველას, და ადიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: არასდროს ამგვარი რამ არ გვინახავსო.

13. და კვლავ გამოვიდა იესო ზღვის პირას და მთელი ხალხი დაიძრა მისკენ, და ასწავლიდა მათ.

14. გზად მიმავალმა დაინახა ლევი ალფესი, რომელიც საბაჟოში იჯდა, და უთხრა მას, გამომყევიო; ისიც ადგა და გაჰყვა მას.

15. და როცა ინახად იჯდა მის სახლში, ბევრი მებაჟე და ცოდვილი ისხდნენ იესოსა და მის მოწაფეებთან ერთად, ვინაიდან მრავალნი იყვნენ და მისდევდნენ მას.

16. და როცა მწიგნობრებმა და ფარისევლებმა იხილეს, რომ მებაჟეებსა და ცოდვილებთან ერთად ჭამს, მის მოწაფეებს უთხრეს: რატომ ჭამს და სვამს მებაჟეებსა და ცოდვილებთან ერთად?

17. ეს რომ გაიგონა, იესომ უთხრა მათ: კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ: მართალთა საჰმობლადაკი არ მოვედ[illegible]მედ ცოდვილთა სინანულად.

18. იოანესა და ფარისევლების მოწაფეები მარხულობდნენ. მივიდნენ და უთხრეს მას: რატომ მარხულობენ იოანესა და ფარისევლების მოწაფეები, შენი მოწაფეები კი არ მარხულობენ?

19. ხოლო იესომ მიუგო მათ: განა შეიძლება მარხულობდნენ მექორწილენი, ვიდრე მათთანაა სიძე? სანამდის სიძე გვერდითა ჰყავთ, ვერ იმარხულებენ.

20. დადგება დღე, როცა სიძე აღარ ეყოლებათ, და მაშინ იმარხულებენ, იმ დღეს.

21. არავინ ადებს ახალ საკერებელს დახეულ სამოსს, ვინაიდან ახალს ვერ დაიკერს ძველი, და უფრო დაიხევა.

22. არც არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში; თორემ დახეთქს ახალი ღვინო ძველ ტიკებს, და ღვინოც დაიკარგება და ტიკებიც უვარგისი გახდება. არამედ ახალ ღვინოს ასხამენ ახალ ტიკებში.

23. და მოხდა ისე, რომ შაბათს ყანაში მიდიოდა იესო, და მისმა მოწაფეებმა გზადაგზა დაიწყეს თავთავების კრეფა.

24. და ფარისევლებმა უთხრეს მას: შეხედე, რატომ აკეთებენ იმას, რაც ნებადართული არ არის შაბათს?

25. ხოლო იესომ მიუგო მათ: ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ, როგორ მოიქცა დავითი, როცა გაუჭირდა და მოშივდა მასაც და მასთან მყოფთაც?

26. როგორ შევიდა ღმერთის სახლში, აბიათარის მღვდელმთავრობისას, და შეჭამა შესაწირავი პური, რისი ჭამის ნებაც არავის ჰქონდა, გარდა მღვდლებისა, და მისცა მასთან მყოფთაც?

27. და უთხრა მათ: შაბათი კაცისათვის შეიქმნა, და არა კაცი შაბათისათვის.

28. ასე რომ, ძე კაცისა შაბათის უფალიც არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე

1. და კვლავ შევიდა სინაგოგაში, და იყო იქ ხელგამხმარი კაცი.

2. და უთვალთვალებდნენ მას, ვნახოთ, შაბათს თუ განკურნავსო, რათა ბრალი დაედოთ მისთვის.

3. ხოლო მან უთხრა ხელგამხმარ კაცს: შუაში დადექ.

4. მათ კი უთხრა: რისი ქმნა შეიძლება შაბათს: კეთილისა თუ ბოროტისა? სულის ცხონება თუ წარწყმედა? ხოლო ისინი დუმდნენ.

5. რისხვით მოავლო თვალი შეკრებილთ, მათი გულქვაობით დამწუხრებულმა, და უთხრა ხელგამხმარ კაცს: გაიწოდე შენი ხელი! მანაც გაიწოდა და კვლავ გაუმრთელდა, როგორც მეორე.

6. გამოვიდნენ ფარისეველები, და სასწრაფოდ მოითათბირეს ჰეროდელებთან ერთად, თუ როგორ დაეღუპათ იგი.

7. მაგრამ იესო მოწაფეებითურთ გაშორდა მათ და ზღვის პირას გავიდა; და მიჰყვა მას დიდძალი ხალხი გალილეიდან და იუდეიდან.

8. იერუსალემიდან, იდუმეიდან და იორდანეს გაღმიდან. და ტიროსისა და სიდონის მხარის მცხოვრებთაც შეიტყეს მისი საქმენი, და მრავალნი მივიდნენ მასთან.

9. და, ხალხმრავლობის გამო, თავის მოწაფეებს უთხრა, ნავი გამიმზადეთო, რათა არ შეევიწროებინათ იგი.

10. ვინაიდან მრავალი განკურნა; ასე რომ, ყველა სნეული აწყდებოდა, რათა შეხებოდა მას.

11. და მისი შემყურე უწმინდური სულნი მის წინაშე ემხობოდნენ და ყვიროდნენ: შენ ხარ ძე ღმრთისა.

12. ხოლო იესომ მკაცრად უბრძანა მათ, არ გამთქვათო.

13. მერე ავიდა მთაზე და მოუხმო იმათ, ვინც თვითონ სურდა; და მივიდნენ მასთან.

14. და აირჩია თორმეტი, რათა ყოფილიყვნენ მასთან, და საქადაგებლად წარეგზავნა ისინი.

15. და რათა ‘ჰქონოდათ [illegible] განკურნებისა და ეშმაკთა [illegible] ძალა.

16. და სიმონს სახელად უწოდა პეტრე.

17. ხოლო იაკობს ზებედესას და იაკობის ძმას იოანეს უწოდა ბოანერგეს, რაც ნიშნავს: ქუხილის ძენი;

18. აგრეთვე ანდრია და ფილიპე, ბართლომე და მათე, თომა და იაკობ ალფესი, თადეოსი და სიმონ კანანელი.

19. და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი.

20. და მოვიდნენ სახლში; და კვლავ შეგროვდა იმდენი ხალხი, რომ პურის ჭამა ვეღარ შეიძლეს.

21. გაიგეს მისმა ახლობლებმა და მოვიდნენ, რათა შეეპყროთ იგი, ვინაიდან ამბობდნენ, შეიშალაო.

22. ხოლო იერუსალემიდან ჩამოსული მწიგნობრები ამბობდნენ: ბელზებული ჰყავს და ეშმაკთა მთავრის შეწევნით აძევებსო ეშმაკთ.

23. მაშინ მოუხმო და იგავით უთხრა მათ: როგორ შეუძლია სატანას სატანის გაძევება?

24. თუ სამეფო თავის თავს განეყოფა, ვერ გაძლებს ის სამეფო.

25. და თუ სახლი თავის თავს განეყოფა, ვერ გაძლებს ის სახლი.

26. ხოლო თუ სატანა წინ აღუდგება და განეყოფა თავის თავს, ვერ გაძლებს, არამედ ახლოა მისი აღსასრული.

27. ვერც ვერავინ შევა ძლიერის სახლში და გაძარცვავს მას, თუკი თავდაპირველად არ შებოჭავს ძლიერს. მხოლოდ ამის შემდეგ თუ შესძლებს გაძარცვოს მისი სახლი.

28. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევება კაცთა, რამდენსაც უნდა ჰგმობდნენ.

29. მაგრამ ვინც იტყვის სულის წმიდის გმობას, არა აქვს მიტევება უკუნისამდე, არამედ ღირსია საუკუნო სასჯელისა.

30. ასე თქვა, იმიტომ რომ ამბობდნენ: უწმინდური სული ჰყავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. და მოვიდნენ მისი დედა და ძმები, გარეთ გაჩერდნენ და კაცი შეუგზავნეს დასაძახებლად.

32. დიდძალი ხალხი ეხვია ირგვლივ, და უთხრეს მას: აჰა, დედა შენი და ძმები შენი გარეთ დგანან და შენ გკითხულობენ.

33. ხოლო იესომ მიუგო მათ: ვინ არის დედა ჩემი, ან ძმები ჩემი?

34. თვალი მოავლო ირგვლივ მსხდომთ და თქვა: აი, დედა ჩემი და ძმები ჩემი.

35. რადგან ვინც აღასრულებს ღმერთის ნებას, იგია ჩემი ძმაც, ჩემი დაცა და დედაც.

თავი მეოთხე

1. და კვლავ დაიწყო სწავლება ზღვის პირას. და შეგროვდა მის ირგვლივ იმდენი ხალხი, რომ ნავში ჩაჯდა და ზღვაში შევიდა, ხოლო მთელი ხალხი ზღვის პირას, ხმელეთზე იყო.

2. და ასწავლიდა მათ ბევრ რასმე იგავებით და თავისი სწავლით ამბობდა:

3. ისმინეთ: აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად.

4. ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, და მოფრინდნენ ცის ფრინველები და აკენკეს ისინი.

5. ზოგიც ქვიან ადგილას დავარდა, სადაც ბლომად არ იყო მიწა, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგი არ იყო ღრმა.

6. მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, დაჭკნა, და რადგან ფესვი არ ჰქონდა, გახმა.

7. ზოგი კიდევ ეკალ-ბარდებში ჩაცვივდა, და ამოვიდა ეკალი, და ერთიანად მოაშთო ყველა, და ვეღარ გამოიღო ნაყოფი.

8. ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე დაეცა, იზარდა, ნაყოფი გამოიღო და იმატა: ერთი ოცდაათად, ერთი სამოცად თუ ერთი ასად.

9. და უთხრა მათ: ვისაც ყურები სმენად, ისმინოს!

10. და როცა ხალხი დაიშალა, მასთან დარჩენილებმა, თორმეტ მოწაფესთან ერთად, ჰკითხეს იგავის აზრი.

11. და უთხრა მათ: თქვენ მოგეცათ ღმრთის სასუფეველის საიდუმლოთა ცოდნა, ხოლო გარეშეთ ყველაფერი იგავით ეთქმის.

12. რადგან თვალით მხედველნი ვერას ხედავენ, და ყურით მსმენელნი ვერას ისმენენ; რათა არ მოიქცნენ და არ მიეტევოთ ცოდვები.

13. და უთხრა მათ: ეს იგავი არ გესმით და როგორღა გაიგებთ დანარჩენ იგავთ?

14. მთესავი სიტყვას თესავს.

15. გზის პირას დაცვენილი თესლი ისინი არიან, რომლებშიაც ითესება სიტყვა, მაგრამ სიტყვის მოსმენისთანავე მიადგებათ სატანა და მოსტაცებთ სიტყვას, რომელიც მათ გულში ჩაითესა.

16. ასევე, ქვიან ადგილას დაცვენილი თესლი ისინი არიან, რომელნიც სიტყვის მოსმენისთანავე სიხარულით იღებენ მას;

17. მაგრამ ფესვი არა აქვს მათში, და როდესაც მოაწევს ჭირის დღე ან დევნა სიტყვის გამო, მყისვე ცდებიან.

18. ეკალ-ბარდებში ჩაცვენილი თესლი სიტყვის მსმენელნი არიან.

19. რომლებშიაც სოფლის საზრუნავი, სიმდიდრის საცდური და სხვა გულისთქმანი, მათში შესვლისას, აშთობენ სიტყვას და უნაყოფოს ხდიან მას.

20. ხოლო პოხიერ ნიადაგზე დაცვენილი თესლი ისინი არიან, რომელნიც ისმენენ და კიდევაც იღებენ სიტყვას, და ნაყოფიც გამოაქვთ: ერთი ოცდაათად, ერთი სამოცად თუ ერთი ასად.

21. და უთხრა მათ: განა იმიტომ მოაქვთ სანთელი, რომ საწყაოსა თუ საწოლის ქვეშ დადგან? არამედ სასანთლეზე დგამენ მას.

22. არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს, და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინოს!

24. და უთხრა მათ: დაუკვირდით, რაც გესმით: რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგეწყვით და მოგემატებათ კიდევაც მსმენელთ.

25. რადგან ვისაც აქვს, მას მიეცემა, ხოლო ვისაც არა აქვს, წაერთმევა ისიც, რაცა აქვს.

26. და თქვა: ღმრთის სასუფეველი იმასა ჰგავს, კაცი რომ თესლს ჩასთესავს მიწაში,

27. და სძინავს, და დგება დღისით თუ ღამით, და არკი იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი.

28. რადგანაც მიწას თავისთავად გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ღერო, შემდეგ თავთავი, ბოლოს, სავსე მარცვალი თავთავში.

29. და როცა დამწიფდება თავთავი, მაშინვე გაგზავნის ნამგალს, ვინაიდან დამდგარა მკა.

30. და თქვა: რას ვამსგავსო ღმრთის სასუფეველი? ან რომელი იგავით წარმოგისახოთ იგი?

31. ესაა მდოგვის მარცვალი, რომელიც მიწაში ჩათესვისას ყველა თესლზე უმცირესია ქვეყნად.

32. მაგრამ როდესაც დათესილი ამოდის, ყველა მწვანილზე დიდი იზრდება, და ისე ფართოდ შლის ტოტებს, რომ ცის ფრინველებს შეუძლიათ მის ჩრდილში დაიბუდონ.

33. და ბევრი ამნაირი იგავით ეუბნებოდა მათ სიტყვას, რამდენის მოსმენაც შეეძლოთ.

34. ხოლო უიგავოდ არაფერს ეტყოდა მათ; თავის მოწაფეებს კი განმარტოებით უხსნიდა ყველაფერს.

35. იმ დღეს, მწუხრის ჟამს, უთხრა მათ: გაღმა გავიდეთო.

36. და გაისტუმრეს ხალხი, და წაიყვანეს იგი ნავით, რომელშიც იჯდა. და სხვა ნავებიც მისდევდნენ მას.

37. და ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, და ტალღები ეხეთქებოდნენ ნავს, ისე რომ, ლამის წყლით აივსო იგი.

38. ხოლო ის კიჩოზე [illegible] თუმალზე ეძინა. გააღვ[illegible] [illegible]რეს: მოძღვარო, არ გენაღვლება, რომ ვიღუპებით?

39. მაშინ წამოდგა, შერისხა ქარი და უბრძანა ზღვას: დაყუჩდი, დაცხრი! და ჩამოვარდა სიმყუდროვე დიდი.

40. და უთხრა მათ: რატომ ხართ ასე მოშიშარნი? რატომ არა გაქვთ რწმენა?

41. და შეძრწუნდნენ საშინელი ძრწოლით, და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ვინ არის იგი, ქარიც და ზღვაც რომ მორჩილებენ?

თავი მეხუთე

1. და გავიდნენ ზღვის გაღმა, და მიადგნენ გადარელთა მხარეს.

2. და ნავიდან გადმოსვლისთანავე შემოეგება მას სამარხებიდან უწმინდური სულით შეპყრობილი კაცი,

3. რომელსაც სამყოფლად სამარხები ჰქონდა, და ჯაჭვითაც არავის შეეძლო მისი დაბმა.

4. ვინაიდან მრავალგზის შეეკრათ ჯაჭვით და ბორკილებიც დაედოთ, მაგრამ გლეჯდა ჯაჭვს და ამსხვრევდა ბორკილებს, და ვერავის დაეოკებინა იგი.

5. დღე და ღამ მთებსა და სამარხებში დაძრწოდა, ღრიალებდა და ქვებს ახეთქებდა თავს.

6. და როცა შორიდან თვალი მოჰკრა იესოს, გამოიქცა და თაყვანი სცა მას.

7. შეღაღადა და შესძახა: რა მე და შენ, იესო, ძეო მაღალი ღმრთისაო: გაფიცებ შენს ღმერთს, ნუ მტანჯავ მე!

8. რადგანაც იესომ უთხრა მას: გამოდი, სულო უწმინდურო, მაგ კაცისაგან!

9. და ჰკითხა მას: რა გქვია სახელად? ხოლო მან მიუგო: ლეგიონია ჩემი სახელი, ვინაიდან მრავალნი ვართ.

10. და ბევრი ევედრა მას, რათა იმ მხრიდან არ გაეძევებინა ისინი.

11. იქვე, მთის ფერდობზე, ბალახობდა ღორების დიდი კოლტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. და ყველა ეშმაკმა მუდარით უთხრა მას: გაგვგზავნე ღორებში, რომ მათში შევიდეთო.

13. და მაშინვე ნება დართო იესომ. და გამოვიდნენ უწმინდურნი სულნი, ღორებში შევიდნენ, და მთელი კოლტი, ასე, ორი ათასამდე სული, ზღვის კბოდეს მიაწყდა და წყალში ჩაიხრჩო.

14. ხოლო მეღორეები გაიქცნენ და ქალაქსა და სოფლებს მოსდეს ეს ამბავი, და გამოვიდა მთელი ხალხი, რათა თავისი თვალით ეხილა, რაც მოხდა.

15. და მივიდნენ იესოსთან და იხილეს, რომ ეშმაკეული, რომელსაც ჰყავდა ლეგიონი, ზის ჩაცმულ-დახურული და გონს მოსული; და შეძრწუნდნენ.

16. ხოლო მხილველებმა უამბეს მათ, რა შეემთხვა ეშმაკეულსა და ღორებს.

17. და დაუწყეს ვედრება მას, აქაურობას გაეცალეო.

18. და როცა ნავში ჯდებოდა, ნაეშმაკეულმა სთხოვა, თან წაეყვანა იგი.

19. მაგრამ იესომ ნება არ დართო და უთხრა: სახლში წადი, შენიანებთან, და უამბე მათ, რა გიყო უფალმა და როგორ შეგიწყალა.

20. და წავიდა და დაიწყო ქადაგება ათქალაქში, რა უყო მას იესომ, და უკვირდა ყველას.

21. და როცა იესო კვლავ გამოვიდა ნავით გამოღმა მხარეს, დიდძალი ხალხი შეგროვდა მასთან, და იყო იგი ზღვის პირას.

22. და აჰა, მივიდა მასთან სინაგოგის ერთი წინამძღვართაგანი, სახელად იაეიროს, და დანახვისთანავე, ფეხებში ჩაუვარდა მას;

23. გულმხურვალედ შეევედრა და უთხრა: ჩემი ასული სიკვდილის პირასაა. მოდი, ხელი დაადე მას, რათა მორჩეს და იცოცხლოს.

24. ისიც წაჰყვა; და მისდევდა დიდძალი ხალხი, და აწყდებოდნენ მას.

25. და ერთმა ქალმა, რომელიც თორმეტ წელიწადს სისხლის დენით იტანჯებოდა.

26. და ბევრი რამ დაეთმინა მრავალი მკურნალის ხელში, და [illegible] ყველაფერი, რაც ებადა, მაგრამ არაფერში წასდგომოდა და, პირიქით, უარესად შექმნილიყო.

27. იესოს ამბავი რომ გაიგო, ზურგიდან მიუახლოვდა ბრბოში და მის სამოსს შეეხო.

28. ვინაიდან გულში ამბობდა: თუნდაც მის სამოსს რომ შევეხო, მეშველებაო.

29. და შეხებისთანავე შეუწყდა სისხლის დენა, და ტანმა უგრძნო, რომ განიკურნა სნეულებისგან.

30. მაგრამ მაშინვე იესომ თავადაც იგრძნო, რომ ძალა გავიდა მისგან, მოუბრუნდა ხალხს და იკითხა: ვინ შეეხო ჩემს სამოსს?

31. ხოლო მოწაფეებმა უთხრეს მას: ხომ ხედავ, ხალხი გაწყდება, და შენ კითხულობ ვინ შემეხოო?

32. მან კი მიმოიხედა, რათა დაენახა, ვინა ქნა ეს.

33. მაშინ ქალი, რომელიც მიხვდა, რაც დაემართა, შიშის კანკალით მიუახლოვდა, მის წინაშე დაემხო და მთელი სიმართლე მოახსენა.

34. ხოლო იესომ უთხრა მას: ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა; წადი მშვიდობით, დახსნილ იყავ შენი სატანჯველისაგან.

35. ამას რომ ამბობდა, სინაგოგის წინამძღვართან მივიდნენ და უთხრეს: შენი ასული აღესრულა; რატომღა აწუხებ მოძღვარს?

36. ხოლო იესომ ამ სიტყვების გაგონებისთანავე უთხრა სინაგოგის წინამძღვარს: ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გწამდეს.

37. და არავის მისცა გაყოლის ნება, პეტრეს, იაკობისა და იოანეს, იაკობის ძმის, გარდა.

38. და მივიდა სინაგოგის წინამძღვრის სახლში, და იხილა შფოთი, მოტირალნი და მოზარენი.

39. შევიდა და უთხრა მათ: რატომ შფოთავთ და მოსთქვამთ? ბავშვი კი არ მომკ[illegible] არ [illegible] რამედ სძინავს.

40. ხ[illegible] ინი დასცინოდნენ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან კი გარეთ გამოსხა ყველანი. შეიყოლა მხოლოდ ბავშვის დედ-მამა, და შევიდა, სადაც გოგონა იწვა.

41. ხელი მოჰკიდა და უთხრა მას: ტალითა, კუმი! რაც თარგმანით ნიშნავს: (შენ გეუბნები) პატარავ, აღდეგ!

42. გოგონაც მაშინვე აღდგა და სიარულს მოჰყვა; ხოლო ის თორმეტი წლისა იყო. და განცვიფრდნენ დიდად.

43. ხოლო იესომ მკაცრად გააფრთხილა ისინი, რომ არავის გაეგო ეს, და უთხრა, საჭმელი მიეცათ მისთვის.

თავი მეექვსე

1. წამოვიდა იქიდან და მოვიდა თავის მამულში, და მოსდევდნენ მისი მოწაფეები.

2. და შაბათ დღეს დაიწყო სწავლება სინაგოგაში; და მრავალი მსმენელი გაოცებული ამბობდა: ვინ მისცა მას ყოველივე ეს: ან რა სიბრძნე აქვს ბოძებული, რომ ამნაირი სასწაულები ხდება მისი ხელით?

3. განა ხერო არ არის, ძე მარიამისა, და იაკობისა და იოსეს, იუდასა და სიმონის ძმა? მისი დებიც ხომ აქვე არიან, ჩვენთან? და ცდებოდნენ მასში.

4. ხოლო იესომ უთხრა მათ: არ არსებობს წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, თუ არა თავის მამულში, თავისიანებს შორის და თავის სახლში.

5. და არ მოუხდენია იქ არავითარი სასწაული. მხოლოდ რამდენიმე სნეულს დაადო ხელი და განკურნა ისინი.

6. და უკვირდა ურწმუნოება მათი; ახლომახლო სოფლებში დადიოდა და ასწავლიდა იქ.

7. და მოუხმო თორმეტს და დაიწყო მათი წარგზავნა წყვილ-წყვილად, და მისცა მათ ხელმწიფება უწმინდურ სულთა დათრგუნვისა.

8. და ამცნო მათ, არ წაეღოთ გზაში არაფერი, გარდა არგნისა: არც აბგა, არც პური, არც [illegible]

9. არამედ [illegible] ხამ-

ლები, და ნუ იგულებ[illegible] სამოსს.

10. და უთხრა მათ: თუ სადმე სახლში შეხვალთ, იქვე დარჩით, სანამ არ გამოხვალთ იქიდან.

11. ხოლო თუ არავინ მიგიღოთ და არც ისმინოს თქვენი, იქიდან გამოსვლისას, მათდა სამოწმებელად ჩამოიბერტყეთ თქვენი ფეხიდან მტვერი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: განკითხვის დღე სოდომისა და გომორისთვის უფრო ადვილი იქნება ვიდრე იმ ქალაქისათვის.

12. და წავიდნენ ისინი სინანულის საქადაგებლად.

13. და აძევებდნენ მრავალ ეშმაკს, ზეთს სცხებდნენ და ჰკურნავდნენ უამრავ სნეულს.

14. ჰეროდე მეფემ გაიგო ეს (ვინაიდან გაცხადდა მისი სახელი) და თქვა: იოანე ნათლისმცემელი აღმდგარა მკვდრეთით, და ამიტომ ძალნი მძლავრობენ მასში.

15. სხვები ამბობდნენ: ეს ელიაა; ზოგი კი ამბობდა: წინასწარმეტყველია. ანდა როგორც ერთი წინასწარმეტყველთაგანი.

16. ხოლო ჰეროდემ რომ გაიგო, თქვა: ეს იოანეა, რომელსაც მე თავი მოვკვეთე; მკვდრეთით აღმდგარა იგი.

17. ვინაიდან ჰეროდემ თვითონ წარგზავნა ხალხი, შეაპყრობინა იოანე, შეკრა და საპყრობილეში ჩააგდო ჰეროდიადას, თავისი ძმის, ფილიპეს ცოლის გამო, რომელიც ცოლად შეერთო მას.

18. რადგან იოანე ეუბნებოდა ჰეროდეს: არ უნდა გყავდესო შენი ძმის ცოლი.

19. ამიტომ ჰეროდიადა სდევნიდა მას და ცდილობდა მის მოკვლას, მაგრამ არ შეეძლო.

20. რადგანაც ჰეროდეს ეშინოდა იოანესი, ვინაიდან იცოდა, რომ მართალი და წმინდა კაცია, და უფრთხილდებოდა; ბევრ რამეს აკეთებდა მისი რჩევით, და სიამოვნებით უსმენდა მას.

21. მაგრამ ქალმა დრო იხელთა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ჰეროდემ თავისი დაბადების დღეს წვეულება გაუმართა თავის დიდებულებს, ათასისთავებსა და გალილეველ წარჩინებულებს;

22. და გამოვიდა ჰეროდიადას ასული, იცეკვა და მოხიბლა ჰეროდეც და მისი თანამეინახენიც. და უთხრა მეფემ ქალწულს: მითხარი, რაც გსურს, და მოგცემ შენ.

23. და შეჰფიცა: რაც უნდა მთხოვო, მოგცემ, თუნდაც ჩემს ნახევარ სამეფოსო.

24. ხოლო ის გავიდა და დედამისს ჰკითხა: რა ვთხოვოო? და მან მიუგო: იოანე ნათლისმცემელის თავი.

25. მსწრაფლ შემობრუნდა მეფესთან და უთხრა: მინდა ახლავე მომართვა ლანგრით იოანე ნათლისმცემელის თავი.

26. შეწუხდა მეფე. მაგრამ ფიცისა და თანამეინახეთა რიდით ვერ იკადრა გაეწბილებინა იგი.

27. და მაშინვე გაგზავნა თავისი მცველი, და უბრძანა, მოეტანა იოანეს თავი.

28. ისიც წავიდა, თავი მოჰკვეთა მას საპყრობილეში, და ლანგარით მოართვა ქალწულს; ხოლო ქალწულმა მისცა დედამისს.

29. ეს რომ გაიგეს, იოანეს მოწაფეები წავიდნენ, გამოიტანეს მისი ნეშტი და ჩაასვენეს იგი სამარხში.

30. და შეიკრიბნენ მოციქულები იესოსთან და ყველაფერი უამბეს მას: რაც ექმნათ და რაც ესწავლებინათ.

31. ხოლო იესომ უთხრა მათ: წადით, განმარტოვდით უდაბურ ადგილას და ცოტა დაისვენეთ; — რადგან ბევრი იყო მომსვლელ-წამსვლელი და ჭამის დროც არა ჰქონდათ.

32. და მარტონი გაემგზავრნენ უდაბურ ადგილას ნავით.

33. მაგრამ ხალხმა დაინახა მომავალნი, და ბევრმა იცნო იგი. და ქალაქებიდან ფეხდაფეხ მიჰყვნენ სირბილით, დაწინაურდნენ და მასთან მოიყარეს თავი.

34. გამოვიდა იესო, დაინახა დიდძალი ხალხი და შეებრალა ისინი, ნაც იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვარნი; და დაუწყო მათ მრავალი რამის სწავლება.

35. და რაკი დიდმა დრომ განვლო, მისი მოწაფეები მივიდნენ და უთხრეს მას: უდაბურია ეს ადგილი, და თანაც გვიანია უკვე;

36. გაუშვი ისინი, რათა წავიდნენ ახლომახლო სოფლებსა თუ დაბებში პურის საყიდლად, ვინაიდან არაფერი აქვთ საჭმელი.

37. ხოლო მან პასუხად თქვა: თქვენ თვითონ მიეცით საჭმელი. მათ უთხრეს: რა ვქნათ, წავიდეთ და ვიყიდოთ ორასი დინარის პური და ვაჭამოთ მათ?

38. მაგრამ მან იკითხა: რამდენი პური გაქვთ? წადით და ნახეთ. მათაც ნახეს და უთხრეს მას: ხუთი პური და ორი თევზი.

39. მაშინ უბრძანა მათ, ჯგუფ-ჯგუფად დაესხათ ხალხი მწვანე მდელოზე.

40. და დასხდნენ რიგ-რიგად, ას-ასი და ორმოცდაათ-ორმოცდაათი.

41. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცად აღაპყრო თვალნი, აკურთხა, დატეხა პურები და მისცა თავის მოწაფეებს, რათა ჩამოერიგებინათ მათთვის; და ორი თევზიც უწილადა ყველას.

42. და ჭამა ყველამ და გაძღნენ.

43. და გაავსეს პურისა და თევზის ნარჩენებით თორმეტი კალათი.

44. ხოლო იყო პურის მჭამელი ასე ხუთიათასამდე კაცი.

45. და მაშინვე აიძულა თავისი მოწაფეები, ჩამსხდარიყვნენ ნავში და მასზე ადრე გასულიყვნენ გალმა, ბეთსაიდას, სანამდის თვითონ გაისტუმრებდა ხალხს.

46. და როდესაც გაისტუმრა ისინი, მთაზე ავიდა სალოცავად.

47. მწუხრის ჟამს ნავი შუაგულ ზღვაში იყო, ხოლო ის მარტო იყო ხმელეთზე.

48. და დაინახა, რომ გაუჭირდათ ცურვა, ვინაიდან პირქარი ქროდა; ხოლო ღამის მეოთხე გუშაგობისას ზღვა-

ზე სვლით მივიდა მათთან და დააპირა უკან მოეტოვებინა ისინი.

49. ხოლო მათ, ზღვაზე მომავალი რომ დაინახეს, მოჩვენება ეგონათ და ყვირილი მორთეს;

50. რადგან მისმა ხილვამ თავზარი დასცა ყველას. და მაშინვე შეეხმიანათ იესო: მხნედ იყავით; მე ვარ, ნუ გეშინიათ.

51. და ჩაუჯდა მათ ნავში, და ქარიც ჩადგა; და კიდევ უფრო განცვიფრდნენ და გაოგნდნენ ისინი.

52. რადგან ვერ მიმხვდარიყვნენ პურობის სასწაულს, ვინაიდან გამქისებული იყო მათი გული.

53. და გავიდნენ გაღმა და მიადგნენ გენესარეთის მხარეს.

54. და ნავიდან გადმოსვლისთანავე იცნეს იგი იქაურებმა.

55. შემოირბინეს მთელი ის მხარე, და ყველგან, სადაც კი ესმოდათ, არ არისო, სარეცლებით მიჰყავდათ მასთან სნეული.

56. და სადაც უნდა შესულიყო: სოფლებში, დაბებსა თუ ქალაქებში, ყველგან მოედნებზე აწვენდნენ სნეულთ და სთხოვდნენ, ნება მიეცი მათ, შენი სამოსის კალთას შეეხონო; და ყველა, ვინც მას ეხებოდა, იკურნებოდა.

თავი მეშვიდე

1. და შეგროვდნენ მასთან ფარისევლები და იერუსალემიდან ჩამოსული ზოგიერთი მწიგნობარი.

2. და იხილეს, რომ ზოგ-ზოგი მისი მოწაფე ჭუჭყიანი, ესე იგი, დაუბანელი ხელით ჭამდა პურს, და დაჭგმეს ისინი.

3. (რადგან ფარისევლნი და, საერთოდ, იუდეველნი ისე არ ჭამენ პურს, თუ საგულდაგულოდ არ დაიბანეს ხელი, წინაპართა გადმოცემისამებრ.

4. არც მოედნებიდან დაბრუნებულნი არა ჭამენ დაუბანლად. და მრავალ სხვა წესსაც იცავენ, როგორიცაა მაგალითად, თასების, ჯამების, ჭურჭლისა და სარეცლების რეცხვა).

5. მაშინ ჰკითხეს მას ფარისევლებმა და მწიგნობრებმა: რატომ არ იქცევიან შენი მოწაფეები წინაპართა გადმოცემისამებრ, არამედ ხელდაუბანლად ჭამენ პურს?

6. ხოლო იესომ პასუხად მიუგო მათ: მართლად იწინასწარმეტყველა თქვენებრ თვალთმაქცთათვის ესაია წინასწარმეტყველმა, ვის მიერაც დაიწერა: ეს ხალხი მადიდებს თავისი ბაგით, მაგრამ მისი გული შორსაა ჩემგან.

7. ამაოდ მადიდებენ, რადგან ასწავლიან ადამიანთა მოძღვრებებსა და მცნებებს.

8. ვინაიდან მიგიტოვებიათ ღმერთის მცნება და იცავთ კაცთა გადმოცემას, ჯამ-ჭურჭლის რეცხვას და სხვა მისთანათ.

9. და უთხრა მათ: მერედა, კარგია, რომ აუქმებთ ღმერთის მცნებას, რათა დაიცვათ თქვენი გადმოცემა?

10. ვინაიდან მოსემ თქვა: პატივი ეცი მამას შენსას და დედას შენსას; და კიდევ: ვინც მამისა თუ დედის ძვირს იტყვის, სიკვდილით მოკვდეს.

11. ხოლო თქვენ ამბობთ: თუ კაცი ეტყვის მამას ან დედას: ღმერთს ვწირავ კორბანს, ანუ შესაწირავს, რაც ჩემგან უნდა მიგელო.

12. ნებას რთავთ მას, აღარაფერი გააკეთოს თავისი მამის ან თავისი დედისათვის.

13. და ამრიგად, თქვენგანვე მომდინარე გადმოცემით აუქმებთ ღმერთის სიტყვას, და მრავალ ამნაირ რასმე სჩადიხართ.

14. მოუხმო ხალხს და უთხრა მათ: მისმინეთ ყველამ და გულს ჩაიბეჭდეთ.

15. არაფერი გარედან შემავალი არ შებილწავს კაცს, არამედ მისგან გამომავალია ის, რაც შებილწავს კაცს.

16. ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინოს!

17. ხოლო როცა ხალხს გაეცალა და სახლში შევიდა, მისმა მოწაფეებმა ჰკითხეს იგავის აზრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. და უთხრა მათ: ნუთუ თქვენც
არა გაგეგებათ რა? ნუთუ არ გესმით,
რომ არაფერს, გარედან შემავალს კა-
ცში, არ შეუძლია მისი შებილწვა?

19. ვინაიდან მის გულში კი არ შე-
დის, არამედ მუცელში, და გარეთ გა-
მოდის, რითაც იწმინდება ყოველგვარი
საზრდო.

20. და თქვა: კაცისაგან გამომავალი
შებილწავს კაცს.

21. ვინაიდან შიგნიდან, კაცის გუ-
ლიდან გამოვლენ: ბოროტი ზრახვანი,
მრუშობანი, პარვანი, კაცისკვლანი,

22. სიძვანი, ანგარებანი, უკეთურე-
ბანი, მზაკვრობანი, გარყვნილება, თვა-
ლის სიავე, გმობა, ქედმაღლობა, უგუ-
ნურება.

23. ყოველივე ეს შიგნიდან გამოდის
და ბილწავს კაცს.

24. და წამოვიდა იქიდან და მოვიდა
ტიროსისა და სიდონის საზღვარს. და
შევიდა სახლში, და არ უნდოდა ვინმეს
გაეგო ეს, მაგრამ ვერ შესძლო დაფა-
რვა.

25. რადგან გაიგო ერთმა ქალმა, ვის
ასულსაც უწმინდური სული ჰყავდა, —
და მივიდა და ფეხქვეშ ჩაუვარდა მას.

26. ხოლო ეს ქალი წარმართი იყო,
ტომით ასუროფინიკელი, და შეეეედ-
რა, გაეძევებინა ეშმაკი მისი ასულისა-
გან.

27. მაგრამ იესომ უთხრა მას: მაცა-
ლე, ჯერ დავაძღო შვილები; სად გაგო-
ნილა, შვილებს წაართვა და ძაღლებს
მიუგდო პური.

28. და ქალმა პასუხად მიუგო მას:
დიახ უფალო; მაგრამ ძაღლებიც ხომ
ჭამენ ტაბლის ქვეშ შვილების ნასუფ-
რალს?

29. და უთხრა მას: მაგ სიტყვისათ-
ვის წადი; გამოვიდა ეშმაკი შენი ასუ-
ლისაგან.

30. და მივიდა იგი თავის სახლში
და იხილა, რომ მისი ასული სარეცელ-
ზე წამომჯდარიყო და ეშმაკი გამოსუ-
ლიყო მისგან.

31. მერე კვლავ წამოვიდა ტიროსი-
სა და სიდონის საზღვრით და მოვიდა
გალილეის ზღვის პირას, ათალეველ-
საზღვართა შორის.

32. და მიჰგვარეს მას ყრუ და ენა-
ბლუ, და შეეეედრნენ, ხელი დაედო
მისთვის.

33. ხალხს გააცილა, ყურებში ჩაუდო
თითები, გადააფურთხა და შეეხო მის
ენას.

34. და ზეცად აღაპყრო თვალნი,
ამოიოხრა და უთხრა მას: ეფფათა! რაც
ნიშნავს: გაიხსენ!

35. და მაშინვე გაეხსნა სმენაცა და
დაბმული ენაც და გამართულად ამე-
ტყველდა.

36. და უბრძანა მათ, არავისთან გა-
მამხილოთო, მაგრამ რაც უფრო მეტს
უბრძანებდა, მით უფრო მეტად ამხე-
ლდნენ;

37. და მით უფრო მეტად უკვირდათ
და ამბობდნენ: ყოველივეს კეთილად
იქმს: ყრუს სმენას უბრუნებს და
უტყვს ამეტყველებს.

თავი მერვე

1. იმ დღეებში, როცა კვლავ დიდ-
ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, და საჭ-
მელი არა ჰქონდათ, იესომ მოუხმო თა-
ვის მოწაფეებს და უთხრა მათ:

2. მეცოდება ეს ხალხი, რადგან აგერ
უკვე სამი დღეა ჩემთან არიან, და არა-
ფერი აქვთ საჭმელი.

3. და თუ მშივრებს გავუშვებ თავი-
ანთ სახლებში, გზაში დაუძლურდები-
ან, ვინაიდან ზოგი მათგანი შორიდანაა
მოსული.

4. და მიუგეს მისმა მოწაფეებმა და
უთხრეს: ვის შეუძლია აქ, ამ უდაბ-
ნოში, ამდენი ხალხის დაპურება?

5. და ჰკითხა მათ: რამდენი პური
გაქვთ? ხოლო მათ მიუგეს: შვიდი.

6. მაშინ მიწაზე დასხდომა უბრძანა
ხალხს. აიღო შვიდი პური, აკურთხა და-
ტეხა, და ჩამოსარიგებლად მისცა თა-
ვის მოწაფეებს; და მათაც ჩამოურიგეს
ხალხს.

7. ცოტაოდენი თევზიც ჰქონდათ;

ისიც აკურთხა და ბრძანა, ჩამოერიგებინათ მათთვის.

8. ჭამეს და გაძღნენ; და გააკრიბეს ნარჩენებით შვიდი კალათი.

9. ხოლო იყო მჭამელი ასე ოთხი ათასამდე კაცი; და გაისტუმრა ისინი.

10. და თავისი მოწაფეებითურთ მაშინვე ჩაჯდა ნავში, და მივიდა დალმანუთის მხარეს.

11. გამოვიდნენ ფარისეველები, დავა დაიწყეს და, საცდუნებლად, სასწაული მოსთხოვეს ზეცით.

12. მაშინ მძიმედ ამოიოხრა და თქვა: რად ეძებს ეს მოდგმა სასწაულს? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ მიეცემა სასწაული ამ მოდგმას.

13. და მიატოვა ისინი, კვლავ ნავში ჩაჯდა და გაღმა გავიდა.

14. მოწაფეებს კი დაავიწყდათ პურის წაღება, და ერთი პურის მეტი არ ჰქონდათ ნავში.

15. და უბრძანა მათ იესომ და უთხრა: ფხიზლად იყავით, ერიდეთ ფარისეველთა საფუარს და ჰეროდეს საფუარს.

16. ხოლო ისინი ერთმანეთში ბჭობდნენ და ამბობდნენ: ალბათ, იმიტომ, პური რომ არ გვაქვსო.

17. მიუხვდა იესო და უთხრა მათ: რასა ბჭობთ, პური რომ არა გვაქვსო? ვერც რასა სცნობთ და არც რა გესმით? ნუთუ გაქვავდა თქვენი გული?

18. თვალი გაქვთ და ვერას ხედავთ და ყური გაქვთ და არაფერი გესმით? და არც გახსოვთ.

19. როგორ დავუტეხე ხუთი პური ხუთიათასს კაცს, და ნარჩენებით რამდენი კალათი დაავსეთ კიდევ? მათ თქვეს: თორმეტი.

20. ანდა შვიდი — ოთხიათასს, და რამდენი კალათი დაავსეთ კიდევ? მათ თქვეს: შვიდი.

21. და უთხრა მათ: ახლაც არ გესმით?

22. და მივიდნენ ბეთსაიდას, და მიჰგვარეს ბრმა და შეევედრნენ, ხელი შეეხო მისთვის.

23. ხელი ჩაჰკიდა ბრმას, სოფლიდან გაიყვანა და მიაფურთხა ... ლი დაადო და ჰკითხა: ხედავ რასმე?

24. მანაც გაიხედა და თქვა: ხალხს ვხედავ, თითქოს ხეები დადიანო.

25. მაშინ კვლავ დაადო ხელი თვალებზე და გაახელინა; და დაუბრუნდა თვალის ჩინი და ყველაფერი ცხადად დაინახა.

26. და გაგზავნა თავის სახლში და უთხრა: სოფელში ნუ შეხვალ, და ნურც ნურავის ეტყვი იქ.

27. და წავიდნენ იესო და მისი მოწაფეები ფილიპეს კესარიის სოფლებში. და გზაში ჰკითხა მათ: რას ამბობს ხალხი, ვინ ვგონივარო მე?

28. ხოლო მათ მიუგეს: იოანე ნათლისმცემელი, ზოგს — ელია და ზოგსაც — ერთ-ერთი წინასწარმეტყველი.

29. კვლავ ჰკითხა მათ: თქვენ თვითონ ვინღა გგონივართ მე? მიუგო პეტრემ და უთხრა მას: შენა ხარ ქრისტე.

30. მაშინ უბრძანა მათ, არავისთან გაეთქვათ ეგი.

31. და დაუწყო მათ სწავლება, რომ ძეს კაცისას ელოდა მრავალი ტანჯვის დათმენა, შეურაცხყოფა უხუცესთაგან, მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან, სიკვდილით დასჯა და მესამე დღეს აღდგომა.

32. და აშკარად ამბობდა ამას. მაგრამ პეტრემ განზე გაიხმო და კიცხვა დაუწყო.

33. ხოლო ის მობრუნდა, გადახედა თავის მოწაფეებს, შერისხა პეტრე და უთხრა მას: გამშორდი, სატანა! ვინაიდან ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ კაცისას.

34. და მოუხმო ხალხს თავის მოწაფეებთან ერთად და უთხრა მათ: ვისაც სურს მე მომსდიოს, განუდგეს თავის თავს, აიღოს თავისი ჯვარი, და გამომყვეს მე.

35. რადგან ვისაც სურს სულის ხსნა, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი და სახარების გულისთვის დაჰკარგავს სულს, ის ჰპოვებს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. რას არგებს კაცს, თუ მოიგებს მთელ ქვეყანას და სულს კი წააგებს?
37. ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?
38. რადგან ვისაც ვერცხვინები მეცა და ჩემი სიტყვებიც ამ მემრუშე და ცოდვილ მოდგმაში, ძეც კაცისა სამარცხვინოდ მიიჩნევს მას, როდესაც მოვა მამის თვისის დიდებითა და წმიდა ანგელოზთა. თანხლებით.

თავი მეცხრე

1. და უთხრა მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ზოგი აქ მყოფთაგანი არ იგემებს სიკვდილს, სანამ არ იხილავს ღმრთის სასუფეველს, მომავალს ძალმოსილებით.
2. ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და იოანე, მარტო ისინი აიყვანა მაღალ მთაზე. და მათ წინაშე იცვალა ფერი.
3. და სამოსი მისი გახდა მოელვარე და თოვლივით სპეტაკი, როგორც ვერცერთი მრეცხავი ვერაფერს გაასპეტაკებს ამ ქვეყნად.
4. და მოევლინა მათ ელია მოსესთან ერთად, იესოსთან მოსაუბრენი.
5. და უთხრა პეტრემ იესოს: რაბი! რა გვიჯობს აქ ყოფნას? მოდი გავაკეთოთ სამი კარავი: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას.
6. რადგან არ იცოდა, რა ეთქვა, ვინაიდან შეშინებულნი იყვნენ.
7. და გამოჩნდა ღრუბელი და ჩრდილით დაბურა ისინი. და გაისმა ხმა ღრუბლით, რომელმაც თქვა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი; უსმინეთ მას.
8. და მსწრაფლ მიმოიხედეს, მაგრამ ვერავინ დაინახეს, იესოს გარდა.
9. ხოლო მთიდან ჩამოსვლისას იესომ უბრძანა მათ, არავისთვის გაენდოთ ეს ხილვა, ვიდრე ძე კაცისა არ აღდგებოდა მკვდრეთით.
10. ხოლო მათ დაიხსომეს ეს სიტყვა, და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: რას ნიშნავს აღდგომა მკვდრეთით?
11. და ჰკითხეს მას: რატომ ამბობენ მწიგნობარნი, პირველად ელია უნდა მოვიდესო?
12. ხოლო მან პასუხად თქვა: მართალია, პირველად ელია უნდა მოვიდეს და აღადგინოს ყოველი. და როგორც დაიწერა კაცის ძისათვის, დიდი ტანჯვა და შეურაცხყოფა ელის.
13. მაგრამ გეუბნებით თქვენ: ელია უკვე მოვიდა და როგორც უნდოდათ, ისე მოექცნენ; როგორც დაიწერა მის გამო.
14. და როცა მოწაფეებთან დაბრუნდა, იხილა მათ ირგვლივ შეკრებილი დიდძალი ხალხი და მათთან მოკამათე მწიგნობრები.
15. და მაშინვე შენიშნა ის მთელმა ხალხმა და განცვიფრდა; გამოიქცნენ და მიესალმნენ მას.
16. და ჰკითხა მწიგნობრებს: რას ედავებით ამათ?
17. ერთმა კაცმა ხალხიდან მიუგო მას: მოძღვარო! ჩემი ძე მოგგვარე, შეპყრობილი სიმუნჯის სულით.
18. სადაც მოიხელთებს, ძირს დასცემს; დუჟი გადმოსდის, კბილებს აღრჭიალებს და შეშდება. ვთხოვე შენს მოწაფეებს, განდევნეთ-მეთქი, მაგრამ ვერ შესძლეს.
19. ხოლო იესომ პასუხად თქვა: ო, ურწმუნო მოდგმავ: როდემდის ვიქნები თქვენთან? როდემდის მოგითმინო თქვენ? აქ მომგვარეთ!
20. და მოჰგვარეს იგი, და იხილა თუ არა იესო, სულმა შეარყია იგი, მიწაზე დაეცა, და გორავდა დუჟმორეული.
21. და ჰკითხა მამამისს: რამდენი ხანია ასე? ხოლო მან მიუგო: სიყრმითგანვე.
22. მრავალჯერ ჩაუგდია სულს ცეცხლსა თუ წყალში, რათა დაეღუპა იგი. მაშ, თუ რამ შეგიძლია, შეგვიწყალე და შეგვეწიე.
23. ხოლო იესომ უთხრა მას: თუ შეგიძლია გწამდეს, ყველაფერი შესაძლოა მორწმუნისათვის.
24. და მყისვე ცრემლების ფრქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ შეღაღადა ბავშვის მამამ: მწამს, უფალო! შეეწიე ჩემს ურწმუნოებას.

25. ხოლო როდესაც იხილა იესომ, რომ ხალხი ეხვევა გარშემო, შერისხა სული და უთხრა მას: ყრუ-მუნჯო სულო! გიბრძანებ, გამოხვიდე მაგისგან და აღარასოდეს შეხვიდე მასში!

26. და შეჰყვირა და საშინლად შეარყია იგი, და გამოვიდა. ხოლო ბავშვი მკვდარს დაემსგავსა; ასე რომ ბევრი ამბობდა კიდეც: მოკვდაო.

27. მაგრამ იესომ ხელი მოჰკიდა, წამოაყენა, და ისიც აღდგა.

28. და როდესაც შევიდა სახლში, მისმა მოწაფეებმა განცალკევებით ჰკითხეს: რატომ ჩვენ ვერ შევძელით მისი განდევნა?

29. და უთხრა მათ: ამ მოდგმას ვერაფრით ვერ განდევნი, თუ არა ლოცვით და მარხვით.

30. წამოვიდა იქიდან და გალილეა გადაიარა და არ უნდოდა ვინმეს გაეგო ეს.

31. ვინაიდან ასწავლიდა თავის მოწაფეებს და ეუბნებოდა მათ, რომ ძე კაცისა მიეცემა კაცთა ხელში, და მოკლავენ მას, და სიკვდილის შემდეგ, მესამე დღეს აღდგება მკვდრეთით.

32. მაგრამ მათ ვერ გაიგეს ეს სიტყვები, კითხვა კი ვერ შეჰბედეს მას.

33. მივიდა კაპერნაუმში; და სახლში ყოფნისას ჰკითხა მათ: რაზე მსჯელობდით გზაში?

34. ისინი კი დუმდნენ, ვინაიდან გზაში იმაზე ბჭობდნენ, თუ ვინ არის უფრო დიდი.

35. და დაჯდა, მოუხმო თორმეტს და უთხრა მათ: ვისაც სურს პირველი იყოს ყველაზე უკანასკნელი იქნება და ყველას მსახური.

36. და მოიყვანა პატარა ბავშვი, მათ შორის ჩააყენა, ხელი მოხვია და უთხრა მათ:

37. ვინც შეიწყნარებს ერთ ამნაირ ბავშვს ჩემი სახელით, მე შემიწყნარებს. ხოლო ჩემი შემწყნარებელი მე კი არ შემიწყნარებს, რამედ ჩემს მომავალინებელს.

38. მიუგო იოანემ და უთხრა მას: მოძღვარო, ვიხილეთ კაცი, რომელიც შენი სახელით აძევებს ეშმაკთ, და ჩვენ კი არ მოგვდევს; და ავუკრძალეთ იმიტომ, რომ ჩვენ არ მოგვყვება.

39. ხოლო იესომ თქვა: ნუ უკრძალავთ, რადგან ვერავინ, ვინც ჩემი სახელით ახდენს სასწაულს, აგრე იოლად ვერ იტყვის ჩემს ძვირს.

40. რადგან ვინც ჩვენს წინააღმდეგ არაა, ჩვენს მხარესაა.

41. და მას, ვინც ჭიქა წყალს მოგაწვდით ჩემი სახელით, ვინაიდან ქრისტესი ხართ, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ დაეკარგება თავისი საზღაური.

42. და ვინც აცთუნებს თუნდაც ერთ ამ მცირეთაგანს, რომელთაც მე ვწამვარ, უჯობს წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ ყელზე და ზღვაში დანთქან.

43. და თუ შენი ხელი გაცთუნებს შენ, მოიკვეთე იგი: გიჯობს სახიჩარი შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორივე ხელის მქონე ჩავარდე გეენაში, გაუნელებელ ცეცხლში.

44. სადაც ულევია მათთვის მატლი და უშრეტი ცეცხლი.

45. და თუ შენი ფეხი გაცთუნებს შენ, მოიკვეთე იგი: გიჯობს კოჭლი შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორივე ფეხის მქონე ჩავარდე გეენაში, გაუნელებელ ცეცხლში,

46. სადაც ულევია მათთვის მატლი და უშრეტი — ცეცხლი.

47. და თუ შენი თვალი გაცთუნებს შენ, ამოითხარე იგი: გიჯობს ცალთვალა შეხვიდე ღმერთის სასუფეველში ვიდრე ორივე თვალის მქონე ჩავარდე ცეცხლის გეენაში.

48. სადაც ულევია მათთვის მატლი და უშრეტი — ცეცხლი.

49. რადგან ყველაფერი ცეცხლით დამარილდება და ყოველი შესაწირავი მარილით დამარილდება.

50. კარგი რამ არის მარილი; მაგრამ თუ მარილი უმარილო გახდა, რა- [illegible] ნელებთ მას? გქონდეთ მარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თქვენში და მშვიდობით იყავით ერთმანეთს შორის.

თავი მეათე

1. წამოვიდა იქიდან და მივიდა იუდეის საზღვარს, იორდანეს გადაღმა. კვლავ მიაშურა მას ხალხმა და, როგორც სჩვეოდა, კვლავ ასწავლიდა მათ.

2. მიადგნენ ფარისევლები და საცდუნებლად ჰკითხეს მას: აქვს თუ არა ქმარს ცოლის გაშვების ნება?

3. ხოლო მან პასუხად თქვა: რა გამცნოთ თქვენ მოსემ?

4. მათ მიუგეს: მოსემ ჩვენ დაგვრთო გაყრის წერილის დაწერისა და გაშვების ნება.

5. იესომ პასუხად უთხრა მათ: თქვენი გულქვაობის გამო მოგცათ ეს მცნება.

6. ხოლო დაბადებითვე კაცად და ქალად შექმნა ისინი ღმერთმა.

7. ამიტომ მიატოვებს კაცი მამას თვისას და დედას,

8. და შეერთვის თავის ცოლს, და იქნებიან ორივენი ერთ ხორც. ასე რომ, ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთ ხორც.

9. ამრიგად, ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი.

10. სახლში მისმა მოწაფეებმა კვლავ ჰკითხეს იგივე.

11. და უთხრა მათ: ვინც გაუშვებს თავის ცოლს და სხვას შეირთავს, მის მიმართ მრუშობს.

12. და თუ ცოლი გაეყრება თავის ქმარს და სხვას გაჰყვება, მრუშობს.

13. და მიჰგვარეს მას ბავშვები, რათა ხელი დაედო მათთვის. მოწაფეები კი არ უშვებდნენ მომგვრელთ.

14. ეს რომ დაინახა, განრისხდა და უთხრა მათ: მოუშვით ჩემთან ბავშვები და ნუ უშლით მათ, ვინაიდან მათნაირებისაა ღმრთის სასუფეველი.

15. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღმრთის სასუფეველს, ვერ შეევა მასში.

16. მოეხვია, ხელი დაადო მათ და დალოცა ისინი.

17. და როცა გზას დაადგა, მოირბინა ვიღაცამ, მუხლი მოიყარა მის წინაშე და უთხრა: კეთილო მოძღვარო, რა მოვიმოქმედო, რომ დავიმკვიდრო საუკუნო სიცოცხლე?

18. იესომ მიუგო მას: რატომ მიწოდებ კეთილს? არავინაა კეთილი, გარდა ერთის, — ღმრთისა.

19. იცი მცნებანი: არა იმრუშო; არა კაც-ჰკლა; არა იპარო; არა ცილი სწამო; არა შეურაცხყო; პატივი ეცი მამას შენსას და დედას?

20. ხოლო მან პასუხად უთხრა: მოძღვარო, ეს ყოველივე დამიცავს ჩემი სიყრმიდან.

21. იესომ შეხედა, მოეწონა და უთხრა მას: ერთიღა გაკლია: წადი, გაყიდე ყველაფერი, რაც გაბადია, და მიეცი გლახაკთ, და გექნება საუნჯე ცაში; აიღე შენი ჯვარი, და მოდი და გამომყევ მე.

22. ხოლო ის შეაცბუნა ამ სიტყვამ და დამწუხრებული წავიდა, რადგან ძალიან მდიდარი იყო.

23. მიმოიხედა იესომ და თავის მოწაფეებს უთხრა: რარიგ ძნელია მდიდრისათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა.

24. მოწაფეებს გაუკვირდათ ეს სიტყვები, ხოლო მან ხელახლა მიუგო და უთხრა მათ: შვილებო, რარიგ ძნელია სიმდიდრის მოყვარულთათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა.

25. აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღმრთის სასუფეველში.

26. ხოლო მათ უფრო უკვირდათ, და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: კი მაგრამ, ვინღა ცხონდება?

27. იესომ შეხედა მათ და უთხრა: კაცთათვის ეს შეუძლებელია, მაგრამ არა ღმერთისთვის; ვინაიდან ყველაფერი შესაძლებელია ღმრთისთვის.

28. დაიწყო პეტრემ და უთხრა მას: აი, ჩვენ მივატოვეთ ყველაფერი და შენ გამოგყევით.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

29. იესომ პასუხად თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ არის კაცი, რომელმაც მიატოვოს სახლი, გინდა ძმები, გინდა დები, გინდა მამა, გინდა დედა, გინდა ცოლი, გინდა შვილები, გინდა ადგილ-მამული ჩემი და სახარების გულისთვის,

30. და ახლავე, ამჟამად, ასმაგად არ მიიღოს სახლებიც, ძმებიც და დებიც, მამებიც და დედებიც, შვილებიც და ადგილ-მამულნიც, ხოლო მომავალ საუკუნეში — საუკუნო სიცოცხლე.

31. მაგრამ მრავალი პირველი იქნება უკანასკნელი, და მრავალი უკანასკნელი — პირველი.

32. და როდესაც იერუსალემისაკენ მიმავალ გზას ადგნენ, იესო წინ მიუძღოდა მათ, ხოლო მისი მიმდევრები გაკვირვებულნი და შეშინებულნი იყვნენ. კვლავ მოიხმო თორმეტი, და დაუწყო ლაპარაკი იმაზე, თუ რა ელოდა მას:

33. აჰა, ავდივართ იერუსალემს, და ძე კაცისა მიეცემა მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს, და მიუსჯიან მას სიკვდილს, და მისცემენ წარმართთ.

34. და შეურაცხყოფენ მას, და სცემენ მას, და აფურთხებენ მას, და მოკლავენ მას; და მესამე დღეს აღდგება იგი.

35. მაშინ მივიდნენ მასთან ზებედეს ძენი — იაკობი და იოანე და უთხრეს: მოძღვარო, გვსურს შეგვისრულო, რასაცა გთხოვთ.

36. იესომ ჰკითხა მათ: მაინც რის შესრულებას მთხოვთ?

37. და მათ მიუგეს: მოგვეცი ნება, რათა შენს დიდებაში, ერთი შენს მარჯვნივ და მეორე შენს მარცხნივ დავსხდეთ.

38. მაგრამ იესომ პასუხად თქვა: არ იცით, რას ითხოვთ. შეგიძლიათ შესვათ სასმისი, რომლითაც მე ვსვამ, და ნათლობით, რომლითაც მე ვინათლები მოინათლოთ?

39. მათ თქვეს: შეგვიძლია. ხოლო იესომ მიუგო მათ: სასმისს, რომლითაც მე ვსვამ, შესვამ, და ნათლობით, რომლითაც მე ვინათლები მოინათლებით.

40. მაგრამ მე როდი [illegible] ვინ დაჯდება ჩემს მარჯვნივ, და ვინ — მარცხნივ, არამედ ვისთვისაც გამზადებულია ეს.

41. ამის მოსმენისას, ათი მოწაფე რისხვით აღივსო იაკობისა და იოანეს მიმართ.

42. ხოლო იესომ მიიხმო ისინი და უთხრა მათ: თქვენ იცით, რომ ხალხთა მთავრებად მიჩნეულნი მბრძანებლობენ მათზე, და დიდებულნი ძალადობით განაგებენ მათ.

43. ხოლო თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, ის იქნება თქვენი მსახური.

44. და ვინც თქვენში მოისურვებს პირველობას, ის იქნება ყველას მონა.

45. რადგან ძე კაცისა იმისთვის კი არ მოვიდა, რათა სხვები იმსახუროს, არამედ რათა სხვებს ემსახუროს, და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსახსნელად.

46. და მივიდნენ იერიხონში; და როდესაც გამოდიოდა იერიხონიდან, თავის მოწაფეებსა და დიდძალ ხალხთან ერთად, ტიმეოსის ძე, ბრმა ბარტიმეოსი, გზის პირას იჯდა მოწყალების მთხოვნელად.

47. და როცა გაიგონა, იესო ნაზარეველიაო, ყვირილი მორთო: იესო, დავითის ძეო, შემიწყალე მე!

48. ბევრი რისხავდა, გაჩუმდიო, მაგრამ ის უფრო ხმამაღლა ყვიროდა, დავითის ძეო, შემიწყალე მე!

49. იესო შეჩერდა და ბრძანა, დაუძახეთო; დაუძახეს ბრმას და უთხრეს: ნუ გეშინია, ადექ, გეძახის.

50. მანაც დააგდო თავისი მოსასხამი, ადგა და იესოსთან მივიდა.

51. იესომ ჰკითხა მას: რას მოითხოვ ჩემგან? ხოლო ბრმამ მიუგო: რაბუნი, თვალის ახელას!

52. და იესომ უთხრა მას: წადი, შენმა რწმენამ გადაგარჩინა. და მაშინვე აეხილა თვალი და გაჰყვა იესოს გზად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეთერთმეტე

1. როდესაც მიუახლოვდნენ იერუსალემს, ბეთბაგეს და ბეთანიას, ზეთისხილის მთას, გაგზავნა თავისი ორი მოწაფე.

2. და უთხრა მათ: წადით სოფელში, რომელიც თქვენს პირდაპირაა და შესვლისთანავე იპოვით დაბმულ ჩოჩორს, რომელზედაც ჯერ კაცი არ მჯდარა; ახსენით და მომიყვანეთ.

3. და თუ ვინმე გეტყვით, რას შვრებითო, უთხარით, რომ უფალს სჭირდებაა-თქო, და მაშინვე გამოგატანთ.

4. ისინი წავიდნენ, და დაინახეს ქუჩაში ჭიშკართან დაბმული ჩოჩორი, და ახსნეს იგი.

5. ზოგიერთმა იქ მდგომმა ჰკითხა მათ: რას შვრებით? რატომ ხსნით ჩოჩორს?

6. მათ მიუგეს, როგორც უბრძანა იესომ: და გამოუშვეს ისინი.

7. და მიჰგვარეს ჩოჩორი იესოს, ზურგზე დაუფინეს თავიანთი სამოსელი, და ზედ შესვეს იგი.

8. ბევრი თავის სამოსელს უფენდა გზაზე; სხვები კი ხის ტოტებს ჭრიდნენ და გზაზე უფენდნენ მას.

9. და წინ მიმავალნიცა და უკან მიმყოლნიც ღაღადებდნენ და ამბობდნენ: ოსანა! კურთხეულია მომავალი უფლის სახელით.

10. კურთხეულია სასუფეველი მამის ჩვენის დავითისა. მომავალი უფლის სახელით! ოსანა მაღალთა შინა!

11. და შევიდა იესო იერუსალემსა და ტაძარში, და როდესაც მოიხილა ყველაფერი, უკვე გვიანი იყო, და ბეთანიას გაემართა თორმეტის თანხლებით.

12. და მეორე დღეს, ბეთანიიდან წამოსულს მოშივდა;

13. და დაინახა შორიდან გაფოთლილი ლეღვის ხე, და მივიდა, იქნებ ზედ რამე ვიპოვოო, მაგრამ მისულმა ვერაფერი ნახა, ფოთლების გარდა, ვინაიდან ჯერ კიდევ არ მოეწია ლეღვის მწიფობას.

14. და უთხრა მას: იესომ: [illegible] ეგემოს შენი ნაყოფი უკუნისამდე! და გაიგონეს ეს მისმა მოწაფეებმა.

15. მივიდნენ იერუსალემში, და შევიდა იესო ტაძრად, და დაიწყო იმათი გამოყრა, ვინც ყიდდა და ყიდულობდა ტაძარში; და ააყირავა მეკერმეთა დახლები და მტრედებით მოვაჭრეთა მერხები.

16. და არავის რთავდა იმის ნებას, რომ რამე გამოეტარებინა ტაძარში.

17. და ასწავლიდა მათ და ამბობდა: განა დაწერილი არ არის, რომ ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება ყველა ხალხისთვის? თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი.

18. გაიგონეს ეს მწიგნობრებმა და მღვდელმთავრებმა, და ეძებდნენ ხერხს მის დასაღუპად, რადგანაც ეშინოდათ მისი, ვინაიდან მთელ ხალხს უკვირდა მისი მოძღვრება.

19. და შებინდებისას ქალაქიდან გამოვიდა.

20. დილას გვერდით ჩაუარეს და დაინახეს, რომ ლეღვის ხე ძირფესვიანად გამხმარიყო.

21. გაახსენდა პეტრეს და უთხრა მას: რაბი! შეხედე, ლეღვის ხე, შენ რომ დასწყევლე, გამხმარა.

22. მიუგო იესომ და უთხრა მათ: გქონდეთ ღმრთის რწმენა.

23. რადგან ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ვინმე ეტყვის ამ მთას: აღმოიფხვერი და ზღვაში ჩავარდი, და არ შეეჭვდება თავის გულში, არამედ იწამებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება — ექნება ის, რასაც იტყვის.

24 ამიტომ გეუბნებით თქვენ: ყველაფერი, რასაც ითხოვთ ლოცვაში, გწამდეთ, რომ მოგეცემათ, და ასეც იქნება.

25. და როდესაც ლოცვად დგახართ, მიუტევეთ, ვინც რამე გცოდათ, რათა მამამ თქვენმა ზეციერმაც მოგიტევოთ თქვენი შეცოდებანი.

26. ხოლო თუ არ მიუტევებთ, არც მამა თქვენი ზეციერი მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. და კვლავ მივიდნენ იერუსალემში, და როცა ტაძრად მიმოდიოდა, მიუახლოვდნენ მას მღვდელმთავარნი, მწიგნობარნი და უხუცესნი,

28. და უთხრეს მას: რომელი ძალით იქმ ამას? ან ვინ მოგცა ამისი ძალა?

29. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მათ: მეც ერთ რამეს გკითხავთ, და მიპასუხეთ: მაშინ გეტყვით, რომელი ძალით ვიქმ ამას.

30. ნათლისღება იოანესი ზეციდან იყო თუ კაცთაგან? მიპასუხეთ.

31. ხოლო ისინი ერთმანეთში ბჭობდნენ: თუ ვეტყვით: ზეციდანო, ის გვეტყვის: მაშინ რატომ არ ერწმუნეთ მას?

32. და თუ იტყოდნენ: კაცთაგანო, ხალხისა ეშინოდათ, ვინაიდან ყველას ჰეშმარიტ წინასწარმეტყველად მიაჩნდა იოანე.

33. ამიტომ პასუხად უთხრეს იესოს: არ ვიცით. ხოლო იესომ მიუგო მათ: მაშინ არც მე გეტყვით, რომელი ძალით ვიქმ ამას.

თავი მეთოთხმეტე

1. და დაუწყო მათ იგავებით ლაპარაკი: ერთმა კაცმა ჩაყარა ვაზი, შემოღობა, ამოკვეთა საწნახელი, ააგო გოდოლი და იჯარით მისცა მევენახეებს, თვითონ კი გაემგზავრა.

2. და როცა დრომ მოაწია, მევენახეებთან გაგზავნა მონა, რათა მოსავალი ჩაებარებინა მათგან.

3. ხოლო მათ შეიპყრეს იგი, სცემეს და ხელცარიელი გაუშვეს.

4. კვლავ გაგზავნა მეორე მონა, და მას ქვებით გაუტეხეს თავი და შეგინებული გააგდეს.

5. ახლა სხვა მონა გაგზავნა; ის კიდევ მოკლეს; და სხვასაც მრავალს ან სცემდნენ, ან კლავდნენ.

6. ერთი საყვარელი ძეც ჰყავდა; ბოლოს ის გაგზავნა მათთან, რადგან ეგონა, ჩემი ძის მაინც მოერიდებათო.

7. მაგრამ მევენახეებმა ერთმანეთს უთხრეს: აგერ მემკვიდრე; მოდით, მოვკლათ და მისი სამკვიდრო ჩვენ დაგვრჩებაო.

8. შეიპყრეს იგი, მოკლეს და ვენახს გარეთ დააგდეს.

9. მერედა, რას იზამს ვენახის პატრონი? მოვა და დახოცავს მევენახეებს, ხოლო ვენახს სხვებს მისცემს.

10. ნუთუ არ ამოგიკითხავთ წერილში: ქვა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, კუთხის თავად დაიდვა?

11. უფლის მიერ იქმნა ეს, და საოცრებად უჩანს ჩვენს თვალს.

12. და უნდოდათ მისი შეპყრობა, ვინაიდან მიხვდნენ, რომ მათზე ამბობდა იგავს; მაგრამ ხალხისა შეეშინდათ, მიატოვეს იგი და გაეცალნენ.

13. და მიუგზავნეს ზოგიერთი ფარისეველი და ჰეროდელი, რათა სიტყვის მახე დაეგოთ მისთვის.

14. მივიდნენ ისინი და უთხრეს მას: მოძღვარო, ვიცით, რომ მართალი ხარ, და არც არვის არჩევ, ვინაიდან არ უყურებ სახეს კაცისას, არამედ სიმართლით გვასწავლი ღმრთის გზას. გვმართებს თუ არა ხარკი ვაძლიოთ კეისარს? ვაძლიოთ თუ არ ვაძლიოთ?

15. ხოლო იესომ შეიცნო მათი თვალთმაქცობა, და უთხრა მათ: რატომ მაცდუნებთ? მომიტანეთ დინარი, რათა ჩემი თვალით ვიხილო.

16. მათაც მიუტანეს. და უთხრა მათ: ვისია ეს ხატი და ეს წარწერა? მიუგეს: კეისრისა.

17. იესომ მიუგო და უთხრა მათ: მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა. და უკვირდათ მისი.

18. მერე მიუახლოვდნენ მას სადუკეველნი, რომელნიც ამბობენ, რომ არ არსებობს აღდგომა, და ჰკითხეს მას:

19. მოძღვარო, მოსემ დაგვიწერა, თუ ვინმეს მოუკვდება ძმა, რომელსაც დარჩება ცოლი, მაგრამ არ დარჩება შვილი, დაე, მისმა ძმამ მოიყვანოს მისი ცოლი, რათა აღუდგინოს თავის ძმას მისი თესლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. იყო შვიდი ძმა; პირველმა შეირთო ცოლი და უშვილოდ მოკვდა.

21. და მეორემ შეირთო იგი, და ისიც უშვილოდ მოკვდა. ასევე მესამეც.

22. შვიდივეს ცოლად ჰყავდა. და არცერთს არ დარჩა შვილი. ყველაზე ბოლოს კი ქალიც მოკვდა.

23. მერედა, აღდგომისას, როცა აღდგებიან, ვისი ცოლი იქნება იგი? ვინაიდან შვიდივეს ცოლად ესვა.

24. იესომ პასუხად მიუგო მათ: იმიტომ ხომ არ სცდებით, რომ არც წერილს იცნობთ, და არც ღმრთის ძალას?

25. რადგან მკვდრეთით აღდგომისას არც ცოლს ირთავენ და არც თხოვდებიან, არამედ არიან როგორც ანგელოზები ცაში.

26. ხოლო მკვდართა აღდგომისათვის არ წაგიკითხავთ მოსეს წიგნში, რა უთხრა მას მაყვლოვანში ღმერთმა: მე ვარ ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა.

27. ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა. ხოლო თქვენ დიდად სცდებით.

28. და მოვიდა ერთი მწიგნობართაგანი, რომელმაც გაიგონა მათი კამათი და მიხვდა, რომ კარგად უპასუხა მათ, და ჰკითხა იესოს: რომელია უპირველესი მცნება?

29. ხოლო იესომ მიუგო მას: აი, უპირველესი მცნება: ისმინე, ისრაელ! უფალი ღმერთი ჩვენი ერთი უფალია!

30. და: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, — აი, უპირველესი მცნება.

31. და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. არ არსებობს ამათზე დიადი მცნება.

32. მწიგნობარმა უთხრა მას: კეთილი, მოძღვარო; ჭეშმარიტს ამბობ, რომ ერთია ღმერთი, და არ არის სხვა, მის გარდა;

33. და რომ უნდა გვიყვარდეს მთელი გულით და მთელი სულით და მთელი გონებით და მთელი ძალით; და გვიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი, — ეს ყოველგვარ მსხვერპლსა და შესაწირავზე უმეტესია.

34. და როცა იხილა იესომ, რომ გონივრულად უპასუხა, მიუგო მას: შორს ხარ ღმერთის სასუფევლისგან. და ამის შემდეგ ვეღარავინ ბედავდა მისთვის რაიმეს კითხვას.

35. და ასწავლიდა იესო ტაძარში და თქვა: როგორ ამბობენ მწიგნობრები, რომ ქრისტე დავითის ძეა?

36. რადგან თვით დავითი ამბობს სულით წმიდით: უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე ფერხთით დაგიმხობ მტრებს.

37. ამრიგად, თვით დავითი უწოდებს მას უფალს; როგორღა ეკუთვნის ძედ? და დიდძალი ხალხი სიამოვნებით უსმენდა მას.

38. და თავისი სწავლით ეტყოდა მათ: ეკრძალეთ მწიგნობრებს, რომლებსაც უყვართ გრძელი სამოსით მოკაზმვა და საკრებულოებში — სალმის ძღვნა.

39. სინაგოგებში — წინა რიგები და წვეულებებზე — სუფრის თავში ჯდომა.

40. და რომლებიც ნთქამენ ქვრივთა სახლებს და თვალთმაქცურად ლოცულობენ დიდხანს; მით უფრო მძიმე იქნება მათი სასჯელი.

41. და დაჯდა იესო საგანძურის წინ, და უყურებდა, როგორ ყრიდა ხალხი ფულს საგანძურში. ხოლო ბევრი მდიდარი ბლომად ყრიდა.

42. მოვიდა ერთი საწყალი ქვრივი ქალი და ჩააგდო ორი ლეპტა, რაც შეადგენს კოდრანტს.

43. მოუხმო თავის მოწაფეებს და უთხრა მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ამ საწყალმა ქვრივმა ყველა ჩამგდებზე მეტი ჩააგდო საგანძურში.

44. ვინაიდან ყველა აგდებდა იმას, რაც ზედმეტი ჰქონდა, ხოლო მან ჩააგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო მთელი დაეესი სასაწყალე. მთელი თავისი საბადებელი.

თავი მეცამეტე

1. და როდესაც ტაძრიდან გამოდიოდ ერთმა მოწაფეთაგანმა უთხრა: ოძღვარო, შეხედე რა ქვებია და რა შენობები!

2. მიუგო იესომ და უთხრა მას: ხედავ ამ დიდებულ შენობებს? ქვა ქვაზეც არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგრევა.

3. ხოლო როცა ზეთისხილის მთაზე, ტაძრის პირდაპირ იჯდა, განცალკევებით ჰკითხეს მას პეტრემ და იაკობმა, იოანემ და ანდრიამ:

4. გვითხარი, როდის მოხდება ეს, ან რა იქნება ნიშანი იმისა, რომ ყოველივე ეს აღსრულდება?

5. მიუგო იესომ და უთხრა მათ: ფხიზლად იყავით, რათა არავინ გაცდუნოთ.

6. ვინაიდან მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით, და იტყვიან: მე ვარ, და მრავალს აცდუნებენ.

7. ხოლო როდესაც გაიგებთ ომებსა და ომების ამბავს, ნუ შეძრწუნდებით. ვინაიდან ყოველივე ეს უნდა მოხდეს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული.

8. რადგან აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ, და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ, და იქნება მიწისძვრანი ადგილ-ადგილ, და იქნება შიმშილობა და შფოთი. და ეს — სალმობათა დასაბამია.

9. არამედ მიხედეთ თქვენს თავს, რადგან მიგცემენ თქვენ სამართალში, და სინაგოგებში მათრახით გცემენ თქვენ, და მიგიყვანენ ჩემს გამო მთავრებისა და მეფეების წინაშე, რათა უმოწმოთ მათ.

10. და პირველად ყველა ხალხს უნდა ექადაგოს სახარება.

11. და როდესაც წაგიყვანენ გასაცემად, წინასწარ ნუ იზრუნებთ, რა ვთქვათო, და ნურც წინასწარ მოიფიქრებთ საოქმელს; არამედ, რაც მოგეცემათ იმ ჟამად, ის ილაპარაკეთ; რადგან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ სული წმიდა.

12. და გასცემს ძმა სასიკვდილოდ ძმას, და მამა — შვილს; და შვილები აღდგებიან მშობლების წინააღმდეგ და დახოცავენ მათ.

13. და მოგიძულებთ ყველა ჩემი სახელის გამო; ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, იგი ცხონდება.

14. ხოლო როდესაც იხილავთ გაპარტახების სიბილწეს, დანიელ წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამს, რაც უადგილო ადგილას დგას (წამკითხველმა გაიგოს), — მაშინ იუდეას მყოფნი მთებში გაიქცნენ.

15. და ერდოზე მყოფი ნუ ჩამოვა ძირს, თავისი სახლიდან რაიმეს წამოსაღებად.

16. და მინდვრად მყოფი ნუ მიბრუნდება შინ თავისი სამოსის წამოსაღებად.

17. და ვაი ფეხმძიმეთ და მეძუძურთ იმ ხანად.

18. ილოცეთ, რათა გაქცევამ არ მოგიწიოთ ზამთარში.

19. რადგან იქნება იმ დღეებში ჭირი, რომლის მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის დასაბამიდან, რომელიც შექმნა ღმერთმა, დღევანდელ დღემდე, და არც იქნება.

20. და უფალს რომ არ შეემოკლებინა ის დღენი, ვერ გადარჩებოდა ვერც ერთი ძეხორციელი; მაგრამ რჩეულთათვის შეამოკლა ის დღენი.

21. მაშინ, თუ ვინმე გეტყვით თქვენ: აჰა, აქ არის ქრისტე, ან კიდევ — იქო, ნუ ერწმუნებით.

22. რადგან აღდგებიან ცრუქრისტენი და ცრუწინასწარმეტყველნი და მოახდენენ სასწაულებსა და ნიშნებს, რათა აცდუნონ, თუკი შესძლეს, თვითონ რჩეულნიც.

23. ხოლო თქვენ ფხიზლად იყავით. აჰა, ყოველივე წინასწარ გაუწყეთ თქვენ.

24. და მაშინ, იმ ჭირის შემდეგ, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელდება მზე და მთვარე აღარ გამოსცემს ნათელს.

25. და ვარსკვლავები ჩამოცვივიან ციდან, და შეიძვრიან ციურნი ძალნი.

26. და მაშინ იხილავენ ძეს კაცისას, ღრუბლებზე მომავალს დიდებით და მრავალი ძალით.

27. და მოავლინებს მაშინ თავის ანგელოზებს და შეკრებს თავის რჩეულთ ოთხთავ ქართაგან, მიწის კიდიდან ცის კიდემდე.

28. ლეღვის ხისაგან ისწავლეთ იგავი: როცა მისი ტოტები რბილდება და ფოთლები გამოაქვს, იცოდეთ, რომ ახლოა ზაფხული.

29. ასევე თქვენც, როცა იხილავთ, რომ ყოველივე ეს ხდება, იცოდეთ, რომ უკვე ახლოა, კარზეა მომდგარი.

30. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადავა ეს მოდგმა, ვიდრე ყოველივე ეს არ აღსრულდება.

31. ცა და მიწა გადავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავლენ.

32. ხოლო იმ დღისა და იმ საათისა არავინ არაფერი იცის, არც ანგელოზებმა ცაში, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ.

33. ფრთხილად იყავით, იფხიზლეთ და ილოცეთ, რადგან არ იცით, როდის მოაწევს ჟამი.

34. მსგავსად კაცისა, შორს რომ გაემგზავრა, მიატოვა თავისი სახლი, და მისცა თავის მონებს გამგებლობა და თვითეულს — თავისი საქმე, და უბრძანა კარის მცველს ფხიზლად სჭეროდა თვალი.

35. მაშ, იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით, როდის მოვა სახლის პატრონი: საღამოს, შუაღამისას, მამლის ყივილისას თუ განთიადისას.

36. რათა ანაზდად არ მოგისწროთ მძინარეთ.

37. ხოლო რასაც თქვენ გეუბნებით, ყველას ვეუბნები: იფხიზლეთ.

თავი მეთოთხმეტე

1. ორი დღის შემდეგ იყო პასექისა და უფუარობის დღესასწაული. და მღვდელმთავრები და მწიგნობრები ეძებდნენ ხერხს, როგორ შეეპყროთ მზაკვრობით და მოეკლათ იგი.

2. მაგრამ ამბობდნენ: ოღონდ არა დღესასწაულზე, რათა ხალხი არ ამბოხდესო.

3. ხოლო როდესაც ბეთანიაში იყო იგი, სიმონ კეთროვანის სახლში, და ინახად იჯდა, მოვიდა ქალი, რომელსაც ალაბასტრის ჭურჭლით ჰქონდა ნარდის ძვირფასი ნელსაცხებელი, გატეხა ჭურჭელი და თავზე დაასხა მას.

4. ზოგიერთები აღშფოთდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: რა საჭიროა ნელსაცხებლის ასეთი ფლანგვა?

5. ვინაიდან შეიძლებოდა სამას დინარზე მეტად გაგვეყიდა ის და გლახაკთათვის მიგვეცა ფული.

6. მაგრამ იესომ თქვა: რას ერჩით, თავი გაანებეთ; მაგან ხომ კეთილი საქმე მიყო.

7. ვინაიდან გლახაკნი ყოველთვის გვერდითა გყავთ, და როცა ინებებთ, მაშინ შეგიძლიათ შეეწიოთ, მე კი ყოველთვის როდი გეყოლებით.

8. მან გააკეთა ის, რაც შეეძლო: ჩემს სხეულს წინასწარ სცხო ნელსაცხებელი დასამარხავად.

9. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მთელს ქვეყანაზე, სადაც იქადაგება ეს სახარება, ყველგან ითქმება მისი საქმე მისსავე მოსაგონებლად.

10. და იუდა ისკარიოტელი, ერთი თორმეტთაგანი, წავიდა მღვდელმთავრებთან მის გასაცემად.

11. ხოლო მათ, ეს რომ გაიგეს, გაიხარეს და ვერცხლი აღუთქვეს მას. და ეძებდა ხელსაყრელ დროს, რათა გაეცა იგი.

12. და უფუარობის პირველ დღეს, როცა ჰკლავდნენ საპასექე კრავს, მოწაფეებმა უთხრეს მას: სად გნებავს, წავიდეთ და მოგიმზადოთ საჭმელად პასექი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. და გაგზავნა ორი თავისი მოწაფე და უთხრა მათ: წადით ქალაქში და შეგხვდებათ კაცი, რომელსაც დოქით მიაქვს წყალი; გაჰყევით მას,

14. და სადაც შევა, უთხარით იმ სახლის პატრონს: მოძღვარი ამბობს: სად არის დარბაზი, სადაც ჩემს მოწაფეებთან ერთად ვჭამ პასექს?

15. და ის გიჩვენებთ ვრცელ დარბაზს, გაწყობილს და გამზადებულს, და იქ მოგვიმზადეთ ჩვენ.

16. წავიდნენ მისი მოწაფეები, მივიდნენ ქალაქში და ყველაფერი ისე დახვდათ, როგორც უთხრა მათ იესომ, და მოამზადეს პასექი.

17. და მწუხრის ჟამს მოვიდა თორმეტთან ერთად.

18. და როცა ინახად ისხდნენ და ჭამდნენ, იესომ თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი, რომელიც ჩემთან ერთად ჭამს, გამცემს მე.

19. ხოლო ისინი დამწუხრდნენ და სათითაოდ დაუწყეს კითხვა მას: მე ხომ არაო?

20. ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: ერთი თორმეტთაგანი, რომელიც ჩემთან ერთად ჩაყოფს ხელს ჯამში.

21. და მართლაც, მიდის ძე კაცისა, როგორც დაიწერა მისთვის; მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა ძე კაცისა; ერჩია, სულაც არ შობილიყო ის კაცი.

22. და როცა ჭამდნენ ისინი, აიღო პური იესომ, აკურთხა, გატეხა და მისცა მათ და უთხრა: მიიღეთ, ჭამეთ; ეს არი ჩემი ხორცი.

23. და აიღო სასმისი, აკურთხა და მისცა მათ; და სვამდნენ ყველანი იმით.

24. და უთხრა მათ: ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა; მრავალთათვის დათხეული.

25. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: აღარა ვსვამ ამიერიდან ვაზის ამ ნაყოფისაგან, ვიდრე იმ დღემდე, როცა თქვენთან ერთად შევსვამ ახალს ღმერთის სასუფეველში.

26. და იგალობეს, და გავიდნენ ზეთისხილის მთაზე.

27. და უთხრა მათ იესომ: ყველანი შეცდებით ჩემს გამო; ვინაიდან დაწერილია: დავცემ მწყემსს, და განიბნევიან ცხვრები.

28. ხოლო ჩემი აღდგომის შემდეგ წაგიძღვებით თქვენ გალილეისკენ.

29. და პეტრემ უთხრა მას: შეიძლება ყველანი შეცდნენ, მაგრამ მე არა.

30. და მიუგო მას იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ამაღამ, მამლის მეორე ყივილამდე სამჯერ უარმყოფ მე.

31. მაგრამ პეტრე უფრო დაჟინებით ამბობდა: შენთან ერთადაც რომ მიწიოს სიკვდილმა, არ უარგყოფ შენ. და ასევე ამბობდა ყველა.

32. და მივიდნენ იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია გეთსემანე; და თავის მოწაფეებს უთხრა: ისხედით მანდ, ვიდრე ვილოცებ.

33. და წაიყვანა პეტრე, იაკობი და იოანე; და დაიწყო მწუხარება და ურვა.

33. და უთხრა მათ: მწუხარეა ჩემი სული, ვიდრე სიკვდილამდე; იყავით აქ და იფხიზლეთ.

35. და ცოტაზე გაშორდა მათ, მიწაზე დაემხო და ლოცულობდა, რათა, თუკი შესაძლო იყო, ასცდენოდა ეს საათი;

36. და ამბობდა: აბბა, მამაო! ყველაფერი შესაძლოა შენთვის; ამარიდე ეს სასმისი; თუმცა არა რაც მე მნებავს, არამედ რაც შენ.

37. და დაბრუნდა და ჰპოვა ისინი მძინარენი და უთხრა პეტრეს: სიმონ, გძინავს? ერთ საათსაც ვერ გასძელი ფხიზლად ყოფნა?

38. იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა არ შეხვიდეთ საცდუნებელში; სული მხნეა, მაგრამ ხორცია უძლური.

39. და კვლავ გაშორდა მათ, და იმავე სიტყვებით ილოცა.

40. და როცა დაბრუნდა, კვლავინდებურად მძინარენი ჰპოვა ისინი, ვინაიდან თვალები დამძიმებოდათ, და არ იცოდნენ, რა მიეგოთ მისთვის.

41. მესამედაც მოვიდა, და უთხრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ: ისევ გძინავთ და განისვენებთ? კმარა, მოაწია დრომ: აჰა, მიეცემა ძე კაცისა ცოდვილთა ხელში.

42. ადექით, წავიდეთ; აბა, მოგვიახლოვდა ჩემი გამცემი.

43. სიტყვა არ დაესრულებინა, რომ მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად დიდძალი ხალხი მახვილებითა და წათებით მღვდელმთავართა, მწიგნობართა და უხუცესთაგან.

44. ხოლო მის გამცემს ნიშანი მიეცა მათთვის და ეთქვა: ვისაც მე ვეამბორები, ის არის; შეიპყარით და ფრთხილად წაიყვანეთ იგი.

45. და მოსვლისთანავე მიეახლა და უთხრა მას: რაბი, რაბი! და ეამბორა მას.

46. ხოლო მათ ხელი სტაცეს და შეიპყრეს იგი.

47. და ერთმა იქ მდგომთაგანმა ხმალი იშიშვლა, დაჰკრა მღვდელმთავრის მონას და ყური ჩამოათალა მას.

48. მიუგო იესომ და უთხრა მათ: როგორც ავაზაკს, მახვილებითა და წათებით მომიხტით შესაპყრობად.

49. დღენიადაგ თქვენთან ვიჯექი და გასწავლიდით ტაძარში, და არ შემიპყარით მე. არამედ რათა აღსრულდეს წერილი.

50. მაშინ ყველამ მიატოვა ის და გაიქცა.

51. ერთი ჭაბუკი, რომელსაც შიშველ ტანზე ტილო შემოეხვია, მისდევდა მას, და მეომრებმა შეიპყრეს იგი.

52. ხოლო მან ტილო შეატოვა ხელში და შიშველი გაექცა მათ.

53. და მიიყვანეს იესო მღვდელმთავართან; და შეგროვდნენ მასთან ყველა მღვდელმთავარი, მწიგნობარი და უხუცესი.

54. ხოლო პეტრე შორით მისდევდა მას, ვიდრე არ შევიდა მღვდელმთავრის ეზოში; და მსახურებთან ერთად მიუჯდა ცეცხლს და თბებოდა.

54. მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი მოწმობას ეძებდნენ იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ პოულობდნენ.

56. რადგან ბევრი იყო ცრუმოწმენ, მაგრამ მათი მოწმობანი არ ეთანხმებოდ ნენ ერთმანეთს.

57. და ზოგიერთი ადგა, ცრუმოწმობად მის წინააღმდეგ და ამბობდა:

58. ჩვენ გვსმენია მაგის ნათქვამი: დავანგრევ ამ ხელთქმნილ ტაძარს და სამ დღეში ახალს ავაგებ, ხელთუქმნელსო.

59. მაგრამ არც ეს მათი მოწმობა ემთხვეოდა ერთმანეთს.

60. მაშინ შუაში წამოდგა მღვდელმთავარი და ჰკითხა იესოს: რატომ არაფერს იტყვი პასუხად, ესენი რომ მოწმობენ შენს წინააღმდეგ?

61. ხოლო ის დუმდა და არაფერი მიუგო მათ. მაშინ კვლავ ჰკითხა მღვდელმთავარმა: შენ ხარ ქრისტე, ძე კურთხეულისა?

62. იესომ მიუგო: მე ვარ. და იხილავთ ძეს კაცისას, მჯდომარეს ძალის მარჯვნივ, და მომავალს ზეცის ღრუბლებით.

63. მაშინ მღვდელმთავარმა შემოიხია თავისი სამოსი და თქვა: რაღად გვინდა მოწმეები?

64. ხომ მოისმინეთ ღვთისგმობა? რას იტყვით? და ყველამ სიკვდილის ღირსად სცნო იგი.

63. და ზოგიერთებმა დაუწყეს ფურთხება, სახეს უფარავდნენ, ურტყამდნენ და ეუბნებოდნენ: გვიწინასწარმეტყველე. და მსახურები ყვრიმალში სცემდნენ მას.

66. და როცა პეტრე ქვემოთ ეზოში იყო, მოვიდა მღვდელმთავრის ერთი მხევალთაგანი.

67. და, ცეცხლს მიფიცხებული პეტრე რომ დაინახა, ჩააშტერდა და უთხრა მას: შენც ხომ იესო ნაზარეველთან იყავი?

68. ხოლო მან უარყო და თქვა: არ ვიცი, არ მესმის, რას ამბობ; და გავიდა გარეთ, წინა ეზოში, და იყივლა მამალმა.

69. მხევალმა კვლავ შეასწრო თვალი და უთხრა იქვე მდგომთ: ესეც ერთი მათგანია.

70. მან კვლავ უარყო. და ცოტა ხნის შემდეგ იქვე მდგომებმაც უთხრეს პეტრეს: მართლაც ერთი მათგანი ხარ; რადგან კილოზე გეტყობა, რომ გალილეველი უნდა იყო.

71. ხოლო ის მოჰყვა წყევლას და ფიცს: არ ვიცნობ იმ კაცს, ვისზედაც მელაპარაკებითო; და მეორედ იყივლა მამალმა.

72. და გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი: მამლის მეორე ყივილამდე სამჯერ უარმყოფო, და ტირილი დაიწყო.

თავი მეთხუთმეტე

1. ინათა თუ არა, ბჭობა გამართეს მღვდელმთავრებმა, უხუცესებსა და მწიგნობრებთან ერთად. და მთელმა სინედრიონმა, და შეკრეს იესო, წაიყვანეს და მისცეს პილატეს.

2. და ჰკითხა მას პილატემ: შენა ხარ იუდეველთა მეფე? ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მას: შენ ამბობ.

3. და მღვდელმთავრები ბევრ რასმე სდებდნენ ბრალად.

4. ხოლო პილატემ კვლავ ჰკითხა მას: რატომ არაფერს იტყვი პასუხად? ხედავ რამდენ რასმე გწამებენ?

5. მაგრამ იესომ ამჯერადაც არა მიუგო რა, ისე რომ, უკვირდა პილატეს.

6. ხოლო ყოველ დღესასწაულზე ათავისუფლებდა იგი ერთ პატიმარს, რომელსაც სთხოვდა ხალხი.

7. და იყო მაშინ ვინმე ბარაბა, ბორკილდადებული მეამბოხეებთან ერთად, რომლებსაც მკვლელობა ჩაედინათ ამბოხებისას.

8. და დაიწყო ხალხმა ყვირილი და ითხოვდა იმას, რასაც პილატე ყოველთვის უსრულებდა მათ.

9. ხოლო პილატემ მიუგო და უთხრა მათ: თუ გნებავთ გაგითავისუფლებთ თქვენ იუდეველთა მეფეს.

10. რადგან იცოდა, რომ მღვდელმთავრებმა შურით გასცეს იგი.

11. მაგრამ მღვდელმთავრებმა წააქეზეს ხალხი, რათა უმალ ბარაბა გაეთავისუფლებინა მათთვის.

12. ხოლო პილატემ მიუგო და კვლავ უთხრა მათ: კი მაგრამ, რა ვუყო იმას, ვისაც იუდეველთა მეფეს უწოდებთ?

13. ისინი კვლავ აყვირდნენ: ჯვარს აცვი იგი!

14. პილატემ თქვა: რა დააშავა მან? მაგრამ ისინი უფრო ხმამაღლა აყვირდნენ: ჯვარს აცვი იგი!

15. მაშინ პილატემ, ხალხის მოსამადლიერებლად, გაათავისუფლა ბარაბა, ხოლო იესო გაამათრახებინა და ჯვარზე საცმელად მისცა მათ.

16. ხოლო ჯარისკაცებმა შიდა ეზოში, ანუ პრეტორიუმში შეიყვანეს იგი, და შეკრიბეს მთელი რაზმი.

17. და ჩააცვეს ძოწეული, და დაწნეს ეკლის გვირგვინი და თავზე დაადგეს მას.

18. და დაუწყეს მისალმება: გიხაროდეს, იუდეველთა მეფევ!

19. და თავზე ამტვრევდნენ ლერწამს, აფურთხებდნენ, და მუხლმოყრილნი, თაყვანს სცემდნენ მას.

20. და როცა დაცინვით გული იჯერეს, შემოაძარცვეს ძოწეული და კვლავ თავისი სამოსი ჩააცვეს, და ჯვარზე საცმელად წაიყვანეს იგი.

21. და აიძულეს მინდვრიდან მომავალი ერთი კირენელი კაცი, სახელად სიმონი, ალექსანდრესა და რუფუსის მამა, წამოეღო იესოს ჯვარი.

22. და მიიყვანეს იგი იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშნავს თხემის ადგილს.

23. და მისცეს მას სასმელად მურით შეზავებული ღვინო; მაგრამ არ მიიღო.

24. ჯვარს აცვეს იგი, და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი: ვის რა შეგვხვდებაო.

25. ხოლო იყო მესამე საათი, როცა ჯვარს აცვეს იგი.

26. და მისი ბრალი ამ წარწერით იყო გადმოცემული: იუდეველთა მეფე.

27. და მასთან ერთად ჯვარს აცვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ავაზაკი, ერთი მის მარჯვნივ და მეორე მარცხნივ.

28. და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: ბოროტმოქმედთა შორის შეირაცხა.

29. ხოლო გამვლელნი აგინებდნენ მას, თავებს აქნევდნენ და ამბობდნენ: ეჰა, ტაძრის დამრღვევო და სამ დღეში აღმშენებელო!

30. იხსენი შენი თავი; ჩამოდი ჯვრიდან!

31. ასევე მღვდელმთავრები, მწიგნობრებთან ერთად, დასცინოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: სხვები იხსნა და თავისი თავის ხსნა კი არ შეუძლია;

32. ქრისტე, ისრაელის მეფე, დე, ჩამოვიდეს ახლა ჯვრიდან, რათა ვიხილოთ და ვიწამოთ. და მასთან ერთად ჯვარცმულნი აგინებდნენ მას.

33. ხოლო მეექვსე საათის დამდეგიდან წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა, მეცხრე საათამდე.

34. ხოლო მეცხრე საათს ხმამაღლა შეღაღადა იესომ: ელოი, ელოი, ლამმა საბაქთანი? რაც თარგმანით ნიშნავს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?

35. ზოგიერთმა იქ მდგომმა გაიგონა ეს და თქვა: აჰა, ელიას უხმობს.

36. ერთი კი გაიქცა, ძმრით გაჟღინთა ღრუბელი და ლერწამზე წამოაგო, ასმევდა და ამბობდა: მოიცათ, ვნახოთ, მოვა თუ არა ელია მის ჩამოსახსნელად.

37. ხოლო იესომ კვლავ შეღაღადა ხმამაღლა და განუტევა სული.

38. და, ზემოდან ქვემომდე, შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა.

39. და როცა მის პირდაპირ მდგარმა ასისთავმა დაინახა, რომ ასე შეღაღადა და განუტევა სული, თქვა: ჭეშმარიტად ეს კაცი ძე იყო ღმრთისა.

40. იყვნენ იქ შორიდან მაცქერალი ქალებიც, და მათ შორის, მარიამ მაგდალელი, და მარიამი, იაკობ მცირისა და იოსეს დედა, და სალომე,

41. რომლებიც თან დაჰყვებოდნენ, როცა გალილეაში იყო, და ემსახურებოდნენ მას; და სხვაც მრავალი, მასთან ერთად ამოსულნი იერუსალიმში.

42. და მწუხრის ჟამს — პარასკევი იყო, შაბათის წინა დღე, —

43. მოვიდა იოსებ არიმათიელი, წარჩინებული მრჩეველი, რომელიც თავადაც მოელოდა ღმრთის სასუფეველს, და გაბედა პილატესთან შესვლა, და გამოითხოვა იესოს სხეული.

44. ხოლო პილატეს გაუკვირდა, განა უკვე მოკვდაო, და მოუხმო ასისთავს და კითხა მას: დიდიხანია მოკვდა?

45. და როცა შეიტყო ასისთავისგან, მისცა მისი სხეული იოსებს.

46. ხოლო მან იყიდა ტილო, და ჩამოხსნა იგი ჯვრიდან, გახვია ტილოში და სამარხში დაასვენა, რომელიც კლდეში იყო გამოკვეთილი, და ლოდი მიაყუდა სამარხის კარს.

47. ხოლო მარიამ მაგდალელი და მარიამ იოსესი ხედავდნენ, სად დაასვენეს იგი.

თავი მეთექვსმეტე

1. და როცა გავიდა შაბათი, მარიამ მაგდალელმა, მარიამ იაკობისამ და სალომემ იყიდეს ნელსაცხებელი, რათა მისულიყვნენ და ეცხოთ მისთვის.

2. კვირის პირველ დღეს, დილაადრიან მივიდნენ სამარხთან, მზის ამოსვლისას.

3. და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ვინ გადაგვიგორებს სამარხის კარიდან ლოდს?

4. მაგრამ დაინახეს, რომ ლოდი გადაგორებულია, ხოლო ის ძალიან დიდი იყო.

5. და შევიდნენ სამარხში და იხილეს მარჯვნივ მჯდომარე, თეთრი სამოსით მოსილი ჭაბუკი, და შეძრწუნდნენ.

6. ხოლო მან უთხრა მათ: ნუ შეძრწუნდებით; თქვენ ეძებთ ჯვარცმულ იესო ნაზარეველს; აღსდგა, აქ აღარ არის; აი, ამ ადგილას ესვენა იგი.

7. მაშ, წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს: წინ წაგიძღვებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალილეისაკენ, და იქ იხილავთ, როგორც გაუწყათ თქვენ.

8. და გამოვიდნენ და სირბილით გაშორდნენ საფლავს; ცახცახს და ძრწოლას მოეცვა ისინი, და არავისთვის არ უთქვამთ რა რადგანაც ეშინოდათ.

9. ხოლო კვირის პირველ დღეს დილაადრიანად აღმდგარი იესო პირველად ეჩვენა მარიამ მაგდალელს, რომლისგანაც გაეძევებინა შვიდი ეშმაკი.

10. ხოლო ის წავიდა და აუწყა მასთან მყოფთ, რომელნიც ტიროდნენ და მოთქვამდნენ.

11. მათ კი, თუმცა გაიგეს, რომ ცოცხალია და მან იხილა იგი, არ ირწმუნეს.

12. ამის შემდეგ სხვა სახით ეჩვენა ორ მათგანს, რომლებიც სოფელში მიდიოდნენ.

13. ხოლო ისინი დაბრუნდნენ და აუწყეს დანარჩენთ; მაგრამ არც მათ ერწმუნენ.

14. დაბოლოს, ეჩვენა თვით თერთმეტს, ინახად მსხდომთ, და დაჰგმო მათი ურწმუნოება და გულქვაობა, დგან არ ერწმუნენ არავინ, დგარი იხილა იგი.

15. და უთხრა მათ: წადით, მოიარეთ მთელი ქვეყანა და უქადაგეთ სახარება ყველა ქმნილებას.

16. და ვინც იწამებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა და, განიკითხება.

17. ხოლო მორწმუნეთაგან განუყრელნი იქნებიან ეს სასწაულნი: ჩემი სახელით განდევნიან ეშმაკთ და ახალ ენებზე იმეტყველებენ.

18. აიყვანენ გველებს, და თუ სასიკვდილოს დალევენ რასმე, არ ავნებს მათ; და დაადებენ ხელს სნეულთ, და განიკურნებიან ისინი.

19. ასე, მათთან საუბრის შემდეგ, ამაღლდა უფალი ზეცად, და დაჯდა ღმრთის მარჯვნივ.

20. ხოლო ისინი წავიდნენ და ქადაგებდნენ ყველგან. უფლის შეწევნით, რომელიც განამტკიცებდა სიტყვას მათი თანმხლები სასწაულებით. ამინ.

□შემდეგ ნომერში: სახარება ლუკასი□

„სახარება მათესი", „მნათობი" № 1, 1990 წ.

ნაბეჭდ ტექსტში შემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება:

თავი პირველი. 1. ტექსტშია: „ძმისა აბრაამისა". უნდა იყოს: „ძისა აბრაამისა".

თავი მესამე. 10. ტექსტშია: „ცუდი ხეების". უნდა იყოს: „ცული ხეების".

თავი მეოექვსმეტე. 19. ტექსტშია: „რასაც შევკრავ". უნდა იყოს: „რასაც შეკრავ".

თავი მეოცე. 16. ტექსტშია: „რა მცირედხი". უნდა იყოს: „და მცირედნი".

თავი ოცდამეექვსე. 59. ტექსტშია: „მთელის სინედრიონი". უნდა იყოს: „მთელი სინედრიონი".

თავი ოცდამეექვსე. 71. ტექსტშია: „მერე მხევალმა". უნდა იყოს: „მეორე მხევალმა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელ ჟანტურია

იკვის ეკლესია

გივი გეგეჭკორს

ხეობაში ჟამისგან
დაკბენილი იკვი რო
შემოგხვდება უეცრად —
შეიძლება იყვირო!

ღამეულ ცას ქართლისას
მთვარიანი ჩითი რო
ცისფრად დაეფინება —
შეიძლება იტირო!

ან ის რად ღირს — ცემენტის
მტვრით მოთხვრილი კასპი რო
იწმინდება სხივებით —
ზეასცქერის ასპიროზს!

ერთნაირად გვტანჯავს და
ერთნაირად გვწყურია:
სულმთლად ჩემი — ქართლი და
სულმთლად შენი — გურია...

* * *

საყოველთაო რჩევა მარიონეტულ მთავრობებს

მოყვრულად გირჩევთ, განა მტრობით:
სულს ახალ ცოდვებს ნულარ მატებთ!—
სულ რომ სამშობლოს ღალატობდით,
ერთხელ — მის მტრებსაც უღალატეთ!

სულ რომ სამშობლოს ღალატობდით,
ერთხელ — მის მტრებსაც უღალატეთ!

* * *

(პირველი სადღეგრძელო)

ვის — ძმა, ვის — დედა,
ვის — რჩეული შვილი მოსტაცა...
გადავათრიეთ, როგორც იქნა,
ეს ოთხმოცდაცხრა...

ვმღერით კიდევაც! გესმის? კაცო!
ვიმღეროთ კიდეც,
ტკივილი ხსოვნის, და წარსულის
ცეცხლი რომ დაცხრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უფრო მეტად — მიწა მიყვარს,
მიწის მერე — ცა მიყვარს!
ჩემს მიწას რომ მოვწყინდები,
ჩემი ზეცა წამიყვანს!

უფრო მეტად შენ მიყვარხარ —
ჩემი დამამხობელი!
უშენოდ და უამცაოდ
ამაოა ყოველი!

ამაოა ყოველი!

ამაოა ყოველი!

* * *

რაა საქართველოსთვის
დღეს ყველაზე მთავარი! —
კაცი — საქართველოსთვის
თეთრად ღამის მთეველი!

ქალი — შვილის აკვანთან
ოქრო-შუქის მთოვარი —
არის საქართველოსთვის
იმ კაცზედაც მთავარი!

დავივიწყოთ ეჭვები,
სიმუხთლე და სიმკაცრე,
და ვიზრუნოთ იმ ქალზე,
და ვიფიქროთ იმ კაცზე!

პოეზია

გავს მეტაფორა ზურგიდან ნასროლს—
მაუზერს,
ლახვარს,
სატევარს,
ლასოს...
სალამი სალამს — ღვთაებრივ
ლექსებს! —
ნათელში ჯირითს!
წყვდიადში ლასლასს...

სიმაღლეს სულის! სიმდაბლეს ხორცის!
სულის და ხორცის თრთოლვას და
ბორძიკს!
სხვამ — ვინ შეამკოს ათასი ბაგე!
სხვამ — ვინ იგლოვოს ათასი ბორცვი!

რაც შენ სიყვარულს ყელები ღადრე,
რაც შენ ცრემლები გიღვრია ადრე —
მე იმ ტვირთს რჩეულს, ვით ჯილდოს
რასმე —
წელში მოხრილი აქამდე ვათრევ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი
პერესტროიკის!
(უნდა თავისუფლებისათვის
გამოიყენოთ დრო იგი!).
ტანკებიც დადის ევროპაში —
განა აჩრდილი ტანკების!
ისევ გრიალებს ქვემეხი და
სდუმან ძვირფასი ჩანგები!
აჩრდილი დადის ევროპაში —
შიმშილისა და იმედის!
ყველგან — შიშის და
ყველგან — რწმენის და
ეჭვის აჩრდილი მიმოდის!

ალვირახსნილი, ფაფარაშლილი,
ძველი რუსული ტროიკის
აჩრდილი მიჰქრის ევროპაში —
აჩრდილი პერესტროიკის!
გალმა-გამოლმა მიქრი-მოქრიან
„ეს-ეს-20" და „სტინგერი!"
(მაგრამ ერთმანეთს მიშტერებულნი —
ვერ ვხედავთ მემიტინგენი!).
აურაცხელი — დაზოცილია,
და ბევრად მეტი — დაჭრილი!
აჩრდილი დადის ევროპაში —
მკაცრი, უცნობი აჩრდილი!
სულს ისე უნდა თავისუფლება —
თანაც — ამწუთას, ახლავე...
(კვლავ ამოვიდა მთვარე — ლიდერი!
თან — ვარსკვლავები ახლავან...).
ვფიქრობ წარსულზე.
ვგლოვობ მოკლულებს.
ყელში ბურთი მაქვს გაჩრილი...

დადის აჩრდილი, და არ ვიცით,
ვისი ან რისი აჩრდილი...

* * *

შენ ხარ ჩემი მკურნალი — ჩემი ექტრასენსი,
თითქო ჩემი სიცოცხლე დაემალოთ შენში...

რა დრო იყო — წლები
რა ულმობლად რბიოდნენ,
გამოდევნებულნი
შენს ვარვარა ბიოდენს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამავიწყდა ყველა. დამივიწყა სუყველამ.
დრომ ბავშვობის ფერად სურათებსაც უყელა

შენლა შემრჩი მკურნალი —
ჩემი ექსტრასენსი!
ჰონორარის მაგიერ —
ჰა შენ, ციცქნა ლექსი...

ბილიარდი მიტინგის მოლოდინში

ერთს კი არა, გეგონება
შარს ერთად ურტყამდე ხუთ კის! —
ისმის შარის შარიშური,
უფრო სწორედ — ხათქახუთქი...

ფიქრი უენოა თუმცა,
თუმც ოცნებაც არის უტყვი —
კარგად ვიცი, საქართველოს
ბედზე ამ შარს რა ჩაუთქვი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

დავით აღმაშენებლის ზეობიდან ცხრაასი წლის შემდეგ დაწერილი სტრიქონები

I.

აღმაშენებლის პროსპექტზე ბეუტავს
ჩემი ლექსი და ჩემი კერია,
მშფოთვარე სულის პატარა ბუდე
რქაწითლის პწკალით შემიკერია.
ბალავრად მუხის ფესვები უდევს,
ჭერად ახურავს კაკლის ფოთოლი,
ხან წვიმა აწვიმს,
ხან ქარი უტევს,
უდგას დღეები საქოთქოთონი.
და დუღს ქოთანი
მადლის და ცოდვის
გაუნელებელ ცეცხლზე შემდგარი
და შორეული სივრციდან მოდის
აღმაშენებლის სული მედგარი,
სული —
მფარველი ჩვენი ჯილაგის,
ხორცის სიმაგრის,
აზრის სილაღის,
სული — ცისკარი,
სული — ჩირაღი,
ერის სინდისი და ბაირაღი.
იმ სულის რვალზე —
დღესაც და მუდამ —
კლანჭებს დაიცვეთს ყველა აფთარი!
...აღმაშენებლის პროსპექტზე ბეუტავს
ჩემი სტრიქონი და კელაპტარი.

2.

რეკს ძახილი,
წამოსული
ფარნავაზის სათავიდან:
— გზაი ჩემი ბეწვის ხიდზე
უამრავჯერ გადავიდა.
ცაი ჩემი
სათამარო,
მიწა ჩემი
სადავითო
ვერავინ ვერ დაიოკა
ვერცანაირ სადავითა.

გუგუნებს ხმა,
წამოსული
გორგასალის სათავიდან:

— არა, ვერვინ იტყვის ჩემზე —
მტერს ზეზე არ დაუხვდაო,
არა, დროის მტვრით არც ძველი
ნატყვიარი შემეგლისა...
იმ ჭრილობის სასალბუნოდ,
ქართველობის საუკვდაოდ
აღზევდი და აღორძინდი
სულო აღმაშენებლისა!

რეკს ძახილი,
დღეის დღეთა
სამრეკლოდან გარდმოსული:

— თვითონ თუ არ იდავითე,
გზა ვინ მოგცეს ვარდმოსილი?
ნატყვიარი გამიმრთელე,
დიდი დილა გამითენე,
მზე მებევროს,
ცხელი მკერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლის სხივით შემეფეროს,
დუღაბმა კვლავ იდუღაბოს,
დღე იმედით დაიმტევნოს...

ა,

მ

ღ

ა

მუდამ

ა,

მ

ღ

ა

გევლოს
სულო აღმაშენებელო!

3.

შენ ხარ მეფე და შენ ხარ პოეტი!
მე ქედდადრეკით შენთან მოვედი.
ვით უწრფელესი ხმაი სულისა
მესმა გალობა სინანულისა.
თვით სიკვდილთანაც დაუბოქარი,
სულ ზეზე მდგომი და ბობოქარი
მუხლდამხობილი აღავლენ ლოცვას:
— ნუ გამომარჩევ სხვაში, მამულო...
მე რაღა მეთქმის,
რა მეთქმის,
როცა
თვით ღმერთკაცს გქონდა სასინანულო...

შენ ხარ უბადლო გმირი და ბრძენი!
ქედდადრეკილი შენთან მოვედი.
ნეტარებდნენო მართალნი! — ბრძანე!
ცეცხლი ჰგვემდესო ცოდვილთა,
— ბრძანე.

ამინ!
აღსრულდეს აწ და ყოველთვის!

სული იდაღვის უალო ცეცხლით

ვინ დაუშინა შხამ-გესლის სეტყვა
ჩემს სასახლეებს და ეკლესიებს?
ეს ვინ მასწავლა ახალი სიტყვა —
უსაზარლესი სახელი — „სი-ეს“?
უჭირთ,
ხეებსაც კი უჭირთ სუნთქვა,
აღარ ჩამესმის ფოთლების ტაში.
დაჭრილ მწყერივით ფართქალებს
სულთქმა
საავადმყოფოს თეთრ პალატაში.
მიწაში ცვივა ბალღამის თესლი,
სული იდაღვის უალო ცეცხლით,
„სი-ეს“! —
სისინებს ასპიტის გესლი
შიშველ მკერდზე რომ შემომანთხიეს...
და მაინც,
მაინც ვერაფრით მძლიეს,
მაინც მზეს ირეკლს ცრემლიც და
ცვარიც...
მჯერა:
დაჰბერს და გაჰფანტავს ქარი
ჩემი თბილისის დაშხამულ ჰაერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ორად ნუ გაჰყოფ —
გული გქონდეს ყოველთვის მრთელი,
სიცოცხლის მადლი არ შეირგო არმად
ძმობილო,
დაე, ხელმოკლედ გევლოს მთელი
ცხოვრება შენი,
სულმოკლეობა წამითაც კი არ
მაგრძნობინო.

შემინდე

მამულო, თვალთა სინათლევ,
შენს გზებზე თუ ვერ ვილამპრე,
თუკი რამ ვერ გაგიმართლე,
თუ რამ შეგცოდე,
შემინდე!
გული ყივილით შევძარი,
სიტყვა ტკივილით დავძარი,
ბევრი რამ მე ვერ შევძელი,
ბევრი რამ ვერ მოვასწარი —
შემინდე!
უკან გზა დამრჩა ციცაბო,
წინ ორიოდე დღე მიდევს,
უნდა ვიჩქარო, ვისწრაფო,
ვიდრე ბოლო დღე შემიტევს.
ფხიზლობს,
დღედაღამ იცოხნის,
თვლემას წამითაც ვერ ითმენს
წუთისოფელი —
სიცოცხლის
გაუმაძღარი მემინდე...
შემინდე!
შენთვის ვიწვოდი,
მუდამ და ყველგან ვიცოდი—
შენ ერთი მყავდი მეუფე,
გულზე ცეცხლად რომ წამები.
წუთისოფელი მე უკვე
სიცოცხლეს მითვლის წამებით,
გული, ნიადაგ მბორგავი
იწვის წვითა და წამებით.
ბრუნავს წისქვილის ბორბალი,
მინდს იღებს ხარბი მემინდე!
— საფქვავო, გვიან ჩათავდი!
— დღევ, ცხელი ცეცხლი შემინთე!
— სიტყვავ, კვლავ წამოთავთავდი!
— მზევ, ჯერ ნუ ჩახვალ, დამიცა!
— ფიქრო, ნუ შემომებინდე!
...დღე კვლავაც შესცვლის ღამესა,
ისევ დაივლის მზე მინდვრებს,
მე კი მიუვალ წინაპრებს...
მამულო, თვალთა სინათლევ,
შენს გზებზე თუ ვერ ვილამპრე,
თუკი რამ ვერ გაგიმართლე,
შვილი შემოგთხოვ —
შემინდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ დავლიანიძე

მოთხრობები

განცდათა გორგალი

გავცქერი. ვიცი რაც მოჩანს. ვგონებ გარემოა გარშემო და მხოლოდ ეს გარემოებაა. ვფიქრობ საშველზე. მოჩანს კედელიც; ქვითაა ნაშენი. ზოგიერთი ქვა ფშვნადია, ზოგიც ჯანმრთელი. რა თქმა უნდა, ადამიანები ვერ ჰგვანან ქვებს. არ მასვენებს ფიქრი საშველზე. რა მეშველება? ნევროზია თუ კიდევ უარესი? სექტემბერია. სრულ სიმწვანეში მხოლოდ ერთი არყის ხე დაბერებულა. საჰარაში რომ ქვიშაა, სამკვდრო ქვიშა რომაა, იმის ფერია და იმნაირად გამომშრალი. თუმც მას არ ახლავს დარდი. მე არ ვდარდობ. სადარდელი სხვაა. სადარდელია საშველი, რომელიც იმსხვრევა. მწვანე ყდიან მსოფლიო ატლასში ვაფათურებ მხედველობას. მხედველობა ჯიბე არაა, არც ატლასია ჯიბე, მაგრამ ვფათურობთ. ხომ არის შავი დღე და თეთრი ღამე? ამიტომ მოუსავლეთისაკენ ქროლვაც შესაძლებელია. ჩავცქერი ყვითელ არყს. ზოგიერთს არაყიც გაახსენდება, მაგრამ მე არ ვსვამ. ადამიანები კი რიგში დგანან და ეს მე არ მეხება... ეს გარემო გახლავთ ჩრდილო კავკასია. აქ არეული ხალხია. ტრამალებიდან ამონარეკი ბრბოთა ნარჩენები და სამხრეთიდან ლტოლვილთა შენარევი დუღს და ბზრიალებს. ეროვნებათა ქაოსია. უყვართ ღიმილი. გააჩნიათ ჩაწიკწიკებული კბილები, უმეტესად ოქროსი. მათი პირი ფერადი მეტალურგიით გამოუტენიათ სტომატოლოგ ხელოსნებს. კბილი ოქროსი, რაღაცას და ბევრ რამეს ნიშნავს. მთავარი რა არის? მთავარია, რომ იგი მოჩანს. მოჩანს იმიტომ, რომ ადამიანს უყვარს ღიმილი, სიცილი, ხარხარი. ჯიბრით შეკაზმული აზრი: რომ უჩანდეთ სწორი ნაწლავი? პასუხი უიმედოა: სწორი ნაწლავი რომ უჩანდეთ, ამოიჭრიდნენ პატარა ნაწილს და ოქროს უთხელესი ფირფიტებით მოოჭვავდნენ. ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი არაჩვეულებრივში... უეჭველად დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში. საამისოდ საჭიროა ჯვრის უღელტეხილისკენ წასვლა. მაგრამ არ არის ბენზინი. საერთოდ კი, არის ბენზინი, მაგრამ საერთოდვე ახლა არ არის ბენზინი, თუმც, საერთოდ ბენზინი არის და არც არის. ომის ინვალიდი გაჰყვირის და დედ-მამის სულს უტრიალებს ბენზინის გამყიდველს. იცის ინვალიდმა, რომ ამ წუთში აი აქ, სულ რამდენიმე მეტრის სიღრმეში ჩაფლულია ცისტერნა, სადაც არის ბენზინი, მაგრამ და ბიჭოს? რომ არც არის ეს ოხრად დასარჩენი ბენზინი? თან, არწმუნებენ, რომ — ამხანაგო, ბენზინი არა გვაქვსო. ინვალიდის ყვირილი გადადის (თვითონ ყვირილი ვერ გადადის, რა თქმა უნდა) კივილში. იწყება ისტერია! ინვალიდი ცდილობს შეიხსნას პროთეზი და დროშასავით ააფრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს; აგინებს ზეცას, მიწას, ჰიტლერს, სტალინს, სხვა ბელადებს, საკუთარ თავს. კითხვას ატრიალებს უმწარესს და ჩინ-მედლებით დამშვენებულ მკერდზე იბაგუნებს მშრომელის ოდნავ მოშავო ხელს: რისთვის ვიბრძოდი? ინვალიდის მეუღლე ტირის. შვილი აწყნარებს და იწყევლება. ბოლოს კი სამივე ასკვნის წივილ-ყვირილ-კივილით: ქალაქკომში წავალთო. ალბათ უშველიან. იმედი მაინც არის, არის იმედი იოტისოდენა? აქ ჩრდილო კავკასიაა. აქ არეული ხალხია, აქ კურორტებია და იყიდება პაპიროსი „საკურორტო". რა ამბავია? ლტოლვილთა და ოქროსკბილოსანთა თავშესაფარია. წავიდა ინვალიდი და მოვიდა ჯანმრთელი ულვაშოსანი. ულვაში შაგონებს მხოლოდ ბელადს! მაინც, რამხელა ულვაშებია! ბენზინი აქვთ ულვაშასთვის. კიდევ კარგი ის უბედური ინვალიდი აქ აღარ არის... ირგვლივ აზიაა, კავკასიაა, სიამტკბილობაა, ოდნავ ქურდობაც, აქაიქა ბაცაცობაცაა, ციგნობაცაა, მაგრამ... კურორტებიც რომაა? მთელი წლის ნაგროვები ფული ამ მიდამოებში იხარჯება. ქალი და დასვენება ფულის ხარჯვის უმშვენიერესი მიზეზია. იხარჯება ჩრდილოეთში, სამხრეთში, აღმოსავლეთში! იხარჯება სიმწრით თუ სიამით ნაშოვნი... მრავალი სტუმარია, მიმოსვლაა, ბილეთის არშოვნაა, სასტუმროებში არასოდეს ადგილი არ არის, თუმცა ყოველთვისაა. აქვეა სასტუმრო სხვებისათვის — უცხოელთათვის; როცა ისინი არ არიან, ბურთი და მოედანი შინაურებს გვრჩება. ათასნაირი ლუდი იყიდება ინტურისტის ბილიკებზე და ბუფეტებში; იყიდება სულ მუქთად; ღმერთო, რა ლამაზი ქილებია! თურმე უცხოურია და ისინიც უცხოელთათვისაა; მართლა რა ლამაზებია. რა იაფია,რა ლუდია! აუჰ! შევცქერით და არ გვაოცებს. ვიღიმებით. მიიღებდნენ და მოასვენებდნენ ამ სასტუმროში იმ უბენზინო ინვალიდს? ბენზინი რომ ეშოვნა, აქაც მიიღებდნენ, მაგრამ სწორედ და ამიტომ — რადგან ბენზინი ვერ იშოვნა. არც აქ შეუშვებდნენ. ხომ. თვალითაც არ დაანახვებდ... ტომ, რომ თავის ინვალიდობის გამოყენებას შეეცდებოდა. მშვენიერი ბალია. ნაწვიმარია. ჩვენ რა? ჩვენ, ჩემო ბატონებო... სამი ლანდი მოქანაობს, შუათანა გრძელია... იგინება! ქალს ფეხები ეხლართება. მძიმე ღამე გადაუტანია ამ დედაკაცს. იქნებ ხანგრძლივი მოქმედების პატარა ხელყუმბარებითაც დააჯილდოვა ეს ორი ახალგაზრდა? მანამდის იცინიან. ფერი კი არც ერთს არ უვარგა. უფერო და მოლურჯოები არიან. მაინც, რამხელა ულვაშები ჩამოუშვია! ტუჩები საერთოდ არ უჩანს! რამხელა ულვაშები! ვითომ უვლის? ამხელა ულვაშებს კვირაში რამდენჯერ სჭირდება დაბანა და დეზინფექციის ჩატარება? წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აუცილებლად იქცევა ანტისანიტარიის ბუდედ. ვითომ ძალზე ვწუხვარ ამ ბიჭის ულვაშის სისუფთავის გამო? არა! რა თქმა უნდა, არ ვწუხვარ! ფიქრი საშუალებას იძლევა და სადარდელია ზუსტად ეს: რესტორანში საუზმეა. საუზმე ღირს (1) მანეთი და (26) ოცდაექვსი კაპიკი. სხვები ჩქარა ჭამენ. მე ნელა ვჭამ. ფერმკრთალი ულვაშოსანი და მისუსტებული გოგო კუთხეში სხდებიან. სად არის გრძელი? ჩვენ რა? მოგრძო დუნდულოსანი ოფიციანტი ქალი ბიჭს უფერებს; მიშა, მიშელო, ნუ ხულიგნობ! რას ხულიგნობს ეს მიშა და მიშელო? დილის ცხრა საათზე ოვაციით, ზალპით, ბათქა-ბუთქით ხსნის შამპანურს და... ყველი, პეპსი-კოლა, ძეხვი! ყოველივე აქვს მიშა-მიშელოს! ამ აკრძალვათა პერიოდში საიდან ამდენი უფლება? — ფიქრობენ დანარჩენები და იბოღმებიან. მიშა იქნება მართლაც საცემია? ხომ შეეძლო შამპანური ჩუმად გაეხსნა? რადგან ხმამაღალი ცხოვრების წადილი გააჩნია, ულვაშიც იმიტომ გაუშვა! ეს უეჭველად! ვინ შეიძლება იყოს ეს მიშა? მელოტია. უკან, კეფაზე ყვითელი, მოკლე თმა აფშეკია, თვალები — პაჭანიკისა. ყვრიმალები მო-

ნლოლისა, ცხვირი მიჰკურკლია, ტუჩები ზანგისა, ულვაშები კავკასიური — თითქმის ქართული, თითქოს ირანული ანუ ბელადისებური; ხელის მტევნები ნაზი, თითები — მომართული ფულის სათვლელ მექანიზმად... ჩემს წინ ძეხვის სამი ნაჭერია, ორი სოსისია, ერთი ჩაის კოვზი ხილის ფაფაა. ორი კვნიტი შაქარია, ერთი ფინჯანი ჩაია, ორი უთხელესი ნაჭერი ყველია, ერთი ნაჭერი პამიდორია... ირგვლივ კი ნამცეცებია, ასატანი ღრიანცელია და ქეიფობს ერთადერთი პიროვნება — მიშა! სხვები იბოღმებიან. ახლა, თუ მიშას ყბას მოანგრევს ვინმე, პროკურატურას, მილიციას და სასამართლოს ალალი და უსაყვედურო საქმე გაუჩნდება, მაგრამ... არავინაც არ მოანგრევს ყბას მიშას! არაფერი არ მოხდება! არ მოხდება, რადგან სითავისუფლე მოთმინებაშია! მოგებაც მოთმინებაშია! მაშ, ამხანაგებო, მოვითმინოთ კვლავ და ჩვენ მუდამ მოგებულში დავრჩებით. ნაძალადევ სიდარბაისლეში ვიძირებით და ყველა ჩვენგანი ულვაშას გარდა ვუპამთ ერთი (1) მანეთისა და ოცდაექვსი (26) კაპიკის საფასურის საუზმეს. არსებობს თუ არა მარადიული შეურაცხყოფის ჭაობი? ვგონებ ვცდები და არც ვარ მართალი. ვგონებ, ვგონებ, ვგონებ!.. ოასავლელია ორი ათასი ნაბიჯი. ორი ათასი ნაბიჯი სიჯანმრთელისათვის. ტბაა და ნესტით გაჟღენთილი ტყე. სიჩუმეა და ცხენები სძოვენ. კუდის შხუილი გარკვევით მესმის. მშვენიერი (მართლაც მშვენიერი) ყვავები დააბიჯებენ და ეძებენ სარჩოს. ყვავები ნამდვილად, აუცილებლად მშვენიერები არიან. ბურტყლბუმბულის მარადიული სამოსელი აცვიათ. ვერაფრით ვერ ვიგონებ ატელიეს, სადაც უშნო შარვალი შემიკერეს. შავი ნაჭერი იყო. იმ თერძსაც შავი ულვაში ჰქონდა. რამდენი ულვაშოსანი დააბიჯებს დედამიწაზე? სტატისტიკა არსებობს! იგი მრავალნაირია და მრავალმხრივია! რაიმე დაშავდებოდა, რომ ულვაშოსნები დაეთვალათ, აღერიცხათ და გამოექვეყნებინათ? თუ ლითონის, მანდარინის, ბალეტის, ... ხების. ბალიშების რაოდენობა... ... ტერესებს. ამან რაღა დააშავა? მომავალ თაობას იქნებ ესეც დასჭირდეს? პანაშვიდები განა უსასრულოდ არ გაგრძელდება? ცხოვრებაა... ეჰეი! ლამაზია, ლამაზი! აქვეა სამწვადე. დილაა, არავინაა. ხორცს ჩეხენ. სუნი ხორც-სისხლისა აშკარაა. ამზადებენ შეშას. მალე კვამლის, ამწვარი (რითი სჯობია „შემწვარი" სიტყვა „ამწვარს?") ხორცის სუნი ეაჟღინთავს მიდამოს. ბევრი და მრავალი რომანტიკას ეძებს, ჩხრეკს მწვადში, შამფურში. რამდენი ადამიანიცაა, იმდენნაირი მწვადია და ამდენივე აზრია, მწვადის ავ-კარგიანობაზე. სად არის, ამ დროს ნაღდი რომანტიკა? შევიტანოთ ეჭვი რომანტიკაში? ესეც ორი ათასი ნაბიჯი. გავიარე და ამოვისუნთქე, მაგრამ... სამწვადეს აივანზე იმხელა კაცი დავინახე, სუნთქვა (მართლა) შემეკრა, ცუდად შევიქენ და (მართლა) ღრმად ჩავისუნთქე. არ მიკვირდა, მეშინოდა და ჩქარა-ჩქარა ვცილდებოდი დაახლოებით სამას (300) კილოგრამიანი ადამიანის ხორცის ნაგებობას... ეს დღევანდელი დღეა, მაგრამ ხომ იყო გუშინდელი? დღევანდელიც და გუშინდელიც ადამიანური გაგებითაა. უჩვენოდ ისინი არ არსებობენ... ბოჩანს სახინკლე. ვინ გააკეთა პირველი ხინკალი დედამიწაზე? ესეც სადავოა? აღბათ ამას გავარკვევთ ბოლოს და ბოლოს! მაშ, რა თავში სახლელადაა მეცნიერება? მაშ რისთვისაა აკადემია? სახინკლესთან უგრძესი რიგია. შიგნით ვეღარ დატეულან. წვიმს. ადამიანები სველდებიან, მაგრამ, მშივრები არიან და რა ჰქნან? კითხვა კითხვას მოსდევს. — ვცდილობ როგორმე გავშიფრო აკადემია და როგორმე დავადგინო — ვინ არის და ვის ეკუთვნის აკადემია. რიგი. სახინკლე. წვიმა. საოცარია; ამ რიგში ჩამწყვდეული კაცი, როგორ შეიძლება იყოს ბედნიერი? ვღიზიანდები. — რატომ? განა რიგში, მწკრივში ჩალაგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული მშრომელები, დამსვენებლები, არ ერთობიან, არ იღიმებიან და ამბებს არ მოუთხრობენ ერთმანეთს? განა (მხოლოდ) ამ სახინკლესთან არ მოიგონებენ იმას, რაც ამ წამში აგონდებათ? გოგონები კეკლუცობენ. კაცები ანეკდოტებს ჰყვებიან; ნაოჭიანი მამაკაცი თურმე ტალახით მკურნალობს. სჯერა კიდეც, რომ ამ სახინკლეში ყველაზე კარგად, მაწიერად, მსუყედ ჰკვებავენ. ცოტაოდენ ეს რიგია, თორემ... შენ წინათ უნდა გენახა! ახლა რა გვიჭირს. ვიღა კვდება მშიერი? მთავარია, რომ აღარავის ჰშია. მთავარია, რომ არის საჭმელი! მერედა რა, რომ რიგია!? თქვით — კვდება ამჟამად ვინმე შიმშილით?.. ამასობაში ვიღაცები ურიგოდ გაძვრნენ. — ქალს ბავშვები მოუყვანია; თხოულობს: ქმარი ავადაა, საჭმლის გამკეთებელი არავინ გვყავს ოჯახში, მე ვმუშაობ, ბალღები სწავლობენ, ურიგოდ გამიშვით, ძალიან გთხოვთო. ნება დართეს. ქალი აცეტდა, გაინაზა, თმები ამაყად გადაიყარა გვერდზე, ურიგოდ კვლავ მიძვრებიან. ახლა უკვე ხუჭუჭა — შავად შავი, ოქროს კბილოსანი, აქაურია. აქაური კავკასიელია. იქნებ ყარაჩაელია, იქნებ ჩერქეზია, ან ბალყარელია! რა შეიძლება ამოიკითხო მის სახეზე? ჰიპოკრატე დიდი ხნის წინ ცხოვრობდა და ამბობდა, რომ ადამიანის სახე ადამიანის ყოფიერების სარკეაო. ჰიპოკრატეს სახე, ჰიპოკრატეს ნიღაბი მრავალმა აიფარა და ზურგი აქცია სიცოცხლეს. რას იტყოდა ამ ხუჭუჭას შემხედვარე, გალენი? არ ვიცი, რა აზრი ექნებოდა გალენს და ვწუხვარ. სამაგიეროდ ჩემში ჩამოყალიბდა გარკვეული შინაარსის დასკვნა ხუჭუჭას წარმოშობის შესახებ (აზრი მიახლოებითია): ბებია ჩერქეზი, პაპა კორეელი, დედულის ბაბუა სომეხი, დედულის ბებია ყალმუხელი, პაპის მამა ნაყივჩაყარი ხაზარი (ანდა პირიქით), პაპის ბებია ნაპაჭანაკარი თათარი და ა. შ. სახინკლე ყარს. უჭმელი გამოვდივარ... ეს გახლავთ გუშინდელი დღე. იგი წარსულია, ისტორიაა. მარამ არის თავისთავის, დამოუკიდებლად. ნაღდად არიან ეროვნებები, მარამ არის თავისთვის, დამოუკიდებლობის მინიჭებისთანავე; საიდან ამგვარი ფიქრი? — წუხელ რესტორანის შესასვლელთან ვიყიდე მსოფლიო ატლასი. ყოველივე მისი ბრალია, მაგრამ მაინც საინტერესოა — ყველა ეროვნება რომ თავისივე ქვეყანაში (სამშობლოში, სამკვიდროში) შერეკო, მოითმენენ? აუჰ, ეს ატლასი! რა ყოფილა, უყურე შენა კაცო! იღლიაშია, მაგიდაზეა თუ სადმე სხვაგან,სულ გგონია, — მსოფლიო მბრძანებელი ვარო! თუ გლობუსიცა გაქვს ხომ! ჰუ, ჰუ, ჰუ, ჰუ! სულ ოცნებობ და აღმოჩენილის აღმოჩენის მძაფრი სურვილი გთანგავს. თან ოცნებობ. თან მოგზაურობ, თან ისვენებ. ხომ არ შემომეღო (დამენერგა) მსოფლიო ატლასის სადღეგრძელო? თუ ასე გავუყევი ცხოვრებას, პრესაც სადღეგრძელებელია! აბა ნახეთ: ვინმე სივსივაძეების ოჯახი რაღაცნაირად (ხომ მოგწონთ აწ გავრცელებული „რაღაცნაირად?") დაუკავშირდა კანადელების რომელიღაც (!) ოჯახს, მოილაპარაკეს გრანდიოზული მასშტაბებით და მარსზე მიემგზავრებიან! გაზეთს თავის მხრივ უხარია! გაზეთის სიხარულის აღმოჩენა უმარტივესი რამაა. გაზეთს უხარია და კომენტარიცაა. სივსივაძე-კანადელების ამ მოწიწებული, ადამიანურ, ზოგადსაკაცობრიო მოვლენით გაცილებით მეტი ადამიანი ჩაებმება სპორტულ საქმიანობაშიო!... ვინმე კოლესნიკი კი აღშფოთებულა: როგორ, მეოცე საუკუნეში, ჩვენს უკიდეგანო ქვეყანაში, ძაღლების სასტუმრო რატომ არ არსებობსო? მართალია თვითონ კოლესნიკი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, მაგრამ დაჟინებით მოითხოვს, — საკუთარი ძაღლის სასტუმროში მოთავსებას! იმუქრება კიდეც — მიიღეთ მხედველობაში ჩემი განცხადება-აზრი, თორემ სულ ერთია გიჩივლებთო. სად იჩივლებს კოლესნიკი? არ მაინტერე-

სებს! რა ინიციატივა მოჰყვება იმ ჩივილს? არც ეს მაინტერესებს! კავკასიონის გაბურღვაც ინიციატივაა!!! ირგვლივ რამდენი წამოწყებაა! საინიციატივო წინადადებათა კორიანტელია. თურმე, რაჭაც იღუპება! კითხვა: რა ეშველება რაჭას? ეს კითხვა განივრცო. ამის შესახებ უამრავი კორესპონდენცია-თვალსაზრისები იბეჭდება! არის ღონისძიებანიც! საშველი კი... ოჰ, ეს ღიმილი! უჰ, ეს ღიმილი!.. საშველი არის! საშველია, განა არ არის! არის! სად? კითხვა სცილდება სოციალურ ფარგლებს? ამგვარი კითხვის დამსმელი კრიჭაშია ყოველგვარ პრობლემათა გადაჭრასთან, საამისო რეზერვების ძებნის ორგანიზაციასთან!.. აღარა ვმრავლდებით, დავიღუპეთ! — გაჰკივის ოდნავ ცნობილი ლიტერატორი. აქვე შფოთავს ფერმკრთალი პოეტი, რომელსაც გაზეთის გამოცემა სურს... მღერიან... რადგან სიმღერა მრავალხმიანი ვიცით, ერთი კაცი გვებრალება და სიმღერას ხმას აძლევენ ბანები, აქვეა პირველები! აქვთ აზრი! აქვთ საბუთი! მაგრამ! რა მაგრამ? ერის გამრავლება ადამიანის ხელში (ხელში) იყო ოდესმე?.. მაინც მიდის ცხოვრება. შენ რამდენიც გსურს იჭენავე და იხვიხვინე. საამო ფუსფუსია. მოქანავე რიგებია. საჟრუანტელო სიმღერაა. ყალყზე შემდგარი (ამდგარი) ფერხულია. დრო მიდის და აღმასრულებელი კომიტეტი გარანტიას იძლევა საჯაროდ, ხმამაღლა, სიხარულით: ყველა უბინაო 10 წელიწადში — 2000 წლისათვის საცხოვრებელი ფართობით აუცილებლად დაკმაყოფილდებაო. დგება პათანატომიის კაბინეტის (ოთახის, პალატის, საოპერაციოს) სუნი. ძირითადად სპირტის სურნელია. მოქეიფეთა სიმღერაცაა... თან ტვინს უღებენ, ვიღაც ყოფილ ცოცხალს. რა ჰქვია ამ პროცესს? ძირითადად — გაკვეთა ჰქვია ამ პროცესს... რისი სამყოფელია ტვინი? ვითომ სასულეთია? იქნებ სასულე ორკესტრი უკრავს და მე მოქეიფეთა სიმღერა მგონია? შიზოფრენიის მიმინო ხომ არ გვაცხრება?.. მოასწრებს პათანატომი ტვინის სულიანად [illegible] ყოველივე საინტერესო [illegible] ამიტური. იუმორია და ეგ არის! საღიმილოა, საამურია ცხოვრება! აქვეა ფოტოსურათი წარწერით: „ოქროსხელება ხარატი". არ მჯერა! არც ჩვენებური მესტვირისა მჯერა — საზღვარგარეთ უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ სტვირით, მთელი ოთხი მილიარდი დედამიწის მაყურებელი მოვხიბლეთო! კი ბატონო, მე ვინა ვარ? მე არ მჯერა მაგრამ სხვებს ხომ სჯერათ? ამიტომ საყოველთაო ბედნიერება განვრცობადია. სიბრიყვე კი, როგორც არა ერთხელ მიფიქრია — ვრცელდება არა მარტო მთელს დედამიწაზე, არამედ სივრცეში და მის იქითა არა სივრცულ სივრცეთა მიდამოებში. — იქნებ დროშიც ვრცელდება სიბრიყვე, მაგრამ და უფრო ადამიანური გამოგონებაა, ვიდრე ფარდობითობა და შეთანხმება... ბავშვთა ტირილი მესმის და ვუღრმავდები სიკვდილის რაობას... ვფიქრობ ზერელედ. გავცქერი გარემოს. ნესტია სულში, გულში, ძარღვებში, მაგრამ არ მეღძვრის პოეტური მელანქოლია. რა დღეა დღეს? კვირაა თუ ორშაბათია? აჰა, უბრალოდ მზეა და დღეა... დღეებს არ ჰქვიათ სახელები. ჩვენ კი დავარქვით, მაგრამ მაინც არ ჰქვიათ სახელები. მხოლოდ ჩვენი სურვილია, სურვილი პატარაა და დიდი ტვირთი ჰკიდია. ამ დროს თუ არსებობს საშველი? ეძებ სიჩუმეს. ეძებ იმ სიჩუმეს, რომელშიც ყოველივე გადაწყვეტილია. სიბუნდოვანე იბადება ტვინში. უადამიანოდ გაურკვევლობა არ არსებობს და ეს სტიმულიატორია კრიტიკულად განწყობილთათვის. კამათელი სიბრიყვეა. ნარდი წაგებ-მოგებაა. უფრო წაგებაა. ბედის დაცინვა სიცარიელეა. წაგება ბოღმაა. ომებს მაშველად ჰყავს წაგებულ ადამიანთა ბედ-იღბალი. ისევ მაშველი. კვლავ საშველი. კავკასიონის უთოვლო მთები. რა ფერი ბობოქრობს? ჩემთვის უცნობი მნიშვნელობაა. ჩუმი ქაოსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ სიწყნარეა. სინათლეა მზიური. ნაკითხი კაცი ცდილობს გამოიჭიმოს ქურნალის ფურცლებზე. გიამბობთ უცხოურ ლიტერატურაზე. იღიმები. რამ შეაზიზღათ მშობლიური ლიტერატურა? მზე სინათლეა და არა წყარო. ვსვამ ცივ წყალს, მთების ნაჟურს, ეხუჭავ თვალებს, ვახამხამებ წამწამებს და არ ვფიქრობ წამებაზე. შეჩერდი! სდექ! ბრძანება ეხება წამწამებს შორის წამიერად გაელვებულ ცისარტყელას. ზოლიანია, ფერადია, ქალისებრია, დროებითია, მაგრამ არის! აჰა, თურმე სულ თვალწინ, ელვაში, წამში და წამწამებში ყოფილა საშველი, მაგრამ ისევე ძნელი სანახავია, როგორც არამიწიერი ვაზით ჩამოზნექილი ვენახები... სექტემბერია. გავცქერი გარემოს. ვფიქრობ საშველზე. მოჩანს კედელი. ცხოვრებაა უფიქრო. ირგვლივ ფეთქვაა, დროს ტარებაა, ანაღვლე სხეულებია, თავებია, ტვინებია, თვალებია. მაინც ფიქრი მომავალი რთველი — ადამიანთა სიკმაყოფილე, მაგრამ... სიწყნარეში ბიფათიცაა უძველესი. ჩასაფრებულია. ვითომ სიჩუმეა და... მზადდება თოკი. ყულფი ფიქრის, აზრის, სიმშვენიერის, სიმართლის ჩამოსახრჩობად. დღეს არა და ხვალაო... გარშემო ბინდბუნდია და ბუნდოვანი დასასრულია. სურვილია მარადიული დაბოლოებისა. მასწავლეს: არსებობს დასაწყისი, გაგრძელება, დასასრული! მაშასადამე დაბოლოება... ვითომ დაბოლოებაა საშველი? სხვა გზას ვადგევარ. უდაბოლოებოდ მივიჩქარი ჭინჭრიანში, უნდა გამოვხსნა განცდათა გორგალი...

მოლოდინი

შენობა ძაგძაგებს. შენობა თრთის. შენობა ხანდახან ყანყალებს. აქ ძლიერი შუქია. ყოველივე ანთია. კუთხეკუნჭული ჩახჩახებს, ირგვლივ შეძახილებია. ირგვლივ სიმთვრალეა. ირგვლივ მთვრალებია. ვგონებ სიხარულიცაა. ამიტომ, ახლა დაბადება ძნელია. ახლა ისეთი დროა, — დაბადება მართლაც ძნელია. ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანია! ყურადღებაა საჭირო. შევხანჯლოთ, შევამახვილოთ, გავამახვილოთ, გავბასროთ ყურადღება! ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანია!.. მუდამ იბადებიან და მუდამ კვდებიან? ყოველივეს გააჩნია დაბადება? ყოველივე შეიძლება დაიბადოს?.. ოკეანე, ზღვა, მდინარეები, ნაკადულები, ჭაობები მოკვდავნი არიან? სიკვდილი სამარადჟამოცაა და დროებითიც... სამარადჟამო სიკვდილს ჩვენ არ გვეკითხებიან. არის ამგვარი წინადადებებისაგან შედგენილი აზრები და არიან სიტყვებისაგან ჩამოძერწილი წინადადებები. რა იყო ყველაზე საშიში, რაც ადამიანმა შექმნა? ყოველივე დამანგრეველს ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაგნებთ, რადგან ყოველივეს დანგრევა არაფერსაც კი არ ძალუძს. ხელებს შეუძლიათ პაწაწინა აფეთქებანი. თუმც, ტრაბახი კი არის. ტრაბახით გაჟღენთვაც მიმდინარეობს. საამისოდ განუწყვეტელი როკვაა, ცეკვებია, სიმღერებია და თან დართული სიხარულებია. ყველაზე საშიშია ჩვევა, რომლის შედეგადაც ზღაპრები იქმნება. მარადიულ პროცესად ვაქციეთ. რაც იყო, იმისი გაზღაპრება გვემუქრება. რა მონდომებითა და რუდუნებით მასწავლიდნენ ზღაპრებს: ქართულს, ოსურს, გერმანულს, თურქულს და ა. შ. არადა, ზღაპრებს ერთადერთი სამშობლო გააჩნიათ: დედამიწა. ზღაპრებს ერთადერთი ავტორი ჰყავთ: ადამიანი. ვეფხვებმა, მგლებმა, ძაღლებმა, ძროხებმა და თხებმა ზღაპრები არ იციან, თუმც მუდამ ვცდილობთ ზღაპრებში გვყავდეს გამომწყვდეული. მერე კი: ცირკი, ზოოპარკი, სასაკლაო... ზღაპრებს ჩემსავა [illegible] ფერ, უსწავლები-

ათ. მხოლოდ მაშინებდნენ. ზღაპრები საშიშია. ის არის საშიში, რომ ადამიანს მეზღაპრეობა შეუძლია. არის ტყუილთა მორევები, რომელთაც სხეული და გონება ვეღარ ერევა. ვერც მოერევა. მეზღაპრეებს გააჩნიათ იმედი: ბალღები დაიზრდებიან, თვითონვე მიხვდებიან რა არის მართალი, რა არის ტყუილი და რა არის ზღაპარი... სინამდვილე ოდითგანვე შენიღბეს. ამიტომაა, რომ ზღაპრებში მუდამ უმცროსი ძმაა ჭკუა-გონება-მოხერხებით გამოტენილი. პატარაობა დამიხვართქლეს. ტვინში იატაკის ფიცრის დასაჭედი ლურსმანი ჩამისვეს: უფროსი და შუათანა ძმა შურიანები არიან! მერე, სასამართლოში უკვირთ ხოლმე — რა ჰქონდათ ამ ძმებს გასაყოფი, რა აჩხუბებთ, ძმა ძმისთვისაო... ძმებს კი ზღაპრობის ასაკიდანვე აქვთ გასაყოფიც, საჩხუბარიც. როგორაო? რაო? ვისიაო? რაო და, უმცროს ძმას უნდა დარჩეს სახლიც, კარიც, მამულიც, დედაცა და მამაცაო. უფროსი ძმები გარეთ, ქვეყანაზე გაინავარდებენ და... ასეა და რას იზამო... ვართ თუ არა ჩამორჩენილები? ვისთან შედარებით? ვის ვედრებით, როცა ჩამორჩენაზე ვსაუბრობთ? ვინმე გვყავს წინ წასული? ამიტომ, — ჩამორჩენილები არა ვართ, თან, სამწუხაროცაა, ჩამორჩენილები რომ არა ვართ... ჩვენ აღუზრდელები ვართ... რატომ? ირგვლივ რომ აზიაა, ვითომ?.. ირგვლივ აზიაა! მართლაც აზიაა! მოთხოვნილება კი სხვას გვკარნახობს: არ მსურს აზია. აზია რომ არის? ვითომ რაიმე ეშველება? რაიმე ეშველება აზიას? და მერე, აზიაში ჩვენ ევროპელობას ეშველება რამე? ყოფილა აზია ოდესმე ჩვენი გადამრჩენელი? სიცხე, უდაბნო, ჩამომშკნარი ფოთლები, ამღვრეული გონება, ჩასისხლიანებული თვალები, შური, ბეზღი, სიბილწე, სიბინძურე, ღალატი... აზია ცოდვებით სავსეა მთელი დედამიწის, კაცობრიობის წინაშე. მაგრამ ეს ერთი რომ ჰყავთ? ღმერთი საყოველთაოდ სწამთ: რისთვის? ერთ-ერთი [illegible] სწამთ იმიტომ, [illegible] ადამიანთობა ჩაიდინონ უსამართლოდ. სისხლი კი ღმერთითაც იღვრება და უღმერთოდაც. ვითომ ჩუხჩუხი გვიტაცებს? სისხლის ჩქეფა ხომ არ გვიზიდავს? რატომ გვიყვარს და გვაწყნარებს ჩანჩქერთა ხმაური? მსუბუქი კითხვაა: სად არის ამ დროს ღმერთი? მეორე კითხვაა: აქამდე და მანამდე სად იყო ღმერთი? ამგვარი კითხვა ჩვენთვის ზედმეტია და უფლება არც გაგვაჩნია. ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. მთავარია: დღისით მოგვეწონოს ქალი, მიგვიზიდოს ქალმა, მისმა თმამ, თეძოებმა, ძუძუებმა, საღამოთი ჩავეკურკუროთ, საჭმლით ამოვყოროთ მისი კუჭიც, ჩვენი კუჭიც, გავმრავლდეთ და ვიმრავლოთ. ასე დაგვეკვება და რა ვქნათ? ჩვენი მოგონილი ხომ არ არის? ვიმართლოთ თავი. არის და გააჩნია ვინმეს რაიმე რაციონალიზატორული წინადადება? უფრო ჭანჭიკები, ქლიბები, ბურღები, დაზგები, ავტომანქანები და ა. შ. აინტერესებთ. გამუდმებული საწადელია: როგორ გამოვღრუტნოთ უფრო მარჯვედ და გეგმის გადაჭარბებით... დედამიწა? რა წავართვათ ბუნებას? როგორ შევიჭრათ კოსმოსში? რა ჩამოვიტანოთ? რა წავგლიჯოთ ტრამალს? რა ვიპოვნოთ ჩვენი გალაქტიკის მიღმიეთში? და, საერთოდ, როგორ ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის? კაცი, რომელიც იტყვის: მშვიდობისათვის ბრძოლა იგივე ომიაო, მართლაც რომ ჩვენი მტერია და მართლაც რომ უნდა ვებრძოლოთ ნებისმიერი იარაღით: სიტყვით, გაზეთით, ტელევიზორით, რადიოთი და სხვა ადამიანური ზოგადსაკაცობრიო ხერხ-ილეთებით! ამიტომაც, ყოველდღიურად ძნელდება და ძნელდება დაბადება! ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ, ვფილოსოფოსობთ და სულაც არ გვაგონდება, რა ლამაზია შემოდგომის ტყე...

ბუნების აღწერას სკოლაში მასწავლიდნენ, უმაღლესში კი არა. აღვწერო ბუნება? აღვწერო ბუნება თუ არა? ჩავრთო თხრობაში, რომ წყალი ჩუხჩუხებს, ჩურჩულებს, კვნესის, გიჟმაჟობს; მთები სიმწვანით იმოსებიან, ფიქრობენ, კვნესიან; ჩამავალი მზე შაშვის თვალსა ჰგავს; ძაღლის ბალანი თაფლისფერია და ტკბილია ცუგრია; ფუტკრები შრომობენ და ბზისფრად აგროვებენ ყვავილთა ფერად სულებს! აღვწეროთ? გავაგრძელოთ? კი ბატონო, აღვწეროთ, მაგრამ... ის, რაც მხოლოდ დავინახეთ და აღვწერეთ, რაც აქამდე გულმოდგინედ აღუწერიათ მწერალთა, მოგზაურთა მრავლობრიობას, ჩვენი შექმნილი რომ არ არის? არადა, აღწერისას მუდამ იგრძნობა აღმწერის პრეტენზია — აღწერილი, ნანახი ჩვენია, ჩვენ გვეკუთვნის და რაც გვსურს იმას ვუზამთო, ამიტომ: ტყეებში დავტრიალებთ ათასნაირი ხერხით, ნაჯახით ,ტრაქტორით; მინდვრებში დავგუგუნებთ კომბაინებით, სატვირთო ავტომობილებით; მთებზე დავცოცავთ — მივიწევთ მაღლა, „ვიპყრობთ" მწვერვალებს, ვუხმობთ უსახელოებს და ვარქმევთ სახელებს; ფოტოგრაფები პეიზაჟებს იწონებენ, სურათებს ამეღავნებენ და ალბომში ჩაკრული უკვე საკუთრება ჰგონიათ... მუდამ გვგონია, რომ ყოველივე ეს ჩვენია, მხოლოდ ჩვენი და არავისია ჩვენს გარდა... მოჰენიობს სიტყვა „ზარმაცი". სად თქვეს? ვინ თქვა? რესტორანში თქვეს. თქვა ხელოვნებათმცოდნემ, ფილოლოგმა. ვინ არის ზარმაციო? თურმე, მე ვყოფილვარ (და ვარ) ზარმაცი. ვინ ესწრებოდა საუბარს? რამდენიმე კაცი. ვინ არიან? ვინ იყვნენ? ბევრს რომ ლაპარაკობენ და არასოდეს არაფერს რომ არ ჰქმნიან, არასოდეს არაფერსაც რომ არ აკეთებენ. იმ არაფერს არ ვეხებით, ყველაფერი რომ არის. უბრალო არაფერზეა საუბარი. თურმე, მე ვარ ზარმაცი. თურმე... თვრებიან, თან სვამენ და მე ფხიზელი ვარ. თითოეულ მათგანს შინ, ბიბლიოთეკებში უძევთ ჩემი წიგნები, მაგრამ წლები მიდის და არ კითხულობენ... ბელადობის მოსურნეები არიან, მაგრამ სხვა თვითონაც სხვანი არიან და ამ სურვილს თამადობისას იკლავენ. როცა თამადად არ ირჩევენ, სიმთვრალეში ცდილობენ თამადას აუხირდნენ. სიტყვა სთხოვონ და ოდნავ მაინც იბელადონ. გაუგებრობას ეთაყვანებიან და გაუგებრობა ეამაყებათ. საიდან მოჰქრის სიტყვა „ზარმაცი!" და სიტყვა „სიამაყე?"..." მათ უყვართ აზიელი და ევროპელი ბელადები. კითხულობენ, ვერაფერს იმახსოვრებენ. ამგვარი არსებობა ამოწყვეტას ექვემდებარება, მაგრამ გაუგებრობა დაგუგუნებს დედამიწაზე. შხამიანი ბალახების ყანები ბიბინებენ და სამწუხაროდ, ეს კოსმოსურ კანონიერებადაა მიჩნეული მხოლოდ ჩვენს მიერ... სამწუხაროდ და კვლავ სამწუხაროდ... ეზოს კარი ღიაა. მაშასადამე ჩემი ეზოს ჭიშკარია ღია. ძაღლი, ჩემი „ფიჭა" მუდამ მელოდება. სიერთგულის ადგილი მოტკეპნილია. აქ მუდამ ზის ჩემი ძაღლი, სახელად „ფიჭა". მას ვერ ვჩუქნი ზღაპრების წიგნს, ვერ ვჩუქნი ჩემს მოთხრობებს, მაგრამ... რამდენ მეგობარს მირჩევნიხარ, „ფიჭა" ჩემო. შენ არა ხარ ამაყი და ამიტომ შენში (და შენს თანამოსისხლეებში) არ ბოგინებს სიბრიყვე... რატომ დგამენ ქათმების ძეგლებს? ქათმების ფერმებთან ანუ დიდ საქათმეებთან მუდამ სიმყრალეა, სიბინძურეა, სისხლის სუნია, იქვე კი მამლის ქანდაკებაა აღმართული. მამლის ვინაობა გასაიდუმლოებულია. ასეა გზის პირებზე, გადასახვევებთან, გზაჯვარედინებზე. თუ ავტომანქანას მიაქროლებ და მოლურჯო კაბაში გამოხვეული, ტანსრული, მოთიმთიმე, მფეთქავი გოგონა ხელს ასწევს, ჩათვალე, რომ იგი მინდვრის ალამია. თუ იგი ელამიცაა, მხოლოდ ამიტომ შეიძლება მოგეწონოს (გულში ჩაგივარდეს, შეგიყვარდეს) და იქნებ საქორწილო სუფრის გაშლის აუტანელმა სურვილმაც აგაჟრიალოს. როგორ უხდება ოდნავი, სულ

ოდნავი სიელმე სიქალწულეს! ეს ქვეყანაც ელამია, ცხოვრებას ხომ ნუ იტყვით... სიბეცე და სიელმე როგორღა განვასხვავოთ?.. ნაბიჯ-ნაბიჯ ზიიწევდ აგერ: სქელი, მსხვილი, დარკალული ტუჩები. თხელი ხაზი კანისა და ტუჩის სიწითლის სიფერადეს შორის. ვნების, ეინის მკრთალი ხაზი. საიდანაა? თითქოს აფრიკული ალმური ასდის. აგერ: ხუჭუჭა თმები, ჩაკუთხული, პითეკანტროპის შუბლი, ჭროღა თვალები, აბურცული კუნთები და წინ გამოშვერილ-გამოვარდნილი ქვედა ყბა. სილამაზე არეულა სიმახინჯეში, სიმშვენიერე სარეველა ბალახთა მოკრძალებულ ყვავილებად ქცეულა. ვინ საიდანაა ლტოლვილი? ვინ ვის შეხვდა, ვინ ვინ წამოაქცია? ვინ ვის მოახტა, ვინ გაჩნდა და ვინ დარჩა ამ არაცოდვილ და ვერდალოცვილ დედამიწაზე? მღვდლები ჰგალობენ. ჰგალობენ შაშვებიც. დაე იგალობონ! თუ ცრემლით გევსებათ თვალები, ირწმუნეთ (მხოლოდ თქვენთვის, მოკრძალებულად, უხმოდ, ყოველგვარი აღმაფრენის, ენთუზიაზმის გარეშე ირწმუნეთ), რომ თქვენში ვაცილებით მეტია არაადამიანური, ვიდრე სხვებში. გაუპატიურებულ ქალებს ნუთუ არასოდეს უჩნდებათ შვილები? სურდათ თუ არა სურდათ, აჩენდნენ. ჩაიბუდებს თუ არა ნაყოფში დედის მიერ განცდილი შიში, დარდი, სირცხვილი და სიძულვილი? უკვალოდ არაფერიც კი არ ჩაივლის. ძალმომრეობა უნებლიე მამისა, რჩება შვილში და უსასრულო ბოღმად დაგორავს დედამიწაზე... და, ილტვიან, ესწრაფვიან ბელადობისაკენ. ესწრაფვიან!.. გაზეთის ფურცელზე კი დიდი ასოებით აწერია სათაური: „ბრძოლა ცეცხლთან". შეძახილები. შეყვირებები. მოძახილები და გაუთავებელი ბრძოლა შეგვიყვარდა. ნეტავ ხომ არ ვიქორწინებთ ბრძოლაზე?.. კედელთან ღვინის ბოთლი გდია. შიგ ნარჩენია. შიგაც ბრძოლის სუნი ტრიალებს. ამ შერკინებამ მსმელი წაჩეხა, მრწყეველად აქცია; ამ ბრძოლამ ღვინო ძმრად მიმოაქცია. არის თუ არა ძმარი ღვინის ძმა, ეს სულაც არ მაინტერესებს. [illegible] ღალღია, ქალალდზე [illegible] ხეთი". წარწერა ღვინისაა, მაგრამ ღვინოა ახლა ძმარი და... იცვლება დრო და ყოველივე დაწერილი შემდგომ სიბრიყვეს ემსახურება. აღარ არის ღვინო, არის ძმარი, მაგრამ წარწერა ღუღუნებს ძველებურად: „კახეთი". ესე იგი — ღვინოა. ღვინო კი ძმარია. წარწერა მონათხრობია და უმოკლესი ლექსიცაა, უმოკლესი მოთხრობაცაა, ოღონდ სტყუის! მერე, როგორ სტყუის! მწარედ, ძალზედ მწარედ და მჟავედ სტყუის. ერთადერთი ბოთლია. შიგ ძმარია. ეს ბოთლი ვერასგზით ვერ იქნება კახეთი, რადგან აზიელებს, აზიელ ბელადებს ამგვარი მბრეყვინავი, მსხვრევადი და პატარა საგნები არ აინტერესებდათ... კახეთი კი ქვეყანაა. კახეთი კუთხეა, ადგილია, მამულია... ბოთლში მართლაც იყო ღვინო, უეჭველია. როცა დავეჭვდები, მაშინ კი ნაღდად საეჭვო იქნება ჩემი ფსიქიკური მდგომარეობა. აქაც ბრძოლაა... ტრაქტორისტი დოლგარმონის, ორკესტრის, საორღანე მუსიკის თანხლებით ხნავს მინდორ-ველებს, ჟურნალისტის უპის წიგნაკში კი იმარცვლება სიტყვები: „სამამულო რკინის რაშებზე ამხედრებული მეომარ-მაშვრალნი ებრძვიან მიწას, რათა... რომ..." და ა. შ. ღვინის ბოთლთან განა მხოლოდ ბრძოლაა? აქ სისხლისმღვრელი შერკინებაა; აურზაურიც ისმის, კვნესა-გოდებაც, ხმაჩახლეჩილი სიმღერაც. კაცები, ყმაწვილები, ვაჟები, მზეჭაბუკები, ბიჭები, ვაჟკაცები და კიდევ სხვა კაცები ერთმანეთს ეხლებიან! არავინაა დამთმობი! მხოლოდ ღვინოს ჰპატიობენ. ჰპატიობენ რამდენნაირ შეურაცხყოფას! რას არ უშვრება ეს დალოცვილი (ნეტავ ვინ, როდის და სად დალოცეს?) სითხე ვაჟკაცებს, კაცებს, მოქეიფე მამრებს: არწყევინებს, თავს უხეთქავს, თვალებს აბრეცინებს, ხანდისხან კიდეც... ეეჰ! კიდევ ვინ იცის?! ვინ იცისო? დედებმა და მეუღლეებმა ყოველივე იციან. ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცისო? ხი, ხი, ხი, ხი! იციან, იციან და მერე რა ნათლად იციან! ყველაფერს ხომ ვერ იტყვიან... თუმც ყოველი ფერი აქ რა მოსატანია? რა დროს ცისარტყელაა, როცა ნარწყევების მორევები ჭაობებად ადუღებულან? ვითომ ვანიჭებთ მოვლენებს იმგვარ სიტყვებს, რაც მათ სინამდვილეში განეკუთვნებათ? ვითომდაც? აქაც ხომ არ შევუძახოთ და... ხომ არ ვიბრძოლოთ? ხომ არ მოვუწოდოთ? ხომ არ ავზვავდეთ? აუჰ! ის დალოცვილი (ნეტავ როდის და სად დალოცეს?) დაღლა როდის მოგვეკიდება, რომ დროდადრო თავი ჩავქინდროთ, ჩავთვლიმოთ, მოვდუნდეთ და ბრძოლებისაგან მოვისვენოთ? რა აქტიურ დასვენებაზეა საუბარი სანატორიუმთა კედლების მიღმა? ამიტომაც ივრცობა აზრი: ახლა, ჩემო კარგო, სანატრელო, ძმაო და ამხანაგო მეგობარო, დაბადება ნამეტანი ძნელია, ძნელი! ისეთი დროა, ისეთი ჰაერია, ისეთი ბრძოლებია, — ძნელია გაძლება, დაბადება, ცხოვრება, სიცოცხლე... გზის პირებზე კი მოწოდებათა კორიანტელია. ვებრძოლოთ სარეველას, მუქთახორობას, ზარმაცობას, გაცდენას და ა. შ. ყოველი წარმოთქმული სიტყვა რომ მნიშვნელოვანია, ეს მერე ავიწყდებათ... მხოლოდ და ახლა დაბადება მართლაც ძნელია... სამშობიაროსთან კი მთვრალები ირევიან. უმეტესად მთვრალი კაცებია, მაგრამ და ბიჭოს: აგერ კინოოპერატორი, აგერ რეჟისორი, სადღაც სცენარიც იგულისხმება... მთვრალ, ბედნიერ და უბედურ მამებს უღებენ... ვინ არიან? ვინ არიან მთვრალები? მთვრალები არიან კაცები, რომლებსაც ჰქვიათ მამები, მომავალი მამების... მამა სახიფათო სიტყვაა, როცა ადამიანს, როცა კაცს უხმობენ. მამა სხვას და ერთს უნდა ერქვას. მაგრამ კაცები მუდამ იბრძოდნენ, იბრძვიან და იბრძოლებენ მამობისათვის... თვით ძალადობაც კი შეიძლება გამოიყენონ ხერხად, ფანდად, ჟინის მოსაკლავად. რაღაცა აღრევაა, რამაც სამუდამოდ არივ-დარია ადამიანთა ურთიერთობები. — ვიღაცის სისხლი ვიღაცის სისხლში არაფრის დიდებით არ უნდა ერეოდეს... რადგან გამუდმებულ ომებ-ლების, სიბრიყვის, ძალმომრეობის, ღალატის გამო ეს მოხდა და ხდება, აღარავითარი თავგანწირვა აღარ მოქმედებს. საშველი აღარაა, ყოველივე განწირულია იქ, შიგნით, ადამიანის ორგანიზმში, უდიდეს ბრძოლის ველზე... სიკეთეს თავისი შვილები ჰყავდა, სიბოროტე თავისთვის ჰხარობდა. ლენცოფა ვერასდროს დამტვერავს სხვა შხამიან ბალახსა და ყვავილს... ხომ არის ლენცოფა? იქორწინებს ვარდი ან ენძელა ლენცოფაზე? ამიტომაა, რომ ძუკნა ძაღლისკენ მამალი ვირი ისე იმზირება, როგორც სიცარიელეში... ადამიანისაკენ კი ცხოველები ჯაგარაშლილი მოიწევენ. ძაღლები, ვირები, მაიმუნები, იქნებ ცხენებიცა და დათვებიც? რას და ვის არ გააღიზიანებს რძისფერი სიმშვენიერე, ატმის მსგავსი სილამაზე — ქალი... ადამიანი უნებლიედ მრავლდებოდა. უბედურება დაითესა უწინდელ საუკუნეებში და ჩვენი შექმნილი, გუშინდელი თუ დღევანდელი ტრაქტატები ქცევის, სინდისის და სხვათა შესახებ, სამწუხაროდ გვიანია. უნებლიობამ უბედურებამდე მიგვიყვანა. გაზაფხულობით მდინარეებიც იმღვრევიან, მაგრამ კიდეც იწმინდებიან, რადგან ეს შეიძლება ადამიანის ამღვრეული სისხლი კი... სულწინ და ბრძოლისაკენ მიჰქრიან. იგრძნობა დაღლა... საყოველთაო დაღლა არ მაინტერესებს. მე ვიღლები; მე ვგრძნობ დაღლას... ორი სიტყვა: „წამიყვანეთ დედამიწიდან“ შორეულ მთებში იკარგება და უკან ბრუნდება ხარხარით, დაცინვით, სისინით. სხვანაირად რომ... მაინც? სხვანაირად ასეა: „გთხოვთ, გემუდარებით, წამიყვანეთ დედამიწიდან!“ პროტესტია? იქნებ ლაჩრის ხმაა?! იქნებ ღალატის სუნი დგას? თანამოძმეთაგან გაქცევის მოსურნეს რა ეკუთვნის? კითხვა მიჰქრის უდაბნოსკენ, ტყეებისკენ, ტრამალებისკენ. პასუხიც მოჰენაობს: ჩავქოლოთ! ჩაქო-

ლვაც დაგუბებული, ამყაყებული ბრძოლის სურვილია... ამგვარ ფიქრებს ხომ სჯობს ორი ბოთლი ჩაციებული „კახური“? მით უმეტეს, ახლა, გსურს თუ არა, სამშობიაროსთან ხარ, თეთრწამოსასხამიანი ქალი შენსკენ მორბის და მოჰკივის: „ბიჭია, ბიჭი, ბედნიერო, ბიჭი შეგეძინა!“ ყოფილა დაბადება ძნელი? აჰა, ღამის სამი საათია. ირგვლივ მთვრალებია; სარკმელები შუქში იღრჩობიან; მიდამო ჩახჩახებს; ბავშვები და დედები გაჰკივიან; ახალშობილები ღნავიან; თმებსაც იგლეჯს ვიღაცა, მაგრამ ძნელი ყოფილა დაბადება? სად არის პასუხი? რა დროს პასუხია, ქალს ხუთთუმნიანს ვჩრი ხელში, ვკოცნი და ბღავილით, სიხარულით, აღტაცებით, შეძახილით, ყვირილით მოვრბივარ. საით? საით და იმ ბოთლისაკენ, სადაც ბრძოლით, ვაებით, სიხარულით მოგუდულა მაჭარი — ღვინო, ღვინის დედა... აგერ ბოთლიც! ბიჭოს, აქვე არ ჩამოსკუპებულა სიმღერაც? აი, ბოთლის ტუჩზე, ზედ ქიმზე, ვნების ქიმზე ჩამოუკონწიალებია მშვენიერი, პაწაწინა ფეხები... ღმერთო შენ მიშველე! გუგუნებს დაბადებისა! ჰქუხს დაბადების სიმღერა, რომელიც... დაბადებისა, რომელიც მუდამ ძნელია და არც არასოდესაა ძნელი. არის უნებლიეც, არის ძალმომრეობითიც... არავინ დარდობს მომავალზე ამ დროს, მაგრამ... ხომ იბადებიან და იბადებიან?.. აქ მართლაც ბევრი შუქია! აქ ლექსებიცაა! აქვეა შეძახილი და ვგონებ სიხარულიცაა...

მეჯლისი

ქალაქის ხმაურია. ცხოვრებისეული ფიქრები და ოდნავი ორომტრიალია. ოდნავი შიშიცაა: ნეტავ გაფანტული სკლეროზი ხომ არ მეპარება?.. ცხენებმა ჩამიქროლეს. ვინ მიაჭენებს? ვინ არიან? არ ვიცი. რა უნდათ? არ ვიცი. სამაგიეროდ, ვიცი, რომელი საუკუნეა ჰუ, ჰუ, ჰუ, ჰუ); ვიცი რა გვარი ვარ ((ჰო, ჰო, ჰო, ჰო) მახსოვს ჩემი სამშობლოს სახელი... სიტყვა „უზანგი“ ქართული არ იქნება; თურქული კეხი თუ ჩამოხმა, დაბრალდება თუ არა გადატანილ სიფილისს? ცხენებმა ჩაიარეს, ავტომობილები ბოლავენ და სადღაც, ვიღაცები ფიქრობენ, დარდობენ ეკოლოგიაზე. ვგონებ და მართლაც სულ ტყუილ-უბრალოდ. იქნებ საქმეს ეშველოსო. რომელ საქმეს? აუჰ, ვრწმუნდები — ეს ჩემი საქმე არაა. არც დროა... იაფფასიანმა თანამედროვე მანქანამ ჩაირახრახა. კრედიტითაც ჰყიდიან... მღერიან. დაამუხრუჭეს. ნაცნობებია. მივესალმე. არც „სალამია“ ქართული სიტყვა. ჩვენ უცხოელთა და უცხოურის, ნაირგვარობის მომხრენი ვართ. ვეკითხები: მღეროდით? მპასუხობენ: კი. რატომ იმღერეთ? მივემგზავრებით. კი, მაგრამ, თქვენ ხომ სულ მუდამ მღერით, არ გბეზრდებათ? ოოოოო! სიმღერა გვამაღლებს! რატომ მიემგზავრებით სამღერლად ასე შორს? მეჯლისია! სადაურია სიტყვა „მეჯლისი?“ ჩვენებურია... ამ ნაცნობმა მომღერლებმა არ იციან, მაგრამ რა საჭიროა? მათ და მომღერლებს განა არ გააჩნიათ უფლება — თითქმის არაფერი იცოდნენ? ახლა ჩვენო კარგებო, საკმარისია ერთადერთი ხელობა შეისწავლო მუყაითად (საიდან მოჰქრიან ამგვარი სიტყვები? ვითომ დანერგეს? „ნერგი“ ძალზედ საპატივსაცემოა და გავრცელებულია) და ბედნიერება გარანტირებულია გარნიტურებითურთ... იქიდან საით გასწევთ, ამხანაგო მომღერლებო? მერე ბულგარეთში! მერე? გერმანიაში! მერე, მერე? კოლუმბიაში! რას უკრავენ? ოოო! უკრავენ სტვირ-სალამურ-ჩონგურ-საზან დ ა რ ს! მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს მაშა-მაშა! მაშ! ძალზედ აღაფრთოვა-

ნებთ ჩვენი სამშობლოს მიღმიურებს ჩვენი ძაგძაგი, ჭაყჭაყი, სირბილი, ჰაერში აღმაფრენა, ულვაშიანი პირსახე, პირში გაჩრილი ხანჯალი, ანთებული თვალები, დოლ-გარმონი, ხანჯლის ჩასობა იატაკში, ქალს რომ კაცი გამოენთობა და გზად მოქიშპეს ჩაკაფავს. მსოფლიო ტაშს გვიკრავს. ჩვენ ღელვა, ხურვება, აღტყინება გვეძალება და ვცეკვავთ უსასრულოდ! თუმც, წასვლაცაა, მოგზაურობაცაა. — შტანგა ასწიეთ? ღონიერი ხართ? აგაშენათ ღმერთმა, — ნახევარ სიცოცხლეს საზღვარგარეთ გაატარებთ. რას არ მოგიტანთ კუნთის ძალა? ძალა მუდამ იზიდავდა მოსახლეობას, მაყურებელს, მეფეებს, ვეზირებს და რაც მთავარია კუდრაჟა დედოფალ-მანდილოსნებს... ნაცნობები წარახრახდნენ. ირგვლივ ღრიანცელია. ბენზინი არ არის. რატომ? უბრალოდ არ არის! ვისი რა საქმეა? ტანმორჩილს, ცალფეხას ურჩიეს — „ზაპოროჟეცი" არ დაძრა, ბენზინი გადმოგექცა, ჯერ გაწმინდე, მერე დაქოქეო. ხელი ჩაიქნია, მცოდნეობა გამოიჩინა, შეიგინა, ავტომანქანაში ჩაჯდა, მოტორი ააღმუვლა და წამსვე ცეცხლის ალში გაეხვა. უმალ დაცარიელდა აქაობა. რიგები მოისპო. ყველა შეშინებული გაეცალა სახიფათო ადგილს. ტანმორჩილი იქვე იდგა, ჩუმად ტიროდა და ჩასცქეროდა კოცონს, რომელშიც ყოფილი „ზაპოროჟეცი" იხრუკებოდა. ვერავინ უშველა... პირველი საათი იქნება; სადღაც შტანგას ეწევიან; ვიღაცები გარბიან თეთრი ხაზისკენ — ფინიშისკენ; ხანჯლები გაუჩრიათ პირში; დგას ჯილდოების სუნი. არიან გამარჯვებულები, არიან დამარცხებულები. იმართება, იგეგმება სხვა მეჯლისები. მიეშურებიან ავსტრალიისკენ. მიდიმოდიან; გამყინვარებისა კი არავის ეშინია მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ ფიქრობს ამაზე; ყინულმა რომ ცოცვა იცის, გველის შემპყრობელნიც კი არ დარდობენ; ადამიანს ყინულოვანი სიამაყე გაეჩნია და იმედით გამსჭვალულია... მეზობელს ჰყავს შვილი. მეზობელი ლოთია. წინაპრები მიწის მუშები იყვნენ; მეზობლის შვილი ჩემს ლამაზად უკრავს სალამურს; სალამური ისე და იმდენადაა ახლა მოდაში, რამდენადაც ეს ინსტრუმენტი ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ გვიხაროდა. პეტრე გვითარგმნიდა: ჩვენ „გამარჯვებაში“ ვსხედვართ და მივისწრაფით, ამას კი რა სჯობსო? ოდესმე, ავტომანქანებს სხვა სახელწოდებებსაც დაარქმევენ: „ნაღველი“, ავტომანქანა „წუხილი“, ავტომანქანა „მწვადი“, „აღტაცება“, „გატაცება“ და ბოლოს... ავტომანქანა „ადამიანი“. ხომ ჟღერს? ხომ ჟღერს ამაყად? აბა, აბა, შეხედეთ, მოგუგუნებს სატვირთო ავტოგიგანტი სახელად „ადამიანი“, რომლის ერთი საბურავი ნახევარი მილიონი მანეთი ჰღირს! მაშასადამე, აქვეა კვაისა. შორს კი პაპუასებია. აქეთ-იქით და ჩაღმა ისანია და უფრო ქვემოთ სამუსულმანეთი; ღაზავათის სუნია. ქრისტიანები კი მიქრიან დასახული მიზნების ვადაზე ადრე შესასრულებლად!.. ეშმაკურაანთ პეტრე კი შეყვარებულია „პობედაზე“. ძალიანაც გამომადგაო: ორი ღორი ჰყოლია; დაზამთრებულა და, პეტრეს მოესურვილა დაეკლა და აეხროტინებინა; მეუღლე და შვილები წინ აღსდგომიან — სანამ ღორი დინგს არ წაჰკრავს თოვლში და არ შეჭამს, ხელსაც ვერ დაადებო. უთოვლო ზამთარი ყოფილა. — მშვენიერი გაზაფხული დამდგარა შუა ზამთარში; შინდები აყვითლებულან, აცეტებულან, კაბები დაუხდიათ... პეტრე ხითხითით მომითხრობს. პეტრე ხითხითებს. — „პობედას“ ძალიან დიდი პატივი უცია; დავჯექი, ტყეში ავედი, ორი ვედრო თოვლი ჩამოვიტანე, ღორებს დავუყარე, დავაძღე და კიდეც გაუსვი ყელზე ბირდაბირიო. ბირდაბირით დავკალიო. განა ბირდაბირი არ სჯობს „დრუჟბა“ ხერხის მოტორის ტრახტრახს? — უკვირს პეტრეს და უკვე მეათე დღეა ლესავს ორ დღეში გასალეს კედელს; — ბიძაჩემის დაწურულ უწმინდეს „ჩინურს“ მიირთმევს და ვართ ასე ხუმრობაში და ბედნიერებაში; „გაუმარჯოს ჩემს მაშინას, „პობედას“. — უკვე გაჰკივის პეტრე და მეც ვეტანები ღვინოს. გვიხარია, რომ ამ ზოგადსაკაცობრიო ხორუმში ჩვენცა ვართ ჩაბმული! წინსვლა ნამდვილად არის, თორემ ამდენს არავინ ილაპარაკებდა... აგერ, დოქტორიც! აგერ ეკრანიც! განუყრელი ჟიდგ — ბიძაჩემი და ცი ოჯახში — ტელევიზორი. გამოგონებულია ვაშლის დასაბერტყავი მანქანა. ხეს მიადგება „რკინის მკლავებს“ (ჟურნალისტები ომახიანად წარმოთქვამენ ამგვარ ეპითეტებს) შემოჰხვევს ხეს და ძირფესვიანად არყევს. ნაყოფი უკლებლივ ძირს ცვივაო და... უკრავს საზეიმო მუსიკა და ხე, ნაღდად ვეღარ მოესწრება მომავალ გაზაფხულს. ხე, ვაშლის ხე კვდება ბრძოლის ველზე. ირგვლივ გაუთავებელი ბრძოლაა. ბრძოლაა მშვიდობისათვის, ბრძოლაა გეგმის შესასრულებლად, ბრძოლაა ცოლ-ქმარს შორის, ბრძოლაა კოსმოსის დასაპყრობად, ბრძოლაა!.. ბიჭოს! გაუთავებელი ბრძოლაა და იარაღიც საჭიროა... ვუსმენ სალამურს, ვასხამ ბენზინს, ფულს ვუთვლი ოფიციანტს, პარიკმახერს, ავტოინსპექტორს და ვასკვნი: დაჭლექებული ინტელექტი კვდება. წამებაში ჰხდიან სულს. ვინაა მწვალებელი? არ ვიტყვი. როგორ? ისე, ბუნდოვნად! ბუნდოვნება ხომ მარადიული ალამი გახლდათ აწ უკვე ისტორიაში ჩაქვავებულ-ჩაკირულ იმპერიებისა... ფული ხომ არის საშუალება? რისი? კითხვა ზედმეტია. ეს საშუალება უმეტესად თავმოყრილია ყოჩაღ, მკვირცხლს, შებერტყილ ადამიანებთან. როცა სიყოჩაღე-სიმკვირცხლეზე ფიქრობ, აზროვნებისათვის აღარაფერი გრჩება. როგორი აზროვნებისა? თვალთახედვის ჰორიზონტი მოკლეა და მდიდარი. ფუფუნება სხეულებზე განულაგებიათ, როგორც ქამარი; პირი, კუჭი, ნაწლავები და ამღვრეული ტვინი. ვისაც ფული აქვს, სურს შვილი უმაღლესად აქციოს. ფულით აწყობენ... ფულით სხდებიან ფართო ოთახებში და ბზრიალა, პრიალა სავარძლებში. უფულო ინტელიგენტის შვილი კი ღობეყორეს ედება, ზამთარში ენძელებს ეძებს, ბინდ-ბუნდოვან შესაძლებლობებით ტრაბახობს. ინტელექტი მუხრუჭდება. ბივრფულიანი კრეტინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი გენეტიკურად ჩამორჩენილია. მაგრამ წამყვანი ხელმძღვანელ ადგილებზეა და... ინტელექტი ბრუნავს ერთ ადგილზე. სიველურე მოედინება და საამისო მეჯლისი სამარადჟამოა... ტალღა ტალღას მოსდევს. მართლა მწვანე უდაბნოა უკაცრიელ სიყვითლეში... როცა ნიჭი საყოველთაო დევნას, შევიწროებას, დამცირებას, დაცინვას, გათელვას განიცდის, იგი დაბოღმილია და ცოცხალ-მკვდარი. ქალებს უფრო დიდი დანაშაული მიუძღვით თუ მამაკაცებს? ქალი ირჩევს მომხვეჭელ სითავცარიელეს, მაგრამ ბუღას ფულის ხურჯინით; რომელი ურჩევნია დედაკაცს — ჭიხვინა სიჯანმრთელე, ხუთასი კილოს მკვრელი, ამტაცებელი შტანგისტი გიგანტი, შვიდი დღე და ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ მნერბავი (ენჭიდუსი არა იყოს რა) მამრი თუ ფერმკრთალი, ჭიანი, საშუალოდ სუსტი, ნაკითხი, დაფიქრებული მამაკაცი? სიველურე მუდამ ეძებს და ილტვის სიფაქიზისაკენ და... პირიქით, არის მარადიული მონაცვლეობა მობზრიალე ბორბალში. არავინ მიდის არსად, ყოველივე დგას. ჟღერს მითი; დაფარფატებს ილუზია მოძრაობისა. არც მოძრაობის რაობა გვესმის ისე, როგორც შეგვიძლია. ღმერთმა დაგვიფაროს! რატომ? ფიქრია ამგვარი: იქნებ სულაც აღარა ვართ და ჩვენ გვგონია რომ ვართ? ჰალუცინაცია ხომ არსებობს? აბსურდი ხომ არსებობს? მოჩვენება ხომ არსებობს? სულაც საფეთქლისმიერი ფსიქომოტორული ეპილეფსია მოდებულა მიდამოზე და ლეტალობა გარდუვალია... გვინდა თუ არ გვინდა კაეშანი ჩვენი კუდია. დარდის მკურნალობის მრავალი ხერხია აღმოჩენილი. გვაქვს მეთოდები, მეთოდური კაბინეტები და მეთოდისტები. აღჭურვილები ვართ ტელევიზიით, გაზეთით, გზის ექსპლოატაციის უბნებით. მიჰქრი ავტომანქანით, ხარ დარდიანი, უცებ ჩავარდები გათხრილ ორმოში და თქვენ დაკარგავთ (შეიძლება სამუდამოდაც) დარდს. მოგიწევთ სულ სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ა. შ. ქარი ფურცლავს გაზეთს, რომელშიც კითხვა-პასუხთა კორიანტელია. — ეკითხეთ როგოელ კირეევს აინტერესებს, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში რა ხალხი ეწყობაო. ამ კითხვაში კირეევმა რაც ჩააქსოვა ვიცი, ერთის გამოკლებით. პასუხი კირეევისადმი კი სამხიარულო, სადღესასწაულოა, სამეჯლისოა. რექტორი (ნაღდად გაბრწყინებული სახით) პასუხობს: „წლეულს, ჩვენი ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩარიცხულთა 60,4 პროცენტს საწარმოში მუშაობის ორი წლის სტაჟი აქვს (მაშინ, როცა 1985 წელს მხოლოდ 45 პროცენტი იყო), ახალჩარიცხულ სტუდენტთა შორის 34,4 პროცენტი მუშებია (მაშინ, როცა 1985 წელს მხოლოდ 22 პროცენტი გახლდათ)". [დააკმაყოფილეს თუ არა კირეევი?.. შავ ძაღლს სძინავს. ქარს მიაქვს გაზეთი, ფურცლები, ბეწვი, მუშები, კითხვაც, პასუხიც და ბოღმიანი შეჯიბრი 1988 წლისა 1985 წელთან. როგორც ჩანს, რაღაცა შეიცვალა, თუმც ამას მნიშვნელობა არა აქვს. რაც გსურს შეცვალე — ტრადიციულ მეჯლისს მაინც არაფერი ეშველება და მაინც გაგრძელდება; ეზოში აღწევს ტელევიზორის ხმა. ყაყანებენ. მერე ჰქუხს. ალბათ ელვაცაა, მაგრამ ვერ ვხედავ. რაღაც გრუხუნებს. ვგონებ კომბაინია და მოსავალს იღებენ, აბინავებენ. უხარიათ. მჯერა ეს სიხარული. მერე იცინიან. მერე ცეკვავენ და მღერიან. რადგან ასეა, შევდივარ ოთახში. მაინტერესებს ეკრანი. სამნი არიან. მიკროფონთან არიან. მოშორებით მოჩანს რიგი. — ადამიანების მწუხარე და გაბოროტებული სახეები. სამნი კი იღიმებიან. სპეციალისტები არიან. გაიძახიან ეკონომიური სიმძლავრეების ამოქმედების საღონისძიებო ლოზუნგებს. კითხვა-პასუხია: რას გვეტყვით ადამიანთა რიგების შესახებ? კვლავ იცინიან. პასუხი იმედიანია, ჯანმრთელია, ჯანმაგარია. პასუხია: მომავალში — ხვალ, ზეგ, მაზეგ, ათი დღის შემ-

დეგ, ერთ თვეში, ერთ წელიწადში, ორმოცდაათიოდე წელიწადში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნება და რიგებიც თანდათან შემოკლდება. უცბად რიგების შემოკლება ქაოსს გამოიწვევს! მერე ეკრანზე ისევ სიმხიარულეა. რიგი და სამნი მიკროფონთან ჰქრებიან. იწყებენ სიმღერას, ცეკვავენ, ტაშს უკრავენ და ანთია (გიზგიზებს) იმედის და აღტყინების ცეცხლი. არადა, ამ მუსიკის კომპოზიტორი ქურდია. სხვის მიერ შექმნილ მუსიკას უკრავს და მღერის თავის ენაზე; სირცხვილის საზღვრები შორეულ, უიმედო ბინდბუნდში იკარგებიან. დარდში აზელილი სიძულვილი მიპყრობს და ვასკვნი: დიდამიწის პატრონი მოკვდა-მეც მე შარზე ვარ. იქნებ [illegible] ნებ ილუზია ვარ, მაგრამ ეს სიმყაყე რომ უჩემოდაცაა? უშველებელი მეჯლისის მოწინააღმდეგე ვარ. ხიფათიც ახლოა. ნამდვილად მიახლოვდება ამ კრაზანასავით, ახლა რომ ჩემს თითთან დაქანქარებს... ვითომ მოღალატე ვარ და გამცემის სუნი ამდის? ვგრძნობ: ოთხ კაცს ჩემსკენ აჩქარებით მოაქვთ კანონი: გრანდიოზული მეჯლისის საწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გამო ისჯებით!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო მათიაშვილი

50-იანი წლების ბოლოს „მნათობის“ იმდროინდელმა რედაქტორმა სიმონ ჩიქოვანმა თავის ეურნალში გამოაქვეყნა სანდრო მათიაშვილის (1926-1984) რამდენიმე ლექსი. ამ ლექსებმა ცხოველი გამოძახილი ჰპოვეს მკითხველის გულში, მაგრამ იდეოლოგიურ საგუშაგოდან უმალვე გაისმა შეძახილი, ახალბედა ავტორს ბრალი დასდეს „უიდეობაში“, „კამერულობაში“, „ნატურალიზმში“ და თავმოყვარე ინტელიგენტკაცს, რომელსაც მტკიცედ სჯეროდა თავისი პოეტური მოწოდება და არც თავის ოსტატობასა და გულწრფელობაში ეპარებოდა ეჭვი, სამუდამოდ (სიკვდილამდე!) დაუკარგეს ლექსების გამოქვეყნების სურვილი.

სანდრო მათიაშვილი პროფესიით ექიმი, ფსიქიატრი იყო. მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონალურ დაავადებათა ინსტიტუტში მუშაობდა და თავს ამით ირჩენდა. მაგრამ მისი მთავარი „პროფესია“ ექიმობა კი არა,„ ლექსისკაცობა“ და ერისკაცობა იყო, თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, ყოველივე ქართული — ოჯახი თუ ენა, ადათი თუ სარწმუნოება, — და მხოლოდ ეს იყო მისი შთაგონების წყარო.

მიუხედავად იმისა, რომ სანდროს თბილისში ბევრნი იცნობდნენ და ისიც ბევრს იცნობდა, მას ჰქონდა უახლოესი მეგობრების ვიწრო წრე, რომლის ერთი წევრი მეც ვიყავი.

თავის თავს სანდრო „ბოჰემას“ და „გურმანს“ უწოდებდა. მე არ ვიცი, ვინ როგორ გაიგებს ამას, მე კი მგონია მისი „ბოჰემურობა“ თბილისის ხალხმრავალ ქუჩებში ხეტიალით, ხოლო „გურმანობა“ — ქართული სუფრის რიტუალის უაღრესი პატივისცემით გამოიხატებოდა.

მთელი თავისი ცხოვრება, — სანდრომ მხოლოდ 58 წელიწადი იცოცხლა — იგი ლექსს წერდა, ლექსით სულდგმულობდა და ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ პოეტად აღიარებას ვერ ეღირსა.

მე იმედი მაქვს, სანდრო მათიაშვილზე და მის შემოქმედებაზე ჩემზე უკეთესად სხვები დაწერენ. ამჟამად კი მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ გზას დავულოცავ ლექსების ამ პატარა ნაკადულს სანდროს მომავალი წიგნისაკენ.

მიხეილ ქვლივიძე.

* * *

ეს რა გზების სნეულება შემეყარა;
ფეხი დავკრა და ამოვყო პანტიანთან...
მუჭა-მუჭა ვარსკვლავები შემაყარეს
და თვალებშიც ცა ჩამიჯდა ათი-ათად.

პანტიანი, პანტიანი, პანტიანი,
რაც რომ მქონდა, ყველა გზები
შემიკარი,
რომ იცოდე, რა ულმერთოდ გავტიალდი,
რომ იცოდე, რა ულმერთოდ შემიყვარდი!

შენს საწყისთან მე აქ ისე ახლო ვარ, რომ
ფეხქვეშ მიწა ციბრუტივით დატრიალდა;
შენ ჩვენში ხარ, ჩვენ შენში ვართ,
მაცხოვარო,
და შენს იქით ყველაფერი გატიალდა!

გზადაბნეულთ მოგვეც ძალა, რომ
ავმაღლდეთ,
რომ ვიპოვოთ, რაც რომ ჩვენვე
დაგვიკარგავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ოდესღაც მტრის ჯინაზე გადავაგდეთ
ანდა ვიღაც ტარტაროზმა დაგვიკარგა.

ჩვენ დავეცით, — ჭორია თუ
სიმართლეა, —
და ახია თავზედ რასაც გვაყრიანო;
დაგავიწყდათ? ჩვენი ხატი — სიმაღლეა
და სახატე — ჩვენი მთების მაყრიონი.

დაგავიწყდათ? ჩვენი შუბლი
თეთნულდია,
ჩვენი ურჩი ხასიათი — დარიალი,
არ იცოდით? ჩვენი მუშტი ღმერთს უქია
და ჩვენც გვყავდა ჩვენი
ამირსპასალარი!

ვაგლახ, ჩვენ თავს ჩვენი ჭირი ჩვენვე
ვუზღეთ,
და ჩვენს გარდა არვინ არის
მოსამართლე;

ავიტანოთ ჩვენი კუზი იალბუზზე,
დავაგოროთ და არ მივცეთ მოსამართლეს.

შენს საწყისთან მე აქ ისე ახლო ვარ, რომ
ფეხქვეშ მიწა ციბრუტივით დატრიალდა:
შენ ჩემში ხარ, მე შენში ვარ,
მაცხოვარო,
და შენს იქით ყველაფერი გატიალდა!

მუჭა-მუჭა ვარსკვლავები შემაყარე
და თვალები გამიხსენი ათი-ათად;
ეს რა გზების სნეულება შემეყარა,
ფეხი დავკრა და ამოვყო პანტიანთან!

პანტიანი, მხოლოდ ცა და პანტიანი!
მიცან კაცად და საკინძე შემიკარი.
რომ იცოდე, რა უღმერთოდ გავტიალდი,
რომ იცოდე, რა უღმერთოდ შემიყვარდი!

* * *

ლეკის მთიდან როცა მატყლი მოაქვთ,
როცა კარში დუთმა ნესვის გორებია,
ყვავილების და ქორწილის დროა, —
მე კი ბალღად ჩემი თავი მგონებია! —
ღვინისფერი ღრუბლებია გარეთ,
ვხედავ, მნათი მთის ყანწებში ჩაიძირა;

საღამომდე გამიცინე ბარემ,
თორემ გულმა უშენობით ჩაიძინა.
ლეკის მთიდან გადმოვარდეს ბარემ
ის მნათი, რომ მთის ყანწებში
ჩაიძირა...
ღვინისფერი ღრუბლებია გარეთ.

სომბატჰეის ნატიურმორტები

წიწაკა... ხორცი ბურვაკის
და გაქონილი ჭიქები...
ჩვენსავით გრძნობენ პურ-მარილს,
უყვართ ჩვენსავით „წითელი“.

ქალი — მწიფე და გულაბი,
მის მზეს თვალებით შევსვამდი.
ხალხი — პურადი, გულადი
და ჯიგრიანი ჩვენსავით.

მე ჩემი სიტყვის გაგებით
ვიცი რა არის „გურმანი“;

გემოს და ხოშის განგებით
ქეიფობს მათი უფალი.

დღეს თუ ბარბაცებს ბუდაში,
ხვალე ფეხს დაჭკრავს ეგერში...
და მათი ღვინო-გუაში
აჭახჭახდება ფერებში.

რის „შამპანი“ და რის „რაბლე“! —
არ დალევს, ისე ტყუილად...
თავის თავს გადააბრალებს,
რომ გახდა გარგანტიუა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოომ მას დღეს ბოლმა ალარ სწოვს
მისი ვახშამიც ეს არის:
ზაზიაშვილის ბოღლორწო
და „ნატურმორტი“ სეზანის.

ცუდად ნუ იცნობთ მადიარს,
სისხლი აქვს ძველი ხაზარის,
თვალს მოგანათებს მადლიანს —
ტანში გაგიჩნდეს ხანძარი.

აქ სეფექალი — სამოთხე
უნდა აცეკვო, ილხინო...
ასჯერ იახშიოლ, სომბატჰეი!
ასჯერ იახშიოლ, ილდიკო!

ხალხი — თავის გზის მორწმუნე,
ალალი თავის გუმანით...

დილამდე უნდა ფოვფყეიტო
მთვარე მზრფე და გულბა.

ვნახო ცა — ლეერკი მარანი
დაცლილ ღრუბლის მტევნებად
დასთვალო მთი. მავანი
იქნება გადამეტება.

მიხარის! ბოლმა ალარ მწოვს.
ჩემი ვახშამიც ეს არის:
ზაზიაშვილის ბოღლორწო
და „ნატურმორტი“ სეზანის.

წიწაკა... ხორცი პურვაკის
და გაქონილი ქიქები...
ჩვენებრ მისდევენ პურმარილს
და ჩვენებრ უყვართ „წითელი“.

* * *

ვხედავ, ცა ღელავს —
ხორბლისფერნარეკი,
ვამბობ: — მშვიდობა გლეხსა!
მზესუმზირებივით დგანან ქალები,
მზესუმზირობენ მზესთან.

და როცა ყანებში დასკდება მიწა
და მზეც აიწევს ზემოთ,
მწყემსის სახრესავით მზე ზერგს
ამიწვავს. —

მზეო!

მწყემსის სახრესავით მზე ზერგს
ამიწვავს.

შენი ეშხი კი — თვალსა,
მწყემსის სახრესავით მზე ზერგს
ამიწვავს...

ბარაქა მზეს და ქალსა!

ტყის კაცი

თითქოს დამსუნა დათვმა,
თითქოს დევებთან ვივახშმე,
მადლობა ლომისს — დათბა,
წყალსაც არავინ მიშავებს.

ვიცი, სხვა გორის ყმაშა
ვერ ნახოს ძიწა ამგვარი;
ცა — ვარსკვლავების ყანა
და მთვარე — ბაქის ხამგალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლით მდინარე მორბის
და შენც ხაპირთან თამაშობ,
შენ ხომ გზაც არა გყოფნის,
მიბვალ და თითქოს ყალმახობ.

ანამც გაბედე გორას
და კოშკს დარჩობილს ხანჯლებად.
შენი ხმა ჩანჩქერს მოაქვს,
გზამდე არ დამიხარჯება.

თუ გინდ მაგ კბილს და ბაგეს
ქარივით დავეცვითები,
ღიმილს დამიგდებ გარედ,
მოვალ და დავემზითები.

მეტყვი: შენს ტანს და ღონეს...
გეტყვი: შენს მაყვალ ბაგეზე...

ერთხელაც ჯანღი მოგვბვევს
და გვაცურავებს ჩანჩქერზე.

ასე ვიყავით დიდხანს,
წყალი კი ქუხდა მეხივით...
თურმე შენ უხმოდ გითქვამს
და დაგინახავს ხეხილი.

ცა — ვარსკვლავების ყანა
და მთვარე — პაპის ნამგალი,
ვიცი: სხვა გორის კაცმა
ვერ ნახოს მიწა ამგვარი.

მადლობა ლომისს — დათბა,
წყალსაც არავინ გვიშავებს...
თითქოს დამსუნა დათვმა,
თითქოს დევებთან ვივახშმე.

* * *

ორღობეში ღვინობისთვე ჩადგა,
მალე მარანს დამიცლიან ხაპირები,
დაქალდები და გეტყვიან: ჩქარა!
და შენ მართლა ყველას კოცნას
დაპირდები...

მე ვინ მითხრა ნიშნობა რომ იყო,
როცა სოფლად საკლავი არ დაუკლიათ,
ვხედავ არაგვს: მთვარიანში თითქოს
დაჟანგული სატევარი დაუგდიათ.

სოფლის თავში სტუმარზე რომ მკითხონ,
სოფლის ბოლოს შურდულივით
გავარდება;
დაღამდება და სოფლებიც თითქო
ზაქის წითელ თვალებივით განათდება.

მაშინ ვიტყვი: მთვარე ატამმოწეული,
ცას მოსწყდება მიჯნურების დასარბევად
და ცა—თითქოს გახლეჩილი ბროწეული
სოფლის თავზე დამეცემა
ვარსკვლავებად,

ორღობეში ღვინობისთვე ჩადგა,
შენი გულის მარანს სცლიან ხაპირები,
შენს თვალებში ღვინობისთვე ჩადგა,
შეგხედავ და ქორწილამდე დაღვინდები.

მე ვინ მითხრა ნიშნობა რომ იყო,
როცა ლამაზს ვენახში არ გაუვლია,
ვხედავ არაგვს: მთვარიანში თითქოს
დაჟანგული სატევარი დაუგდიათ.

* * *

აგვისტოა...
მხოლოდ მზეა ცაში უქმად
თორემ მიწა ლამის გახდეს სიცხიანი ავადმყოფი.
ყანის შიმშილს ერთი მუჭა წყალი უნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი, რა ვქნა, უშენობით მდინარეც რომ არა მყოფნის?
მე კი, რა ვქნა, რომ შენსავით ეს ცა თითქოს თონე იყოს,
რომ შენსავით ვარსკვლავები მაღლა მხრებით მეწევიან,
როგორა ვთქვა: ქალის ტანმა მეწყერივით გამომრიყოს,
როცა თვითონ გაზაფხულის მეწყერია.
როგორა ვთქვა: ჭიანურზე ღამე გაჭიანურდება,
როგორა ვთქვა ყველა კაცის სინანული...
ასეთ ღამით
მთვარეც დაშინაურდება,
მე კი, რა ვქნა, უშენობით მდინარეც რომ არა მყოფნის?

დაკარგული ყვავილები

მე უნდა სხვა დროს მეცხოვრა ალბათ,
ვინ მომცა ირმის საწყალი თვალი...
ეჰ, სხვისი არის მაღალი პალმა,
ეჰ, სხვისი არის ლამაზი ქალი.

ეს ყვავილებიც, ეს თეთრი სარკეც,
ეს ნინოწმინდის ლურჯი აისი,
გადავწვი, როგორც აუ-ტო-დაფე,
დავკარგე, როგორც ძველი ფაზისი.

და მე არ მინდა დღეს არაფერი,
როგორც წვიმაში სუსტი ალოე,
დაკარგულ ქალის სიყვარულს ვმღერი,
დაკარგულ ქალის მეუდაბნოე.

დამსაჯონ, თუნდაც გამაკრან ჯვარზე,
ცეცხლსაც ავიტან, როგორც არაბი,
მაინც ვიმღერებ მშვენიერ ქალზე,
შორეულ ქალზე — როგორც არავინ...

მე უნდა სხვა დროს მეცხოვრა ალბათ,
ვინ მომცა ირმის საწყალი თვალი...
ეჰ, სხვისი არის მაღალი პალმა,
ეჰ, სხვისი არის ლამაზი ქალი.

* * *

მე ოცნება ბავშვობიდან დამყვა,
სინანული და ოცნება მარტო,
ცაში ნაბადს დავიგებდი ალბათ,
ამ მიწაზე ვინღა ჩამომაგდო?
ამ მიწაზე ვინღა მომცა ბინა,
ვინ მოსტეხა ლაღი ფრთები ქორსა,
ირემივით დღემ რომ გადირბინა,
მთები შეხვდნენ — გადიჩეხა შორსა.
ვაგლახ, ეხლა ვის შესძახოს, ვისა,
ვაგლახ, თვალი ამომივსო მიწამ...
მე ოცნება ბავშვობიდან დამყვა,
სიარული და ოცნება მარტო.
ცაში ნაბადს დავიგებდი ალბათ,
ამ მიწაზე ვინღა ჩამომაგდო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

ლექსი დილა-შინდოგისა

სკდომის ჟამი მოსდგა კვირტებს,
გულო, რისად შემიშინდი?
ცოტა კიდევ,
ცოტა კიდევ —
აყვავდება შენი შინდი.

შინდი შინ და
შინდი გარეთ,
ყველაფერში —
ფერი შინდის;
ნიავსაც რო არ გაკარებ,
გულო, რისად შემიშინდი?

შინდი — ჩემთვის,
შინდი — შენთვის,
და სტრიქონი —
მოსაშვილდი!
სახლო,
მალე ამიშენდი, —
გამოვკიდო დროშა შინდის.

ინავარდოს სიტყვამ ახლა,
სიტყვაც არ მწამს შინ დებული;
ღმერთო! —
ჩემ თვალს დაანახა
ქართლი გადაშინდებული...

აქეთ — შინდი,
იქით — შინდი,
დგას ამინდიც იშვიათი;
საქართველოს სიყვარული
ტკივილივით ტვინში ადის...

შინდისფერი მოდგა დილა,
ნუმც მოგშლოდეთ
მშვიდობა შინ!
მეც ახალი ლექსი მომაქვს, —
მომილოცეთ შინდობაში!..

დარგეულ თბილისს

როცა ცისკარმა ღამე გალასტა
და სულის მოთქმაც აღარ აცალა,
შენ მარტო დარჩი
პირქუშ ძალასთან,
რომელსაც უფრთხის ყველა სხვა ძალა.

უნდა გქონოდა სასო განა რის,
ან შემწედ ვინ გყავს,
ჩემო ქალაქო?
როცა თავზევით ღონე არ არის,
მომხდური სიბრძნით უნდა ალაგმო.

ვისაც წესად აქვს
სმენის დახშობა
და გულქვაობის ფარად ხმარება,
შენ — სხვა, ნუ ელი
მისგან დანდობას,
მას თვისიანიც არ ეყვარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უყურებდი ობლად შთენილი:
ადამიანის მსგავსმა წუნკლებმა
როგორ ჩაჩეხეს
სისხლში
შველივით
თავაღერილი თავისუფლება!..

მძიმეა ხვედრის გარდუვალობა —
დიდისგან მცირე მარად იჩაგვრის;
აქეთ:
ყვავილი...
ლოცვა...
გალობა...
იქით:
ხელკეტი...
გაზი!
ნიჩაბი...

დიახ!
ეს იყო მავნე უცნობი,
სულში რო მწარე დაღი დატოვა.
ო, ჯარისკაცი
უგლიმ-უგრძნობი,
თავის მამულშიც სახიფათოა...

ჩემო თბილისო!
შენს ძველ დიდებას
ბევრი შეაკვდა გული მგზნებარე;
ვხედავ —
სინდისი გქენჯნის კიდევაც,
წმინდანებს რო ვერ გადაეფარე!..

შენს ცრემლთან ყველა
ცრემლი გაწბილდა
და შენს თავზართან —
ყველა თავზარი;
თავისუფლების ოქროს თასიდან
სულ ერთი ყლუპიც ვერ მოასწარი...

მაგრამ იმედი მაინც ციმციმებს
და დაგვფოფინებს,
როგორც ნაკრტენი...
მიტომაც ვიტანთ ამდენ სიმძიმეს
და ჭირსა შიგან
მიტომ ვმაგრდებით!..

26 მაისი, 1989

შენია ეს დღე და შენ გეკუთვნის!
ჩუქებას ნურვინ ნუ დაგვაბრალებს.
შენი ამაყი დროშით შევფუთნით
შენთვის წამებულ შვილთა საფლავებს!..

შენია ეს დღე! —
დღეთა გროვაში
გამორჩეული, სუფთა, ანკარა;
გავხვიოთ იგი სპეტაკ ოლარში —
არ გაგვიცივდეს ქრისტე პატარა...

უნდა გავზარდოთ ქართლის ძუძუთი,
და ბაზალეთის დავდგეთ აკვანთან,
რომ არასოდეს დაგვიუძლურდეს
და ვერასოდეს ვეღარც წაგვართვან!..

შენია ეს დღე! —
თეთრი მერანი,
რომ შესჭიხვინებს ქართლის
მთა-მინდვრებს;
მართლაც არ ვარგა ყმა უმღერალი, —
იჯდეს და მარტო ნატვრით დაგვითვრეს.

მოზომილია ვეფხვის ნახტომი
და გადაჰხდია სათქმელს სარქველი;
შენია ეს დღე, —
შენი აღდგომა,
შენი წირვა და სანთელ-საკმელი...

შენია ეს დღე! —
ვამბობ ჩქარ-ჩქარა,
გადმოსცდა კიდეც, აგერ, მზიან მთებს;
ვამსხვრევ ხუთივე გრძნობის ფანჯარას,
რომ ის ჩემ სისხლში შემოგრიალდეს!..

მოსალოცავი მართლაც ბევრია,
თუმც უფრო ბევრი სისხლმა შებურა...
აქ არის ეს დღე! —
ო, იბერია,
შინმოუსვლელი დაბრუნებულა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება დროში დაცემა

დროშა როდია მხოლოდ ნაჭერი
ხასი,
ხალასი
ხატაურისა?!
მთას შეაჯერებს,
ბარს შეაჯერებს
გადაწიდნული ხალხთა გულისხმას.

სულ სხვა მადლი აქვს
ნამდვილ ფალავანს,
ფიცხელ ომში რო უცებ იალებს;
დამწვარიც იყოს —
ცოცხლობს ქალაქი,
თუ მისი კალთა თავს დაჰფრიალებს!

სადაც ის არის,
ჰქუხს აღტაცება
და არც იარა ითქმის ოთხად;
არ შეიძლება დროშის დაცემა, —
დაჯაბნას ნიშნავს,
სიკვდილს კი არა.

სამფეროვანი,
წმინდა ქართული,
ფრთებს ატკაცუნებს მთებზე ზვიადად!
იმიტომ არის ის აღმართული,
თავაღერილნი ვმზერდეთ ნიადაგ.

ეგ ხმა მამულის სუნთქვას შერთვია
და მძლავრ თაობებს
სულ თან დაჰყვება;
თუ ყველა მწყობრი ერთით მეტია,
იმ ერთსაც დროშა ჰქვია სახელად!

საუბარი სიტყვასთან

რა უსუსური ყოფილხარ, სიტყვავ,
ასე მგონია, ხელში მოდნები;
ვერც დიდი დარდი ვერ გამომითქვამს,
ვერც სიხარული — მოულოდნელი.

ზოგჯერ, მეტადრე განტრულობ როცა,
არ მეკარები სათოფედ იმ დროს,
ან კალმის წვერზე ყოვნდები
მორცხვად,
ვითომ ბულბულის ნისკარტი იყოს...

არის ზოგი რამ — სისხლის ვარდებად
აღვივებული ათასი წყლული,
რაც ისტორიას კი არ ბარდება,
ხდება ნაწილი ჩვენივე სულის.

შენც ის ზოგი რამ აღნუსხო უნდა,
თანაც იმ რწმენით და იმ სიმართლით,
რომ ბედის გზაზე თან გვახლდეს მუდამ,
ვით ავგაროზი, ანდა — ზინათი...

მოდი, მასხურე ბარემ მირონი,
ცხრაკვანძოვანი გავხსნა მერდინი —
ალღო ავართვა ცხრავე სინონიმს
და უმჯობესით დავსვა წერტილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

წერილის მიღებისთანავე მამამ ლევანს მოსკოვში სასწრაფოდ გაუგზავნა თბილი საცვლები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ფული. სახლში დიდი მღელვარება დატრიალდა გაგზავნილი ამანათი ლევანს დროზე მიუსწრებს თუ არა?

ცოტახანში მამამ გადაწყვიტა, რომ ლევანს ყველაფერი დროულად მიუვა. ბუტირსკის ციხეში ის სწორედ განგებ დატოვეს. აბა ასე ჩაუცმელს სად წაიყვანენ და თვითონ კი რატომ „გამოაწყობენ", ამიტომ დავწყნარდეთ ნუ ვღელავთ და მეორე წერილს მოვუცადოთო.

როგორც მერე გამოირკვა, ამან ყველაფერმა ლევანს სწორედ სულზე მიუსწრო.

ლევანის გადასახლება ელდად დაეცა ოჯახს. მშობლები ერთმანეთს თითქმის ვეღარ ელაპარაკებოდნენ. ჩვენც ყველა ვდუმდით. ასეთ მხიარულ ოჯახში, როგორიც ჩვენი იყო, სადაც სულ დაკვრა-სიმღერა, ცეკვა, სიცილ-კისკისი ისმოდა, ხშირად უფროსების მხიარული შეკრება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ყოველთვის ბიჭების, ამხანაგების კიჟინი იდგა, შეიცვალა მძიმე მდუმარებით და მწუხარებით. სად წაიყვანდნენ ლევანს, არავინ იცოდა. წერილმა კი ძალზე დაიგვიანა. გულის ფანცქალით ველოდით რაიმე ცნობას. მღელვარება დღითი დღე მწვავდებოდა.

ბოლოს და ბოლოს დედამ ვეღარ მოითმინა და მამას უსაყვედურა — ლევანის საშველად ვერაფერს გავხდით, აქ არჩილის მდგომარეობაც დამძიმდა, ორივე ჩვენი უფროსი ვაჟიშვილი ჩვენი ოჯახის სიამაყე, სიკეთე, ჩვენი დასაყრდენი და ბურჯები განსაცდელშია. გესმის თუ არა, ჩვენი ოჯახის ყოფნა-არყოფნის პრობლემა დგება. მე უკვე მოთმინება აღარ შემიძლია, რამე მოიმოქმედე — მოიკრიბე უკანასკნელი ძალ-ღონე და ავტორიტეტი!

მამამ ბევრი იფიქრა, ბევრი ინვალა, ვინ არ შეაწუხა, ვისთან არ დაიმცირა თავი, თხოვნით მიმართა, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ გადაინურა.

ბოლოს მამა დარწმუნდა, რომ თბილისში ლევანის საქმეზე არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა.

დაიწყო მოსკოვის სხვადასხვა ინსტანციებში თხოვნის წერა. ბოლოს გაახსენდა ძველი ნაცნობი აბელ ენუქიძე და გადაწყვიტა მისთვის მიეწერა. მართალია მამას ლევანის საქმეში აბელის მოხმარების იმედი არ ჰქონდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ცდა ბედის მონახევრეაო, ყველაფერი დაწვრილებით მისწერა, ისიც დაუსაბუთა, რომ ლევანი უდანაშაულო მსხვერპლია და როგორმე შეემსუბუქებინათ მაინც ლევანისთვის ეს სასტიკი დასჯა.

გავიდა რამდენიმე ხანი. ლევანის მეორე წერილი იგვიანებდა. მამას ერთ-ერთ შეკითხვაზე, თუ სად გაიგზავნა გადასახლებაში ლევანი, მოსკოვიდან მოუვიდა პასუხი, რომ ლევანი გადაგზავნილია სოლოვეცკის კუნძულზე.

ცოტახანში მამას უკვე ხელში ჰქონდა ლევანის ამ სამყოფელოს ყველა ცნობები.

სოლოვეცკის კუნძულები. სოლოვეცკი, სოლოვეცკის მონასტერი, სადაც ლევანი ქართველ ჯგუფთან ერთად გადაასახლეს, შორეულ ჩრდილოეთშია. უშუალოდ თეთრ ზღვაში დვინისა და ონეგის უბეებს შორის.

თეთრი ზღვა კი ჩრდილო ყინულოვან ოკეანესთან დაკავშირებულია ბარენცის ზღვით. მოკლედ, ეს კუნძულები ზღვათა სამყაროშია. სოლოვეცკის 6 კუნძული ურთიერთ მჭიდროდაა დაკავშირებული. საერთო ფართით 347 კვ. კილომეტრი. კუნძულების რელიეფი ბორცვიანია. სიმაღლე ზღვის დონი-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ან 107-108 მეტრი კუნძულების დიდი ნაწილი შემოსილია ასნლოვანი ფიჭვნარ-ნაძვნარის ხეტყით. ბევრი ტბა ჩაჭაობებულია და სახიფათო.

სოლოვეცკის კუნძულებზე XV საუკუნის 20-30 წლებში დაარსდა მსოფლიოში უდიდესი, რუსული, ერთ-ერთი მამაკაცთა მონასტერი, რის გამოც ამ კუნძულებს შეერქვა სოლოვეცკის მონასტრის სახელწოდება.

1584-1594 წელს ოსტატ ტრიდონის მიერ აქ აშენდა ძალიან დიდი და მძლავრი, საეკლესიო მშენებლობის უნიკალური კომპლექსი. უსტრუსკისა და პრიობრაჟენსკის ტაძრები, რომლებიც სადღესასწაულოთაც საუკეთესო არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს, აქვე აშენდა მიძინების, ფერიცვალების და ხარების ეკლესიები, სადაც შესაბამისი ლოცვა-კურთხევა ღაღადებს. ეკლესიებთან იქვე პატარა, მაგრამ ბევრის მნახველი და მთქმელი სამრეკლოა აღმართული. იმ იდუმალ სამფლობელოში ყოველი ჩამოკრული ზარი ლოცვის მიუნყებელია. უდროო დროსაც ისმოდა ხოლმე ზარების შემზარავი რეკვა, რაც უფრო ხშირად მძიმე ამბის მომასწავებელი იყო.

კარმიდამოს ცენტრში დგას დიდი ადმინისტრაციული შენობა უშველებელი საგრაპეზოთი. მას კრემლს უწოდებდნენ. ამ ნაგებობების ქვეშ, უფრო მოშორებით, დაწყებული მინის სიღრმიდან გაუთლელი ქვის დიდი ლოდებით აშენებული, ქვის ძუნწი ავეჯით მოწყობილი, ბერების საცხოვრებელი სენაკეები.

ამ საცხოვრებლის უფრო ქვევით კი პატარა ბნელი სარდაფებია, რომლებიც კარცერებისთვის იყო გამიზნული. აქ თავის დროზე ალბათ ეს მდუმარე ქვებიც კი მძიმედ გუგუნებდნენ შიგ დატრიალებული ტრაგედიისა და წამების გამო.

მთელი ეს ტერიტორია შემოფარგლულია მაღალი, საკმარისად განიერი დაუმუშავებელი ქვით აშენებული უშველებელი აულებელი კედლით. სიმაღლე — 8-11 მეტრი, სიგანე 45 მეტრი.

ამ კედლის ყოველ კუთხეში აზიდულია მრგვალი ფორმის საკმარისად მაღალი კოშკურები, რომელიც საყარაულოებსა და საოთვალთვალოებს წარმოადგენს.

კედლებში ჩატანებულია 7 რკინის კარები გამაგრებული ჯაჭვით. ამრიგად ეს ნაგებობა მძლავრ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს.

ამასთან ერთად ის მიუვალია, რადგან ამ კუნძულების სანაპირო ხაზი ღრმადაა შეჭრილი ზღვაში და გამაგრებულია 1-კილომეტრიანი დამბითა და 6,5 მეტრიანი სიმაღლის კედლით. მონასტერში შესვლა შეიძლება მხოლოდ ზღვიდან მინისქვეშა გასასვლელებითა და რაბის კარიბჭეებით, საიდანაც ამ ტერიტორიაზე ნავები და პატარა [illegible] აქ ყველა საკულტო ნაგებობა [illegible] ...ანაგებულია და ურთიერთდაკავშირებულია შუშაბანდებითა და გადახურული გრძელი გადასასვლელებით.

ამრიგად თავისი ნაგებობითა და მშენებლობით სოლოვეცკის მონასტერი მძლავრ ციხე-სიმაგრეს, ციტადელს წარმოადგენს, ხანგრძლივი წლების მანძილზე კარჩაკეტილი იყო და დარჩა კიდეც სამუდამოდ თავისი ბუნებრივი ლანდშაფტის წყალობით.

სოლოვეცკის მონასტრისაკენ მისასვლელი ზღვის გზა ზამთარში იკეტება და ნავიგაციის გახსნამდე მიმოსვლა შეწყვეტილია. შემდგომში მონასტერი დაიხურა, მისი ძირითადი შენობა (ადმინისტრაციული) ციხედ გადაკეთდა.

მე-19 საუკუნიდან სოლოვეცკის მონასტერი გახდა რუსეთის იმპერიის მძიმე ციხე. პოლიტიკურ პატიმრებისათვის გადაიქცა იზოლაციის საშინელ სამყაროდ, ნამების ხანგრძლივ გზად. შეიცვალა პატიმართა სამფლობელოც: ფანჯრებს ააკრეს რკინის ბადეები. ხის კარებები შეცვალეს რკინის ცხრაკლიტულებით. გამოხვრიტეს სათვალთვალოები. ქვის საკნები კი გამოიყენეს საჯარიმო იზოლატორებად, რომლებსაც „შიზო" შეარქვეს (штрафной изолятор).

იქ წარმოებდა პატიმართა მორალური თუ ფიზიკური წამება.

სოლოვეცკის მონასტრიდან თავის დაღწევა შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. ეს თვითმკვლელობას ნიშნავდა. ვინ მოსთვლის რამდენმა სასიქადულო ადამიანმა ამ მინაში პპოვა თავისი სამუდამო საყუდარი. მათ შორის დეკაბრისტებიც გახლდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს სოლოვეცკის მონასტერი პოლიტიკურ პატიმრებისათვის გადასახლების მძიმე სამყოფელს წარმოადგენდა. აქ იყვნენ თავმოყრილი აგრეთვე მძიმე რეციდივისტები, მკვლელები, გამოუსწორებელი კანონიერი ქურდები და თავზეხელაღებული ხულიგნები.

ბევრი პოლიტიკური უდანაშაულო პატიმრისათვის სოლოვეცკის მონასტერში გადასახლება თითქოს ბედის წყალობა იყო. მათ ხომ დახვრეტა შეეცვალათ აქ გადასახლებით. რისთვის? ვისთვის? ეს ბედის დაცინვაც იყო უმრავლესობისათვის. ისინი ხომ უდანაშაულო მსხვერპლი იყვნენ. მათ უხაროდათ სიცოცხლის შენარჩუნება. სიცოცხლე იყოს თორემ მძიმე პირობები რა ბედენაა, მისი ატანა შეიძლებაო, იმედოვნებდნენ ახალჩამოსულები, რას მოიფიქრებდნენ, რომ სწორედ აქ შეხვდებოდათ უმძიმესი ცხოვრებისეული გამოცდა და შიმშილ-სიკვდილი. ამ

ცნობების მიღებისთანავე ოჯახში დიდმა მწუხარებამ დაისადგურა.

მამა ადგილს ვერ პოულობდა. დარწმუნებული იყო ლევანის უაზრო და უსაბუთო პატიმრობაში. ვერ გაერკვია, ასე მძიმედ რატომ დაისაჯა იგი. სულ იმის განსაზღვრაში და გარკვევაში იყო თუ ლევანის მიმართ რატომ შეიქმნა ასეთი საქმე, ვინ მტრობდა მას ან ოჯახს. არცერთის მოქმედებაში ამის საბაბს ვერ ხედავდა. მეორეს მხრივ, მამა სულ იგონებდა, რომ ლევანის პირველი ხანმოკლე პატიმრობისას, როცა თვითონ მამა, არჩილი და ქორწილიდან წამოყვანილი რამდენიმე სტუმარი იყო, „ჩეკაში" ძერჟინსკის ქუჩაზე, რომელიღაც წიგნში მარტო ლევანი აღნიშნეს და პატარა ანკეტაც შეავსებინეს. მამას ამისთვის არ მიუქცევია სათანადო ყურადღება, რადგან მაშინ ლევანი 17 წლისა იყო. მერე, მეორეჯერ რომ დააპატიმრეს და აბასთუმნიდან წამოიყვანეს, ისევ აღრიცხეს. მეტეხის ციხეში იჯდა და დახვრეტაც კი ჰქონდა მისჯილი. მართალია რამდენიმე თვეში მამასთან ერთად გამოუშვეს. ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, გაამართლეს და გაათავისუფლეს. მაინც, იმ მძიმე დაწესებულებაში ლევანი ორჯერ იყო აღრიცხული. შესაძლოა ეს ორი ჩანაწერი სრულიად საკმარისი იყო ეჭვი შეეტანათ, მით უფრო, რომ ლევანი თავის თანატოლებისაგან მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა ნიჭით, აზროვნებით, გამბედაობით და ბევრი სხვა კაცური თვისებით. ეს კი იმ დროს ახალგაზრდა სტუდენტის დაპატიმრებისათვის სრულიად საკმარისი იყო. უბრალოდ, დააცადეს, რომ ლევანი სრულწლოვანი გამხდარიყო, მერე დასტაცეს ხელი და ყოველგვარი დაკითხვისა და გასამართლების გარეშე ასე შორს გადააგდეს.

მამამ ველარ მოისვენა. სად არ იარა, ვინ არ შეაწუხა, სულ „ჩეკას" კარებზე იდგა უშედეგოდ და ამაოდ. მერე ფული და ამანათი სოლოვკებშიც გაუგზავნა. სულ იმას გაიძახოდა აღელვებული და ანერვიულებული: სანამ ლევანს ეტაპით ჩრდილოეთში ჩაიყვანენ, ჩვენი გაგზავნილები იქ დახვდებაო, ძალიან გამოადგება და გაახარებსო. მერე დედას, არჩილს, სანდროს და თინას წერილები დააწერინა.

დედას სოლოვეცკის მონასტრის მისამართის სისწორეში ეჭვი ეპარებოდა და არც ჰქონდა იმედი, რომ ლევანთან წერილები მივიდოდა. მაგრამ მამას ხასიათი არ გაუფუჭა და შვილს რამდენიმე წერილი მისწერა.

ყოველდღე, ყოველ საათს და ყოველ წუთს ლევანზე იყო ლაპარაკი, წუხილი და ტირილი. ტასო გლოვობდა. ის და დედა, მარტონი დროს რომ იხელთებდნენ, იცრემლებოდნენ და გულის ფანცქალით უცდიდნენ წერილებს.

არჩილი თავის ოთახში წიგნებში ყოფილ ლული. ნერვიულობისაგან ჭრილობა [illegible] ოდა და ლოგინიდან იშვიათად დგებოდა.

ჩვენთან არავინ მოდიოდა. ყველა შეშინებული იყო. ეს არც არის გასაკვირი, — ამბობდა მამა, — ქალაქში არანორმალური ატმოსფეროა. აპატიმრებდნენ ღირსეულ თანამემამულეებს, ინტელიგენციას, სტუდენტებს, სპობდნენ ხალხს უდანაშაულოდ, ეჭვის გულისათვის, თითქოს განგებ, ბევრი ქართული ღირსეული ტრადიციული ოჯახი დაარბიეს, დარჩენილი ოჯახის ზოგი წევრი კი დააშინეს, კარჩაკეტილ ცხოვრებაზე გადაიყვანეს. ცხვირის გარეთ გამოყოფისაც კი ეშინოდათ.

მამა იმ დროს ქართველი ბოლშევიკების მიერ ხალხში გავრცელებულ აზრს იმეორებდა: საქართველო სწავლული და თავად-აზნაურული გვარის ინტელიგენციით სჭარბობს სხვა რესპუბლიკებსო, ამიტომ საჭიროა მათი მექანიკური შემცირება, მოსპობა და ამით პროცენტული გათანაბრებაო. ეს საშინელი აქცია სრულდება ყოველგვარი სინდისის გარეშე ყოველდღიურადო.

ახალმა 1926 წელმაც მოგვიკაკუნა და ასე უღიმღამოდ გადაგორდა.

ჩვენს კარღია და სტუმართმოყვარე ოჯახში, სადაც ყველა დღესასწაულის გადახდა ტრადიციას და კულტს წარმოადგენდა, ახალმა წელმა ამჯერად ფერმკრთალად ჩაიარა. მრავალ ბავშვიან ოჯახში განსაკუთრებით ახალ წელს ყოველთვის ვზეიმობდით სამაგალითოდ.

ახალი წლისათვის მზადების ფუსფუსი ადრეულად იწყებოდა ხოლმე. უშველებელ ნაძვის ხეს, რომლის წვერი ჭერს ებჯინებოდა და თითქმის დიდ ოთახს მთლიანად იკავებდა, ძველი და ახლად მიმატებული ლამაზი სათამაშოებით ვკაზმავდით.

ამას თან სდევდა დიდი ჟრიამული და სიხარული. სპეციალურად ვპატიჟებდით მამიდაშვილებს და ახლო ნათესავებს. ბავშვებისათვის საჩუქრებიც ადრეულად მზადდებოდა: ვის რა სჭირდებოდა და აკლდა. ახალი კაბები და თოჯინები — გოგონებს ბლუზები, წიგნები — ბიჭებს ფეხსაცმელები ვისაც არ ჰქონდა და ასე ბევრი სხვაც, უზომოდ ბევრი კამფეტებიც.

ახალი წლის ღამეს სპეციალურად ვილაცა სათანადოდ მოკაზმული თოვლის ბაბუა გამოგვეცხადებოდა ზურგზე დიდი ხურჯინით და საჩუქრებით. იყო სიხარული და ბედნიერება. სუფრა მუდამ სავსე იყო შემწვარ-მოხრაკულით და გემრიელი ქართული კერძებით, ტკბილეულობით და უამრავი გოზინაყით.

მერე იწყებოდა ბავშვების შეჯიბრი ლექ-

სის თქმაში, დაკვრაში, ცეკვაში, სიმღერაში, მხიარულებაში, რომელშიაც ყოველთვის უფროსებიც ილებდნენ მონაწილეობას. მამა პატარა ბავშვებთან ერთად ნაძვის ხის გარშემო ტრიალებდა, დედა უკრავდა და ამღერებდა უფროს ბავშვებს. ლევანი და სანდრო ვიოლინოს კონცერტს მართავდნენ. თინა უკრავდა და ცეკვავდა. არჩილი გამოცანებს ჰყვებოდა.

ლექსებით ლევანი ყველას სჯობნიდა. მამა იმასაც კი აქცევდა ყურადღებას, რომ ლევანი უკანასკნელ პერიოდში თავის საკუთარ გრძელ პატრიოტულ ლექსებს ამბობდა, ზოგჯერ პოლიტიკასაც გაჰკრავდა კბილს. ტასოც ცეკვავდა და თავის რაჭულ სიმღერებს გვასწავლიდა. ასე გრძელდებოდა შუაღამემდე.

დილიდანვე იწყებოდა სტუმრიანობა და მოლოცვები, ვინ არ მოდიოდა და მიდიოდა: აქ იყვნენ ნათესავები, მამას თუ დედას მეგობრები, ბიჭებისა — არჩილის, ლევანის თუ სანდროს და თინას ამხანაგები, ხოლო სადილის შემდეგ მამა მოგვკიდებდა უმცროს ბავშვებს ხელს და წაგვიყვანდა. უფროს ბავშვებს ნება ეძლეოდათ ვის სადაც უნდოდა, იქ წასულიყო. ყოველივე ეს ამ ახალ წელიწადს დღის წესრიგიდან მოგვეხსნა. ადრე დავიძინეთ. უფროსებს არაფრის თავი არ ჰქონდათ, უმცროსები კი მათ შევცქეროდით.

გავიდა რამდენიმე მტკივნეული ხანი და აი ძლივს გამოიდარა ჩვენთან ოჯახში. დიდი დაგვიანებით მოვიდა ლევანის წერილი სოლოვეცკის კუნძულებიდან.

2/II — 1926 წ.
სოლოვეცკის კუნძულები.
საყვარელო მშობლებო!

როგორც წინა წერილში გწერდით, ყინულმჭრელმა სოლოვეცკის კუნძულებზე ყოფილ კაცთა მონასტერში, სადაც ეხლა სასტიკი ციხეა, ძლივს ჩამოგვიყვანა და ყინვაში დაგვტოვა. ისტორიულად ძველ-დიდებულმა ციხე-სიმაგრემ ამჯერად ჩაფოხილმა, გაპარტახებულმა და ჩაშავებულმა ბანაკმა მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა. მე-12 ასეულის სარდაფმა კი თავსაყარი მაგრძნობინა და სულ კუდით ქვა მასროლინა. თქვენგან გამოგზავნილი 30 მანეთი და გაზეთების 7 ნომერი მივიღე, დანარჩენი ალბად დაიკარგა.

ამანათისა და წერილის მიღების შემდეგ მე მივიღე ზედიზედ დედის და სანდროს წერილი და ცარიელი კონვერტი ცნობით, რომ არჩილის წერილი ცენზურამ არ გაატარა. ნეტავი რას მწერდა იმისთანას.

ჩვენი ცხოვრება აქ მძიმედ მიმდინარეობს. ჩაჟამებულად, ერთფეროვნულად და დაწვრილმანებით. მე ჯერ არსად არ ვმუშაობ. თავისუფლად ვსეირნობ და ვისვენებ. ჩემ ჯანმრთელობაზე ნუ იჯავრებთ. მე საკმაოდ ჯანმრთელად ვარ, ჩვენ ჯერჯერობით [illegible] ბით შედარებით უკეთესად, ფულადი გადაცემების წყალობით, რომელსაც ვლებულობთ საქართველოდან. ბიჭები ერთმანეთს ვეხმარებით. სხვანაირად აქ არ შეიძლება.

დედას წერილმა მე ძალიან გამახარა. დედა! მხოლოდ ეხლა, შენი მესმის, როგორ მოქმედებს ადამიანზე ყველა წვრილმანები, რომელიც ამ მოუსვენარ ცხოვრებაში განსაკუთრებით ასე ბევრია, აქ სწრაფად იზრდება, გადადის დიდ მოვლენებში, რის შემდეგ ძნელად ასატანი ხდება. მე დავბრძენდი, პატიმრული გამოცდილებაც შევიძინე. აქ საკანში ვარ, ნარებზე მძინავს, ხანდახან პატარ-პატარა ფათერაკებიც მომდის ხოლმე. როგორც ამჯერად, საკანში მზის ირიბი სხივი ჩამოწვა და ნარიდან ისე წამოვხტი, ძილბურანში, ნარებს შორის მანძილი ვერ განვსაზღვრე და შუბლზე ლაზათიანი კოპი დავისკუპე. ყველა „სიმშვენიერეს" ესეც დაემატა. დიდ ფათერაკებზე აღარ ვლაპარაკობ. აქ საჭიროა ცუდის მიჩვევა და მძიმეს ატანა, რაც ჩემთვის ხშირად მეტად ძნელია, ამას ვერც კი წარმოიდგენთ.

დედა, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ჩემზე ნუ იდარდებ. ამ პატარა დროის მონაკვეთში მე ბევრი რამე ვისწავლე, მე გავხდი ისეთი პრაქტიკოსი, რომ თვითონ მიკვირს. ჩაცმული ვარ საგრძნობლად თბილად. ვკოცნი თამრიკოს და მზიკას. დიდი სალამი მაროს და ალიოშას, აგრეთვე ყველა ამხანაგებს, რომლებმაც დაივიწყეს კიდეც ჩემი არსებობა.

მოკითხვა იასესაგან (იასე ფავლენიშვილი არჩილის ახლო მეგობარი, რომელიც ჩვენთან სახლში ხშირად დადიოდა. იქ გადასახლებაში შეხვდა ლევანს, ერთად არიან, სოლოვკებში). ის თანდათანობით გამოკეთდა. ნერვები მალე სულ დაუწყნარდება. სისუსტემაც თითქმის გაუარა.

სოლოვკების ბანაკებში ერთმანეთში არეულია ყველა პატიმარი, პოლიტიკური, თუ სისხლის სამართლის დამნაშავე. თვითეული პიროვნება გადახეულია, როგორც ჩვენი ცხოვრება. საერთოდ სრულებით მოწყვეტილი ვართ გარე სამყაროს, ვნახოთ რას მოგვცემს 1926 წელი. უიმედონი, მაინც გულის სიღრმეში სადღაც უჩუმრად მცირედი ჩაქსოვილი იმედით ვცხოვრობთ, მომავალზე და სიკეთეზე.

როგორც ყოველთვის, შევხვდი ახალ წელს. მართალია უგზოზინაყოთ, უქონო წიწიბურის ფაფითა და მტკნარი წვენით, მაგრამ მომავლის იმედით.

ახალ ადგილზე კლიმატი ეხლა შედარებით რბილია, ამბობენ, რომ აქ გაზაფხულია ძალი-

ან ნესტიანი და სახიფათო ჯანმრთელობისათვის. ეს ყველაფერი უბრალოებაა, ოღონდ იყოს საკვები.

ყველას სალამი და მოკითხვა. გკოცნით.

თქვენი ლევანი.

წერილი შემოწმებულია ცენზურით, აქვს ოთხკუთხედი შტამპი —

ხელმოწერილია — ტაშიძე

ამრიგად ლევანი აგვისტოს ბოლოს, 1925 წელს დააპატიმრეს, სექტემბრის დასაწყისში მოსკოვის ბუტირსკის ციხეშია. იქ დაჰყო 2 თვემდე და შემდეგ ეტაპით მძიმე, წვალების გრძელი გზა გაიარა მოსკოვიდან — სოლოვეცკის კუნძულებამდე.

ლევანისგან მიღებულმა წერილმა ცრემლიანი სიხარული მოგვიტანა, წერილმა გვაცნობა, რომ ლევანი ჯანმრთელად იყო და ხასიათი არ ჰქონდა შეცვლილი. ისიც ჩანდა, რომ ლევანი ჯერ ვერც იყო თავის მდგომარეობაში სათანადოდ გარკვეული. სანუგეშოა ის გარემოებაც, რომ გადასახლებულთა შორის ბევრი ქართველები იყვნენ. ისინი ეხმარებიან ერთმანეთს და ხელს უწყობენ ასეთი დუხჭირი ცხოვრების შემსუბუქებას.

დედა საშინლად სწუხდა ლევანის ამბავს. მის გადასახლებას ვერ ეგუებოდა. 20 წელს მიღწეული ლევანი ისევ ბავშვად მიაჩნდა და ყველაფრისა ეშინოდა. საშინლად აწუხებდა გადასახლების ადგილის სიშორე.

— რაღა ლევანს გამოუნახეს ეს სოლოვეცკის კუნძულები, რომელიც საქართველოდან 100 ათასი და უფრო მეტი კილომეტრით არის დაშორებული. ამით მისთვის ყოველგვარი დახმარების საშუალება შეგვიზღუდეს. ის კლიმატური პირობებიც შეიძლება საბედისწერო გახდეს ლევანის ჯანმრთელობისათვის, შემზარავმა ყინვამ, თოვლმა და ქარბუქმა იმოქმედოს თბილი ჰავის პირობებში გაზრდილ ბავშვზე და, რაც მთავარია, ციხეში მძიმე ცხოვრების თუ კვების შემდეგ, — რაც ალბათ შეაწუხებს და დააუძლურებს მასო. მამა სულ აწყნარებდა დედას და იმედით ცოცხლობდა — ლევანი ჯანმრთელი, უშიშარი და გამბედავია, არც თუ ისე განებივრებული, ამიტომ მძიმე პირობებს შეეგუებაო. ეს მისი მძიმე ცხოვრებისეული გამოცდაც იქნებაო. მამას ყველაზე უფრო იმის ეშინოდა თუ ლევანი როგორ შეეგუებოდა პატიმრებს, რომელთა გარემოცვაშიც ის მოხვდა.

რამდენიმე ხანში დედის სახელზე ლევანის წერილი მოვიდა.

22/V — 1926 წ. სოლოვეცკის მონასტერი.

საყვარელო დედა! მივიღე შენი წერილი დიდი დაგვიანებით. ძალიან მაწუხებს არჩილის ავადმყოფობა. დაწვრილებით შემატყობინეთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე შემატყობინეთ ბებია-გოგოლას მდგომარეობა. მე ჯანმრთელად ვარ. სამუშაოზე დანიშნული ვარ, მაგრამ ჯერ არ ვმუშაობ, მასვენებენ, სრულიად გამოვჯანსაღდი. იასესაც მისმა პირველმა ნერვიულმა აშლილობამ უკვალოდ გაუარა. მუშაობიდან ის საერთოდ განთავისუფლებულია, ამიტომ გადაეცით მის დედას — იასეს ჯანმრთელობაზე ნუღარ იჯავრებს. წერილებს გიგზავნით ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ კვირას. რატომ თქვენ მათ არ ღებულობთ არ ვიცი, თავისუფალი დროც ბევრი მაქვს, დავიწყე ფრანგული ენის გამეორება-შესწავლა.

როგორ არიან მზია და თამრიკო. რატომ თინა არ მწერს.

თქვენი წერილები გადმომცეს, მიუხედავად მისამართის შეცვლისა საერთოდ მე-12 ასეულიდან მე კარგა ხანია ცოცხალი თავი ძლივს დავაღწიე" ეხლა მე-6-ში ვარ. უკეთეს პირობებში. ამიტომ ამ მისამართით მომწერეთ წერილი.

ხმელეთთან მიმოსვლა ძალიან გაძნელებულია, მთელი თვეობით არ არის ფოსტა. ამინდი აქ მეტად ცვალებადია, ხან ქარბუქია და ხან დიდი შეთბურებაა. სულ სახლზე, თქვენზე და ჩემ სამშობლოზე ვფიქრობ, ძალიან მომენატრეთ. რატომ გავიწირე ასე მკაცრად, არ ვიცი. სულ სხვა სამყაროში ვარ მოხვედრილი. ჩვენებური ყველაფერი მაინტერესებს ავი თუ კარგი. ბევრის მოწერა მინდა, მაგრამ მაინც ცენზურა არ გაატარებს. ამიტომ უმჯობესია სიდინჯე.

საერთოდ, საკვირველი რამაა ეს საკონცენტრაციო ბანაკი. აქ განსაცვიფრებელი შერწყმაა დროსტარებისა და პატიმართა ტრაგიკული ბედისწერის.

მამა, ალბათ, ისევ ბევრ შრომაშია.

ერთი ვაჟიშვილი მძიმე ავადმყოფია, მეორე კი გადასახლებაში, მაგრამ რა ჰქნას. იმედია ახლო მომავალში ორივე ვაჟიშვილი ამაგს გაათვეცებით გადავუხდით.

ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდის.

ამბავი საქართველოდან ჩვენამდე ძალიან იშვიათად მოდის. გაზეთ კომუნისტის მარტო 6 ნომერი მივიღე, მომწერეთ ხშირად წერილები. თურმე ეს აქ აუცილებელია. ხასიათზე მაინც მხნედ ვარ, მოუთმენლად ვუცდი ნავიგაციის გახსნას, როდესაც ჩვენ ისევ შევუერთდებით პლანეტას, რომელსაც მინა ჰქვია. მისამართი ძველია — სოლოვკები, მე-6 ასეული.

ყველას, ყველას, ყველას სალამი და კოცნა.

ლევანი.

არჩილის ჯანმრთელობის შესახებ მომწერეთ დაწვრილებით. მან თვითონ მომწეროს.

ვკოცნი მზიკას და თამრიკოს. სანდროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეცით, რომ მან შეინახოს ჩემი ლექსები.
ლევანი.

მეორე წერილის მიღების შემდეგ ოჯახში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. ლევანის მხნედ და ჯანმრთელად ყოფნამ მშობლებზე დამაწყნარებელ მალამოდ იმოქმედა.

— მთავარია — ლევანი მხნედ და ჯანმრთელად იყოსო, — გულის ტკივილით იმეორებდა მამა. ლევანი ძლიერი ვაჟკაცია და პატიმრულ დუხჭირ ცხოვრებას ადვილად გაუძლებს, სიძნელეებსაც იოლად გადაიტანს. მამამ ისიც გაიგო, რომ სოლოვეცკის კუნძულებზე ბანაკებში მძიმე პირობების გამო, ვადის დაფარვაში შეღავათია. იგი ნახევრდება, ამიტომ ლევანი იქედან მალე დაგვიბრუნდებაო. გულს იკეთებდნენ მშობლები. ლევანი, რომ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად დასეირნობდა, არ მუშაობდა და ფრანგულ ენას რომ დაეწაფა, ამას მშობლები რაღაც შეღავათებს აწერდნენ, პირდაპირ საკვირველია იმ დროს, როდესაც ბანაკში მძიმე ფიზიკური შრომა ყველა პატიმრისათვის აუცილებელია. ლევანი ჭკვიანი ბიჭია, წერილებშიც თავშეკავებულია. არ ინერება ბანაკის საჭირბოროტო მტკივნეულ ამბებს. იცის, რომ ამას ცენზურა არ გაატარებს და, რაც მთავარია, ჩვენ გულს არ გვიხეთქავს. თორემ მამამ კარგად იცის, თუ იქ რა ცეცხლი ტრიალებს. კარგად გაერკვია და შეიტყო, თუ რას ნიშნავდა პატიმართა ტრაგიკული ბედისწერაც.

იქ, სამშობლოს მიღმა, საქართველოს მიმართ ლევანს მნიშვნელოვნად გაუღვივდა ცნობისმოყვარეობა. მას ყოველგვარი წვრილმანი აინტერესებს. პატიმრებისგან ბევრი რამ გაიგო და გაიცნობიერა. გულისტკივილით იწერებოდა — წერილები ხშირად მომწერეთო. ზოგჯერ ზარმაცობაშიაც კი გვდებდა ბრალს. წერილები აქ აუცილებელი არისო. ეშინოდა ჩრდილოეთის შორვთსა და სამშობლო საქართველოს შორის შემაკავშირებელი ძაფის გაწყვეტისა, ყოველ წერილში ამის მღელვარება იგრძნობოდა, რაც საშინელ სევდას ჰგვრიდა, მაგრამ საქმე უფრო სერიოზულად იყო. თვეში მარტო ერთხელ შეიძლებოდა წერილის მიწერ-მოწერა, დანარჩენ წერილებს ანადგურებდნენ. ჩვენ მაინც ვწერდით და ვწერდით, ლევანიც იწერებოდა და იწერებოდა. ზოგჯერ შემთხვევით ასეთი წერილიც აღწევდა მიზანს. ლევანი თავისი გულკეთილობით თავის ამხანაგებს თუ ჩვენ ნათესავებს იგონებდა და სალამს გვიბარებდა, მამა კი ღელავდა, ამ მოწერით და გახსენებით მათ არაფერი არ ევნოსო. ეხლა სხვა დრო არის და უბრალო ამბავი რთულ დანაშაულად შეიძლება გადაიქცესო, როგორც თვითონ მას შეემთხვა.

ჩემი გულკეთილი, ნაძალადევი ... ბიჭი გვიბრალებსო, — მამა ხშირად დედას ასე მიმართავდა. ლევანს თავის ლექსების ბედ-იღბალიც აინტერესებდა. ლექსები სანდრომ შემინახოსო. ის კი არ იცის, რომ ჩხრეკის დროს ლევანის ლექსები და ჩანაწერები „ჩეკაში" წაიღეს და ალბათ გაანადგურეს კიდეც.

ლევანს ანუხებს არჩილის ჯანმრთელობაც. მშობლები ხშირად უბრუნდებოდნენ ლევანის წერილების გადაკითხვას, უცებ შეკრთებოდნენ და სწუხდნენ ბანაკში ლევანის უმუშევრობის გამო.

— შეიძლება ლევანს ჯანმრთელობა ღალატობს და ის ჩვენ გვიმალავს და გვაწყნარებსო", აღშფოთებით იმეორებდა დედა, — შეიძლება სხვა რამეშია საქმე და ჩვენ ვერ მივხვდით", აყვებოდა მამა. მერე ისევ წერილის საშუალებით თავს იმშვიდებდნენ და მოუთმენლად ელოდებოდნენ შემდეგს.

2/VI — 1926 წ.
სოლოვეცკის კუნძულები.

ძვირფასო მშობლებო!

აი უკვე ორ თვეზე მეტია, რაც თქვენგან არ მიმიღია ცნობა. არ ვიცი რაცია საქმე და საშინლად ვნუხვარ.

უკანასკნელად წერილმა შემატყობინა არჩილის ავადმყოფობა, ეხლა როგორა გრძნობს თავს. რამდენიმე წერილი გამოვგზავნე, არ ვიცი, მიიღეთ თუ არა.

მე ჯანმრთელად ვარ. ფული, 45 მანეთი, მივიღე. სამუშაოდ საალმშენებლო რაზმში ჩამრიცხეს, მაგრამ ჯერ არ ვმუშაობ. მართალია თოვლი ჯერ არ დამდნარა, მაგრამ დღისით ზოგჯერ კარგი ამინდებია. ხანდახან ზაფხული იგრძნობა. მალე ალბათ გაიხსნება ნავიგაცია. ისევ მოვა დიდი ხნის ნანატრი თვითმფრინავი, რომელსაც ჯერჯერობით ფოსტა არ დააქვს, მაგრამ ფულად გადარიცხვას ალბათ უსათუოდ ჩამოგვიტანს.

რატომ არჩილი, სანდრო და თინა ხშირად არ მწერენ. ნუთუ ეს ძალიან მძიმეა. როგორ არიან მზია და თამრიკო. მოკითხვა ნათესავებს და ამხანაგებს.

მოკითხვა იასესაგან, ის სრულიად ჯანმრთელად არის, მუშაობიდან გაანთავისუფლეს. მისი დედა დააწყნარეთ, როგორც სჩანს მისი ჯანმრთელობის შესახებ ის ძალიან ღელავს.

მოკითხვა მაროს და ალიოშას, რას აკეთებს თიკო შემატყობინეთ.

მე მხნეთ ვარ. ამიტომ ჩემზე ნუ იწუხებთ, მოკითხვა ელიზბარს, ნუთუ მას იმდენად დაავიწყდა რუსული წერა, რომ არ შეუძლია წერილის მოწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომიგზავნეთ ქართული და ფრანგული წიგნები.

მოკითხვა ყველას, გკოცნით თქვენი ლევანი.

ლევანისგან გამოგზავნილ ყოველ წერილს დიდი მღელვარება და ამასთან ერთად ცრემლიანი სიხარული მოჰქონდა.

შორეულ ჩრდილოეთიდან ლევანი მშობლებს აწყნარებდა, ყოველთვის მხნედ და ჯანმრთელად ყოფნას იტყობინებოდა.

მშობლებსაც სწორედ ეს უნდოდათ: ჩრდილოეთში პატიმრულ ცხოვრებისათვის გაეძლო, შეგუებოდა და ჯანმრთელობა შეენარჩუნებინა. რაც კი მშობლებზე იყო დამოკიდებული, შესაძლებელი თუ შეუძლებელი, ისინი პირნათლად ასრულებდნენ.

ოჯახს მორალურად და მატერიალურად ძალიან გაუჭირდა, ბავშვებს დააკლდათ მშობლიური სითბო, დაირღვა მყუდროება, შემოაკლდათ საკვები და ჩასაცმელი. მთელი შემოსავალი უკლებად ორი უფროსი ვაჟიშვილის გაუთვალისწინებელ ხარჯებზე მიდიოდა. ყველაფერი ლევანისათვის და არჩილისთვის კეთდებოდა. ამაზე სხვა ბავშვები ხმას როგორ ამოვიღებდით! პირიქით, მშობლებს, რითაც შეგვეძლო, ვეხმარებოდით.

ორივე ძმის მდგომარეობა კრიტიკული იყო და კეთილი გამოსავალი არ ჩანდა. მამა სწუხდა მოსკოვიდან ლევანის შესახებ თხოვნაზე პასუხის დაგვიანებას.

ლევანის დახმარების საკითხის დადებითად გადაწყვეტის იმედი უკვე აღარ ჰქონდა, მაგრამ პატიოსანი კაცის ყაიდაზე სადღაც გულის სიღრმეში სიმართლის გამარჯვების ნაპერწკალი მაინცა ღვივოდა.

მშობლები ლევანის მუშაობის დაწყებით კმაყოფილნი იყვნენ. და მისი ამდენი ხნის უმუშევრობასთან დაკავშირებული ეჭვებიც გაეფანტათ.

ერთადერთი რაც მამას უკვირდა ვერ აეხსნა ისევ დიდი გულისწყრომა, წუხილი და გაჯავრება ლევანისა მეგობარ-ნათესავებზე, წერილებს რომ არ წერდნენ. წერილების მიწერის წინააღმდეგი თვით მამა იყო და ლევანის მისამართს არავის არ აძლევდა. საქართველოში შექმნილი პოლიტიკურად დაძაბული ვითარების გამო ფრთხილობდა.

გრძელდებოდა რეპრესიები, აპატიმრებდნენ უდანაშაულოდ, უფრო ეჭვის მიტანით, ერის საუკეთესო წარმომადგენლებს, სწავლულებს და სტუდენტებს, თანდათან საქართველოში სპობდნენ განათლებულ ხალხს.

ლევანს ეს უნდა სცოდნოდა, ან იქ გაეგო, — საყვედურობდა მამა. ერთ-ერთ წერილში ძალიან დიპლომატიურად ამის შესახებ მისწერა კიდეც იმ იმედით, რომ ცენზურა ნერილს გაატარებდა. მაგრამ, როგორც ირკვეოდა, წერილმა ლევანამდე ვერ ჩაიარა. [illegible] საძლებელია წერილის მიღებას [illegible] გზების დიდი ხნით ჩაკეტვაც აბრკოლებდა.

30/IX — 1926 წ.

საყვარელო დედა, შენი გამოგზავნილი წერილი დიდი დაგვიანებით მივიღე, ძალიან გამეხარდა შენი და ყველას კარგად ყოფნა. თბილისის ახალი ამბებიც მესიამოვნა. გთხოვ ჩემზე ნუ იდარდებ მე ჯანმრთელად ვარ. ხშირად გწერთ. პირველ რიცხვებში გამოგიგზავნეთ წერილი, არ ვიცი მიიღეთ თუ არა. როგორც უკვე გატყობინებდით ბუტირსკის ციხიდან თქვენგან გამოგზავნილი ფული მხოლოდ ეხლა მივიღე. სწორედ სულზე მომისწრო. მე ჯანმრთელად ვარ. სოლოვეცკის პრინციპებით უსათუოდ უნდა ვიმუშაო, მაგრამ ეხლა, მართალია დროებით, არსად არ ვმუშაობ.

სოლოვეცკში ზაფხული გაღვივდა, ხეები ძლივს აყვავდა, დაიწყო თბილი დღეები დღეს პირველად შევძელი ტბაში ბანაობა, რომელიც აქ ბევრი რაოდენობითაა. ხშირად ნავით დავდივართ ტბაზე.

ხასიათზე საერთოდ მხნედ ვარ, განსაკუთრებით დღევანდელი ახალი ამბის შემდეგ. ჩვენი ჯგუფიდან შოთა აბესაძეს გამოუცხადეს ეგრეთწოდებული მინუს 6, რაც ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია 6 მთავარ ქალაქში და მოსაზღვრე ზონაში ცხოვრება, მთლიანად გამორიცხულია კავკასიაც. ამიტომ მან საცხოვრებლად ქალაქი ვორონეჟი აირჩია და ამ დღეებში გაემგზავრება ეგრეთწოდებულ თავისუფალ გადასახლებაში. იქ იქნება თავისი მისჯილი ვადის დამთავრებამდე.

როგორ არიან ბავშვები, თინამ, ასე სჩანს, მე დამივიწყა, არჩილისგანაც დიდი ხანია წერილი არ მიმიღია. მამა ალბათ ძველებურად ჩაფლულია მუშაობაში. გადაეცი მოკითხვა ჩემგან. ვკოცნი მზიკოს და თამრიკოს.

დაწერეთ მისამართი ზუსტად.

ჩემო არჩილ! როგორ ცხოვრობ, როგორ არის შენი მეცადინეობა. ნუთუ შენც ჩემი არ იყოს დაკარგე წელიწადი? რატომ არ მწერ წერილს, ან რატომ ამხანაგები არ მწერენ?

მე ჯანმრთელად ვარ. სავსებით აღვიდგინე პირველადი ჯანმრთელობა. ვმუქთახორობ. ხშირად ტყეში ვსეირნობ და ნავით დავცურაობ, მაგრამ შენ ნუ გგონია, რომ მე არ ვმეცადინეობ. ფრანგულ ენას ძალიან სერიოზულად მოვკიდე ხელი. რამდენიმე თვეში ისევ ვილაპარაკებ წესიერად.

არჩილ! აქ სულ უცნაური, მაგრამ ამავე დროს, „საინტერესო" ამბები ტრიალებს.

ზამთარში გრანდიოზული ყინულოვანი მთებია, ან ჩრდილოეთ პოლარული ნათება. ზაფხულში თეთრი ღამეები, ან უფრო სწორედ, ღამის მაგვარად მოღრუბლული დღეები. მზე მთელი დღე-ღამე ჰორიზონტზეა.

მაგრამ, ჩვენ, ჩრდილოეთის მკვიდრნი, ყოველივე ამას დიდი ხანია მივეჩვიეთ. ამის შესახებ შემდეგ წერილში მოგწერ დანერილებით, ეხლა კი მე გთხოვთ გამომიგზავნო ზურაბ ავალიშვილის წიგნი, უახლესი ქართული ჟურნალები და წიგნები, ჩვენი სწავლების კურსი გეხტმანის, პოლიტიკურ ეკონომიაში, აგრეთვე ფრანგული წიგნები, წიგნების გამოგზავნა ადვილია ამანათით. მით უფრო, რომ ეხლა ნავიგაცია გაღებულია.

გადაეცი მოკითხვა ამხანაგებს და ნათესავებს.

შენ მოკითხვას გითვლის იასე, ისიც ჯანმრთელად არის.

მოუთმენლად ველი წიგნებს.

მოკითხვა ყველას. გკოცნით.

თქვენი ლევანი.

ლევანი იწერებოდა:

ტყეში ვსეირნობ, ნავით ვცურაობ და ტბაშიც ვიბანავეო. საწყალი დედა საშინლად აღელდა. ეს როგორ შეიძლება, ნუთუ ლევანს მაგის მოფიქრება არა აქვს, რომ ჯერ კიდევ ავადმყოფია, მორჩენილი რომ იყოს, ბანაკში უმუშევრად ვინ დასტოვებს და ასვ სეირნობის ნებას ვინ მისცემდაო. იმ წუთშივე მისწერა წერილი ლევანს და გულის ტკივილით ეხვეწებოდა ჯანმრთელობას გაფრთხილებოდა.

მამა ლევანის კარგ ხასიათზე ყოფნას პატიმარ აბესაძის ბანაკიდან ადრეულად თავის დაღწევას აწერდა. თურმე პატიმართა წესდებაში არსებობს ასეთი შესაძლებლობა, რომელიც ვერც მამას და ვერც ლევანს ვერ წარმოედგინათ. ალბათ ორივეს ერთდროულად, ლევანს შორეულ ჩრდილოეთში და მამას საქართველოში იმედის სხივმა გაუელვათ, მით უფრო რომ არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი მოსკოვიდან ჯერ არ იყო მოსული.

ლევანი არჩილის ავადმყოფობას სერიოზულად არ თვლიდა და ვერ წარმოედგინა, ასეთმა ნიჭიერმა სტუდენტმა, როგორიც არჩილი იყო, სასწავლო წელი როგორ გააცდინა. არჩილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდებოდა. ჭრილობიდან ჩირქის დენამ მოიმატა, მიუხედავად განმეორებით ოპერაციისა და ჭრილობის გასუფთავებისა, არჩილი საწოლს იყო მიჯაჭვული და სისხლის მოწამვლის ნიშნები ღრმავდებოდა.

ერთი თვის შემდეგ ლევანისგან კვლავ მივიღეთ არჩილის სახელზე გამოგზავნილი წერილი.

2/III — 1927 წ.

სოლოვეცკის მონასტერი.

ჩემო არჩილ! ძლივს მივიღე შენი წერილი. როგორც სჩანს, შენ ჯერ კიდევ ავადმყოფობ. ვფიქრობ საბოლოოდ მაინც მორჩები და ჯანმრთელად იქნები, მეც ჩამოვალ საქართველოში და ჩვენ, როგორც ყოველთვის, ძველებურად ისევ აქტიურად შევუდგებით სწავლა-განათლებას, გავახარებთ ჩვენ კეთილ მსურველებს და ვასახელებთ ჩვენ გვარსა და სამშობლოს. მე ჯანმრთელად და მხნედ ვარ. არაფრით არ მინდა დავეცე სულით. აქ ჩვენთან ყველაფერი ძველებურად არის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი — შოთა აბესაძე გაანთავისუფლეს. მისცეს მას (მინუს ექვსი), რომლის შესახებ გწერდით წინა წერილებში. დიდი სიხარულით და იმედით ის უკვე გავამგზავრეთ. გულში დაგვრჩა სევდა, და იმედის თვალი.

შორეულ ჩრდილოეთში გაზაფხული უკვე შევიდა თავის ძალაში, მოგვაბეზრა თავი თეთრმა ღამეებმა და ყინულოვანმა მთებმა. რა არის ადამიანის ცხოვრება, მისი სვებედი საიდან სად გადაგაგდებს. არასოდეს მე აზრადაც არ მომსვლია, როდისმე ასე მძიმედ განწირულად ყოფნა და სამშობლოზე ოცნება დამჭირდებოდა, ეშმაკმა დალახვროს. ბოლოს და ბოლოს ჩემთვის თუ ჩემისთანებისათვის როდისღა დადგება ნამდვილი სასიკეთო გაზაფხული? მომავალზე ოცნება კი ცივ ყინულეთში და საშიშ სამყაროში ფრთებ შეჭრილი გვრჩება.

როგორც ამინდია ცვალებადი, ისევე ჩვენი ცხოვრებაც და თვით სიცოცხლეც ცვალებადია. ისე უცებ გაგაქრობენ ვერც კი მიხვდები.

როგორც კი დაუბერავს ჩრდილოეთის ქარი, ბანაკში ყველაფერი თავიდან ბოლომდე ირევა. რა ხდება არ იცი, სად ქრება ხალხი ვერ მიხვდები, ზოგჯერ თუ დათბა აქაურობა და სიცხეც შეიგრძენი ეს სიკეთეა იცოდე. ჩვენც კეთილად ვგრძნობთ თავს, ცოცხლებში გარეულები. ძალიან შორსა ვართ გადმოგდებული სამშობლოდან. ტყუილად კი არ არის ეს თეთრი, ცივი ზღვა და არც ტყუილად ჩვენ ვიმყოფებით 250 კილომეტრით დაშორებული ჩრდილოეთ პოლარული რკალიდან. საერთოდ ვცდილობ რამდენადაც შესაძლებელია ამაზე არ ვიფიქრო და დრო არ დავკარგო უქმად.

გადაეცი ამხანაგებს მოკითხვა და გააფრთხილე ისინი, რომ წერილები წერონ რუსულ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება წიგნებს, ქართული წიგნების გამოგზავნა შეიძლება, მათ არავინ არ იკავებს. უკეთესია წიგნები გამოგზავნოთ ამანათით. გამომიგზავნე უსათუოდ ახალი ლიტერატურული ჟურნალები, ზურაბ ავალიშვილის წიგნი, და გეხტმანის სახელმძღვანელო პოლიტიკურ ეკონომიკაში. აგრეთვე ახალი მასალები მ. ზანდუკელის, თუ კი ის უკვე გამოვიდა, ქართულ და სხვა გაზეთებს ჩვენ ვღებულობთ. ამიტომ მაქაური ცნობები, მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც ჩვენამდე აღწევენ.

ვკოცნი მზიკას და თამრიკოს. ბავშვები ძალიან მომენატრა.

როგორ არის მამის და დედის ჯანმრთელობა. ვნუხვარ, რომ ჩვენ ორივემ უზომოდ გავანვალეთ, მაგრამ ვიმედოვნებ, ეს დროებითი ამბავია და ჩვენ მათ მომავალში გავახარებთ. მოკითხვა ბიძია ვანოს, დეიდას და მათ შვილიკოს.

არჩილ! შენ მაინც მალე გაჯანმრთელდი. დაამთავრე უნივერსიტეტი. საითკენ წახვალთ ზაფხულში? თუ ისევ აბასთუმანში ნახვედით, ყველა ძველ ნაცნობებს მოკითხვა გადაეცი.

წერილი გამომიგზავნე აგარაკიდან. ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივია. შავი ზღვის ცხელი სანაპიროებიდან ანდა აბასთუმნის უმშვენიერესი ხეობიდან თეთრი ზღვის ცივ სანაპიროსაკენ — სოლოვეცკის კუნძულებზე.

ყოფილი უძველესი მონასტერი ძირფესვიანად გაჟღენთილია რუსული ავი სულით. ეხლანდელი საკონცენტრაციო ბანაკები ისეთი ალარ არიან, რაც სხვა მთავრობის დროს იყო. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, სადაც მოქმედებს სისასტიკისა და ულმობელობის საშინელი კანონები. აქ ადამიანთა სიკვდილ მძვინვარებს, როგორც სრულიად ჩვეულებრივი უბრალო ამბავი.

მოკითხვა ყველას, ყველას, აბა თავს მოუარე.

გკოცნი ლევანი.

მშობლები ყოველ წერილის მიღებას განიცდიდნენ. ლევანის შინაგან გულის ტკივილს მძიმე ფიქრებს დაკავშირებულს პატიმრულ ჭირ-ვარამთან, თავის ფიქრებთან მარტოდ დარჩენას, მომატებულ ნერვიულობას და სხვა გაჭირვებას სტრიქონებს მიღმაც ამოიკითხავდნენ ხოლმე. ამას მოჰყვებოდა სანყალი მშობლების გრძნობათა ჭიდილი. კიდეე კარგი, რომ მშობლებმა გვიან გაიგეს ლევანის მძიმე თავგადასავალი, რომელსაც ის შეეყარა სოლოვეცკის კუნძულებზე ჩამოსვლისთანავე, ამას მშობლები ალბათ ვერც გადაიტანდნენ.

სოლოვეცკის მონასტრიდან გამოგზავნილ ყოველ წერილში ლევანი მშობლების დასანყნარებლად ჯანმრთელად ყოფნას რომ [illegible] ირებოდა და არ მუშაობდა, საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. ამას ჰქონდა თავისი [illegible] სერიოზული და სავალალო მიზეზი.

სოლოვეკებში ჩამოსვლისთანავე, — იგონებდა ლევანი, — ქართველ პატიმართა ჯგუფი ბნელ, ნესტიან, მუხლებამდე ჩამყაყებული წყლით სავსე საშინელ სუნიან და ანტისანიტარულ სარდაფში მოათავსეს. როდესაც გამოერკვნენ პირველი საშინელებისაგან, დაინახეს, რომ უამრავ ტიტველა კაცების გარემოცვაში მოხვდნენ. მათი შემხედვარენი კინაღამ შოკში ჩაცვივდნენ. დახეთ საშინელებას! უმრავლესობას მათ შორის მკერდზე და მუცელზე ორ წყებად პირდაპირ კანზე მიკერებული ჰქონდათ ბრჭყვიალა სამხედრო ღილები, ზოგიერთებს კი ბარძაყებზე კანი ჯიბეებივით აკეცილი ამობრუნებული და ამოკერილი ჰქონდათ ხელის ჩასაყოფად ან რამეს შესანახად. ტანზე მხატვრობას (ტატუიროვკა) ნუ იტყვით რას არ ნახავდი. რამდენი გაუძლიათ პატიმრებს, ზოგს ძალით და ზოგს ნებით. აგრეთვე ახალჩამოსულების ყურადღება მიიქცია ბევრი პატიმრის მუცლებმა. მკერდის ძვლიდან ბოქვენამდე, მკვეთრად გამოხატული ზოგს ძველი და ზოგს ახალი ნაოპერაციები ნაწიბურები ჰქონდათ ეს იმიტომ, რომ მე-12 ასეულისაგან თავის დასაღწევად და ცოტა ხნით მაინც საავადმყოფოში მოხვედრის მიზნით გასაცოდავებული პატიმრები ყლაპავდნენ გატეხილ ალუმინის კოვზებს და ამ მძიმე, რთულ კუჭის ოპერაციას იტანდნენ.

რას წარმოიდგენდნენ ქართველი ბიჭები რომ პოლიტიკურ პატიმრებს, როგორც მათ ეძახდნენ, კანონიერ ქურდებთან, მკვლელებთან, ბანდიტებთან, ისეთ პატიმრებთან, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ ხანგრძლივი პატიმრობის ვადა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, ამ თავზეხელაღებულ ვიგინდარებთან სარდაფში ერთად იცხოვრებდნენ და აქაური ყოფისა და კვების რეჟიმს გაინაწილებდნენ.

ახალჩამოსულების მიმართ სარდაფში იმწუთშივე იწყებოდა შემზარავი შეტევა. აქ შეყრილ ვიგინდარებს ჰყავდათ თავისი „ატამანები" და დამრტყმელები, როგორც ისინი ეძახოდნენ, დაუმორჩილებელი პატიმრების მომრჯულებლები. მათ იმწუთშივე დაიწყეს ახალბედების შეევიწროვება. ისინი გაჰკიოდნენ თურმე — ახალჩამოსულებმა აქაური ქუდი უნდა დაიხურონ, იცოდნენ აქ დამკვიდრებული წესი და ადათები.

დამხდურებს თავიდანვე უნდოდათ ახალშემატებულთა დათრგუნვა, დაჩაგვრა, ხელ-

ქვეითად ქცევა, როგორც იქ საერთოდ იყვნენ მიჩვეულნი.

დაიწყო მათი წვალება, ჩაგვრა, ფულის, საკვების, ტანსაცმლის წართმევა. ქართველ ბიჭებს განსაკუთრებით აგიუებდა მათ მიმართ უდიდესი დაცინვა, ლანძღვა-გინება, ცინიზმი, სტუდენტების, განათლების, ეროვნების, პატრიოტიზმის და ინტელიგენტობის აბუჩად აგდება. ეს ყოველივე აურზაურში, საშინელ შეხლა-შემოხლაში და მუშტი-კრივში გადადიოდა.

ბიჭებმა, მათ შორის ლევანმაც, ბევრი შეურაცხყოფა მოითმინეს. მუშტი-კვრივშიაც ჩაებნენ, ფიზიკური და მორალური ტკივილიც აიტანეს. აბა, ამდენ ხელაღებულ არამზადა-პატიმარს ვინ მოარჯულებდა, ან ვინ გამოასწორებდა. მით უფრო, რომ ზედამხედველებისათვის და ბანაკის უფროსებისათვის აქ ყველა პატიმარი ერთი იყო. მათ ხელს აძლევდა ბანაკში ახალბედა და ძველ პატიმრებს შორის ჩხუბი. შეხლა-შემოხლას ხელს არ უშლიდნენ, პირიქით, აქეზებდნენ კიდეც. პატიმართა შორის ჩხუბს და მუშტი-კრივს არაფრად აგდებდნენ, მით უფრო, რომ პატიმართა მორჯულების და დამონების ასეთი მეთოდი ამ ბანაკში წესად ყოფილა დამკვიდრებული.

— ჯანყი ერთ კვირას გასტანს, ყოყლოჩინა ახალბედები დაიბეგვებიან, მერე მღელვარება და შეხლა-შემოხლა დღითი-დღე შემცირდება და, როგორც ყოველთვის, ყველაფერი მონესრიგდება, ბანაკში სიმშვიდე დამყარდებაო, — გაიძახოდნენ ზედამხედველები. ურჩ პატიმართა მორჯულების ეს მეთოდი ამ ბანაკში მიღებული ყოფილა. რაც მთავარია „ატამანებთან" ადმინისტრაცია შეკრულიც კი იყო, გამოსავლის მხოლოდ ორი გზა არსებობდა: სრული დამორჩილება, ან საერთოდ ჩამონერა — სიკვდილი.

ყველას გასაკვირად, იმჯერად ასე არ მოხდა. მღელვარება, შეხლა-შემოხლა, მუშტი-კრივი დღითი დღე მწვავდებოდა, ქართველმა ბიჭებმა, მათ შორის ლევანმაც, თავზე ხელაღებულ ბრბოს, რომელიც მათ დასარბევად დაესია, მორჩილება არ ისურვეს. მართალია ბევრი თავმოყვარეობის შელახვა და ფიზიკური შეურაცხყოფა გადაიტანეს, მაგრამ ბანაკის ადმინისტრაციის, ვიგინდარების, ატამანის და ზოგიერთი პიროვნება დაკარგული პატიმრების, რომლებიც საცოდაობის თვალით უყურებდნენ ახალგაზრდებს და მათი სიცოცხლის შესანარჩუნებლად თავის დახრისაკენ მოუწოდებდნენ, გასაკვირად მოულოდნელად იძულებული გახდნენ უკიდურესი ღონისძიებისათვის მიემართათ. მათ შიმშილობა გამოაცხადეს პროტესტის ნიშნად. მოითხოვდნენ ამ საშინელი სარდაფიდან დაუყოვნებლივ გადაყვანას პოლიტიკური პატიმრებთან. 23 ახალგაზრდამ [illegible] ლობა. 20 დღის შემდეგ ისინი [illegible] ბი ყველა საავადმყოფოში გადაიყვანეს, [illegible] 30 დღის შემდეგ მათ მიაღწიეს მიზანს, მაგრამ საშინელი მსხვერპლის ფასად: ამ ქართველების დიდი ჯგუფიდან მხოლოდ 6 ახალგაზრდა გადარჩა, ესენი იყვნენ იასე ფავლენიშვილი, ბესო ვაშაკიძე, შალვა დადიანი, პეტრე კურცხალია, შოთა აბესაძე და ლევან გოთუა. დანარჩენები, მტკიცე ნებისყოფის ჭეშმარიტი ვაჟკაცები, დაიღუპნენ და ასე უკვალოდ დაიკარგნენ ტრაგიკულად სამშობლოს სიყვარულით სამშობლოს მიღმა ჭეშმარიტი მამულიშვილები. შესაძლებელია ამ ახალგაზრდების ასეთი ტრაგიკული სიკვდილი მთავრობას ხელს აძლევდა კიდეც.

მაშინ იწერებოდა ლევანი — მე-12 ასეულიდან ცოცხალი თავი ძლივს დავაღწიეო. აბა სხვას რას გამოატარებდა ცენზურა! ბიჭები სიკვდილის პირას იყვნენ მისული, ამიტომ მათ სიცოცხლისაკენ შემობრუნებას დასჭირდა ბევრი დრო და დიდი ხნით ხელოვნური კვება. სისუსტეს და კახექსიას ნერვიული აშლობანი მოჰყვა. განსაკუთრებით მძიმედ გადაიტანეს შიმშილობა იასე ფავლენიშვილმა და ბესო ვაშაკიძემ, ისინი ძლივს გადარჩნენ. იმიტომ იყო, რომ ლევანი იასეს შესახებ ყოველ წერილში გვატყობინებდა. ლევანმა შიმშილი უფრო იოლად გადაიტანა, მაგრამ მაინც 5-6 თვე დასჭირდა გამოკეთებას და ჯანმრთელობის დაბრუნებას. სწორედ ამ პერიოდში ლევანი არ მუშაობდა, იყო საავადმყოფოს ტერიტორიაზე და კუნძულზე თავისუფლად დადიოდა.

ლევანისათვის სოლოვკებში შიმშილის ამბავის და ამდენ ქართველი ბიჭების დაღუპვის გახსენება შემაძრწუნებელი იყო. რას იფიქრებდა ლევანი, რომ შიმშილობისაგან ერთხელ ძლივს გადარჩენილს, კვლავ დასჭირდებოდა პროტესტი და შიმშილობის გამოცხადება (ამაზე ქვევით შევჩერდებით).

წერილებით ვხვდებოდით, რომ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების უმრავლესობა ლევანამდე არ აღწევდა. მაგალითად, ზურაბ ავალიშვილის წიგნი ლევანს 3-ჯერ გავუგზავნეთ. გვიკვირს რატომ თავის დროზე არ მიხვდა მამა, რომ ამ წიგნს ცენზურა არ გაატარებდა, ის ხომ საქართველოს დამოუკიდებლობას ეხებოდა.

მე-6 ასეული კი საავადმყოფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ამიტომ პატიმრებიც საერთო რეჟიმისა და კვების მხრივ შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ. შიმშილობის შემდეგ ვერა და ვერ გამოკეთდნენ. ამ დროს კი უწიგნობა და, განსაკუთრებით, ცარიელი კონვერტების მიღება ხომ მათ აგიუებდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც. თვითონ განსაკუთ... ძლიერი ნერვიული დაჭიმულობით, დიდი ფსიქიური დაძაბვით, ხანგრძლივი მოლოდინით, რომელიც გიტეხავს ხასიათის სიმტკიცეს. უცდი სამშობლოდან ცნობას — წერილს, ერთადერთ ძაფს, დამაკავშირებელს საქართველოსთან და მოგდის ცარიელი კონვერტი. ეს ხომ სადიზმია!

შემდეგ ჩვენთვის დაიწყო ყველაზე მძიმე პერიოდი. შეწყდა წერილები. როგორც გამორკვა, ამას თავისი დადებითი მიზეზი ჰქონდა.

დედ-მამა აფორიაქდნენ. მთელი ოჯახი მნუხარებამ მოიცვა. რა მოხდა, რაშია საქმე? ლევანი სად დაგეკარგა? — ადგილს ვერ პოულობდა მამა. და, აი მოხდა სასწაული, მამამ მიიღო ოფიციალური ცნობა რუსეთიდან, აბელ ენუქიძის ხელმონერით. საქმე გადაიხედა და ლევანს პატიმრობა სოლოვეცკის კუნძულზე თავისუფალი გადასახლებით შეეცვალა მინუს 6-ით.

ე. ი. ლევანს ყველგან შეეძლო თავისუფალ გადასახლებაში წასულიყო გარდა 6 სატახტო ქალაქისა, კავკასიისა და საზღვრისპირა ქალაქებისა. საჭირო გახდა სასწრაფოდ ქალაქის არჩევა, თუ სად წავიდოდა ლევანი თავისუფალ გადასახლებაში.

დედა სულ იმას გაიძახოდა — თუ საქართველო გამორიცხულია, ისეთი ქალაქი შეერჩია მამას, რომ ლევანი საქართველოსთან ახლოს მაინც ყოფილიყო. მამა კი ლევანისათვის არჩევდა ქალაქს, სადაც უნივერსიტეტი იქნებოდა და ლევანი უმაღლესში სწავლას გააგრძელებდა. ბოლოს დედა და მამა შეთანხმდნენ, სხვადასხვა მოსაზრების გამო, ლევანისათვის ვლადიკავკაზი აერჩიათ. მამა თვითონ იქ მუშაობდა და ბევრი ნაცნობი ოჯახი და მეგობრები ჰყავდა, რომლებიც ლევანს სათანადო დახმარებას გაუწევდნენ. ლევანს ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობეს, ლევანიც თანახმა იყო ამაზე, ოღონდ სოლოვეცკის კუნძულებს, ამ საშინელ ბანაკს მოსცილებოდა და თავი დაეღწია საშინელ პატიმრობისაგან, რომელიც თავისი რეჟიმით სიკვდილს უდრიდა. ოჰ, როგორი იმედი და კეთილი აზრები ტრიალებდა ყველას გულში, როგორი სიხარულის განცდა და ლევანისადმი დიდი თანაგრძნობა. არავინ არ ფიქრობდა იმაზე, რომ ვლადიკავკაზში ლევანს თავისუფალ გადასახლებაში ყოფნა გაუჭირდებოდა და იქაც მძიმე ჩეკისტურ რეჟიმში მოუხდებოდა ცხოვრება.

ლევანის სოლოვეცკის კუნძულებიდან თავის დაღწევასთან დაკავშირებით ოჯახში უჩვეულო სიხარული დატრიალდა, მღელვარებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. დედას თვალზე სულ სიხარულის ცრემლი ციმციმებდა, — მე ტირილი არ მინდა. სიხარულისაგან თავის თავად მეტირებაო. სა... მამა კი, ეს წყნარი და ძუნწად მოლაპარაკაცი, სულ ლაპარაკად გადაიქცა. აღგზნებული ხმამაღლა ყველას უყვებოდა: — ლევანს რაიმე სერიოზული დანაშაული რომ ჰქონდეს, აბა ვინ აპატიებდაო. მართლაც, ვლადიკავკაზში ყოველ კვირა „ჩეკაში" უნდა გამოცხადებულიყო და ხელი მოეწერა, ზოგჯერ ადგილობრივი ორგანოები დაკითხვასაც მოუნყობდნენ, მაგრამ ეს წერილმანებია სოლოვკასთან შედარებით. ერთი ნელიწადი წაიმუშავებს, ცოტას დაისვენებს, ჩადგება თავის კალაპოტში. დაიწყებს მზადებას უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად და შესაძლებელია ახლო მომავალში თბილისში ჩამოსვლის ნებაც მისცენო. მით უფრო, რომ სოლოვკებში ერთი ნლის ყოფნა ნელიწად ნახევრად ჩაუთვალეს (იქ მძიმე პირობების გამო). ფაქტიურად პატიმრობის განახევრებული ვადა რჩებოდა. მშობლები სულ იმედოვნებდნენ ვლადიკავკაზში თავისუფალ გადასახლებაში ყოფნა ლევანისთვის გაცილებით ადვილი საქმე იქნება, ვიდრე რუსეთის სხვა რომელიმე ქალაქში. ყველაფერში სასიკეთოს ხედავდნენ და ამით ცოცხლობდნენ.

ბედნიერება იყო ჩვენთვის — ბავშვებისათვისაც, როდესაც დედის და მამის სახეებზე ღიმილი დავინახეთ, თურმე, როგორ ცოტა რამ სჭირდება ადამიანის ბედნიერებას — მშობლებს შვილების კარგად ყოფნა. ჩვენ კი ვხარობდით მშობლების შემხედვარე.

ცოტა ხანში ოჯახში ძირფესვიანად შეიცვალა განწყობილება, ცხოვრება თითქოს და ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ამის აღსანიშნავად მშობლებმა პატარა ზეიმიც კი გამართეს, მოიწვიეს ლევანის ახლო ამხანაგები და ნათესავები. სწრაფად გაიშალა საზეიმო სუფრა. განსაკუთრებით მშობლები და საერთოდ ყველა გამსჭვალული ვიყავით დიდი მადლიერების გრძნობით აბელ ენუქიძის მიმართ, რომელმაც ლევანი ნამდვილად გადაარჩინა უმძიმეს კატორღულ პირობებს. მამას მომზადებული ჰქონდა მადლობის წერილი, რომელიც ყველას წაგვაკითხა.

ლევანის ამხანაგებმა გადაწყვიტეს ახალგაზრდობის სახელითაც ამ კეთილი კაცისათვის გამოეცხადებინათ გულითადი მადლობა.

განსაკუთრებით გაიხარა არჩილმა. ლევანის სოლოვკებიდან გამოღწევამ დიდი მომავლის იმედი ჩაუნერგა. საწოლს მიჯაჭვული, ძლიერ დაასუსტა ავადმყოფობამ. მიუხედავად მშობლების ბევრი თხოვნისა, თითქოს ეზარებოდა საწოლიდან ადგომა. ამჯერად კი ადგა და მაგიდას მიუჯდა, მართალია ძალიან ფერმკრთალი და გამხდარი, მაგრამ

ნაღვლიანი დიდი თვალები სიცოცხლით უბრწყინავდა. ეტყობა თავს ძალა დაატანა, არაჩვეულებრივად მოიღლინა და სტუმრებიც გაამხიარულა, ჩვეული ენამახვილობით და სხარტი სიტყვით ყველა გააკვირვა და ბევრი აცინა. ყველა აღტაცებით შესცქეროდა. განსაკუთრებით ხარობდა დედა — თურმე როგორ გაზრდილა და განვითარებულა ჩემი ჭკვიანი და გონიერი ბიჭუნა, ლევანის გადამკიდე მას ალერსი დავაკელით, სიხარულით ნაზად ჰკოცნიდა. ბავშვები ხშირად დედას არჩილისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს ხუმრობით ვუსაყვედურებდით კიდეც, შენ არჩილი გყავს გამორჩეული და უფრო გიყვარსო, ვეუბნებოდით. დედა ყოველთვის ალერსიანად ღიმილით ყველას გადაგვკოცნიდა და გვიპასუხებდა: არჩილი ჩემი პირმშოა, თქვენგან სავსებით განსხვავდება სილამაზით თუ გონიერებითო და. რაც მთავარია, ავადმყოფობამ დაჩაგრა და მეცოდებაო. შესაძლებელია, ამიტომ ჩემგან მეტი ყურადღება ხვდებაო. თქვენ სუყველა ჩემი საყვარელი შვილები არა ხართო? მალე ლევანიც აქ გაჩნდება და მერე სადარდებელი აღარ გვექნება მე და მამასო. მშობლები ხარობდნენ, რომ ორივე შვილის მდგომარეობა უკეთესი არისო. არჩილის მოლხენას გაუმჯობესებას აწერდნენ.

ამ დროს კი, ვინ იცოდა, რომ ცოტახანში ჩვენ დიდი უბედურება გველოდა და არჩილის ასეთი მოლხენა მისი ბედისწერის და სიცოცხლის უკანასკნელი გაელვება იყო.

არჩილი ნამდვილად მძიმე ავადმყოფი იყო. სისხლის მოწამლვა, მიუხედავად მკურნალობისა, დღითი დღე ღრმავდებოდა, მაგრამ მისგან არასდროს რაიმე ჩივილი, კვნესა ან საყვედური არავის გაუგონია, ყოველთვის ინვა ჩუმად, წიგნებში ჩაფლული და მშობლებს გულს არ უხეთქავდა. 1927 წლის ივნისის ბოლოს ასე ჩუმად დალია სული.

არჩილის გარდაცვალებამ თავზარი დაგვცა. დედა გიჟს დაემსგავსა, მისი კივილ-ტირილი ზარს სცემდა იქაურობას, მამა გლოვის გამოხატვას ვერ ახერხებდა, დედის ასეთი მდგომარეობით შეწუხებული სულ მის დაწყნარებაში იყო. ბავშვები მიტოვებული ვიყავით და არც არაფერი გვინდოდა.

ყველას გვესმოდა, თუ რა საშინელი ცეცხლი ტრიალებდა ჩვენს სახლში: 24 წლის ასეთი შვილის დაკარგვა წარმოუდგენელი უბედურება იყო. ამის აღნერა და გადმოცემა ნამდვილად შეუძლებელია, მხოლოდ ის გვახსოვს, რომ დედა და მამა უცებ ღრმად მოხუცდნენ, დედამ ხანგრძლივად იავადმყოფა, გლოვაც დიდხანს გაგრძელდა ჩვენს ოჯახში.

მამამ ყველას სთხოვა — ლევანს ჯერჯერობით არჩილის გარდაცვალებას ნუ შევატყობინებთო. ცოდოა ბიჭი, [illegible] შერჩეს სოლოვკებიდან [illegible] ხარული და კარგი განწყობილებაში.

1927 წლის აგვისტოში 22 წლის ლევანი ქალაქ ვლადიკავკაზში ჩამოვიდა. მამას რჩევით ლევანი გიორგი ნათაძის ოჯახში მივიდა.

პატონი გიორგი მლვდელი იყო, უაღრესად სნავლული, განათლებული, პატიოსანი და კეთილი კაცი, მამას დიდი ხნის მეგობარი ამ ქალაქში მამა გიორგის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც ქართველ საზოგადოებაში, ასევე იქაურ მთავრობაში.

ვლადიკავკაზი პატარა, მწვანეში ჩაფლული რაიონია, არაჩვეულებრივ ლამაზი ხილის ბაღებში და ყვავილნარებში ჩადგმული ერთორ სართულინ კოპწია სახლებით. ეს ქართველთა სათვისტომოა. ამ რაიონში 10.000 ქართველი ცხოვრობდა, აქვეა ქართული სკოლა და ეკლესია.

სწორედ ამ ეკლესიაში წირავდა მამა გიორგი. გარდა ამისა, მამა გიორგი ქართულ სკოლაში უფროს კლასებს ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

მამა გიორგიმ ქართული კლუბი ჩამოაყალიბა, სადაც იკრიბებოდა იქაური ქართველი საზოგადოება. კლუბში არსებობდა სხვადასხვა თვითმოქმედი წრე, იმართებოდა წარმოდგენები და ლიტერატურული საღამოები. აქვე იმართებოდა თათბირები და საქმიანი საუბრები.

მამა გიორგის გამოძახებით კლუბის ყველა ნევრი შეიკრიბა. მან მოახსენა საზოგადოებას, რომ ქალაქში ჩამოსულნი არიან ქართველი ახალგაზრდები გადასახლებიდან და საჭიროა პირველ ხანებში სანამ სამსახურში მოეწყობიან, სათანადო დახმარება, ვის შეუძლია ისინი ბინით დააკმაყოფილოსო. აქვე იყო მეტად კეთილი კაცი სიმონ დიმიტრის ძე ბურდული, რომელმაც გადაწყვიტა ახალგაზრდების თავის სახლში ნაყვანა და მათთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა. ლევანს სოლოვეცკის კუნძულებიდან წამოჰყვა გამოშვებული 2 ქართველი პატიმარიც, — პეტრე კურცხალია და შალვა დადიანი. ისინი ლევანთან ერთად ვლადიკავკაზში ჩამოვიდნენ.

ბურდულების ოჯახმა ამ სამ ახალგაზრდას თავის საკუთარ სახლში შესანიშნავი ოთახი გამოუყო შუშაბანდით და სამზარეულოთი. შეუქმნეს ცხოვრების საუკეთესო პირობები. ოჯახის ახალგაზრდებს პლატონ ბურდულს და მის დას ზინას კარგად ახსოვთ, თუ როგორი გასაცოდავებული და გაწამებული მოვიდნენ მათთან ეს ახალგაზრდები, შორი გზით გადაღლილები, მშიერ-მწყურვალნი, ჭუჭყიანები. ტანსაცმელ-ჩამოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთილი მათხოვრებს ჰგავდნენ. 3 კვირის განმავლობაში, გარდა „ჩეკაში" გამოცხადებისა, სახლიდან გარეთ არ გასულან, ისვენებდნენ და ეძინათ.

ბურდულების ოჯახი ვლადიკავკაზში მთიულეთიდან გადმოსახლებულიყო 1889 წელს. ისინი დიმიტრი პაპას ჩამოუყვანია. აქ აუშენებიათ შესანიშნავი სახლი და დამკვიდრებულან. შემდეგ ეს ოჯახი გაიზარდა და გამრავლდა. თვით სიმონ დიმიტრის ძე ბურდული მეტად განათლებული და სნავლული კაცი იყო, მას შესანიშნავი ცოლი ნინო ჰყავდა. ჩამოსული ახალგაზრდები ბავშვებზე ასაკით უფროსები იყვნენ, მაგრამ ისინი სწრაფად დამეგობრდნენ. ამ ოჯახმა ახალგაზრდებს დიდი დახმარება გაუწია. ლევანი მათ ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით იგონებდა. პლატონ ბურდული იგონებს: ჩამოსულებიდან პეტრე კურცხალია უფრო ხანდაზმულად გამოიყურებოდა. ხუმრობა არ უყვარდა, დინჯი, დაფიქრებული, სერიოზული, განათლებული, ინტელიგენტი კაცი იყო. პროფესიით მასწავლებელი, ამასთან ერთად დიდი პატრიოტი. სასტიკად სძულდა რუსოფილები. მან სავაჭრო დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა — ნაკლებ კონტაქტი მექნება რუსებთანო. შალვა დადიანი ახალგაზრდა, მხიარული ყმაწვილი, ამაყობდა თავისი თავადიშვილური წარმოშობით. რატომ მოხვდა სოლოვკებში არ იცოდა, ვინაიდან ისე დააპატიმრეს და გადაასახლეს, რომ არსად არაფერი უთხრეს. ალბათ იმიტომ გადამასახლეს, რომ თავადიშვილი ვარო, — ამბობდა თვითონ. შალვა არავითარ პატრიოტობას არ ამჟღავნებდა და არც პოლიტიკა არსებობდა მისთვის. შემდგომში სახლიდან მატერიალურად მეტად კარგად ეხმარებოდნენ და ისიც ხშირად ქეიფობდა და არშიყობდა.

ლევანი 20-21 ნლისა იყო, გონიერი და ნიჭიერი. ხელში რვეული ეჭირა და სულ წერდა და ბატავდა. რვეულში საკუთარი ლექსები, დღიურები და ყოველდღიური ჩანაწერები ჰქონდა.

ჩამოსვლისთანავე სამივენი „ჩეკაში" გატარდნენ აღრიცხვაზე. მათ დაადებინეს ხელწერილი, რომ ქალაქიდან არსად გავიდოდნენ და კვირაში ერთხელ დანიშნულ დროს გამოცხადდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში პატიმრობით დაექადნენ.

ბიჭებს, რატომ არ ვიცით, ეგონათ, რომ ვლადიკავკაზის „ჩეკაში" მათ უფრო ლმობიერად და ადამიანურად შეხვდებოდნენ და ნორმალურად მოექცეოდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით, „ჩეკაში" პირველი შეხვედრა მკაცრი, მკვახე და ხანმოკლე იყო.

ჩეკა ყველგან „ჩეკათ" რჩება თავისი რეჟიმითა და იქ მომსახურე უგულო პერსონალით, მით უფრო იმ მძიმე წლებში.

მამა გიორგი ნათაძის ოჯახში ლევანი ყველთვის შვებას ჰხედავდა. ხშირად დადიოდა და ოჯახის წევრებს დაუმეგობრდა. განსაკუთრებით დამეგობრდნენ ლევანი და ვახტანგი. ისინი თითქმის ერთი ასაკისა იყვნენ. ხშირად ერთად ჭადრაკსაც თამაშობდნენ.

ლევანმა ამ ოჯახში გაიცნო ვლადიკავკაზის იმ დროინდელი ინტელიგენციაც: მეტრეველები, სიდამონიძეები, ტატულაშვილები, ელერდაშვილები და სხვა. ლევანმა დაიწყო სამსახურის ძებნა. ქალაქ ვლადიკავკაზში ამ დროს სამსახურის მიღება ძალიან გაუჭირდა, უფრო სწორედ, სამუშაოდ არსად არ მიიღეს. ქართულ სკოლაში კი ადგილი საერთოდ არ იყო. ლევანი „ჩეკასთან" შეთანხმებით იძულებული გახდა დროებით ყიზლარის ქართულ სკოლაში მასწავლებლად წასულიყო. შაბათ-კვირას ვლადიკავკაზში ჩამოდიოდა, პირველ რიგში „ჩეკაში" აღირიცხებოდა და შემდეგ ბურდულებისა და ნათაძეების ოჯახებს მოინახულებდა. რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ ლევანი ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში გადმოვიდა სამუშაოდ.

ლევანის მე-19 ქართულ სკოლაში მოღვაწეობის შესახებ იგონებს ქალბატონი ნინო ელერდაშვილი: „1927-1929 ნელს მთლად ახალგაზრდა ლევან გოთუა სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

მართალია ახალგაზრდა იყო, აკლდა დავაჟკაცება, მაგრამ როცა ის შედიოდა კლასში გაკვეთილებზე, თავისი დინჯი, წყნარი საუბრით აჯადოებდა მომავალ ჩვენს თაობას, იმ დროს იქ სწავლობდა ჩემი უმცროსი ქალიშვილი, ნატალია ელერდაშვილი. უფროსი ქალიშვილი ელენე კი ლევანთან ერთად მუშაობდა მასწავლებლად დაწყებით კლასებში.

ქართული ლიტერატურა და საქართველო ლევანმა ბავშვებს იმდენად შეაყვარა, რომ 1930-იან წლებში ბევრი ქართული ოჯახი გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად. ლევანი იყო გატაცებული მწერლობით, ხატვით, ბუნების წიაღის სიყვარულით ,ნადირობით, და მთამსვლელობით. ყოველ შაბათ-კვირას გაკვეთილების შემდეგ, დარი იყო თუ ავდარი, მისთვის ეს არ არსებობდა, ჩანთამოკიდებული გვიძღვებოდა წინ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და ზოგჯერ ხანდაზმულ მშობლებსაც. შემოვიარეთ მთელი ქალაქის შემოგარენი, რამდენჯერმე გადავედით სადონისაკენ, ოლღაგირისაკენ და დარიალისაკენ. ექსკურსიის შემდეგ იწყებოდა ბაასი, კამათი და შთაბეჭდილების გაზიარება. ყოველივე ეს კი ამჭიდროებდა, აძლიერებდა ქართველ ბავშვებში და კოლექტივში გულისხმიერებას, გულკეთილობას, ამხანაგობას, მტკიცე მეგო-

ბრობას და რაც მთავარია სამშობლოს სიყვარულს.

ლევანს ძალიან უყვარდა ახალგაზრდები და დიდ იმედს ამყარებდა მათ მომავალზე. ჩვენს ოჯახში ხშირად დადიოდა, გვაცნობდა თავის პატარ-პატარა მოთხრობებს და ლექსებს, რომლებიც ჯერ ჩანახაზის სახით ჰქონდა".

ლევანი ჭაბუკობაში ჭადრაკით იყო გატაცებული, კარგად თამაშობდა და ტოლ-ამხანაგებში ბადალი არ ჰყავდა. ვლადიკავკაზშიაც ნათაძეების ოჯახში ყველას უგებდა.

ლევანი ხშირად ამბობდა: ასე გავჭვრიტე — ჭადრაკი ჩემი მოხეტიალე ცხოვრების თანამგზავრია და ზოგჯერ მშველელი. ერთ დღეს ვლადიკავკაზში გამოცხადდა საქალაქო საჭადრაკო შეჯიბრი. ნათაძეები შემიჩნდნენ, რომ ბედი მესინჯა, ვინაიდან გამარჯვებულს თბილი კიტელით, საცვლებით და ფულით აჯილდოებდნენ, რაც ჩემთვის მეტად საჭირო იყო. გავბედე და ძალიან დაკვირვებულად ვითამაშე. შეგიძლიათ მომილოცოთ — პირველობა ავიღე, ჩავიცვი თბილი კიტელი, საცვლები და მივიღე საკმარისად დიდი ფულადი თანხა. აი, როგორ გამომადგა ჭადრაკი.

შორეთში ლევანი უკიდურესად მძიმე პირობებში მოხვდა. ყოველგვარ უფლებას მოკლებული საკანში მარტოდ-მარტო იჯდა, ღრმა ფიქრებში ჩაფლული. მარტო ერთ ღვთისნიერ ზედამხედველს ვეცოდებოდი, ჩუმად ორ ულუფა წვენს მისხამდაო. ერთ დღეს ჩემს ვიწრო ბნელ სამყოფელში იმედდაკარგული, ნახევრად წამომჯდარი ვთვლემდი. მოულოდნელად კარი მძიმედ გაიღო. მომხიბლა ჩემთან შემოსახლებულმა ახოვანმა ქართველმა ვაჟკაცმა. ის გივი მაღლაკელიძე აღმოჩნდა. უნაპირო სიხარული და შვება ვიგრძენი. ჩვენებური კაცის სურნელი ჩემს კარგამოკეტილ და უდროოდ განწირულ ცხოვრებას საამო მალამოდ მოხვდა.

გული გავუღეთ ერთმანეთს, ჭირვარამი გავუზიარეთ. მისი თავგადასავალი არა ერთხელ ვაამბობინე. ისიც აღსარებასავით მიამბობდა თავის ბედშავ გზაგადასაყარს. გრძნობაცა და თანაგრძნობაც ერთად ჩავაყოლე. ჩვენისთანა პატიმარს სხვა თვალი და გული აქვს, ზოგჯერ ურთიერთუნდობლობაც. ჩემი პატიმრობა მარტო ჩემი პატიმრობა ხომ არ არის? ამ მწარე კვანძში ყოველი ჩვენთაგანი მართალია, ღირსეული ადამიანია.

სამშობლოს გახსენებით გული ვიჯერეთ. ათასი დაუწერელი წიგნი და მოლოდინი გვაერთებდა. შემდეგ გაირკვა, რომ ორივეს ჭადრაკის თამაში გვიყვარდა. პურის ნატეხებიდან და პერანგის ნაგლეჯებიდან გაკეთდა ფიგურები, დიდი გაჭირვებით მინის იატაკზე ჭადრაკის დაფა დაიხაზა. იქვე მოვკალათდით და უსამართლოდ დაუწერელ ტრაგედიის მძიმე ჯადოსნურ [illegible] ულებმა თამაშით სულ [illegible] ვავინყდა აწმყო, გავლაღდით, გავთამამდით, გულს შვება შემოეფარა, უბადრუკად გადახეულ ჩვენს ცხოვრებას გულდაგულ შეხალისებული სულისკვეთება დაეუფლა.

ჩვენ, მამაკაცები, ხშირად დაუდევრები ვხდებით. გვიან შევნიშნეთ სათვალთვალოსთან ჩრდილივით მოსიარულე ეჭვის თვალი. შემდეგ შეშფოთებული უფროსიც გაჩნდა, გაგვჩხრიკეს, ჭადრაკი ჩამოგვართვეს, თამაში სასტიკად აგვიკრძალეს.

ჩვენ შევთანხმდით, ჭადრაკის თამაში ზეპირად გაგვეგრძელებინა. ამჯერად ვერავითარი ძალა ვერ შეგვაჩერებდა. ერთმანეთის პირდაპირ საათობით გაყუჩებულები უმოძრაოდ ვიჯექით და სვლებს ყურში ვუჩურჩულებდით. გავიდა დრო, უკვე იმედის თვალით შევყურებდით დარკინულ კარში ამოჭრილ თვალსაზვერავს. ეს ხომ პატიმრების შორს სახედი „ოჯახური სარკმელი იყო".

მოულოდნელად დარკინული კარი მძიმედ აჩხრიალდა:

— თქვენ გაქცევის გეგმას აწყობთ და ერთმანეთს ამას ეჩურჩულებით! არ გამოგივათ, — შემოგვიღრინა უფროსმა ჩახლეჩილი ხმით. ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა და ჩახველებით ხახა ჩაიწმინდა. უგუნურებმა ასე ჩათვალეს!

უმალ შებრუნდა ყველაფერი, ამოქმედდნენ ზედამხედველები. ყოველივე იმდენად აღმაშფოთებელი აღმოჩნდა, ეღარ შეეძელით სიტყვის ამოღება.

ჩვენ დაგვაცილეს, ნაყვანისას უეცრად ის შემობრუნდა, ხელი შეძრულად ჩამომართვა და დიდი პატიმრული მადლობა გადამიხადა.

საკანში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. სიცოცხლის ძალა დამეკარგა, ყველაფერი გათავებულად მეჩვენა, სევდა შემომაწვა, თავჩაქინდრული მივყევი ფიქრებს, აღარც ვადა მიმძიმს და აღარც ჩემი უჩვეულო ხვედრი. ეჰეი, მღვრიე მორევში სულ ადვილია უკვალოდ ჩაკარგვა!

ფეხმარდად და შეუფერხებლად იარა წლებმა. ლევანს გაუფრინდა ახალგაზრდობა. საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რუსთაველის გამზირზე შემთხვევით შეხვდა გივის. სახლში მოიპატიჟა.

ჩვენს ოჯახს რა დაავიწყებს იმ დღის სიხარულს — ორივე აღსავსე იყო სამშობლოში დაბრუნების ბედნიერებით.

გაიხსენეს მძიმე წარსული და ჭადრაკის ამბავიც, რის გამოც ამჯერად ბევრი იცინეს და იოხუნჯეს.

პირველმა წერილმა ვლადიკავკაზიდან ოჯახში დიდი მღელვარება გამოიწვია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

20/X — 1927 წ.

ულადიკავკაზი

საყვარელო მამა!

მივიღე შენი, ქართული სკოლის მისამართით გამოგზავნილი წერილი და ფული. მე ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ. ამჯერად უკვე ვმუშაობ ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში და ბინაც იქვე მომცეს, რა თქმა უნდა, უფასოდ, ასე რომ, მე ჩემი ჯამაგირი აქ ცხოვრებისათვის სავსებით მეყოფა, შენ აღარ შეგანუხებ.

ვალები ყველა გავისტუმრე, მალე ალბათ ჯამაგირსაც მივიღებ და ტანისამოსს შევიკერავ. ცხოვრება აქ საერთოდ იაფია, ისე, რომ ნელ-ნელა ვეწყობი.

აქაური ქართველები, შენი ნაცნობები, ყველანი ვნახე და გავიცანი, დამეხმარნენ. მოკითხვას გითვლიან.

აქ სკოლასთან ერთად გვაქვს კლუბი და თეატრი, ხშირხშირად იმართება წარმოდგენები და საღამოები. სამკითხველომ მიიღო ბევრი ახალი ქართული წიგნი.

საერთოდ, ქართულ კოლონიას კვლავ გამოცოცხლება ეტყობა, მე, რა თქმა უნდა, ვეხმარები მათ რაც შემიძლია.

რეგისტრაციაზე ძველებურად დავდივარ, ამის გარდა ახლა ყოველ თვეში ერთხელ დაკითხვაზე უნდა ვიარო, მათ არ მოსწონთ. მე რომ ქართულ სკოლაში ვარ, მაგრამ არა უშავს რა.

ვეცდები თუ ნებართვა მომცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ არდადეგებზე დროებით მაინც თბილისში ჩამოვიდე, ყველა ძალიან მომენატრეთ. ჩემი მისამართი იგივეა. მოკითხვა ყველას.

გაოცნით ლევანი.

საყვარელო დედა! უკვე დიდი ხანია მივიღე შენი წერილი, მაგრამ პასუხი ვერ გამოგიგზავნე, როგორ ხარ? კიდევ გაჯავრებენ ბავშვები თუ ახლა უკვე წამოიზარდნენ.

დეიდა ანეტა და ბიძია ვანო როგორ არიან, ან ელიკო როგორ ჰყავთ. მოკითხვა ნინა ალექსანდროვნას, გერმანული სულ დამავიწყდა. მისი ქმარი ვარლამ თაყაიშვილი სად არის, ან როგორ არის? მე რომ ბუტირსკის ციხეში ვიყავი, ვეცადე, რომ რამე შემეტყო მის შესახებ, ან მენახა იგი, მაგრამ ვინ მაჩვენებდა და ვერც შევიტყვე ვერაფერი. მე კარგად ვარ თანდათან ვეწყობი, მივიღე წერილი იასესაგან. ის მოკითხვას გითვლით. მოკითხვა მაროს, ალიოშას და ლეილას, მოკითხვა ნათესავ-ნაცნობებს.

სულ ჯანმრთელად და კარგად იყავი, გაოცნი შენი ლევანი.

ძმაო სანდრო! მივიღე შენი წერილი, ძალიან გამეხარდა. თუ არა, მე ვიფიქრე, ... თუ დაგავიწყდა. შენი უნივერსიტეტში მი... გაზეთში ნავიკითხე. მაშ ახლა „ინჟინერი იქნები რაღა" ... ვნახოთ როგორ ისწავლი, მოკითხვა არჩილს, რატომ წერილს არ მიგზავნის. როგორ არის მისი ჯანმრთელობა, მოკითხვა ჩემს ამხანაგებს, თუ მათ ამხანაგები შეიძლება ვუწოდო. ნუთუ იაშას, ჯანიკოს და სხვებს არ შეეძლოთ ერთი ღია ბარათი მაინც გამოეგზავნათ? თუ უნდათ, მარკის ფულს მე გამოვუგზავნი.

მივიღე თამრიკოს წერილი. მას მშვენიერი წერა უსწავლია, მზია რას აკეთებს, ხომ არ ზარმაცობს, ან წერა თუ ისწავლა. წერილს ვუცდი არჩილისაგან. თინა სულ ნერვიულობს და გვეჩხუბებაო, თამრიკო მწერდა. რატომ? სანდრო, თუ წამომსვლელი იქნება ვინმე კავკავში (მამასაც უთხარი), ჩემი საათი გამომიგზავნე.

მოკითხვა მეგობრებს.

ლევანი.

ტასო! ძვირფასო ტასო! მაშ შენ კვლავ ჩვენთან მოხვედი? ძალიან მიამა ეს ამბავი, ხომ ხარ ჯანმრთელად? სიბერე ხომ არ მოგერია? მე კარგად ვარ, ჩემი ჯავრი ნუ გაქვს. თუ გამომიშვეს, საახალწლოდ ჩამოვალ. როგორ არიან შენი შვილები?

ტასო! რომ მზრდიდი, საციმბიროდ გამზარდე! მაგრამ, კიდევ კარგი ეხლა არა მიშავს! მე ყოჩაღად ვარ და ვიქნები კიდეც, შენც კარგათ და ჯანმრთელად იყავი!

გაოცნი ლევანი.

ლევანისგან წერილის მიღების შემდეგ ოჯახში მღელვარება გამწვავდა, მშობლები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ვერ წარმოედგინათ როგორ შეეტყობინებინათ ლევანისათვის უბედურება, არჩილის სიკვდილი. ლევანმა ამ ხნის განმავლობაში არჩილის სიკვდილის შესახებ არაფერი იცოდა, არჩილისაგან ის წერილსაც ელოდა და მის ჯანმრთელობაზე გვეკითხებოდა.

— ჩემს საწყალ, გადაკარგულ ბიჭს მე არჩილის დაღუპვას ვერა და ვერ შევატყობინებ. ეს ცნობა მას გააგიჟებს, — ნერვიულობდა დედა. იგი შვილის სიკვდილის შემდეგ სასონარკვეთილებაში ჩავარდა. მამაც, ასევე სასონარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი და წერილის მიწერაზე თავს იკავებდა. როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა.

გავიდა რამოდენიმე ხანი. მშობლებმა ბოლოს ძლივს გამონახეს გამოსავალი, გადაწყვიტეს ეს მძიმე საქმე დაევალებინა მამა გიორგისათვის. ლე ,ნის მიმართ ის ყოველ-

ARCHIVE

თვის დიდ მზრუნველობას და დახმარებას იჩენდა ხოლმე.

მამამ დიდი მოწინებით, ბოდიშით მამა გიორგის მისწერა ოჯახში შექმნილ მძიმე ვითარებაზე, თუ რა რიგ ძნელია მათთვის არჩილის სიკვდილის შესახებ ლევანისათვის წერილის მიწერა და თხოვდნენ მას, რომ ლევანს როგორმე ეს მძიმე ამბავი თქვენ შეატყობინეთო. მე ვშიშობ და ვწუხვარ, ლევანს თავისი მძიმე დარდი ჰყოფნის, ასეთ ახალგაზრდას ოჯახისა და სამშობლოს მიღმა გაწვალებული ცხოვრება შეხვდა. ეხლა კი არჩილის დაღუპვა და ოჯახის ტრაგედია! როგორი რეაქცია ექნება ამ მძიმე ამბის გაგებაზე ვერ წარმომიდგენიაო.

ცოტა ხანში ჩვენთან სახლში მამა გიორგის გამოგზავნილი კაცი მოვიდა. სტუმარმა მამას, მამა გიორგის დაბარებული დაწვრილებით გადმოსცა.

ერთ საღამოს მამა გიორგიმ ლევანს გა უმხილა თურმე არჩილის სიკვდილის ამბავი. ლევანმა ეს ცნობა ძალიან მძიმედ გადაიტანა, ხან პატარა ბავშვივით ტიროდა და თან დაჭრილი ხარივით ბღაოდა. ზოგჯერ თურმე თავს კედელს ახლიდა. გარშემო ნათაძის ოჯახის წევრები მისი საცოდაობით იწვოდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ.

იმ ღამეს ნათაძეებმა სახლში არ გაუშვეს და ღამის გასათევად თავისთან დატოვეს. საწყალი არჩილიო! სულ იმას იმეორებდა და სწუხდა ლევანი.

მეორე დილას ლევანმა მამა გიორგის გაანდო: „ჩეკაში" წავალ და ვთხოვ რამდენიმე დღით იქნებ თბილისში გამიშვანო. არჩილის საფლავსაც ვნახავ და მშობლებსაც ცოტათი დავაწყნარებო.

„ჩეკაში" ლევანს, რა თქმა უნდა, ძალიან მკვახედ შეხვდნენ და თბილისში გაშვებაზე უარი უთხრეს. ამ ცხელ გულზე ლევანს მათთვის დიდი საყვედური უთქვამს — თქვენ ადამიანური ამბავი არ გესმითო, რა ხალხი ხართო! ამის გამო ლევანი სასტიკად გააფრთხილეს — ჭკვიანად იყავიო და ენას მოუკელიო, რახან ამ ქალაქში ჩამოხვედი, აქაურ წესებს დაექვემდებარეო, თორემ უკან პატიმრობაში დაგაბრუნებთო.

ამ კაცის ნაამბობს ყველა გულის ტკივილით ვუსმენდით. ნათელი იყო ლევანის მძიმე განცდა არჩილის სიკვდილთან დაკავშირებით და ოჯახის ტრაგედიის ატანა უცხო გარემოცვაში. ბავშვები უნებურად ვიცრემლებოდით. მამას ნერვიულობისაგან სახეზე კუნთები უთამაშებდა. ამ კაცის ხელით ლევანს ფული, ამანათი და პატარა ბარათი გაუგზავნა.

მამა კატეგორიულად თხოვდა ლევანს, რო-

ARCHIVE

გორც ჭკვიან, გონიერ და ჭკვიან ბიჭს, ეცადოს ეს ადამიანური ტკივილი ერეკაცს და ჩვენი ოჯახის [illegible] წყნარებას, მოთმინებას და გონიერებას. მოუფიქრებელი საქციელით თავი არ გაიფუჭოო და ჩვენც არ დაგვღუპოო. მით უფრო, ხომ ახლო მომავალში შენი პატიმრობის ვადაც თავდებაო. შენი იმედითა ვართო. წინ კეთილი და კარგი საქმეები გვესახებაო.

ვლადიკავკაზიდან წერილების მოსვლამ იკლო, მაგრამ ბევრი ნაცნობის აქეთ-იქით მიმოსვლის წყალობით მამამ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა ლევანის ცხოვრებისა თუ საქმიანობის შესახებ, ლევანმა კი ჩვენი ოჯახის თუ თბილისის ყველა ახალი ამბები. ჩვენთან უფრო ხშირად ნათაძეების ოჯახის წევრები, ან იმათი გამოგზავნილები მოდიოდნენ. მამასთან ლევანის გამოგზავნილი პატარა ბარათი მოჰქონდათ ხოლმე. უფრო კი სიტყვიერად უამბობდნენ ლევანის ამბებს და აქედან მიჰქონდათ ლევანისათვის ამანათი, ფული და, რაც მთავარია, წიგნები.

ერთ ბარათში, არჩილის სიკვდილთან დაკავშირებით, ლევანი მძიმე გულისტკივილს გამოხატავდა. მამამ შეშფოთების გრძნობაც კი ამოიკითხა.

არჩილის სიკვდილი ჩემს თავზე მეხის დაცემა არის. არჩილი აღარ არის! ამის წარმოდგენა დღესაც არ შემიძლიაო, მასზე ფიქრს ყოველთვის თან სდევს ცრემლი, შინაგანი წუხილი, ვარამი და გულის ტკივილი. თვალწინ მიდგას მისი უდიდესი ნიჭი, სწავლა-განათლება, არაჩვეულებრივი გონიერება და ყოველ მხრივ გამართული ხასიათი. ჩვენ ყველა, მის გარშემო მყოფი ახალგაზრდები, ვამაყობდით არჩილით და ზოგჯერ გვშურდა მისი კიდეც. რამდენი კეთილი გეგმები გვქონდა მომავალში დასახული. მე იქ ამის იმედით ვცხოვრობდი, ეხლა კი საშინელ სიცარიელეს ვგრძნობ, ერთგვარ დაჩაგრულობისა და უსამართლოდ უგულებელყოფის განცდა ისევ მეუფლება. არჩილის სიკვდილმა თითქოს მთელი გულის სითბო წამართვა და სიკეთის სხივი ჩამიწყვიტა. წარმოვიდგინე თქვენი ესოდენ დიდი მწუხარება, მინდა მანდ ვიყო, თქვენთან ერთად, განუგეშოთ, მოგეფეროთ. მარტოობის ატანაც მიჭირს, აღარ შემიძლია. არჩილის სიკვდილმა ჩემი მოთმინების ზღურბლი გადაიარა.

ბევრის დაწერა მინდა, მაგრამ ხელი არ მემორჩილება. არჩილისადმი სიბრალულის და სინანულის გრძნობამ გული მძიმე სასოწარკვეთილებით ამივსო, გულის ტკივილი დაგოდება დამიტოვა.

1928 წლის აპრილში ლევანისაგან დედის სახელზე ღია ბარათი მოვიდა. ყველას ძალიან გაგვეხარდა, რომ დედამ, ბოლოს და ბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს, ლევანსაც მიხედა და წერილი მინერა

9/IV — 1928 წ.

ჩემო საყვარელო დედა!

შენმა ბარათმა ძალიან გამახარა.

ხომ კარგად ხარ, ხომ კარგად არიან ბავშვები, დიდი სიყვარულით გკოცნი შენ და ბავშვებს. მამა როგორ არის? აქ ჩამოვიდა ვანო გოთუა და იმან მიამბო თქვენი ამბავი. გავიგე ნ. ნიკოლაძის გარდაცვალება, ჩატყდა საუკუნის უკანასკნელი ძველმაგარი ხიდის კაცი. ნეტავ როგორ დაასაფლავეს? ღირსეულად? მათთან სახლში როგორ არიან

მე კარგად ვარ, ვმუშაობ ბევრს, სხვადასხვა დარგში, ვასწავლი ხატვას, ქართულ ლიტერატურას და ძერწვას. ეხლა 10 დღე ვისვენებდით და საალდგომოდ უნდა ვასწავლოთ. რაც მთავარია პატიმრობის ვადა შემცირდა, სულ ცოტა დამრჩა. მოუთმენლად ველი ამას, დიდი იმედის გრძნობით და სიხარულით. ამაზე არ მინდა რამე ვთქვა, მეშინია, ვიცი ჩემი უკეთესმართი ბედის ამბავი სადმე კიდევ არ მიმტყუნოს. ამაზე არ მინდა ადრეულად ვიფიქრო და ხასიათი წინასწარ გავიფუჭო. დედა, სანდროს უთხარი, რომ დანვრილებით შემომითვალოს რა აქვს გატეხილი ჩემ ველოსიპედს? თამრიკოს და მზიას მინდა ვუყიდო საჩუქრები.

ველი პასუხს. მოკითხვა ყველას. გკოცნით.

თქვენი ლევანი

დედა, ტასო როგორ არის, შემომითვალე. წიგნების გამოგზავნას რომ აპირებდით, რატომ არ გამოგზავნეთ? ნუთუ ძნელია?

ლევანი.

ცოტახანში ისევ ნერილი მოვიდა.

5/V — 1928 წ.

ვლადიკავკაზი

საყვარელო დედა!

შენი ღია ბარათი მიღებული მაქვს — ალბათ თქვენც მიიღეთ ჩემი ნერილი.

როდის აპირებთ წასვლას აგარაკზე? ფასანაურში ჰფიქრობთ? თურმე იქ ძალიან კარგი ყოფილა, იქაურობას აქებენ. მამა გიორგიმ მისწერა იქ ბარათი, მაგრამ პასუხი ჯერ არ მოსულა.

თუ მოახერხებთ ფასანაურში წამოსვლა სჯობია, სხვაგან წასვლას. გზაც მარჯვეა, პაერიც და ჩემთან ახლოს იქნებით. შეიძლება გნახოთ.

როგორც იქნა დავამთავრე სწავლა და ეხლა ვისვენებ. ძალიან ბევრი მუშაობა მომიწია.

ბავშვებს თამრიკოს და მზიას ვუყიდე საკაბეები. მითხრეს კარგიაო. გამოვგზავნი ამ დღეებში, ხომ კარგად არიან ბავშვები? თინა და სანდრო მეცადინეობენ? როგორ არის მა

მა. ალარ აპირებს მოსკოვში მივლინებ[illegible] მგზავრებას? მოკითხვა ყველა ნაცნობ-ნათესავებს.

ველი წერილს თამრიკოსა და მზიასაგან.

მე კარგად ვარ, ჯანმრთელად.

ეხლა ვისვენებ, შემდეგ კი ისევ ტურისტობა უნდა დავიწყო ამ ახლომახლოში.

მოკითხვა ყველას. გკოცნით.

თქვენი ლევანი.

მომწერეთ, როგორ სწავლობენ ბავშვები და რომელ ჯგუფში გადავიდნენ.

ლევანი.

28/VI — 28 წ.

საყვარელო მამა!

ამის წინად გამოვუგზავნე დედას წერილი. პასუხი ჯერაც არ მიმიღია. გწერთ მეორეჯერ. მე კარგად ვარ. ჩემი მდგომარეობა ძველებურია. დღეს ვიყავი „ჩეკაში", მაგრამ უშედეგოდ.

უნივერსიტეტში შესვლაც გვიანდება, მე კი ჯერ ვერაფერი გადამინყვეტია, ველლავ. რას მირჩევ?

ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ.

ბავშვები როგორ არიან. მოკითხვა დედას. ჩემი მისამართი იგივეა.

ველი პასუხს.

სანდრო რათ არ იწერება. მსახურობს უკვე?

თუ რამეს შემოთვლიან თქვენთან „ჩეკადან", მეც მომწერეთ. რომ კიდევ მივიდე. თუმცა მითხრეს, რომ ჩვენ თვითონ გამოგიძახებთო.

იყავით კარგად. მოკითხვა ნაცნობ-ნათესავებს.

გკოცნი ლევანი.

ნერილს ნარწერილი აქვს

Концентрационный лг. Ленина. 31

УСАЗИТЛ.

რატომ იყო ეს ღია ბარათი გატარებული რეგისტრაციაში, ყველა დაეჭვა. მამამ ვერაფრით ვერ ახსნა. შესაძლებელია, ლევანის ნერილებს მაინც ამონმებენო.

27/VII — 28 წ. ვლადიკავკაზი.

საყვარელი მამა!

ამასწინათ დედას მოვწერე, ალბათ მიღებული გექნებათ. პასუხი ჯერ არ მომსვლია.

სჩანს, მამა, ჩემი მდგომარეობა კიდევ კარგა ხანს იქნება გაურკვეველი (თუ კი გამოირკვევა დადებითად საერთოდ). აქ ჩემი ყოფნა კი ყოველ მხრივ გაუმართლებელია, ვფიქრობ ზედმეტია აქ ცდა.

შეიძლება უნივერსიტეტში შესვლის იმედი მქონდეს? (რაც ფრიად საეჭვოა). მაშინ უნდა დავუჩქარო ნასვლას, საუნივერსიტეტო ქა-

ლაქში საცხოვრებლად გადავიდე. ამ მხრივ ჩემი ამორჩევა სარატოვზე შეჩერდა.

შევიტყვე უნივერსიტეტში შესვლის პირობებიც და, იმედი მაქვს უნივერსიტეტში უსათუოდ მოვხვდები. აქ გაურკვევლობაა: ეკონომიური ფაკულტეტი ყოველ კრიტიკის გარეშე დგას. ეს უბრალო პარტიული სკოლაა მარტო. ყოველ შემთხვევისათვის თუ მომიხერხებენ მივლინებას, თუნდა აგრონომიულ ფაკულტეტზე, ისიც კარგია. შევიდე კი უმაღლესში და მერე რამეს მოიფიქრებს კაცი. აბა ასე უსწავლელი შუა გზაზე ხომ არ დავრჩები. თბილისის უნივერსიტეტიდან ატესტატს ნუ გამოიტანთ. მე მხოლოდ ასლი გამომიგზავნეთ. მინდა, ყოველშემთხვევისათვის, მაქაც ვირიცხებოდე. ამის შესახებ მერე უფრო დაწვრილებით მოგწერთ. მამა მირჩია ამ საკითხების ირგვლივ.

ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ. მართალია თბილები არა მაქვს, [illegible] არ მეშინია. სიცივეს [illegible] აღარ გამიჭირდება, მითუმეტეს აქაური. მაინტერესებს მოსკოვში რატომ, სად არის გაგზავნილი, ან ვინ გაგზავნა ჩემი საბუთები? ეს ახალი ცდაა თუ ძველის შედეგები?

სად, რომელ დაწესებულებაში? თუ ეს დაკავშირებულია ვისიმე თავმოყვარეობის შელახვასთან (მაგალითად შენი), მაშინ, მამა, უმჯობესია ყოველივეს თავი დაანებო. ველი პასუხს საჩქაროდ. მოკითხვა დედას და ბავშვებს. არ მაქვს სრულიად ახალი ქართული წიგნები, თუ არის საშუალება გამომიგზავნეთ. მისამართი ჩემი ძველია. ეკონომიურად, რა თქმა უნდა, სუსტად ვარ, რა ვუყოთ, ეს საერთო მოვლენაა. მამა, პასუხს ნუ დააგვიანებ, მინდა საბოლოოდ გამოვარკვიო ყოველივე და თუ მოვახერხებ, ამ ახლო მომავალში ვფიქრობ წასვლას.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილარ ივარდავა

სადღეისოდ

შერგილ დადიანს —
ცოტნეს მამას —
მებრძოლს თამარის —
ბასიანთან რომ ერთხელ უთქვამს,
დღესაც გვეთქმევა:
— ივერიისთვის
დღეს არისო ძალზე მთავარი!
არა კუთხური —
ერთიანი სულისკვეთება!
არა მტერმა და განსაცდელმა
შეგვკრასო მყარად,
არამედ ლხინშიც შეგვეძლოსო
მოლხენა ერთად;
დანაწევრება ნაწილ-ნაწილ
არა და არა!
ერთ სისხლ-ხორცისგან
შეგვქმნაო ღმერთმა!
მწვანე გზა ნათქვამს, წინაპარო,
დიდება შენდა!
ეგ სიტყვა შენი დღესაც რჩება
ბრძნულ აზრად, დღესაც!
ვით დაერქმევა
სიცოცხლის და სინათლის დედა,
თუკი დაამსხვრევ და
დაშლი მზესა!

. . .

...ძაღლი, როგორც ბუმერანგი,
დაუბრუნდა პატრონს!
...მჭლე, გამხდარი —
ჰმუნვა-დარდით
დარჩენილი მარტო.
წაყვანილი შორს მანქანით,
დაგდებული ტყეში!
როცა იდგა სუსხი ქარი,
თოვლის ბინდი, თქეში!
...გულქვაობის მტანჯველ ვირუსს
სულს ვაკარებთ რატომ?
ვისღა ვარქმევთ, ვისა პირუტყვს —
ძაღლს თუ ძაღლის პატრონს?!

* * *

ამ ტირიფიან კბოდეზე,
სადაც ქოხი დგას პატარა,
გასაბჭოების პირველ წელს
თურმე ტყვე ჩამოატარეს.
გაისმოდაო არღნის ხმა
არაყით ნათამაშები,
ენით უთქმელი ტანჯვისა
მომსწრე გამხდარან ბავშვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი — ვაჟკაცი, ტანადი —
მიჰყავდათ ხელებშეკრული,
ძველი, ბრწყინვალე თავადი
დღეს მოკვეთილი, ბედკრული.

მდინარის პირას ის ტყვის
წერა გამხდარა საწყალი,
ის ქამი ყურში ჩაგვწივის,
ტყვეის ნახშირით დამწვარი!

* * *

ტანჯვა-უბედურების
ქარტეხილთა იქით,
წუთისოფლის მდგმურები,
ნეტავ, საით მივქრით?!

დასაბამი,
დასასრული...
ვერ ამოხსნა ვერვინ, —
ბედის ყულფით ასე კრული —
საით, საით მრევლი?!

გუშინ ანათებდა,
იყო მზე და რწმენა,
დღეს კი ანათემად
ქამი მიირწევა!

აისსა და დაისს
ქრისტეს უღვთო ჯვარცმა, —
მაინც,
მაინც,
მაინც,
რა ილონოს კაცმა?!

* * *

პირველ ნაყოფს
ელოდება ატმის ხე,
ჩემი ხელით
ბაღში შარშან დარგული,
დღეს დუმილის
ღილი უცბად ავწყვიტე,
გავარღვიე
ყორე შემორაგული...
ლორთქო ფერი
აშრიალდა ქარებად,
მწვანე ხეებს
თავზე შუქი ევლებათ,
მცირე დარდიც

ჩემს გულს არ ეკარება,
რაღა უნდა
ამ დროს საშინელებას?!
ადამის ძეს
პატარა რამ სჭირდება —
აღიმურვოს
რწმენის ღელვით ხვალისთვის,
მითუმეტეს,
თუ ბედს დაეწინდება:
ატმის ხეთა
ყვავილობის ხალისიც.
...პირველ ნაყოფს
ელოდება ატმის ხე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუ დანელია

ლექსის სანთელი

მე ეკლებს უკვე გულიდან ვიძრობ...
უკან რომ დამრჩა, წინ უფრო ვიწრო
გზაა და ეს გზაც განვლიო ვინძლო! —
ეს გზაც სავსეა ბნელი ფანტელით,
მე მაინც მიმაქვს ლექსის სანთელი,
რაც სულს ანათებს და არა ნისლებს!
და მზეს მთავაზობს დღე დღევანდელი.

დღეს როგორ ვსდიო ჭრელკაბა პეპლებს,
როდესაც გუშინ შავებში ვეფლე
და ცრემლი იყო ჩემი გზის მეკვლე!..
კვლავ თუ მიგანეს ტანჯვით დაგეშილს
და რძედ შეირგეს ჩემი ნახვნეში, —
მე ამოვიგლეჯ მაშინვე ნეკნებს
და ბედს შევაყრი ცბიერ სახეში.

მატლი

გაბრაზებული გვრიტზე, წეროზე,
მოკიდებული მტრად ანგელოზებს, —
მიხოხავს მატლი ხის კენწეროსკენ, —
უნდა ქვეყანას მოექცეს მაღლა
და ნახოს, სული სად უდგას ბაღნარს,
ნახოს, სად რაა საუკეთესო,
ნახოს, რამდენი სიკეთე დაღრღნა.

ხის კენწეროსკენ მიცოცავს მატლი,
რა დარჩა, — რაღაც ორიოდ ადლი,
მაგრამ მიღწევად მას როდი ჩათვლის,—
ჩამოვა დაბლა, დააწყობს გეგმებს,
მერე დაუვლის ბაღებს და ბეღლებს...
მაღალო ღმერთო, სადაა მადლი,
კაცის შემქმნელმა მატლი რომ შექმენ?!

დაღი

ღმერთო, სიზმარშიც ნურავინ მეტყვის,
რომ, როგორც კვალი ვენახში სეტყვის,
ისე ჩაივლის წარსულის ხვედრი... —
კუბოს კარამდი მაჩნდება დაღი —
სიცოცხლის გზაზე სიკვდილის ნახვის,—
სიკვდილი იყო თოვლივით თეთრი
და ნატვრაამხდარ ბავშვივით ლაღი...

ვდგავარ და ისევ გავყურებ დაისს,
ისევ მიზიდავს დაისი და ის
იმას ჰგავს ისევ, დავკარგე რაიც!..
ღამეებს მოაქვთ ტკივილი მწვავე,
დღეები იმედს უღმერთოდ წვავენ,
მე სიხარულით გავყურებ მაინც —
ზარის რეკვაზე აფრენილ ყვავებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდობლობის ძაღლი

გული ლხენის ზარებს
არასოდეს დარეკს
არც შინ, არცა გარეთ, —
ტყვეა თავის სახლის
და თავს კედლებს ახლის,
უყეფს ისე მწარედ
უნდობლობის ძაღლი.

ცეცხლს გავეძეც მბუგველს
და ნაბიჯებს ვუკელ,
გზა არც სულს სურს უკვე,
გზა, რაც გაჰყავს წლობით,
გზა სინათლის ფლობის, —
ისე მწარედ უყეფს
ძაღლი უნდობლობის.

ლანდი

ჩემი ლანდი წვაა ცხადის,
ლანდი როა, იცის თავად.
თუ ტანჯული ვინმე დადის,
მე და ჩემი ლანდიც დავალთ.

ვინც მე მდალავს, მასაც დაღავს
სიტყვისა თუ ეჭვის შანთით...
მე ვარ წუთისოფლის წაღა
და ლანჩად მაქვს ჩემი ლანდი.

არ ღალატობს ლანდი შემქმნელს,
გინდ შექმნილი იყოს ქორის, —
მსგავსი ერთგულება ქვეყნად,
ნეტა იყოს კაცთა შორის!

თუ გამომკრა ბედმა კვანტი,
ის გაქცევას როდი ლამობს.
მებრალება ჩემი ლანდი, —
იტანჯება სულ ჩემს გამო.

ნეტა მოდგეს ნატვრის გემი, —
წამიყვანოს სადმე, ანდა —
კაცად იქცეს ლანდი ჩემი
და მე ვიქცე იმის ლანდად!

ჩემი ყოფნა

ჩემს ყოფნას უკვე მოუჩანს ძვლები —
გადაგლეჯია ხორცი მრავალგან,
მაგრამ მე უფრო ძლიერი ვხდები,
აწი თუ უნდათ ჯვარზეც გამაკრან.

ვერ ჩაიტანა ბედის მეწყერმა
ჩემი გრძნობის და ცეცხლის ნამცეციც,—
მე ჯოჯოხეთში უნდა მეცხოვრა
და მას სამოთხედ გადავაქცევდი.

მარტო

უცებ იფიქრებ, ხესა რგავენო! —
საფლავსა თხრიან მესაფლავენი... —

პირი უცვდება ბარსა და ნიჩაბს,
ჩქარობენ — უკვე გზაშია კუბო.
იქნება ჯობდეს გაჩენა გიჟად,
ვიდრე სიკვდიმდე სიგიჟე გუბო!
გესმის კივილი! — ცხედარი მოაქვთ
და პროცესია მოიწევს კვნესით, —
ამ ხალხზე ახლა ვერ იტყვი: ბრბოა!—
ბრბოსთვის უცხოა რიგი და წესი.
მოუახლოვდა ცხედარი საფლავს,
მოჰყვა ცრემლების მდუღარე ღვარი,
ის უნდა ახლა ჩაუშვან დაბლა
და ჩაურაზონ ზემოდან კარი.
მზე ნელა ჩადის, კუბოსებრ ნელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შავი კუბოც მზესავით ჩადის,
ის უერთდება სიშორის მელანს
დაუსაბამო დროით და ვადით.
წავლენ ყველანი: და-ძმაც და ქმარიც,
დედაც და მამაც სახლისკენ მიდის. —
აი, რა არი ყველაზე მწარე!
აი, რა ბდება ყველაზე დიდი!
წავიდა ყველა, ის დარჩა მარტო,
ის მიატოვა ყველამ, სუყველამ,
ის მარტო დარჩა, სრულიად მარტო,
მას ულმობელმა ბედმა უყელა

დილა-საღამოს

მზე ჩავიდა, და ფანჯარა
თვალებსა ჭუტავს,
ამ დროს ლანდი დაფაჩუნობს
ოთახში მუდამ.

შევეჩვიე ამას, როგორც
ამოსვლას მთვარის.
ლანდი, როგორც ქამასოკო —
უსაფრთხო არის.

დილით, როცა მზის დიდება
გააბელს თვალებს —
ჩემს ნაწერებს თლილ თითების
აჩნია კვალი....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან დუმბაძე

საგა-სულხანი

შენ მაშინდელი საქართველოს
შესაფერისი
გეცვა სამოსი.
მიმწუხრის ფერში
დრო წამს წამზე მძიმედ ათვლიდა.
და გატანჯული ჩვენი მამული
იყურებოდა თითქოს შენი
კაბის კალთიდან.
რომ ყოფილიყო რამ წამალი,
ან რამ საშველი,
შენ წახვიდოდი ზეცის იქით,
სამყაროს იქით.
შენ მიდიოდი...
— და სიყვარული,
მიგქონდა შენი ლამაზი ტვირთი.

— შენ მაშინდელი საქართველოს
შესაფერისი
გეცვა სამოსი.
და ჯერ შორს იყო
გამტყდარი ცა
საგურამოსი.

როგორი ძალა
უნდა გქონდეს,
რომ ჩაქოლილმა უმიზნო და
უაზრო ქებით,
ეს ცოდვის გროვა ამოარღვიო
და აიწიო —
— რომ არ გახოხდე...

X X X

ძლივსღა ვერევი
მოგონებით
დატვირთულ სხეულს,
მძიმედ მოვდივარ.
წუხილის ტევრიც
ვერ ავკაფე
ტანაშოლტილი,
რომ დიდ მინდორში
გამეშალა თეთრი კარავი
და მეთქვა თქვენთვის:
— შემოდით ჩამთან,

აქ სითბოა და სისადავე...
გაზაფხულიდან მომაქვს
ჩემი დღეების ჰერბარიუმი.
მჭკნარი იების, გვირილების
თვალებით სავსე...
— ნუთუ იმიტომ,
სიცოცხლის შემდეგ
გადაშალოს ვინმემ შემთხვევით,
და სინანულის ცრემლი
ჩამოწყდეს
ან უბრალოდ,
მხოლოდ თავი გადააქნიოს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეილა ცომაია

თვითმკვლელთა სასაფლაო

„მე ვეძებ სინათლეს, რათა ვიპოვო ნამდვილი რწმენა სიცოცხლისა, დავრწმუნდე, რომ სიცოცხლე სიკეთეა".

ლაგერკვისტი

განმარტოება. განმარტოება. მძაფრი სურვილი. ათრეული სიცოცხლე. ჯვარცმა.

გამწარებული სული სიმშვიდეს მიელტვოდა. ჭიდილით გათანგული: ქაოტურ ცხოვრებასთან. მწარე სიცოცხლესთან. წყეულ მონარქებთან, უაზრობის დაუსაშველობის მსუსხავი ლოდი. ლოდინის ამბოხი. მათრახები. კბილების ღრჭენა. თმენა. იმედის ხავსი. მაინც ებღაუჭებოდა (სხვა რაა, რომ ჩაებღაუჭოს?).

მივდივარ ჩემი ბედისწერისაკენ. უღელი.

ტყუილი. ორპირობა. ტყუილი. ღირსების დეფიციტი. სიცოცხლით სასჯელი. სისასტიკე. არავინ გინდობს: დედიდან — ღმერთამდე. ყველამ მიმატოვა. ითმინე უაზრობა. სიობლე. უკუნი ლოდინით. ბრაზი მოაშთე. აზრი.

სიკეთე ის იქნებოდა არ გავჩენილიყავი (ვინ გკითხა...).

დედის თბილი საშო. ნავთსაყუდელში ნებიერად დანთქმული. უცოდველი ტუჩების ცმაცუნი. საზრდო (არა ცნობადის ხისა). უმანკო სითეე. ნაზი ფერები. ვიღაც ველურის ტლანქი ხელები. ექაჩებოდნენ. ეზიდებოდნენ.

უგაااა...

ჭყეტელა სინათლე. რაღაც სამყარო. მზრუნველი სახეები. ნიღბები. ღიმილთა ფრქვევა. ნიღბები. გილოცავთ...

უგაااااა.

საამო უბე. ნაცნობი სითბო. უცებ დამშვიდდა. გაიტრუნა. და განებივრდა. ტკბილი ბურთულა. დაეპატრონა. ნოვდა: ნეტარი სიამოვნებით. ურყევი რწმენით: ჩემია.

სატყუარა.

თანაგრძნობით ულიმოდა უმანკო დღეებს. ტყეს დაეძებდა. სურვილით: ჰაერს ჩაისუნთქავდა. ენერგიას აღიდგენდა. გუნებას გამოიკეთებდა. რომ გაეძლო. მილასლასებდა. გაცოცხლდებოდა: იქ.

გახევდა. თეთრი მასივი. კორპუსების ხითხითი. ცას შერწყმული ბეტონი. ჩახერგილი სივრცე. საცალფეხო ტროტუარები. აზინზლული გზაფენილები. ნაგვით სავსე რკინის ყუთები. უცხოდ იდგა. უჰაერობამ ლამის მოაშთო.

„პარკები".

საშველივით გაახსენდა. რას უშველიდა: ქალაქისპირა მიკროსიმწვანე. სავსე: ხმაურით. გამონაბოლქვით. უჟანგბადობით სულს ღაფავდა. „ტყე შეუნახეთ შვილებსა..." მამინაცვლები. ბავშვობის კარი ნატვრით განეხვნა: წინწოვანი ტყე. ფიჭვნარის სუნი. ნედლი ბალახი. ნაძვების ჩრდილთა გრილი ამბორი. ხავსით დაფარულ ფერდობებზე მიმორიალე გოგო-ბიჭები. კალათით ხელში. დათვის და მგლების ბრიალა შიში. მასწავლებლების დიდი იმედით ჟრიამულობდნენ. სოკოებს კრეფდნენ. დაკბილულ გირჩებს აგროვებდნენ. ნაძვის ხის ტანზე კევებს ეძებდნენ. და რომ ჰპოვებდნენ ხეს ჟივილით აახტებოდნენ...

იმ სანეტარო საუფლოში მიილტვოდა. ტოვებდა ხმაურს: დამქანცველს. და უმოწყალოდ დამარბეველს. სიმშვიდე ენადა. და ჰაერი. ავად იყო. ვერ იწყნარებდა აწენილ ნერვებს. ხმაური მტრულადვე მოსდევდა. ქალაქი უჰაერობით ხუთავდა. ხალხს გაურბოდა.

დაგულებულ ადგილს მიადგა. ესეც ეუც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვა. სამრეწველო ქალაქი. ქანხნების მკაცრი პანორამა. მუშა-კაცები მოდიოდნენ. უხალისოდ, მოშვებულები. სიგარეტს ჭმუნვით მოაბოლებდნენ. მოსაუბრობდნენ: ნერვიული, დაღლილი ხმებით. მათ დაელოდა. მოუახლოვდნენ.

— გამარჯობათ. იქ რისი ქარხნებია?.. იამ თვითონაც დაღლილ ხმით ჰკითხა.

— პლასტმასის... მოკლედ მიუგო ცვილივით კაცმა.

— მეორე?...

- ისიც. ერთი ქარხნის შენობებია.

— ამდენი?

— სხვაც ბევრი აქვს... ფილიალები.

მძიმე სუნი იდგა ჰაერში. შედედებული, შხამიან მასის. ცხვირი აეწვა. ყელიც ჩაეწვა. სუნთქვა შეეკრა, შეუგუბდა. მჭვუნვარე მზერით მიმოიხედა. და აღტაცდა.

ტ ბ ა.

მიფრინდა. ბავშვობისეულ მზერით დახედა. უგრძნობი წყალი

ტბა მკვდარი იყო.

ულონოდ წამოვიდა. წყალი ნყუროდა. სად იყო წყალი! დამშრალი მდინარეები. ამოხაფული აუზები.

დედ-აა...

ასე სჩვეოდა უმწეობის ტამს. მას უხმობდა. სხვა არვინ იყო. აღარც ის ჰყავდა. მტრად ქმნილი სამყარო. მგლური ყოფა. აჩეხილი ნავთსაყუდელი. „ნეტავი მყავდე... და მესმოდეს შენი ხმა, დედა, თუნდ მანყევარი..." ბოტანიკურ ბაღში შელასლასდა. აუმწვანდა ნათრევი სული. ჩანჩქერთან შედგა. ჩანჩქერად თქმული. კლდიდან სუსტად დიოდა წყალი. ცას ახედა.

ცისარტყელა, ნოე!

დაფანტულ წყალს სევდით ჩაუყვა. იასამანის ტოტის რხევით. მარჩხ წყალს წააწყდა. შესვლის სურვილმა აიტაცა. ფეხსაცმელები გაიხადა. აყივლებული შევიდა წყალში. ტერფებით ხისტი სისველე იგრძნო. მედინი წყალი. კეფიდან რკინის მარწუხები მოეშვა უმალ. ფეხის ქუსლებთან დაუცურდა. შებოჭილობა და დაღლილობა სრულიად გაქრა. საამო წყალი. გრილი და სუფთა. ლივლივი. სხეულმა წონა დაკარგა თითქოს. მარტოკა სული იდგა მარჩხ წყალში. და ნეტარებდა. მადლქმნილი, შეებამიცემული. განორჩებული. უმანკო იქმნა ხორციელი.

განბანილი ნაპირს ლაღად მიუყვებოდა. ბუჩქის ძირას იებს ნააწყდა. უმზერდნენ ნაზად, მორცხვი ღიმილით. ფოთოლთ უბედან ტანწერწეტად ამოზრდილები. ჩაცუცქდა.

ი-ავ, ი-ავ,

ჩემო სეხნიავ! ულამაზესო და უნაზესო მინდვრის ყვავილო. იცი, ი ც ი რარიგ მიყვარხარ, ან რარიგად უყვარდი დედას? (უთუოდ შენი ტრფობის ნიშნად [illegible] სათუთი იყო იგი შენსაკენ [illegible] მისსას შენი სურნელი [illegible] გრძნობით დამიძახებდა.

ი ა,

რომ გული ტკბობით შემერხეოდა.

საიდუმლოსაც გაგენდობი:

მე გ ა მ ო რ ჩ ე ვ ი თ ვუყვარდი დედას.

ხშირად მინახავს იგი შენთან განმარტოვებით, თრთოლვით დახრილი. საიდუმლო ხმით მოჩურჩული. რა ტკივილებზე გიამბობდა? რა საწუხარზე? თუ გიგალობდა? ან თუ შვილების სულის მშვენებას გავედრებდა? ან, იქნებ, დარდებს გიზიარებდა?

მიამბე, ი ა.

მაშ, ყვავილთა სადედოფლოში, შენ რისთვისღა გამოგარჩია?...

ერთხელ მოგწყვიტე. ძირს დამივარდი. უნებურად ფეხი დაგადგი და დედამ, (სიტლანქეზე თვალშესწრებულმა) ისეთი კვნესით შემომკივლა, რომ შენ კი არა, თითქოს მის სულს დავადგი ფეხი.

რა იყო, ასე რა ეტკინა?

იგი თვითონ კი არასდროს გარეფდა. თავმდაბალო, ნაღვლიანო მინდვრის ყვავილო. იქნებ, დედა, შენეული ცხოვრების ნირში, თავის სულიერ ცხოვრებას ჭვრეტდა?...

დედის საფლავზე ამოდი, ი ა...

„ხრახ. ხრახ". ფანჯრის მინებზე და ფეხმძიმე ცოლის მიხდილი შიში. მკვრივი ღამე. გაფარჩხულ ხელის გაზრდილი ლანდი...

მინაში ნაჰყო ფეხსაცმლის ნვერი. რბილად შეტოკდა.

„გააღე კარი". მუქარა. ზარი, ელდამ გააპო. მთვრალი ქმარი (ვეღარ მიეჩვია) გულდალეულმა გააღო კარი. კაცი მოშვებით შემობარბაცდა.

„რას ჩაგიკეტავს... ვინა გყავს". ბოროტი შარი.

ცრემლი ჩაყლაპა. ხმა დაირბილა, დაიყოლია.

„გშია? ტანსაცმელი გამოიცვალე... დაიბანე. წყალი ცხელია". მონა-ცოლი.

„რატომ არ მიღებდი".

„ჩუ-უ, ბავშვები..." სათუთმზერაქმნილი ქალი.

ბავშვებს ეღვიძათ (უმალ გაელვიძათ). დაფეთებულნი აელმებდნენ ღამეში თვალებს. თრგუნავდათ მამის აშარება. ავის ლოდინში ჩვილი გულები უკანკალებდათ. ენა არ ედგათ. სამი ბლუ იყო. მამის დესპოტური კვალი.

ფუმფულა მინა ჩამუხლულმა ჩხირით გაჩიჩქნა. ნოყიერების სუნმა დაათრო. „რა ანოყიერებს მინას?"... კითხვა გველივით გაიკლაკნა.

საფლავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შხამით აივსო და ხის ტანზე მიდრეკა თავი. მკვდარი შეგრძნება. ხეს ახედა. გამხმარი იყო. თვალები ტყისკენ გაისროლა. ჩამომხმარი ვერხვის ხეები. ჩონჩხები. ურვით ნამოფეთდა. მიზანსწრაფვით გამორბოდა: ქალაქი ეხილა, ქალაქი. — ხალხით.

მარტო ვარ.

მოსდევდა: ტყუილი და სიცარიელე. დაიღალა. ქვაზე დაეშვა. დიდი, სუფთა და ბრტყელი ქვა იყო. სიამით დაესვენა. გადაიზნიქა. ლოყა დაადო. ჩაეხვია. ნებიერად მინაზდა ქვაზე. სხეული მოეთენთა. მიეძინა. ტკბილად ეძინა. როგორც დედის თბილ გულ-მკერდზე.

დასვენების ნეტარი გრძნობით გამოეღვიძა. ქვის სასთუმალს მადლიერების გრძნობით კოცნიდა. უმზერდა გველი. გვიან შენიშნა. და შიშით უმალ ნამოიმართა. გაირინდა: განწირულის საცოდაობით.

გველს ჭრელი ტყავი უბრწყინავდა. გამოცვლილი. ორმოც დღე-ღამის ნამარხულევი. — „განჭაბუკებული". გაეხადა ბებერი ტყავი. სადღაც დაეგდო. თვალებში შუქი დაბრუნებოდა. და ეტრფოდა ახლა ნახვერად შიშველს. ია კი, შიშით გონწართმეული, ვერკი გრძნობდა: მიძინების დროს სარაფნის კალთა აჰკეცვოდა. თხელი მხრებიდან სალტეები ჩამოსცურებოდა. გაშიშვლებოდა თეთრი გულ-ყელი. ტკბებოდა გველი. იამ სიშიშვლე გვიან შენიშნა. და კაბის კალთა ჩაისწორა. სალტეები მხრებზე რიგ-რიგად აისწორა. გადაისწორა აშლილი თმებიც.

გველს არ ეამა კორექტივი. წერილი თვალები აუალმასდა. და მისახდომად აიხნიქა. გაშეშდა ია. მგრძნობიერად შეყოვნდა გველი. შიშნაჭამ იას ბაგეებიდან თბილი ღიმილი გადმოეფანტა. ეშინოდა და უყვარდა გველი.

გველი დადრკა. მიწას განერთხო. შემოსცქეროდა ტრფობის მზერით.

მზე დაიწურა. ია ქვიდან ფრთხილად ნამოდგა. გველს განერიდა. შეირხა გველი. ტანი გაშალა. იას კვლავ შიშმა დაპკრა. ქვას აეფარა. და გზისაკენ შველივით გახტა. ელდით გარბოდა. მისდევდა გველი. ქალაქს ქოშინით მიაღწია. მაშინღა მიიხედა. არ ჩანდა გველი. სული მოითქვა. მშვიდდებოდა. გულმოცემული ხალხს შეერია. იასამანის ტოტის რხევით. იისფერსა და იასამანზე შეყვარებული.

ცხოვრების ჯარა. უუგრძესი, მასიური ჯაჭვის ულარუნი. თავისუფლების სურვილით ტანჯვა. უღელი. ტვირთი. ცოდვათა ნიალვარი. სულის სიღრმეში გათხრილი უფსკრული. წრიალის ამაოება. ვერ ამოავსებ. გზა გადაუღობეს.

— ჯერ ნუ გადახვალთ!

ერისკაცს მოასვენებდნენ.

მოკლეს და დიდებით გაასვენეს.

სიყვარულის ვერაგი მახე. ხუხულა[illegible]თა ნგრევა (და რაც არ ინგრევა[illegible] მყარია?). ყველას უჭირს. ყველას სახლში დულს თითო ქოთანი. აჰ, სადღაა სიყვარულის დულაბი. როდის იყო! ყველა ცალ-ცალკე უნდა ცხოვრობდეს.

— არ გათხოვდე, ია, ყველა მამაკაცი დესპოტია.

დეიდას ლბილად ახედა.

— სადილს ვუმზადებ და მეჯაჯღანება. პერანგი რატომ არ გამირეცხეო. ბიჭოს! მეც ახლა მოვედი სამსახურიდან.

ქმარი გაიტრუნა. მიჩუმდა.

„ბიჭოს!" ტკბილად გაეღიმა. უყვარდა დეიდა. დედის ერთადერთი და. ახლა მეტად შეუყვარდა (უდედოს). მიეტმასნა: ცივ დეიდას. გული კეთილი ჰქონდა. ზამთარივით სახე რომ არა. დედა კი სათნო იყო.

ვილაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. განცვიფრებით გახედა.

ორეული.

ულიმოდა. მას კი ხორკლმა დააყარა.

„ვინ..." ცნობისწადილი. დრტვინვა. უნათლო სივრცე. ბორიალი. უხერხულობა. და განრიდების სწრაფი სურვილი. გაქცევა. უფსკრულის ხაო. სინანულის და გაურკვევლობის მსუსხავი ხლართი. ვინ არის... რატომ... საიდან... კითხვის შოლტები. გული აეწვა. ცრემლი მოადგა. „უნდა გავიგო!" ნერვიულმა სურვილმა დაპკრა. გარბოდა, როგორ! ეძახდა. ქოშინით მიეახლა.

— ვინა ხართ!.. არეულმა სიმკაცრით ჰკითხა.

ორეულმა, უცხო ხმით და უცხო ჟესტით, რაღაც მიუგო

გამოთაყვანდა.

— იტალიანო... უხსნიდა უცხო. თან უხერხულად ულიმოდა.

...იტალიელი???...

გაურკვევლობის ბლაგვი მახვილი. დაემშვიდობა. გაცრუებული და უარესად დაბნეული. მიდიოდა: დაცხრილულ ზურგით. თითქოს სხვა იყო. თითქოს ერთ ნამში დაკარგა თავი. სხვად გარდაიქმნა. უცხოდ მიჰქონდა მთელი სხეული. სარკეს ნატრობდა. დიდს, სალონისას. სხვა იყო! შეძრწუნებული ესწრაფვოდა თავის დანახვას. გზას აგრძელებდა: არეული და გახლეჩილი.

„მიშველეთ, რა მოხდება... გამიყუჩეთ ტკივილები, რა მოხდება." მწუხრის საკანი ჩაიშალა. ჩაწკვარამდა. „მშია..." უმწეო სურვილი. მეზობლის ბინაში ცეკვავდნენ. „ცეკვა მუცლიდან მოდის". დედას კუჭზე სიმსივნე ჰქონდა.

— გამარჯობა...

კაცის ხმა იყო. თვალი მიადევნა. მებალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამ. ამაყად და ლაღად მიდიოდა. გვამებზე გამდიდრებული.

მებალზამის დანახვამ დამეხა. წინ მიდიოდა უსულგულო, უსისხლო კაცი. ხორცშესხმული მექანიზმი. მექანიკურად ადგამდა ფეხებს. ტანს და ხელებსაც მექანიკურად ამოძრავებდა.

ია ტრანსპორტში გაციებული სახით ავიდა. გრძელ სალონში შემკრთალი მზერით მიმოიხედა. მებალზამეს გზა ფეხით განეგრძო. ამაყად, ლაღად მიდიოდა. სალონი კი სავსე იყო მელოტ კაცებით. „რა ღვთის რისხვაა!" შეცბუნებულს აღმოხდა გულში. თმაზე ხელი მადლიერებით გადაისვა; ჩემი კოსმიური კავშირი მზესთან. თბილ-ლბილი თმა. ხელები და ცხვირი მუდამ გაყინული ჰქონდა. თმა რომ გადამპარსონ, მოკკვდები! საწყალი და სასაცილო ბავშვები. აბეზარი, მოლუდღუდე ტილები. გიჟმატი ქავილი. სიამის აჟივლება. ამაო ბანვა. „თავი მე, დედიკო, თავი მე!... ვტირივარ, დედიკოო!..."

სახლში დედის თმის ნაწილი ჰქონდა. უძვირფასესი რელიქვია. მონატრებისჟამს თითებს ფაქიზად შეახებდა. აიღებდა. მიესათუთებოდა. გაიდუმალებული.

კვლავ მელოტ თავზე მოუხვდა მზერა. გააჟრჟოლა. მგზავრები ხმამაღლა საუბრობდნენ. ზოგი ფანჯარას მიშტერებოდა ნეტარი ფიქრით: ჭამა, მოწყობა. ფუფუნება... საერთო სახლში გაზრდილები. საიდან ექნებათ იდეალი. პატიოსნების კრიზისი. ომი კუჭისთვის.

სასტუმროსთან ტურისტთა ჯგუფი ამოვიდა. უგემოვნოდ ჩაცმულები. ჭარბობდა თეთრი. სალონში მჭახე, ქარაფშუტული მხიარულობით მიმონაწილდნენ. არყის სუნი ამოაფრქვიეს. ქერები იყვნენ და წვრილნაკვთება. თვალები და ცხვირი აღარ ჰქონდათ მკვეთრად ნიშნეული. „ჯერ იყო და თურქები გავამშვენიერეთ..." საბედისწერო მისსია.

თვალების დამთხრელ სიბნელეში გზას ინერციით მიიკვეალვდა. დედინაცვლის ჩხაკილი. ბრძანების მათრახები. გაუხეშებული სამყარო. დათრგუნული მონები. ვინც მუშაობს ის არ ჭამს. აქ დიდი გაიძვერობაა. არავის სჭირდება აზრი. პოლიტიკური ცხოველი.

არა!!!

დაცხრი. კბილებამდე შეიარაღებული არ მია. ამაოა ყოველი. ნუთუ! რ ი ს თ ვ ი ს გავ ჩნდი. ვინ გკითხა. საჭირო იყო. რისთვის. რომ გეხილა ეს სამყარო. ეს, — ავბედითი? არ მოგწონს? დრო მოვა და დატოვებ, ნახვალ, წ ა გ ი ყ ვ ა ნ ე ნ. დაგეგმილი ხარ, დ ა პ რ ო გ რ ა მ ე ბ უ ლ ი. არც სული გეკუთვნის შენ შენი და არც სხეული. შენ გ ა გ ა ჩ ი ნ ე ს.

ია ბოლმით გულგასენილი შევიდა სახლში. დივანზე, როგორც არაფერი. ... გდო. არაფერზე არ სურდა. ... არ სურდა. არ ჰქონდა ფიქრის უფლებაც თითქოს. რადგან ამაო იყო ყოველი.

— ნუგზარი ვარ... ტელეფონში ამცნობდა ... ვერ მიცანი?...

— ვერა... მაპატიეთ...

— მოვალ და მიცნობ, საქმე მაქვს შენთან... დისერტაციის გადასაბეჭდად მანქანა მჭირდება...

— მობრძანდით, ნაილეთ.

— როდის

— როცა გენებოთ.

— დიდი მადლობა. ბარემ ახლავე წამოვალ...

— კეთილი.

იამ ყურმილის დადება სცადა, მაგრამ ყურმილში ხმა კვლავ გაისმა. ის უცხო ხმა უბოდიშებდა:

— მისამართი არ მახსოვს...

— ტელეფონის ნომერი იცოდით, თუ სხვამ მოგცათ?...

— ვიცოდი. მისამართი კი დამავიწყდა.

ჩააწერინა და დაელოდა: მომავალ მეცნიერს. არავის რომ არ ახსენდება, არც ხმა, — არც სახელი. გაღიზიანებული ელოდა. გაკენწვლის ჟინით. ფიქრში კენწლავდა:

უვიცი სწავლულები. ეშმაკის ტვინი. პროგრესის ჟინი (ჩამორჩენილის ეგოიზმი). მამოძრავებელი მოტორი: მტრის სიძულვილი. წინსვლა. გასწრება. წინსვლა: პროგრესული კატასტროფისაკენ. ცივილიზაცია. რაღა დროს სინდისია. ტექნიკური ეპოქა. დედამომიკლეს. ატომი. ახლა სხვაგვარად კვდებიან. დასხივებებით, ს უ ფ თ ა დ. კობოს ვირუსი. მიწისქვეშა სადგურები. ცაშიც დაძრწიან.

უქარო დღეები მომენატრა.

სიბნელე. სიცარიელე. ნგრევით შეივსება. მეშინია. დაბადებიდან დამყვა. რა უსუსური ვარ. უძლური. შეცვლა არაფრის შემიძლია. მონად დავიბადე. ლამაზად მინდა ვიცხოვრო. გარეწარივით ვცხოვრობ. სიყალბის ლაფი.

ბედნიერია, ვინც ამ ქვეყნად არ მოვლენილა. არ უნახავს ეს ჯოჯოხეთი.

დედა,

როგორ გაძელი.

მე კი მგონია უსაშველოდ დიდხანს ვიცოცხლე. ძვლები მტკივა. და სულიც მემძიმება. სიმშვიდის ნიღაბს დავატარებ. როცა გულში სულმწარედ ვდრტვინავ. და როცა უღვთოდ ვინყევლები. ხოლო შემხვედრს ყალბად ვუღიმი. ვცრუობ. მჭირდება. რადგან ტყუილი ლამაზად მაჩენს. რადგან სიმართლე სიშიშვლეა. სირცხვილი. სიცრუის მერე სინდისი მქეჯნის. და ისევ ვცრუობ. საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როა, წარმოგიდგენია? რადგან სიმართლე გზიდან მაგდებს. ეულს მყოფს, მამსხვრევს. ტყუილის ხუხულა ჯაბნის სიმართლის ბერკეტს. წარმოგიდგენია?

დაღალულმა ფარდა გასწია. ლამაზ ფასადებს მიაპყრო მზერა: ღრმა, მტრული ფიქრით. კარზე ზარს რეკავდნენ. გვიან გაიგო. დაიძრა. კარი ბოლომდე გამოაღო. პარმაღზე სულ მთლად უცნობი იდგა.

— მე... ნია მინდა... თვითონაც დაბნეულმა ამოთქვა ბიჭმა.

— ნია, თუ ია?...

— ნია...

გაიმეორა და ხმა წაერთვა. სუნთქვაც დაეკარგა.

— მე ია ვარ... ღიმილით უთხრა. რითაც მოსული უფრო მოხიბლა.

— კი... არეულს ბრიყვულად დაცდა.

— რა, კი?... დაყვავებით ჩაეკითხა.

„რა ღიმილი აქვს!..." ვაჟი მზერას ვერ აცილებდა. გაპობილ ტუჩ-კბილს თვალგაშტერებით მისჩერებოდა.

— იცით... ახლახან დაერეკე... გულდალეულმა ხმა ძლივს გაიღო. მას ვესაუბრე... სწორედ... მისამართიც მომცა, აი! მიამიტურად გაუწოდა. ხელი და გული ერთნაირად უკანკალებდა.

— რის შესახებ ესაუბრეთ?...

— საბეჭდი მანქანის...

— აჰ, მობრძანდით! გაგიმზადეთ.

— თქვენ?...

— მე... იამ ღიმილი კვლავ შეანათა. მობრძანდით...

ვაჟი ბანდალით შეჰყვა ოთახში. ბედისწერას მინებებული. თავბრუ ესხმოდა.

— დაბრძანდით. ახლავე გამოგიტანთ. თქვა და გავიდა. მანქანით ხელში შემობრუნდა. ინებეთ... მანქანა მაგიდაზე დადო.

— მგონი ნომერი შემეშალა... ან სახელმა... ვაჟი ლუღლუღით თავს იმართლებდა. „რა ლამაზი ხართ..." თვალებს ვერ სწყვეტდა.

— არა უშავს... ამშვიდებდა ია. რა მნიშვნელობა აქვს. მანქანა გჭირდებოდათ და გაქვთ. ალალად გაუღიმა. რაზე იცავთ?...

— ეკოლოგიაზე.

— ოო, საჭიროა! აუცილებელი! წარმატებებს გისურვებთ. მაგრამ საკმაოდ გვიანია... ხელფასი გაგეზრდებათ... დასძინა.

— სამაგიეროდ!... ნათქვამის არსი შეავსო ვაჟმა.

ია მიხვედრამ გაახალისა. გაიცინეს.

— ტექნიკურ მეცნიერებას პატივს არა ვცემ, უბრალოდ თქვა იამ.

— პროგრესულს? პრესტიჟით ჩაეკითხა ვაჟი.

— ...ვითომ?... პროგრესი ნიშნავს კაცობრიობის კატასტროფას? არსით იგი ურჩხულის მატარებელია, თუმცა გარეგნულად ლამაზია და სუფთა...

— მაგრამ იგი დროის მოთხოვნაა.

— გეთანხმებით. მაგრამ არ შეიძლება პატივს სცემდე ისეთ მეცნიერებას, რომელიც ადამიანს ზედმეტობით ემუქრება. მთელ მის დანიშნულებას კი რობოტს აკისრებს.

— თქვენ რა სპეციალობის ბრძანდებით?

— მე ჰუმანიტარი გახლავარ, სპეციალობით არ ვმუშაობ...

— ო ეს, ჰუმანიტართა საერთო პრობლემაა...

— ტექნიკურ მეცნიერებათა წყალობით შექმნილი.

— თქვენ კვლავ კბენთ პროგრესს.

—დიახ. ჩვენთვის ცნობილია, რომ საიდუმლო ორგანიზაციებში არსებობს ისეთი ტექნიკური აპარატები, რომლებიც ადამიანს ბუნებრივი აზროვნებისაგან თიშავს და მას საკუთარი ნების მიხედვით ალაპარაკებს. ეს სოციალური ბოროტებაა!

— მეტსაც გეტყვით: უკანასკნელ დროს მეცნიერებამ მიაღწია ისეთი აპარატის გამოგონებას, რომელსაც ძალუძს ადამიანის ფიქრები ამოიცნოს. წაიკითხოს...

— ოჰ, რა საშინელებაა!... ია შიშმა და ძრნოლამ მოიცვა, სად გავიქცე... ძრწოლვით დასცდა. ძრნოლაც შვენოდა.

„რა ლამაზი ხართ!" შესტრფოდა ვაჟი.

— ის ქალბატონი ვინ არის?... სურათზე ჰკითხა.

— დედაჩემია...

— გავხართ...

იას თვალებში იდუმალი სევდა ჩაუდგა. მის არსებაში იყო რაღაც მეამბოხური. გიშრის თვალებში ავაზა თვლემდა. ელვარე მზერა გატყვევებდა, კიდეც გაკრთობდა. „სილამაზეც ბოროტებაა, როცა გახელებს..." „სახიფათოა ასეთი ცოლი".

— ეს მანქანა „ერიკაა". გნებავთ, გასაცნობად, ცოტა ჩამობეჭდეთ...

მაგრამ ვაჟი გულს ვერ გრძნობდა: ქალის უცაბედი სიახლოვით ბურუსმოცული. უგონოდ და უღონოდ იჯდა. ია კი კვლავაც მიამიტურად უხსნიდა:

— ეს გამოსაწევია. ეს აბზაცის დასაყენებელი. ეს...

ვაჟს სიტყვები აღარ ესმოდა. მხოლოდ ხმა: თბილი და საამური. ძალა მოიკრიფა. ნახვამდისო, მღელვარედ თქვა და კარისაკენ გაექანა.

— მანქანა დაგრჩათ! იამ განგაშით დააწია.

არ დარჩენია. არ შეეძლო მისი წაღება. რადგან იგი სილამაზის ტყვეობაში დააბრუნებდა. და ვ ე ღ ა რ გაუძლებდა. გაგიჟებით უყვარდა. არეულ ქუჩას შლეგიანივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადარბოდა. ამ დღეს წყევლიდა. გულის შემძვრელს. საბედისწერო შემთხვევის დღეს. უგუნებოდ შეიქმნა იაც. ფანჯარას მიაშურა. ზურგი აქცია ოთახის მარად გაყინულ წესრიგს. თავსაც რომ ატყუებდა. შეცნობა ღრღნიდა. ზურგით იდგა.

სვეტებზე შემდგარ კორპუსიდან მიცვალებული გამოასვენეს. გულის შეტევით გარდაიცვალა. გულის შეტევა როცა დაეწყო, ტელეფონს დასწვდა. კარგა ხანი ანესრიგებდა არეულ ზუმერს. როგორც იქნა გავიდა ზარი. თეატრში მოხვდა. ნერვიულობით ტკივილმა მეტად შეუტია. გულში ჩხვლეტები გაუხშირდა. იგუდებოდა. განნირულმა ყვირილი მორთო. მეზობლებს კი ტელევიზორი ჰქონდათ ჩართული. ბინის ყრუ კედელს მუშტი ამაოდ უბრახუნა. ტელეფონის ყურმილი მოფშვნა. კბილები სიმწრით ჩაასო ბაგეს. სისხლმა იდინა. და უსიცოცხლოდ ჩაჰკიდა თავიც. გადავარდა.

სამი დღე ეგდო იზოლირებულ ბინაში მკვდარი. ვიდრე დედამ არ მოაკითხა. მეზობლებმაც მაშინ გაიგეს. მძიმედ მოჰქონდათ მუხის კუბო. ია ნაღველით და უჩვეულო ნატვრით ფიქრობდა:

რა ბედნიერი ხარ, დავით, რომ მოკვდი.

რა ბედნიერი ხარ, დავით...

— დავითიც გაასვენეს... აივნიდან შეეხმიანა მეზობელი.

— ჰო... ია მტკნარად გაეპასუხა.

— საფლავის მიწას სამი ათასი მანეთი მისცეს...

— ჰ!

ჯოჯოხეთი და ადამიანი, ერთი მცნებაა. ერთმანეთშია. მინდა ცოტა უკეთესი მაინც ვიყო. სულის სამარცხვინო დირეები. ტკიპასავით აკრული საზარელი წარსული. სად დამარხავ. სად გაექცევი. დავმყაყდი. მოძრაობა მინდა. მე კი მშვიდობის ბორკილი მადევს. თვალებს მიჭრელებს ლოზუნგები. ბეცი იდეოლოგია. მარნუხი. შპიცრუტენები. ჩახადე! ჩახადე!!! მოთმინების გარსში წიელი. სიმწრის მოგუდვა. ნნეხი.

სიკეთე ის იქნებოდა, არ გავჩენილიყავი. უხმოდ ტიროდა.

— ცუდად ხარ? თითქოს ვერ სუნთქავ... ეკითხებოდა მეზობელი. კარს რომ არ კეტავ, არ გეშინია? მარტო ხარ, თანაც ლამაზი...

— ლ ა მ ა ზ ი. სილამაზე წარმავალია. გახსოვთ, როგორი ლამაზი იყო დედაჩემი? ავადმყოფობამ კი როგორ დახრა და დაამახინჯა?..

— ქურდების მაინც არ გეშინია?

აღარაფრის ეშინოდა. ყველა შიში გავლილი იყო. განლეული.

— უფლობის მეშინოდა. შეყეგუა...

— დღეს ზეიმია, ყვავილებს ... ლი. ჩვენს სკვერშიც მუსიკა -იყო, რატომ არ ჩამოხვედი.

ზეიმი... მუსიკის ხმა არც გაუგია. აღარ ესმოდა მსგავსი ხმები. დ ღ ე ს ა ს ნ ა უ ლ ი, ჰ!

— შენ ახალგაზრდა ხარ, ყველგან უნდა დადიოდე. თან გულს გადააყოლებ, გაერთობი...

იამ მზერა მოაცილა ქალის ბრიყვული სიამოვნებით აღვსილ სახეს. ამხელა ბავშვი?...

— მთელი დღე ციბრუტივით ვტრიალებ... ისე ვიღლები...

— განცდებით დაღლას ფიზიკური დაღლა სჯობია. ფიზიკურ ძალას, დაწვები და მალე აღიდგენ. განცდებით დაღლილს კი ორი დღეც არ გეყოფა... მე დაწოლილიც დაღლილი ვდგები...

— ძლივს გამოვედი სამზარეულოდან. ჭამა, იცოცხლე, კარგია, მაგრამ გაკეთება?... ისეთი ქონიანი ხორცი მომიტანა ლადომ, ძლივს მოვიცილე თითებზე ქონი. ნახე, ფრჩხილებში ჩამრჩენია.

იას სახე შეუნუხდა.

— შენ ხორცს არა სჭამ, არა? ვეგეტანიარი ხარ...

— დედათქვენი, რამდენი ხანია, რაც გარდაიცვალა?... მნუხარ სიმზე გადართო იამ.

— ექვსი წელია... მამა უფრო ადრე... სტუდენტი ვიყავი... რამდენი ხანია, რაც მათ საფლავზე არა ვყოფილვარ... ეჰ, დრო ყველაფერს როგორ ლეკავს. აღდგომის დღესაც ვერ შევძელი. რა ცუდი შვილი ვარ, არა? ოჯახმა ისე ჩამიყოლა, ველარ ვახერხებ. კარგი მშობლები მყვანდნენ...

შვილები ვართ მუდამ ცუდები. როგორ ვჩხუბობდით! დანა-სისხლად ნაკიდებულნი. დედა გვისმენდა: საყვედურით. შიშის თვალებით. გულგანგმირული. შიში ლევდა — არ შეენიშნა სიძულვილი, ქმრის ოჯახში შთამომავლობით რომ მძვინვარებდა. დაძმათ ერთმანეთი სძულდათ. შვილებს მშობლები. გამწარებული მშობლები, შვილებს გაბოროტებული წყევლიდნენ. რძლის სათნოებამ ვერ უშველა. ველური გზნებით გადაქელეს.

მამა ვაჟებს მათრახით სცემდა. ქალიშვილებზე კი ბილწად ეჭვიანობდა. ამხანაგებთან ურთიერთობას უშლიდა. შვილებს თრგუნავდა. შვილები ღიზიანდებოდნენ. ქალი, უსამართლობით და სისასტიკით ეწამებოდა. ვერაფერს ღონებდა.

შვილებს, ნერვიული ხასიათი დამღად დაეტყოთ. სიძულვილი კი, პირველად, მამის მიმართ გამოამჟღავნეს. „მამას არ ვუყვარ-ართ!" შესჩივლეს ვაჟებმა დედას. დაუოკებელი რისხვა და გაბოროტება ედგათ თვა-

ლებში. „რისთვის გაგვაჩინა!" მძვინვარებდნენ. პასუხს ითხოვდნენ. სასონარკვეთილი ქალი ქმარს ცრემლებით ეევედრებოდა: მოფერებოდა შვილებს. ცოტა მომბალიყო. კაცს მოფერება არ შეეძლო. მის გაუხეშებულ ბუნებას — სილბო. საშველი არ ჩანდა. გაღიზიანებული ვაჟები ერთმანეთში ხშირად ჩხუბობდნენ. მამასაც ეპასუხებოდნენ. რაც კაცს მეტად ამხეცებდა. დაუზოგავად სცემდა. დამორჩილების ტირანული ჟინით. ქალი გმინავდა. გოგონებიც უხეშობდნენ. ავობდნენ. კაპასობდნენ. ქალი, შიშჩამდგარი უთვალთვალებდა იმ საშიშ გრძნობას, რომელსაც სიძულვილი ერქვა სახელად.

ხუთივეს სძულდა მამა.

ზარავდათ მისი სიძლიერე და ხმა, კედლებსაც რომ აზანზარებდა. ერთმანეთსაც მტრულად ექცეოდნენ. არაფერს პატიობდნენ არაფერს უთმობდნენ. გაცეცხლებულნი, აღარც დედას ინდობდნენ. ეკამათებოდნენ. აგრესიით უტევდნენ. მამის გენი. ახლა ია წუხილით სჯიდა:

ვინა ვარ მე. როგორც ადამიანი? ფიზიკური — მე და ინტელექტუალური — მე. ანუ პირველი და მეორე — მე. შეძენილი ხასიათებით. ურჩი. მრისხანე. გულზვიადი. პატივმოყვარე. ამპარტავანი. სიცრუის გუდა. და ყველა ჩემი მეორე — მეა. ჩემი პირველმეს ტუტუცი მდგმური.

მძულს.

და ვებრძვი. მაგრამ მბატონობს. ძლიერია მიწის ვნებები. საზარელი. და მისით ჩემს ცხოვრებას ჰქვია.

დ ა ც ე მ ა.

თქვენ კი არ მიცნობთ...

მე დავიკარგე მღვრიე მორევში. სიმწრით გავკივი. დავეძებ ჩემ თავს.

ს ა დ ა ვ ა რ.

შეშლილი შუბლი სურათს მიადო. ყრუდ აქვითინდა. ვისაც დედა და მამა ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი. აიქნია დასჯილი თავი. შეჰლაღადა:

უფალო.

მე მიყვარს ჩემი ცოდვილი დედა. იგია ჩემი ხილული ხატი. და გთხოვ, დ ე დ ი ს სიყვარულისთვის მაინც ნუ დამსჯი.

ვიცი, ვიცი, შენ შექმენი ეს სამყარო, ადამიანიც. დედამ კი მშობა. დედამ გამზარდა სიყვარულით, ამაგით, ზრუნვით. მიერთგულა. ნუგეშად მყავდა. ამ ცხოვრების ეკლიან გზაზე მტლად დამეგო. და მითხარი, ვით არ მიყვარდეს?

შენ დიადი ხარ და უწმინდესი. მაგრამ ძ ნ ე ლ ი ა უხილავის რწმენა, უფალო.

სიყვარული კი ვით შევიძლო: უბედურმა და გადათელილმა?

შენ ხომ ჩვენზე გამეტებით აიღე ხელი. და ამ ქვეყნად ყველაფერი ცოდვად ითვლება: სიყვარულიც და სიძულვილიც [illegible] ლი ვარ ამ უკიდურეს ცოდვათ[illegible] მეკუთვნის, არც დედ-მამა, არცა და-ძმა, არცა შვილი, არც მეგობარი. ეული ვარ, არასმქონები. და მაინც ვდგავარ სამყაროს ცენტრში წყეული გონით. ვისი ძალითაც მტრულად შებმიან აქ ერთმანეთს: ნესრიგი და უნესრიგობა. პროგრესი და რეგრესი. მე დავიკარგე ტექნიკის ბუმში. გზა აბნეული დავბორიალობ. ყველაფერი მეუცხოვება. გარშემო საზარი სიცივეა და ჯოჯოხეთური სიმაღლეები. მეშინია. აპლა, ჰ რ ო მ ე თ ე!...

ცეცხლის გარეშე კი რა ვიქნებოდით?...

იმ სიბნელის წარმოსახვამ უფრო შეზარა

...სიკეთე ის იქნებოდა, არ გავჩენილიყავი.

წყურვილმა შეაწუხა. გახელდა. მერე რა ხშირად ნამოუვლიდა მსგავსი სურვილი. წყურვილის. ერთადერთი, რაც ახელებდა. ხახა გაუშრა. მწყურვალი მზერით შადრევანი მიმოიძია. და ყველგან იყო ამომშრალი. ქუჩა გადაჭრა. ინსპექტორმა დაუსტვინა. ყური არ უგდო. ენის წკლაპუნით მიისწრაფოდა. ამომშრალიყო მოზაიკური შადრევანიც. მთლად გახელდა. გახელებული ვიღაცის ბინის ღილაკს აჭერდა.

— ვინ არის?... შიგნიდან გამოსძახეს.

— მწყურვალი...

დუმილის ფენა. ორჭოფი. ეჭვი.

— ნუ გეშინიათ, მართლა მწყურვალი ვარ. კარი ფრთხილად შეიღო. მკაცრი ღრიჭო. ჯაჭვი გაიძგიდა. ზღვარი.

— ერთი ჭიქა წყალი, თუ გექნებათ...

— მობრ-ძან-დით... მასპინძელს ორჭოფით დასცდა. სამი დღეა არ მოდის წყალი. გრაფიკით ვიღებთ... დასალევი კი გვაქვს. ახლავე გამოგიტანთ.

მოწოდებულ წყალს სიამით ცლიდა.

— დიდი მადლობა... უსაზღვროდ დიდი. წყლისათვის და ნდობისთვისაც... იამ შეჰღიმა. ნახვამდის. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის.

მასპინძელი მოხიბლული შესციცინებდა.

— კიდევ მობრძანდით... სურვილით დასცდა.

იამ დაბნევით გაუღიმა.

— რა გქვიათ?... დამტკბარ ღიმილით ეკითხებოდა მასპინძელი.

— ია...

— სახელიც ია?... მიუალერსა.

წავიდა ია. მასპინძელმა გულდაწყვეტით მიხურა კარი. არ ჩაუკეტავს. ზურგს უკან ტელეფონმა დაიწკრიალა.

— ალო!... წარმოთქვა ლაღი განწყობით. აჰ-ჰო, ნუციკო. ვიცი, ვიცი, რომ ნაწყენი ხარ... კი, ამჯერადაც მოგატყუე, ველარ მოვედი... უსინდისო ვარ! მართალი ხარ, მთე-

ლი წელია... რა ვქნა, ნუციკო! ქმარი, შვილები. სამსახური... ბეჟანის დარდმა მთლად გამომქანცა, ყოველ დღე მთვრალი მოდის... კი... აბა, ჩვენ ვარჩენთ... ეჰ... აღარც დრო მაქვს და აღარც განწყობა. კიდევ კარგი, ტელეფონი მაინც არსებობს... ირონიულად გაიცინეს.

მერე ყვებოდა, როგორ ეწვია უცხო სტუმარი ჭიქა წყლისათვის. იას რომ ჰგავდა. და თურმე ია რქმევია.

— კარს არ ვუღებდი... აღიარა მონანიებით. ეჭვით შეურაცხყვე... სირცხვილის ვარდით მოეცვა სახე. ჰო, რომ გამქურდეს... მას მერე ვარ დაშინებული. კინაღამ მომკლეს ავაზაკებმა.

— კარი ღია იყო!

დაფეთებულ ხმას მოხედა.

— მერე?...

— რა? გააფრინე? დაგავიწყდა?... აღარ დაგრჩეს, იცოდე!

— არ დამრჩენია, დავტოვე, მშვიდად და რბილად მიუგო ქალმა.

— გააფრინე?!

— სტუმარი იყო...

— მერე?...

— შენ ვერ გაიგებ.

— რას ბოდიალობ!

— საიმედოდ ჩაკეტე? ცინიკურად ჩაჰკითხა ცოლმა.

— კი! დაბეჯითებით მიუგო ქმარმა. თუმცა... მიბრუნდა, მაინც შეამოწმა. ცოლს სიცილი წასკდა. უკვე თავს ველარ იკავებდა. ქმარს სახეში ახლიდა სიცილს. გასაღებების მძიმე აცმა. იცინოდა.

— რა საცოდავები ვართ...

— მიზეზი ქმნის მდგომარეობას... ბეჟანი არ მოსულა?

— არა... მალვინა ისევ შეიკეტა თავის ოთახში.

— ვერ გაამტყუნებ! ეხუმრები, ყოველ დღე მთვრალი ქმრის ყურებას? ლოდინს...

— მაგიტომ არ აჩენს მეორე შვილს. არც ბეჟანს უნდა. „მე რა სიტკბოება ვნახე ამ ცხოვრებაში, ჩემმა შვილებმა რომ ნახონო"... ციხემ მთლად მოუღო ბოლო... ახალგაზრდა კაცია და ცხოვრებაზე უკვე ხელჩაქნეულია. აღარაფრის სჯერა, აღარაფრის სწამს, ყველაფერზე გვიჯანყდება...

— ის გოგოც უხასიათო შეხვდა...

— ჩუ, არ გაიგოს და მთლად არ გაგვექცეს... უარესად დაგვებოღმება ბიჭი.

— დამძიმდა ცხოვრება. ახლა, შვილების თვალით რომ ვუყურებ, მართლა ნამეტანი დამძიმებულა... ჩვენ კი, თითქოს, არ ვიყავით ასეთი მგრძნობიარენი.

— ჩვენ და ჩვენს წინა თაობებს სხვა პრობლემები გვაწუხებდა: მშვიდობისა და პურის. დღეს ჩვენს შვილებს ეს ყველაფერი აქვს, მაგრამ სულიერ კრიზის [illegible] მომავალთ რა ეშველებათ!

— იცი, როგორი სტუმარი [illegible]... [illegible] ღაც ოცნებით წარმოთქვა ქალმა. აი, ერთი შეხედვით რომ მოგხიბლავს და შეგიყვარდება... რაღაც სხვა იყო, სათნო და სულ მთლად სულიერი... ისეთი რძალი... ჩვენს ბეჟანს სააქაოს მოაბრუნებდა.

— ეჰ, სუყველაფერს ბედი უნდა!

ია კი კვარტლებს მიუყვებოდა. ბეტონის ერთსახა გალიები. მოკვდა ჩუქურთმის მჭრელი. ცივი ფერი. ბლოკი. სწრაფად აშენებენ.

— ელზა! ელ-ზა!... მეთვრამეტე სართულს ასძახა. ჩამოდი...

— შენ ამოდი!

— ეზოში სჯობია.

— გაზზე სადილი მიდგას და თანაც ფეხბურთს ვუყურებ.

— ოოო... უკმაყოფილო შეძახილით დაიძრა ია.

— არ ამოხვალ? — ჩამოსძახა ელზამ.

— ფეხბურთის საყურებლად?... გზა განაგრძო.

ტროტუარზე ჭიანჭველების ჯგუფი მირბოდა. — „ტვირთოსანნი". ფქვილისა და თესლის მარცვალი მიეჭონდათ პირით. ჭაპანწყვეტით მიიჩქაროდნენ: ზამთრის სადგომებისაკენ. თვალი ღიმილით გაადევნა. მოხუცმა ქალმა ჩაუარა კუპრივით თმით. მოხუცს წარბებიც შეეღება. უსიამოვნო გრძნობა დარჩა. რად უნდოდა ამ ბებიას შეღებმა თმის?... სიბერეს დასცინის. თუ ალამაზებს?... რუდაქი გლოვობდა.

თავისი ბებო გაახსენდა, „ზავიკით" რომ ეწვია ერთ დღეს. ცნობა გაუჭირდათ. შვილსაც კი ეუცხოვა. ბავშვებს სიცილი წასკდათ. შვილი კი დედას გაბუტული მისჩერებოდა. სერიოზულად „ჩაზავიკებული" ბებია და სერიოზულად გამწყრალი დედა. ორი ძვირფასი ხატი. მონატრების ტალღა მოასკდა. აწრიალდა გულში სურვილი. თვალთა უპეში უმწეოდ ჩაკვდა. მძიმე ღარები.

— ბოდიშით, რომელი საათია?.. გოგონამ ჰკითხა. მაგრამ არ ჰქონდა იას საათი. რა ხანია წყალს გაატანა. მიხვედრით: ესეც მაბრიყვებს! გაგულისებით მოისროლა.

დძინ. დძინ. ქაოტური წრე. მარადიული ბრუნვა-თამაში: პირველი. ორი. პირველი. ორი... ზლაზვნითა და მონოტონურად. ძველი ჟამთა სვლის ახალ-ახალი კალენდრები. დაბეჯითებით უპასუხა:

— ისევ ის დროა, ადამ და ევას ჟამინდელი.

„რას დამცინის..." ნყენით გაივლო გულში გოგონამ.

— №-ჯერ თორმეტი საათია, ე ნ-ჯერ თ ო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ მ ე ტი... ნაღვლიანად განმარტა იამ.

გოგონა კვლავ, წყრომაშერთული დაბნეულობით მისჩერებოდა.

— რობოტს ვკითხოთ! — გამოცდის ფინით წარმოთქვა იამ. ავტომატს დასნვდა. უმარტივესი ციფრი აკრიფა და პასუხიც უმალ მიიღო:

— „რვას აკლია 17 წუთი", რობოტმა ორჯერ გაუმეორა: ცივი, რკინის ხმით.

— რვას აკლია ოცი წუთი, ჩემო გოგონავ... აუწყა იამ. მას, რომელიც პაემანზე მიმავალს ჰგავდა. ტკბილი ღიმილით აცილებდა. მისთვის კი მტრულად მიებჯინა ვიღაცას თვალი. კაცი მზერით ტყვიებს ახლიდა. სულში გაჰყინა. „ვინ არის". შიშის წვიმა. მთელ სხეულში სიცივე და სისუსტე იგრძნო. ცნობა წაერთვა, სადღაც ბნელეთში გადაქანდა. საშველი. გონს რომ მოეგო ის აღარ იყო. ნაპრალი. აქეთ-იქედან მზრუნველ შეკითხვებს აძლევდა ხალხი. რა ეპასუხნა. აღარც სურდა მასზე ეფიქრა. საშინელ ხატს ვერ იცილებდა.

ესკალატორს მშველელივით დააპყრო მზერა. ღარებს ითვლიდა. უაზრო საქმე. თავს შველიდა. სათადარიგო ესკალატორზე დამლაგებელი ჩვარს აფრიალებდა. აპრიალებდა... ჭუჭყს. ზერელობა. ჭაობი. გაღიზიანდა. და ის კაციც წარმოესახა: დაძაგრული სახის ნაკვთები. კაუჭა, ნაოჭებასხმული ცხვირი. ცივად გაჭრილი დიდი პირი. აფშეკილი თხელი თმა. ბოროტად მოწრიალე მრგვალი თვალები. ორკაპი მზერა... გააცივა. გააზრიალა.

„რა უნდოდა..."

ხელოვნურმა ჰაერმა წამოუბერა. ესიამოვნა. მშვიდი სინათლე. შუასკნელი. ზოგს ეშინია. მას კი სიამოვნებდა: რონინით ასვლა ზესკნელს. გრძელი რიგით. წეს-რიგი. ვიღაცამ მისნი-მოსნია რიგი. მოჩქარე. კუნთებსაც ავარჯიშებს. გულსაც უხდება. მას დისტროფია ჰქონდა. ესკალატორმა გადმოაბრძანა. მიელოდა: ნებაზე მიმყოლი კარი. შეყვა. ტროტუარზე გავიდა. ქუჩაში ხალხი მიმოდიოდა: ხელის გულებით აკრული ყბებით. შეძრული სახეებით. გამწარებით მიიჩქაროდნენ უფალ ექიმთან. ბინძური ხელობაა სტომატოლოგია!

უბნის სკვერში უჩვეულოდ მრავლობდა ხალხი. ცნობისწადილით მიუახლოვდა. ხალხის ტიხარი. მზერა მიმოაძვრინა. ვერაფერი დაინახა (მაინც). ხმადაბლა იკითხა:

— რა მოხდა?...

— მერხს უკან კაცია ჩაგდებული.

„ჩაგდებული" არ მოეწონა და შეუსწორა:

— ჩავარდნილი.

— არა, ჩაგდებული. მკვდარია.

— მოუკლავთ. ვიღაცამ უფრო დაუკონკრეტა.

ცოტა ხანი შეწუხებით იბორიალა. ბოლოს უეცრად წამოვიდა: ტრაგედიებს შეეჩვია. ეზოში არავინ დახვდა. სეირს მიეზიდა. მარტოსულობის მუჯლუგუნი. საწოლზე მიიკუნტა. საბრალო ცოდვილი. მწარე ცრემლით კაწრავდა ბნელს.

ცუდი ვარ, ცუ-დი!

უკეთ როგორ მოქცეულიყო?

სხვები მოიქცნენ. იდგნენ და (ცივი გრძნობით და ცივი გონებით) ასკვნიდნენ: „მთვრალი იქნებოდა და დაიხრჩობოდა". „არა, მოკლულია!" „იქნებ ცუდად გახდა"... „სისხლი არ ჩანს". „სხვაგან მოკლავდნენ და აქ ჩაგდებდნენ", „ვითომ კვალის დასაფარავად?..." „ექსპერტი გამოარკვევს".

ნეტარი ლოდინით იდგნენ.

მოვიდა ექსპერტიც. აპარატები აჩხაკუნეს. გვამს უფლებით შეეხნენ. დაათვალიერეს. და დასკვნით თქვეს:

— მოკლულია.

— ხომ ვთქვი! აღტაცდა ვიღაც.

— მთვრალი არ არის?... ქალმა იკითხა.

— არა! კომპეტენტურად უპასუხეს.

— ხომ ვთქვი!

გვამი წაიღეს და მოსეირენი დაცარიელდნენ. რაღაც დააკლდათ. დიდი. მაშინვე იგრძნეს, რაც. უინტერესოდ დაცალკევდნენ. სიბრალული გვიან ეწვიათ.

— საცოდავი მისი პატრონი...

— მძღოლი ყოფილა...

— ტაქსი გაუტაცნიათ...

— საცოდავი...

სიკვდილის ხატმა იას დედა წარმოუსახა: უმწეოდ ქმნილი. ქცეული შვილის ბავშვად. ზრუნვით დაჰკანკალებდა. ლუკმას უნამცეცებდა. დედა უღონოდ ჭამდა. და თან შვილს თავზე მადლიერებით უსვამდა ხელს: ხუთი შვილისგან. პატრონად მხოლოდ ეგლა შემორჩა. დანარჩენები სტუმრებივით შემოირბენდნენ.

— ხომ არაფერი გინდა, მომთხოვე! გულისხმიერად შესთხოვდა ია.

— არაფერი.

— არცა გტკივა?... აქ ხმა შიშით გაელეოდა.

ზოგავდა დედაც. ითმენდა ტკივილს, მოუთმენელს.

— შენ მეცოდები...

— ვიდრე შენ მყავხარ, საცოდავი არ მქვია, დედა...

— რომ გაგაწვალე?! დედამ სიმძაფრით ჰკითხა:

— შენს მოვლაში ვპოულობ ნუგეშს.

— „ნუგეშს"! ნათქვამი მწარედ აიტაცა.

ყურები გამიხვრიტე! შვილს გაკერპებით მოსთხოვა მერე.

შვილი დაიბნა. გაურკვევლად შეაჩერდა დედას თვალებში. ეჭვი ეახლა: სისუსტით დედას გონება ხომ არ აერიაო? დღემდე დედას არასოდეს გასჩენია მსგავსი სურვილი. და ახლა?...

დედის თვალები საღი აზრით შემოჰყურებდნენ.

თვალებში ედგა კერპი სურვილი, და შიში, შიში.

— რატომ, დედა?... შვილს ხმა უთრთოდა.

— იმიტომ! — განწირულივით მიუგო დედამ.

ვერ ჩასწვდა ია დედის სურვილის საიდუმლოს. და დაყვავებით ჩაეძია:

— მაინც?...

დედა ბასრი დუმილით დუმდა.

გაუსაძლისი ტკივილები დაეწყო დილით.

— მი-შვე-ლე, შვი-ლო! ვედრებით გაპკიოდა. სულშეძრული ებრძოდა სიკვდილს. მნამებლურ ტკივილს. არც ერთი არ ინდობდა. რ ი ს თ ვ ი ს?... შეშლით ჰკვირობდა. შველას ითხოვდა.

სიბრალულით და უმწეობით დრტვინავდა ია.

— დედა, ნეტავ მე მკლავდეს შენი ტკივილი. და შენ კი ჩემებრ ჯანმრთელს გხედავდე... თავგამეტებით და თვითშეწირვით მიმართა შვილმა.

— არა! არა!! არა!!! ცეცხლის ალებით შეჰკივლა დედამ. ძვალ-ტყავა ხელი ისე ძალუმად გაასავსავა, რომ სიკვდილი, შვილისაგან, სამუდამოდ უკუაქცია. ასეთი იყო დედის ნება: გაუტეხელი.

— მინდა ლამაზი მიცვალებული ვიყო...

მოესმა გვიან. თავჩახრილ იამ თავი ასწია. დედა სადღაც იმზირებოდა.

— რა თქვი?... დედამ სახე შვილს მიაქცია. იამ დედაში შეიცნო ქ ა ლ ი.

დასჩერებოდა.

დედა ტკივილით ეწამებოდა. თვალებში ჩამდგარ შიშის ხატით.

— ტკივილი მაინც გამიყუჩეთ... სასომიხდილი ევედრებოდა.

ექიმები საქმიანობდნენ:

— რამდენი წლის ხართ... გამოძახების ფურცელს ავსებდა ყლალი ექიმი.

— ორმოცდა-ათის... სულის ამოხდით თქვა მომაკვდავმა.

ია გაკვირდა. სახტად დარჩა; სამი წელი მოიკლო დედამ. მ ო მ ა კ ვ დ ა ვ მ ა... არასდროს დაუკლია.

— ფე-ხი წა-მარ-თვა... ე-ნა... მი-ტყ-დე-ბა... სიკვდილის დაუნდობელ საქმიანობას, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამცნობდა დედა. იგი შვილს უკვე ვეღარ ინდობდა. შვილიც მოღალატის ლოდინით იდგა; სიკვდილს ელოდა, როგორც საშველს.

მომაკვდავს თავი უწვრილდებოდა. სახეზე ხორცი წამიდან წამში უდნებოდა. ყვითელი ფერი ბაცდებოდა. ქრებოდა.

ამ ტრაგედიას მოწმესავით უცქერდა ია. სიკვდილის ძალას უძლურებით დანებებული. დედას სიკვდილის ფერმა დაჰკრა. შვებით ამოთქვა:

— დაბ-ნე-ლ-და... — და მზერაც გაეყინა.

ცაზე ნამგალა მთვარე ეკიდა. ალიონი იდგა. მთვარე ეკიდა. გაბმულად ყეფდნენ ქუჩის ძაღლები. ოთახში მკვდარი სიმშვიდე იდგა. დიდი სიმშვიდე. ძაღლები ყეფდნენ. კარგა დრომ განვლო, ვიდრე შიში სათნოებამ დასძლია შვილში. დედას ტერფებზე შეახო ხელი. ლოდი. არ შეეშინდა. თანაგრძნობით და ალერსით ააყოლა სიცივეს ხელი: მუხლზე. ტანზე. ნიკაპზე. ტუჩებზე. ცხვირი—ყინული. ნელ სითბოს მხოლოდ შუბლზე მიუსწრო. და დახარბებით დაეკონა. კოცნიდა: დამშვიდობებით. მონანიებით. მალე შუბლზეც ყინული იგრძნო და...

— დე-და... ამოსკდა: მწუხარედ და სასოწარკვეთით.

აზრიც ეწვია. თვალები ფრთხილად დაუხუჭა. ყბები ქათქათა ბინტით აუკრა. ხელები კი დასვენებით დაუწყო გულთან. თმას უვარცხნიდა. მთლად აზრიანად მოქმედებდა. სიკვდილშიც ზრუნვით.

მომაკვდავმა, ერთი თვის წინათ სიზმარი ნახა. შვილს უამბო:

„დედაჩემმა დამიძახა. გავიხედე, კიბესთან იდგა. უხმოდ მიყურა. ხელში, ნაჭერში გახვეული ქილა ეჭირა, რომელიც მძიმედ, მოფრთხილებით დადო კიბეზე და უცებ გაქრა... რა იყო, ნეტავ?.. გადი, შვილო, ნახე, ხომ არაფერი დევს ჩემს საშველად მოტანილი?..."

ია გავიდა. კარი გააღო. კიბეზე მართლაც რაღაცა იდო. სწორედ ნაჭერში გახვეული. გულმა გამალებით დაუწყო ძგერა. მოუთმენლად დაიხარა და საგანს ცნობისწადილით შეახო ხელი. მოსინჯა. ქილა იყო. პლასტმასის ხუფით. აღტკინებით შემოაძარცვა ქილას ნაჭერი. შუშის ქილა სავსე იყო წითელი სითხით.

— ია!... დედა ეძახდა.

მიეახლა.

— არის რამე?... მოუთმენელი კითხვა მიაგება დედამ.

— არა! უნებურად წარმოთქვა იამ. თვითვე გაკვირდა. რადგან ის „არა" მას არ უთქვამს. სხვა თქვა, ვიღაცამ, მასში მისი ხმით.

— ნეტავ რა იყო? ვითომ წამალი?... რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამალი?... შვილის თვალებში ეძებდა პასუხს. წრიალით, ნდომით.

„არის! ნამალი!!! სწორედ ნამალი!!!" ია დედისთვის სურდა ეხარებინა. მაგრამ რაღაცა ხმას უხშობდა, ვიღაც ბოჭავდა. ისტერიული გაუხდა მზერა. ყრუ-მუნჯად იქცა.

ავადმყოფს კი, უიმედობით გამოფიტულს ძილი ეწვია. მთვლემარე კვლავ სიზმარს ხედავდა: წმინდა გიორგი გამოეცხადა, ნიშნეული თეთრი სამოსით. თეთრ ცხენზე მჯდარი. მალამოსავით ლბილი და კეთილი ხმით აუწყა: „ოცდასამ რიცხვში მოეღება ბოლო შენს წამებას".

აღსრულდა.

შვილი კრძალვით დასცქეროდა მკდრის დიდ სამყაროს. დედამ და-ის-ვე-ნა. ია უცხო მადლიერების გრძნობა ეუფლა. მიწიერი მწუხარება გვიან ეწვია. გულით ატირდა. ლამაზი იყვნენ: გ ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ ი დედა და წრფელი ცრემლებით მტირალი შვილი. ღვარად სდიოდა ობლობის ცრემლი. დედის სულგაყრილ სხეულს გლოვობდა.

დიადი ძილით ეძინა დედას. ამ სიდიადეს ერქვა სიკვდილი.

დასვენების იდილია სუფევდა ირგვლივ ნეტარი საუფლო. ტანჯვა-წამებით მოპოვებული. დედა უფლებით ისვენებდა.

გარდაცვალების დიადი ხატი.

ია სრულიქმნა. სიკვდილის ხატს ყველა ვნება დაეცხრო მასში. იქმნა მშვიდი და იქმნა სულგრძელი. ქველი.

— შენ უკვე აქ აღარა გესაქმება!... მოესმა საქმიანი და უხეში ხმა.

— რატომ?... მწუხარედ გაიოცა.

— ჩვენ მოვუვლით...

მიაკვირდა. მეტი უფლებით იდგა სხვა ქალი.

— ჩასაცმელები მოგვიმზადე!...

— მერე?...

ქალმა თვალებში მკაცრად შეხედა. იამ დანებებით დახარა თავი. ქალი გავიდა. იამ მაღლა აღაპყრო მზერა. ჭერზე ფეხმალი ობობა თვლემდა. თვლემდა დაღლილი. სადმე ქსელი თუ მოიქსოვა. ძაბრივით ქსელი. არაქნე. ვითარცა დედაზარდლისა ქსელი სული მისი.

— შენს და-ძმებს დაურეკე...

— თქვენ ნადით...

— არასასიამოვნო მისიაა, მაგრამ, რა გაეწყობა!

ცხედრის ირგვლივ ბუზების გუნდი დარეცრეცებდა. ზუილით აუვლიდნენ ფერხულს. ერთმანეთს ფრთებით ეხლებოდნენ. იამ განდევნა. ჭერზე განლაგდნენ. ზღურბლიდან ოთახს ზვერავდა კატაც.

— მისამართი მომეცი!

— ახლავე!... ჩამონერა. მიაწოდა. ასე უთხარი, ნახვას ითხოვსთქო... ცრემლის ბურთები გაეჩხირა.

— ვიცი, ვიცი!... კაცი წავიდა. ვილით ელოდა და-ძმებს. სულ ცოტა ხანში, შეძრწუნებულნი შემოვარდნენ.

— დავობლდით, ია?!... დაგვტოვა ჩვენმა ტანჯულმა დედამ?... ასე რომ ემძიმებოდა.

— იქაც იდარდებს...

ქალიშვილები მოთქმით გოდებდნენ. ვაჟები ჭმუნვით მდუმარებდნენ. უმცროსს ლოყაზე ცრემლი სდიოდა.

— მებალზამე მოვიდა.

— ყინული გვირჩევნია. თქვა იამ და და-ძმებს შეხედა.

და-ძმებმა უტყვად ჩაჰქინდრეს თავი. ნათესავებმაც სახეები შეაბრუნეს. „რა დროს ყინულია..." ია და-ძმებზე უფრო აღშფოთდა. ამიტომაც ვერ ანდობდა. მწარე დუმილით იდგა.

— დედას ბალზამის ეშინოდა... თქვა.

არავინ გამოხმაურებია.

— გადით, ტანსაცმლები გაამზადეთ! შეახსენეს. ამოძრავდნენ. სხვაც ბევრი ჰქონდათ საზრუნავი.

ქალიშვილებმა დედის გარდერობს მიაშურეს. არჩევდნენ. ალაგებდნენ.

— ხელჩანთაში პირველსაჭიროების ნივთებიც ჩაულაგეთ. აუცილებლად ორი ცხვირსახოცი...

დებდნენ: სარკეს, სავარცხელს. სუნამოს. ცხვირსახოცებს...

„გამგზავრებ..." აცრემლდა ია.

მეზობლები და ნათესავები საქმიანობდნენ. დედას ართმევდნენ. ვიღაცამ თავზე ხელი დაადო: ცივად, უხეშად. ახედა. მამიდა იყო. თავი გამოარიდა.

— დეპეშებია გასაგზავნი...

პანაშვიდებისა და გასვენების სამზადისს შეუდგნენ. იაც ჩაება. აქტიურად; მამას და და-ძმებს არ ენდობოდა. თანდაყოლილი ეჭვი. ტირილისათვის აღარ ეცალა.

— როგორ სასახლეს შეუკეთავთ...

სასახლის ხსენებაზე სახე აეშალა. თქვა:

— მუხის...

მამამ სიძუნწით გამოხედა.

— გამძლეა მუხა... განმარტა იამ.

ჩაიწერეს.

— მუსიკა?...

— საგალობლები უყვარდა დედას.

— ყვავილები?...

— მინდვრის. და იების მომცრო კალათა... ცრემლი თვალებში გაიჩერა. თეთრი ფიქრი სუსხავდა.

— თეფშების ტილოები თუ გაქვთ საკმარისი, ბევრი დაგჭირდებათ.

წამოდგა. შეამოწმა.

— თეეზეული მოიტანეს, მიუჩინე ადგილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგით ალაგებდა: ჭურჭელს ტილოებს სუფრებს ...

— ღირსეულად დაკრძალა დედა. უკანასკნელი პატივი. ძალზე ლელავდა.

გამძაფრებული ზრუნვის დღეები ჩათავდა. ახლა?...

აღარც დედა ეძახდა და აღარც დედის გამო ეძახდნენ.

სიცარიელის საშინელი გრძნობა. მონატრების უსაშველო ყამი. თვითმკვლელობის ზღუდე. გატანჯულს ეძინა. ნაშუალამევს გამოეღვიძა. შუქანთებულ ოთახში იწვა. დაძინების წინ ხომ ჩააქრო? კარისაკენ გაიხედა.

— დედა? გაბრწყინდა. ბალიშიდან აღტაცებით ნამოინია. დედას ხედავდა. ცოცხალსაც და საღსალამათსაც. სიხარული ეუფლა. დედა მდუმარედ, ნატრული მზერით დასცქეროდა. წყნარი ღიმილით.

— დე... ვედრებით მიმართა. შეხმიანების სურვილი ჰკლავდა. დედა უტყვად და უძრავად იდგა. გულანთებულმა სანოლიდან ჩამოაბიჯა. მიახლება და შეხება სურდა. სასნაულის ნეტარი წამი. რა შეიმართა, დედა გაქრა.

— ავ!... სივრცეს შესწივლა. უკმარისობის გრძნობამ გაგლიჯა. და სანოლზე თავგამეტებით დაენარცხა. კუნძივით ეგდო. უსულოდ და უაზროდ. ძილქუში დააწვა.

დილით კი გვიან გაეღვიძა. უმალ ნათურას უწვდინა მზერა. ჩამქრალი იყო.

დღის მანძილზე სიხარული უკრთოდა გულში. დიდი იმედით გამოკვებილი. მერე მაინც ეწვია ცრემლი. ნერვიული.

— ტირიხარ?... მეზობელმა შემოუსწრო. არ შეიძლება...

ელვით გაყუჩდა. დაითრგუნა.

— მიცვალებული სისველეში იქნება.

გული გადაუქანდა. სასწრაფოდ აღიკვეთა ტირილიც.

— შენ ხომ მორწმუნე გოგო ხარ, ყველაფერი გეცოდინება...

— მენატრება... თავის მართლებით თქვა იამ.

— ძალიან გიყვარდა...

თქმულმა გაჰკენწლა. წამოახურა.

— ზედმეტი არაფერი ვარგა...

დარდმა ჩასხიპა.

— რა გამხდარი ხარ! სულ არ ჭამ?...

მნუხარების დაღი.

— დედაშენს პატრონი ახლაც სჭირდება. ასე არ შეიძლება...

არ შეიძლება. დოგმა. კანონი. მიჯაჭვული ხარ. ტირილი არ შეიძლება. შიმშილი არ შეიძლება. თავის მოკვლა არ შეიძლება. მრისხანება არ შეიძლება. წყევლა არ შეიძლება...

ნებაწართმეული.

სხვისი ხარ-სხვისთვის. შენ უფლება არ გაქვს. არ შეიძლება. ხუნდები.

— წუხელ დედა იყო...

— რა თქვი?...

— დედა იყო. გაუმეორა.

— ჰო. ქალმა მონყალედ გაუღიმა.

„არ სჯერა..."

— გადაღლილი ხარ. მძიმე დღეები გამოიარე. ჯერ მოვლა. მერე მნუხარება. კარგს იზამ, დღის საათებშიც თუ დაიძინებ. „როგორ ჰგავს დედამისს..." კრთომით გაიფიქრა. გაეგო, არ ვარგაო დედა-შვილის ასე მსგავსება. მისი ბედი დაჰყვებაო. შენ ჯვარი გეწეროს. ლოცვით განწყვიტა უამური ფიქრი. მიეფერა. აკოცა.

„იყო! ნამდვილად იყო!..." ია გულში იმეორებდა: ჯიუტად. რწმენით. ეწყინა, რომ არ დაუჯერეს. გული ეტკინა. იმედს ბზარი ეპარებოდა. „იყო!" გაბუტული ტუჩებით იდგა. ლამაზ სახეზე წყენა ეფინა.

— საწყალი დედაშენი, როგორ დაშინდა, როცა ვუთხარი, ქალს თუ სიცოცხლეში ყურები არ აქვს გახვრეტილი, მიცვალებულს საფლავში გველი უხვრიტავს-მეთქი...

იას სუნთქვა შეუჩერდა. ხმა დაეკარგა. ტუჩებიანად გადაფითრდა.

— რა მოგივიდა, საყვარელო...

— რა სთქვით?...

— არაფერი... შენუხდა ქალი. მაპატიე... ალბათ არ უნდა მეთქვა...

— ვისთვის...

— შენთვის, ლამაზო, ფაქიზო და საყვარელო... დოქიდან წყალი ჩამოასხა. მიაწოდა წყლიანი ჭიქა. ცოტა დალიე, გული მოიბრუნე... არ უნდა მეთქვა.

ქალს მძულვარედ უყურებდა. ბოროტი მკრეხელი. საწყალი დედა. მაშ, ამიტომ ევედრებოდა?... საწყალი დედა! ვინ იცის, როგორ ეშინოდა...

— როგორ უთხარით! მომაკვდავს ეს, როგორ უთხარით!

— მომაკვდავად არ შემიცვნია. თუმცა ვიცოდი, მოურჩენელი ავადმყოფობა რომ სჭირდა, მაგრამ... არ ვიცი, რამ მათქმევინა!...

— დამტოვეთ!... მოსთხოვა იამ.

— დამნაშავე ვარ...

— დამტოვეთ!...

აღარ შეეძლო მისი ყურება. მრისხანებას ძლივს იოკებდა. სასტიკი და სულელი ქალი დედა... სულმწარედ წრიალებდა. დანაშაული აღეძრა გულში; სურვილი რომ არ აუსრულა. ამ მხრივ მაინც მშვიდად ჰყოლოდა ნუხილმა, დარდმა არ მოასვენა. ბინიდან გამოვარდა. ფორიაქ სულით ეკლესიისკენ მიიჩქაროდა.

— მამაო, გავიგე, თითქოს მიცვალებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალს გველი საფლავში ყურს უხვრეტავსო, მართალია?... მღელვარედ ჰკითხა.

— დამშვიდდი, შვილო. ეს ეშმაკისეული ძკრეხელობაა. მიცვალებულს არ ერჩის გველი. ამოიგდე გულიდან ეს სატანური დარდი და ილოცე გარდაცვალებულის სულისათვის. სანთლები დაუნთე, იმარხულე. ღამის ლოცვები წაიკითხე. შვილის ლოცვასაც დიდი ძალა აქვს, ისევე როგორც დედის ლოცვას გარდაცვლილი შვილისათვის. მხოლოდ გულწრფელად ილოცე. საკურთხი ხშირად გაუკეთე. მიცვალებულთა დღე შაბათია. პარაკლისებიც გადაუხადე. მიცვალებულებისათვისაც მადლია და ცოცხალისთვისაც ნუგეშია...

ნუგეშცემული მოდიოდა.

დედას ყოველ დღე უნთებდა სანთელს. საკურთხს უდგამდა. საკმეველს სწვავდა. ლოცულობდა. ცრემლებით ბანდა უდედობის მწარე ტკივილებს. ყვითლად მდუმარებდა. ენატრებოდა დედის ხმა, სითბო. მწუხარ სახეზე მწარე სევდა ეფინებოდა. დარდიც ადნობდა — ზიარების დღის.

დედამ ცოდვები არ აღიარა.

არც ერთი ცოდვა არ აღიარა. კეთილმა მღვდელმა მაინც აზიარა. მისატევებელი ლოცვაც წაიკითხა. დამოძღვრა:

— უცოდველი მხოლოდ ღმერთია, შვილო... რადგან ცოდვის თქმა გეძნელებათ, მაშინ დაწერეთ და თქვენ შვილს გამოატანეთ ტაძარში, იქაც ვილოცებ, რომ ღმერთმა მოგიტევოთ, თუ რამ ცოდვა გაქვთ ჩადენილი. ღმერთი კეთილია და ყველაფერს მიგიტევებთ...

არაფერი დაუწერია. კერპად ქმნილს საყვედური ედგა თვალებში.

როგორ არის... შვილს დარდი ფლეთდა. ღმერთს მუხლმოყრილი, თავდადრეკილი, გულმხურვალედ ევედრებოდა:

„ღმერთო, კეთილო და მიმტევებელო.

შენ აპატიე ჩემს დედას სიკერპე და ურჩობა შენი ყოვლისშემძლეობის წინაშე. გევედრები, მიუტევე მას, თუკი რამ ცოდვა ჰქონდა ჩადენილი. და მე დამაკისრე მისი ცოდვების გამოსყიდვა. მას კი აშორე ჯოჯოხეთი. შემწედ ეყავ სულის განწმენდის მძიმე წუთებში. შეუმსუბუქე განსაცდელი...

ღ მ ე რ თ ო, გევედრები..."

მთელი წელი, ვედრებადქცეული აღავლენდა ამ ლოცვას. მარხვებს იცავდა. შაბათს უქმობდა. დედას სიზმრად კი ცუდად ხედავდა; კვლავ ავად იყო. სული ხდებოდა. იტანჯებოდა.

„ტყუილად ვლოცულობ!..." გაწამებულს რწმენა უნავლდებოდა.

ლოცვა შეწყვიტა. კვლავ გაუხეშდა. კვლავ აუჯანყდა ქვეყნიერებას;

აქ ყველაფერი დაღუპვას უდრის. ჩემში ბნელა. ნუ მეკამათებით — „არ შეიძლება"ს — მონური დოგმებით. ნუ მამშვიდებთ. ნუ მაიმედებთ. სულ წვიმს. სულ ავდარია. მზეა?

შეიძლება. მე დავიღალე თქვენთან კამათით. დამქანცა ყაყანმა, რახარუხმა. მოკლედ მელაპარაკეთ. რაღა დროს უხვსიტყვაობაა. მწუხარ დუმილის დროა. ზაფრა. მომეცით უფლება სიმარტოვის. სულერთია, რწმენას ვერ მომცემთ. ვერ გადამარჩენთ. მოსინჯულია ყველა ჭაობი. ქარი მარწევს გავეშებით მიმომქროლავი. ყოველ დღე ქრის. მცივა. ზღვაზე შეიძლება გავთბე. წყალი. ჩემი ღონიერი წყალი. მძლეთა-მძლე. ზღვის სუფთა ფსკერი. ქვები. ტალახის ნამცეცს ვერ იპოვი. საზარი მიწა. მეშინია. ნეტარებაა ზღვაში სიკვდილი. ტალღებმა თუ არ გამომრიყა — „ჩემი არ ხარო".

ზღვაში სუფთად და მსუბუქად გახრწნა. ქვეყნის მარილი.

გამომრიყავს!

ჰაერივით უყვარდა წყალი. იდილიური, ლურჯი სიმშვიდე. შორს მიცურავდა. ნანავით, ტალღებს მინებებული. თბილი სისველე. კრიალა ცა. მზე თავზე მზრუნველად ადგა. აქ ნეტარებდა. ნაპირზე კი მიელოდა კნინი ცხოვრება: ჭამა — ლოგინზე გადაშხლართვა — გადამძღარის ერთადერთი ზანტი სურვილი. აქ, შიშველი იყო, პირველქმნილივით. ხალასი. წმინდა. არ აწუხებდა სირცხვილი სიღარიბის (სიშიშვლის) გამო. უმანკო იყო ბინიერი.

ნუ მთხოვ ხმა მომაწვდინეო, დაო. აღარ მაქვს იგი. კარგად რომ ვიყო, ხომ ჩამოვიდოდი. ვიცი დარდი გაქვს და გინდა მნახო. მე კი უსურვილოდ ვარ. გაცვდა დარდებიც. უღონოდ ჩავინთქე ლაფში. განწირული სიმყარეს ვეძებ. ყველაფერი მეცლება ფეხქვეშ. რას მოვეჭიდო: აქ.

ს ი მ ყ ა რ ე მინდა.

ტირილი შემოესმა. მიმოიხედა. ქალი იჯდა ქვაზე და გულმოკვლით ტიროდა. უმწეოდ უსმენდა. ბალღამი. უტყვი თანაგრძნობით იდგა. თანადგომით. გვიან დაიძრა. როცა ტირილს უკლო ქალმა.

კვლავ გაიგონა ის სისინი. ყველგან რომ ესმოდა, თან სდევდა: ქუჩაში. სახლში. სამსახურში. ეძებდა. ვერსად მოიხილა. ვინ, ან რა იყო. ხმა მოჰყვებოდა. შენობის კართან შეწყდა, ნელ-ნელა მიიკარგა. ია დამშვიდდა. ხმა მიივიწყა. საქმეს შეუდგა. ხმა საიდანღაც კვლავ შემოესმა. სისინის. ფანჯარას გახედა.

— გველი! იწივლეს თანამშრომლებმა. შიშით აბრიალდნენ. აწრიალდნენ. ფანჯრის მინას ჭრელი ტანით აკვროდა გველი. ია წამოდგა. გაინია.

— არ მიხვიდე!.. ფანჯარა არ გამოაღო! გააკავეს.

მინას სურვილით ლოკავდა გველი. გარეთ იხუვლეს:

— გველი. გველი.

ახმაურდნენ, მძიმე საგნები მოიძიეს. მოიმარჯვეს. გაბოროტებით დაუწყეს ცემა. ფანჯრის საკეტს შეეხო ია.

— არ გამოაღო! შეაჩერეს.

— ცოდვაა...

— გაგიჟდი?! ხელები დაუკავეს.

თავი დაიხსნა და კარს მივარდა. გაიქცა. იქნებ, როგორმე გადაერჩინა. ვერ მიუსწრო; კაცების წრეში თავგაჭეჭყილი ესვენა გველი. დაემხოთ მტერი. გმირის ღირსებით იდგნენ კაცები. მსხვერპლს კმაყოფილი დაჰყურებდნენ.

— რას გერჩოდათ!... იამ ცრემლებით შეუტია.

— შეგვეშინდა. თავის მართლებით უთხრეს კაცებმა.

კაცებს წყრომით აქცია ზურგი.

— მოკლეს?... შვებით კითხეს თანამშრომლებმა. და გული მეტად შეეკუმშა.

— გველმა ადამიანის შეყვარება იცის... თქვა.

— გველმა?... ორმა გაიოცა.

— ჰო, ყვებიან რაღაც ასეთ ზღაპარ-ლეგენდებს. თქვა მესამემ.

— არა, არ არის „ზღაპარ-ლეგენდა".

აღარ შეედავენ.

— შენ არ გეშინია?... ერთმა ჰკითხა.

— კი...

— მერე?...

ია დუმდა. დუმდა. საუბარი სხვა თემაზე გადაიტანეს:

— მეამბოხეებს ციხეში მოუნანიებიათ...

— ნუთუ?... იას ელდით აღმოხდა.

ურჩხულის თავები. ბრძოლისა და სიცოცხლის უნარი წაერთვა. დაილია. ხერხემალის ტკივილი იგრძნო. წნეხი. პროგ-რესი. სუსტი სიცილით აცახცახდა. გაკვირდნენ.

—იცინი?

— ა-რა! დაბეჯითებით იუარა.

არ შეეძლო: არც სიცოცხლე. არცა ბრძოლა. არც სიცილი.

— მე დამასუსტეს. მგლოვიარე ხმით აღმოთქვა მერე.

თანამშრომლებმა სიბრალულით გამოხედეს.

— გინდა, ნადი.

— ჰ, მწარედ ჩაიცინა. იცით, თქვენც ავად ხართ. სახეზე გეტყობათ... სიბეჩავე.

გაალმასდნენ.

— არაფერიც! ჩვენ ძალიან კარგად ვართ. ეს შენ გეჩვენება — ერთს, როცა ყველანი კარგად არიან!

— კარგად?... წუხილით განცვიფრდა.

კმაყოფილი მონები.

მობანდალებდა. ნებაწარეულ[illegible] [illegible]ოდა: წაგებული ბრძოლების [illegible] [illegible]ოდა. საშინელი წვრილფეხობა. [illegible]ენილი წვრილმან ვნებებით. როგორი ჟინით გაგწირავენ. რა აღტაცებით, მეშინია...

შავი ხაო. წყდიადი ლოკავდა. უიმედობით ჩანავლდა. ნერვს არაფერი უტოკებდა. მოდიოდა: სისუსტით ჩამშვიდებული. მიღწევა. მის მაგივრად სხვები ფიქრობენ. უხეში ტორი. სულიც სტკიოდა. და უღონოდ მოაბიჯებდა. მოაქვს ცხედარი. თვლემდა.

„ისე მოვდუნდი, თავი მკვდარი მგონია.

ისარგებლეთ, მტრებო!"

„გახსოვდეთ სიცოცხლე!" ჰმ, რა დამავიწყებს: არაფრობის სიმწარეს. მე დავიღალე.

ქუჩაზე ორი მოხუცი მორეცრეცებდა. მიაჩერდა:

რ ო გ ო რ გაძელით?

კალთაზე ბავშვის ცაცუნი იგრძნო. ურუანტელით დახედა. ბიჭუნა იყო. ამოსცქეროდა და უცინოდა: კრიალა მზერით. სიცოცხლის ყლორტზე დაფისა და ნაღარის ცემით.

— ოი!... იაც გაცოცხლდა. ბავშვი თავს ზემოთ აიტაცა: — ვინა ხარ. ვისი. დედიკოსი? მამიკოსი? ბებია-ბაბუასი?... არა, ყ ვ ე ლ ა ს ი! ბავშვი სიყვარულით, აღტაცებით შეარხია. იგიც თანხმობით, მშვიდობით ულიმოდა.

— დარდის განქარვებავ. ტკივილის მალამოვ. სიხარულად, სიყვარულად მოვლენილო ანგელოზო. ყვავილი ხარ. შენ სულდგმული ყვავილი ხარ. რძის უშრეტი სურნელებით გაჟღენთილი. მოკასკასე სილამაზევ, შენს გამო ამ ქვეყნად სიცოცხლე.

ღ ი რ ს. ღ ი რ ს.

ბავშვი მიიტაცა. სახეზე მიიკრა. იგი ახითხითდა. აკისკისდა. იას გულზე სიყვარულად, სიცოცხლედ დაიღვარა. ია აჟივლდა.

— ვინა ხარ, ვისი... ხმა უთრთოდა. ბედობის ცრემლი მორეოდა.

— ჩემი... დაგინახე და შემოგაგებე, ნათესავი ღიმილით წარუდგა.

— ო, მადლობთ, ქეთი, დიდი მადლობა ამ წუთებისთვის... იცი, ამ ბოლო დროს სულ ბავშვები მესიზმრებიან. ხან გულზე მყვანან ახუტებულნი, მჭიდროდ მეკვრიან. ზოგნი კალათზე მეტმასნებიან. ჟღურტულით, რაღაც ამბავს ყვებიან. ბედნიერებით მელვიძებ მთელი დღე ვტკბები: ყურში ჩარჩენილ საა[illegible]მო ხმებით, ლიბლი შეხებით...

— ასე რომ დნები, გათხოვდი და ანგელოზები გეყოლება...

იამ თვალები კდემით დახარა.

—ნუთუ არავინ გიყვარს...

— მიყვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?... არ მითხრა ახლა, ვერ მამჩნევსო, ან...

— მე მიყვარს და ბედნიერი ვარ.

— და მორჩა?

— განა არის მეტი საჭირო?

— ბედნიერებისათვის არა, პირიქით... მაგრამ...

— და სიყვარული თუ გადამარჩენს...

— ჩემი ტრაგიკული ია. ის სიყვარულიც, შენი შექმნილი იქნება, ია...

— რა მნიშვნელობა აქვს, ქეთი... სიყვარულია ამ ქვეყნიური ერთადერთი ჩემი ნუგეში. შხამით აღვსილი, რომ მის სავანეს მივაშურებ, გამალაღებს მისი ნექტარი. სიყვარულია შეჭირვებულ სულთა ტალკვესი. მასში ვპოვებ სულთქმას და შვებას. სიძულვილით გულაცხრობილი მის თაფლის ტბაში განვიწმინდები, /განვახლდები, განვსპეტაკდები.

— ია, შენ რომ დადიხარ გაუთხოვარი, ეს იმას ნიშნავს, რომ მამაკაცი ველარ ვაყაცობს...

— ო, ქეთი!... საუბარი შეაწყვეტინა. მერამდენეა... ნაზი მზერით ბავშვზე ანიშნა.

— ოჰ, „მერამდენე"!... ერთადერთი.

— რ ა ტ ო მ.

— ძნელია გაზრდა. მერე უზრუნველყოფა...

დედამ კი მაინც ხუთი გაგვზარდა. დ ი ა დ ი მიზნით. და რა ვართ. მე მის ნუხილსაც ვერ ვუძლებდი. მან კი გაგვიძლო. მე ვმძვინვარებდი. ვბრძანებლობდი, რომ ეჭამა. არ ვისმენდი მის „არ მინდას"ს. „მე მ ი ნ დ ა, შვილო, მინ-და, მაგრამ ვ ე რ ვჭამ, გაიგე!" მაწონს ითხოვდა. ია მსუყე კერძს აძალებდა. გრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს და გაფთრებით იგერიებდა. დედა ხელიდან ეცლებოდა.

— მლუპავ?!.. დედის ლანდს შეშლით ჩასძახა.

სადღა ჰქონდა ლმობიერების კეთილი გრძნობა. მთლად გაავდა.

...სიკვდილის უფლებასაც არ ვაძლევდი...

მწუხარებით შეშლილებმა გონი დაკარგეს. აირივნენ. ერთმანეთს ჭამდნენ. გზნებით ჩხუბობდნენ.

ბოროტი გენი. გესლით დამპალი. წურბელასავით გამოვწოვეთ დედას სიცოცხლე. ყოველ დღე ვკლავდით. მომაკვდავსაც აღარ ვინდობდით.

რა მიშველის.

რით განვიბან ხორკლიან ცოდვებს. რით განვკაცდები.

მონანიებით?...

კი, შემინდობენ: დედაც. უფალიც. მცირეა შვება. რა გამამართლებს. ჩემი ცოდვის ნილ ყველა სასჯელი მეცოტავება...

დედა იყო მისი კავშირი ცხოვრებასთან. მაშინ ამხანაგებიც ჰყავდა. მეგობრებიც (ასე ეგონა). დედის ავადმყოფობის დღიდან გაქრნენ. დაიკარგნენ. ტელეფონზე თუ [illegible] კავდნენ. იგიც შეწყვიტეს. უკვე მძიმე ხმის მოსმენესაც ყურს არიდებდნენ. მარტო შერჩა: მოურჩენელ ავადმყოფობას. და საზარ შიშს. ნუგეშის ხმა არსაიდან ისმოდა. აღარც ნათესავები აკითხავდნენ. გარდაცვალების ცნობას ელოდნენ; მოსულიყვნენ და მოვალეობა მოეხადათ.

იას და-ძმის გულწრფელ ნუხილშიც შეჰქონდა ეჭვი. „დედისათვის არა სცალიათ..." ღალატი. მოსულებს გაავებული ერეკებოდა. „წადით, თქვენც წადით! ნურც თქვენ მოხვალთ..."

სისუსტე სჭირდა.

უიმედობის თეთრი ლემა.

ჯანმრთელ მამას ველარ უყურებდა. ბოღმა (ბრაზი). აღარც ცოლი უხმობდა ქმარს, სურდა სიმშვიდეში მაინც მომკვდარიყო. დედამთილი ას წელს იყო მიტანებული. ისევ ძველებური ენერგიით ანჩხლობდა (ბოროტი ჯანმრთელია). გულზვიადები, აღარც მომაკვდავს დაინდობდნენ. ავადმყოფს კი სიმშვიდე სურდა. არასდროს ღირსებია. იას ნერვიულობაც აშფოთებდა. იასაც სიმარტოვე სურდა. დედა და სიმარტოვე. ისიც დაიღალა. გადაიქანცა: სიკვდილთან ბრძოლით. სურვილი წამოუვლიდა: მამისათვის მოეხმო და დაეტანჯა ცოლის ტანჯვით. სურვილზე ეჭვი ააღებინებდა ხელს: „იქნებ არც დაიტანჯოს..."

ბოროტების ხანიერი ზეიმი. კეთილის დღენაკლულობა.

სიცოცხლეს მაინც მისტიროდნენ.

. . .

სასაფლაოს მისტიკური მდუმარება. შავთეთრი ფერი. უსურნელო ყვავილები. პირქუში სისუფთავე.

— თქვენც აქ ხართ, ია?...

ვილაც გლოვის ხმით შეეხმიანა:

—მიცანით?...

— გიცანით... აი, დედაჩემი... იამ საფლავზე მიუთითა.

— მივხვდი... როდის გარდაიცვალა?

— ორი წელია... დედათქვენი?

— წელიწადი და ექვსი თვეა...

— ყველანი კვდებიან... ვერ რჩებიან. წყეული სიმსივნე!

ია საფლავთან ჩაიმუხლა. ხელი ფერებით დაუსვა საფლავს:

მე შენი ამობურცული საფლავიც მიყვარს, დედა. ჩემო მწუხარე სიყვარულო. ღია ჭრილობავ. და უიმედო მონატრებავ... მე მ ც ი ვ ა, დე-და. მეშინია... შენ?...

საფლავთა მწკრივს ნაღვლიანი მზერა გაავლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო არა ხარ... მეც მოვალ, დედა...

საფლავის ქვები მოჰქონდა ზურგით. ცივი და მძიმე. მიმოდიოდნენ სიკვდილის შვილნი. ხალისით. ლაღად. აგერ ცოლ-ქმარიც. ქალი კაცის მისუსტებულ ჯანს დანდობილი. არავითარი სურვილი, სწრაფვა. თვალებში დაქანცულობის და უაზრობის სიმნარე ედგათ. მოაქვთ სიბერე, როგორც სასჯელი. არ აქვთ სკლეროზი, ეს სიბერის ტაკიმასხარა. საღი გონებით შემორჩენიან მწვალებლურ სოფელს. ძვლები სტკივათ. და სული ემძიმებათ. მიმოდიან დამფრთხალი მზერით. ბარგად ქცეულან. ებლანდებიან გზაზე გამვლელებს. ახალგაზრდებს აღიზიანებთ მათი რეცრეცი. ულონო თვლემა. თვალს შენუხებით არიდებენ მომავლის სარკეს. შელონებულნი უთმობენ ადგილს. „როცა მოვხუცდები, გარეთ არ გამოვალ, აღარავის დავენახვები!" სასტიკ ფიცს დებენ. და ჯავრიან მზერას ისვრიან. სიბრალულიც უკრთებათ გულში. მაგრამ უმეტეს გულს უღონებთ ბებერი ლანდი. შეხედვა ზარავთ.

მარჯვენა ხელზე სისხლი სდიოდა. გვიან შენიშნა.

სისხლი! ჩემი ხილული სული.

ჭრილობას ტუჩი ფრთხილად დაადო. ხორცი შეიგრძნო. უამური გრძნობა ჩაუდგა. ხელი დაუშვა. დაბუჩქულ ხესთან კაცი შეჩერდა. ზვერავდა ადგილს. „არ ეგონოს არავინ ხედავს"... მოშარდული სადარბაზოების სუნი ეცა. ბინძური სქესი. ყარან ქათქათა პერანგებში. გადამძღარი მუცლისკაცები. დადიან ხვნეშით.

არ მიყვარს მთვარე.

აჰ, ბრიალა მზის თბილი ნათება. მწველი ამბორი. დათაფლულ ხილთა ნაზი სურნელი. ზამთრის თეთრი უიმედობა. აშლილი შფოთი. ბეცი მდუმარება. უვიცი ფერი.

ზამთარში ნუ მომკლავ, ღმერთო.

ნურც ზაფხულში. საზიზღრობაა.

დედა სექტემბრის ოცდასამში გარდაიცვალა. პარასკევ დილით. ალიონზე.

სოლიდურ შავში ჩავინთქები. იდუმალი, მშვიდი სუდარა. ნეტარი ღამე. ქალისა და კაცის დღის ბოლო ლოგინია. ინტიმური სიმართლე. ოცდა-ს ა მ ი. სამი... დაბადებიდან ბედისწერად ადევნებული ეს 3 რიცხვი; ქვეყნიერებას თებერვლის სამში მოევლინა. წვიმიან ღამეს. სახლი, რომელშიც გაიზარდა მეცამეტე ნომერი იყო. დედაქალაქში 33 სახლში ცხოვრობდა. მე-13-ე სართულზე. ბინა № 43-ში. სამსახურში ოთახის კარს 39 ნომერი ეკრა. უფროსი და, რომელთანაც ყველაზე ხშირად უნევდა მისვლა, 31 ნომერში ცხოვრობდა...

სამი რიცხვის მოჯადოებული წრე.

კატის ვერაგმა მზერამ დაცხრილა.

— მე ცოცხალი ვარ!... შეუტია.

— მიაუუუ...

შია. ვაჭამო. თორემ სიკვდილი, დამიძახ. სოვრებს. გადამაგდებს [illegible] გულბოროტი.

— ფი-სო... ფი-სო...

პურს უფშვნიდა.

რა ლამაზია. ეშმაკის სული რომ არ ედგას. კატამ ზურმუხტით ამოხედა. ფაფუკი ზურგით გაიზმორა. მზის ლბილი ბეწვი. ჯადოსნური სითბო. ბრჭყალები კი შიშის ზარს სცემდა.

წვიმის წვეთი დაეცა ცხვირზე. აიხედა. მზე პირს იბანდა.

იქნება ტირის?...

ტუჩები მიუშვირა. დაცემულ შხეფს ენა შეახო. თბილ-მლაშე იყო. ეჭვი (დ ე დ ა მ ზ ე). მზერა მიწაზე ჩამოიტანა. ლარივით სწორზე. ეჯავრებოდა მკაცრი სიზუსტე. ტალღოვან ხაზებს მიელტვოდა. იმედის ფირფიტა. გათოკილი ნერვები. ცოდვამდე ერთი ნახტომია. საით გასწევ. საით გალაღდები. ტირანი მთავრები. ღვარძლიანი მამითადი. ცივი დედულეთი. მე მოვიგონე მათი სითბო. მსურდა: დ ე დ უ ლ ე თ ი.

ხომ უნდა ესულდგმულა. წარმოსახვაში გააკეთილა და უყვარდა.

როგორ მომენატრეთ. რომ დამიძახოთ. ახლავე მოვალ. გამოვიქცევი.

არავინ ეძახდა.

უფროსი მამიდის უსისხლო სახე. წვრილი, წყალწყალა ცისფერი თვალები. ცხენი. მსუსხავი სიცივე. შუათანა მამიდა ანჩხლი იყო და პატივმოყვარე. მესამე — ღვარძლიანი და ნერვიული. უმცროსი — გულკეთილი და უსამართლო. ბიძა ცოლ-შვილსაც არ ინდობდა. მასხარა, ლოთი, შფოთის მოყვარე. და-ძმებს ერთმანეთი არ უყვარდათ. უსიყვარულოდ ჩასახულები. არც ძმისშვილები და დისშვილები უყვარდათ. დასცინოდნენ. მათზე ქილიკობდნენ. უჯიგრო ექვსეული. მონაგარს შორისაც სიცივე და მძულვარება ბოგინობდა. დაშორიშორებულნი.

იამ, ვერა და ვერ გაალღვო შთამომავლობითი ყინული. დარდობდა. წუხდა. უნათესავოდ ყოფნა უმძიმდა. საყოველთაო ობლობა.

— გამარჯობა, ია... ნაღვლიანი ხმით მიესალმა მეზობელი.

— გაგიმარჯოთ, დეიდა თამარ, ვინ შეგეძინათ?...

— ბიჭი.

— გილოცავთ.

— ეჰ... ქალმა მწუხარედ ამოიოხრა.

— ...ხომ კარგად არის?... რეჩხით ჰკითხა.

— ავადმყოფი დაიბადა.

— რი-თი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თანდაყოლილი სიმსივნე აქვს.

— აჰ!... შეკრთა ია. ძალზე შეძრწუნდა.

— ამ ბოლო დროს ხშირია, თურმე... ცნობამ გაჰყინა.

— ხ შ ი რ ი?...

ატომური ეპოქა. ეკოლოგიური კრიზისი. პრეტენზიული უვიცები. ბუნებაზე გამარჯვების ხეპრული ტინი. მეტოქეობა. ხე ცოდნისა სიცოცხლის ხე არ არის. არის! არის!! ურჩთა ველური როკვა. ბრიყვნი. საშინელი ადამიანი. უვიცთა აკადემია. ატომი ადამიანის სამსახურში. ჰ. ბოროტად კეთილი. კატასტროფის ზღვარი. ატომური ელექტროსადგურები. ნება-ნება სიკვდილი. პროგრესის ლოზუნგით. ჰმ! რადიაციული წვიმები. თოვლი. მზე. ქარი. კიბოს მოციქულნი. მიწას გვინოყიერებენ. ფხალეულს გვიმრავლებენ. ხილეულს. დღეს სირცხვილია ჭლექით სიკვდილი. სულიც ატომებისაგან შედგებაო, დემოკრიტემ. ფეთქებადი სული. ვერ ეღირსები სიმშვიდეს.

დაავადებული სამყარო: ნნევა. ნევროზი. სკლეროზი. ალერგია. სისხლის გათეთრება. ინფარქტი. ციროზი.

მე გიჟს ვგრძნობ ჩემში. მაშინებს ძალა. ბოროტად ჩამდგარი ჩემს სულში, სხეულში, ტექნიკურ ეტლის უგონო ქროლვა. ცისფერი ურჩხული. ტვინს წოვს.

ცისფერ ეკრანზე ახალგაზრდების ჯგუფი გამოჩნდა, მორღვეულ მზერით.

— რატომ გახდით მორფინისტი, რამ მიგიყვანათ ამ გზამდე? — დიქტორის საქმიანი კითხვა.

— საყოველთაო სიცარიელემ.

— რამდენი წლის ხართ.

— ოცდაოთხის.

— მუშაობთ?

— ვმუშაობდი. შემძულდა შრომაც. ყველა შენს ხარჯზე ცდილობს ცხოვრებას. ყველა გატყუებს, ყველა გლეიტავს. შენ წარმოადგენ დაქირავებულ ფიზიკურ ძალას. შეურაცხმყოფელი ანაზღაურება. შემზიზღდა. პირუტყვული და მათხოვრული ყოფა. ყველაფერი შემზიზღდა. რწმენა დავკარგე. თავი შემჯავრდა. მშობლებიც... რად გამაჩინეს!!!

დიქტორის უგულო დუმილი. მერე კვლავ პრაქტიკული კითხვა:

— ცოლ-შვილი გყავთ?

— არა. და არც მინდა მყავდეს.

— ნარკოტიკების ფულს როგორღა შოულობთ?...

— ვშოულობ... უმორფოდ არ შემიძლია. იგი მაძლებინებს.

— მორფინისტები ძალიან ცოტას ცოცხლობენ...

— ვიცი!

სიჯიუტე. სიკერპე. პროტესტი: ვიცი! ვიცი!!

გაბოროტებული სწრაფვა სიკვდილისაკენ. შიშს აშთობს. გმირობს. გამძვინვარ[illegible] იმედის წყალი. უუხ, პ რ ო მ ე თ ე! მიხვდა ამაოებას. და სიკვდილი სურს. სიკვდილიც, ბარემ!

„ბები!... როგორ ხარ... კარგად. ჩემი ცოდვიანი ცხოვრების გამო ჯოჯოხეთში მოვხვდი, მაგრამ მაინც ვარ აქ იმაზე უკეთ, ვიდრე მანდ ვიყავი... დედა სად არის, ბები?... როგორ არის?... დედაშენი სამოთხეშია".

გახარებულს გამოეღვიძა.

„დრახ! დრახ! დრახ!"

„ღიაა. შემოდი". ქალის გახლეჩილი ხმა.

„რატომ გაქვს ღია, ვის ელოდი!" დააბრიალა თვალები მთვრალმა.

„შენ გელოდი".

„ბავშვები რატომ არ მეგებებიან. შენ დაარიგე?!"

ბავშვები ერთმანეთზე მიკრულნი ცახცახებდნენ.

„მიდით..." შესაბრალისად შესთხოვა დედამ.

ფეხათრევით დაიძრნენ. დადგნენ მამის წინ. ციკი, მძულვარე სახეებით.

„ეს რა მოდაზე ჩამოგივარცხნია თმები. უკვე მოდაობ?!..." უფროს ქალიშვილს ჩასისხლიანებული თვალებით ჰკითხა. „ჩოლკები" ჰქონდა.

„გადაივარცხნე!"

გოგო კერპად და ჯიუტად იდგა. ცრემლმორეული.

„ვის ვეუბნები!".

„ვანო..."

„შენ კი არ უშლი?!..." დაისისინა.

ვაჟები გამოქომაგების სურვილით ძაგძაგებდნენ.

„ბოზები გინდა გამიზარდო შვილები ხომ?!"

უფროსი ვაჟი ცეცხლწაკიდებულის სიმწრით სწვდა მამის მოქნეულ ხელს. მთელი ძალით დაებღაუჭა. კაცი გაავდა.

„ეს რას მიბედავს!" გააფთრებულმა ბავშვი კედელზე მიანარცხა. ბიჭი უღონოდ ჩაიკეცა.

„შვილს მიკლავ?" მძვინვარება გაიკლანკა ქალის თვალებში. შვილს დააფრინდა. კაცი კი სანოლ ოთახში შებარბაცდა. გაუხდელი მიეგდო ტახტზე. ცოლი გახდიდა. გაღვიძებულს ჩაცმული რომ ენახა თავი, გაცოფდებოდა. ცოლიც მონურად, წვალებით ხდიდა.

„დედა, წავიდეთ ბებიასთან..." თქვა შუათანამ.

დედამისი სხვა ქალაქში ცხოვრობდა. მიხვდა ქალი.

„მერე?..." კრთომით ჩაჰკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილებს მტანჯველი სიძულვილი ედგათ თვალებში. და გაქცევის მძაფრი სურვილი.

„არდადეგებზე...“ ბათილად თქვა დედამ.

„და არ დავბრუნდებით...“ დაზუსტებას შეეცადა უმცროსი.

„მივატოვოთ მამა?...“ ქალმა ხმაში სიბრალული გაურია. „ცოდვა არ არის? მამას უყვარხართ...“

შვილებმა დედას უნდოდ შეხედეს. გაიბუტნენ. დედაც ატყუებდა.

„მე წავალ!“ გადაწყვეტილად თქვა უფროსმა.

დანარჩენებმაც იგივე გაიმეორეს. ბებიასთან სითბო, სიმშვიდე და სიყვარული ელოდათ. იქ დედაც უფრო ალერსიანი იყო.

ქალის გული შფოთმა მოიცვა.

„მე ხომ გიყვარვართ...“ ხმა უკანკალებდა.

შვილებმა უხმოდ დაუდასტურეს.

„...მაშ, ეს სიტყვა არასოდეს გამაგონოთ... არც გულში გაიელოთ, თორემ მოვკვდები!“

შვილები დედას აეკვრნენ.

„გებრალებოდეთ მამა...“ თქვა დედამ და შვილებმა ერთდროულად გაიოცეს. ვერ მიხვდნენ, რა სჭირდა შესაბრალისი მამას, რომელიც ასე ბატონობდა.

დედა ღრმა დარდით დუმდა. დედის შემყურეთ მზერა დაურბილდათ.

„აღარ უნდა ამდენი ფერება, არაფერი უჭირს... ადექი ახლა, შეშა ამოიტანე. მგონი დასაჩეხია...“ ბრძანებით შემოვიდა დედამთილი.

„შენ ამოიტანე!“ წამოენთო უფროსი ვაჟი. დედა შეცბუნდა. „შვილო...“

„უზრდელი! ასე გზრდის დედაშენი, ხომ?!“ წაისისინა.

ქალი შეუპასუხებლად წამოდგა. შვილიშვილებმა ბოლმა დაიგუბეს.

„კვირას ჩემი ქალიშვილები ჩამოდიან, თეთრეულია დასარეცხი...“ მიადევნა დედამთილმა.

შვილები, როცა დაიზარდნენ, ყველა წავიდნენ. აღარავინ დარჩა მამის სახლში. აღარც უმცროსი, რომელსაც სახლი ეკუთვნოდა. სახლი დაცარიელდა. ახლა ქალისთვის გაუსაძლისი შეიქმნა ქმარი. თურმე შვილები აძლევინებდა. ახლა?...

„შვილები გამიქციე!“ კივილით შესჩიოდა.

„თუ არ ვუნდივართ, ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ!“ ო გულქვად მიუგებდა ქმარი.

„ნუ ამბობ მაგას!“ გულამნვარი შეჰყეფდა ქალი.

მაინც ამბობდა. რითაც გულს მეტად უხეთქავდა. შესჯავრდა ქმარი. უკვე მახინჯიც ეჩვენებოდა. წვრილი თვალებით. აფთარივით გაშლილი ცხვირით. ჭიასავით გაწელილი ტუჩებით. ჯაგარა თმით... როგორ უყვარდა! აკი კიდევაც გამოექცა: მოტაცებული, ოღ... როგორ ძნელად შეეჩვია.

გააცილა უკანასკნელი შვილიშვილიც. ... ქანზე მტკნარი ღიმილით ... კუდს მიბმული მზერით. — ს ა ყ ვ ე დ ურ ი.

გზას შინისაკენ დაქანცული მოუყვებოდა. მნვანე ვაგონის ყვითელ ფანჯრიდან ხელები მტკიცედ დაუქნიეს. — „ს ა ზ ღ ა ურ ი“.

თვალწინ ედგა ავადმყოფი დედის სურათი. ჩაღრმავებული სახითა და უსაშველო ლოდინის მზერით. — ნ ი ხ ლ ი.

დედის ცხოვრების სევდიანი ბოლო აკორდი.

„გათხოვდი, შვილო, შენი შვილიც გამაზრდევინე“.

„მეც რომ გავთხოვილიყავი, ვინღა მოუვლიდა?...“ ბალღამი.

— ხეიბარი ვარ, დამეხმარეთ, თუ შეიძლება... მორთხმით იჯდა მიწაზე კაცი და ითხოვდა.

იამ მანეთიანი ჩაუდო ხელში. ვიღაცამ ხურდა ხელს ააცდინა. გაგორდა. იამ აიღო პატრონსვე დაუბრუნა.

— ნუ შეწუხდებით...

ხურდის პატრონი ჯერ გაოცდა. მერე სირცხვილით დაედღაბნა ჩოფურა სახე. ხურდა ფული უხერხულად ატრიალა ხელიდან ხელში. თითქოს ხელს წვავდა. იას შეებრალა (არ იყო მკაცრი), მოუბოდიშა. კაცმა შვებით ამოისუნთქა. თავაზიანად დაიხარა. მათხოვარს ხურდა მოწინებით ჩაუდო ხელში. მათხოვარი მონოტონურად იმეორებდა: „დამეხმარეთ, თუ შეიძლება...“ ხვედრი. მისი მდგომარეობა. ვერაფერში დაეხმარები. გარდა ფულადი წყალობისა. თუ დახმარება ერქვა კაპიკებს. ერქვა! და იგი კმაყოფილიც იყო.

დამნუხრებული ია ნაგვის გორას გადაანყდა. ზიზღით უკუდგა. უვიცი. ბუნებაში არაფერი იკარგება. რა იცოდა, ნაგვის გარდასახის უნარი. ახალი პროდუქტი. აბა!

გიჟი შემოხვდა. მოდიოდა მხრების ცეკვებით. ღმეჭით. უნაპირო სიამოვნებით. იას მხედრული სალმით დაუდგა. გაეცინა:

— მ ე ბელადი ვარ... ბელადი!.. არავის ჯერა... შენსავით... ვწუხვარ და კიდეც მიხარია! თორემ ხალხი ქვებს დამიშენდა, შურისძიებით ჩამქოლავდა... მოტყუებისთვის... საწყალი და მართალი ხალხი... მნუხარებით ერთხანს გაყუჩდა. და მერე ისევ ალტაცებით წამოისროლა: მე, ჩოხოსანი ბატონები, კოსტუმიანი ბატონებით შევცვალე. ჰიხ... სიცილი უცებ მოიკვეთა და მერე ისევ დამნუხრებით ალაპარაკდა: მთელი სასაფლაოები მოვიარე. ახლაც იქედან მოვდივარ, ერთ-ერთიდან...

— რატომ...

— საფლავს დავეძებ... საკუთარ საფლავს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

იამ თავი უიმედოდ გადაუქნია:

— ვერ იპოვნით... არ არის...

— ჰო... გიჟი დაეთანხმა. ბელადი ვარ., გაუმეორა: გახსენებით და საიდუმლოდ. გჯერა?... — რატომღაც ხმა დაუფრთხა.

— მჯერა.

— ...იცი?...

— ვიცი.

გიჟს თვალები წამოენთო. გალიაში დამწყვდეულივით ასხმარტალდა. ბადე გაწყვიტა. მოსხლტა. გაიქცა. შიშის ქარი მიაქროლებდა. „იცია. იცის. იცის და მომკლავს. მელოდა". გიჟი გარბოდა. ხალხი უვიცად რიალებდა. გიჟს უსაფრთხო გრძნობა ეწვია: ჯერაც მღვიძარი არ არის ხალხი...

ტელევიზორშიც უჩვენეს წუხელ. რუსთაველს ვიცნობდიო. ილიას თუ იცნობდიო. არაო. კი მაგრამ, როგორო, — ილია აგერ ახლა მოღვაწეობდა, რუსთაველი კი რვა საუკუნის წინათო. არ ვიცნობდიო და!... აღშფოთდა გიჟი. ლოგიკა. იქნებ ახსოვდა წინა ცხოვრება?... რეინკარნაცია.

ყელგამშრალი წყლის რიგში ჩადგა. ვიღაც გონჯი მივიდა დახლთან. ურიგოდ დადგა. უნებურად შეხედა იამ. გაოცდა: მათხოვარი?

გამყიდველს მისეული მანეთიანი გაუწოდა.

— დამიხურდავე... უკმაყოფილო სახით მოსთხოვა. ხურდები მუჭში ჩაიყარა. და კმაყოფილი სახით წავიდა. იამ ღიმილი გააყოლა. გაზიანი წყალი დალია. დაღმართს დაუყვა. წინწოვან ტყისკენ.

მეჩხერ ტყეში ქრისტესისხლა მრავლობდა. ყვავილებს თესლზე ჭიანჭველები დასეოდა. დამტვრეული ყვავილთ ღერები. ყვავილთ ღეროდან ნარინჯისფერი სითხე დიოდა. ფოთლის ძარღვებიც ნარინჯისფერ სითხით ღივოდა. „ქრისტესისხლა"... „ქრისტეს გვირგვინი"... ფიქრს გაყოლილმა სიჩუმე იგრძნო. მიმოიხედა. გაჩეხილი ტყის ავბედითი მდუმარება. გაჩანაგებული ბუნება. მოგება. დოვლათი. კერძო საკუთრება. სახლები. პრომეთე. ცივილიზაცია. ქონება. ბრძოლა სიმდიდრისათვის. ელექტროხერხები. წყალდიდობები. ნიაღვრები. ღვარცოფი.

ბუმერანგი, აბა!

თავხედი ადამიანი. ტექნოლოგიური რევოლუცია. წამგლეჯები. ზვავები. მეწყერები. მიწისძვრები. გზები. ხიდები. რკინიგზები. გამობურღული მიწის გულები. გვირაბები. გადაგდებული მდინარეები. ელექტროსადგურები. მაღაროები. განძარცული პლატეები და მიწის წიაღი. ვიხსნათ მოაზროვნე ადამიანი მწარმოებელი ადამიანისაგან.

მერხზე დაეშვა თვალდახუჭული. სმენადახშული. ვიდრე არითმია გადაუვლიდა. გაზეთი ეგდო. სისხლდამშრალი სახით დახედა. ჩარჩოთა წყება. გაჩეხილი ტყის საზარი კადრი. ხალხისკენ გაიხედა. შაოსანი [illegible]ბის ბლანდი. მძიმე მდუმარება. წამოდგა. [illegible] ბიჯების ხელოვნური ხმაურით გადათელა [illegible] ზმანება. პროცესიამ გაავსო ქუჩა. კუბოთა წყება: ერთი. ორი. სამი... ხალხის მუქი მდინარება. შავი ნაკადი.

— მიპასუხეთ! რა ხდება!!

— ბიჭების ჯგუფმა თავი მოიკლა.

— ჯგუფმა?!

— დიახ... მოასვენებენ...

შეშლილი სახე. თვითმფრინავმა გადაიგრიალა. მოიკუნტა. ჩაყლაპა მტვერი. გაზის სუნიც იდგა ჰაერში. დღესაც გაუშვეს თანამგზავრი. ცაზე ღრუბლები განფენილიყო. პროსპექტზე ინსპექტორი რობოტი იდგა. მოძრაობას აწესრიგებდა. იდგა ხმაური. დამუხტული სხეული. ყველაფერი აღიზიანებდა. აკრთობდა.

უპერსპექტივობა. წინ წამება და სიკვდილია. რისთვის გავჩნდი. რობოტის ტექნიკა. კაცობრიობის პერსპექტივა. მისკენ მიდის ყველა ჩვენი გზა. რობოტი ჩარხთან. რობოტი დახლთან. და თვით აკადემიკოსიც რობოტი. რობოტივე დაგვასაფლავებს.

რა ვარ. ვინა ვარ. ადამიანი? გინახავთ, როგორ თქვლეფენ ღორები? როგორ ძოვს ძროხა, თხა, ცხენი, ხარი, კამეჩი? საკენკს როგორ კენკავს ქათამი? ძაღლივით ვიღრინები. ვეფხვივით ვბრდღვინავ. აგრესიით ლომს ვემსგავსები. მგელივით ვიბრძვი არსებობისათვის. ამ სამყაროში ერთი კანონით ვცხოვრობთ ყოველი: კაციც, ცხოველიც. მე ინტელექტი გამაჩნია, რომ სირცხვილის ალით დავიწვა. ჰ!

მე, ცხოველებს და მცენარეებს ერთნაირად დიდი უნარი გაგვაჩნია: ორგანიზმში ვაკუმულირებთ... ტოქსიკებს. რისი „ზადლითაც" მთლად ჩვენში ძევს მთელი საბადო: ტყვიის, ვერცხლისწყლის.

პალატებში ავადმყოფები ეწამებიან: ასთმით. ციროზით.

სასუქით დატვირთულმა ავტომანქანებმა ჩაუქროლა. მეურნეობის მინდვრებისკენ მიჯირითობდნენ. იყიდება ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილები ფასდაკლებით. ღმუილის ხმამ გახლიჩა სივრცე.

ლაპლაპა დანა დაელავდა მხუთავ ჰაერში.

— ოჰ! — იჰ! იჰ! — იჰ!... დანის მპყრობელი ნეტარებდა. კუთავდა მსხვერპლი. ფერმიხდილი და უსასოო. სიმწარით ტუჩებჩატეტკვილი. მერე გულიდან იჩქეფა სისხლმა. ხრიალი. სული ხდებოდა. ცხრებოდა მკვლელიც. უსურვილოდ და უღონოდ დაუშვა ხელი. თრევით წამოდგა.

— ცო-დვი-ლო! ია წივილით მივარდა მკვლელს. რა გეშველება! რა ჩამოგბანს ამ

ცოდვის ნიშანს... აჰ, შენი ბ რ ა ლ ი... მოსთქვამდა. ია

— მოკალით!

— აკუნეთ!

— ზედ დააკალით!

ბრბო მძვინვარებდა. მკვლელს სისასტიკით უშენდნენ მუშტებს. წიხლებს აზელდნენ. ია მოკლულზე დახრილიყო. დასტიროდა: მდუღარე ცრემლით. მკვლელს ცემით კლავდნენ. სიამის ხმები. როკვა. ია შეძრული წამოვარდა.

— შეჩერდით.

— ესეც მოკვდეს. მ ო კ ვ ლ ი ს ღირსია... გულის მოოხვით ხაოდა ხალხი. შურისძიების აღძრული ჟინი. სისხლსაც დალევდნენ.

ია მკვლელს მკერდით აეფარა. გაშტერდა და დაიბნა ხალხი. მკვლელიც გაშტერდა.

— გაიქეცი. და შენი ცოდვის ტვირთით იარე. მიუბრუნდა ცრემლების ფრქვევით. მკვლელი კი პროფილს გაოგნებული მისჩერებოდა. ბრბო ტორტმანებდა. ია თვალებით ზომავდა მანძილს.

— გაიქეცი! განგაშით შესწივლა. და ინერტულად გაიქცა მკვლელი.

— არ გაუშვათ!

— მოკალით!

ღმუოდა ხალხი.

— რატომ გაუშვით! რად გააქციეთ!! რა იყო თქვენი... აღშფოთებით აღეწდნენ სიტყვებს.

— არაფერი...

— მაშ?!...

— შემებრალა... საბრალო მკვლელი...

— ა! გაოგნდნენ. გიჟი ხარ გიჟი!... აღშფოთებით ერთხმად შესძახეს. თქვენც მკვლელი ხართ... ბრალიც დასდეს.

ია გლოვით წამოქვითინდა. მოდიოდა შერისხული და ბრალდებული. ზურგში სცემდა ბრბოს ყიჟინა. მრისხანე ხმები. წინ მკვლელი გაჩნდა. გადაუდგა: უმადური კითხვით:

— რატომ მიხსენით...

რა ეპასუხნა. ახლოვდებოდა გამძვინვარებულ მდევართა ტალღა.

— მომკალით! გამათავისუფლეთ!! სასოწარკვეთით შესთხოვა მკვლელმა.

ია გაშტერდა.

— ვ ი ს გ ა ნ...

— ბრბოსგან... მე ამათ ვერსად გავექცევი. მზარავს და შიშით მაქვესკნელებს შურისძიება... მი-სა-შვე-ლეთ!...

— რატომ შესცოდეთ...

— მტერი მოვკალი. ღირსების გრძნობით წარმოთქვა მკვლელმა. და წამიერად მოიხიბლა ბტირალი ია. მტკნარი ხმით უთხრა:

— ღძერთი დასჯიდა...

აჰა, მოაწყდა მდევართა ტალღა. ზურგიდან ეჯანენ. წამოაქციეს. მუშტების ზათქი. ღრიალი. რას დაიცავდა! ია ქვითინით მოსწყდა იმ ადგილს.

ავალ, გოლგოთაზე ავალ. ცოდვებს კი ვინც ვერ ვუშველი, ვერ [illegible] ხედავ ჩემს თავს თვალებში. რა განმწმენდავს. რით განვახლდები. ცოდვების ქმნისთვის დავიბადე. ცოდვის მორევი. იდეალის სასოწარმკვეთი სიმაღლეები. ამაო ლტოლვა.

რა მიშველის.

ლიფტთან შედგა. არ ინთებოდა ლიფტის ღილაკი. მეცხრე სართულზე გაჩხერილიყო. დაგლეჯილ ნერვებს აპყავდა კიბით. ჩხუბის ხმები შემოესმა. კვლავ აირია. დაიძაბა. „ერთი სადილის გაკეთებას რაღა უნდოდა..." „შვილო, ცუდად ვიყავი..."

„ცუდად... ბერე, გააგებინებ ამას ნუგზარს? გამგელებული რომ მოვარდება..."

„რა ვქნა, შვილო, აღარ შემწევს იმდენი ძალა..."

ხმა მიილია. გული დაეჩხვლიტა იას. ეს საშინელი და უსაშველო ოჯახური ომები. გაბმულ, განგაშისმაგვარ ზარს რეკავდა. კარი გაულეს. რა შემოხედეს, ყველანი ჩაცხრნენ.

— დღეს კაცი მოკლეს... კიდევ... ბიჭებს ჯგუფურად მოუკლავთ თავი... — მგლოვიარემ ტყვიასავით ისროლა სიტყვა.

შეცბნენ. შერიგდნენ. კითხვები მიაყარეს. იამ მეტის თქმა აღარ ისურვა. გამობრუნდა. ზღურბლთან შეყოვნდა. მეზობლებისკენ შეტრიალდა. შეგონებით შესძახა:

— ნუ ეჩხუბებით დედებს. ისინი ყოველთვის მ ა რ თ ლ ე ბ ი არიან!

დაიჩურჩულა:

— დედა ღმერთია... ღვთაებაა.

ბინაში ადგილს ვერ პოულობდა: მყუდროს, სულის განსასვენებელს. ყველგან ავეჯი და ათასი საჭირო ნივთი. მწვანე სალონზე ოცნებობდა. რას მოაწყობდა: კვადრატობით მოზომილ ფართში.

აივანზე მტრედი დაფრინდა. იას სახე გაუცისკროვნდა.

მტრედი!

მისი ბავშვობის სამტრედედან გადმოფრენილი. კარი გაალო. მტრედმა მიიღო შემოწვევა. აივნიდან შემობაჯუნდა. ღუ. ღუ. ღუ.

— რა იყო მტრედო. საიდან მოხველ. ვინ გამოგგზავნა?...

მტრედი ღუღუნით უვლიდა ოთახს. ია ბავშვივით დაყვებოდა. აღტაცებული. დაიჭირა. გულზე მიიკრა. კისერზე მაგრად მიიხუტა. ხარბად დაკოცნა. სუნმა დაატკბო. წმინდამ. განებივრდა. დედა ხელს არ ახლებინებდა „არ შეიძლება..." მისტიკური იდუმალებით ეტყოდა შვილებს.

ღუ. ღუ. ღუ.

მტრედი თბილი ხმით ღუღუნებდა. იამ

ფუნთუშა გადატეხა. ხელის გულზე დაინამცეცა. მტრედი გამალებით იტაცებდა პურის ნამცეცებს. დანაყრდა. იამ ოთახში ააფრინა. მტრედი გაფრინდა.

თეთრი ჰაერი იდგა ოთახში. ია დაზოგვით ისუნთქავდა.

სახეები: გამოფიტული. ბოროტი. ავი. მრისხანე. სევდიანი. მწუხარე. ნაღვლიანი. ღიმილიანი. შურიძიებითა და სიხარბით ანთებული. დაუნდობლობითა და ვერაგობით განჟღილი. მაძღარი და კმაყოფილი სიფათები. ფერადი გოგო. მტირ...

არ იტირო. არ იტირო...

აღარ შეეძლო მტირალის ნახვა. ვეღარ უძღებდა.

ყვავების გუნდმა თავზე ჩხავილით გადაუფრინა. დღეს ავი მელის. არსად წავალ. თავს გადავირჩენ, თუ კი ყვავებიც ბედისწერა არ არის ჩემი.

უწესრიგობა სულში. სხეულში. გონი.

ვიხსნათ მსოფლიო ატომური კატასტროფისაგან! დამნაშავის ყვირილი. უსუსური კულტურა.

ადგა ლამაზი ქალი. და წააგორა მახინჯი ტანი. გული დაწყდა იას. დისჰარმონია. სადღაც ქალის ხმით წრიპინებდა კაცი. როხროხებდა ულვაშიანი ქალი. ჰომოსექსუალი ქმარი. ჰერმაფროდიტები.

— დაინახე იმ საცოდავს, თავის ქოხმახში რომ ხატი ეკიდა? ხა, ხა, ხა...

ჩაბჟირდა ის ყმანვილი კაცი.

— ...აპ, გაჭირვება არ ახსენო, თორემ ყველა შემოგეფანტება, იცოდე! ძმაც გაგექცევა... ამიტომაც ყოველთვის თქვი: „კარგად ვარ“.

იამ მთქმელს მზერა მიადევნა: თანხმობის. სიკეთისა და ბოროტების პარადოქსალური მონაცვლეობა. ზედნაშენი. ყველაფერი რთული თამაშია. გამოგონილი. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გვართობენ. მაშინ ვხვდებით, როცა გვიანია.

ადრე რომ მიმხვდარიყო, რას შეცვლიდი?

შეაღო ბინის თეთრი კარი. შეიკეტა. ბეტონის კოლოფი. მხუთავი ჭერი. უკმარი სინათლე. კარზე სუსტი ხმით დააკაკუნეს. ძლივს გაიგონა. სათვალთვალო არ ჰქონდა კარზე. ცილივიზებულ შიშს მაღლიდან დაჰყურებდა. ამაყი. ლაღი. მონობის საკმაო სახეობები. კარი ფართოდ გამოხსნა. გლახა.

— ...პური არა გაქვთ?... თხოვა.

— შემობრძანდით.

გლახამ პატიჟი იუცხოვა.

— შემობრძანდით. იამ გულწრფელად გაუმეორა.

— გზაში შევჭამ...

— რატომ, გზაში. შემობრძანდით.

გადგა. გზა მისცა.

გლახა შეირხა. შეიშმუშნა. დამტვერილი ფეხსაცმელები უხერხულად შეარხია. საცმელზეც დაიხედა.

— არა უშავს, შემობრძანდით... [illegible] ია. შემოიყვანა. სამზარეულოში შეუძღვა.

— დაბრძანდით. გნებავთ ხელები დაიბანეთ.

გლახამ ნათქვამს წაუყრუა. სკამზე ზანტად, მოშვებით დაჯდა. ია სუფრის გაშლას შეუდგა. სუფრაზე მწნილი და პური დაანყო. გაზზე კერძი გააცხელა. სალათა დაჭრა.

— მიირთვით. შესთავაზა. და თვითონაც სუფრასთან დაჯდა. მასპინძლის წესი. არკი სიამოვნებდა.

გლახა წვნიან კერძს სიამით სვლეპდა. პურს ლამის ნთქავდა. ჭუჭყისაგან დამსკდარი ხელით. ბინძური ნვერით. ჩაჟანგულ კისერს ნამდაუწუმ ამოძრავებდა.

— გეზიზღებით?... გლახამ მოულოდნელად ჰკითხა.

— როგორ გეკადრებათ... თავი იმართლა.

— ყველას ვეზიზღები. დამინახავენ და კარს მიხურავენ... თქვენთანაც უიმედოდ დავაკაკუნე.

— რატომ არ დარეკეთ.

გლახამ არაფერი მიუგო. ია თვითონვე მიხვდა; გლახები აკაკუნებენ. აღარაფერი უკითხავს. არცა რამ უთქვამს. ყველაფერი ნათელი იყო. და ამაოც. ისედაც რამდენი ყალბი სიტყვა თქვა. რამდენი ყალბი ჟესტი.

— მადლობა. თქვა გლახამ და ტუჩები გაილოკა. კარგად რომ ვიყო, ღმერთს ვიწამებდი... დიალოგის სურვილით დაილაპარაკა. და იამ არც ეს დაამადლა.

— ბედნიერი რომ იყოთ?... დაზუსტებას შეეცადა.

— ბედნიერი რომ ვიყო. დაუდასტურა გლახამ.

— ...გამონაკლისი იქნებოდით. რადგან ღმერთი გაჭირვებულთ უფრო სწამთ, ვიდრე დალხენილთ.

გლახა დადუმდა, თითქოს მეტის თქმას არ აპირებდა.

— საგზალს გაგიხვევთ. თქვა იამ და ამოძრავდა. საგზალი ქაღალდზე დაალაგა. ლამაზად გადაახვია. გამჭვირვალე პარკში ჩადო და მიანოდა. გლახა არც შერხეულა. იამ გაკვირვებით შეხედა. და სახტად დარჩა. იგი (მადლიერების ნაცვლად) ნერვიულად ცახცახებდა.

— ღმერთი რომ აქ მყავდეს, მ ი ვ ა ხ რ ჩ ო ბ დ ი! გაბოროტებით დაიხრიალა.

იამ კი უმალ მიუგო:

— „ღმერთი არ არს მიზეზი ბოროტთაჲ“!...

— „არ არს!...“ მაშ, რომ ვეწამებით?

— ეს მიზეზის შედეგია.

— მიზეზი ვინაა?

— მიზეზი ჩვენ ვართ.

— ჩვენ ვართ! და ღმერთიც ბოროტია. უსამართლოც.

— ჩვენ კი სწორად ვცხოვრობთ, ან სწორად ვიცხოვრეთ?...

— სწორად?! მერედა ეს ჩვენზეა დამოკიდებული?...

— მეტწილად.

— მეტწილად არა, ძალიან მცირედ. ჩვენ გარეშე ძალები გვმართავს, ჩვენზე ძლიერნი. კაცნი კი მეტად სუსტნი ვართ, სუსტნი!

— რა ძალები...

— სოციალური, ეკონომიური, და ბედისწერა?!...

— ჰო, მაგრამ მაინც... იამ სათქმელი არ დაამთავრა. სუსტი ადამიანის გონებაზე მიანიშნებდა. მიუხვდა გლახა. და

— „მაინც! მაინც!" ნერვიულად დარისხა სიტყვა წამოჭარხლდა.

— ნერვებითა ვართ დასენილნი. რაც გონს გვიბნელებს. და ბით გვამარცხებს.

შენიშვნა არად მიიღო გლახამ.

— ღმერთი, ვისაც აქვს, კვლავ იმას აძლევს, მას ეხმარება. უქონელს კი, რაც გააჩნია იმასაც ართმევს... გლახამ მდურვით თქვა. უკვე წასვლას აღარ ჩქარობდა; კაცთან საუბარს მოწყურებული.

— და ყველაფერი სახარების მიხედვით ხდება. მიუგო იამ. განუმარტა: „რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს, და რომელსა არ აქუნდეს... მო-ვეღოს მას".

— და ტკბება, არა, ჩვენი ნამებით?... ასივლდა გლახა.

— სუსტებს სისუსტის წილ, და ძლიერებს ძლიერობის წილ.

გლახამ პასუხად ალესილი მზერა ესროლა.

— ძლიერება რომ ბოროტებაა?... ნიშნისმოგებით მიახალა.

— რატომ, ბოროტება... გააჩნია, როგორი ძალა დგას მასში, ღვთიური თუ სატანური...

— სუსტებმა რა ვქნათ!

— ბჯერი უნდა ვილოცოთ, რომ ღვთის მადლი ჩვენზეც გადმოვიდეს.

— მაინც, რამდენი!...

— მადრადთა მეფეს, აშვაპატის, 18 წლის ლოცვისა და ენებათა დათრგუნვის შედეგად შეეძინა ნანატრი მემკვიდრე. ჩვენი ღმერთი უფრო კეთილია... ოლონდ მტრისთვისაც უნდა ვილოცოთ.

— .. რომ მეტად გაძლიერდნენ... გლახამ, იქედნურ ნათქვამს მწარე ღიმილიც მოაყოლა.

— იმ გულით რომ ვლოცულობდეთ, რა გულითაც ვიწყევლებით... ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამას ღრმა რწმენა [illegible] საიდან მოგვეცემა?... შემომხედეთ, კარგად შემომხედეთ, ვგავარ მე ადამიანს, ვგავარ?!...

გაგეშებულმა თვალებში ელვა ჩაიყენა. ზვაობით განაგრძო:

— მინდა სამყარო მივლეწ-მოვლეწო. ცა ჩემს ფერხთით ჩამოვაქციო და თავიც ზედ დავილეწო.

დაღლით დადუმდა.

— წარსულ ცხოვრებას ვიმკით... დასკვნით თქვა იამ.

— რომელ წარსულს... გლახამ ნათქვამი, რაღაც სულმწარედ აიტაცა. მზერა დაემსხვრა. უშორეს წარსულს უწვდინა თვალი. უკუნით მოცულს.

— რომ გვახსოვდეს... თქვა დამნაშავედ. მონანიებით.

— დღეს?... იამ, დღეის ცოდვებზე მიანიშნა

— დღეს... გაიმეორა ფარ-ხმალ დაყრილმა. აღიარა: წყევლით გულს ვიოხებ. სხვა რის შემძლე ვარ... სისუსტითა და გლოვით თრთოდა.

იამ ქადაგით თქვა:

— კვლავ იქნებიან კაცის მკვლელნი. ქურდნი. ძრუშნი და მოშურნენი. ურჩნი, ცბიერნი. სხვადასხვა ჯურის შემცოდენი. ბოლოს ყველანი მიაშურებს ტ ა ძ ა რ ს.

— მე-ეეც? ხა, ხა, ხა... ტა-ძარს! ხახ!... ხარხარი ყელში ჩაიხლიჩა. სახე სიძულვილმა დაუჭირხლა. და კბილებიდან გმობით გამოსცრა:

— თფუ, ამ ცხოვრებას! შურდულივით გამოაფურთხა. წავიდა.

გამშრალი ია ცეცხლმა ალოკა.

უვიცობაში და ურჩობაში დავკარგე თავი. გამწარებით დავეძებ.

სად ვარ. საად, საად.

ოთახის კედლებს ნერვიულად დაუწყო ცემა. შეშლილ ქარში ჩვილი ატირდა.

უგაა. უგაა. უგაა.

ნერვიული სმენით გაშეშდა.

ტირილი სადღაც დაიკარგა. ია მოეშვა. შუბლით ულონოდ მიენდო კედელს. დასუსტებული გული კვლავ კაკუნის ხმამ გაფხრიწა.

დრახ. დრახ. დრახ.

—ვინ არის?! კარს შეჰყეფა. შიში კრისტალებად ჩაემსხვრა სულში. მოიკუნტა. შიშიან მზერით. ავადმყოფს ჰგავდა. ბეჩავად ქცეულს. ბრაზმა აანთო. სისუსტეს აუჯანყდა.

ე — ეეეეეეეეე.

რკინა-ბეტონის მხუთავი ჭერი შეძახილით ჩამოაქცია. კართან ახმაურდნენ. ზარს რეკავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლები იყვნენ.

მეგობრების მონატრების ტალღამ დაპკრა. სითბოთი აივსო. ყურმილს დასწვდა. რეკავდა ერთთან. მეორესთან... ყველა მოიკითხა. გაცვეთილ გრძნობით გაეპასუხნენ. გული აეწვა. მხურვალე გრძნობა გაუნელდა. ცრემლი მოანვა; მსახვრალი დრო. ულმობლობა. ყველაფერი ხუნდება. ყველაფერი წარმავალია. ამიტომ გვიჭირს. სულს უჭირს ცოდვილ სხეულში გამომწყვდეულს. კივის. თავისუფლების მძაფრი სურვილით. ამოსვლას ლამობს. სილაღეს და სიწრფელეს ელტვის. პროტესტანტი ტყვეა სხეულის. კივის კივის მონობაზე ამხედრებული. სიმწარით კივის.

— რაო, პატარავ, შენ რისთვის ტირი?

— ვაშლი წამართვა გიამ.

— გიამ?... განა შენ არ მიეცი?...

— მე ვუთხარი ჩაკბიჩე-მეთქი. მან კი წარმტაცა.

ეგემრიელა.

გოგონამ კი ტირილს უმატა. აზმუვლდა. ასლუკუნდა. რა უიმედოდ! ბიჭს ვაშლი უკვე სულ ჭეეჭამა და სიამით ილოკდა ტუჩებს. ანცი ღიმილით უჭვრეტდა მტირალს. იას სიცილი მოერია. ბიჭს კი მაინც უსაყვედურა:

— არ უნდა შეგეჭამა.

— რატომ.

— იმიტომ რომ, ბიჭი ხარ და ნებისყოფა მოგეთხოვება; ვაუკაცურად გეთქვა უარი. ნების დათრგუნვით კი გამოავლენდი შენს მამაკაცურ ძლიერებას. ახლა?...

— ახლა?... ნირწამხდარმა ჰკითხა.

— დაკნინდი. ის მამაკაცი აღარა ხარ, ვისაც სამყარო უნდა ემართა.

— ე. ი. ბიჭი აღარ ვარ?...

— მაგ ცდუნებისთვის რომ გაგეძლო, იფ, რა ბიჭი იქნებოდი!

ბიჭმა თავი დარდით დახარა. იამ პანტურა ყურზე აკოცა. ხელის გული დაუსვა ცხვირზე. ბიჭმა სიამით შემოსცინა.

ღვინის სარდაფში ხორხოცებდნენ. იგინებოდნენ. მაგიდებზე მუშტებს ურტყამდნენ. სიყვარულსა და მეგობრობას იფიცებოდნენ. კაცურ კაცობის სადღეგრძელოებს სირჩებით სვამდნენ.

— ყველა კარგ ადამიანს გაუმარჯოს!... მე იმათი უღალატო გულის ჭირიმე, ვინც გაგიტანს და ბოლომდე გიძმობს. ცოტანი კი არიან. ამიტომ უფრო ვენაცვალე.

— ძმაკაცობას და სიყვარულს გაუმარჯოს. ვინც ამ მურდალ ცხოვრებას არ დაეჩაგვრინება, არა, იმ ვაჟკაცს გაუმარჯოს!

— არა, მართლა რომ დაუფიქრდე, რაა ცხოვრება; სიმწარით უნდა ზიდო უღელი და ბოლოს მაინც სიკვდილი გელის.

— აბა, გაგიჟდები! ღმერთმა იმიტომ [illegible] გონა, ალბათ, ღვინო და სიგარეტ[illegible] ცხოვრება გაგვიიოლოს...

— ყველა კარგ ადამიანს გაუმარჯოს, ვინც ამ მართლა მურდალ ცხოვრებას სიამეში გაგატარებინებს და წუთისოფელს უარესად არ მოგიშხამავს...

ცუდ კაცსაც გაუმარჯოს, რადგან არ უნდა კაცს ცუდაობა, მაგრამ ასე გამოუდის, უკეთესად არ ეწყობა... ეს ცხოვრება ისე რთულია, ძმაო, არავის არაფერი გაემტყუნება. ვინც როგორ ახერხებს, ისე ცხოვრობს.

— მართალია! კაცს ცხოვრება აბოროტებს. ცოდვაა გაბოროტებული კაცი. ამიტომ ყველას გაუმარჯოს თავისი ცხოვრების გზაზე...

— მინდა მე რომ ლოთი ვიყო? მაგრამ ცხოვრებამ გამალოთა. მე ძალა არ შემწევს, რომ გავუმკლავდე... ღვინოში ვიკლავ გულის დარდებს. სისუსტეს ვმალავ. მე ამ ცხოვრების ოხერი დედა!...

— აი, ამ კაცს რომ უყურებ არა, სახლში ცოლ-შვილს რომ დაანიოკებს, აქ ჩამოიტანს მტკივან გულს და ღვინოსა და ცრემლში იხრჩობა. ასეა! ცხოვრებასავით რთულია კაციც. ვინ იცის, რამდენ ბალღამს იტევს კაცის გული...

— ამ ღმერთისაც ვერაფერი გავიგე... ეეეხ?!...

— პატიოსანი და ალალმართალი კაცი, ამ ცხოვრებაში, ყველაზე მეტად დაჩაგრულია. დაჩაგრულ კაცს გაუმარჯოს!

— მე იმ ღმერთის სამართლის რა ვთქვი, ცოდვილი კაცის დასასჯელად მის უცოდველ ბალღს რომ შეინირავს, მიხვდებაო. და რომ ვერ ხვდება ხედავს ღმერთი?... და თუ კი ხედავს... არ ვიცი, არა, როგორ ვიწამო!

— პატარებს გაუმარჯოს, ჩვენი ტკივილიანი ცხოვრების სალბუნთ...

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! მათ ვენაცვალე! ეგენი რომ არ იყვნენ, არა, სულ მთლად ტრაგედია იქნებოდა ეს ცხოვრება.

— მაშ! გაუმარჯოს!

ისმოდა ჩახრინწული ხმები. ხორხოცი. ლოშნა. დამძიმებული იყო ჰაერი სიგარეტების შხამიანი ბოლით. ზარხოში. ლოთების სუნთქვით გაჟღენთილი ღვინის სარდაფი. უდარდელივით ბარბაცებდა მთელი სამყარო.

— ია, სად მიხვალ! ჩვენთან წამოდი... ეს წუთია დამირეკეს... ნატა... ამხანაგი მღელვარედ და არეულად ლაპარაკობდა. ია ვერ მიხვდა.

— რა, ნატა?... დაბნევით კითხა. და მიიღო სწორი პასუხი:

— თავი მოუკლავს.

გარბოდნენ. გვიანი თანადგომა. ია მხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით შედგა. ამხანაგმა, ცოტა არ იყოს, გაწინმატებით შემოუტია:

— ჩქარა, რას გაჩერდი!

— სიჩქარეს ახლა რაღა აზრი აქვს...

ამხანაგმა, კრიტიკით ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია. გაღიზიანდა.

— ჩქარა!... კვლავ დაჩქარა. და ია უცებ ბრაზით აინთო.

— სად, „ჩქარა", ან რისთვის, „ჩქარა" ხედავ, რა უცებ გავყოჩაღდით!... „ჩქარა", რომ უკანასკნელ სცენას მივუსწროთ. თავს დამნაშავედ არა გრძნობ ეკა? მე კი მრცხვენია... „ჩქარა"... გაციებული გვამის საცქერლად... მოვასწრებთ!... იამ დარცხვენით და ასრულა.

— რა უცნაური ხარ, ია...

— არა ვარ უცნაური. ჩაიხედე გულში და თვითონაც კარგად მიხვდები, რომ უპირველესად სნორედ ამიტომ მივისწრაფით. რომ დავრწმუნდეთ...

— რა სასტიკი ხარ,თავსაც არ ინდობ... გაბუტულივით მიდიოდნენ. და მწუხარედაც.

ნატას ვენები გადაეჭრა. შუაღამის სამ საათზე. მშობლებს სძინებოდათ. დღისით ვერაფერი შეემჩნიათ. მხოლოდ ხანგრძლივად შეკეტილა თავის ოთახში. გვიან კი მაინც გამოსულა. და მდუმარედ ჩამჯდარა სკამში ტელევიზორს უყურებდაო. ვახშამზე კი უხალისოდ უთქვამს უარი.

— კი მაგრამ, რატომ მოიკლა თავი... გენომ რეზოს წუხილით კითხა. რეზომ თაროდან რაღაც ნაწერი ჩამოიღო. გენოს მდუმარედ გაუწოდა.

— „სიცოცხლე მომბეზრდა", გენომ ხმამაღლა წაიკითხა. ნატამ დაწერა?... ამხანაგს კითხა.

— ჰო, თვითმკვლელობის წინ დაუწერია. მამამისს უნახავს მაგიდაზე. ვენები კი აბაზანაში გადაუჭრია...

— ჩვენ მხოლოდ ოცდაათი წლისა ვართ... გენომ ძრწოლვით დაიჩურჩულა.

ნატა სიმშვიდით ესვენა ტახტზე.

თავზარდაცემული პატრონები წრიალებდნენ, წიოკობდნენ. ნათესავთა წრე მატულობდა. გულმოკლულნი, უნაპიროდ დამწუხრებულნი მიცვალებულს ასამართლებდნენ:

— რატომ გაგვამწარე, რატომ!

პასუხს თხოვდნენ: ულმობლობისთვის.

— უნდა გათხოვილიყო... გამოსავლის პოვნით თქვა დათომ.

— ვის-ზე!... ეთერმა დათო მზერით დასუსხა. ვის-ზე, ვინა ხართ! მწამებლები, მანიაკები, უსუსურები, უმადურები. და ღორები.

ბიჭები გაიკმიდნენ. ეთერიც დაცხრა: გულმოოხებული. ქმართან ერთი თვის გაყრილი იყო.

— ია... შენ ისევ [illegible] თავზე ხელი მოხვია გიორგ[illegible] იამ გიოსაგან თავი დაიხსნა.

— გათხოვდი მაინც, ნუ დადიხარ გაუთხოვარი... შენი იმედით დავრჩით ამდენ ხანს უცოლოები...

— გიო... რა არასერიოზული ხარ... ამის დრო არის?... მსუბუქი ნყრომით შენიშნა იამ.

— შენი დანახვა კაცს რაღას არ დააავიწყებს...

— ო, გიო!... კვლავ შეუწყრა.

— რომ შემძლებოდა, შენი თვალების გიშრის ტბიდან, ეს მისტიკური სევდა გამექრო, ხომ გიშველიდი შენცა და სხვასაც... ეს სევდა კი, თითქოს, სამანს სდებს...

— ღმერთმანი, უადგილო პოეტური რეკვიემია!... გაცხარდა ია. ყოველთვის ასეთი არასერიოზული იყავი... გაბუტულმა გოგონებისკენ გადაინაცვლა.

— გუშინ, მე და ნატა ერთად ვიყავით... ყვებოდა მერი. სიკვდილზე სიტყვაც არ დაცდენია. ცხოვრების უაზრობაზე დაიჩივლა მხოლოდ.

— გუშინ ცხელი ამინდი იყო... ისე თქვა იამ, თითქოს ნატა და თვითმკვლელობა ამინდთან რაღაც კავშირში იყო.

იყო...

მერიმ განაგრძო:

— მერე დავშორდით. ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის...

როგორც ყოველთვის. როგორც ყოველთვის. მონოტონურად და მობეზრებით. ტყუილის ლაფი. ერთფეროვნება. მდორე დღეები. უსაშველო თმენით სიგიჟე. წაშლილი ზღვარი. დაღწევა თავის. შეშლილი სახით.

საით. ს ა ი თ.

ამ უაზრობას ოღონდ გაექცე. არ ჩივი, საით...

— ჯოჯოხეთში მოხვდება... წუხილით თქვა იამ. სულის ამოხდის დროსაც გაწამდებოდა... ცოდნით დასძინა.

— რატომ... გოგონებმა ერთხმად იკითხეს.

— თვითმკვლელობის შემთხვევაში არაბუნებრივად ხდება სხეულიდან სულის ამოსვლა; აუტანელი ტკივილებითა და საზარლად დამამცირებელი ფორმებით... უ რ ჩ ო ბ ი ს პასუხად.

ვიცი, უფალო, ვიცი! ჯოჯოხეთია ეს სიცოცხლე. ვიცი, ათასგზის დამარწმუნე. ანი მაკმარე. მომეცი შვება. ამ სამყაროს აღარაფერი შემაყვარებს. მომეცი შვება. მ ი ს ა შ ვ ე ლ ე. ველარაფერი გაამართლებს ჩამოფხრეწილ უიმედობას. ვიცი: შვება სულის ხსნაშია. აქ სიტკბოებას ვერასდროს ვპოვებ. აქ დაცემაა ყველა სიამე. შენ კი ნუ ნამშლი. მაკმარე: სირცხვილით კვდომა. წაიღე შენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოძებული მძიმე სიცოცხლე. ვერ გავუძელი ამ რთულ გამოცდას. მომეცი შვება. აღარ მაქვს ძალა. გამწარდა სული. უსაფუძვლო იმედზე ვდგავარ. სიცრუეა ჩემი საყრდენი. თავს ვირთობ ფუჭი ოცნებებით. ნყალწყალა საზრდო.

მეყო, მეყო მასხრად აგდება. დ ა ვ ი ლ ა ლ ე: სულის, სხეულის უსაშველო ორთაბრძოლაში. ნათელი არ ჩანს. დამათვრეს ჩემი ბატონი-ნება. და ქვებს მიშენს სეტყვა.

რისი იმედი. ფუჭი ლოდინია. მივხვდით, პრომეთე! არ გაგვინათებს. ასე, ნყვდიადში (საკუთარი სულის კედლებზე) გამწარებით ვიბღოტიალებთ. ამაოთა ამაოების ამაობა.

მე დამაკნინეს. სათნოება ველური გზნებით ჩამომგლიჯეს. და დამიტოვეს სიმწარე დამღად. მ ა თ ვგავარ ახლა. და არავის ვაღიზიანებ სათნო ღიმილით. მწარედ ვიღიმი. ბოროტი მამსხვრევს. თავს რით დავიცავ. ვ ი ნ დამიცავს. ვ ი ნ შემიფარებს.

მე დ ა ვ ი ლ ა ლ ე.

საცაა უკვე დავინთქმები ტყუილის ლაფში ჩემი ბედკრული არსობის არსი.

მალე დაღამდება. მალე დავწვები. გავეთიშები დღის მძვინვარებას. დილამდე მაინც დავისვენებ, თუ დამეძინა.

ნავთსაყუდელს დედის მკერდზე თუ ჰპოებ მხოლოდ. სხვაგან კი ვერსად, ვ ე რ ს ა დ... ხოლო ძესა კაცისასა არა აქუნდეს სადა თავი მიიდრიკოს.

შენ ხარ მშვიდობა და შენ ხარ ომი. შენა ხარ სასწაული, დედა.

მე დღეს ფიქრში კაცი მოვკალი.

ვკლავდი: აღტკინებით, გამეტებით და მძულვარებით. გულის მოოხვით და ველური სიამით ვკლავდი. და ვტკბებოდი მისი ტკივილით. ვიცლებოდი ბოღმისა და მძულვარებისგან, რომელიც შხამად გამჯდომოდა სისხლში, გულ-გვამში.

მოვკალი.

და გავთავისუფლდი შხამით დანნული საკნისაგან, რომელშიც ხანგრძლივ ვბინადრობდი. ვეწამებოდი.

მოვკალი, ვინაც ბოროტების ბრჭყალი დამასო. და ვამპირივით ინოვდა ჩემს სისხლს. შური ვიძიე. თავისუფლების სუფევა ვიგრძენ. დაღალული ვეშვებოდი რუს ბუმბულებში. და ხანგრძლივ, ხანგრძლივ ძილს ვეძლეოდი.

ახლა, ქუჩაში, უცოდველივით დავდივარ მკვლელი.

— მწამებლური ჭუჭყის გრძნობა მაქვს. მამაო. სულის ამორეცხვა თუ შეიძლება.

— განნმენდა შეიძლება.

— განწმენდა ხანგრძლივი პროცესია, მამაო. მე კი მოუთმენლად მსურს ამოვირეცხო სული. ვიხრჩობი...

— განინმინდე, შვილო ჩემო, განინმინდე...

— მაგრამ, ვიდრე ძველი ცოდვებისგან განინმინდები, ახალი ცოდვა დამისერ[illegible] მამაო...

— იქმენ ვითარცა უტყვი და ვითარცა ყრუ...

— ეს აქ არა კაცს არ ძალუძს, მამაო...

მღვდელი დადუმდა.

— მაშ, განნირული ვარ...

— ილოცე, შვილო ჩემო, გამუდმებით ილოცე...

— მაგრამ, ამ გამუდმებულ ლოცვა-მარხვაში ის სასიცოცხლო ძალაც მელევა, მამაო, რომლითაც ვსულდგმულობ. სიკეთე კი არ ჩანს და არა.

— დამითმინე შვილო-ჩემო, დაითმინე. ნუ სცოდავ სიტყვით. ნუ მკრეხელობ. ყველაფერი შენი ხვედრია.

მტერიც უნდა დაითმინო. ორგულიც უნდა დაითმინო. ცილისწამებაც უნდა დაითმინო. სილაც უნდა დაითმინო. სიღატაკეც დაითმინო. ღალატიც უნდა დაითმინო. ორპირობაც უნდა დაითმინო. ორგულობაც დაითმინო. ბოროტებაც უნდა დაითმინო. ჭირიც უნდა დაითმინო. მნუხარებაც დაითმინო.

დააცხრე და დათრგუნე ვნებანი შენნი. ყოველივე მორჩილად, დუმილით დაითმინე.

ნუ მიეცემი მრისხანებას და შურისგებას. დაითმინე. იმედით დაითმინე...

— რა დროს იმედებით თავის მოტყუილებაა, მამაო... ამ ნუთისოფლის უსამართლობამ, იობიც კი გამოიყვანა მოთმინებიდან და ნუთისოფლის ნყევად და განსჯად მიაქცია...

— ღმერთის განსჯა არ შეიძლება, მოგეგება... დაიდუმნე ბაგენი შენნი, ვითარცა იობმა.

— ცილისწამება, კაცის კვლაზე ბოროტი ცოდვაა, მამაო...

— არ გეკამათები, უფალმა უკეთ იცის!

. . .

მშვენიერი-მშვენიერი ფასადები. მმ, დ ა ვ ა მ ს ხ ვ რ ე ვ! მონათა კავშირი. პლანეტის გამოცანა.

მდუმარების ცა მხურავს, მდუმარების კედლები. მდუმარეა მიწა. თვლემს: ავადმყოფურად და ავბედითად. უსახო, ჩლუნგი მდუმარება. განფენილი სივრცეში, გზაზე. ჭრელი ფარდაგი. სისხლდანრეტილი, ხორციელი, ჩვარი სხეული. პირმოკუმული მიმოდის ხალხი. ლაგამი. ლასლასით. სნება. უწამლე, აგამედაააა.

ფხპპპ, რა სიმყრალეა. ჰაერი. ჰ ა ე რ ი. „ერთგანზომილებიანი ადამიანი". ლპობა. მაინც შორსაა სიკვდილი. დლეგრძელი ყვავი. ტყუილის პოლიტიკა. ტყუილი. ანტიქრისტეობოლი სიმართლე. სადა ხარ, დ ი კ ე. უნაყოფო ნლები. ფსიქიატრია. ტაშ-ფანდური. დიპლომატია. მანტია. ოფიციოზთა მაფია. გულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრყვილოთა რეცრეცი. დუმილი კეთილდღეობის საწინდარია. მედროვენი. ულმერთოდაც კარგად არიან. ღორი სკამები. „ნივთების ტირანია", ყოვლისშემძლე ფული. ლაყე ტვინები. სიბეცე. როგორ ღირსეულად დადის რეგვენი! „მონობის კლიმატი". ბანგი. უხეირხემლო კაცები. ვაზროვნებ მონა. სასნაულ! სასაცილო ცრუპენტელები. რატრატი. საქმემან შენმან გამოგაჩინოს. უზნეო და უმორალო ელიტა. უსინდისობის თარეში. ქაჯეთის ციხე. დატყვევებული სამართალი. დაუძლურდნენ ავთანდილები. მექოთნის კანონები. თახსირი სისტემა. ტყუილის მახინჯი კუდები. საით შემალავ სახეს. მამხილებელი სარკეები.

სირცხვილით ალეწილმა თვალები დახუჭა. მებრძოლი დუმილი. იბარებდნენ. ზიზღიან სახით მიდიოდა. ბოლმით ავსილი.

ვიწრო, უფანჯრო კაბინეტი. ხელოვნურად განათებული. დერეფანისთვის ჩამოეჭრათ. გაიზარდა აპარატურა, აღარც ეს ყოფნით. სამი მაგიდა იდგა ოთახში. და დიდი სეიფი. მასზე გლობუსი. იქვე ეკიდა კედლის საათი. დროს 12 საათს უჩვენებდა. რადიო კი პირველს რეკავდა.

— თქვენი დრო ტყუის, ბატონებო.

შენიშნა იამ. მიწყივ მიუგეს თავის მართლებით:

— ჩვენი საათი გაჩერებულია.

— გაჩერდა... რადგან ნინ წასვლა არ შეიძლება ასე სიცრუით!

არ შეარჩინეს. პატივმოყვარე გვამები.

— თქვენ კვლავ ძველ აზრებს ანვითარებთ?...

— ახალს... უახლესს... შეუდრეკელად მიუგო იამ, და მართალი მზერა უსნორა.

— თ ა ო ბ ა... დამცინავი პათეტიკით წარმოთქვა კაცმა.

—დიახ!

— არ გათხოვილხართ?...

— ესეც თქვენი საქმიანობის სფეროს მოიცავს? თუ ინტერესის...

— მაშ!

ოჯახზე მიჯაჭვა. ხანგრძლივ სიმშვიდეს მიეცემიან წითელ ჭაობში. სადაც სიამით განისვენებს: გაღმერთებული მატერია. კომფორტის კულტი. მადააშლილთა რემა.

— ცოტა ხანს კიდევ მომინევს მოცდა. ჩემი შვილი თავისუფალ საქართველოში დაიბადება...

— რა გეპატრიოტებათ... ასეთ ლამაზს. შვილები დაზარდეთ. თავს რად იღუპავთ... ჩვენ, შეძლებისდაგვარად ვზრუნავთ თქვენზე...

— „გაქნილი იდეოლოგი!" გმადლობთ!... წამოდგა.

— რისი იმედი გაქვთ... ... გაიღიმა.

წნეხი. ია ჩაფითრდა. უფლება ხართმეული. ღირსება შელახული. ბაგირი.

ერთდღიანები. ჰა-ჰა... ვიცინოთ, ესქილე! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ჰაჰჰ... უძლურობის ჯიბრით. ჰაჰა, დააღე ხახა! მშიერი არ წახვიდე საფლავს.

დედა კი მშიერი იყო. განწმენდილი.

დრახ. დრახ. დრახ.

უხეში მამები. სიბრალულმა გული დაულბო; ისიც ხომ ამ ცხოვრებაში გამოიჩორკნა. ბოროტადქმნილი. მასთან მიდიოდა. ნაღველითა და ჩუმი ცრემლით.

— გაგახსენდი?... მამამ სიმწრით ჰკითხა.

„შენ რომ არ გახსენდები?" შვილმა მეტი პრეტენზიით გაივლო გულში. გულშივე ჩაიმარხა სათქმელი. წყევლის შეეშინდა. მამაკაცის წყევლის.

— როგორ ხარ.

— როგორ ვიქნები!... მამის ხმამ შხამით გაიმხუილა.

ია მსერავ დუმილით იდგა.

— დაჯექი!

უცხოდ და უხერხულად იჯდა. წრიალებდა, ყოველ კუთხიდან სიცივეს გრძნობდა; არ ჰგავდა ბავშვობის სახლს. ნივთებიც უცხოდ შემოსცქეროდნენ. მამაც გაუცხოებულიყო. საკუთრებით.

— გშია?... კვლავ მოსწვდა ის ხმა, მუდამ რომ გულს ულევდა.

— არა... სუსტი ხმით მიუგო. მიხეილი ვინ არის? ჰკითხა.

— მიხეილი? შენ რა იცი?... მიხეილი მე არ მახსოვს, მამაჩემის ბიძა ყოფილა, მონადირე.

გასცრა.

— აგერ, ის პატარა ყანწები მისეულია, მისი მოკლული ირემისაა.

ხმა წაერთვა. ორჯერ ნანახი სიზმარი უცხადდებოდა; ორჯერვე ასე ესიზმრა: შუა ქალაქში ირმის თავი კონწიალობდა. მას დასდევდა. წავიდოდა და აედევნებოდა. დაჟინებით მოსძახოდა: „მე იამზე ვარ. მიხეილმა მომკლა". აუწყებდა. სევდიანი, გიშრის თვალებით. სიბრალულით გულამწვარი გარბოდა ია. მისდევდა თავი. შეძრწუნებულს გამოელვიძა.

„როცა ირმის აღსასრულის საათი დაჰკრავს, ის თავის ფეხით მიდის მონადირესთან", ავბედითად აეკვიატა პოეტის ლექსი. გაოგნებული ფიქრობდა: ადამიანების გარდა, ალბათ, ყველას აქვს დაძლეული სიკვდილის შიში...

— იამზე ვინ არის?

— იამზე ბიძაჩემის შვილიშვილს რქმევია, ბავშვი მომკვდარა. რატომ კითხულობ?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იამზე ხელმეორედ მოუკლავს ბაბუამისს, ირმის სხეულში ჩასახლებული...

ინკარნაცია.

— რა?... მამა დაღრეჯით დაეკითხა.

ურწმუნო. დახშული გონების თვალი.

— მისმა ცოდვამ კი ჩვენ გვიწია... დასკვნით თქვა იამ. და იქვე ამბოხდა: ჩვენ რატომ, რატომ!... უკუნეთ დუმილს მწარე კითხვები დაახალა.

გვიან შენიშნა: განძარცული მკაცრი კედლები. დედის პატარა სურათიც კი აღარ ეკიდა. ელდით ჩაფითრდა. სიმწარე უკვე ძალას აცლიდა. მამამ დუმილით აქცია ზურგი. გარეთ გავიდა. საჭირო ძალა მოიკრიფა. დედის გარდერობს მიაშურა. დაკეტილი დახვდა კარები. სიავით გამოგლიჯა. იხილა: კუბოს სიცარიელე. გული ძალუმად შეეკუმშა. მა-მა!!! აღშფოთებით სურდა ეყვირა. ძლივს მოთოკა: აყალყული სუსტი ნერვები. მამის ოთახში გალასლასდა.

დედის სხვადასხვა სურათებით სავსე იყო მამის ოთახი. დედის ბავშვობაც კი აქ ეკიდა; ძვირად ღირებულ ჩარჩოებში გაცოცხლებული. ერთ კედელზე კი ცოლის ღარიბი გარდერობი გამოეფინა. თიხის ლარნაკში ია-იების ყვავილი იდო. და ოთახი სავსე იყო ია-იების ჩუმი სურნელით.

ია ახლა მამას ეძებდა. მამა არ ჩანდა.

ცრემლის გუბე მოჰქონდათ გულით.

რატომ ვართ ასეთი რთული და წინააღმდეგობრივნი, რატომ. რატომ არა ვართ ნათელნი, წრფელნი...

„ნუ მოელით ჭეშმარიტებასა და ნუგეშს ადამიანებისაგან. მე შეგქმენით თქვენ და მხოლოდ მე შემიძლია გითხრათ ვინა ხართ და რანი ხართ თქვენ. მაგრამ თქვენ უკვე აღარა ხართ ის, რაც შესაქმისას იყავით. მე შევქმენი ადამიანი წმინდა, უბინო, სრულყოფილი სინათლით სავსე, გონებით სრული; ღირსი ვყავ ჩემი დიდებისა და სასწაულმოქმედებისა. ადამიანი უშუალოდ ჭვრეტდა მაშინ სიდიადეს შემოქმედისა. მისთვის უცხო იყო ნყვდიადი, რომელიც ასე აბრმავებს, უცხო იყო სიკვდილი, რომელიც ასე აძრწუნებს. მაგრამ მან ვერ გაუძლო ამ სიდიადეს და ცუდმედიდი გახდა. მან მოისურვა თავად გამხდარიყო თავისი თავის ცენტრი და არად ჩაეგდო ჩემი შემწეობა. ის განმიდგა და, რაკი ისურვა თავის თავში ეპოვა საკუთარი ბედნიერება, მე გავწირე და თავისი თავის ანაბარა მივატოვე; მე ავუმბოხე ქმნილებები, რომლებიც მანამდე ემონებოდნენ, და მტრებად ვუქციე ისინი; ასე რომ: კაცი მხეცს დაემგავნა და იმდენად დამცილდა მე, რომ ბეუტაე სანთლადღა შემორჩა მოგონება შემოქმედისა: ის ჩაქრა, ჩაიშრიტა მისი სულიერი ნათელი და გონების სხივცისკროვნება. გონებისაგან თავდახსნილმა და ხშირად გ[illegible] ვე მბრძანებელმა გრძნობამ, შვებისა[illegible] ცხრომის ძებნად მიაქცია იგი. ყველაფერი თრგუნავს, ყველაფერი აძრწუნებს, ყველაფერი აცდუნებს მას; ყველაფერი ან თავისი ძალმოსილებით სრავს, ან თავისი ხიბლით ჩხიბავს, ხოლო ესაა უსასტიკესი ულელი და უმძიმესი ტვირთი უსიხარულო მონობისა... ის მთლად შთაინთქა სიმწარეში, მთლიანად ჩამყაყდა სიბრმავესა და სიბილწეში, რომელიც მის მეორე ბუნებად იქცა..."

იამ თავს დასჯით შეუძახა:

ი ღ ო ღ ე!

სასაფლაოსკენ მიდიოდა ორკეცი დარდით: როგორ ხარ, დედა, მოუნანიებელი, როგორ...

სამშობიარო სახლიდან ახალშობილთა ღნავილი ისმოდა. და უფროსთა ფარისევლური დაყვავებაც. ფუყე ნუგეში. მთელი შენობა სავსე იყო ამგვარი ხმებით. შენობისკენ მიქცეულ სახეს სიბრალული და ბოღმა ურევდა.

ქუჩის გადალმა, კორომებში კოცონი ენთო. ნიავს დამნვარი ქაღალდების ფთილა მოჰქონდა. და ნამწვის სუნი. კოცონის ირგვლივ, ვიღაც კაცი. აღგზნებული მიმოდიოდა. თმა-ნვერ გაბურძგვნილს ღარიბული სამოსი ეცვა. ია იქითკენ გაეშურა. ხნიერი კაცი, ხელებგაშლილი და გაჩაჩხული გადაეღობა. ია შედგა. კოცონს დახედა.

ფულის დასტებს ეკიდა ცეცხლი.

— როგორ, ფულსა სნვავთ?!... გაკვირვებით შესძახა იამ. დაიხარა.

— ხელი არ ახლოთ! მიუგო კაცმა. მუქარით და გადაწყვეტილად.

— კი მაგრამ, როგორ შეიძლება... ასე ქვეყანას გაალატაკებთ.

— სამაგიეროდ სულიერად გავამდიდრებ.

— სცდებით...

— არ ვცდები. ურყევი რწმენით შეეპასუხა.

— ამიტომ აგროვებდით?...

— ამისთვის! ყინით და ჯიბრით დაუდასტურა.

— თქვენი გახლავთ ის საცხოვრისი?... იამ ქოხმახზე მიუთითა.

— ჰო, ჩემია! კმაყოფილებით მიუგო კაცმა, შენ კი აქეთ საიდან გაჩნდი? ასეთი თვალსევდიანი ანგელოზი... ა, ლამაზო?...

— სასაფლაოზე მივდიოდი...

— შეყვარებულის? თუ ქმრის?... დიდი მადლია საფლავების მონახულება...

— ჩააქრეთ. მეტს ნუღარ დაწვავთ... მაინც რამდენი გიშოვნიათ!...

— მთელი ცხოვრება ვაგროვებდი... რაც ფული ბრუნავს დედამიწაზე (დედამიწას ფული აბრუნებს, ხა, ხა, ხა... ცუდად აბრუნებს!) ერთიანად რომ მომეხვეტა, კაცობრიობის მადლს მოვისხამდი. უულმა გარყვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანნი, გაათახსირა. მცირედით მაინც ვიხ-სნი გულხარბ ადამიანებს საზარელი ცოდვებისაგან. ამიტომ ვწვავ ამ ხელისა და სულის ჭუჭყს!

— ფიზიკურ ჭუჭყში მოექცევიან, სიღატაკის საზიზღარ ჭუჭყში...

— სამაგიეროდ, სულიერად ამაღლდებიან!

— სველია?...

— არა, ნესტიანია.

— მიტომაც ინვის ასე მძიმედ... ბოლი თვალს არ გწვავთ?...

კაცმა კოცონს გზნებით დახედა. ლურჯი თვალები კოცონივით უბრიალებდა. შეშლილს ჰგავდა. ალი თანდათან კლებულობდა. იფერფლებოდა ფულის ბულულა. და ნაცრდებოდა. თავგზააბნევით ნამოვიდა. კვლავ სასაფლაოს გზას დაუყვა. გამოჩნდა იგიც: დიდი კარიბჭე. განიერი. შავ-თეთრი ქვები. რკინის ეკვდრები. საცალფეხო მისასვლელები. მიუყვებოდა სევდით და კრძალვით. საფლავებიდან უსიხარულოდ იმზირებოდნენ ყვავილები.

ყველგან და ყველაფერში დამაკლდი. დედა... დაბნეული ვარ...

საფლავზე რაღაც დაცოცავდა. იცნო: საფლავთა ბინადარი. დაბრძანდებოდა უფლებით, მაძღრად. მტრობით აინთო. სიავით სრესდა. საფლავიდან ამოსრიალდა პუნტულა ჭიაკი.

— აავ... ზიზღითა და ძრწოლვით შესწივლა. ისიც გაჭყლიტა.

საფლავზე დარჩა მსუქანი ხორცი. სითხის ნაზავი. ტალახის მასა, თითქოს სხეულზე აეგლისა. სახე შეერყა. საკუთარ გვამის ხრწნა შეიგრძნო. სუნიც ეცა. ტანიდან ხორცის მოგლეჯა სურდა. ბნედა.

ფუახხჰჰჰ...

შეძრული გამორბოდა. ეზიზღებოდა დონდლო სხეული. პაერში ტუალეტების სუნი იდგა. ეს ქრონიკული გულის რევა. სიმყრალე. საზიზღარი ლაფის სახება. ძვლებს დასტიროდა. თეთრს. ქათქათას. რომელიც ხორცის გამოისობით მიწაში უნდა დანთქმულიყო.

ძ ვ ლ ე ბ ი, ჩემი უკვდავი ძვლები. ნმინდა. ნათელი. უძღები ხორცის თვინიერი მაამებელი. ერთადერთი, რაც ჩემგან რჩება აქ. მიწაზე კვლავ დასაბრუნებლად.

სული ჟამი-ჟამ დახედავს საფლავს. რომლის შინა, გრილ ტაროსში, ხორცგაცლილი ივანებს ძვლები.

კოსმიური კავშირი.

მიხვდა. მიხვდა, რისიც ეშინოდათ მოკვდავთ. მიწის. მატლების. მიხვდა, რაც ზარავდათ. შავი მიწის ნოტიო სიღრმე. ხრწნა. ტალახი. ლაფი.

...მიწად იქცევი. ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, რა ვქნა, ია... ხომ უნდა დავამთავრო...

— თავს გაუფრთხილდი!

ძმა მიდიოდა. იამ საკეტი გამოსწია. კარი გამოხსნა. კარის ღრიჭოდან ფურცლების დასტა ჩამოცვივდა. იატაკზე მძიმედ დაეცა. მიმოიფანტა. კრეფდა.

— რა არის?...

— არ ვიცი...

— მე წავალ... ბაჩი ჩქარობდა.

— ნინო და ბავშვები მომიკითხე. კვირას მოვალ. თავს გაუფრთხილდი. შეეშვი რომანტს!

— ეხ... ლიფტში უგუნებოდ შევიდა ბაჩი. ვახტანგი არ გამოჩენილა?... ჰკითხა დას ძმაზე.

— არა, ბაჩო. მას ყველა ვძულვართ.

— ვიცოდეთ მაინც, რატომ...

— ეგ, არც თვითონ ეცოდინება...

— გარეგნობითაც მამას ასლია... მისვლა მინდა და ვერ მივდივარ. თეკლე მენატრება. არ გეწყინოს და ჩვენს ბავშვებში, თეკლე ყველაზე გამორჩეულია. რაღაც უჩვეულოდ ჭკვიანი და დიდივით ფიქრიანი. გარეგნობითაც გამოარჩევ... დედაჩვენის სათნოება აქვს...

— ჰო.. მეც რაღაც განსაკუთრებით მიყვარს. სახე სითბოთ აევსო ბაჩის. ღმერთმა გაზარდოს და... ბრძნულად ფიქრიანს რომ დავინახავ, შიში გამკრავს... ამ კვირას ერთად ვინახულოთ. ნახვამდის.

—ნახვამდის.

ლიფტის კარები მიიხურა: თხელი და ვიწრო. იამ, თვითონაც უგუნებოდ მიხურა კარი. ფურცლების დასტა გაასწორა. ლოჯში შევიდა. სადაც მეტი სინათლე იყო. მწვანე დივანზე მოკალათდა. უცაბედად რაღაც გაახსენდა. დივნიდან წამოიჭრა. და ფანჯარას, ატაცებული აზრით მიაწყდა.

— ბაჩო! ხმის დაძაბვით დაიძახა. ძახილი კვლავ გაიმეორა. ბაჩო შეჩერდა. მოტრიალდა. ადგილიდან ხელით ანიშნა, რა გინდაო. ია გამალებით უქნევდა ხელს, უკან უხმობდა. ბაჩო დაბრუნდა. ია კი, ამასობაში უჯრას ეცა. საიდანაც თავის სარდაფის გასაღები ამოიტაცა. ძმას ლიფტთან დახვდა. ღელვით აუწყა:

— ბაჩო... მე წამალი მაქვს... სიმსივნის... სარდაფში... არ გჯერა... მე კი ნამდვილად მაქვს! სიხარულით თითქმის შეპკივლა.

დის აღგზნებული სახის შემყურე ბაჩი დაიბნა.

— დაწყნარდი... ვედრებით უთხრა.

— მე წამალი ნამდვილად მაქვს!... აქაური არ გეგონოს, ექიმების თუ ექიმბაშების... ის ბებიას მოტანილია... სასუფევლიდან... დედასთვის! ყვიროდა ია: ისტერიულად. სასწარკვეთით, რითაც ძმას მეტად აშფოთებდა. აბნევდა.

— დაწყნარდი... შინ... შევიდეთ.

ია გაკერპდა.

— არავითარი შინ! ჩამო სარდაფში! წამალს წაიღებ! რომელიც იქ ნამდვილად არის. დედას წამალი... შევინახე... თქვა მართლებით და მწვავე ტკივილით. ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი.

ბაჩი იძულებით დაჰყვა დის ნებას. იამ ბოქლომს გასაღები ვეღარ მოარგო. მომეტებული მღელვარებისგან ხელების კანკალს ვერ იკავებდა. გასაღები ძმამ გამოართვა. კარი გააღო. სინათლე ჩართო. შუქი აინთო. ია მოუთმენლად შევარდა შიგ. სარდაფის კუთხეს მიაშურა. ჩაიხარა. პირთამდე ჩაფლულ წამლის ქილას მიწა თითებით შემოაცალა. ორმოდან ქილა დიდი სიფრთხილით ამოარიდა. აიტაცა.

— ეს არის! სასოებით ჩაიკრა გულში. რწმენით მიენდო. გარეთ გაჩქარდა. დღის სინათლეზე გახედა ქილას. შუშის ქილაში, კვლავ ის ანკარა, წითელი სითხე კიანთობდა.

— წაიღე! გზაში ფრთხილად ატარე. და სვი... ვიცი, მოგარჩენს... მოგარჩენს! თვალებიდან მდუღარე ცრემლი გადმოდინდა.

— რატომ ტირიხარ!... ან ასე რატომ ნერვიულობ... ძმამ შეუძახა.

— არ ვიცი... ალბათ მიხარია, რომ გადაგარჩენ... დედაჩვენის სიცოცხლის ფასად... სინანულით და ცრემლით დასძინა.

— არ მესმის, ია...

— ნამლად შეგერგოს... ნახვამდის... გამოგივლი...

ია დღესაც ვერ მიმხვდარიყო, თუ რა ძალამ ათქმევინა დედისთვის „არა". ვერ აეხსნა, მაშინ რატომ განირა დედა. წამალი რატომ დაუმალა. მჩხიბავი შიშით. მისტიურით, აუხსნელი, გაურკვეველით. სასწაულის აცხადების გრძნეული შიშით. განირა დედა. რას იფიქრებდა, თუ ამ განირვას ჰქონდა მიზანი. შვილში ჰპოვებდა გამართლებას.

იამ, იმ დღიდან, ამბავი გულში ღრმად ჩაიმარხა. იგი არავის უამბობდა. არც თავისა დაძმებს. ვერ ამხელდა. ტაბუ. და მდუმარება უღრღნიდა გულს. სინანული უწანწალებდა. ახლა, თითქოს გულზე მოეშვა. დარდი მოეხსნა. მწარე ცრემლებით ცოდვილ სულს ბანდა. გამოისყიდა დანაშაული. კიბეს ტირილით ადიოდა.

ოთახში კი, ვილაცის ხელით დაწერილი წიგნი ელოდა. სახე ცივი წყლით დაიბანა. წყალი დალია. მხურვალე გული გაიგრილა. ლოჯიისაკენ გაემართა. დივანზე დაჯდა. კითხვას შეუდგა:

„გაგიკვირდებათ გლახის ხელით ნაწერი წიგნი, რომელიც ერთმა მოულოდნელმა შემ-

თხვევამ გადამანყვეტინა, რომ დამეწერა... ეს წიგნი ჩემი ცხოვრების წიგნია. ბავშვობაში პატარა-პატარა მოთხრობებს ვწერდი. ავმა ცხოვრებამ ყოველგვარი ნიჭი და სურვილი ჩაკლა ჩემში. ნიჭი უკვდავიაო, ამბობენ, ჭეშმარიტად, თუკი ის ძლიერია, მაგრამ ჩემში მწერლობის ნიჭი, ალბათ სუსტი იყო. ახლა ვცდი კალამს, იქნებ იმ ნიჭმა ცოტათი მაინც გამომჩინოს. ძალიან მინდა გასაგები ენით გადმოგცეთ ჩემი ამბავი, თანმიმდევრულად მოგითხროთ. ძებნას კი ნუ დამიწყებთ, სულ ერთია ვეღარ მიპოვნით და საჭირო არც არის...

ათი წელია ასე კარდაკარ დავეხეტები და პურს ვითხოვ მხოლოდ და ზოგჯერ ძველმან ტანსაცმელს. ადამიანებს, ვისგანაც ვითხოვ, ჩემთვის სახეში ხეირიანად არასოდეს შემოუხედავთ. აღარც მე ვცდილვარ შემეხედა სახეში მათთვის; თავჩახრილი ვთხოვდი. რაც მსურდა მათგან და ისინიც შეკავებული გულარძნილობით გამომიწოდებდნენ, თუკი რამე ემეტებოდათ. მე მათ არ ვეიცხავ, არც ვსაყვედურობ. თავმოყვარეობისა და სიამაყის გამოჩინებული გრძნობა, ჩემი მდგომარეობის კაცს, რატომ უნდა ჰქონდეს;

მე უპატრონოთა სახლში გავიზარდე.

თოთხმეტი წლისამაც არ ვიცოდი, როგორ მოვხვდი იქ და ვინ იყვნენ ჩემი მშობლები, რადგან მათ ჩემთვის არასოდეს მოუკითხავთ, თუმცა, აღმზრდელები, წლიდან წლამდე მაიმედებდნენ, რომ ისინი აუცილებლად მოვიდოდნენ და შინ წამიყვანდნენ. მე კი, თუმცა არ ვიცოდი, როგორი იყო ეს „შინ", მაგრამ მაინც ფრთიანი ოცნებითა და ბავშვის ყოველის მიმტევებელი ლოდინით ველოდი... ხშირად ავადმყოფობდი. „ავადმყოფი ბავშვია", მესმოდა მუდამ ჩემზე და არ ვიცოდი რა იყო ჩემი ავადმყოფობის მიზეზი, თუ რა ერქვა ჩემს დაავადებას. ღვიძლს ვიტკივებდი და საერთო სისუსტე მჭირდა.

ცამეტი წლისამ თავი ვანებე მშობლების ლოდინს და გაგულისებულმა, გულიდან საბოლოო განაჩენით ამოვიგლიჯე მათი ხატება. თამაშსა და წიგნების კითხვას მივეცი თავი. წიგნები ჩვენი მწირი ბიბლიოთეკიდან გამომქონდა. გატაცებით ვკითხულობდი მათ და გონებას ვინვითარებდი. წიგნების კითხვით, მთელი დღეები ისე ვიყავი დაკავებული, რომ მშობლები თითქმის მივიიწყე, მათზე ფიქრი აღარ მახსენდებოდა. მანამ კი ისინი ასეთად წარმომედგინა: დედა ძალიან ლამაზი და მას აუცილებლად, ყველაზე ლამაზი კაბა უნდა სცმოდა, თბილი ხელები უნდა ჰქონოდა, რადგან ჩემს აღმზრდელ-მასწავლებლებს, ყველას ერთნაირად ცივი და ხეშხეშა ხელები ჰქონდათ. ხმაც მკაცრი და ღინზიანი. ყოველ შემთხვევაში, ბავშვს ასე მეჩვენებოდა იმ წუთიდან, რა წუთიდანაც საცნაურად გახდა ჩემთვის, რომ მე არც ერთი [illegible] შვილი არ ვიყავი. რომ აუცილებლად [illegible] ჩემი მშობლები, ჩემი ნამდვილი დედა და მამა და ამ სამხეცეს მომაცილებდნენ, შინ წამიყვანდნენ. მამა კი მთასავით მაღალი და ყველაზე ძლიერი წარმომედგინა. ისეთი ძლიერი, რომ მის გვერდით არავისი და არაფრის მშინებოდა. თვით ცხრათავიანი დევებისა და საშინელი ურჩხულისაც კი, რომლებსაც სიზმრად ხშირად ვხედავდი და რის გამოც, დილით, შიშით დათრგუნული ვიღვიძებდი. ტოლ გოგო-ბიჭებში ვამაყობდი კიდეც ჩემი წარმოსახული მშობლებით: „აი ნახავთ, მოვა ჩემი დედიკო და მამიკო და ნახავთ, თუ ყველაზე ლამაზი დედიკო და ყველაზე ძლიერი მამიკო არ მყავს, თქვენს, ყველას მამიკოებს მოერევა!" ამას, მეტწილად იმ ბავშვებს ვექადნებოდი ვისაც მშობლები აკითხავდნენ; ზოგს დედა, ზოგს მამა (ცალ-ცალკე). იყვნენ ბედნიერებიც, ვისაც ერთ დღეს ორივემ ერთად მოაკითხეს და ბავშვი სამუდამოდ თან წაიყვანეს.

მე ავადმყოფი ბავშვი ვიყავი...

თოთხმეტი წლისა, ჩემს აღმზრდელებს დაჟინებით ვთხოვდი ეამბნათ ჩემს შესახებ: ვინ ვიყავი, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები და რატომ ვიყავი აქ. მასწავლებლები პროფესიულად შეთხზული ტყუილებით მამშვიდებდნენ, მაიმედებდნენ. მე კი სიმართლის გაგება მსურდა. უკვე შეურაცხმყოფდა უპატრონოს მდგომარეობა, მაღიზიანებდა, თავმოყვარეობას მილახავდა. დარდით დასენილ გულს ეჭვები მიღრღნიდა და ეს ეჭვები მაცოფებდა. ეს გრძნობა იმდენად მძაფრი იყო ჩემში, რომ ერთ დღეს გადავწყვიტე სეიფი გამეტეხა, სადაც ჩვენი ისტორიები იყო საიდუმლოდ ჩაკეტილი და მისი საშუალებით გამეგო ჩემი ამბავი.

სურვილი არავისთვის გამიმხელია.

აღარ მოვყვები აქ იმის აღწერას, თუ 14 წლის ბავშვმა, რა მღელვარებითა და რა საშუალებებით, როგორი ფიზიკური დაძაბვით გავტეხე ღამით ცეცხლგამძლე სეიფი. საბუთებიდან კი თავზარდამცემი ამბავი შევიტყვე: მე, ახალშობილი ბავშვი, ნაგვის ყუთიდან ამოვუყვანივარ ვილაც ქალს, რომელიც ყუთთან ქუჩის ძაღლს მოუყვანია შეძრწუნებული ნკავწკავით. „ნაგვის ყუთში მტირალი ახალშობილი რომ დავინახე, ელდისა და სიბრალულისგან გონი კინაღამ დავკარგე, დავიბენი, გულის ცემა შემისუსტდა, მაგრამ უმალ გავიაზრე, რომ ჩემი გულსუსტობის დრო აღარ იყო. ბავშვი ნაგვიდან ამოვიტაცე, მაგრამ, როგორც კი ხელში ვიგრძენი ჩვილი დაბნეულობამ და სასოწარკვეთილებამ ერთბაშად დამ[illegible]რო. მე სამი შვილის დედა ვიყავი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან ხელმოკლედ და ვიწროდ ვცხოვრობდით. ბავშვი შესაბრალისად ღნაოდა. უეჭველი იყო შიოდა და სციოდა კიდეც. იგი ხომ მთლად შიშველი იყო, დედიშობილა. ძაღლი ატანილი წკავწკავით მივლიდა გარს და ფეხებს მილოკავდა. ვგრძნობდი, მეხვეწებოდა ბავშვისთვის მეპატრონა, არ გადამეგდო. ესღა მოვიფიქრე, ვინმესათვის მომეხმო. ადრიანი დილა იყო და ქუჩაში ხალხი კანტი-კუნტად მიმოდიოდა. ჩემს წრიალზე მაშინვე შეგროვდნენ. გარს შემომეხვივნენ. ხალხმა თანდათანობით იმატა. მილიციელებიც მოვიდნენ..."

მოკლედ. იმ დღიდან, უპატრონოთა სახლში მოვხვედრილვარ. ცნობამ დამმეხა, შხამით დამსერა. შეურაცხყოფისაგან და სიმწრისაგან სულ ერთიანად ვცახცახებდი. ნერვებმა ამაადგდო. მსურდა კბილებით დამელრღნა და დამეგლიჯა ჩემი მშობლები, მეტადრე დედა.

მძიმე სულიერმა ტრამვამ ლოგინს ორი თვით მიმაჯაჭვა. ფსიქიურმა აშლილობამ შერყეული ჯანმრთელობა უფრო მეტად შემირყია. გულითაც დაავადდი, ნერვიული ავადმყოფიც გავხდი. სანაგვედან პარტახტიანი ტიფის ჩხირები ამომყოლია და ფილტვების ანთებაც. სასნაულებით გადავრჩენილვარ. რა გადასარჩენი ვიყავი! მაგრამ, ღმერთს, ჩასახვის მომენტშივე გადაეწყვიტა ჩემი ბედი. უფლის ნებით ხომ უნდა გაჩნდეს ამ ქვეყნად გლახაც... ტიფმა ღვიძლი სამუდამოდ დამიავადა.

ამ საშინელი ამბის გაგებამ კიდევ უფრო გამიცხოველა სურვილი, გამეგო ვინ იყო დედაჩემი. აღმზრდელებმა მის შესახებ არაფერი იცოდნენ. ერთადერთი შესაძლებლობაღა მქონდა, უნდა მომეძებნა ის ქალბატონი, რომელმაც ძაღლის საშუალებით აღმომაჩინა. მისგან კი უნდა დამეზუსტებინა ადგილი ჩემი პოვნისა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემი დედა იმ ადგილის ახლო ბინადარი უნდა ყოფილიყო, თორემ იგი, ტიტველ ბავშვს, ამ განზრახვით შორს ვერ წამიყვანდა. ტიტველი კი, ალბათ იმიტომ გამომიყვანა, რომ სასიკვდილოდ გამიმეტა...

თექვსმეტი წლისამ დავტოვე უპატრონოთა სახლი და ქარხანაში დავიწყე მუშაობა. ქარხნის საერთო საცხოვრებელში დავბინავდი. აღარავინ გამაჩნდა და არც ვინმესთან მეგობრობის სურვილი მქონდა. უფრო სწორად, შეგნებულად ჩავკალი ჩემში ამის სურვილი, რომ საცნაური არავისთვის გამხდარიყო ჩემი წარსული. გულჩათხრობილი და ნერვიული ბიჭი ვიყავი. ადამიანებს უდნობლად ვუყურებდი, მაწამებდა ჩემი წარსული, სულს მიშხამავდა. მიწას დედინაცვლად აღვიქვამდი, რომელზეც გერი სამადლოდ დავაბიჯებდი, ძაღლის მიერ გადარჩენილი.

იმ ქალბატონის ვინაობა და მისამართი ისტორიიდან ამოვიწერე და მისი ძებნა დავიწყე. მიგნება დიდად არ გამჭირვებია. მაგრამ, ბედმა, აქაც გამომდო კვანტი; იგი, ქმრითა და შვილით, სარკინიგზო კატასტროფაში დაღუპულა. მისმა ამბავმაც ადამიანურად მატკინა გული და ჩემმა უიმედოდ შთენილმა მდგომარეობამაც დამამწუხრა. უსაშველოდ პირქუში ღამე ჩამოწვა გზაზე. ეს ერთადერთი იმედის კარიც ამოიგმანა. უფრო მეტად გამიავდა სურვილი მეპოვნა დედაჩემი, მაგრამ ვისთან უნდა დამედგინა მისი ვინაობა...

გადავწყვიტა უბანში გამომეკითხა. მაგრამ როგორ, რა სიტყვებით... მრცხვენოდა ყმაწვილს, უხერხულობის გრძნობა მბოჭავდა.

როგორც იქნა დავძლიე დამთრგუნველი სირცხვილის ზღუდე და შემბოჭველი უხერხულობის გრძნობაც და ორ მოხუც ქალს მოიარებით გავესაუბრე. მესამე პირში მოვუყევი ჩვიდმეტი წლის წინანდელი ამბავი და ვკითხე, თუ ახსოვდათ იგი და დამატებით, თუ შეეძლოთ რაიმე ეთქვათ. ამბავი, მოხუცებმა, მეხსიერების მცირე დაძაბვით გაიხსენეს (რა დაავიწყებდათ დედა-მშობლის გაუგონარ უსულგულობას!). ბავშვის პოვნის ადგილიც მიმითითეს იქვე, პროსპექტთან, მაგრამ ქალის შესახებ სულ არაფერი იცოდნენ. არც ჭორად გვსმენიაო ვინმესზე მსგავსი.

პროსპექტზე კი ნაგვის ყუთი იდგა. რომლის დანახვისთანავე ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს, ვილაცის ხელმა, დანის ცივი პირი გამიტარა გულში. სისუსტე ვიგრძენი და წავბარბაცდი. ქალებმა ხელი შემაშველეს. ძალა მოვიკრიფე და ამღვრეულ მზერით იმ ყუთისაკენ გავეშურე.

— ეს ის არ არის... დამაწია, აშკარად რაღაცას მიხვედრილმა მოხუცმა ცნობით.

რაღა თქმა უნდა, ეს ის „ისტორიული" ყუთი არ იყო. მაგრამ...

შეშლილი მზერით ჩავყურებდი უზარმაზარ ნაგვის ყუთს, რომელიც სავსე იყო ჭრელი ნაგვით. მძულვარებითა და რისხვით ვცახცახებდი. უზარმაზარს ვამბობ, მაგრამ სინამდვილეში, არც თუ ისე დიდი იყო ის ნაგვის ყუთი, მხოლოდ ჩემს თვალებში სჩანდა იგი ისე დიდად, რომ მთელ სამყაროს მოიცავდა. ამოვსებული მყრალი ნაგვით, საიდანაც ამოვიზარდე.

უზარმაზარ ყუთს შურისგებით წავკარი ფეხი. ყუთი მძიმედ, მაგრამ ხმაურით გადავარდა. და აყროლდა ირგვლივ ჰაერი. სულშეგუბული და ზიზღით სავსე გამოვცილდი იქაურობას. კვლავ უმძიმესი გაურკვევლობის გრძნობა მეუფლა. არავითარი იმედი არ სჩანდა დედაჩემის პოვნის, მაგრამ ამქვეყ-

ნად ბოროტებასაც ჰქონია თავისი კანონზომიერება.

მ ხ ი ლ ე ბ ი ს!

დედაჩემი საკუთარმა სინდისმა ამხილა.

ერთ ღრუბლიან დღეს, სამსახურიდან ავტობუსით შინ ვბრუნდებოდი. ჩემს წინ ახალგაზრდა ქალები ისხდნენ და დაბალი ხმით რელიგიურ თემაზე საუბრობდნენ. ეკლესიაში არასოდეს ვყოფილვარ და არც არასდროს აღმძვრია ღვთისადმი ინტერესი. იგი ჩემთვის აღარც ცაში არსებობდა, როგორც იმედი და ამდენად თემამ, არც დამაინტერესა. მოსმენა არც მიფიქრია, რა ზრდილობაა, მაგრამ სიტყვები თავისთავად მესმოდა. ქალებმა, შემდეგ, ვიღაც ქალზე წამოიწყეს ამბის მოყოლა, რამაც, რატომღაც მაშინვე დაიპყრო ჩემი სმენა და ურცხვად მივუგდე ყური. გაავებით მსურდა თითოეული სიტყვა გამეგო. მათი საუბრიდან ირკვეოდა, რომ ვიღაც უცნობ ახალგაზრდა ქალს, აღსარება უთქვამს ვინმე მამაო დავითისათვის, რომ ყმაწვილობის ასაკში, უკანონოდ გაჩენილი შვილი გადაუგდია. ეს ცნობა, ძალზე დაბალი და მორიდებული ხმით აუწყა ერთმა მეორეს. რის გამოც მე უკიდურესად დამჭირდა სმენის დაძაბვა, რომ გამეგო ნათქვამი. რისი მოსმენისთანავეც მკვეთრად შევტოკდი; ამბავი ხომ ძალიან ჰგავდა ჩემი ბავშვობის ისტორიას. მღელვარებამ ერთბაშად ამიტანა და ნერვიულად ავკანკალდი, რაც ქალებს შეუმჩნეველი არ დარჩენია, შემომხედეს. არ ვიცი, როგორ გამოვიყურებოდი. ალბათ გიჟივით დაძაბული სახე და არეული თვალები მქონდა. ქალები შეკრთენ, დანაშაულზე წასწრებულივით აწრიალდნენ. რალაც ავის მოლოდინით აჩქარებით წამოდგნენ და ჩასასვლელად (უფრო სწორად, გასაქცევად) შეემზადნენ. მეც წამოვდექი, მაგრამ ნაბიჯი წინ ვერ ნავდგი. ორივე ლოყა ნერვიულად მიცახცახებდა. და მუხლებიც. თავს შევებრძოლე. ძლივს მოვიპოვე საჭირო ძალა და ქალებს გავედევნე, დაბლა ჩავყევი, წამოვეწიე, გადავუდექი. ვგრძნობდი, ადამიანის ფერი არ მედო. ქალებმა, ჩემს დანახვაზე შიშით შეჰკივლეს და პანიკით აირივნენ. მე მათი დამშვიდების, არც სურვილი მქონდა და არც თავი (თუმცა კი საჭირო იყო), პირდაპირ საქმეზე გადავედი:

— ვინ იყო ის ქალი, ვინც ახსენეთ!... არაადამიანური ხმით ამოვიხრიალე.

ქალები გაშრნენ, გახევდნენ, დანაშაულის მწვავე შეგნებით აწრიალდნენ. სიტყვებს ეძებდნენ, ცრუ სიტყვებს.

— ტყუილი არ მითხრათ, ტ ყ უ ი ლ ი არ!... მუქარით გამოვცარი გათეთრებული კბილბაგიდან. მ ე ყ ო!... რისხვით მოვჭერი. ძალას ვერ ვგრძნობდი და ვერცა სისხლს ჩემს სუსტ ძარღვებში, მაგრამ ვგრძნობდი ბოლს, დედამიწის ოდენას, მკერდში, რომ ვერ მეტეოდა და გამოსკოდმას [illegible] ფრი და ხელი იყო ჩემში სურვილი, რომ ბოლოს და ბოლოს მიმეკვლია ჩემი მშობლებისათვის, რომელსაც თითქოს ახლა ხელშესახებად ახლოს ვგრძნობდი, რომ შეუბრალებლად გამოვლადრავდი ყელს მას, ვინც შეგნებულად ხელს შემიშლიდა ამ სურვილის აღსრულებაში და გულიდან ბოღმის ვულკანსაც ამოვანთხევდი.

— არ ვიცით... ამბის მთხრობელმა უმწეოდ მითხრა.

— ი-ცით! ი ც ი თ და კიდეც მეტყვით, ა ხ ლ ა ვ ე!... კვლავ მუქარით დავიხრიალე და თავს ვერ ვიკავებდი, ხელები მათკენ გამირბოდა, თავს კონტროლს უკვე ვეღარ ვუწევდი; ველურ ძალას ვგრძნობდი გულში და ვერ ვაოკებდი.

— ნამდვილად არ ვიცით... ქალმა კვლავ შესაბრალისად გაიმეორა და ხმაში სასოწარკვეთის ცრემლიც ჩაუდგა. ეს ორი წლის წინათ იყო... იძულებით და შიშით ალაპარაკდა. მამაო დავითთან ყოფილა იგი... ჩვენ სახელი და გვარი არ ვიცით... არც მამაო დავითმა იცის...

ვიგრძენი, სიმართლეს მეუბნებოდა და ახლა იმ მღვდელთან მიყვანა მოვთხოვე. ქალები ყოყმანით და მწუხარ დუმილით გამიძღვნენ ეკლესიისკენ. აშკარად მიხვდნენ, რომ სწორედ მე ვიყავი ის უბედური ბავშვი. აღარაფერი უკითხავთ.

ის ქალები, სიონის ეკლესიის მედავითნენი აღმოჩნდნენ. ვიდრე ეკლესიამდე მივიდოდით, ამ გზაზე მე უკვე საკმაოდ დავმშვიდდი. ალბათ იმედმაც განაპირობა ჩემი დამშვიდება. ეს იყო დაღლას ძალიან ვგრძნობდი, განცდებით დაღლას.

ქალები, ტაძარში, ლოცვის ბუტბუტითა და პირჯვარის გადაწერით შევიდნენ. მე მათ ფეხდაფეხ მივყვებოდი. ურწმუნო გულით პირჯვარი როგორ გარდამესახა! აღარც სანთელი ამინთია. ეკლესიაში, თუმცა პირველად ვიყავი, მაგრამ სანთლის ანთების საჭიროებას მაინც ვგრძნობდი, მაგრამ ძალა არ მეყო, რწმენის ძალა. ხატებსაც თვალი გულგრილად შევავლე და მერე მრევლს დავუწყე თვალიერება, რომლებიც ხატების წინ სანთლებს ანთებდნენ, პირჯვარს ინერდნენ და ლოცულობდნენ. მათ ყურებაში ისე გავერთე, რომ ვეღარ ვიგრძენი, როგორ ჩამისახლდა სულში ის უნეტარესი სიმშვიდე, რომელსაც მუდამ ვნატრობდი და არ მჯეროდა, თუ არსებობდა. ტანჯულ გულში სათნოების უჩვეულო გრძნობა მეუფლა და მამაღლებდა. მწვანე კაბიანი მოძღვარი რომ მომიახლოვდა, უნებურად პირჯვარი გარდავისახე და მონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წებით ჯვარზე ვემთხვიე. მან კი ხელი დამადო თავზე, ლოცვა წარმოთქვა და მერე იქვე, მცირე ტაძარში შემიყვანა, რომლის კედლებზეც, აგრეთვე, ხატები იყო ჩამოკიდული და ხატების წინ შანდლები იდგა.

მოძღვარისათვის ქალებს მოეთხროთ, რაც შემთხვეოდათ და მოძღვარმა გამოკითხვა აღარ დამიწყო. მშვიდი და წრფელი ხმით მომმართა:

—შვილო-ჩემო, აღსარებას თავისი საეკლესიო კანონები გააჩნია; ყოველი მოძღვარი, კაცისა და ღვთის წინაშე მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს აღმსარებლის ვინაობა. და ჩვენ, სახელის გარდა (ესეც ლოცვის დროს მოსახსენებლად გვჭირდება), არც არაფერს ვეკითხებით მას... იყო, მართლაც, ასეთი შემთხვევა ორი წლის წინათ... მოვიდა ახალგაზრდა ქალი და ტრაგიკული სახით აღსარების მოსმენა მთხოვა. სახელი ვკითხე და მორჩილი სმენა მივაპყარი, მაგრამ სიტყვა ვერ დაძრა, ცრემლი ახრჩობდა. მრცხვენიაო ჩემი წარსულის, ვერ მოვყვებიო. მაშინ შევთავაზე დაეწერა, რისი თქმაც სურდა. ასეც მოიქცა... ის ნაწერი, რაღაც ბედისწერად, ლოცვის შემდეგ ლოცვანზე დამრჩენია. ასე უნახავთ მედავითნეებს... უნებურად დავარღვიე (გავეცი) აღსარების საიდუმლოება. ღმერთს პატიება უნდა შევსთხოვო...

ცოდვის აღიარება ცოდვასავით მძიმეა, შვილო. ცოდვის ჩამდენს სირცხვილი ბორკავს, მისი ალი წვავს, რის გამოც უმძიმეს ცოდვის გამხელა. აღსარება კი განწმენდის გზაა, ჭმუნვის ეკლებით დაფენილი. ყველას არ ძალუძს ამ ეკლიან გზაზე შედგომა, შვილო. ამიტომ ბევრი მიდის ამქვეყნიდან მოუნანიებელი. ცოდვის გამხელა იმ ქალსაც ამიტომ გაუჭირდა. დაწერა უფრო გაუადვილდა...

ცოდვებს უნდა ვერიდოთ, შვილო. ძალზე ვერიდოთ... ცოდვები სუსტებს და ურწმუნოებს ეძალებიან, მძლავრობენ მათზე. მხოლოდ ღვთის რწმენით შევძლებთ რომ იგი უკუვაგდოთ. ამისათვის ღმერთს უნდა დავუახლოვდეთ, რომ ღმერთი მუდამ ჩვენში იყოს და შეგვეწიოს...

— რაო, იმ ქალმა, მამაო, რა დაწერა. ვინ ვარო... — მოუთმენლობით ვკითხე ქადაგად დავარდნილ მოძღვარს, როგორც კი ჩავთვალე, რომ მან დამოძღვრა დაამთავრა.

მოძღვარს სახელი არ ახსოვდა. გვარი კი სასწაულებით დამახსოვრებოდა და რაიონიც, საიდანაც ჩამოსული იყო ქალი, რომელსაც მიამიტობით, ზუსტად მიუთითებია სახელიც, გვარიც და სადაურობაც. იგი თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლისა, მატარებელში შეეცდინა ვიღაც მამაკაცს... შემთხვევის შესახებ, სირცხვილით, და შიშით ვერავისთვის გაუმხელია. ნაყოფიც გამოუცდელობით შერჩენია. თვეში ჩამდგარი, მოსამშობიარ[illegible]ლად, ამ ქალაქში ჩამოსულა. უმ[illegible] საამისოდ საგანგებოდ დაქირავებულ ბინაში მარტოს და ის უმძიმესი და უკეთური ცოდვაც მაშინ ჩაუდენია, — ბავშვი გადაუგდია. ტირილით დაუტოვებია ქალაქი და მას შემდეგ აღარც ჩამოსულა. თავისივე რაიონში გათხოვილა. ბედნიერი ვარო, მაგრამ ეს უმძიმესი ცოდვა ბედნიერ ცხოვრებას მიშხამავსო, მძიმე ტვირთად მაწევსო სულზე.. დაუწერია აღსარებაში.

მღვდელს მადლობა შევნირე და წამოვედი. არც მას უკითხავს ჩემთვის რაიმე.

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო. ღმერთმა მოგცეს სიმშვიდე და სულგრძელობა, ღმერთმა გიწინამძღვროს... — დამლოცა და ეკლესიის კარიბჭემდე გამომაცილა. პირჯვარი კიდევ გადამსახა და მირჩია მევლო ეკლესიაში, სიმშვიდეს და ძალას შეგძენსო. ძალა კი რწმენაა, დამმოძღვრა.

დასახელებულ რაიონში იმ ღამესვე გავემგზავრე. მეზიზღებოდა მატარებელი, რადგან თვალწინ, ჩემი ჩასახვის პირუტყვულ ჟინს წარმომიდგენდა. მთელი ღამე არ დამეძინა. რა დამაძინებდა!

იმის მოყოლით აღარ შეგაწყენთ თავს, თუ უსახელოდ იმ ქალის პოვნა როგორ გამიჭირდა; ყველა ქალ-პაპასკირთან საუბარს ამით ვიწყებდი: ორი წლის წინათ, სიონის ეკლესიაში ხომ არ ყოფილხართ აღსარების სათქმელად-მეთქი და სახეში გეშით შევყურებდი, რომ საჭირო ცვლილება შემენიშნა. სამი დღე-ღამის ჯიუტი ძებნის შემდეგ ასეთსაც მივაგენი; იგი ერთი ინტელიგენტი კაცის ცოლი აღმოჩნდა. მათ დიდი, ძველებური სახლი ედგათ. რკინის ჭიშკარი დაუძახებლად შევაღე და ნაგაზიც გამომენთო. თუმცა იგი დაბმული იყო, მაგრამ მაინც შემეშინდა. მეორე სართულის გრძელი, ღია აივნიდან ახალგაზრდა ქალმა გამოიხედა. არ ვეცნე, მაგრამ მასპინძლის წესის თანახმად მაინც გულთბილად გადმომძახა:

— არ შეგეშინდეთ, ძაღლი დაბმულია, შემობრძანდით! — და შესაგებებლად კიბისაკენ დაიძრა.

სწორედ ეს აღმოჩნდა ის ქალი, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი და ასე დავეძებდი. ჩემს გამოსაცდელ შეკითხვაზე ქალს მაშინვე ფიზიკურმა გადაპკრა და დამფრთხალი მზერით მკითხა:

— მერე?...

— რა გქვიათ?

— ლია...

— საქმე მაქვს თქვენთან... ვუთხარი და თვალებში ღრმად შევხედე, რითაც (შევატყვე) მეტად დავაფრთხე. შეპატიჟებას აგვიანებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქმარი სამსახურშია... მაგრამ ბავშვები შინ არიან... მობრძანდით... ქმარსაც დავურეკავ... ამოთქვა მღელვარედ და დაბნეულად.

— მეუღლეს ნუ შეაწუხებთ, მე მალე ნავალ, კატეგორიული ტონით ვუთხარი.

— დედა, ვინ არის?... შემოიხედა პატარა ბიჭმა.

— სტუმარია... შენ გაკვეთილები იმეცადინე!... გაეპასუხა და მღელვარე სახით მე მომიბრუნდა. გული ავს უგრძნობდა უთუოდ ამკარად გაღიზიანებული ხმით მკითხა:

— რაშია საქმე, ვინ ბრძანდებით?!

ისმა ტონმა გული გამიპო. რას ვერჩოდი მან ხომ ჯერ არა იცოდა რა, მაგრამ მაინც პრეტენზიამ იმძლავრა ჩემში და უკვე გული მიგრეხდა ტუჩებს.

— ვერ მიცანით? კარგად დამაკვირდით, იქნება მიცნოთ... გამომწვევად ულაპარაკობდი.

ქალმა საშინელება იგუმანა და მომაკვდავის მეძრული მზერა გამისწორა.

— ვინა ხართ, თქვენ... გულდალეულმა შეკითხვედრა და მეც პასუხი არ დავახანე:

— თქვენი მოძულებული შვილი ვარ.. ვთქვი და ბერვებმა წამომაგდო. დაუნდობლად განვაგრძე: სანაგვეზე გადაგდებული...

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალს სახე შეერყა. მთლად გათეთრებულს უგონოდ დაცდა:

— ცოცხალი ხარ?... და თავი გულზე ჩაეფუვარდა.

მაგიდიდან წყლიანი დოქი ავიტაცე და წყალი სახეზე შევასხი. თვალები ბრუნდად აახილა. მხრებზე ანგარიშმიუცემლად დავქაჩე და შეეყვირე:

— მითხარი ვინ არის ჩემი მამა!

ნან სულმწარედ გაიღიმა. ვგრძნობდი, ძალა არ შესწევდა რაიმეს თქმისა. იგი წარსულში თითქმის უგონოდ იმზირებოდა, თვალგაშტერებით. თხოვნა მუქარით გავუმეორე. ნან ყვეტ-ნაწყვეტად და ძალდატანებით ალაპარაკდა:

— ...დედამ გამაცილა... ქალებს ჩამაბარა... ვაგონში... ისინი... ადრე ჩავიდნენ... ძილბურანში ვიყავი... კარის ხმამ გამაღვიძა... ის დაკინახე... საფეხურზეე დამადგა თვალი... შემოსულმა კარი ჩაკეტა... სანოლზე ღმეჭით ჩაეომიჯდა... შეეკივლე... და გულიც წამიეიდა... გონს რომ მოვედი... ჩემთან იწვა.

ბიზღისა და მრისხანებისგან სულ ერთიანად ვცახცახებდი. კაცის ვინაობა და მისამართი გამოვკითხე. როგორც კი მითხრა, შლეგივით გამოვვარდი. ეზოში კვილისა და დაკვმის ხმა მომწვდა. რაღა შემაბრუნებდა, აღშფოთება გულს მიგლეჯდა.

ამის აღგილსამყოფელამდე ავტობუსით ვიმგზავრე. ქალმა მისი ზ[illegible] არ იცოდა, რაინი დამისახელ[illegible] თითქმის ორი საათი მ[illegible] ლამაზი ქალი გამომეგება და, რაც უფრო მიახლოვდებოდა, მით მეტად თვალსაჩინო ხდებოდა მისი დამატყვევებელი სილამაზე ჩემთვის, ღვთაებრივი სათნოებით განზავებული. მას დაღლილი და ღრმასეელდიანი თვალები ჰქონდა, რაც იდუმალებას ძენდა მის სილამაზეს და კიდევ უფრო მატყვევებდა.

— მობრძანდით, შვილო... ვის ეძებთ... თბილი, წყნარი ხმით მომართა მან, რომელსაც შვილად არც ვერგებოდე; ათი წლით უფროსი თუ იქნებოდა ჩემზე. იგი ფეხმძიმედ იყო. ნინ წამონეული მრგვალი, კოხტა მუცელი კდემას მატებდა მის ფაქიზ ნაკვთებს. ჩემს სიცოცხლეში, არასოდეს მინახავს ასეთი სრულქმნილი სილამაზის ქალი. მე მის სახეს, თქვენს ბინაში მოკვარი თვალი ნამოსვლისას; კედელზე იმ ქალბატონის სურათი ეკიდა...

— მა!... იამ წივილი ვერ დაასრულა, ხმა ჩაუწყდა, გულწასული გადაესვენა. ფურცლები ისევ იატაკზე მიმოიფანტა. პულსი შეუწყდა. როცა ჩაერთო, მოწყვეტით ადგა, ჭიქიდან წყალი მოსვა. ხელის გული დაისველა. შუბლზე დაიდო. ესიამოვნა. დაცრემლილ სახით იატაკზე დაიხარა. ფურცლები წამოკრიფა. ცრაგიკულ სახით განაგრძო კითხვა. გული უთრთოდა.

„ელდით გავშეშდი. ამ რეაქციას ჩემში თქვენ ვერ შეამჩნევდით. თქვენ სამზარეულოში დარჩით ჩემგან განბილებული. რეტდასხმული ნაბიჯს ვერ ვძრავდი. მერე კი, როდესაც გონი დამიბრუნდა გიჟივით გამოვვარდი გარეთ. ჭეშმარიტად გიჟი დღე იყო.

ამ შემთხვევამ გადამანყვეტინა ნიგნის მოწერა თქვენთვის. იქნებ, არც უნდა მომეწერა, არ ამელელვებინეთ, მაგრამ სურვილმა მძლია. მე ბედნიერი ვარ თქვენთან შეხვედრით და მეტს ნულარ ისურვებთ ჩემთვის.

როცა პირველად დაგინახეთ, მაშინვე იმ შორეულ ქალბატონს დაგაკავშირეთ. მაგრამ საიდან შეიძლებოდა პგვანებოდით თქვენ მას? ხმაც მისი გაქვთ, სიობოთი და სიკეთით სავსე...

ის კაცი კი იმ მშვენიერი ქალბატონის მაზლი აღმოჩნდა"...

ეს თვალთაგან შვების ცრემლები გადმოეღვარა. შეუმსუბუქდა ცოდვის ტვირთი. შვების ღიმილი დაეფინა ლამაზ სახეზე. ნაკადულად სდიოდა ცრემლი. შვებაც იყო ამ ცრემლში და უდიდესი მწუხარებაც. კითხვა განაგრძო:

„ქალბატონმა ბეჭზე ალერსით შემახო ხელი და მე გულში აღუწერლად საამო სითბო ჩამეღვარა. მაშინ პირველად ვიგრძენი დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისა და ქალის ხელის უზადო სითბო. ალბათ ეს არის, ასეთია დედის ხელები, ტკბობითა და ნეტარებით გავივლე გულში. სწორედ ასეთად წარმომედგინა. მადლიერებით დავიხარე მის თბილ ხელებზე და გულაჩუყებით ვეამბორე. მან იგრძნო ჩემი მღელვარება და ნაზი ალერსით გამიღიმა.

— ანდრო... შენთანაა ეს ყმაწვილი... მიმართა კაცს, რომელიც კიბეზე არწივისებური მზერით იდგა. აივანზე მისი ცოლ-შვილი გამოლაგდნენ. მე კი, იმ ქალბატონის სიკეთის მადლით მთლად დამავიწყდა, რომ სამტროდ ვიყავი მოსული და მამადწოდებულს რბილად ცნობისმოყვარეობით შევხედე.

მისი თვალების დანახვამლა გამახსენა ჩემი ვიზიტი. მისი თვალები უნდოდ მიმზერდნენ.

— თქვენთან საქმე მაქვს! ხმაგამკაცრებით მივმართე მას.

— შემოდი!... უხეში ხმით შემიპატიჟა. ხმამ გამაცივა.

— გარეთ ვილაპარაკოთ!.. ვუთხარი ოდნავ ნირწამხდარმა და დავიძარი. ეზოს გადავეცდით. შეუყოვნებლად მივდიოდი. იგი უხმოდ, უკმაყოფილოდ მომყვებოდა. ასე ვიარეთ საკმაო ხანი, ვიდრე მყუდრო ადგილას არ განვმარტოვდით. იქ კი მოსხლეტით შემოვტრიალდი და მორკინალივით შევაჩერდი სახეში. მან თვალებით ცინიკურად ამზომ-დამზომა, ცერად გადმომხედა, შემათვალიერა, თითქოს ცდილობდა თავად გამოეცნო ვინ ვიყავი და რა მსურდა მისგან. შეკრული შუბლით შეყურებდი, წარბშეუხრელად. ერთი სიმაღლისანი ვიყავით. მაგრამ იგი დაკუნთული და ძლიერი ჩანდა, უხეში სახის ნაკვთებით. მას ტუჩზემოთ მეჭეჭი ჰქონდა. მეც. და კიდევ რალაცით ვგავდით; თვალების ჭრილით, ჭროღა თვალებით.

— ჰა, არ იტყვი ვინა ხარ და რა გინდა ჩემგან? მოუთმენლად და აგდებით მკითხა.

ტონი მეცეცხლა და წამოვენთე.

— ველარც შენა მცნობ?... შ ვ ი ლ ი ვარ... მ ა ტ ა ნ ე ბ ულ შ ი ჩასახული! არ მელოდი?!...

ცალი წარბი მოულოდნელობისაგან აეზიდა და ღიმილიც გაუკრთა, საზიზღრად დამცინავი. ამის დამნახავს არ მახსოვს, რაკინად შეკრული მუშტი, როგორ მოვიქნიე. იგი ძლიერი დარტყმით ნაბარბაცდა, ის დამცინავი ღიმილი ნამში ნაეშალა და მოულოდნელობით გამობრიყვდა. მე კვლავ ძლიერად დავსცხე სახეში და კიდეც გადაქანდა, მოლზე გაიშხლართა.

— ვინ ხარ, შენი!... დაცემულმა გაბოროტებით. შემომაგინა, რისი შვილი, ჩემთან ვინ ოხერმა მოგაგზავნა, შეშლილი თუ ხარ... გაიძახოდა .და დარტყმებისგან სახეს იცავდა. მკლავებში ძალა მალე დამისუსტდა. ... მაშინვე იგრძნო და კიდეც ისარ... საპასუხო შემომიქნია და დარტყმის ძალით ახლა მე გადაეგბარბაცდი. მან ერთი დარტყმაც წამომანია და მთლად მომათავა, გათიშული ძირს დაეენარცხე. სიმწარემ სული დამისუსხა და გულ-ღვიძლი ამიწვა. ცრემლი მომასკდა, აღმუკლებას ცოტალა მაკლდა. ეს არ იყო ნარუმატებლობითა თუ ყმაწვილკაცური ღირსების შელახვით გამოწვეული ტრაგედია. ეს ტრაგედია სხვა სახის იყო, ჩემთვის მანამდე განუცდელი; ჩემს არსებაში, აღუწერელი მოთქმა-გოდებით კიოდა სისხლი. მე მამის მიერ მოკვეთილი და სიძულვილით მოშორებული ვეგდე მინაზე. იგი კი გამარჯვებულის ღირსების გრძნობით მშორდებოდა. გზად ტანსაცმლიდან მტვერს იფერთხავდა და უკან აღარც იხედებოდა.

ამ უბედურ მდგომარეობას ჩემს ზედმეტობას დამახედა და ცხადზე ცხადად შემგრძნობინა ჩემი საბოლოო დამარცხება. დავმარცხდი, როგორც ადამიანი. მე გაცხოველებული განწირულობით ვკიოდი ჩემში, ვგოდებდი, ცასა და მიწას შევქვითინებდი, წყევლით ვრისხავდი.

დაცემისას ქვაზე კეფა დამირტყამს და სისხლი მდიოდა, თმა გამწეპვიდა, სიმწრით ვეხოჭნიდი მიწას; მე არავის ესურდი, აღარსად იყო ჩემი ადგილი. ეულად და უმწეოდ ვეგდე ტრიალ მინდორზე — მე ზედმეტი ადამიანი. შემთხვევით გავჩნდი, პირუტყვულ ენინთ და პირუტყვივით ვეგდე მინაზე.

მ ე დ ა ვ მ ა რ ც ხ დ ი.

საშინელი სიმწვავით შევიგრძენი ეს და აღარ გამაჩნდა წამოდგომის სურვილი, ჩვარივით ვეგდე. თითქოს სული გაყროდა სხეულს (ცხოველებს ხომ სული არა აქვთ) გაცამტვრებული და გასრესილი ვიყავი და ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთი იყო: ავდგებოდი თუ ამავე მდგომარეობაში დავრჩებოდი. ან კი სად უნდა წავსულიყავი. არსად იყო ჩემი ადგილი. ყველაფერმა აზრი დაკარგა, გული უხალისოდ მიცემდა, ძარღვებშიც დუნედ მდიოდა სისხლი. ცას უკვე ბინდი ეკრა და ცის სიმრუმეც თვალებზე მძიმედ მაწვებოდა...

წერილად გიყვებით და ვგრძნობ, ეღლი თქვენს სუსტ არსებას, მაგრამ მე ხომ დღემდე საშუალება არ მომცემია, ვინმესთან ასე ადამიანურად მელაპარაკა. ვინ მომისმენდა, ვის ვაინტერესებდი. თქვენ კი, დარწმუნებული ვარ, რომ დგაინტერესებთ ჩემი ამბავი და ძეც ამიტომ მოვიწადინე ყველაფერი მეამბნა თქვენთვის. თან, ამბის მოყოლა გულს მიმსუბუქებს ჯოჯოხეთური ტვირთისაგან და ვიწმინდები...

ბინდმა ბურუსში გამახვია, რული მომგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა და ძილმა წამიღო. საკმაო ხანი მძინებოდა. როცა თვალები გავახილე ბადრი მთვარის იდილიური ნათება მადგა. და ასეთივე იდილიური სიწყნარე სუფევდა ირგვლივ, თითქოს უცოდველი და უწყინარი ყოფილიყო წუთისოფელი. თავთან ვიღაც სულიერის სუნთქვა ვიგრძენი და შუბლს ზემოდან, ცოტა არ იყოს გულშემკრთალმა გადავიხედე. ძაღლი იყო, მთლად თეთრი ძაღლი. იგი ჩემს თავთან ნისლივით იჯდა და ჩემს გაღვიძებას ელ[illegible]ა, თითქოს, ჩემი შერხევისთანავე ალ[illegible]ი წკმუტუნით წამოდგა. წრე დამარტყა და წინ დამიდგა. მინიდან მხრების წამოწევა ვცადე, მაგრამ თავი რუმბივით გამხდომოდა, ტანიც გამშეშებოდა. ველარც ფეხები გავანძრიე. ვიფიქრე, მინამ დამცადა-მეთქი (მინას ასე პირველად გავუთამამდი) და დაყოლა ვამჯობინე. მხრები კვლავ მინაზე დავუშვი და იგივე მდგომარეობას დავუბრუნდი. და ვიყავი ასე მანამ, სანამ მინიდან კოდით არ გადმომეცა განძრევის ცოდნა. დაახლოებით წუთნახევარში ყოველგვარი შებოჭილობისაგან გავთავისუფლდი და მომეხსნა ყოველგვარი დაძაბულობაც. თავისუფლად წამოვინიე, მაგრამ ახლა სისუსტისაგან დამეხვა თავბრუ და უკან გადავვარდი. ორი დღის უჭმელი ვიყავი და თან განცდებმაც დამასუსტა. ძაღლმა მაშინვე იგრძნო ჩემი გასაჭირი; გულზე დრუნჩი თანამგრძნობი წკმუტუნით დამადო, მერე პერანგში ჩამავლო კბილები და ამქაჩა. მის ძალას ავყევი და წამოვჯექი.

— ცუ-გო... ცუ-გო... ძაღლს მადლიერმა ფერება დავუწყე, ტანზე ხელი მჭიდროდ მოვხვიე და მივიკარი.

— ცუგო... კვლავ მივმართე და ვიგრძენი ხმა ცრემლმა დამილტო. ცრემლის გუბე გულიდან დაიძრა და თვალებიდან ნაკადად იდინა, ვერ შევაკავე და უკვე ღვარად მდიოდა ცრემლი. მთლად სველი სახე ძაღლის ტანში ჩავრგე და ავქვითინდი. ძაღლს მთელი ტანი უცახცახებდა. ხელის გული თვალებზე და დრუნჩზე დავუსვი. სისველე ვიგრძენი. ტიროდა ძაღლიც. დრუნჩსა და ენას თავზე მისვამდა, მეფერებოდა.

ასე გაშვებით და თავისუფლად არასოდეს მიტირია.

თქვენ განგიცდიათ ტირილით სიამე? იგი ნეტარების დარია.

ვიჯექი მთვარით განათებულ ტრიალ მინდორზე, ძაღლს ჩახუტებული და გაშვებით ვტიროდი მე — ადამიანი და ჩემთან ერთად ტიროდა ძაღლიც.

— ცუგო... წამოდი ჩემთან... არ მიმატოვო... ხომ წამოხვალ?... ვეკითხებოდი და მის თანხმიერ წკმუტუნში სამარადჟამო ერთგულების ფიცსაც ვისმენდი.

გულში იმედი ჩამესახა, რამაც ძალა და სიმტკიცე შემმატა. მხნედ [illegible] მთვარით განათებულ გზას [illegible] საც უნდა დავდგომოდით. ჩვენ მივდიოდით.

ძაღლს ჯულბარსი დავარქვი.

იმ დღიდან ხუთი წელი იქნებოდა გასული. მე და ჯულბარსი ქალაქის ქუჩაში ვსეირნობდით. წინ (ტროტუარის საწინააღმდეგო მხრიდან) ვიღაც ყმაწვილი ვაჟი დაეინებით მოგვცქეროდა. ტანით ჩვენსკენ მომართული, მტრული ბოღმით. მანძილს ზომავდა, ცდილობდა ზუსტად შევეცანი. მეც დავაკვირდი, მაგრამ არ მეცნო და გზის გაგრძელება დავაპირე. მან კი ამ დროს ბრაზიანად გადმოკვეთა პატარა ქუჩა და გადამიდგა. ნერვიულობისაგან ნორჩი ყელი აფორაჯებოდა, თრთოდა და თან თვალებით მგლეჯდა. ძაღლმა სიავის სუნი იკრა და წამოიყეფა.

— რა გნებავთ! გაურკვევლად და ბრაზით შევძახე. იგი კი, თითქოს, ჩემს რეაქციას ელოდაო, პასუხად პერანგში მტრულად მწვდა, ძალუმად დამქაჩა და ყმაწვილური ხმით მძულვარედ შემომხივლა:

— მკვლელო! და გააფთრებულმა, ამ შეძახილით, ცემენტის კედელს მიმახალა, მუშტი აღმართა. გაავებული აყეფდა ძაღლი, აღგზნებულ ყმაწვილს ტანზე აახტა და პერანგი ჩამოაფხრიწა. ბიჭმა ძაღლი ფეხების ქნევით მოიგერია, არ შეეპუა გაავებულს და კვლავ შემომხივლა:

— მკვლე-ლო! თავზე მუშტები დამიშინა.

მე დაბნეული, უმოქმედოდ დავყევი დარტყმებს. ხელებით მხოლოდ სახეს ვიცავდი, მაგრამ ამაოდ, ბიჭი გამეტებით და ძალუმად მირტყამდა.

— საშინელო და ბოროტო მკვლელო! თავზე სიძულვილით დამჩხაოდა და თან წახრჩობას მიპირებდა.

ჩამოჯდომას შევეცადე და მაშინ დავინახე, რომ ძაღლს მისთვის შარვალიც ჩამოეხია. ყეფდა და ყეფდა თავგადაკლული. დარტყმების სიმწარემ გონს მომაგო, თავდაცვის ინსტიქტმა იმძლავრა ჩემში, ბიჭს ხელები დავუკავე და ბრაზიანად გადავუგრიხე და თან შევყვირე:

— ვინა ხარ და რა გინდა ჩემგან! რატომ მეძახი მკვლელს!

— მკვლელი ხარ! დედაჩემის მკვლელი ხარ შენ! იყო პასუხი.

— ვინ დედაშენის... ვინა ხარ, გამაგებინე! მოუთმენლად მოვთხოვე.

— ვერ მიცანი? ცინიკურად ნაისისინა და უმალ განმიმარტა: ლიას შვილი ვარ, შენ რომ მოკალი, რისთვისაც ახლა მე მოგკლავ შენ! ბიჭს თვალებში შურისძიების ცეცხლი აუგიზგიზდა და მკლავებში დევის ძალა ჩაუდგა თითქოს, რკინის ხელები ვიგრძენი ყელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და-გა-ხრჩობ! უსისხლოდ მოგკლავ, როგორც დედაჩემი მოკალი შენ!... აღმითქვამდა და თან უფრო მიჭერდა ხელს. მგუდავდა.

მისი ძალის შესასუსტებლად ტანზე მივეკარი, რითაც ხელებში ძალა დავუსუსტე და უკან მარდად გავხტი.

— ვინ არის ლია! აღშფოთებით შევყეფე მას, რადგან ვერაფრით მოვიგონე ამ სახელის სახიერი ქალი.

— შენ თვითონ ვინა ხარ და რა გინდოდა დედაჩემთან! რატომ მოხვედი იმ შავ დღეს ჩვენთან, რა გინდოდა!

ბიჭის კონტრშემოტევამ მთლად დამაბნია და გამაოგნა. კვლავ ვერაფერს მივხვდი.

— როდის!... იქნებ გეშლები...

— ა რ მეშლები! გიცანი. ხომ გიცანი! ბოროტი ზეიმით აღმოთქვა.

— როდის ვიყავი თქვენთან... მე არავინ არასოდეს მომიკლავს...

— ხუთი წლის წინათ... რა გინდოდა, რას ერჩოდი საწყალ დედაჩემს. რატომ მოგვიკალი იგი, რ ა ტ ო მ!

დაბურული გონება, თითქოს გადამეწმინდა, რაღაცის გახსენებას შევეცადე, მაგრამ რომ არავინ მომიკლავს? არა, ნამდვილად ვილაცაში ვეშლებოდი, ან ურევდა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ? ვკითხე.

— არა! აქ სასწავლად ვარ ჩამოსული, სტუდენტი ვარ, წელს ჩავირიცხე...

— კეთილი, მაგრამ მე თქვენ გეშლებით... ცილისწამებულის სიმწრით შევჩივლე.

— ა-რ მ ე შ ლ ე ბ ი! რა დამავიწყებს შენს ბოროტ სახეს!

ბიჭი ნერვიული და აღგზნებული ხმით, ჩემთვის ამბის გახსენებას შეეცადა. ბოლოს-დაბოლოს საჭიროდ ჩათვალა ასე მოქცეულიყო, რადგან სხვაგვარად ვერაფრით მარწმუნებდა ჩემს დანაშაულში.

იგი დედაჩემის შვილი აღმოჩნდა.

სწორედ ის ყმაწვილი, ოთახში კითხვით რომ შემოიხედა: „დედიკო, ვინ არისო", ეზოში შესულს ფანჯრიდან მიყურებდა, თურმე. ამიტომაც დავამახსოვრდი. ეზოში მომწვდამეთქი დედაჩემის შეკივლებისა და დავარდნის ხმა. უკანასკნელი ყოფილა თურმე. დავარდნილი უსულოდ შექმნილა. ელდით გული გასკდომია.

ამის შემტყობი, დანაშაულის მძიმე შეგნებით მწუხარედ ვდუმდი.

— ვინა ხარ, მითხარი, ვინ?!... იგი პასუხს ითხოვდა ჩემგან.

ტრაგიკული ხმით ვაუწყე:

— დედაშენის შვილი... შენი ძმა...

ამ ცნობამ ყმაწვილი მეტად გააცეცხლა და შეურაცხყო. აღშფოთებით მომახალა:

— სტყუი! დედაჩემს მარტო ჩვენ ვყავდით... დედაჩემი პატიოსანი ქალი იყო! სტყუი, შენ არამზადავ და სთქვი სიმართლე... [illegible] მიგახრჩობ!...

მის თვალებში მართლაც დაძრწოდა ამის სურვილი და სახეზეც ავი ზრახვა დასთარეშობდა. მე ამ ყოფაში მას ვერაფერს შევასმენდი. სიძულვილით გონდაბნელებულს სიკეთისკენ ვერ მოვაბრუნებდი. სიტყვები სულ მთლად უძლური იყო. იგი არაფერს დამიჯერებდა. გარდაცვლილმა კი ვერ მოასწრო ეამბნა მისთვის (ან კი ოდესმე უამბობდა? საეჭვო იყო) და მე, დედამისის მკვლელად შერაცხული. ახლა რაღას დავარწმუნებდი. კაცმა რომ თქვას, ჩემგან, არც იქნებოდა ღირსეული მემხილებინა დედის წარსული. შვილებისათვის მას ტაბუ ედო. შვილს უყვარდა თავისი დედა. მის ხსოვნას პატივს სცემდა, აფასებდა და ამ კლდე-გრძნობას ვერ დავუნგრევდი. შემეცოდა ყმაწვილი კაცი, ასე სასტიკი სიმართლისათვის და ცხადია, დედაც დავინდე...

გარდაცვლილმა თავისი ტრაგიკული განცდები დღიურში გაკეთებული ჩანაწერით გამოხატა, რომელიც, გათხოვებიდან, სამი წლის შემდეგ გაანადგურა.

ჩანაწერი ასეთი ხასიათის იყო:

„თექვსმეტი წლის ვარ და ფეხმძიმედ ვარ. მეშინია სიცოცხლის, ბავშვის. სიკვდილი მინდა და თვითმკვლელობისაც მეშინია. ან არადა სიკვდილში ძევს ჩემი ხსნა და გამოსავალი.

მე ფეხმძიმედ ვარ!!!

რა ვქნა, ვის ვუთხრა, ვის გავუმხილო. რ ო გ ო რ!...

მომკალი, დე-და!

შიში გულს მილევს და გულ-გვამს მიწვამს. სირცხვილის ალი შანთებივით ბოგინობს სულში. კაცები მძულს და მეზიზღება ნერვიულ ზიზღით. ჩემი ქალური უმწეობაც მეზიზღება, რითაც დავიწვი, დავიღუპე.

მიშველე, დედა!!

მაგრამ პირველი შენ მომიკვეთავ, არ მაპატიებ წყეულ სისუსტეს. გაანჩხლებული შემრისხავ და შემაჩვენებ. მამა ჩაქოლვით დამაცხრება. შენც მხარს აუბამ. მეშინია თქვენი, ყველასი და ყველაფრის. საშინელებად წარმომიდგენია ჩემი შვილი და მარტოხელა დედობა...

მე დავიღუპე!

მე ვერ გავუძლებ სოფლისაგან ტალახის სროლას, ჭორს, ბინძურ ქირქილს. თავს არ ვიცოცხლებ! შურს ვიძიებ ჩემს ცხოველ შიშზე, თქვენზეც, ყველაზე. არ შეგიცოდებთ!

თექვსმეტი წლის ვარ და ფეხმძიმედ ვარ. აჰ, ცხოვრება რა საშინელი ყოფილა თურმე! როგორი ურცხვი, როგორი ბილწი. მამის გაცოფების წარმოსახვით მოგვრილი შიში

მაქვესკნელებს. საყვარელ დედის გამეტებული სახეც და წყევლა... აჰ!

ვიცი, ვიცი, რომ არ დამინდობთ და არც არავის შეგებრალებით. არავისგან მოველი შველას. ან კი როგორღა უნდა მიშველოთ. დავიღუპე! რა ერთბაშად გაბინძურდა ყველა გზა-შარა. ვისაც ვუყვარდი ზიზღითა და მძულვარებით აღივსებიან. აჰ, რა ვქნა, დე-და!..."

ჩანაწერი აქ წყდებოდა, რომლის არსებობა ქმარმაც კი არ იცოდა, თუმცა შეცდენის თაობაზე ცოლმა უამბო, არ დაუმალა, მაგრამ ბავშვის გაჩენა ვერ გაუმხილა, არ ეყო ძალა. სამი თვისა მოვიცილეო. ჩანაწერი დედამ იპოვნა. ახალგათხოვილ შვილის უჯრაში. რომლის წაკითხვამ თავზარი დასცა. მეხთატეხამ გაუპო გული. მოულოდნელი იყო ამბავი. „როგორ დამალა... ბავშვი რა უყო..." შეშალა კითხვამ. გიჟად ქცეულმა ძლივს იპოვა გამოსავალი. „ალბათ აბორტით მოიცილა". ოდნავ დაწყნარდა. გარდასული იყო ყოველი. მის შვილს ახლა ბედნიერების ნათელი ადგა და არ ღირდა მძიმე წარსულის შეხსენება. გადაწყვიტა, აღარ ეკითხა.

ბებიას, უპატრონო ბავშვთა სახლებში უჩუმრად ვუძებნივარ და ასეთისთვის, როცა მივუკვლევივარ, ცას წევია. აღმზრდელებისთვის ჩემზე ზრუნვა აღუთქვია, მაგრამ იგი აღარ მოსულა. ალბათ, ვაითუ გახმაურდესო, შვილის გამო გადაიფიქრა. ჩანაწერი კი აღმზრდელებისთვის გადაუცია, რომელიც მათ ისტორიაში შემოუნახავთ.

ვაჟის თვალებში შურისძიების ცეცხლი გიზგიზებდა და მხოლოდ მისი აღსრულებით თუ ჩაქრებოდა იგი მასში. მე მას ვძულდი. როგორც დედამისის მკვლელი, ვინმე უცხო და იგი თავის მხრივ, მართალი იყო. სიყვარულივით წმინდა და მართალი იყო ეს სიძულვილის უკიდეგანოდ შეურიგებელი.

მე ერთადერთი გზა დამრჩენოდა — გავცლოდი მას, მაგრამ როგორ მომეხერხებინა. ეს, არც ისე იოლი იყო. მე გავიქეცი.

ეს იყო მხდლური, მაგრამ ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება იმ წუთებში. დამნაშავესავით გავქცეოდი ჩემზე სამტროდ მომართულ ძმას. ძალების მოკრებით გავრბოდი და ძაღლის გაცეცხლებული ყეფა მესმოდა. ეჭვი არ იყო, იგი გზას ულობავდა ჩემს მდევარს და იყო ორთა სასტიკი ბრძოლა, არც ერთი არ მთმობდა.

ვერ გეტყვით, ჩემმა ჯულბარსმა, თუ როგორ შესძლო გააფთრებული მდევრის შეკავება, მაგრამ როდესაც იგი შინ დაბრუნდა, ეტყობოდა, რომ დიდი ბრძოლა გადახდომოდა; სულ ერთიანად ოფლში გახვეთქული და დაქანცული იყო. ხმატკბილად მივუალერსე, შეხმიანების ძალაც არ ჰქონდა. დაღლილი ტანი ძლივს შემოათრია ჩვენი [illegible] ოთახში და თავის [illegible] მიეგდო. იგი სასტიკად [illegible] ლის არეში. აღარც ვაჟს დაადგებოდა კარგი დღე, ძაღლი კვნესოდა. მას, მუცელთან ერთად, ხერხემალიც უნდა ჰქონოდა მძიმედ დაშავებული, რადგან, როდესაც ტანზე ხელი ფერებით დავადევი, გულის შემძვრელი ხმით შეჰკივლა. უცებ ნერვიულმა სურვილმა წამომიარა, — დავმხობილყავი დედის საფლავზე და მებღავლა. და ამ მძიმე წუთებში ყველაზე მძაფრად მძულდა ის კაცი, რომლის პირუტყვულ ჟინმაც ამოდენა უბედურება შვა.

ჯულბარსი იმ ღამით გარდაიცვალა.

გარდაიცვალა საშინელი ტკივილითა და პირღებინებით. მთელი საათი, პირიდან ყავისფერ სისხლს აღებინებდა და თან სიმწრით იგრიხებოდა. არეული სასოწარკვეთილი დავბორიალობდი ჩვენს ისედაც უჰაერო ოთახში და აღარაფერს ვჩიოდი, ოღონდ ძაღლს ტკივილები მაინც მოხსნოდა. ვერაფერს ვშველოდი და ამით უფრო უსაზღვრო ხდებოდა ჩემი მწუხარება. ძაღლს უკვე ძალა ეცლებოდა და თვალებიდან ცრემლი სდიოდა, სასომიხდილი, ძლივს გასაგონად წკმუტუნებდა.

გარდაიცვალა.

მოგუდული მოთქმით დავტიროდი ჩემს ერთადერთ პატრონსა და მეგობარს, ჩემს სიცოცხლეზე შემოწირულს. დანაშაულის გრძნობა მიფხრეწდა გულს. იგი არ იყო ჩემთვის ცხოველი, იგი ადამიანი იყო ჩემთვის, მთელი თავისი სიკეთითა და ერთგულებით. გლოვაში შემომათენდა. ჯულბარსი ეზოში გავიყვანე და სახელდახელოდ გათხრილ საფლავში ჩავასვენე, ჩემს ერთადერთ ვიწრო ფანჯრის წინ. შემობრუნებულს ისეთი ცარიელი დამხვდა ოთახი და ისე დაცარიელდა ჩემთვის თვით სამყაროც, რომ ერთ წამში ჩემი სხეული ფუღუროდ იქცა. ერთადერთი ჯულბარსი ავსებდა ჩემს მწირ სიცოცხლეს. მე შევინირე იგი და მე მომიკლავს დედაჩემიც. ორი არსების უნებლიე მკვლელად ვიქეცი. გამახსენდა, როგორი ჟინით დავეძებდი დედას, რომ მის წინაშე წარვმდგარიყავ მკვდრეთით აღმდგარ სასტიკ სიმართლედ. თუმცა, ღმერთმა იცოდეს, ამაზე მეტი განზრახვა მე არ მქონია; მე მსურდა, მხოლოდ, ჩემი დედ-მამის აღმოჩენით საკუთარი თავი მეპოვნა. დედის გულმა ვეღარ გაუძლო. რამაც მე მასზე დამაფიქრა. მამა კი, იგი ჩემგან წასული, მჯერა რომ კვლავ ჩაჯდებოდა თავის ცოლ-შვილში და გულიან ხარხარს ასტეხდა: „შვილი... მატარებელში... ხა, ხა, ხა, ხა!..." ყურებში ცხადად ჩამესმოდა მისი ველური ხარხარი და

საკუთარი კაცობის სიძულვილიც მიპყრობდა, — რადგან ესა ვართ მამაკაცები, ვისმა ერთმა ძალადობამაც ამოდენა უბედურება შვა და მე მისი პირდაპირი ნაყოფი, გლახის ხვედრით, უბინაო, მშიერ-მწყურვალი დავწანწალებ ქარიშხლიან ცხოვრების გზაზე.

ძაღლის ყოლა მეტად აღარ მიცდია.

მე მეშინოდა შურისძიების...

თქვენ რომ გენახათ, როგორი ადამიანური (და არა ძაღლური) განცდით უნუხდა ტკივილს ძაღლი და ადამიანურივე სიკვდილით კვდებოდა, — თავშეკავებული კრუსუნითა და მალული ცრემლით (იგი მე მინდობდა) და დროდადრო, როგორ ნაღვლიანად ამომხედავდა... და მისი მზერა იყო მეტყველზე უფრო მეტყველი. არა, ჩემთვის იგი ძაღლი არ იყო. მისი განცდები სიკვდილის ტრაგიზმსაც შეიცავდა და ჩემზე ნუხილსაც.

მე ხომ, სულ მთლად ობლად ვრჩებოდი.

მისი სევდადქმნილი თვალების ფოსოდან ჩამოგრძელებული ცრემლების ღარი თანდათან უფრო ღრმავდებოდა და მუქდებოდა. თეთრი დრუნჩი სულ ერთიანად უთრთოდა და მუცელიც უცახცახებდა. იმ წუთებიდან ჩვენ ერთნაირად გავიწირეთ. თვალწინ დამიდგა იმ ჯალათური ცემის კადრი, წარმოსახვა გამიცხოველდა. თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი განგებისად შეეხო ჩამქრალ ეკრანს და გამინათა: როგორი აღმსდგარი მრისხანებით, გაეშებით და დევური ძალით ესხმოდა ძაღლს ის ციცქნა ბიჭი. კადრი რაღაც კოდური ნიშნით მეორდებოდა. მეორდებოდა და ინსტიქტურად შევბღავლე სიერცეს:

— რას გვერჩი, დე-და!!!

რადგან ვიგრძენი... დავინახე...

როგორც გითხარით, სუსტი ჯანმრთელობის გამო მუშაობა ვერ შევძელი. ბევრს ვკითხულობდი და უმაღლესში ვცადე ბედი. ადვილად მოვხვდი. ყველა საგანი ოთხზე და ხუთზე ჩავაბარე. ცოტა გადავხალისდი. მუყაითი სტუდენტი შევიქმენი, ბეჯითი. ერთი კურსელი შემიყვარდა. შემიყვარდა ისე ძალუმად და თავდავიწყებით, რომ მასზე გული მელეოდა. დავიტანჯე. მით უფრო, რომ ვერ ვუმხელდი. მისი სახლის წინ ვათენებდი. ლექციების დამთავრებისთანავე, ლანდივით ავედევნებოდი. ერთი წლის ტანჯვის შემდეგ, როგორც იქნა, გავუმხილე ჩემი გრძნობები.

— გიყვარვარ, შეენ?! — ის იცინოდა.

ო სისასტიკეე, რამდენი დაცინვა და შეურაცხყოფა გაცხადდა ამ ძვირფას სიცილში, ძვირფას ხმაში, რომელმაც წამშალა, როგორც პიროვნება, გამანადგურა. თითქოს, სიყვარულის უფლება არ მქონდა (და ხომ დავრწმუნდი, რომ არ მქონია). ეს უფლება იმ სიცილით წამართვა მან. გონი დავკარგე. მე არ ვიცი, შეაწუხა თუ არა იგი ჩემმა მდგომარეობამ, მაგრამ როდესაც გონს მოვედი მარტო ვიყავი. ამ გულქვაობამ [illegible] მეტად გამანადგურა. ვიგრძენი რომ [illegible] დავკარგე და კვლავ დავსუსტდი. [illegible] წამსკდა. ცრემლი გულში დავაგუბე და დაწიხლული მოვშორდი მის სახლს, საითკენაც აღარასოდეს გამიხედავს. ლექციებზე სიარულიც ვეღარ შევძელი. მომავალზე გული სრულიად ამიცრუვდა. მერე თავი ავადმყოფობამ შემახსენა და ხელიც დამრია. ხანგრძლივად ვიავადმყოფე. სწავლის ინტერესი დავკარგე და რაც ყველაზე ტრაგიკულია, დავკარგე ქალის სიყვარულიც. ა ღ ა რ გავკადნიერებულვარ, — აღარავის სიყვარული არ გამიბედავს.

ცხოვრებამ, უკვე ძალუმად დამკრა თავისი ტორი და მომათავა. საზიზღრად მოვეშვი. მკვლელის ცოდვიანმა ტვირთმა, სული, მერე და მერე დამიმძიმა. ათასი დარდი და ფიქრი მიღრღნიდა გულს და ცხოვრება, დღითიდღე უფრო აუტანელი ხდებოდა ჩემთვის. საკუთარი ძალების რწმენა დავკარგე.

როცა თავად, ყოველნაირად უბედური და გათელილი ხარ, ყველა გძულს და ყველაფერი გაღიზიანებს. თითქოს ხალხს მიუძღოდა ბრალი ჩემს უბედურებაში (კონკრეტულად ვერ ვიტყვი, რაში, მაგრამ ამას ისე მკვეთრად ვგრძნობდი, როგორც თვით უბედურებას) და აღშფოთების გრძნობა გულში არ მეტეოდა. ვიბოღმებოდი, რადგან არავინ იყო რომ საშველად მომვლინებოდა, არავინ! ამიტომ ხალხიც შემჯავრდა და ცხოვრებაც. და რა თქმა უნდა საკუთარი თავიც შემჯავრდა (ეს — საბოლოოდ). მაღიზიანებდა მავანთა სიცილი, რადგან ხელოვნური მეჩვენებოდა, რადგან არ მჯეროდა, ამ ჯოჯოხეთში, თუ არსებობდა ბედნიერი ადამიანი. ასე ვიცხოვრე. ასე ვცხოვრობ. აუტანელია და გაუსაძლისი ამგვარად ყოფნა, მაგრამ თავს მაინც არ ვიკლავ. ალბათ იფიქრებთ, შიშის გამოო. არა, სიკვდილის არ მეშინია და არც თავი მეცოდება, მაგრამ მაინც არ ვიკლავ, რადგან მაინტერესებს, რით დასრულდება. ბოლომდე მინდა შევსვა სამსალა და მერე, მერე, თუ მოვასწარი, ხარხარით მოვკვდე. ცხოვრებას ასე ვუდგავარ ჯიბრში და ამ გაგულისებულ ჯიბრში, წინასწარ ვიცი, — დავმარცხდები, მაგრამ რა, მერე! ასე დამარცხება უფრო ვაჟკაცურად მიჩანს. სატანურთან ბოლომდე ბრძოლა ჩემს დაკარგულ ღირსებასთან მაზიარებს.

თქვენ გგონიათ მე არ ვცდილვარ, სიმშვიდე შემომეტანა ჩემს სულში, იმედით შემეხედა მომავლისათვის? ბევრჯერაც ვცდილვარ, მაგრამ ამაოდ...

იმ ბედნიერი დღის შემდეგ, როდესაც ფეხი პირველად შევდგი ეკლესიაში (დიახ, იმ დღეს

პირველად და ერთდაერთხელ ვიყავი ბედნიერი, როცა თითქოს მივაკვლიე ჩემს უცნობ მშობლებს. იმ ბედნიერ განწყობაში, მაშინ თავს არ გამოვტყდომივარ. გარეგნულად ჩემს მაშინდელ სწრაფვას მათკენ, შურისძიების გრძნობა წარმართავდა, მაგრამ გულის-გულში სიხარული მიკიაფებდა). სამი წლის განმავლობაში, ეკლესიაში სიარული არ შემიწყვეტია. არც წირვა-ლოცვას დავკლებივარ. ხატებიც შევიძინე და შინ დავიკიდე. ლოცვებიც ვისწავლე და დილა-საღამოს ვლოცულობდი. ფსალმუნებსაც ვამბობდი. იმედით ველოდი საშველს. ვგრძნობდი ცხოვრების უსასტიკეს დაწოლას ჩემზე და მსურდა თავი გადამერჩინა. და ის ტაძარი ხსნის, შველის ტაძრად დავისახე. რწმენას ამიტომ დავებღაუჭე, როგორც ხავსს — განწირული და ვაი, რომ მართლა ხავსის სიმტკიცის აღმონჩდა იგი. ველარც მან მიშველა. სამი წლის განმავლობაში, სასიკეთოდ სულ არაფერი, არაფერი შეცვლილა ჩემში, ტკივილები ოდნავადაც ვერ შემიმსუბუქა, კვლავ ძველებურად, დარტყმაზე დარტყმას მაყენებდა. მან, უამრავჯერ დამახედა საკუთარ არარაობას და ღირსების გრძნობა მომიკლა. დამარწმუნა, რომ ყოველად უუფლებო ადამიანი ვიყავი, არ მქონდა ადამიანურად ცხოვრების არანაირი უფლება. არცა მშობლები, არცა და-ძმა, არც ოჯახი, არც ნათესავი, არც სახლ-კარი, არც რამ ქონება. ღმერთს ჩემთვის არანაირი სიკეთე არ ემეტებოდა. სახელმწიფო კი ღარიბებისთვის არ არსებობს, მგლურია მისი სამართალი და მისი მანქანა ღარიბთ გასრესით ემუქრება.

მე ვიცი, რომ, ჩემს უბედურებაში, სახელმწიფოსაც უდევს ლომის წილი, მაგრამ თუ მე მხოლოდ ღმერთს ვსაყვედურობ, იმიტომ რომ მან ვერ დამიხსნა მისი მანქანის კბილანებისგან, ვერ მიშველა, რისთვისაც მე მას მივაშურე, მზერა რისთვისაც აღვაპყარ მასზე, ვგრძნობდი, რა რომ ურჩხულთან ბრძოლის ძალა არ მედგა, ვინირებოდი.

რწმენა თანდათან გამინელდა და ბოლოს, ყველაფრით გაწბილებულმა ეკლესიასაც ზურგი ვაქციე. კედლიდან ხატები ჩამოვგლიჯე და ფეხით დავჭეჭყე. დავჭეჭყე იგი, როგორც სიცრუე.

ღმერთს, ან არ ესმოდა ჩემი გულმხურვალე ლოცვები, ან არ ძალედვა სასიკეთოდ შეეცვალა ჩემი ცხოვრება. უკვე მთელი სიცხადით ვგრძნობდი სხვა უხილავი ძალა წარმართავდა მას და ვერაფერს მიშველიდა ღმერთი, რადგან ის ძალა ღმერთზეც და კაცზეც ძლიერი იყო. მე არ ვიცი, სახელდობრ რა ჰქვია მას, ალბათ ბედისწერა, მაგრამ რაც არის, — ჯოჯოხეთური ძალის მქონეა იგი. მისგან ვერაფერით თავს ვერ დაიხსნი, ვერ გაექცევი. საბოლოოდ გამიჯდა რწმენა, რომ საძაგლად ცრუ [illegible] რომ ამ სოფელში ყველა [illegible] მლვდელიც. ეგ კი არა და, სულო ცოდვილო, დავრწმუნდი, რომ ღმერთი უპატიოსნო, გულხარბ და ბოროტ ადამიანებს სწყალობს სწორედ! როგორი გალალებულნი და ბედნიერნი არიან ასეთნი, ჩემისთანა საცოდავ პატიოსნებს კი უბედურება უბედურებაზე ეწევათ.

მამაკაცი ვარ და ვერ მოვყვები წუწუნს, აქამომდე თუ რამდენი მწარე დღეები გამოვიარე (ისედაც საკმაოდ ვინუწუნე და წიგნიც საკმაოდ გრძელი გამომივიდა, რისთვისაც დიდ ბოდიშს ვიხდი); ცხოვრებამ მინაზე მახოხიალა. რისთვის! რა შევცოდე!

მე სასტიკად შეურაცხყოფილი ვარ ამ ცხოვრებით, ღმერთის სამართლით და ალარავის ალარ ვამტყუნებ, ვინაც სინდისზე ხელი აიღო, რომ ცხოვრებას არ დაეჩაგრა. რადგან ამ ქვეყნად სამართალი არ არსებობს!

„დააკაკუნე და გაგეღება", „შესთხოვე და მოგეცემა", ცინიზმი და სიცრუეა! ამ ცხოვრებაში ყველამ ამ რწმენით უნდა იაროს: „მე ვარ საკუთარი თავის მამა". სულ ერთია, არავინ იქნება სხვა.

ეშმაკი ძლიერია და ამაოდ ვუხმობთ ღმერთს.

თუ ის ქალბატონი, ვის სურათსაც თქვენს ოთახში დაკარი თვალი, თქვენი დედაა, მაშინ თქვენ, მამის მხრიდან ბიძაშვილად მერგებით. ვერაფერი საამო და სასიხარულო ცნობაა თქვენთვის და არც მოვითხოვ თქვენგან იმაზე მეტს, რაც გამიკეთეთ — პატივი დამდეთ და ყველასათვის საზარელი გლახა შინ გულწრფელად შემიპატიჟეთ. სიკვდილამდე მადლიერი ვიქნები თქვენი — ასეთი ადამიანური მოპყრობისათვის.

ცხოვრებამ ყველა მაპოვნინა, ყველას შემახვედრა: დედას, მამას, ძმას, ბიცოლას და სათაყვანებელ ბიძაშვილსაც, მაგრამ ყველასთვის უცხო და ზედმეტი აღმოვჩნდი, დაბადებითვე ზედმეტობის დამღით გაჩენილი...

დედის გაუგონარმა ჯალათობამ ხომ განუკურნებელი ფიზიკური და სულიერი ტრამვა მომაყენა, მაგრამ იგი სიძულვილისთვის ვერ გავიმეტე, მიუხედავად იმისა რომ, ჩემი წილი თვით უმცირესი ამაგი და სითბოც არასოდეს მრგებია მისგან. მაინც ვერ შევიძულე. შესაბრალის ქალურ სისუსტით, შიშით, სირცხვილით, ასაკით გამოწვეულ დაბნეულობით და კიდევ ვინ იცის, რაგვარ მიზეზით არ ვცდილობდი მის გამართლებას, მისი სიკვდილის ცნობის შემდეგ. ბოლოს კი მტკიცედ გადავწყვიტე, არასოდეს დამეგმო დედა, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოდეს განმესაჯა მისი ქმედება. ამგვარად ტაბუდ დავისამარე მისი არსება. თითქოს უდედოდ გავჩნდი ამქვეყნად. სიტყვა „დედის" ხსენებასაც ვერიდებოდი, გავურბოდი. აღარც ავად ვახსენებდი და აღარც კარგად. ასეთი მკაცრი განაჩენით ვცხოვრობდი ამ წერილის დაწერამდე. ახლა პირველად ვახსენე „დედა".

დედის სიკვდილის ცნობის მერე, მამის მიმართ შურისძიების გრძნობა გამიჩნდა და იგი დიდხანს აღმაგზნებდა. ვიდრე არ გავიგე, რომ იგი ჩაკვდა, სარკინიგზო კატასტროფაში დაღუპულა. წარმოსახვაში, ვინ იცის, რამდენჯერ დამიმიზნებია მის შუბლში ლულა და ტვინის ბლანტ მასაში, ტყვიის შეღწევის სიამოვნებაც განმიცდია. ასეთი სისხლიანი შურისგების გრძნობა ჩამენერგა მის მიმართ, როცა იგი გავიცანი. გველის ნაკბენივით დამამახსოვრდა ის დღე. იმ დამცირებამ გოდებით მოკლა კაცობა ჩემში. როგორ ტრაგიკულად დამთავრდა ჩემი შეხვედრა დედასთან და როგორი ცინიკური იყო მამასთან. დედა ემსხვერპლა თავის შეცდომას და ამიტომაც მას ყველაფეფერი ვაპატიე. ახლა მთელ მის დანაშაულსაც მამას ვატეხ თავზე რისხვად. მთელი სიცოცხლე დედის საფლავის ნახვას ვნატრობ, რომ დავემხო და ვიქვითინო.

ვინ მაპოვნინებს!

იმ ჩემს ძმას, მაშინ რომ არ ვენახე და დედის მკვლელად რომ არ მიცნობდეს, მივიდოდი, ყველაფერს ნერილად მოვუყვებოდი, ძმად მიმიღებდა და დედის საფლავზეც მიმიყვარდა, მაგრამ ბედმა აქაც მიმხუთლა.

ნეტავ მაშინ არ დავენახე!

ასე აიბურდ-დაიბურდა ჩემს სისხლთაგანთან სავალი გზები. შენთანაც გლახის ყოფით მოვედი და შეგაშინე, შეგარძნუნე. შენაც გიპოვნე და შენც დაგკარგე.

მაშ, ჩემს ასეთ უბედობაში ვის დავდო ბრალი, ვის მოვკითხო, თუ არა ღმერთს. სახელმწიფო სტანურია. თვით კი ჩემთა ბედკრულობაში არ მიდევს ბრალი. ჩასახვიდანვე ძალადობის მსხვერპლი ვიყავი, დაბადებითვე სხვათა ცოდვების გამო დასჯილი. ალბათ დიდია, ჩემს წინაპართა ცოდვები იგი, რომელსაც ვეჭვობ, რომ ჩემი ცხოვრებით გამოვისყიდი.

მინდა გკითხო, ჩემო ღვთაებავ:

შენ არ იტანჯვი?...

შენ ჩემებრ ტანჯვა ღმერთმა გაცილოს. ამიერიდან მამაზეციერს შევევედრები, რომ შენი წილი ცოდვის სასჯელიც მე მომარგუნოს. ოღონდ შენი ფაქიზი სული ნუ შეწუხდება. მინდა მჯეროდეს, რომ შენ მაინც არ შეგხებია ცხოვრების სუსხი და ამ თვითრწმენით მივეცემი თვითდამშვიდებას. შენი სახებით გულგამთბარი შენი გლახაკი ბიძაშვილი. უფრო — ძმა.

გილოცავ".

ია დივნიდან წამოენთო. გარეთ ბალიშ-გულამომჯდარი გადარბოდა ქუჩიდან ქუჩას. შეძრული სახით დაეძებდა. დიდი წადილით. სახელიც კი არ იცოდა მისი, რომ დაეძახა.

ხალხმრავალი ქუჩებისკენ აიღო გეზი. შენელებული ნაბიჯებით მიმოდიოდა. მზერას ძაბავდა. გაწბილებული კვლავ გარბოდა. დაღლას ვერ გრძნობდა. გაფაციცებით დაეძებდა. იქნებ ეპოვნა. სადმე მიესწრო. ეძებდა: მხურვალე გულით. წრფელი სურვილით. სისხლი ყივილით მიაჩქარებდა.

დაქანცული მოლასლასებდა. ნალისებური ნაოჭით შუბლზე. რომელიც კანში ღრმად ჩაჭროდა. ხშირ წამწამებზე ცრემლი ეკიდა. მოუყვებოდა ეკლიან აღმართს: გაწბილებული. თმენით, კვლავ თმენით.

შედგა დაღლილი. თავი აიღო. რაღაც შორეულს უწვდინა მზერა. ამეტყველდა:

ე-ჰეეე —

შენ, არც თუ ისე შორეულო — XXI-ე საუკუნევ!

გეხმიანები ამ საუკუნის ცოდვილი შვილი. გელოდები სირცხვილით, შიშით. შენამდე სულ ცამეტი წლის გზა-სავალია (კვლავ ცამეტის მჩხიბავი რიცხვი). ეჭვით გავყურებ უდიადეს შენს გზა-შარას.

მოხვალ? დადგები?

დაბურულია გადასახედი. მე მაინც გელი.

გ ე ლ ი...

. . .

ძმასთან წასვლას ეშურებოდა. დღეს ანალიზის პასუხები უნდა შეეტყო. რა შედეგები გამოიღო თვითმკურნალობამ. უხილავის მადლიან ხელით ბოძებულმა უცხო წამალმა.

თვე სრულდებოდა, ბაჩი რაც იმ წამალს სვამდა. ექიმებს რომ ვერ დაედგინათ შემადგენლობა. სვამდა რწმენით და რისკიანად. მოურჩენელი ავადმყოფობით განწირული ჯიუტად სვამდა. სულ ერთი იყო, რით მოკვდებოდა: წამლით თუ სენით. სვამდა: უმეტეს რწმენით. შთაგონებით: ავად არ იყო. ახალისებდა წამლის გემო, რაღაც ტკბილ-მჟავე, სასიამოვნო. ყოველ ყლუპზე თითო მკვდარ უჯრედს უცოცხლებდა და ყრუ ტკივილებს უამებდა. უახლდებოდა სნეული ფილტვი. ჯადოსნურ წამლის ჯადოძალა; უკვე სუნთქვა აღარ უჭირდა. გათავისუფლდა.

მხნედ და ღაღად მოაბიჯებდა. ამა ქვეყანას თითქოს ხელახლა მოვლენილი. აფრიალებდა ექიმის დასკვნას: ალაგმულია დაავადების საშიში კერა. ჯანმრთელია.

. . .

გაიღვიძა, კვლავ აღარ იწვა ლოგინში ცო-

ლი. თითქოს საგანგებოდ აღვიძებდა უხილავი. სწორედ მაშინ, როცა გაპარვას შეძლებდა ცოლი. ასე უგრძნობლად რა აძინებდა! ბრაზობდა თავზე. ან ცოლი სად მიიპარებოდა. რად? რა ხდებოდა მის თავს. მიხვედრას ლამობდა. ბრაზმორეული. ნერვიული ლოდინით ელოდა ცოლს. ძალის-ძალ თვალებდახუჭული. ოთახში ბნელოდა. ელოდა: კბილების ღრჭენით. განბილებული. შეურაცხყოფილი. ეჭვებით გულდასენილი. ნერვიულად იცვლიდა გვერდს. წრიალებდა. ნერვებსაყოლილი. გამოფხიზლდა, დაუფრთხა ძილი. ანი რაღა დააძინებდა!

მოვიდა ცოლი. კარი სიფრთხილით შემოაღო. ფეხაკრეფით შემოიპარა. საწოლთან შეკავებული ქოშინით შედგა. ქმარს დახედა. ხალათი ფრთხილად განიძარცვა. მოიხარა, ლოგინში შეწვა. სიმშვიდეს ეძლეოდა. იმედით, რომ კვლავ ღრმა ძილით ეძინა ქმარს. ვერაფერს შეიტყობდა.

კაცი რისხვას ძლივს იოკებდა. ბრაზს იშთობდა. გულში გათოკა ქვემეხივით სიტყვა: „სად იყავი!" ბოლმიანი ქადილით: „ხვალ ვიფხიზლებ და ავედევნები, აუცილებლად ავედევნები!" ფაქტზე წასწრება სჯობდა. თორემ, რადგან მიიპარება, ტყუილსაც იტყვის. იტყვის. ამიტომ ახლა არაფერს კითხავს. და არც არაფერს აგრძნობინებს. კვლავ მოითმენს: ხ ვ ა ლ ა მ დ ე. ხვალ ღამ კი უკვე აუცილებლად ავედევნება. და მაშინ, მაა შ ი ნ... ნერვიულ ცახცახს ძლივს იოკებდა. ხვალის სულსწრაფი მოლოდინით.

თავთან ჭიდილში დაათენდა. დაღლილის ძილით ეძინა ცოლს. კმაყოფილი და უშფოთველი. ორი წლის შეუღლებულები იყვნენ. შვილი არ ჰყავდათ. არ მეყოლებაო, იმედი გადაუწურა ქმარს. გულდაკოდილი შეიქმნა ქმარი, დაღონდა. იმედის კარი დაიხურა. სხვივი ერთბაშად გაილია. მიზეზი არ უკითხავს. რა აზრი ჰქონდა, რა მნიშვნელობა. ქალი მზრუნველი, მოსიყვარულე და მშრომელი იყო. საყვედური არ ეგებოდა. გვერდიგვერდ იწვნენ. ცოლს გაეღვიძა. ქმარს გამოხედა. რომელიც თავს იმძინარებდა. ქალი ადგა. ოჯახში დატრიალდა; ფრინველს საკენკი დაუყარა. საქონელს ქატო მიუტანა. ეზო დაგავა. იატაკი და კიბე მორეცხა. ოთახი დაალაგა. მერე ხელპირი დაიბანა. რძე აადუღა. თიხის კათხით მიართვა ქმარს. კაცმა მდუმარედ გამოართვა. მოკუმულ პირთან მიიტანა. სვამდა. თან ცოლს ქვეშ-ქვეშად თვალს ადევნებდა. ცოლი ზრუნვით და ერთგულად საქმიანობდა. „სად მიდის?..." მაინც იძვროდა ეჭვი. ფუთფუთებდა. ცოლმა ცხელი ხაჭაპურიც შემოიტანა. დაჭრა. ავარდა მსუყე ოხშივარი. კაცმა ხარბად ჩაავლო კბილი. „გემრიელი ხელი აქვს..."

გარეთ მეზობლის წიოკი ატყდა. კაცს ლახვარივით მოხვდა ხმა გულზე. ასე არასდროს შეუკრთია. წიოკის ხმას, ამ [illegible] თითქმის მიჩვეულს. მოხრ[illegible] შდა. ფიქრს გზა არ მისცა. საბანი გადაიშვლიპა და საწოლიდან გადაალაჯა. ტანსაცმელს დასწვდა. გარეთ გავარდა.

მინადორა წიოკობდა. მასაც ცხვარი დაკარგვოდა. ყოველ ღამე იკარგებოდა. ძვლებს პოულობდნენ. ბუჩქებში დაყრილს. შეიქმნებოდა შეცხადება და წიოკობა. დილის ზარი. ქურდებს წყევლიდნენ. აჩვენებდნენ. მამაკაცები იგინებოდნენ. იმუქრებოდნენ.

გადაწყვიტეს, რიგ-რიგობით ემორიგევათ. მთელი თვე იმორიგევეს. არც ერთი ცხვარი არ დაკარგვიათ. აღარ მიიპარებოდა ცოლიც. სიმშვიდემ დაისადგურა ფარაშიც და ოჯახებშიც. დამშვიდდა ქმარიც ეჭვებგანქარვებული. ზოგჯერ მაინც დაჩხვლეტდა ეჭვი და წამიერად მოწამლავდა. უმალ უკუაგდებდა. მოისვრიდა, მოიშორებდა, როგორც შხამიან ეკალს.

ყარაულობა მობეზრდათ. ძნელი იყო. არ ჩანდა ქურდი. მგელიც არ ჩანდა. მგელს არც ელოდნენ. ოცი წელია არ ენახათ სოფელში იგი. რაც ტყე გაჩეხეს. ტყე კი, ყოველ წელს, თითქმის ჰექტრობით იჩეხებოდა: შეშისთვის. სახლის მშენებლობისთვის. სამეურნეო ნაგებობისთვის. სხვა ცხოველებიც გადაშენდა: გარეული ღორი და დათვი. არ ანუხებდათ ცხოველის შიში. ყარაულობა შეწყვიტეს. უჭირდათ: ძილთან და ღამეულ შიშთან ცალ-ცალკე ბრძოლა. დღისით საქმისთვის აღარ ვარგოდნენ. საქმე კი დიდძალი ჰქონდათ: ბაღი. ბოსტანი, სათიბი. სათოხნ-საბარი. სამარგლავი. ველ-მინდვრებზე დაღამებამდის მუშაობდნენ. შეშას და სენაჟს იმარაგებდნენ. გრძელი ზამთრისთვის. ზამთარი კი ხანგრძლივი და მკაცრი იცოდა. მეწყერიან-ზვავებიანი. უცაბედად მომსკდარი ზვავით სახლები თავზე ენგრეოდათ. იღუპებოდნენ. მაინც უყვარდათ ზვიადი მთები, ვერ ელეოდნენ. რისკიანი ცხოვრების ხიბლი. უმკაცრეს ზამთარს ვატკაცურად უმკლავდებოდნენ. წლეულს მთიელნი, რაღაც სასტიკ ზამთარს ელოდნენ და ერთთავად დაზაფრულნი გაიძახოდნენ: „წელს თუ გადავრჩით..." ცუდ სიზმრებს ხედავდნენ. მერე ერთმანეთს უამბობდნენ. კაცის ცოლმაც ნახა სიზმარი: ირგვლივ საზარი სითეთრე იდგა. თეთრი იყო ცაცა და მიწაც. თოვლის ბომბები ცვივოდა ციდან. ზათქით. გრუხუნით. ანგრევდა მიწას. იყო კივილი და ზვავთა ტეხა. სოფელ-სოფელ დაშლიგინობდა თეთრი სიკვდილი. შეშინებულს გამოეღვიძა. ქმარს უამბო. მეზობლებსაც. მათაც ენახათ: ღვარცოფი ნთქავდა სახლებს, ცხოველებს. მრუმე ტალახის ბლანტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასაში დანთქმულიყო მთელი სოფელი. მღვრიე დღე იდგა.

ქალები ირწოლვით ელოდნენ ზამთარს. შიში ბავშვებსაც გადასდებოდათ და მშობლებს გამუდმებით ეკითხებოდნენ: „დიდი ზამთარი იქნება?... ჩვენც დაგვფარავს და ჩვენს სახლებსაც?... აიმ კოშკებსაც?..."

ძილში ხელი კრეს: უხეშად, მძლავრად. დაფეთებით გაახილა კაცმა თვალები. ბნელში დალანდა: ხალათის ღილებს აჩქარებით იკრავდა ცოლი. კაცი გახევდა. ელდისაგან გული გაეპო. გაუნძრეველად იწვა. და ბედისწერასავით ელოდა, ვიდრე ოთახიდან გავიდოდა ცოლი. ზურგით რომ იდგა და ოთახიდან გასვლას ჩქარობდა. ფეხაკრეფით მივიდა კართან. საწოლისკენ გამოიხედა. ხელების ფრთხილი მოძრაობით გააღო კარი. ფრთხილადვე გაიხურა. კიბეზე ფრთხილი ნაბიჯების ხმა მიწყდა. წამოდგა კაცი. გაკვეშებით შეუდგა ჩაცმას. გარეთ გაიჭრა. ცოლს გამოუდგა. ქალი გარბოდა. ჩანდა სადღაც მიისწრაფვოდა. იგი ტოტებშირ მუხასთან შედგა. ტანისამოსი შემოიძარცვა. დედიშობილა მიწას დაასკდა. იგორავა. და წამოდგა მიწიდან... მგელი. ფარისაკენ დაიძრა.

კაცს ეგონა შევიშალეო. მოჩვენებები დამეწყო. წინ გაბეცებულ-გაოგნებული იყურებოდა. დარწმუნებული, რომ აზროვნებას ვერასოდეს დაიბრუნებდა. წინ ნამდვილად მირბოდა მგელი. ღობეზე აძვრა. ფარაში ჩახტა. ჩაიკარგა. და ინერციით გაიქცა კაციც. ღობეს მიასკდა. გადაიხედა. მგელს მოშორებით ნაეთრია თავისი მსხვერპლი. ნთქავდა. კაცი ღობესთან გონწასული ჩაიკეცა. მერე ცახცახმა აიტანა. სხეულს ველარ იმორჩილებდა.

დანაგრებული მორბოდა მგელი. ღობეს მძიმედ ამოახტა. წინ გაიქცა. მუხის ხეს სამჯერ შემოურბინა. მიწას დაასკდა. იგორავა. და წამოდგა შიშველი ქალი. ჩაცმას შეუდგა.

კაცი გარბოდა თმა-წვერ აშლილი. ქარაშოტი უვლიდა სულში. გონარეულს მიაქროლებდა ირწოლვა და შიში. ცოლისთვის სახლში უნდა მიესწრო. ახლა ეს იყო უმთავრესი. და სასიცოცხლო საკითხიც იყო. მიასწრო. ტანსაცმლიანად შენვა ლოგინში. საბანი თავზე წამოიფარა. კაცს ახრჩობდა შეშლილი ცრემლი. გუდაგდა ზიზღი.

მოვიდა ქალი. ფეხაკრეფით შემოიპარა. გაიხადა. ქმრის გვერდით დაწვა. კაცი სიგიჟის ცეცხლმა შემუსრა. და ეწვოდა მთელი სხეული. უნდა გაეძლო. დილამდე მაინც უნდა გაეძლო. მოეთმინა. ცოლის სუნთქვით იწამლებოდა. სურდა მოეკლა. მისი მგლური სუნთქვა მოეშთო. დაეჩეხა მისი სხეული. [illegible]ულდა და თან ირგუნავდა შიში. ძალ[illegible]ლიდა. მოკუნტული ინვა ლოგინში.

გათენდა. ცოლს კვლავ ეძინა. დაღ[illegible] მთლად მშვიდი ძილით. კაცმა თავისი ტანსაცმელები მოიძია. წამოკრიფა, ერთ ფუ[illegible]ად შეკრა. მძინარე ცოლის საწოლთან შედგა. და დაიქუხა:

— ნავედი!

კაცმა მაღალ მთის ულრან ტყეში დაიდო ბინა. შემოიჭედა ფიცრული ქოხი. ნანადირევით იკვებებოდა. ავიწყდებოდა პურის გემო.

ქალი იას მამიდა იყო. უფროსი. ვისი შეხედვაც და შეხებაც მუდამ ზარავდა.

— ეკეღ-ბი, მამაო...

— რა გკლავს, შვილო-ჩემო, მამცნე. იქნება ლოცვით გიშველო. იქნებ ექიმით.

— ა-რა, მამაო... ეე-ლა-რა-ფრით მი-შველით... ვერ-ცა ლო-ცვით... ვერ-ცა ე-ქი-მით... ვე-წა-მე-ბი...

— რისთვის, შვილო-ჩემო, რა გკლავს...

— სი-ნა-ნული მკ-ლავს, მა-მაო... მა-შა-მებს ძლი-ერ... ცოდ-ვით სი-ნა-ნუ-ლი.

— განა, რა ცოდვა გადევს ყმაწვილს ეეთი. აღიარე და ვილოცებ შენთვის.

— ჩემი ცოდ-ვე-ბი... დ ა ს ა ბ ა მ ი ერ ა, მა-მაო... დამ-ძიმ-და ძლ-ი-ერ... და ვე-ლარ ვუძ-ლებ... მა-ზია-რე... ამი-ს-ა-თვის მოგიხმე, მა-მა-ო...

გაყუჩდა. ჩამკვდარი სახე სუსტი სუნთქვით ცოცხლობდა მხოლოდ. კვლავ გაიღო [illegible]ვის სუსტი ხმა. ძმას მიმართა:

— გი-ორ-გი... გა-დი... გა-რეთ... ნა[illegible]ე... ლეღვი... მამ-ცნე...

გიორგი უმალ გავიდა გარეთ. მალე შემობრუნდა ცნობით:

— გაკვირტულია. ტოტები დარბილებ[illegible]ლი აქვს.

მომაკვდავს სახე გაუნათდა. ლოცვა აღ[illegible]ოთქვა:

— ღ მ ე რ თ ო, მა-ლა-ლო... შე-უნ-[illegible]ე... ყვე-ლას... მიკ-მა-რე... მე...

დაიბარა:

— დამ-წვით...

12 წლის იყო თეკლე.

„მამა, არ მომწონს მე შენი სახელი — ვახტანგი. სპარსულად, თურმე მგლის ტანს ნიშნავს. პირველად, სახელთა განმარტების წიგნში რომ ამოვიკითხე, გულზე, სწორედ მგლის კბილივით გამკრა... არა, რამდენ კეთილშობილ კაცს ჰქვია ვახტანგი. ჩვენი ფედაქალაქის დამაარსებელსაც ხომ ვახტანგი ერქვა... მაგრამ აი, რატომღაც შენზე ცუდად მენიშნა... ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ვ...

გადაირქვი ეგ სახელი, მამა!

„ოუ!“

მაშინ მამამ არაფერი უთხრა. სულ არაფერი.

ახლა ესმოდა შვილის დარდიანი ხმა და გაოგნებული დასცქეროდა ცხედარს.

. . .

აღარავის აღარ ვიგლოვებ. აღარვის სიკვდილს არ მივიღებ უბედურებად. თვით სიცოცხლეა რადგან სიკვდილი.

თვითშენირვით კვდებოდა თეკლე. სუსტი სხეულით თაობათა ცოდვა იტვირთა. და მერე უფალს, უდრტვინველად მიაბარა უმანკოსული. დიად შეგნებით: რომ ... დვა გამოისყიდა.

ღმერთმაც ძღვენივით მიიღო მსხვერპლი.

აღარვის სიკვდილს არ მივიღებ უბედურებად. სიცოცხლე მშვენობს სიკვდილის ნირსახეობებით. ჰო, დიდო ვაჟავ...

ჩემო სიკვდილო,

ჩემთან, ნეტავი, რა სახით მოხვალ???

და რა ჟამს???

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავა

გზა ჭეშმარიტებისაკენ

გეორგიევსკის ტრაქტატი, რუსეთის და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი 1783 წელს რომ მოაწერეს, იყო არა მარტოოდენ დასაბამი ახალი ეტაპისა ამ ქვეყნების ურთიერთობაში, არამედ მთელი შემდგომი ერთობლივი ისტორიის მანძილზე დღემდე ამ ორი ერის ურთიერთ დამოკიდებულებათა უცდომელი მორალური საზომი. სიტყვაზე მტკიცედ მდგომთა მხარის გამმაგრებელი, სიტყვის გამტეხთა მქენჯნელი და მამხილებელი.

მეტი ობიექტურობისათვის საშუროდ მივიჩნიე სამი თვალსაზრისის შეწონასწორება და ამ საკითხთან მიახლება არა მარტოოდენ ქართველი კაცის, არამედ რუსის და მსოფლიო მოქალაქის პოზიციიდანაც. ამისათვის შესაძლებლობისდაგვარად რუსეთის ერის სულსაც უნდა ჩავწვდომოდი, რათა შემეგრძნო და მეაზროვნა როგორც რუს მოქალაქეს და აზრთა იმ მკვიდრ საყრდენზეც დამედო ბინა, მსოფლიოს დიდმა მოაზროვნეებმა რომ მოპმადლეს კაცობრიობას, ან თავად ჩემში რომ განამკვიდრა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ. ჩემთვის იმთავითვე იყო ნათელი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიასთან დაკავშირებით აზრთა ორ კატეგორიას შორის უნდა გამეკვლია გზა ჭეშმარიტებისაკენ. ერთი კატეგორია აზრებისა არსებობდა დაფარულად, შექმნილ ვითარებათა გამო დიდხანს არ ჩნდებოდა მოვლენათა ზედაპირზე, დუღდა და იცდიდა ადამიანთა გულებში, და თუკი ვინმე გაბედავდა სიტყვაში გაცხადებას მათსას, სათქმელს ხშირად ბოლმასაც ამოაყოლებდა, იმ უთქმელობისაგან დაგროვებულ ბოლმას, რომლითაც თითქო ხელის ერთი მოსმით სურდა ჩამოერეცხა იძულებითი დუმილისაგან გამოწვეული შეურაცხყოფის გრძნობა. ეს გაბედული ადამიანები, სინამდვილის მართლაც აღმაშფოთებელი ფაქტებით სამართლიანად აღშფოთებულნი და უკომპრომისობის მორალური განცდით ატატებულნი, ზოგჯერ ვერ ხედავდნენ, ან აღნიშვნის ღირსად არ თვლიდნენ მთელ რიგ დადებით მოვლენებსაც. მეორე სახეობა აზრებისა ოფიციოზის გარემოცვაში ყალიბდებოდა და რამდენადმე დოგმატურ ელფერს ატარებდა. საყოველთაო კეთილდღეობის სურათის წარმოდგენით იგი ცდილობდა მხოლოდ დადებითად წარმოეჩინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია და სინამდვილის უარყოფით მხარეებს ან დუმილით უვლიდა გვერდს, ან ისტორიული გარდუვალობის მარწუხებში აქცევდა. რადგან ხანგრძლივი აღშფოთების სიმწარემ შხამი იცის, მით უმეტეს, თუ გამოსავალს ვერ პოულობს იგი, ხოლო ნიადაგ ხოტბის აღვლენამ გულის ამსუყება, ამიტომ ფრიად ჭირდა შავი ან ფერადი სათვალის უკუგდება ამ ურთიერთობათა განხილვისას.

საქართველოში ისე ვით მრავალს, მეც მისვამს ნაღველი ჩემი ერის ბედ-ილბალზე, მის წარსულსა თუ აწმყოზე ფიქრისას, ჩემთვისაც უცდიათ ფერადი სათვალის მორგება არსებულის მხოლოდ ვარდის ფერებში დასანახვებლად. ამიტომაც არ მიმაჩნია იოლ საქმედ ისტორიკოსის ცივი და ფხიზელი გონებით მიახლება იმგვარ საკითხთან, როგორიცაა გეორგიევსკის ტრაქტატი და მასთან დაკავშირებული მოვლენების მდინარება, მაგრამ სიტყვა ითქვა, და ბარემ საცდელიც იცადოს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო გეორგიევსკის ტრაქტატის ერთობ მყარი და მაღალი მორალური საფუძველი, რაიც ამ ერების ურთიერთობას, მათი შეძმობისა და შეხმატკბილების საქმეს ერთობ კარგ დასაწყისსა და ჩინებულ გაგრძელებას უქადდა. ტრაქტატი

სამოკავშირეოდ იწოდებოდა, რომლის მიხედვითაც ფიზიკურ ძალთა არათანაფარდობის მიუხედავად, საქართველო რუსეთის მოკავშირედ ირაცხებოდა და არა ქვეშევრდომად. ოდნავადაც არ ირღვეოდა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი. ძალაში რჩებოდა უფლებანი ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის, გვირგვინის მირონით კურთხევის, საკუთარი მონეტების მოჭრისა და ავტოკეფალია ეკლესიისა. ქართული ენა სახელმწიფო ენად, ხოლო ქართული მხედრობა ერის საზღვართა და ღირსებათა დამცველად იგულისხმებოდა, სავალდებულოდ ითვლებოდა პარტნიორის მოყვარისა მოყვარედ, ხოლო მტრისა მტრად შერაცხვა, სამხედრო და მორალური ურთიერთდახმარება.

სახელმწიფოთა შორის ამგვარი ხელშეკრულების დადების თარიღი მართლაც რომ ზარზეიმით აღნიშვნის ღირსია, მაგრამ რისი ღირსია ყოველივე ის, ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ რომ მოხდა? რაც შემდეგ მოხდა, ამისათვის უამრავი სამწერლო და საარქივო მასალა ღაღადებს. ამ ამბავს დაწვრილებით განიხილავს აგრეთვე დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავისი კაპიტალური ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის" მე-6 ტომში. მე მგონი მისი, როგორც მეცნიერის კომპეტენტურობასა და ობიექტურობაში ზედმეტია ეჭვის შეტანა. ფაქტი ისაა, რომ კრწანისის ომში, საეჭვო მიზეზების გამო, ჩრდილოეთ კავკასიაში დაბანაკებულმა რუსეთის არმიამ, არ გაუწია მეფე ერკლეს ტრაქტატით გათვალისწინებული სამხედრო დახმარება, თუმც მის სარდლობასთან არაერთგზის აფრინეს მალემსრბოლი ქართველებმა. ხოლო ერეკლეს ვაჟის, გიორგი მეთორმეტის სიკვდილისთანავე, რუსეთის იმპერატორის, პავლე პირველის საიდუმლო ბრძანებით, უკვე საქართველოში დაბანაკებულმა რუსეთის ჯარის სარდლობამ აღარ დაუშვა მისი ჩვილი მემკვიდრის მეფედ კურთხევა, დედოფალი მარიამი ძალმომრეულად გადააყენა ტახტიდან, დაატყვევა ყველა ბატონიშვილი ბაგრატიონის გვარისა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პოტენციური პრეტენდენტი და დედოფალთან ერთად გადააასახლა საცხოვრებლად პეტერბურგში, რის შემდეგაც საქართველოს სამეფო გააუქმა და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ პერიფერიულ პროვინციად აქცია. ამას მოჰყვა რუსული ენის სრული გაბატონება სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფა, ქართული სკოლების დახურვა და დევნა ქართული ენისა ახლადგახსნილ რუსული ტიპის სკოლებში, ძველთუძველესი ქართული ფრესკების გადაღებვა ტაძრებში რუს მღვდელთმსახურთა ბრძანებით, რუს ჩინოვნიკთა და სამხედრო პირთა მზვაობრული თვითნებობა და [illegible] დამაჯერებლად რომ აღნერა თავის ქმნილებაში ალექსანდრე ყაზბეგმა. ასე - რომ, რუსეთის იმპერიამ უგულველპყო ტრაქტატით გათვალისწინებული პირობები და ამით საგრძნობლად შეარყია ქართველების ნდობა.

ასეთ შემთხვევაში ისტორიის ბრალდება მხოლოდ ფაქტების ჩამოთვლას უნდა დაეყრდნოს, მეთოდს, რომელიც არ დაუშვებს წარსულში მომხდარი ამბების მიჩქმალვას, რადგან მხოლოდ ჭკუათმყოფელს შეუძლია მოსთხოვოს ამჟამად მცხოვრებ რუსებს პასუხი იმისათვის, რომ ოდესღაც ჩაუდენიათ მათი ერის საჭეთმპყრობელებს საქართველოს მიმართ. ფაქტების სრულად წარმოჩენა კი საშუროა თუნდაც დღევანდელი რუსების გასაფრთხილებლად და დასანამუსებლად, რათა ამ ერთა ურთიერთდამოკიდებულების პრაქტიკიდან სამუდამოდ ამოიკვეთოს ყველანაირი უსამართლობა.

მაშ, ზეიმი ზეიმად, სიმართლე კი სიმართლედ!

ერთის შეხედვით მოხდა საკვირველება. ქრისტიანულმა რუსეთმა სამეფოს გაუქმებით, ქართული ენის დევნითა და ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფით ერთმორწმუნე საქართველოს გაუკეთა ისეთი რამ, რაც არ ჩაუდენია თვით სპარსეთსა და თურქეთს, სისხლის წვიმების არაერთგზის დამყენებელს საქართველოში. და ეს ყოველივე კონტაქტის დამყარებისთანავე მოხდა. რას მივაწეროთ ეს ამბავი? — დიდ და მცირერიცხოვან სახელმწიფოებს შორის სხვაგვარი დამოკიდებულების გამორიცხვას, თუ იმჟამად აღორძინებული ზოგადევროპული კოლონიალიზმის თავისებურებას?! უშვებდნენ საქართველოს მეფენი, უპირველეს ყოვლისა კი, ერეკლე მეორე, საქმის ამგვარად შეტრიალების შესაძლებლობას, ოდეს თავგამოდებით ცდილობდნენ [გამუდმებული შემოსევებისაგან სისხლდაწრეტილი ქვეყანა ეხსნათ ერთმორწმუნე ჩრდილოელთა მეშვეობით? ჩემის აზრით, არა, რადგან მათ არ იცოდნენ მათი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის, კოლონიალიზმის და დიპლომატიის ისტორია, არა უწყოდნენ ახალი, დახვეწილი ევროპული მეთოდებისათვის, მათი ორგანიზებულობისა და თანმიმდევრულობისათვის სხვათა თუ ახალ მიწებზე ფეხმოკიდების საქმეში, რაც სავსებით განსხვავდებოდა დროებითი, პერიოდული შემოსევებისა და ხარკის დადების მოძველებული, აზიური მეთოდებისაგან, არა იცოდნენ ასიმილირების იმ უნარისა და მისწრაფებებისათვის, ახალგაზრდა მზარდ ერებს რომ გააჩნდათ. რუსეთი და საქართველო თავიანთ ისტორიულ გზათშესაყარზე, ანუ გე-

ორგიევსკის ტრაქტატზე ხელის მოწერისას ერთმანეთს ერთობ ზერელედ, ან თითქმის არც იცნობდნენ. საქართველოს რომ უძველესი ისტორია და კულტურა გააჩნდა, რომელიც ჯერ კიდევ პრომეთე-ამირანის, ნოეს კიდობანის, არგონავტთა ლაშქრობის მითებიდან და ლეგენდებიდან იღებს სათავეებს, მისი გმირული წარსულის ფურცელებზე რომ ელავდნენ კოდროსზე, ლეონიდეზე, კიროსზე, შილტიადეზე, თემისთოკლეზე, ალექსანდრე მაკედონელზე, კარლოს დიდზე, ალექსანდრე ნეველზე, დიმიტრი დონელზე, გუსტავ ადოლფზე, ვილჰელმ ორანელზე, იან ჟიჟკაზე, პეტრე დიდზე, ლაიოშ კოშუტსა და ტადეუშ კოსტიუშკოზე სიქველითა და ვაჟკაცობით არანაკლებად გამორჩეული სახელები, რუსეთს და საქართველოს რომ ჰყავდათ ერთიდაიგივე ქრისტიანი ნათლია, ანდრია პირველმოციქული, საქართველო სირიასთან, ბიზანტიასა და სომხეთთან რომ ინაწილებდა პიონერობას ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საქმეში, მას რომ ძალზე მდიდარი ჰაგიოგრაფიული, ბრწყინვალე საისტორიო და დიდებული საერო მწერლობა გააჩნდა და პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლი V საუკუნით რომ არის დათარიღებული, ქართული კულტურა რომ იკვეთებოდა უფლისციხის, დავით-გარეჯისა და ვარძიის კლდოვანებში, საქართველოს, იერუსალიმის, სინას, ათონისა და ბულგარეთის მყუდრო სამონასტრო ცხოვრებაში, მას რომ ამშვენებდა დიდებული საეკლესიო არქიტექტურა, ფრესკული და მინიატურული ფერწერა, წარმართული და ქრისტიანული ეპოქების უნიკალური ოქრომჭედლობა, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში საკუთარი სანოტო სისტემის საფუძველზე შექმნილი საუცხოო მრავალხმიანი საგალობლები, ელინურ ხანაში ფოთისა, ხოლო დავით აღმაშენებლის ეპოქაში გელათისა და იყალთოს აკადემიები, სადაც ბერძნული ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიის უმაღლეს მიღწევებთან ერთად მთელ რიგ მეცნიერებებსაც ეწაფებოდნენ, კანტიკუნტად, ან სულაც არ იცოდნენ არათუ იმჟამინდელი რუსეთის მმართველმა წრეებმა, არამედ თვით პუშკინმა, ლერმონტოვმა, გრიბოედოვმა, ტოლსტოიმ, კავკასიაში გადმოსახლებულმა ცნობილმა დეკაბრისტებმა, სხვათა და სხვათა. მათზე და მათ შემოქმედებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა კავკასიონის ზვიადი მწვერვალები. ისინი აქ პოულობდნენ ახალ თემებს, იმუხტებოდნენ მძლავრი შემოქმედებითი იმპულსებით, ექცეოდნენ უჩვეულო პოეტური ინსპირაციის არეში. საქართველოს სამხედრო გზას შემთხვევით როდი უნოდეს რუსული ლიტერატურის ისტორიის გზა.

9. „მნათობი", № 2.

მაგრამ მაინც საკითხავია: იყო იმჟამად საქართველოს გავლენა რუს მწერლებზე სრული და ამომწურავი, თუ მხოლოდ ნაწილობრივი და ცალმხრივი?

მწერალთა და ხელოვანთა შემოქმედებაზე სამი რამ ახდენს ყველაზე დიდსა და ცხოველმყოფელ ზემოქმედებას: მძლავრი ცხოვრებისეული კატასტროფებისა და ხიფათების განცდა, — სიკვდილისათვის თვალის გასწორებას, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ცხოვრებას რომ ასწავლის მათ, კულტურისმიერი და ბუნებისმიერი ფენომენი. მარათონისა და სალამინის ბრძოლებში მონაწილეობის გარეშე არ იქნებოდნენ დიდი ბერძენი დრამატურგები, დოსტოევსკის შემოქმედებაც ბევრს დაჰკარგავდა, მას რომ სიკვდილმისჯილის, ხოლო შემდეგ კატორღელის მძიმე ხვედრი არ განეცადა. არც სერვანტესი იქნებოდა თურქთა, არც გურამიშვილი ლეკთა და მაგდერბურგის ტყვეობის, არც გამსახურდია სოლოვკების, და არც დანტე ბეატრიჩეს სიკვდილით გამოწვეული მძიმე განცდისა და ხანგრძლივი ექსორიის, და არც სხვანი და სხვანი განსაცდელთა, ციხეთა, ექსორიათა, ილუზიების მსხვრევათა თუ საატრფოთა უდროოდ დაკარგვის გარეშე. რაც შეეხება კულტურისმიერ ფენომენს, საკმარისია გავიხსენოთ გოეტეს ნათქვამი, რომ იგი ვერ დააღწევდა თავს ანაზდეულ შემოქმედებით კრიზისს, იტალიაში რომ არ ემოგზაურა და მისი გასაოცარი ხელოვნებისა და ბუნების მადლი არ განეცადა. ასევე დიდი ზემოქმედება მოახდინა იტალიამ, პიბლიური სულისა და ანტიური ხელოვნების ამ გასაოცარი სინთეზის ქვეყანამ ბაირონის, სტენდალის, მთელი რიგი გერმანელი და ფრანგი კომპოზიტორების და სხვათა შემოქმედებაზე. ასევე წარმოუდგენელია ჰიოდდერლინისა და ჰერედიას პოეზია ბერძნული კულტურის გარეშე. ბუნებისმიერი ფენომენის ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ზეგავლენის თვალსაჩინო შემთხვევებია შვეიცარიის დიდებული ბუნების ზეგავლენა ბაირონსა და ნიცშეზე, ზღვის სტიქიისა — იმავე ბაირონზე, მთებისა — ვაჟა-ფშაველაზე, ბრეტანისა — მთელ რიგ გამოჩენილ მხატვრებზე და ა. შ. ასე რომ მაგალითები უსასრულობამდე შეიძლება განვავრცოთ. რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ რუს მწერლებს, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ომებში მონაწილეობისას ისინი არ იყვნენ ხიფათს მოკლებულნი, მათ შემოქმედებაზე საქართველოს ზემოქმედება უფრო ბუნებისმიერი იყო. და ეს ზემოქმედება ერთობ ძლიერი და მომნუსხველი აღმოჩნდა. მის ძალას იგი მიხვდება, ვისაც წაუკითხავს ანდრეი ბელის აღმაფრთოვანებელი ესსე დარიალისა და არაგვის ხეობათა გასულიერებული ბუნებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის, რომ ერეკლე მეორეს მარტოოდენ რუსეთის ჯარისათვის როდი გაუხსნია ვახტანგ გორგასლიანის მიერ ოდესღაც მტკიცედ ჩარაზული დარიალის კარიბჭე, არამედ რამდენადმე რუსული ლიტერატურისთვისაც გაუღია აღსავლის კარები. მაგრამ იმჟამად რუს მოღვაწეთათვის საქართველოს ისტორიისა და კულტურის კარიბჭე დახშული აღმოჩნდა, რის გარეშეც შეუძლებელი გახლდათ საფუძვლიანი შეხება იბერიის ერის სულთან. მათ საქართველო იზიდავდა უფრო როგორც აღმოსავლური ეკზოტიკის ქვეყანა, ხიბლავდა ქართველთა სტუმართმოყვარეობა და ქართული სუფრის ეშხი, მამაკაცთა რაინდული სიდარბაისლე და ქალთა კდემამოსილება, გულთბილი დამოკიდებულება და ის გაგება და თავისუფალი ატმოსფერო, რასაც ესოდენ მოკლებულნი იყვნენ თავიანთ სამშობლოში. რა იცოდნენ იმჟამად საქართველოს დიდებულმა სტუმრებმა, რომ ამ ქვეყანას ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ჰყავდა ბუმბერაზი მსოფლიო პოეზიისა, რომელმაც ქართული პოეტური გენიის პრიზმაში აღმოაბრწყინა გასაოცარი სინთეზი ძველინდური, ძველსპარსული, ელინური, ადრექრისტიანული, ქრისტიანულ-თეოლოგიური, შედარებით გვიანაღმოსავლური და ევროპის ქრისტიანულ-რაინდული კულტურებისა. ან ვინ იცოდა მოწინავე რუსთაგან ქართული ენა იმდენად, რომ გაცნობოდა რუსთაველის, გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებას, „ვისრამიანს", „ქართლის ცხოვრებას" და ქართული ჰაგიოგრაფიის ნიმუშებს. ან საიდან მოეტანათ მათი რუსული თარგმანები? რუსები იმხანად გამალებით ეწაფებოდნენ ანტიური და დასავლეთ ევროპული კულტურების მონაპოვარს, გუვერნიორებთან, ლიცეუმებსა და უნივერსიტეტებში სწავლობდნენ ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ბერძნულ და ლათინურ ენებს. ევროპული ცოდნით დატვირთულებს, გასაკვირი არ არის ქედმაღლურადაც რომ გადმოეხედათ იმ ენისა და კულტურისათვის, იმჟამად მათთვის ამოუცნობ სფინქსს რომ წარმოადგენდა. ქართველოლოგიის დარგში რუსეთში გვიან იშვა და ერთობ ზანტად ვითარდებოდა. ასეთ ვითარებაში მე-19 საუკუნის მანძილზე და შემდეგაც ისევ ქართველებმა იპყრეს ხელთ ინიციატივა რუსთათვის ქართული კულტურის გაცნობისა, რისთვისაც დაუღალავად იღვწოდნენ პლატონ იოსელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი, საგინაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, კირიონ საძაგლიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვები. ისინი თარგმნიდნენ რუსულად ქართული ლიტერატურის ძეგლებს აქვეყნებდნენ რუსულად შრომებს ქართული კულტურის შესახებ. დიახ, ისევ ქართველებმა ჩაუყარეს საფუძველი რუსულ ქართველოლოგიას და მათი დაუცხრომელი საქმიანობის შედეგად 1845 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული ფილოლოგიის განყოფილება. ამ ხნის მანძილზე რუსებს არ ჰყოლიათ ეროვნებით რუსი დიდი ქართველოლოგი, გასაკვირია, მაგრამ იმჟამად ევროპელები მეტ ყურადღებას უთმობდნენ ქართველოლოგიის სფეროს. გავიხსენოთ თუნდაც მარი ბროსე, არტურ ლაისტი, ოლივერ და მარჯორი უორდროპები. რუსებს შორის იმჟამად არ მოიძებნებოდა ქართული კულტურის იმგვარი მოამაგე და მეგობარი, და-ძმა უორდროპები რომ იყვნენ. მაშ, რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ინგლისურად უფრო ადრე ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი", სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა", „ვისრამიანი", „გიორგი ბრწყინვალის ძეგლი — დიდება", ილია ჭავჭავაძის „განდეგილი" და ა. შ. „ვეფხისტყაოსნის" ბალმონტისეული რუსული თარგმანი სწორედ უორდროპისეული თარგმანის გაცნობამ განაპირობა. მართალია, ილია ჭავჭავაძემ, ივანე მაჩაბელმა და სხვებმა ითამაშეს დიდი როლი უორდროპების საქართველოთი და ქართული კულტურით დაინტერესებაში, მაგრამ განა ისინი უარს ეტყოდნენ რომელიმე რუსთაგანს იმავე საქმისახურის გაწევაში, თუკი იგი სპეციალურად შეისწავლიდა ქართულ ენას და ანალოგიური საქმიანობისათვის გულწრფელად მოინდომებდა მათთან მეგობრობას? როგორც ჩანს, ამგვარი მეგობრობისათვის ვერ გადაილახა იმჟამად გარკვეული ზღურბლი. რუსეთის ინტელიგენციას ბოლომდე ვერ დაეძლია იმპერიის მოქალაქეთათვის დამახასიათებელი ქედმაღლობა, ხოლო ქართველებს სამართლიანი წყენა გეორგიევსკის ხელშეკრულების დებულებათა უგულვებელყოფისა და მისი შედეგების გამო. ამიტომაც ბევრი რამ დაჰკარგა იმჟამად ქართველოლოგიის განვითარების საქმემ რუსეთში. თუმცა რას უნდა დაეძრა ეს ყინული, როდესაც თავად ქართველებს არ ჰქონიათ იმხანად ბოლომდე აღმოჩენილი, აღწერილი, კლასიფიცირებული და ფილოლოგიურად დამუშავებული თავიანთი უზარმაზარი ლიტერატურული საგანძური. დამუშავებას ვინ დაეძებს, როდესაც გამუდმებული შემოსევებისას იკარგებოდა და ნადგურდებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. უწყოდე რუსთაველის დანარჩენ პოემათა სახელწოდებანი და ხელთ არ გაგაჩნდეს, რადგან ნგრევისა და განადგურების შავბნელმა დროჟამმა შთანთქა ისინი, ან ის ძველთაძველი ქართული საგალობლები, იგორ სტრავინსკიმ რომ მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკეთედ ასწაულად მიიჩნია, სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო მხოლოდ XIX საუკუნის სამოციან წლებში ჩაწერო და გადაიღო ნოტებზე ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი მცოდნისაგან და ეგოდენი დაგვიანებით გააცნო არა თუ მსოფლიოს, არამედ თავად ქართველებს, ერთობ მძიმე ხვედრია ერისათვის.

ერთი სიტყვით, რუსეთის ინტელიგენცია ან არ, ან ცუდად იცნობდა საქართველოს და ალბათ არც იყო ჩაღრმავებული იმ მოვლენათა შინაარსში, ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულების უგულვებელყოფამ რომ გამოიწვია. მას არ ესმოდა, თუ რა ხდებოდა ქართველთა გულებში, რომელთაც ახსოვდათ, თუ თვალწინ როგორ დაუტყვევეს დედოფალი ჩვილის ყრმითა და ბატონიშვილები და როგორ გაუყენეს პეტერბურგის გზას, როგორ გააუქმეს სამეფო და გააბატონეს რუსი ჩინოვნიკები, როგორ ხელჰყვეს მათი მშობლიური ენა, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში. მაგრამ ყველაზე აუტანელი და შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო ის მოულოდნელი ვერაგობა იმპერიის კარისა, ეგზომ მალე რომ გამოააშკარავა მისი ფარული მიზნები. ძველთაგანვე ქართველების წარმოდგენით საქართველოდ მიიჩნეოდა ტერიტორია, სადაც ღმერთმსახურება ქართულად სრულდებოდა. შესაძლოა, ქვეყანა დროებით დაეპყრო დუშმანს და სახელმწიფო აპარატიც მოერღვია, მაგრამ სანამ ქართველს ქრისტიანი ერქვა და ეკლესიებში ქართული წირვა იდგა, საქართველო კვლავ საქართველოდ რჩებოდა. ახლა კი მათ წარმოდგენაში ეჭვის ქვეშ დგებოდა რეალობა თავად საქართველოს არსებობისა, რადგან რუსული სამღვდელოება ეკლესიებშიც წაეპოტინა ქართულ ენას, თუმცა რას შეეძლო მისი აღმოფხვრა. ვის ძალუძდა დაეძრა და განედევნა ქართველთა გულებიდან და საქართველოს სულიერი ცხოვრებიდან ღვთაებრივი სურნელით გაჟღენთილი ენა სახარებისა, ენა დავითნისა და ლოცვანისა, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელების და სხვათა რუდუნებით შექმნილი ენა, ენა ქართული კულტურის ქვაკუთხედად ქცეული და თავად საქართველოს უკვდავმყოფელი. დიახ, საქართველო მაინც არსებობდა და ისიც გულწრფელად უნდა ვაღიაროთ! სურდა თუ არ სურდა იმპერიის მთავრობას, საქართველომ სწორედ რუსეთთან შეერთების შემდეგ იგრძნო თავი ისეთ ერთიან ორგანიზმად, გიორგი ბრწყინვალის შემდეგ რომ არ განუცდია. ერთიან ორგანიზმად მეთქი, რომ ვამბობ, ცხადია, ძველი დიდების განცდას არ ვგულისხმობ. ვინმე რუსთაგანს ღრმად რომ სცოდნოდა მაშინ საქართველოს წარსული და ისიც, თუ რამ მიიყვანა იგი იმ მდგომარეობამდე, შესაძლოა, ქართველთა პრეტენზიებზე ასე თქვა: „განა ერთიანმა საქართველომ მოანერა ხელი გეორგიევსკის ხელშეკრულებას? არსებობდა კი იმჟამად ერთიანი საქართველო? რად იდგნენ ცალ-ცალკე და მტრობდნენ ურთიერთს იმერეთის სამეფო, აფხაზეთის, სამეგრელოს და გურიის სამთავროები? სიტყვის გატეხვისათვის გვისაყვედურებთ, ერეკლე მეორეს რომ არ მივეშველეთ კრწანისის ომში. განა მეგრელები, გურულები და აფხაზები მიეშველნენ? სად იყო კრწანისსზე ის ოცდაათიათასიანი მხედრობა, თელავიდან მცხეთისაკენ რომ მიაცილებდა ერეკლეს ცხედარს უკანასკნელ გზაზე? სად იყო დანარჩენი საქართველო, როცა სამცხე-საათაბაგო შთანთქა თურქეთმა? ჩვენ გვისაყვედურებთ, საქართველოსთვის იმჟამად სავსებით უცხოსა და უცნობ ერს: სიტყვა რად გატეხეთ, ტრაქტატით გათვალისწინებული ხელშეკრულება რად დაარღვიეთო. განა ჩვენ ამით ივანე მრისხანის, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის წინაშე დადებული ფიცი დავარღვიეთ: ვიბრძოლოთ და ვიღვაწოთ რუსეთის იმპერიის გასაფართოებლად და საკეთილდღეოდ? ასევე არ შევიერთეთ ვოლგისპირეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხები? კულიკოვოს ველზე გამარჯვების შემდეგ ჩვენს მეფეებსა და მთავრებს თითქმის აღარც უღალატიათ ერთიანი რუსეთის იდეისათვის, რაც ჩვენი ქვეყნის ცენტრალიზების, მისი სიმტკიცისა და ძლიერების საიმედო საწინდარი გახდა. თქვენ კი პირიქით, სწორედ იმ დროიდან აეშალენით ურთიერთს, მას შემდეგ დაიწყეთ ურთიერთისაგან განდრეკა და ქვეყნის დაქუცმაცება, თითქო დაემთხვაო ერთმანეთს ჩვენი აღმავლობისა და თქვენი დაღმასვლის საწყისი წერტილები. სიტყვის გატეხვისათვის რომ გვიყიჟინებთ, მაშინ რაღა ვთქვათ თქვენივე თავისათვის მიცემული სიტყვის არაერთგზის გატეხვაზე? განა საქართველოს სამთავროთა და საერისთავოთა მიერ ერთმანეთის წინაშე დადებული ფიცის დარღვევა საკუთარი თავისთვის მიცემული სიტყვის გატეხვასა და საკუთარი თავის ღალატს არ ნიშნავს? თუ ეს ასე არ არის, მაშ გიორგი ბრწყინვალის დროიდან დღემდე კვლავ ერთიან სამეფოდ შეკვრა რად ვერ შესძელით? რად ვერ შესწირეს თქვენმა მეფეებმა და მთავრებმა საკუთარი სიამაყისა და პრიორიტეტის გრძნობა ერთიანი საქართველოს იდეას? გაჭირვებამ რატომ გაგთიშათ უფრო და არ შეგადუღაბათ? შეკავშირებას ვილა დაეძებს, გამუდმებით რატომ მტრობდით და ასუსტებდით ერთმანეთს? თუ თქვენი გასაკეთებელი საქმე ჩვენ გაგვეკეთებინა, გაგვეერთიანებინა და ერთი ქართველი

მეფის ძალაუფლებისათვის დაგვემორჩილებინა დაქუცმაცებული საქართველო? და ან საქართველოს ყველა სამთავროსთან რომ დაგვედო ცალ-ცალკე გეორგიევსკის, ან გიორგი XII-ის დროინდელი ტრაქტატის ანალოგიური ხელშეკრულება და პატიოსნად განგვეხორციელებინა იგი, რომელ თქვენგანს მივშველებოდით, თუ კვლავაც აეშლებოდით ურთიერთს? განაწყენებული მხარე ხომ კვლავ გაიწვდიდა მაშველისათვის ხელებს თურქეთისა ან სპარსეთისაკენ და მდგომარეობის სტაბილიზებას არ დაადგებოდა საშველი? განა ჩვენს მოსვლამდე დაკარგული არ იყო ქართლ-კახეთისათვის სამეგრელო, სამეგრელოსათვის — აფხაზეთი, აფხაზეთისათვის — გურია, გურიისათვის — იმერეთის სამეფო და ა. შ. დაგვირღვევია თუ არ დაგვირღვევია ხელშეკრულება, განა ჩვენი მეოხებით არ ჰპოვეს კვლავაც ერთმანეთი საქართველოს კუთხეებმა? შესძლებდით კია უჩვენოდ კვლავ ერთიან ორგანიზმად შენივთებას? ჩვენს გარეშე დაიბრუნებდით როდესმე სამასი წლის წინათ თურქთაგან მიტაცებულ მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარას? ვინ მოგანიჭათ საუკუნეების მანძილზე ნანატრი მშვიდობა, ჭრილობათა მოშუშების, დასვენების, მშვიდობიანი შრომისა და სწავლა-განათლების საშუალება? განა გეყოლებოდათ მე-19 საუკუნის დასაწყისშივე ევროპული მეცნიერებითა და ფილოსოფიით აღჭურვილი ესოდენ განათლებული პიროვნებები, როგორიც იყვნენ იოანე ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი, სოლომონ დოდაშვილი და სხვანი? ჩვენს მთავარ ქალაქებში მიღებულმა განათლებამ არ შეასხა ფრთები ცოდნისა თქვენს თერგდალეულებს? რანი იქნებოდით, ჩვენ რომ არ შეგვექმნა თქვენთვის პირობები ევროპულ კულტურასთან ზიარებისა? მადლიერების გრძნობას რომ თავი დავანებოთ, სად დაჰკარგეთ ქართველებმა ობიექტურობა?" — არა, — ვუპასუხებდით ჩვენ. — ქართველებს არც ობიექტურობის და არც ცოდვა-მადლის გრძნობა დაგვიკარგავს როდესმე. ჩვენ კარგად ვუწყით იმ დადებითი იმპულსების ფასიც, რუსეთთან ურთიერთობით რომ მიიღო საქართველომ, რაც თავის დროზე დაინახეს და აღნიშნეს კიდეც თავიანთ შემოქმედებაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა და გრიგოლ ორბელიანმა. ვიცით, რომ მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარას იმჟამად რუსეთის გარეშე ვერ დავიბრუნებდით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ოდესღაც თურქთაგან წართმეული ტერიტორიის დაბრუნების მოტივი იყო არა საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის გაფართოება, მაგრამ ამისთვისაც გმადლობთ. ვიცით, რომ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმების შემდეგ საქართველოს ცალკეულმა კუთხეებმა შესწყვიტეს შუღლი და მტრობა [illegible] როდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. [illegible] ეს ყოფილა რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა წინასწარგანზრახული სიკეთე. ჩემის აზრით, ეს განგებით მოვლინებულ საზღაურს უფრო ჰგავდა, რომლის სამართალი ზუსტად განსაზღვრავს მისაგებელს, აწონასწორებს მადლსა და საურავს და ყოველს მიუზღავს დამსახურებისამებრ, თავისი მოქმედებით რომ განუმზადა საკუთარ თავს. ჩემის აზრით, განგების ხელწერა აქ ამგვარად უნდა იქნეს წაკითხული: „საქართველოს სამეფონო, სამთავრონო და საერისთაონო, ურთიერთისაგან განდრეკილნო და გაუცხოვებულნო. პირადი დამოუკიდებლობის ქედმაღლურმა სურვილმა გადასძალა თქვენში ზეჭარბი ეგოიზმის დათმობისა და ჰარმონიულობისაკენ სწრაფვის წადილი, საქართველოს ერთიანობისათვის ეგოდენ საშურო. ამიტომ დაჰკარგავთ იმასაც, რაც ერთიანი საქართველოს შექნისათვის ვერ გაიმეტეთ. არ ისურვეთ თქვენივე გულმოდგინეობით შეკრული, მთლიანი და დამოუკიდებელი საქართველო? მაგ უკუღმართად გაგებულ დამოუკიდებლობასაც დაჰკარგავთ. დაჰკარგავთ ამგვარ დამოუკიდებლობას, მაგრამ ჰპოვებთ ურთიერთს, რათა კვლავ აღივსოს სამსხვერპლო ქართული კულტურისა ჩემთვის სასურველი განრიგით".

დია, ცნობილია ჩვენი მთავრებისა და ფეოდალების მზვაობრობა და წრეგადასული ინდივიდუალიზმი, არგონავტების მითისა არ იყოს, ვეშაპის კბილებიდან აღმოცენებული დევ-გმირებივით რომ ებრძოდნენ ურთიერთს და ხშირად პირადულ მოტივს ერთიანი საქართველოს იდეაზე წინ აყენებდნენ. ვიცით, რომ მხოლოდ ეგოდენი ზებუნებრივი ძალის მეფეებს შესძლებიათ ქართული ინდივიდუალიზმის დაძლევითა და ალაგმვით საქართველოს გაერთიანება, როგორიც იყვნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი და გიორგი ბრწყინვალე, რაც თითქმის შეუძლებლის შეძლებას ნიშნავდა. პირველობის სურვილი და შინათგამცემლობა დიახაც რომ ასუსტებდა და აქუცმაცებდა ქვეყანას. და ამისთვის მხოლოდ ჩვენა გვაქვს უფლება თავს ვუსაყვედუროთ, რადგან ამით ჩვენსავე თავს ვაზიანებდით და არა სხვას. მაგრამ ისიც ვიცით, რომ მიუხედავად გათიშულობისა, საქართველო ნიადაგ მთლიანი იყო სულიერად. გათიშულ სამეფო-სამთავროებს ჰყავდათ მხოლოდ ერთი კათოლიკოს-პატრიარქი, ყველგან ერთნაირად გუგუნებდნენ საადგომო ზარები და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული თანამოძმეებს შესარიგებლად მოუწოდებდნენ.

ნირვები მთელი საქართველოსათვის ტარდებოდა. საქართველოს ეკლესია არასოდეს გათიშულა.

დაბოლოს, ისიც ვიცით, რომ ჩვენს ადგილას სხვა არა თუ სამეფოს, შესაძლოა, არსებობასაც ვერ შეინარჩუნებდა. განა მთელი ევროპა არ იდგა ბიზანტიის იმპერიის უკან, თურქებმა რომ იავარჰყვეს? დიახ, მსოფლიო იცნობს ოცდაათწლიანი და ასწლიანი ომების ისტორიას, მაგრამ არსებობს აგრეთვე მუდმივი, უვადო ომის ისტორიაც. ეს არის საქართველოს ისტორია.

დასვენება რომ გვჭირდებოდა და სასიცოცხლო ინტერესს რომ წარმოადგენდა ჩვენთვის ევროპის კულტურის უკანასკნელ მიღწევებთან ზიარება, დღეს დამტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ რუსეთისათვის ეს ვერ გამოდგება იურიდიულ გამართლებად გეორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით. ქმნა სიკეთისა დაფარულად უთქვამს მაცხოვარს და მადლის მიგება არც დასაყვედრებელია და არც სალაპარაკო. მაგრამ რადგან ეგოდენი ღაღადისი შეიქნა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გაწეულ სიკეთეზე, ჩვენ, სულხან-საბას იგავის ჭაში დამალული ხელმწიფის დარად, ყვირილს როდი დავიწყებთ, არამედ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ საქართველოს მიერ რუსეთის მიმართ გაწეულ სიკეთეზე. ამით არამც და არამც არ გვსურს სასწორზე მადლის წილ მადლის დადება და ასე ვთქვათ სიკეთით ვაჭრობა. მაგრამ საქმე ჩვენი ქვეყნის ღირსებას შეეხება და ამადაც იძულებულნი ვართ დუმილი დავარღვიოთ, თორემ ის სამსახური, რაიც კავკასიამ, სახელდობრ, საქართველომ გაუწია რუსეთს უხსოვარი დროიდან პეტრე დიდის რეფორმამდე, შესაძლოა, აზრადაც არ მოსდიოდეს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს. და უფრო მეტიც: მრავალთა და მრავალთა როდი უწყიან, რომ ქართველი ერის ფარული მისია იყო არა თუ დაკავშირებული რუსეთის ბედ-იღბალთან, არამედ რამდენადმე განსაზღვრავდა კიდეც მის მომავალს.

საქართველო ოდითგანვე იდგა უძველეს სამხრეთელ და უახლეს ჩრდილოელ ხალხებს შორის და არ აძლევდა მათ აღრევის საშუალებას. იგი არა მარტოოდენ სივრცულ, არამედ განგებით დროთა გამყოფსა და განმწესებელსაც წარმოადგენდა, რადგან ამ ხალხების კულტურათა განვითარებას თავთავისი დრო ჰქონდა განწესებული და მათი აღრევა არც თითოეული მათგანის მისიისა და არც მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან დაირღვეოდა ხალხებისა და კულტურების თანმიმდევრულობისა და დროში მონაცვლეობის ურყევი მსოფლიო კანონი.

დიახ, ნებისმიერ ხალხს გააჩნია საკუთარი მისია და თავისი დრო შემოქმედებისა [illegible]თა დინებაში განფენილი ერთიანი [illegible]რიო კულტურის გრადაციის უვრცეს სხეულში. ოდითგან ასე იყო: როდესაც ერთი ხალხი ჰქმნიდა კულტურას და შემოქმედებითი ენერგიის ხარჯვის პროცესში იმყოფებოდა, მეორე იცდიდა, გარკვეულ დრომდე ცნობიერების ბავშვურ დონეს ინარჩუნებდა და შემოქმედებით ენერგიას ინახავდა შემდგომისათვის, რათა მარცვალი წინა ხალხების კულტურათა მონაპოვარისა მიეღო თავის სუფთა, ხელუხლებელ ნიაღში მომავლისათვის ცნობიერების უფრო აღმატებულ დონეთა დასაუფლებლად. უხსოვარი დროიდან ინდოეთის, სპარსეთის, შუამდინარეთის, ეგვიპტის, ისრაელისა და არაბეთის სამხრეთელმა ხალხებმა შეჰქმნეს მსოფლიოს უდიდესი რელიგიები და მათთან დაკავშირებული კულტურები, რომელთაც იგავურ-სიმბოლური, სურათ-ხატოვანი აზროვნება მიუსადაგეს. ცნობიერების ამგვარი დონისათვის უფრო სამხრეთის უზამთრო, მზით გამთბარ-გასხივოსნებული, შეგრძნების ორგანოებზე ინტენსიურად ზემოქმედი გარემო იყო მიზანშეწონილი და კაცობრიობის ბავშვობისა და სიყრმის ასაკიც უფრო სამხრეთის ხალხების აქტივობასთანაა დაკავშირებული. იმ ხანებში მაღალი ცნობიერება მხოლოდ მისტერიებს ზიარებული მცირერიცხოვანი ელიტის საკუთრებას წარმოადგენდა. თანამედროვე განსჯითა და გონითი აზროვნების განვითარებას კი უფრო იმგვარი გარემო შეესატყვისებოდა, სადაც ზამთარი და ზაფხული რამდენადმე გაწონასწორებულია. შემთხვევით როდი მიეწერება ფილოსოფიური და მეცნიერული სისტემების შექმნა ჩრდილოეთის ხალხთა დამსახურებას. კაცობრიობის სიჭარმაგისა და დაბრძენების ასაკი სწორედ მათი აქტიურობის ხანას ემთხვევა. დავუკვირდეთ იმ ამბავსაც, რომ წელიწადის ციკლში ადამიანის აზროვნებითი ინტენსივობის პერიოდი შემოდგომა და ზამთარია, როდესაც სითბო, სინათლე და ფერთა ელვარება კლებულობს, გარესამყარო იძარცვება და გრძნობათა ორგანოებზე ზემოქმედებას ანელებს. ეს კი იწვევს გარემოდან ადამიანის იზოლირებას და ჩაღრმავებას საკუთარ თავში, რაიც აზროვნებისა და მე-ს აქტივობისათვის ხელისშემწყობი პირობაა.

გარდამავალ პერიოდს ხატოვანიდან განსჯისმიერ აზროვნებაზე გადასვლისა, ანტიური ხანა წარმოადგენდა. უფრო ძველმა, წინააღმოსავლეთის, ეგვიპტისა და კრეტის კულტურებმა მისცეს ოდესღაც ბიძგი ბერძნული ხატოვან-მითოლოგიური აზროვნების განვითარებას, რომელმაც შემდგომში, შემოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედებით ძალთა მაქსიმალური ინტენსივობის შედეგად, უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში: ჰომეროსის, ჰესიოდეს, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, პრაქსიტელეს, ფიდიასის და სხვათა შემოქმედებაში.

მაგრამ ბერძნებმა გარიჟრაჟი ხატოვანი აზროვნებით რომ აღნიშნეს, მიმნუხრი თავიანთი კულტურისა ფილოსოფიით დაადგინრგვინეს. შემთხვევით როდი ეკრძალებოდათ პლატონის აკადემიის შეგირდებს ჰომეროსის კითხვა. ხატოვან აზროვნებას ხელი არ უნდა შეეშალა მათთვის ლოგიკური აზროვნების ათვისებაში, რომელიც იმჟამად მსოფლიო კულტურის სავსებით ახალ მონაპოვარს ნარმოადგენდა. სწორედ ამ აკადემიის შეგირდი, არისტოტელე იყო თანამედროვე გაგებით პირველი ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი, რომელმაც შეიმუშავა მეცნიერული აზროვნების მეთოდი, ანუ გამომსახველი საშუალება ფილოსოფიური და მეცნიერული სისტემების გადმოსაცემად .ცნობიერების ამ ახალმა ეტაპმა შვა სიბრძნის საყოველთაო საკუთრებად ქცევის შესაძლებლობა.

როდესაც ანტიური კულტურის მიმნუხრისას ბერძნული ფილოსოფია და რომის იურისპრუდენცია არნახულ პროგრესს განიცდიდა, ჩრდილოეთ და შუა ევროპის ხალხები ჯერ ისევ ბავშვური, ხატოვანი აზროვნების დონეზე იმყოფებოდნენ. ნარმართობიდან ქრისტეს სჯულად მოქცევის შემდეგ საკმაო დროს უნდა გაევლო, ვიდრე ჩაიდებოდა მათში მარცვალი არა მარტოოდენ ბერძნულ-ლათინური, არამედ აგრეთვე არაბული კულტურის მონაპოვარისა. ეროვნული კულტურების ნამდვილი აღორძინება ამ რეგიონში რეფორმაციის ეპოქის შემდეგ დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო ბიბლიის თარგმნამ და ღმერთმსახურების შემოღებამ ამ ხალხთა მშობლიურ ენაზე, ლათინური ენის ბატონობისაგან თავის დაღწევამ და მეცნიერული აზროვნების გამოთავისუფლებამ ვატიკანის ზედამხედველობისაგან. წმინდა გონითი და ახლად აღორძინებული ემპირიული მეთოდების გვერდიგვერდ არსებობამ, ემპირიული, განსჯითი და გონითი საწყისების გამთლიანებამ და შემეცნების სამსახურში დაყენებამ უზარმაზარი ძვრები მოახდინა ადამიანის თვითშემეცნებისა და მსოფლშემეცნების სფეროში, რამაც მძლავრი ნახტომი გამოიწვია ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში. ტექნიკის განვითარებამ გაზარდა დედამიწაზე გადაადგილების ტემპები და უსაფრთხოება. ამ უკანასკნელმა კი დააჩქარა ახალი მიწების აღმოჩენა, ათვისება და კოლონიზება და გააძლიერა კონტაქტები დედამიწის უშორეს კუთხეებს შორის. თანდათან მთელი დედამიწა მოექცა ევროპელთა ხედვის არეში თავისი ხალხებით, ბუნებრივი ფაუნითა და მინერალურ-ნედლეულიანი ფლოთი. ევროპის კულტურამ ერთიანი ფართე, გლობალური მასშტაბები მიიღო, რასაც ხელს უწყობდა ზეეროვნული ბუნება და ყოვლისმომცველობა აზროვნებისა. აქედან გამომდინარე, არნახული გაქანება მიიღო ფაქტობრივი მასალის დაგროვებამ, ისტორიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და სხვა მეცნიერებების განვითარებამ. სხვადასხვა ხალხთა და ეპოქათა კულტურები ერთ სიბრტყეზე მოექცა და ადამიანებს მიეცათ მათი რეტროსპექტიული ჭვრეტის საშუალება, ანალიზური და სინთეზური აზროვნების ინტენსიფიკაციამ შეჰქმნა საფუძველი სამყაროს მრავალმხრივი შემეცნების ერთიანობაში მოქცევისა და სისტემატიზებისა. დაიძლია გარკვეული სეპსისი გრძნობათა ორგანოებისა და აზროვნების მიმართ. გახდა ნათელი, რომ დაკვირვების როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი ობიექტი არის რეალობა, რომ აზროვნებას ძალუძს შეიმეცნოს საგანი თავისთავად, რომ მეცნიერება უმაღლეს დონეზე სხვა არაფერია, თუ არა სამყაროთმცოდნეობა, რომელსაც თავად შემომქმედის ლაბორატორიაში შეჰყავხარ, რომ აზროვნება ერთდროულად არის ობიექტური სამყაროს, ანუ სულიერი და ფიზიკური რეალობის შემეცნების საშუალებაც და როგორც სუბიექტური პროცესი, ადამიანის მე-ს გამოხატულებაც. ემპირიული დაკვირვებისა და ცდის ობიექტად იქცა არა მარტოოდენ ბუნება და გარე სამყარო, არამედ თავად აზრები და აზროვნების პროცესი, რამაც გაზარდა მედიტაციის უნარი და სიმახვილე ინტუიციური წვდომისა, ამ უკანასკნელმა კი გააფართოვა ცოდნა ადამიანისა და მის სამყაროსადმი მიმართების შესახებ. კაცობრიობა თანდათან უახლოვდებოდა ცნობიერების ახალი ეტაპისა და ახალი უნივერსალური შემეცნების, ანტროპოსოფიის კარიბჭეს.

მსოფლიოს წამყვან კულტურათა თანამიმდევრობის მანძილზე ზღაპრების საუფლოში მიკარგული და მხოლოდ კიევისა და ნოვგოროდის სამთავროთა შექმნიდან რუსეთად სახელდებული სკვითეთი იცდიდა. ბერძნული მართლმადიდებლობის მიღებამ თუმცა რამდენადმე გამოაცოცხლა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოიყვანა იგი ატავისტური ძილქუშიდან, ვერ მოაბრუნა დღის ცნობიერებისაკენ. მისთვის განწესებულ დროს ელოდა იგი, ელოდა, ვიდრე მსოფლიო კულტურა გლობალურ მასშტაბებს მიაღწევდა, რათა ეროვნული სამშვინველის გაუკვალავ ყამირზე მიეღო იმპულსები მხოლოდ გლობალური ახალ-

ევროპული კულტურისა, შორეულ მომავალში ცნობიერების უფრო აღმატებულ დონეთა დასაუფლებლად. მანამდე კი იგი დაცული უნდა ყოფილიყო ქრისტიანამდელი რელიგიებისა და კულტურების ზეგავლენისაგან. აქ უნდა ვეძიოთ ერთ-ერთი ახსნა უკანასკნელის პირველად ქცევის სახარებისეული გამონათქვამისა. ხალხი, რომელიც კულტურათა თანამიმდევრობის პროცესში ყველაზე მეტს იცდის და ინახავს შემოქმედებით ენერგიას, უფრო მასშტაბური კულტურის იმპულსთა მისაღებად ამზადებს თავს და ცხადია წინარე, უკვე კონსერვირებული კულტურების მქონე ხალხებთან შედარებით ,მომდევნო ეტაპზე მან სულიერი განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს უნდა მიაღწიოს. ოდითგანვე მეზობლების მიმართ არააგრესიული, მაგრამ აგრესორთა წინააღმდეგ ნიადაგ მედგრად მებრძოლი საქართველო თითქმის გამორიცხავდა სკვითეთში სამხრეთელი ხალხების შეჭრას და სლავურ მოსახლეობაზე მათი უძველესი კულტურების ზეგავლენას, კულტურებისა, რომელნიც უფრო ეროვნული, ლოკალური ხასიათისანი იყვნენ და რომელთა ზეგავლენა ხელს შეუშლიდა რუსეთს თავისი კუთვნილი და საბოლოო მისიის განხორციელებაში.

შემდგომშიც, ჩვენ და სომხები ვიდექით კავკასიონის კარიბჭის დარაჯებად, როგორც სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ წაწეული ფორპოსტები ქრისტიანობისა და ვაკავებდით ისლამურ ურდოებს. ჩვენს ფარზე ბლაგვდებოდა სიბასრე მათის მახვილისა, ჩვენ ვაცლიდით მათ კავკასიონის იმიერ მოქმედების უნარს. თუმცა მეათე საუკუნის შემდეგ სომხეთი, როგორც სამეფო აღარ არსებობდა, მაგრამ სომხების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საუკუნეების მანძილზე აუტანელი რელიგიური დევნის მიუხედავად, მათ მაინც შესძლეს ქრისტიანობის შენარჩუნება. რუსები სიამაყით აღნიშნავთ: რუსეთმა შეაკავაო მონღოლთა ურდოები და იხსნა ევროპა განადგურებისაგან. რად არ უკვირდებით იმ ამბავს, რომ ჩვენს გამო ვერ მოაღწიეს თქვენამდე არაბთა, თემურ ლენგის, სპარსთა და ოტომანთა იმპერიის უდროებმა. მონღოლი დამპყრობლები საქართველოსაც სწვევიან და ისიც ვუწყით რომ მათ არა ჰქონიათ რაიმე რელიგიური სისტემა და ამიტომ რელიგიურ დევნასაც არ ეწეოდნენ. ქრისტიანულ რელიგიას თითქმის არ განუცდია რუსეთში დევნა. მაგრამ ზემოხსენებული ისლამური ურდოები რომ შესეოდნენ რუსეთს, შესძლებდა კია იგი ქრისტიანულ რელიგიის შენარჩუნებას? გაუძლებდა იგი იმგვარ რელიგიურ დევნას, ჩვენ რომ ვიწვნიეთ, მით უმეტეს, რომ ქრისტიანობა რუსეთში არც თუ დიდი ხნის წინათ გახლდათ ფეხმოკიდებული? ხომ შესძლეს სამხრეთელმა დამპყრობლებმა ჯერ კიდევ თემურ ლენგის დროში ჩრდილოეთ კავკასიის გამუსულმანება? ამგვარი ხვედრი შესაძლოა რუსეთსაც არ ასცდენოდა, რადგან ეს ურდოები არა მარტოოდენ დამპყრობლურ, არამედ გააფთრებულ რელიგიურ ომებსაც ეწეოდნენ და თავიანთ რელიგიას ფანატიური გულმოდგინებით ახვევდნენ თავს არამუსულმან ხალხებს. ქრისტიანობის დაკარგვით კი წერტილი დაესმებოდა რუსეთის კულტურის შემდგომ ევოლუციას.

მოგვიანებით თურქეთის იმპერიას, ევროპას რომ აზანზარებდა, სამი დაბრკოლება არ ულობავდა გზას რუსეთისაკენ: შავი ზღვა, კავკასიონი და საქართველო? ბიზანტიის იმპერიის მსგავსად მათ რომ საქართველოს სამეფოს მოშლა მოეხერხებინათ და ქართველები გაემუსულმანებინათ, ვიღა შეუშლიდათ ხელს თავიანთი იმპერიისათვის შემოემტკიცებინათ ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანი ხალხები და უშუალოდ ხმელეთიდან დაკავშირებოდნენ ყირიმის სახანოს? მაშინ ხომ მთელის ძალებითა და ფართე ფრონტით მიადგებოდნენ რუსეთს, პეტრე პირველამდელი რუსეთის სამეფოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰყავდა ევროპულ ყაიდაზე განვრთნილი რეგულარული ჯარები და ყირმის სახანოსაც კი ძლივს უმკლავდებოდა? ასე რომ, ნუ გიკვირთ თქვენი აღმასვლის საწყისი წერტილი ჩვენი დაღმასვლისას რომ დაემთხვა. ჩვენზე გადატყდა იმჟამად მსოფლიოს ყველაზე აგრესიული ანტიკულტურული ძალების ქარტეხილი და არა თუ ჩვენს ადგილას, არამედ უჩვენოდ შესაძლოა არსებობაც ვერ შეგენარჩუნებიათ. საქართველო თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ამაოდ როდი იქნევდა ხმალს ქრისტიანობის შესანარჩუნებლად. მას მუსულმანური გარემოცვის ცენტრში უნდა შეენარჩუნებია ქრისტიანული სამეფო, თუნდაც წერტილისოდენა არე ქრისტიანული საუფლოსი და არ მიეცა ამ გარემოცვისათვის რკალის შევიწროების საშუალება. ამაში გამოიხატებოდა იმჟამად ქართველი ერისა და საქართველოს, როგორც სამეფოსა და სახელმწიფოს მისია.

მოგვიანებით, ამ რეგიონში, მსოფლიო ისტორია დილემის წინაშე აღმოჩნდა. ან ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანური გარემო უნდა შეერთებოდა თურქეთს ან სპარსეთს, რისთვისაც მათ ერთობლივი ძალით უნდა გაერღვიათ ერთად-ერთი დაბრკოლება და საქართველოს სამეფოს შთანთქმით მოესპოთ ქრისტიანობა ამიერკავკასიაში, ან პირიქით, რუსეთ-საქართველოს ქრისტიანულ სამყაროთა შესაყრელად ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანური კედელი უნდა გარღვე-

ულიყო. ამ დილემის დადებითად გადაწყვეტას მომავლისათვის არა იმდენად რელიგიური, რამდენადაც კულტურული თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ისიც კარგად ვუწყით, რომ ქრისტიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ რელიგია, რომ უპირველეს ყოვლისა იგია ადამიანთმსახურება, მოყვასთადმი უსასყიდლო სიყვარული, დაუშრეტელი მორალური ფანტაზიის საფუძველი და მხოლოდ შემდეგ ღვთისმსახურება. ამიტომაა იგი თანამედროვე გაგებით მაღალი ჰუმანისტური კულტურის ერთადერთი მასაზრდოებელი წყარო. ნურავის გაუკვირდება, თუკი მეტ ქრისტიანად ჩაითვლება მუსულმანური თუ ნებისმიერი სხვა რელიგიის წარმომადგენელი, გინდაც ათეისტი, რომელიც ადამიანთამსახურებაში ქრისტიანული ღვთისმსახურების მიმდევარზე მაღლა დგას. ეს ღაღადისი თავად სახარებისეულია და ვისაც სმენად ყურნი ასხია, მას არა მარტო წაუკითხავს, არამედ შეუგრძვნია კიდეც, თუ რაგვარ სნერენ სიყვარულზე მოციქულნი. ამაოა ღვთისმსახურება ადამიანთმსახურების გარეშე, — ერთხმად ალიარებდნენ ისინი — და მოყვასთა თავისთა დარად შემყვარებელი და მათთვის თავდადებული კაცი უკვე ქრისტიანია, ქრისტეს სახელიც რომ არ ჰქონდეს გაგონილი. სწორედ ამგვარად ესმოდათ ქრისტიანობა თავის დროზე საქართველოში ვახტანგ გორგასლანს, დავით აღმაშენებელს, თამარს, შოთა რუსთაველს, ვაჟა ფშაველას, მუსლიმურ აღმოსავლეთში ალიშერ ნავოის, რუსეთში ტოლსტოის, ვლადიმირ სოლოვიოვს, ანდრეი ბელის, ინდოეთში მაჰატმა განდის, დასავლეთში ლესსინგს, ჰეგელს, გოეტეს, უიტმანს, რუდოლფ შტაინერს და სხვებს. და ამ ამბის ამგვარ გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს კიდეც არა მარტოოდენ ჰუმანისტური კულტურის, არამედ სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების, სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა და თვით მორწმუნეთა და ათეისტებს შორის მშვიდობისა და ურთიერთმომთმენიანობის დასამკვიდრებლად. უსამართლოზე უსამართლო იყო მე-19 საუკუნეში კავკასიის უპირველესი გმირის, შამილის წინააღმდეგ რუსების მიერ წარმოებული ომი, მაგრამ გლობალური, თუნდაც რეგიონალური მასშტაბის კულტურულ-ისტორიული დილემების გადაწყვეტა უტრაგედიოდ და უმსხვერპლოდ არასოდეს მომხდარა... დიახ, გმირული და სამართლიანი იყო დაღესტნელთა ომი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, მაგრამ კიდევ უფრო გმირული, ხანგრძლივი და სამართლიანი იყო მანამდე ქართველთა ომი მუსულმანურ გარემოცვასთან. და რომ არ მისცა ამ მტრულ გარემოცვას იბერიამ რკალის შეკვრების საშუალება, ამით და მხოლოდ ამით, ზადა კავკასიაში ევროპული ... ცივილიზაციის უკანასკნელ მიღწევათა დამკვიდრების საფუძველი, იმ კულტურისა და ცივილიზაციის, თავისი რკინისებური ნებისყოფის მეოხებით რომ შემოიტანა და თითქმის ძალით დანერგა რუსეთში გეორგიევსკის ტრაქტატამდე ერთი საუკუნით ადრე პეტრე დიდმა. უდავოა, რომ ამგვარი საფუძვლის მომზადებაშიც გამოიხატა საქართველოს კულტურულ-ისტორიული მისია. ამაოდ როდი იქცა მე-19 საუკუნეში თბილისი ქართველ და სომეხ მოღვაწეთა საასპარეზო სარბიელად ქართველ, რუს და ევროპელ ინტელიგენტთა შეხების არედ.

მარტოოდენ ევროპულ ფილოსოფიასთან, ლიტერატურასთან და ხელოვნებასთან ზიარება როდი იყო საკმარისი. საქართველოსათვის იმჟამად სასიცოცხლო პრობლემას წარმოადგენდა ევროპის მეცნიერულ, არქიტექტურული-საამშენებლო, ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის და სხვა მიღწევათა ათვისებაც. და ნუ დაგვაყვედრით, თუკი ეს მონაგარი მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციისა იმჟამად რუსეთის გზით უნდა მიგველო. ნუ დაგვაყვედრით იმას, რაც საქართველომ უდავოდ დაიმსახურა თუნდაც იმით, საუკუნეების მანძილზე სხვის მოსაქნევ ხმალსაც რომ თავად იქნევდა, ნუ დაგვაყვედრით, რადგან ეს მონაგარი მხოლოდ კომპენსაციაა იმ დახარჯული ძალისა და დაღვრილი სისხლისათვის, საუკუნეების მანძილზე რომ არ უშვებდა რუსეთისაკენ სამხრეთიდან ანტიკულტურულ იმპულსებს. განა ევროპამ დააყვედრა, ან პეტრე დიდმა ქედის მოხრით უპასუხა ევროპას იმ სულიერი ამაგისათვის, რუსეთისათვის რომ გაიღო? ხომ გაამართლა მან რეფორმაციის ეპოქის უპირველესი გმირის, გუსტავ ადოლფის არც თუ უსაფუძვლო შიში რუსეთის მიმართ, რომელსაც ევროპა ჰეგემონიისათვის მებრძოლ საშიშ მეტოქედ აქცევდა, თუკი მისცემდა პატრიარქალური ძილქუშიდან გამოსვლის საშუალებას? განა არ დასჭირდა პეტრე დიდს მის მიერვე წამოწყებული ილიადის მოგება, რათა შვედებზე გამარჯვებით ევროპისაკენ გაეჭრა კარი ბალტიის სანაპიროზე? განა თავისი ოდისეაც ახალი ევროპული პალადიუმის მოპოვებით არ დააგვირგვინა, რომლის გადმოტანას რუსეთში ტიტანური ენერგია შეალია? უსაზღვრო დინამიკითა და დიადი განზრახვით ატაცებული, ტიტან პრომეთეს მიაგავდა იგი, ევროპის იუპიტერს რომ გამოსტაცა ცეცხლი ცოდნისა და უამრავ ხელობასა და მანამდე უცნობ დარგებს აზიარა მოძმენი თვისნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ცხოვრების მაგალითი ღაღადებს, რომ იგი როდია მეფე, გინდაც პრეზიდენტი, ჭადრაკის მეფისა არ იყოს, ნიადაგ დაცვას რომ საჭიროებს, არამედ ის, ვინც მუდამ მზადაა თავგამოდებით დაიცვას სხვები. მეფე გვირგვინოსანი, მეფე ხელოსანი, მუშა და მეფოლადე, ამავდროს პარიკოსანი, მენუეტის მროკველი გალანტური კავალერი, უბრალო ჯარისკაცი, მეზღვაური და ბრწყინვალე მხედართმთავარი, მოკეთე და გულის მომნადირებელი მოსახლეობის ნებისმიერი ფენისა, მეფის მხედართმთავრის წოდებათა თამაშად მიმჩნევი დიად განზრახვათა გზებზე, მტრის დამფასებელ-პატივისმგებელი და არამოთაკილე მისივე შეგირდობისა, მეფე, თავისი დუნე და მთვლემარე ერის ნიადაგ დეზით მჩხვლეტელი და ჭიმვითა და აღვირითა მლვიძარებისა და გონივრული ქმედებისაკენ წარმმართველი, ახლისა და პროგრესულის მასულდგმულებელი და დრომოჭმულის მოტრფიალეთა შემრისხველი, ხალხისაგან განდრეკილ და გაუცხოებულ სხვა გვირგვინოსან რომანოვებს არაფრით მიმსგავსებული, მსოფლიოს უსაჩინოეს მეფეთა დასში შესარაცხი და საქმეთა მისთაებრ ლეგენდებში დასამკვიდრებელი, უნივერსალურ მოვლენად წარმოუჩნდა იმჟამად რუსეთს და არნახული სიმძიმის ტვირთი საკუთარი მხრებით აზიდა მთაზე, ოდეს ბიზანტიური კულტურის გეზიდან ახალევროპული გეზისაკენ გადახარა რუსეთის სულიერი განვითარების გზა. პეტრე დიდმა დაიწყო იქიდან, სადაც ბიზანტიის ერის სულმა დაასრულა თავისი მოქმედება. ბიზანტიურმა კულტურამ, რომელმაც თავის დროზე მოგვცა იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის წირვა და მასთან დაკავშირებული შესანიშნავი რელიგიური ხელოვნება, მიუხედავად ცალკეულ პირთა ცდებისა, არ მიიღო თავის წიაღში ანტიური ფილოსოფიისა და ხელოვნების სამყარო, ვერ განახორციელა მისი სინთეზი ქრისტიანობასთან, როგორც ეს იმჟამად ქრისტიანულმა რომმა გააკეთა და ფაქტიურად დაადგა კონსერვაციის გზას.

ქრისტიანული კულტურის ჭეშმარიტი გაგება სცილდება ბიბლიის ფარგლებს. მაღალი გაგებით იგი კულტურათა სინთეზის კულტურაა. როდესაც წარმართების მოსაქცევად გაგების მიერ გამორჩეული პავლე მოციქული საბერძნეთისა და რომისაკენ მიემართებოდა, შეუძლებელია არ სცოდნოდა ამ ქვეყნების კულტურული და პოლიტიკური ვითარება. იგი უთუოდ იცნობდა ანტიური ეპოქის სიბრძნეს, ხელოვნებასა და კანონმდებლობას. და არა მარტოოდენ განგების მინიშნებისა გამო დარწმუნდა, არამედ თავადაც, როგორც მოაზროვნე და მახვილი ინტუიციის მქონე ადამიანი, ხედავდა, რომ ეს მხარე მზად არის ქრისტიანობის მისაღებად. და უფრო ფაქტიც: რომ ქრისტიანობა ამ მხარეში ხალოოდ უნდა გამკვიდრდეს არა მარტოოდენ უბრალო ხალხის მოცევის, არამედ თავად ბიბლიური და ანტიური კულტურების შეწყვილებისა და სინთეზის დონეზე. ამის საფუძველი ნამდვილად არსებობდა.

თუნდაც პლატონის ფილოსოფიაში, მშვენიერებათა კიბე, სხეულებრივი, ფორმისმიერი მშვენიერების საფეხურებით უფორმო, ზნეობრივ მშვენიერებათა აპოლოგიამდე რომ ადის და ესთეტიური და ეთიური საწყისების უმაღლეს წერტილებს აიდენტურებს, მორალური მშვენიერების ამ უზენაესს საფეხურზე განა აშკარად არ უახლოვდება ბიბლიურ ეთოსს?

გინდაც არისტოტელესთან: სახეებად განფენილ გვართა ერთადერთობა განა ფილოსოფიური დადასტურება არ არის ბიბლიის საქმეში წარმოდგენილი პირველხელოვანის, სამყაროს შემომქმედის კონკრეტული საქმიანობისა, ხოლო არისტოტელესეული გაცხადება იდეისა ფორმასა და მატერიაში, ფილოსოფიური ექვივალენტი განკაცებული ღმერთისა რელიგიაში?

საფუძველი ბერძნული ტრაგედიისა, ბედისწერის მიმართ შიშის დაძლევით, სინდისის ქენჯნითა და შენანებით განცდილ კათარზისს რომ წარმოადგენს, განა რითიმე უპირისპირდება ქრისტიანულ კათარზისს,რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მოყვასთათვის თანამდებთა მიტევებით და ადამიანებთან ურთიერთობის ჰარმონიზებით „საპყრობილიდან", ანუ „ბედისწერის ტყვეობიდან თავის დახსნა?"

და ან სხვა რაა ანტიური სახვითობა, თუ არა განმლრთობა ადამიანური ფორმისა, სადაც ხელოვანის ხელში მასალა და მატერია იდეის დონემდეა ატანილი? ბიბლიაც ხომ ადამიანთა გაანგელოსების, ანუ განმლრთობის გზას წარმოგვიდგენს?

და ბოლოს ის ფაქტი, რომ იესო ქრისტე იყო პირველი, რომელმან იღვაწა და თავი დასდო და რომელი აღდგა მკვდრეთით არა რომელიმე ერისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის, აგრეთვე ადამიანთ სამსახურში გამოხატული ეთოსის ყოვლის მომცველობა, განა სხვა რელიგიებთან შედარებით იმთავითვე გლობალურ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ქრისტიანულ რელიგიას, რაიც თავის მხრივ ჰქმნიდა საფუძველს ქრისტიანობის უმაღლესი, პნევმატიურ-მაკროკოსმიული ეტაპისათვის, ჭეშმარიტებისა და ღვთის სასუფევლის ძიებას რომ ჰგულისხმობს? ასევე გლობალური დანიშნულება არ გააჩნდა ჭეშმარიტების ძიებისა და შემეცნების იმ საშუალებებს, რითაც ანტიურმა კულტურამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააუნჯა კაცობრიობა? ამ საშუალებებით განა ბიბლიისაგან დამოუკიდებლად არ მიეახლა იგი წარმართი ღმერთების გარემოცვაში მონოთეიზმს?

მიუხედავად ამისა, პავლე მოციქულმა ისიც იცოდა, რომ საერთო საფუძველი არ იკმარებდა, რომ იმჟამად სააშკარაოდ არ მოხდებოდა ბიბლიისა და ანტიური კულტურის სინთეზი, რომ პირიქით, იგივეობა ჯერ დაპირისპირებულთა სახით, მწვავე ანტაგონიზმის ფორმით უნდა წარმოჩენილიყო და ასეც მოხდა. რომის ოფიციალობა დევნიდა და სიკვდილით სჯიდა პირველქრისტიანებს, კატაკომბებს რომ აფარებდნენ თავს, და პირიქით, ქრისტიანობის სახელმწიფოს რელიგიად გამოცხადების შემდეგ რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ბრბო მუსრს ავლებდა ანტიური ხელოვნების უმშვენიერეს ნიმუშებს, ხოლო ოფიციალობა დევნიდა წარმართული სიბრძნის მესვეურებს. მაგრამ პავლე მოციქულმა მაინც შესძლო ფარულად განხორციელებინა ბიბლიურ-ანტიური საწყისების სინთეზი, როდესაც დიონისო არეოპაგელთან ერთად ათენში ეზოტერული სკოლა ჩამოაყალიბა. იმჟამად ამგვარი სინთეზის განხორციელება მხოლოდ დაფარულად თუ შეიძლებოდა, რადგან საკმაო დროს უნდა გაევლო, ვიდრე ქრისტიანობა იმდენად გამკვიდრდებოდა კაცთა გულებსა და ცნობიერებაში, რომ საბოლოოდ დაანახვებდა მათ ანტიურ კულტურასთან ანტაგონიზმის უსაფუძვლობას. სწორედ ამ სკოლის წიაღში ჩაიდო დაფარულად ის ძვირფასი მარცვალი, რენესანსის ხანაში ცხადად რომ გამოიღო სასურველი ნაყოფი. რენესანსის ეპოქაში ბიბლიური და ანტიური კულტურების სინთეზი საყოველთაო, საჯარო მოვლენად იქცა, როგორც ღვთაებრიობისა და სიბრძნის, უზენაესი ეთოსის და ესთეტიკის მაიდენტიფიცირებელი, ქრისტიანობის შეწყვილება პლატონიზმთან და არისტოტელიზმთან, ხელოვნებაში ბიბლიური პერსონაჟებისა და სიუჟეტების უმშვენიერესი ადამიანური ფორმით გამოხატვა თვალნათლივ ღაღადებდა ადრეული ანტაგონიზმის დაძლევასა და კულტურის ამ ორი ნაკადის გაერთიანებაზე.

მაგრამ ბიზანტიამ, როგორც აღვნიშნეთ, ვერ დასძლია ზემოხსენებული ანტაგონიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ ქვეყანას წარმოადგენდა, ბიბლიური საწყისი ვერ გამოიყვანა იზოლირებიდან, არ გააკარა მას ნათელი იმ ღვთაებრივ-ადამიანური კულტურისა, ოდესღაც მისსავე საკუთრებას რომ წარმოადგენდა. და ამით ცხადჰყო, რომ ბიბლიასაც ვერ ჩასნვდა იმ დონეზე, რა დონეზეც თავად ეპოქა მოითხოვდა. ამადაც ვერ გადადგა ბიზანტიის კულტურამ საეტაპო ნაბიჯი გლობალურობისაკენ და თავისი მისიაც ამოსნურა. კულტურული [illegible] ნურვას კი ხშირად არსებული [illegible] სდევს. პეტრე დიდს რომ დაუნანებლად არ გაეწირა ძველი ახლისათვის, რომ არ შემოეტანა რუსეთში ქრისტიანულ-ანტიურ-არაბული კულტურების სინთეზზე აღმოცენებული ახალი ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის მონაპოვარი, მაშინ რუსეთის მისიაც ამოწურულად ჩაითვლებოდა, რადგან პეტრე დიდის გარეშე არც ლომონოსოვი იქნებოდა, ლომონოსოვის გარეშე კი არც მთელი შემდგომი რუსული ლიტერატურა და მეცნიერება. გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად მან აიძულა რუსეთი მიეღო ის, რაც ადრე უარყო ბიზანტიამ და მხოლოდ ამგვარად უზრუნველყო მისი მომავალი. და ყოველივე ეს გეორგიევსკის ტრაქტატამდე თითქმის საუკუნით ადრე მოხდა. და აგრე რომ არ მომხდარიყო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას სულიერი საფუძველი აღარ ექნებოდა, რადგან საქმე სწორედ იმ ერთ საუკუნეში გახლდათ, რომლის განმავლობაშიც რუსეთი ევროპული განვითარების გზას დაადგა. მართლმადიდებლური კულტურის სფეროში საქართველოს რუსეთზე უფრო ღრმა და ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნდა, ხოლო რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს", ადრეული რენესანსის ამ ჭეშმარიტ პიონერს, მისი მსგავსი ქმნილება ამჟამად არა თუ რუსეთს, თვით ბიზანტიის საერო მწერლობასაც კი არ დასიზმრებია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამუდმებულ შემოსევათა იმ შავბნელ საუკუნეებში ქართულ ორლესურთან ერთად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმაც" ბევრი რამით განსაზღვრა საქართველოს მომავალი. უმაღლესი გაგებით ცხოვრებისეული პრაქტიკის ამ შეუცვლელ ნიგნს, სიბრძნის, სიქველისა და ვაჟკაცობის ამ შეუდარებელ სახელმძღვანელოს. სიყვარულის ამ ყოვლის გარდამქმნელ მაგიას უზარმაზარი წვლილი მიუძღვის როგორც ქართველი ერის, ასევე საქართველოს კულტურული მისიის უკვდავყოფის საქმეში.

XI-XII საუკუნეებში მოპოვებული ხანმოკლე მშვიდობიანი ცხოვრებისას კულტურის ეგოდენი აყვავება საქართველოში ძალაუნებურად გვაფიქრებინებს რას მივაღწევდით ევროპის რომელიმე სახელმწიფოს მსგავსად ქრისტიანული ქვეყნების გარემოცვაში რომ გვეცხოვრა? განა თავად ევროპის კულტურა ერთმორწმუნე მეზობელი სახელმწიფოების ხანგრძლივ ურთიერთზეგავლენათა შედეგი არ არის? მაგრამ საკუთარი ბედი და მისია სხვისაში არ უნდა გაცვალო. რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს იგი. ქართული კულტურა საბრძოლათაშორისო შესვენებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურაა. ხმალი, წიგნი და ისევ ხმალი, ამგვარი ცხოვრების გზა ყოფილა საქართველოს ხვედრი. დავით აღმაშენებლისეული ხელოვნება ხმალიდან წიგნზე და წიგნიდან ისევ ხმალზე გადართვისა, თამამად შეიძლება მთელი საქართველოს ბედ-იღბალსა და განვლილ გზას შევუსატყვისოთ. და ეს ხმალი აროდეს ჰკავებია აგრესორის ხელს, არამედ მხოლოდ საკუთარი მიწა-წყლის, ღირსებისა და კულტურის დამცველს. ამიტომ საუკუნეების მანძილზე ეულმა და ევროპისაგან სავსებით მოწყვეტილმა ქვეყანამ დაუყვედრებლად დაიმსახურა ის, რისთვისაც თავი შეინარჩუნა — ევროპის, ანუ გლობალურ კულტურასთან და ცივილიზაციასთან ზიარება, მასთან გათანასწორება და საკუთარი, თავისთავადი მყობადის საიმედო პერსპექტივა. ეს არის საქართველოს ღირსთა მამათა, უამრავ მოწამეთა და გმირთა დამსახურება, რომელთაც სახლი ქრისტეს ცნებისა კლდესა ზედა დააფუძნეს. აქ ასეც შეიძლება მივმართოთ რუსებს: თქვენი აღზევებისათვის ჩვენ რომ დავქვეითდით, იმის სამაგიერო უნდა მიგველო, როგორც თქვენ მოგიზღოთ ევროპამ სამაგიერო მონღოლთა შეჩერებისათვის. ასეთია მე ვიტყოდი ერის სულთა ფარული მეგობრობა და შინაგანი ურთიერთობის მორალი, რომელიც ცხოვრების ზედაპირზე ზოგჯერ მწვავე ანტაგონიზმის ელფერს ატარებს. ასეა: გლობალური კულტურა, ადამიანთა თავისუფლების ეს ჭეშმარიტი სანინდარი, მხოლოდ დიდი დანაკარგისა და მართალთა სისხლის საზღაურად მოიპოვება.

თუ მშვიდობიანი ცხოვრების მოპოვება და ევროპის კულტურასთან ზიარება კომპენსაციაა დაღვრილი სისხლისათვის, განა რითიმე შეიძლებოდა კომპენსაცია იმისა, რაც საქართველოს რუსეთის იმპერიამ წაართვა, როცა გეორგიევსკის ხელშეკრულება დაარღვია? გამოსტაცა ენა და სახელმწიფო, ურომლისოდაც გარდუვალია ნებისმიერი ერის დეგრადაცია და გადაშენება. როგორ უნდა დაეშვა საქართველოს იმგვარი დეგენერაცია, რომლის მსგავსი სისხლის წვიმების დროშიაც არ განუცდია? ევროპის პროგრესულ იდეებთან შეხების შემდეგ იგი ამას მით უფრო არ დაუშვებდა. პასუხმაც არ დააყოვნა. ოცდათორმეტი წლის შეთქმულება, ეროვნული ღირსებისადმი დიმიტრი ყიფიანის გამოქომაგება, მამულიშვილური საქმენი თერგდალეულებისა, ეპისკოპოსების, კირიონ საძაგლიშვილისა და ლეონიდე ოქროპირიძის მცდელობანი ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად, აი, ელვარე ფურცლები საქართველოს ისტორიისა მე-19 საუკუნის მანძილზე.

რით უპასუხა ძალმომრეობისადმი ქართველი ერის ამ ბუნებრივ რეაქციას იმპერიის ხელისუფლებამ? რეპრესიებით, დაჭერებით, გადასახლებით და მკვლელობებით. გადასახლებაში გარდაიცვალა ოცდათორმეტი წლის შეთქმულების ყველაზე პრინციპული მონაწილე, პირველი ქართველი კანტიანელი სოლომონ დოდაშვილი, გადაასახლეს და მოსყიდული მკვლელების ხელით სიცოცხლეს გამოასალმეს ეროვნული სინდისის ქომაგი დიმიტრი ყიფიანი. ხანგრძლივი ვადით რუსეთში გადაასახლეს საეკლესიო მოღვაწენი კირიონი და ლეონიდე. თითქმის გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნიდნენ საქართველოს რჩეულ შვილებს მამულიშვილურ მიზანთა განსახორციელებელ გზაზე. მაგრამ მათ სულისკვეთებას, აღედგინათ ან დაებრუნებინათ ის, რაც საქართველომ რუსეთის იმპერიის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დებულებათა ხელყოფისა გამო დაჰკარგა, წინ ვერაფერი დაუდგებოდა. მომწიფდა ჟამი და მოხვევის პასუხი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან", — ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო, — მე-19 საუკუნის სამოციანელებისა და ქართველი ერის უმთავრეს სამოქმედო პროგრამად იქცა. აღარ არსებობდა საქართველოს სამეფო, მაგრამ სული ერისა კვლავ ინტენსიურად მოქმედებდა და ძნელბედობის მარწუხებიდან ქართველთა დახსნას ლამობდა. ინდივიდუალიზმის ის გამთიშველი ძალა, უწინ რომ სახელმწიფოს აქუცმაცებდა, ახლა ერთიანი სულისკვეთებით იმსჭვალებოდა. ამ სულისკვეთებით ატაცებული რჩეული ახალგაზრდობა თბილისსა და ქუთაისში იყრიდა თავს, სწავლა-განათლებით სულიერ კუნთებს იკაჟებდა და ცოდნის გასაღრმავებლად სარუსეთოდ წასული, კვლავ უკან ბრუნდებოდა, რათა ეროვნული საქმის გარშემო ერთ ბირთვად შეკრულიყო. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში ეროვნული საქმეებისათვის ზრუნვა კულტურტრეგერთა ხელში გადადიოდა. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები მთელის გულმოდგინეობით ცდილობდნენ თუ დამოუკიდებლობის დაბრუნებას არა, რაც იმჟამად ნამდვილად არ ძალედვა, სუვერენულობის და სახელმწიფოებრიობის შეგნების ამაღლებას მაინც თანამემამულეთა შორის. მათ უპირველეს მიზანს წარმოადგენდა რუსეთის გუბერნიის ადმინისტრაციულ პირობებში სუვერენულ სახელმწიფოთა შესატყვისი ატმოსფეროს შექმნა.

უმთავრეს საზრუნავად თერგდალეულებმა მართებულად მიიჩნიეს ქართული ენისათვის ჩამორთმეული უფლებების დაბრუნება და არც შემცდარან, რადგან ენა იყო და მუდამ იქნება ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის ცოცხალი სიმბოლო, ერის სულიერი

ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის მასულდგმულებელი საშუალება. ამ უტყუარი საშუალებით თვითრწმენის ამაღლება მონინააღმდეგის თვალში ავტორიტეტის ამაღლებასაც ნიშნავდა, რაც შეუძლებელი იყო ახალი, მძლავრი ლიტერატურის გარეშე, ლიტერატურისა როგორც მხატვრულის, ასევე პუბლიცისტურის, ორიგინალურისა და მთარგმნელობითის. ეს გახლდათ იმჟამად ერთად-ერთი საშუალება საკუთარი მყოფადის შობისა, რადგან მარტოოდენ წარსულ დროებზე დარდი საქმეს ვეღარ უშველიდა. ამგვარი ბაზისის გარეშე ქართული ენა კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ვერც ერთ სფეროში ვერ შეაღწევდა. გარდა ამისა, ლიტერატურა ხომ ენის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის პულსაციისა და განვითარების გამომხატველია. საქართველოს ისტორიის გმირული ფურცლების გაცოცხლებით, ახალი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემების დაყენებით ქართულმა მხატვრულმა და პუბლიცისტურმა ლიტერატურამ იმდენად დამუხტა მორალური ატმოსფერო, რომ საზოგადოება ძირეული საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად მოამზადა. სწორედ ლიტერატურის მაღალი პოზიციებიდან დალაშქრეს თერგდალეულებმა თვითმპყრობელობის ერთის შეხედვით მიუდგომელი სიმაგრეები. გამოსძალეს იმპერიის მთავრობას ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის, ქართული თეატრისა და სკოლების, ეროვნული თვალსაზრისით ეწიშვნელოვანი საზოგადოებებისა და დაწესებულებების დაარსების უფლება. ყოველივე ეს არ მომხდარა უცებ, ცენზურასა და შოვინისტ რუს მოხელეებთან შეხლა-შემოხლის გარეშე. მაგრამ თავგამოდებულმა მამულიშვილურმა შემართებამ შეუძლებელი შესაძლებლად აქცია და გეორგიევსკის ტრაქტატის ასი წლის თავზე საქართველომ თუ პოლიტიკურს არა, ნაწილობრივ კულტურულ ავტონომიას მაინც მიაღწია. ილია, აკაკი, ვაჟა — ეს სამი სახელი ელავდა ყველაზე მკაფიოდ საქართველოს სულიერი ცხოვრების კაბადონზე. მიუხედავად დიდი გამჭრიახობისა, საყოველთაო პოპულარობისა და განსაკუთრებით კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის ორგანიზატორული ნიჭისა, რაც უთუოდ მისი მკვლელობის უმთავრესი მიზეზი გახდა, ისინი არ ყოფილან პრაქტიკოსი პოლიტიკოსები და არ მიუმართავთ პრაქტიკული ღონისძიებებისათვის, სახელმწიფოებრიობის და გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად. მაგრამ იმდენად დიდი იყო მათი დამსახურება ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში, რომ ნამოღვაწარი მათი, მათი ცხოვრების მაგალითა, მათ მიერ ნაშრომ-ჭრილი პრობლემები დღესაც [illegible] ნებს, როდესაც აქტუალურია და სამერმისოდაც გაპყვება საგზლად მომავალ თაობებს თავისი უკვდავი მოწოდებით: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“.

მაგრამ ქართველების ენერგია მარტოოდენ კულტურის აღორძინებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში როდი იხარჯებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აღარ არსებობდა შესაფერისი სარბიელი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, რადგან ქართველს არ გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო, ხოლო რუსეთის იმპერიის სამსახურში საქმიანობა კარიერისტობისა და დამთანხმებლობის გარდა მას არაფერს უქადდა, ქართველების პოლიტიკური უნარი ნაწილობრივ ფარულ პარტიებში მოღვაწეობით ჰპოვებდა გამოსავალს. შემთხვევითი როდია, რომ რუსეთის რევოლუციამდელ და თვით რევოლუციათა პერიოდში ქართველებს ერთ ერთი წამყვანი ადგილი ეკავათ რუსეთის სხვადასხვა პარტიაში. ზოგი მათგანი მხოლოდ რევოლუციური პრაქტიკითა და სოციალური ბრძოლის პრობლემებით იყო დასაქმებული, ზოგიც ყოველივე ამას საქართველოს სუვერენიტეტის იდეასთანაც ათავსებდა. მაგრამ ისინი მარტოოდენ არსებულ წესწყობილებას როდი ებრძოდნენ, არამედ ხშირად იმდენად ანტაგონისტურ პოზიციას იკავებდნენ ქართველი სამოციანელების მიმართ, რომ თვით ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, ილია ჭავჭავაძესაც კი ესხმოდნენ თავს თავიანთ სტატიებში, [illegible] მებატონეობასა და გლეხებისადმი არაადამიანურ დამოკიდებულებას სწამებდნენ ცილად, ამ ჰუმანიზმის ჭეშმარიტ მნათობს საქართველოში, შრომის სუფევის მგზნებარე მომღერალს, სიტყვით და საქმით გლეხთა უფლებებისათვის თავგამოდებულ კაცს. ილიასაც, ხალხის სიყვარული, პოპულარობა და უდიდესი ავტორიტეტი რომ უმაგრებდა მხარს, არა ერთგზის უმხელია ისინი ფაქტების გაყალბებაში, არაერთგზის აუჭრელებია ისინი პუბლიცისტის მათრახით. სწორედ ამ ავტორიტეტისა და მძლავრი პუბლიცისტური შემართების გამო ხედავდნენ ისინი მასში მთავარ მოწინააღმდეგეს. მათ ვერ აპატიეს მწერალს, პირველმა რომ შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში სოციალური უთანასწორობისა და ბრძოლის თემა, ის ამბავი, რომ იგი არ მივიდა მათთან და არ დადგა მათ პოზიციაზე. და არც მივიდოდა, რადგან ვერ დადგებოდა იგი ვერც ერთი პოლიტიკური პარტიის პოზიციაზე. პარტიულობა წმინდა პოლიტიკური მოვლენაა. იგი იზღუდება მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვის მისაღები იდეების წრედით და ძალაუფლებისათვის ბრძოლის გარდა გულისხმობს ამ იდეების ცხოვრებაში გატარებას მიღწეული ძალაუფლების მეოხებით. ვერც ილია, ვერც აკაკი და ვაჟა ვერ შეიზღუდებოდნენ რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიით, რადგან ისინი მსოფლიო მოქალაქეები იყვნენ და თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასაც მსოფლიო სამართლიანობისა და მსოფლიო მოქალაქეობის პოზიციიდან ეწეოდნენ. მათი მოღვაწეობისათვის უცხო იყო ძალაუფლებისათვის ბრძოლა და ამგვარი ბრძოლის მეთოდები. ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური ბრძოლისა და მისივე სურვილის გარეშეც უსიტყვოდ გახლდათ აღიარებული ქართველი ერისა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერად და სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემთხვევაში მის გარდა არავის ხვდებოდა წილად ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინამძღოლობა, თუმცა პრაქტიკულად, ამგვარი უპირატესობის მოსაპოვებლად მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს და არც იმპერიის ტახტისათვის წარმოადგენდა იგი ისეთ საშიშროებას, რომ მის წინააღმდეგ ტერორი გამოეყენებინათ. ამ თვალსაზრისით მეფის ხელისუფლებას უფრო სოციალ-დემოკრატებისა ეშინოდა, თუმცა არც მათი ლიდერების მიმართ იყენებდა აშკარა ტერორს. იმ ფაქტს კი ვერ ვუარყოფთ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, მწერალი იროდიონ ევდოშვილი დემონსტრატიულად გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, რადგან მის მკვლელობაში სწორედ სოციალ-დემოკრატებს სდებდა ბრალს. ილია ჭავჭავაძის სიკვდილით მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, ვისაც იმჟამად მისი ავტორიტეტი უშლიდა ხელს საქართველოში პოლიტიკური ლიდერობისა და პირველკაცობის მოპოვებაში.

მოვლენათა ფარული ურთიერთკავშირებისა გამო მსოფლიო ისტორია სავსეა მოულოდნელობებით. მოულოდნელად დაჰკარგა საქართველომ სახელმწიფოებრიობა და ასევე მოულოდნელად დაიბრუნა იგი. პეტერბურგში მომხდარმა თებერვლის რევოლუციამ, რუსეთის იმპერიისა და მისი არმიის რღვევა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით საქართველოდან გაყვანილ იქნა რუსეთის ჯარი და ქვეყანა სახელმწიფოებრიობის რეალური დაბრუნების წინაშე დადგა. სრულდებოდა დიდი ხნის ნატვრა, იმპერიის მიერ გეორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ რომ არ მოშორებია ქართველთა გონებას. მაგრამ იმ დროის თავკაცები რატომღაც გაუბედაობას ავლენდნენ და აყოვნებდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას. ძნელია დადგენა, მორიდებულობას იჩენდნენ იმის გამო, რომ უბრძოლველად მიიღეს საშუალება, თუ ეს იდეა არ იყო [illegible] მკვიდრებული ქართველობაში, როგორც პოლიტიკური აუცილებლობა, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ საზოგადოებრივი აზრი არ გახლდათ ამისთვის მომწიფებული. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის მომწიფება როდი ნიშნავს იდეის, როგორც პოლიტიკური აუცილებლობის სიმკვიდრეს. ამგვარ გამკვიდრებას პროგრამა, ორგანიზებულობა და რიგი პოლიტიკური აქციებისა უნდა უძღოდეს წინ ამ მიმართულებით ამგვარ საქმიანობას საქართველოში ადგილი არ ჰქონია. პოლიტიკურ ორგანიზებულობასა და აქციების მოწყობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის მესვეურნი ვერ შეედრებოდნენ სოციალ-დემოკრატებს. მაგრამ შექმნილი სიტუაციის კურიოზულობას სწორედ ის განაპირობებდა, რომ იმჟამად საჭედმპყრობელობის პრეტენზიის მქონე თავკაცობა ძირითადად ბოლშევიკებისაგან გათიშული მენშევიკი სოციალ-დემოკრატებისაგან შედგებოდა, რომელთაც ადრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის არასოდეს ცხელოდათ. ეს მადოგმატიზირებლები მარქსიზმისა, მხოლოდ შემთხვევამ დააყენა მწვავე ეროვნული პრობლემის წინაშე. დამოუკიდებლობა მათი იმდენად ქართველი ერის თავისუფლებისათვის როდი სჭირდებოდათ, რამდენადაც საკუთარი იდეების განხორციელებისათვის. ასე რომ ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება მათ დაქვემდებარებულ იდეად აქციეს. უკეთესი პატრონი არ აღმოაჩნდა იმჟამად ქვეყანას და ამგვარ კურიოზს ადგილი არ ექნებოდა, სახელმწიფოებრიობის დაბრუნების იდეა ქართველებში არა ოცნების, არამედ პოლიტიკური აუცილებლობის დონეზე რომ ყოფილიყო გამკვიდრებული.

მიუხედავად ამისა, მოსაბდენი მაინც მოხდა. ჯერ საქართველოს ეკლესიამ სცნო თავი დამოუკიდებლად, დაიბრუნა ავტოკეფალია და ერთხელ კიდევ ცხადპყო, რომ იგი იყო და არის ერთიანი და სუვერენული საქართველოს იდეის გამომხატველი. მალე მის მაგალითს თავკაცობის პრეტენდენტებმაც მიბაძეს და 1917 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. ეს მონაპოვარი არ წარმოადგენდა ეროვნულ ძალთა მობილიზების უშუალო კულმინაციას, მაგრამ იგი უთუოდ ჩაითვლება იმ მიზნის განხორციელებად, რასაც საქართველოს რჩეულმა შვილებმა მე-19 საუკუნის მანძილზე თავიანთი სულიერი ენერგია შეალიეს.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ მისმა მთავრობამ იმჟამად მთელ რიგ სიძნელეებს გაართვა თავი, მათ შორის თავდაცვით ომებს, თურქეთთან და სომხეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის მხარდაჭერითაც სარგებლობდა, ვერა და ვერ აღმოჩნდა იგი სათანადო სიმაღლეზე. მას არ ესმოდა ის ჭეშმარიტება, რომ თუმცა ძნელია დამოუკიდებლობის მოპოვება, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია მისი შენარჩუნება, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საფრთხისა თუ უსაფრთხოების შემთხვევაში, აუცილებელია გადამწყვეტი ზომების მიღება, რომ ძალთა სრული მობილიზაციისათვის საჭიროა დროებით მაინც საქართველოს ერთიან სიმაგრე-ბანაკად გადაქცევა, სამხედრო და საწარმოო-სამეურნეო საწყისთა გამთლიანება, ცხოვრების სხვადასხვა სფეროთა თავდაცვითი მიზნისაკენ წარმართვა, თითოეული მოქალაქის ერთდროულად ჯარისკაცადაც და მეურნედაც გადაქცევა, ყველგან და ყველაფერში დისციპლინა და უაღრესი მობილიზება, სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობის უმაღლეს მოქალაქეობრივ შეგნებაში აყვანა, მღვიძარება და აზრის კონცენტრირება მიღწეულის შესანარჩუნებლად, სიკვდილ-სიცოცხლის ბენვის ხიდზე გატარება მთელი ერისა, რადგან შეუძლებელია დამოუკიდებლობის შენარჩუნება იქ, სადაც თავისუფლება საკუთარი სიცოცხლისა და არსებობის ფასად არ უღირთ. ამის გაგება საქართველოს საჭეთმპყრობელებს ნამდვილად ექნებოდათ, საკუთარი სისხლით რომ მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა. იმჟამად საქართველოში საგანგებო სამხედრო მდგომარეობაც კი არ გამოუცხადებიათ, რაც ნებისმიერ ვითარებაში აუცილებელი ეტაპია დამწყები სახელმწიფოსათვის. **საქართველოს მთავრობა სრულ უსუსურობას იჩენდა იდეოლოგიურ-დისციპლინარული,** დიპლომატიური და სახელმწიფო უშიშროებისათვის საშურო ღონისძიებების გატარებისას. გაბედულება და დამჯერებლობა აკლდა მის ყოველ მოქმედებას. არ იგრძნობოდა გამოცდილება კადრების შერჩევისას — არ იყო მჭიდრო და ორგანიული პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას კავშირი ხალხთან. მის ავტორიტეტს უდავოდ აკლდა ელვარება. მის პიროვნებაში არ გამოსჭვიოდა ერთდროულად გმირი და ბრძენი, ნებისმიერ გარემოებაში უყოყმანოდ რომ მიჰყვება ხალხი. ახლადშექმნილ სახელმწიფოში არ იგრძნობოდა გონების დაძაბული მუშაობა, ნებელობის ძალუმი პულსი, მიზანდასახული სწრაფვა მთელი ერისა, სახელმწიფოს შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთადერთი საწინდარი. ვის უნდა შთაებერა იმჟამად ქართველი ერისათვის დაუცხრომელი სული თუ არა საქართველოს მთავრობა.

შექმნილ ვითარებაში გ[illegible] ბოლშევიკების გამარჯვება ამიერკავკასიაში, რაც შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა:

1. ქართველ სამოციანელთა მიერ გაღვიძებულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ ვერ ჰპოვა სრული გამოხატულება პოლიტიკური პრაქტიკის სფეროში.

2. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა განაპირობა არა იმდენად შინაგანმა, რამდენადაც გარეგანმა ფაქტორმა. ამადაც სახელმწიფო საჭე უფრო შემთხვევითი პიროვნებების ხელში აღმოჩნდა.

3. საქართველოს მთავრობა ყველგან ეძებდა ხსნას, გარდა საკუთარი თავისა, ქართული სახელმწიფოს შენარჩუნების საქმეს არ განამტკიცებდა ჭეშმარიტი ინიციატორისა და ეროვნული გმირის საყოველთაო ავტორიტეტი. ქვეყანას იმჟამად არ აღმოაჩნდა თავად ისტორიის მიერ განწესებული ამ საქმის ღირსეული წინამძღოლი. მოწამენი კი მრავლად დაშთნენ, რაც იშვიათი არაა დამარცხების შემთხვევაში.

4. პოლიტიკური პრაქტიკის სფეროში ბოლშევიკებს იმჟამად ჰყავდათ უფრო ძლიერი და გამოცდილი კონტინგენტი, ვიდრე სხვა პარტიებს.

5. დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, სახელმწიფოებრიობა, როგორც სიკეთის ერთადერთი გაგება ერისათვის, რჩებოდა მძლავრი იდეოლოგიური პროპაგანდის გარეშე, სტიქიური პატრიოტული გრძნობების ამარა, მაშინ როდესაც ბოლშევიკებთან პოლიტიკური პროპაგანდის საქმე უმაღლეს დონეზე იდგა.

6. მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები საქართველოსათვის არასასურველად ვითარდებოდა.

7. ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატისტების უთანხმოებათა გამო ამიერკავკასიაში მოქმედებდნენ გამთიშველი ძალები. ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ბოლშევიკებს კი მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ურთიერთთან და მათი წარმატების შესაძლებლობას კავკასიაში კიდევ უფრო აძლიერებდა რუსეთში ბოლშევიკების საბოლოო გამარჯვება.

8. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ მოქმედების ერთიანი გეზი და მიზანი. მთავრობის შემადგენლობაში მყოფი მენშევიკები ალბათ არც კი მოისურვებდნენ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფას, იქ რომ მენშევიკებს გაემარჯვათ.

9. საქართველოს მთავრობას არ დაუსახავს პერსპექტივები ფინანსურ-ეკონომიური პოლიტიკის ძირეული გარდაქმნისათვის, მძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციისათვის. არ გადადგმულა კონკრეტული ნაბიჯები ახალი, განვითარებული სახელმწიფოს შესაქმნელად, რაიც იმთავითვე, იმ რთულ ვითარებაშიც კი, აუცილებელი იყო, როგორც გარანტია დამოუკიდებლობის ღირებულების ამაღლებისა.

ხშირად საქართველოში მოსაუბრეთაგან გამიგონია როყიოდ წამოსროლილი სიტყვები: ქართველებს რომ დამოუკიდებლობა მოგვცა, მარტო ჩვენი მარგანეცი, ბორჯომის წყალი და კურორტები შეგვინახავდაო. ეს პარაზიტული აზრი კარგს არაფერს ამბობს მთქმელის სახელმწიფოებრივი შეგნების დონეზე. მარგანეცმა და კურორტებმა უნდა შეგვინახოს თუ თავგანწირვამ, ტიტანურმა შრომამ და მეურნის გამჭრიახობამ? ძალაუნებურად გიპყრობს ფიქრი: ნუთუ იმჟამადაც ასე აზროვნებდნენ ჩვენში? გამოდის, რომ თავისუფლების მთელი არსი გაყიდვა და გაქირავება ყოფილა, რათა შემდეგ დაჯდე და სტომაქი ამოიყორო, გამოდის, ჩვენც იმ პრიმიტიული ხალხების დონეზე ვყოფილვართ, ბუნების მიერ მორთმეულით მზამზარეულით, ან სხვისი ნასუფრალით რომ საზრდოობენ. მაგრამ ასე არ სწირავს ჩვენი მლვდელი. ჩვენ ოდითგანვე ხალიბებად და გეორგიანებად სახელდებული პირველი მეტალურგები და სოფლის მეურნეები ვიყავით. ჩვენთვის უხსოვარი დროიდან იყო დამახასიათებელი შემოქმედებითი მიმართება გარემოსთან, რაც დღესაც ატყვია მიუდგომელი სიმაგრეებით გადაქსელილ საქართველოს მთებს, ტაძრებითა და ბაზილიკებით დამშვენებულ ხევებსა და ველ-მინდვრებს, მესხეთის გაშიშვლებულ დამრეცთა ტერრასებს, ძველქართული სოფლის მეურნეობის ამ ფანტასტიურ მოვლენას. დიახ, შემოქმედებითი და შრომითი შემართების უნარმა ოდითგან ფენიქსად აქცია მრავალგზის ფერფლიდან აღმდგარი საქართველო, მომაკვდავის სარეცელიდან კვლავ სიცოცხლისაკენ გამოაბრუნა. ოცნება და იმედი სინამდვილედ უქცია.

მაგრამ საქართველოს მთავრობას, რომლის ინერტულობა გადამდებად მოქმედებდა ხალხზე, არ აღმოაჩნდა იმჟამად სახელმწიფოს შემოქმედებითად მართვის უნარი. მან ვერ გამოიყენა საქართველოს დამოუკიდებლობა ქვეყნის განახლებისა და აღშენებისათვის. განახლებას ვინღა დაეძებს, დამოუკიდებლობასაც კი ვერ გაუფრთხილდა და 1921 წელს, ბოლშევიკებმა, რუსეთის სტეპებიდან კავკასიაში შემოჭრილი მე-11 არმიის მეოხებით საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს საქართველოში. უშედეგო წინააღმდეგობის შემდეგ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. გამარჯვებულებმა ამ ბრძოლას განმათავისუფლებელი უწოდეს. ხოლო დამარცხებულებმა ... ვენცია.

მაინც რამ გამოიწვია ეს ომი? გადაიწყარა სიმართლის სასწორი იქეთ, საიოკენაც გამარჯვება იყო? რა მიზანი ამოძრავებდათ ბოლშევიკებს? რა იყო მოტივი მათი მოქმედებისა?

ბოლშევიკებს ნამდვილად არ მოეპოვებოდათ იურიდიული საფუძველი საქართველოს ყოფილი მთავრობის კანონგარეშე გამოცხადებისათვის, მით უმეტეს, რომ მანამდე მათ სცნეს კიდეც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ჰქონდათ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. იმ მთავრობას არავითარი უკანონობა არ ჩაუდენია არც ძალაუფლების მოპოვებისას და არც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისას. მას არც რომელიმე კანონიერი მთავრობა დაუმხია და არც ვისმესთვის გამოუცხადებია საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ომი, არც ანტიჰუმანისტური პროპაგანდა გაუნევია და არც რეპრესიებით შეუნუხებია თავისი ხალხი. ეს იყო არც თუ ძლიერი, მაგრამ ჩვეულებრივი მთავრობა, რომლის მსგავსი შეიძლება ჰყავდეს ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს. მან რომ ქართველი ხალხი ფართე მასშტაბის მოქმედებაში ვერ მოიყვანა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ხალხი ანტიპატიურად იყო მისადმი განწყობილი და სურვილი არ ჰქონდა იმისა, საკუთარი მთავრობა ჰყოლოდა. ხალხმა მას მხარი დაუჭირა, მედგრად იბრძოლა კიდეც და მოსულებს წინააღმდეგობა გაუწია იმდენად, რამდენადაც მთავრობამ შესძლო მისი ძალების მობილიზება. ამაოა მტკიცება იმისა, თითქო ქართველ ხალხს ჩაგრულის პოზიცია ეკავა და განთავისუფლებას ესწრაფვოდა. არც თუ საკუთარი სახელმწიფოს გაუქმებას ლამობდა იგი, რადგან არ არსებობს დედამიწის ზურგზე ერი, მსგავსი სურვილი რომ ამოძრავებდეს.

მიზანი რუსეთის ბოლშევიკებისა, ძალაუფლების მოპოვებისთანავე იყო საკუთარი იდეოლოგიისა და სახელმწიფო წყობის გავრცელება ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, რუსული ენის გავრცელების არეში, ყველგან, სადაც კი როდესმე არალეგალური ორგანიზაცია ჰქონიათ და პოლიტიკური აქციები განუხორციელებიათ. ეს კი თავისთავად იმპერიის ყოფილი ტერიტორიის კვლავ გამოლიანებას და ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მოქცევას ნიშნავდა. ბოლშევიკებს შორის, რუსეთში, იმჟამად იმყოფებოდნენ იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან მოსული პირები, რომელთა პრესტიჟისათვის, როგორც სჩანს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ იდეოლოგიისა და სახელმწიფო წყობის

გამარჯვებას მათი ყოფილი მოქმედების არეში. სულ მალე, ძალთა მოკრეფისა და შინაურ საქმეთა მოგვარების შემდეგ, რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ფართე მოქმედება გაშალა ამ მიმართულებით, რასაც თავისი იურიდიული გამართლება გამოუნახა, საყოველთაო საერთაშორისო იურიდიული საფუძვლებისაგან განსხვავებული. თუკი ნებისმიერ მიმდებარე ქვეყანაში, მისი მომხრეებისაგან შემდგარი მცირე ჯგუფიც კი სთხოვდა მას შეიარაღებულ დახმარებას იქ არსებული სახელმწიფო წყობილების დასამხობად, საკუთარი იდეოლოგიისა და წყობილების ერთად-ერთ მართებულ წყობად მიჩნევისა და პროლეტარულ-ინტერნაციონალური სოლიდარობის ცნობილი ლოზუნგის საფუძველზე, იგი ამგვარი ჩარევის უფლებას აძლევდა საკუთარ თავს, რაც სხვა სახელმწიფოში შეიარაღებული ძალებით შეჭრას ნიშნავდა. იდეოლოგიურ საფუძველზე სხვა ქვეყნების საქმეებში შეიარაღებული ჩარევის თითქმის მსგავს პრეცენდენტებს ადრეც ჰქონია ადგილი მსოფლიო ისტორიაში და ეს ამბავი ბოლშევიკების გამონაგონი არ არის. იდეოლოგიური მოტივით და მოქმედების ექსპანსიონისტური ფორმით შემოჭრა ბოლშევიკების მე-11 არმიისა საქართველოში და როგორც თავადვე განაცხადეს, ეს გამოინვია ადგილობრივი არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის თხოვნამ დახმარებისათვის, ორგანიზაციისა, რომელიც თუ დავუჯერებთ საარქივო მასალებს, წლების მანძილზე რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის დირექტივებით მოქმედებდა საქართველოში და ცხადია ეს თხოვნაც დირექტივით იქნებოდა ნაკარნახევი. იმის დასამტკიცებლად, რომ ამგვარი მოქმედება არ არის ველიკორუსული დამპყრობლური პოლიტიკის გამოვლინება და არაფერი აქვს საერთო საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებასთან წარსულში, გაუქმებული ქართული სახელმწიფოს ნაცვლად, მათ იმგვარი რამ უნდა შემოთავაზებინათ, რაც მათის აზრით გააბათილებდა მოსალოდნელ ბრალდებას. რუსეთის შემადგენელ ოლქად საქართველოს გამოცხადების საკითხი არც კი წამოჭრილა, რადგან ამგვარი სტერეოტიპი გეორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევისა გაბათილების ნაცვლად აშკარად ცხადჰყოფდა მოსალოდნელი ბრალდების სისწორეს. ხელაღებით იქნა **უარყოფილი ქართველ ბოლშევიკთა ერთი ჯგუფის მიერ შემოთავაზებული პროექტი** ახლადდამყარებული წყობილების შენარჩუნებით საქართველოს რუსეთისაგან სრული გამოცალკევებისა და რადგან უკლონისტებად წოდებული ეს ჯგუფი პრინციპულად მოითხოვდა ამ პროექტის განხორციელებას შინაპარტიული კონფლიქტი მისი სრული ლიკვიდაციით დამთავრდა. როგორც ჩანს, ზემოხსენებული პროექტის უარყოფის [illegible] სეთოდ იმედი არ ჰქონდათ საქართველოში ახლად-დამყარებული წყობილების შენარჩუნებისა.

და ბოლოს, ბოლშევიკებმა ახალი ტიპის ექსპერიმენტული სახელმწიფო შესთავაზეს ხალხებს. მათ პირველებმა გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯი დაახლოებით იმგვარი მრავალეროვანი სახელმწიფოს შესაქმნელად, ასე საოცრად რომ ჩამოჰგავს გერმანული ფილოსოფოსის, ფრიდრიხ ემანუილ კანტის მიერ აპრიორული მეთოდით მიკვლეული სახელმწიფოს პროექტს (კანტი ეხება ეროვნულ და არა სოციალურ სტრუქტურას). ეს იყო სხვადასხვა სახელმწიფოთა გაერთიანებით შექმნილი ერთიანი სახელმწიფო, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა თითოეული მათგანის სუვერენიტეტის ხელყოფას. კანტის წარმოდგენით სახელმწიფოები მოლაპარაკებით, ანუ ნებაყოფლობით უნდა შემოკრებილიყვნენ ერთი ძლიერი სახელმწიფოს გარშემო, და ამგვარი კავშირი მათ შორის მუდმივი მშვიდობის გარანტიად უნდა ქცეულიყო. რესპუბლიკებად წოდებული სახელმწიფოები, მათ შორის იმჟამად ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი საქართველო, მართლაც რსფსრ-ს გარშემო აღმოჩნდნენ შემოკრებილი, თუმცა კანტის ფორმულა ნახსენებიც არ ყოფილა. უფრო სწორედ ეს უზარმაზარი ქვეყანა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი რომ ეწოდა, ნაციონალობათა მიხედვით დაიყო რესპუბლიკებად, ავტონომიურ რესპუბლიკებად და ავტონომიურ ოლქებად. თითოეულ მათგანს უნდა ჰყოლოდა საკუთარი მთავრობა, რომელიც საბოლოო ანგარიშში დაექვემდებარებოდა საკავშირო მთავრობას, ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების გამომხატველს. ამ სახელმწიფოს კონსტიტუციით გარანტირებული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკების კავშირში ყოფნისა თუ კავშირიდან გასვლის ნებაყოფლობითობა, აგრეთვე თანასწორუფლებიანობა თითოეული ერისა. ნებისმიერ რესპუბლიკას უნდა ჰქონოდა სახელმწიფოებრიობის აღმნიშვნელი ყველა ატრიბუტი თუ სიმბოლო.

თუმცა რუსეთ-საქართველოს ახალი ურთიერთობის გამომხატველი სიტყვა „მოკავშირე" არ ეწინააღმდეგებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის სულისკვეთებას, მაგრამ ისიც გარკვევით უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული ხალხების შემოკრება რუსეთის გარშემო მოლაპარაკებით როდი მომხდარა და ამდენად არც ნებაყოფლობითი ყოფილა. როგორც საქართველოს მაგალითზე ჩანს, იგი რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის შეიარაღებულ ძა-

ლთა მეშვეობით იქნა განხორციელებული. მხოლოდ ამგვარი შემოკრების შემდეგ იქნა შემოთავაზებული ერთიანი სახელმწიფოს ზემოხსენებული პროექტი. რაც შეეხება ნებაყოფლობითობას, თავად სიტყვა სახელმწიფო, როგორც იძულების გარკვეული საშუალება, რამდენადმე გამორიცხავს ამგვარ შინაარსს. ნებაყოფლობითობა ადამიანის მხოლოდ ღვთისა და მოყვასისადმი მიმართებაში შეიძლება გამოიხატოს. მოქალაქის სახელმწიფოსადმი და სახელმწიფოს სახელმწიფოსადმი მიმართება კი უფრო ვალდებულებითია (ძირითადად ამით განსხვავდება ღვთისა და კეისრისადმი მისაგებელი). მაგრამ ვალდებულებითი შეიძლება იყოს ისეთი რამ, რასაც ნებაყოფლობითაც გააკეთებდი და ისეთი რამაც, რასაც იძულებით აკეთებ. იდეალურია სახელმწიფო, სადაც ვალდებულებითი რაც შეიძლება მეტად უახლოვდება ნებაყოფლობითს. მაგრამ ამგვარი იდეალურობისადმი ნდობა უკვე შერყეული იყო დასაწყისშივე ჩადენილი ძალმომრეობის გამო.

მიუხედავად შემოთავაზებული პირობებისა, ქართველ ხალხს, მაინც არ დაუკლია მცდელობა დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად, რადგან იძულება, მისი კავშირში შეყვანისას რომ ჰქონდა ადგილი, ნდობას უკარგავდა მას იმათ მიმართ, ვისზეც ყველაზე მეტად იყო დამოკიდებული კონსტიტუციით გათვალისწინებული ნებაყოფლობითობის ცხოვრებაში რეალიზება. 1924 წლის გამოსვლები, პატრიარქ ამბროსი ხელაიას მემორანდუმი გენუის კონფერენციისადმი, კონსტანტინე გამსახურდიას ღია წერილი ლენინისადმი და კიდევ სხვა ფაქტები აშკარად მეტყველებდნენ ქართველთა სურვილისათვის დაებრუნებინათ ქვეყნისათვის დამოუკიდებლობა. მაგრამ გამოსვლებს მოჰყვა სისხლიანი რეპრესიები, ამბროსი ხელაია თანამოსაყდრეებთან ერთად გააციმბირეს, კონსტანტინე გამსახურდია დაატიმრეს და სამი წლით სოლოვკებში გადაასახლეს. ხოლო ნებაყოფლობითობა კავშირში ყოფნისა თუ კავშირიდან გასვლისა მიუწვდომელ ქიმერად რჩებოდა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით არასოდეს მიუმართავთ ღია რეფერენდუმისათვის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ზუსტად დადგენა და განსაზღვრა ხალხის სურვილისა.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. თაობას თაობა მოჰყვა. ურთიერთობებში ბევრი რამ გამოირკვა. იმის გამო, რომ ვერ დაიბრუნა 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობა, ქართველი ხალხი ხელებს ვერ დაიკრეფდა, შემოქმედებით ენერგიას ვერ დაამწნილებდა, კულტურის, მეცნიერებისა და მატერიალურ საქმეებს ღვთის ანაბარად ვერ დატოვებდა. მას ახალ, შემოთავაზებულ პირობებში უნდა ეცადა ძალები, მოენახა საკუთარი პოზიცია, შეემოწმებინა თავისი სამოკავშირეო ურთიერთობების იურიდიული სიმკვიდრე და, ძალაუნებურად, მოკავშირის მიმართება მისსა და კონსტიტუციური ვალდებულებებისადმი. ახალ გარემოებაზე გადართვა არ ყოფილა უშუალო, ბუნებრივი. იგი გარკვეულ შეგუებას მოითხოვდა, შეგუებას თუნდაც იმ აზრთან, რომ ნებისმიერ, გინდაც არასახარბიელო გარემოში უნდა აკეთო, უნდა შექმნა, უნდა იშრომო, რათა შენი წილი დრო არ გაგეპაროს, კვალგაუვლები არ დაგრჩეს მინა. ქართველი კაცის ისედაც დინამიური ბუნება არ დარჩენილა სარბიელის გარეშე, რადგან მე-20 საუკუნის ჯერ არ ნახული დინამიკის სისტემაში საქართველოც ჩაერთო. მაგრამ წინაალმდეგობათა ჭიდილის იმ ატმოსფეროში მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო შემომქმედ ძალთა რეალიზება საკუთარი მრწამსისა და სინდისის შეუმღვრევლად. სწორი ორიენტაციის აღება გონიერებასთან ერთად გამბედაობასაც მოითხოვდა, რადგან სწორხაზოვნებისა და ფანატიზმის ყრუ კედელი სწორედ იქ აღიმართება, სადაც ერთადერთი მართებულად მიჩნეული იდეოლოგიის სოციალურ ყოფაში რეალიზებას ინყებენ, როცა იდეოლოგიას, რაგინდ ჰუმანიურიც არ უნდა იყოს (იგი, ადამიანზე მეტად იყვარებენ, როცა ავიწყდებათ, რომ ყველაფერი ამ ქვეყნად თვით ცა და სამყარო და რაღა თქმა უნდა იდეებიც და იდეოლოგებიც ადამიანისთვის უქნია ღმერთს და არა ადამიანი მათთვის. ეროვნულ და ინტერნაციონალურ საწყისთა ჰარმონიზების, დიდ და მცირერიცხოვან ერთა ურთიერთობის მარად მტკივნეულ პრობლემათა თეორეტიზება გაცილებით იოლი საქმე ყოფილა, ვიდრე ამ საკითხების ცხოვრებისეული გაგება და პრაქტიკაში განხორციელება. ამ პრობლემებთან დაკავშირებით მოთმინების თასმები ხშირად დაწყვეტამდე დაჭიმულა და ცხადია იმ პრეტენზიებსაც ვერავინ აუელის გვერდს, ამ ხნის განმავლობაში რომ დაგროვდა. ბუნებრივიცაა, რადგან არათუ სახელმწიფოებს, ერთ ჭერ ქვეშ დიდხანს მცხოვრებ ადამიანებსაც კი უჩნდებათ პრეტენზია ურთიერთის მიმართ. ეროვნებით რუსმა საბჭოთა მოქალაქემ, სიტყვა პრეტენზიის ხმარებაზე შეიძლება გაიკვირვოს და ამგვარად გვიპასუხოს: „თუ მართლაც სუბიექტურად არ ვუდგებით ჩვენი ერების ურთიერთობის საკითხს, რა პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ ქართველებს რუსების მიმართ? მეფის რუსეთის მიმართ უკმაყოფილება კიდევ გასაგებია და ჩვენც არა ერთგზის დაგვიგმია ცარიზმის პოლიტიკა, მაგრამ დღეს განა თქვენც ისეთსავე სახელმწიფო ერთეულს არ წარმოადგენთ და იმგვარივე ეროვნული, ხა-

ლხის მიერ არჩეული მთავრობა არა გყავთ, როგორც ჩვენ? საკავშირო მთავრობის შემადგენლობაში განა იმთავითვე არ შედიოდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის ქართველები, დიდი ხნის მანძილზე წამყვანი თანამდებობები რომ ეკავათ? რატომ უნდა შევრაცხოთ მაინცდამაინც რუსები ყოველივე კარგისა თუ ცუდის მიზეზად და არა ყველანი ერთად? განა რუსებისათვის იგივე კანონები არ იწერებოდა, რაც ქართველებისათვის? თუ ჭირისა ან ლხინის, თავისუფლებისა თუ შეზღუდვის მეტ-ნაკლებობას ჰქონდა ადგილი? განა მანდელშტამის, გუმილიოვის და სხვათა სიკვდილის მიზეზსა და თარიღს ისევე არ უვლიან ამჟამად გვერდს ბიოგრაფები, როგორც მიხეილ ჯავახიშვილისას, ტიციან ტაბიძისას, ევგენი მიქელაძისას, ახმეტელისას და ვახტანგ კოტეტიშვილისას? ისევე არ უჭირდათ ოდესღაც ცვეტაევასა და ბულგაკოვს, როგორც დავით კაკაბაძეს, გუდიაშვილსა და გამსახურდიას? განა არ უდრის პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა ან გალაკტიონ ტაბიძის უკანასკნელი ნახტომი მარადისობისაკენ ესენინისა და მაიაკოვსკის მიერ საკუთარი ხელით თავში დახლილ ტყვიას? განა ისევე არ მოჰკითხეს იაგოდას, ეფოვს, აბაკუმოვსა და დიუმილს ცოდვები, როგორც ბერიას, გოგლიძეს, რაფავასა და რუხაძეს? თუ ჩვენთვის ვაშენებდით, თქვენთანაც შენდებოდა, თუ რისამე სინაკლებეს განიცდიდით, ჩვენც განვიცდიდით, თუ გეგმებით გტვირთავდნენ, ჩვენც ვიტვირთებოდით, თუკი რამ გეკრძალებოდათ, იგივე ჩვენც გვეკრძალებოდა. მაშ რას გვემართლებით! რაც იმჟამად სახელმწიფოში ხდებოდა, ინიციატორები ხელისუფლების სათავეში მდგომი ქართველებიც იყვნენ და თუ რამ არ მოგწონთ, მათაც უნდა მოჰკითხოთ. მაგრამ ზადს თუ ხედავთ, კარგს რატომ ვერ ამჩნევთ? მოკავშირეობამ არ უზრუნველყო ხანგრძლივი მშვიდობა მოცემულ რეგიონში, ხოლო მშვიდობა — მეცნიერებისა და კულტურის ძლავრი აღმავლობა? აღმავლობა კერძოდ ეროვნული კულტურებისა? განა ჩვენს დროში არ იქცა აგრარული საქართველო ინდუსტრიულ ქვეყნად? არ გაფართოვდა, არ აშენდა და არ დამშვენდა მისი სოფლები და ქალაქები? როდესმე ყოფილა განათლების სისტემა თქვენში ეგზომ ძალუმი, ქმედითი და ყოვლის მომცველი? რამდენი ინსტიტუტი და სპეცსასწავლებელი გაიხსნა ქართველებისათვის და რაც მთავარია, მოგეცათ საშუალება საკუთარი, ქართული მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისა, რაიც მე-12 საუკუნის შემდეგ არ გღირსებიათ, და ან გყოლიათ როდესმე ამდენი მეცნიერი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი ნებისმიერი დარგისა? განა არნახული აღორძინება არ განიცადა ჩვენს დროში ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ? ან შეგიძლიათ დღეს დაგვაყვედროთ მის მიმართ მცირე ინტერესი, ან გულგრილობა? თითქმის მთლიანად არ ვთარგმნეთ ძველი და ახალი ქართული კლასიკური ლიტერატურის უმთავრესი ნიმუშები? განა ყველანაირად არ ვუწყობთ ხელს ქართული ხელოვნების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას? სხვა რა ვიღონოთ? რა მოვიმოქმედოთ თქვენდა საამებლად? და ან საყვედურები რა გზით ავიცდინოთ? იქნებ ეგეოდენი არაკეთილ განწყობა და უმადურობა ეს შენივე ბუნებიდან მოდის? ეგებ შენ და შენნაირები საკუთარ ბოლმას ვერ მორევიხართ და მიზეზს ეძებთ, როგორმე ბალღამი ჩვენზე გადმოანთხიოთ? თუ ასე არ არის, მაშ გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლის თავზე, ჩვენ რომ ვზეიმობთ, ნაგავში რატომ იქექებით? რატომ აღნიშნავთ მხოლოდ ზადს და კარგის დანახვა არ გსურს? რატომ ამუქებ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას?"

ამის მთქმელს ამგვარ პასუხს დავუბარებ:

არც ჩემი ერი, არც მე, საკუთარი ბედის მგმობელი აროდეს ყოფილვართ, არამედ შავს ბედთან მებრძოლი ვიყავით მუდამ. ამიტომ უცხოა ჩვენთვის ბოლმის ნთხევა და ქექვა ნაგვისა. მაგრამ თუ ჩვენი ერების ურთიერთობის გახსენებისას როდესმე ნაგვისათვის ფეხი წამოგვიკრავს, მერწმუნე, იგი არც მე, არც თვისტომთა ჩემთა არ დაგვიყრია. სურათი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისა არაოდეს გაგვიმუქებია, არამედ შესაძლებელზე მეტად გაგვიბაცებია, კარგი სანთლით გვიძებნია და ზოგჯერ ცუდშიც კარგის დანახვას ვცდილვართ. ასე რომ ზადი არ აღგვინიშნავს დადებითთან შეუწონასწორებლად, რადგან ისიც ვიცით, რომ წუთისოფლად წარმოუდგენელია ზადი კარგისა და კარგი ზადის გარეშე. ამდენად ვეცადეთ სიმართლეს. არ განვდგომოდით. ამაოდ გვაბრალებთ რუსებისადმი არაკეთილგანწყობას. ჩვენი რუსებისადმი კეთილგანწყობა გეორგიევსკის ტრაქტატამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. ჯერ კიდევ მითოლოგიურ ხანაში კოლხეთის მეფე აიეტი და სკვითეთი კარგ დამოკიდებულებაში ყოფილან. ოდეს საქართველოს სამეფოს დიდება გაბრწყინდა, ჩვენ, უგანათლებულესი ევროპელი იმპერატორის, ფრიდრიხ მეორის ვაჟს რუსი უფლისწული გიორგი ვამჯობინეთ და ქმრად დავუსვით ვის? თვით დიდ თამარს! მაგრამ ვერ ივარგა მან ვერც მეფედ, ვერც მეუღლედ და უმსგავსობათა მისთა გამო განაქორწინეს იგი, რის გამოც დაიკარგა ბრწყინვალე შესაძლებლობა რუსეთსა და საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარის მცხოვრები ნარმართი ხალხების გაქრისტიანებისა, რისთვისაც ფრიად იღწვოდნენ იმჟამად ქართველები. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, თურქეთისა და სპარსეთის პირისპირ ეულად შთენილმა დანაწევრებული საქართველოს სამეფო სამთავროებმა, განსაკუთრებით კახეთის, ხოლო შემდეგ ქართლის სამეფომაც, რამდენიმე გზის შეჰფიცა რუსეთს ერთგულება და ხელმწიფეს მისას ჯარი სთხოვა ხელის მოსამართად. კახეთისა და ქართლის მეფენი თავადაც წასულან სარუსეთოდ საქმის დასაჩქარებლად. მიზანი მათი გახლდათ ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებით შეუვალად ქცევა საქართველოს საზღვრებისა და არამც და არამც საქართველოს თუნდაც ცალკეულ სამეფო-სამთავროთა მოშლა და რუსეთის სამეფოსთან შეერთება. რუსეთთან მეგობრობის მაძიებელთ ქართველ მეფეებს გულს ლახვრად დაესობოდა საიდუმლო ბრძანება პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რადგან სახელმნიფოებრიობის დაკარგვის საზღაურად რადი ეძებდნენ ისინი მეგობრობას. ასე რომ, აროდეს დაგვიბრალებია რუსებისათვის იმაზე მეტი, რაც დაიმსახურეს და არც საბჭოეთის ოდესღაც საჭეთმპყრობელი ქართველების ცოდვა და ნაკლი მიგვიწერია მათთვის, მაგრამ ისიც იცოდეთ: სწორედ იმ ქართველებმა, განსაკუთრებით იმან, ვის სახელსაც ხშირად სამშობლოს ვუტოლებდით, შეაკავა მასა ქართველებისა და ააღებინა ხელი უკიდურესი ზომების მიღებაზე, ანუ სახალხო ომის წარმოებაზე 1921 წლის ამბების საპასუხოდ.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, მისი შემადგენლობა ძირითადად ქართულია და ამდენად შეიძლება ეროვნული ეწოდოს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს არცერთი ცკ-ს პირველი მდივანი, ანუ რესპუბლიკის ყველაზე უფრო უფლებამოსილი პირი თავის პოსტზე არ მომკვდარა. მას მუდამ მოსკოვი ნიშნავდა, მოსკოვი ხსნიდა ან გადაჰყავდა რუსეთში სხვა თანამდებობაზე. კიდევ კარგი, რომ ქართველს მაინც ნიშნავდა და ამ მხრივ საყვედური არ გვეთქმის. მაგრამ სულაც რომ არ შევადაროთ ეს ამბავი ოდესღაც ერანის შაჰების ჩარევას საქართველოს სამეფო ტახტის საქმეებში და ობიექტურიც რომ იყოს მოსკოვის არჩევანი, ის ხომ მაინც ფაქტია, რომ თბილისი და თავად საქართველო არ ირჩევს უფლებამოსილ პირს რესპუბლიკის ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობაზე? გონების თვალი იმდენად არ დაბლაგვებია ქართველობას, ეს რომ ვერ დაინახოს. იმასაც ვხედავთ, ერთნაირად რომ უკლიან დუმილით გვერდს ზემოხსენებული რუსი და ქართველი მოღვაწეების სიკვდილის მიზეზსა და აღმნიშვნელ ფარულ ბიოგრაფები, მაგრამ სწორედ ეს ფარული შემაშფოთებელი, რადგან მოწმობს, რომ ისინ და ისევ ვერ შეუგნიათ ჩვენში ან არ სურთ შეიგნონ საშინელება იმ ამბებისა, მრავალი ღირსეული ადამიანი რომ იმსხვერპლა. მრავალისათვის ჯერ კიდევ ვერ იქცა გაკვეთილად ის სამაგიერო, იმ საშინელებათა დამმართებლებს რომ დაატყდათ თავს.

საქართველო მოაზროვნეთა და როგორც წელან მიგვანიშნეს, მაღალი კულტურისა და განვითარებული მეცნიერების ქვეყანაა. მაგრამ ეს მარტოოდენ ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრების შედეგი როდია. მშვიდობიანი ცხოვრება ცალი მხარეა მედლისა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ქართველი კაცი მშვიდობიანობისას ისევე მარჯვედ ხმარობს კალამს, ფუნჯსა და გუთანს, როგორც მახვილს ომიანობის დროს. როგორ უნდა მოსცარვოდა მეცნიერებაში ხელი საქართველოს, როდესაც თავად მეცნიერება გლობალური ფენომენია, ვერ თავსდება ერთი ერისა თუ სახელმწიფოს ჩარჩოებში და ვითარდება მხოლოდ მსოფლიოს მეცნიერთა გამუდმებული კოორდინირებული მოქმედების შედეგად? მსოფლიო მეცნიერული აზროვნების ერთიან ქსელში ჩართულმა ქართველმა მეცნიერებმა კიდეც შესძლეს აეღორძინებინათ ჩვენში მეცნიერების ის დარგები, რომელთა განვითარების საშუალებას საქართველო იძლევა. გარდა ამისა ერთპარტიულობა და ერთი იდეოლოგიის დიქტატი, რამდენადმე რომ აფერხებს ჩვენში სიტყვის თავისუფლების საქმეს, ვნებას არ აყენებს სწავლა განათლების სისტემას, რომელიც იმდენად დემოკრატიზებულია, რომ ნებისმიერს ეძლევა საშუალება თავისი ნიჭის, სურვილისა და სიბეჯითის შესაბამისი განათლების მიღებისა, რაც ერთობ საიმედო ბაზისია მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

მაგრამ მეცნიერებით, მითუმეტეს თანამედროვე მეცნიერულ ტექნიკური გიგანტიზმით მხოლოდ აღფრთოვანება და ვერ დანახვა იმ უფსკრულისა, საითკენაც იგი კაცობრიობას მიაქანებს, სრული სიბეცეა და სხვა არაფერი. ეს გიგანტიზმი გამოინვია ორი სისტემის მკვეთრმა დაპირისპირებამ მსოფლიოში, ორივემ ერთად კი ურთიერთდაპირისპირებული, ჯერ არ ნახული მასშტაბით სამხედრო კოალიციების შექმნა. განა ორი სისტემის ანტაგონიზმმა არ წარმოშვა გამუდმებული შიში, უნდობლობა, ფარული თუ აშკარა შეჯიბრი შეიარაღებაში? (ასეა, როდესაც ერთიმეორის მესაფლავედ, ან მისი მესაფლავის ქომაგად მიიჩნევს თავს). ამ უკანასკნელმა კი გიგანტური ნახტომით ტექნიკის განვითარებაში, რადგან ისიც ცნობილია, რომ წარმო-

ების საშუალებათა წარმოების, ან დაზგათ-მშენებლობის და ენერგიის წყაროთა მოპოვებისა და გამოყენების პრინციპი ერთიდა იგივეა, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო ტექნიკის სფეროში. ხოლო რაც შეეხება გამოგონების დაჩქარებას და მისი რეალიზაციის ციებცხელებას, აქ სამოქალაქო ტექნიკა ახლოსაც ვერ მოვა სამხედრო ტექნიკასთან. გამოდის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური გიგანტიზმი ნანილობრივ შიშის, უნდობლობისა და სიხარბისაგან გამოწვეული ნახტომი ყოფილა. სავალალოა, რომ მეცნიერულმა აზროვნებამ ბევრად გაუსწრო ადამიანთა საზოგადოების მორალურ განვითარებას, რამაც დედამიწა შემზარავი კატასტროფის, გამოფიტვისა და განადგურების წინაშე დააყენა. და ამ ამბავს ღორისა და მუხის იგავის გარდა ვერაფერს შეადარებ.

მაინც რა გვეჩქარება? ვინ მოგვდევს? განა მარადისობა ჩვენი არ არის? თუ ეს ტემპები გამონვეულია სურვილით ურთიერთს გადავასწროთ, რათა უკეთ დავჯაბნოთ მოწინააღმდეგე და ამით უზრუნველყოთ საკუთარი უსაფრთხოება, თუ კეთილდღეობა? განა უმჯობესი არ იქნება ზომიერი ტემპის აღება, დედამიწის რესურსთა დაზოგვით გამოყენება, შეწონასწორება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა ადამიანთა საზოგადოების მორალურ განვითარებასთან, ყურადღების გამახვილება უფრო უფლებრივ, ეროვნულ და ჰუმანისტური ხასიათის სხვა პრობლემებზე? ნებისმიერი პროგრესი, თუკი იგი ნაადრევია, ბოროტების სამსახურში დგება. ცხადია, შემეცნების სფეროში დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური გიგანტიზმი დაუშვებელია, ვიდრე დედამიწაზე არსებობს სოციალურ სისტემათა დაპირისპირებით გამოწვეული გლობალური მასშტაბის ანტაგონიზმი.

ძირეული საკითხიდან ასე არ გადავუხვევთით, მრავალი დიდი და პატარა ერის მსგავსად საქართველოც რომ არ იყოს ჩათრეული მსოფლიო კონფლიქტის ციებ-ცხელებაში. მეტად თუ ნაკლებად, პირდაპირ თუ ირიბად დღეს არც ერთი არაა დაზღვეული ამგვარი თავსატეხისაგან.

ახლა კი ჩვენი ეპოქის ქართული კულტურისათვის ვთქვათ ორიოდე სიტყვა, უფრო სწორედ ზრდილობიანი პასუხი გავცეთ ჩვენთან მოსაუბრე რუს მოქალაქეს. რაც მან ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, აგრეთვე მის რუს დამფასებლებზე თქვა, თითქოს კომენტარს არ უნდა საჭიროებდეს. მაგრამ ერთი ესეც ვიკითხოთ: ქართველებმა უნდა დააფასონ მსოფლიოს ხალხები რუსთაველის დაფასებისათვის, თუ მსოფლიოს ხალხებმა საქართველო რუსთაველის. ისე ვით საბერძნეთი ჰომეროსის, ინგლისი შექსპირის, გერმანია გოეტეს, რუსეთი ტოლსტოი-ის გამო? ქართველმა ხალხმა თუ [illegible] ყველა მაღალი თუ საშუალო რანგის რუსი მწერალი, ხელოვანი თუ მეცნიერი, რომელსაც რაიმე დაუწერია ან გამოუთქვამს საქართველოზე, ან უთარგმნია ქართველ მწერალთა საუკეთესო ქმნილებები, დააფასა როგორც მხოლოდ ღირსეულის დამფასებელი. ხოლო ნამდვილის საზღაური ჩვენი რუსი დამფასებლების მიმართ ყოველივე იმის დაფასებით გაგვიღია, რუსული კულტურის ღირსებას რომ წარმოადგენს. ისე კი ჩვენს კულტურას თავზე არავის ვახვევთ და არც ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟს საჭიროებს იგი, რადგან ისიც ვიცით: თვალზე ხელის ამფარებელი ბევრიც რომ აღმოჩნდეს, ზეაწვდილი ჩირაღდანი ბნელს მაინც განანათებს.

როდესაც ქართული კულტურისადმი რუსების ყურადღებისათვის ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ გვრჩება ის ამბავიც, რომ რუსული ქართველოლოგია ჯერჯერობით ახლოსაც ვერ მოდის რუსულ ბერძენოლოგიასთან, ლათინოლოგიასთან, გერმანოლოგიასთან, ანგლოლოგიასთან და თუნდაც ქართულ რუსულოგიასთან. რუსებმა ჯერ საქართველოს ისტორიაც კი არ იციან ხეირიანად; ამ ხნის მანძილზე განა არ უნდა ეთარგმნათ რუსულად და გამოეცათ „ქართლის ცხოვრება", ისე ვით თარგმნეს ოდესღაც ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, თუკიდიდეს, ტაციტის, პლუტარქეს და სხვათა ისტორიული ქმნილებები? მე, ეროვნებით ქართველმა, როცა მეგონა სამშობლოს ჩემსას კარგად ვიცნობდი, ხელახლა აღმოვაჩინე იგი, როდესაც „ქართლის ცხოვრება" წავიკითხე. ქართულ მწიგნობრობაში „ვეფხისტყაოსნის" შემდეგ თავისი მნიშვნელობით მას ვერც ერთი წიგნი ვერ შეედრება. ქართველი მემატიანენი არც აღწერის სტილით, არც დასკვნების ობიექტურობით და არც ისტორიულ მოვლენებში წვდომის სიღრმით არაფერს დაუთმობენ ანტიური ხანის ისტორიული მწერლობის მოჰიკანებს და ამას ყოველგვარი მიკერძოებისა და ეროვნული ქედმაღლობის გარეშე ვამბობ. განა მარტოოდენ ქართველებმა უნდა ვიცოდეთ არგვეთის ერისთავების, ცოტნე დადიანის, იოთამ ზედგენიძის, შანშე ქსნის ერისთავის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავების, დემეტრე თავდადებულის, ქეთევან დედოფლის, თევდორე მღვდელის, ვახტანგ გორგასლანის, თორნიკე ერისთავის, დავით აღმაშენებელის, თამარის და სხვათა სიქველის ამბავი, გასაოცარი ქმედებანი, ზნეობრივი სრულქმნილებით ეროვნულ ფარგლებს რომ სცილდებიან? რომელი ეროვნების ადამიანს არ შესძრავს საკვირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება დავით ულუსი, და ან შექსპირის ჯალმის საკადრისი ცხოვრებისეული ტრაგედია რუსუდან დედოფლისა, თეიმურაზ პირველისა და გიორგი საკაძისა? ხალხების წარსულს მხოლოდ იგი არ აგდებს აინუნში, ვინაც არ უნყის, რომ ისტორია ადამიანური ყოფის საიდუმლოებათა წვდომაა, რომ იგი ყველაზე აქტიური ადამიანების ბიოგრაფიათა ურთიერთგამსჭვალვაა. სურათი როგორც მაღალი იდეალების, ასევე ეგოისტური სურვილების ცხოვრებაში რეალიზების მცდელობისა და აქედან გამომდინარე სიკეთისა და ბოროტების უკომპრომისო ჭიდილისა, სკივრი ზნეობის უთვალსაჩინოესი მარგალიტებისა, ზნეობათა ჭეშმარიტი კიბე, სიკეთის ბოროტებაზე მორალური გამარჯვების წარმომჩენელი. ისტორიისადმი სიბრმავე და სიყრუე მას დამართნია, ვისაც ვერ გაუგია, რომ ნებისმიერი სოციალური წარმომავლობა მხოლოდ ნიღაბია ადამიანის უკვდავი სულისა, ვისაც არ განუცდია დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ აჩრდილებთან მეგობრობა, რომელიც ზოგჯერ თანამედროვეებთან მეგობრობაზე უფრო სულიერია, ღრმა და ინტენსიური, რადგან ამგვარ ურთიერთობაში გამორიცხულია ლექსი ცხოვრებისეული წვრილმანებისა. დიახ, თავისუფალი, სულზე ბორკილდაუდები ინდივიდუალობებისათვის, თუკი მათ როდესმე დედამიწაზე უცხოვრიათ, აღარ არსებობს დრო. მათი მეშვეობით ისტორია ნიადაგ მოქმედებს ადამიანებზე. სულისშემძვრელია ეგ ზემოქმედება, რადგან მათი სახით ოცნებაში ადამიანები საკუთარ თავსაც ხედავენ, ოღონდ სულზე ბორკილების გარეშე. დიახ, ისტორიის ზემოქმედება ადამიანთა ქვეცნობიერებაზე მსოფლშემეცნების უმნიშვნელოვანესი ობიექტია და მრავალ საიდუმლოებას ჰფენს ნათელს. ამავდროს იგი ხალხებს შორის ჭეშმარიტი სიმპატიის გამღვივებელიცაა. განა კიროსის ბრწყინვალე პიროვნებამ არ დააძლევინა ოდესღაც ბერძენ ქსენოფონტეს სპარსელებისადმი ანტიპატია, ან ჟანა დ, არკს, ოდესღაც ინგლისელების რისხვას. ინგლისელები იმგვარადვე არ სცემენ პატივს ამჟამად, როგორც ფრანგები? დღეს რომ ქართველი ლეკს ხვდება, შამილი არ ახსენდება უპირველეს ყოვლისა, ვიდრე ის სისხლის ღვრა, ოდესღაც ქართველებსა და ლეკებს შორის რომ მომხდარა? ჭეშმარიტი მოტივი ბაირონის საბერძნეთში გამგზავრებისა, თურქთა წინააღმდეგ მებრძოლი ბერძნების დასახმარებლად, ან მიზეზი ვოლტერის და სხვა ევროპელთა შეშფოთებისა დამონებული საბერძნეთის ბედ-იღბლისათვის, იმჟამინდელი საბერძნეთის სიმპატია რიდი ყოფილა, არამედ ჰომეროსის, სოლონის, მილტიადეს, თემისტოკლეს, ჰერაკლეს, ლეონიდეს, დემოსთენეს, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, ლიკურგეს [illegible]თა და სხვათა საბერძნეთისადმი [illegible] თითქოს დავინყებულის ანაზდეულ გახსენებასავით ამოფრქვეული ძველჩსადმი სიმპატია მათ ქვეცნობიერად ახალ საბერძნეთზე გადმოჰქონდათ, რომელსაც თითქმის აღარაფერი ჰქონდა საერთო წარსულთან. და ან ისევ ძველმა საბერძნეთმა არ აღანთო და განაზრახა ტროას საძებნელად გასაოცარი ინდივიდუალობა შლიმანისა? საბერძნეთს, ძველსა და გარდასულს, დღესაც გაცილებით მეტი მეგობარი ჰყავს, ვიდრე ახალსა და თანამედროვეს და იმ ძველისადმი სიმპატია უნებურად ახალზეც ვრცელდება. ისტორია გვასწავლის მარადიული ღირებულებების შეცნობას, თუ რა უნდა გავიხადოთ სამაგალითოდ, ან როგორ უნდა ვეძიოთ, ვპოვოთ და დავაფასოთ ღირსებანი თანამედროვეთა შორისაც, რადგან ვერ განიშორებ შურისა და მეტოქეობის ყანგს, თუ კეთილგანწყობისა და პირუთვნელობის უნარს გარდასული დროის სიქველეთა ემბაზში განბანით, არ მოიპოვებ. გარდაცვლილთა შორის ღირსებათა ვერ მპოვნელი. ვერც თანამედროვეთა შორის დაინახავს მათ. ხორციელთა ღირსების ვერდამფასებელი კი ამაოდ ნუ ეცდება ზესთ მწყობთა მწყობრისად შერთვას. ასეთია მომნუსხველი ძალა ისტორიისა და ამადაც შეგვტკივა გული ჯუანშერის, დავითისა, და თამარის ისტორიკოსების, ჟამთააღმწერელის, ეგნატაშვილისა და ვახუშტის ქმნილებებისათვის, ჯერჯერობით მხოლოდ ქართველთა საკუთრებად რომ შთენილან. მათი გაცნობა უთუოდ ბევრ ნაღდ მეგობარს შესძენდა საქართველოს. დროა რუსებმაც ყურად იღონეს ამბავი, გაითავისონ ჩვენი წარსული, არა იმიტომ, რომ ახლის იმედი გაგვცუდებია, ღრმად შეიმეცნოს საქართველოს ერის სული, ძველსა და ახალ საქართველოს რომ ამთლიანებს. თვალი უსწორონ იმ საგანძურს, ცხვირწინ რომ უდევთ და ვერ ხედავენ. ნეტა თუ ეყოლებათ მათ როდესმე სპეციალისტები ქართული ენისა, რომელთათვის მისაწვდომი გახდება ოკეანე ქართული ისტორიული, ლიტერატურული და მეცნიერული მასალებისა გინდაც სათარგმნელად, გინდაც მეცნიერული კვლევისათვის? ჩვენში საბჭოეთის კულტურასთან ხალხთა ენების შემსწავლელი ინსტიტუტების დაარსებაც კი ვერ მოუფიქრებიათ, უცხო ენათა მსგავსი. ამგვარი ინსტიტუტების დაარსება რესპუბლიკებში აამაღლებდა ინტერესს არარუსი ხალხების ენისა და კულტურისადმი და რუსულისადმი ინტერესთან შეანონასწორებდა მას.

შეიძლება ბევრს არ მოეწონოს პირდაპირობა ჩემი ნათქვამისა, თუმცა შესაძლებლო

ბისდაგვარად აღვირს ვუმოკლებდი მოზღვავებულ სათქმელს. აღშფოთების გახელებული ბედაური მაინც ვერ დავაოკე, თუმცა მოთმინების სადავეებმა ხელები დამაწყვიტა. შესაძლოა მრავალს ზოგიერთი საკითხის გამომზეურებაც არ ესიამოვნოს, რომელთა ირგვლივ მათის აზრით დუმილი და წყვდიადი უნდა იყვეს გამეფებული. გარდასული დროის ფაქტები იმისთვის როდი გავაშიშვლე, რომ წინაპართა ცოდვები ამჟამად მცხოვრებ რუს ს დაბრალდეთ, რადგან ისიც ვიცი, რომ ისტორიისადმი ამგვარი მიდგომა სისხლის აღების წესზე უარესია. დამერწმუნეთ აღშფოთება ჩემ მტრობას როდი ნიშნავს, როდი ნიშნავს სურვილს რუსეთი როდესმე ხელმოცარული, ან ქედმოხრილი ვიხილოთ და ამით გული მოვიოხო, არამედ პირიქით, ვიხილო რუსეთი მართალი, თავმდაბალი, სიტყვის და საქმის გამაიგივებელი, უაღრესად ზნეკეთილი და მორალურად ძლიერი, რადგან მის ფიზიკურ ძლიერებაში ეჭვი არავის ეპარება. ნურავინ დაგვემდურება და თუ რამ არ მოგვწონებია, ან მომავალში არ მოგვეწონება, თავს როდი მოვიკატუნებთ, არამედ მოყვრულადვე პირში გიძრახებთ, რადგან უსიამოვნო სიმართლე სჯობს საამო სიცრუეს. გულში ჩაგუბებული სათქმელი ბოლმად რომ არ იქცეს, ამიტომ კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, თუ რამოდენიმე პილპილმოყრილი სიტყვით მივმართავ ჩვენს რუს მოკავშირეებს.

საყოველთაოდ ცნობილია გასაბჭოების შემდეგ საქართველოში ქართული ჯარის ნაწილების არსებობა. მეორე მსოფლიო ომის წლებში ქართული დივიზიები იბრძოდნენ ფრონტზე და არც თუ სხვებზე ნაკლებად. ეს იყო ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი საბჭოური ეროვნული პოლიტიკისა მეფის რუსეთის ეროვნული პოლიტიკისაგან. 1956 წლის 9 მარტის ამბების შემდეგ, რატომღაც საავსებით გააუქმეს ეროვნული ჯარის ნაწილები. რაშია საქმე? აღარ გვენდობიან, თუ ქართული ან სხვა ენები გამოუსადეგარია სამხედრო საქმისათვის? თუ მოძველდა გეორგიევსკის ტრაქტატის ის დებულება, სუვერენულობის ამ ატრიბუტსაც რომ ჰგულისხმობს? მავანმა სამხედრო სპეციალისტმა შესაძლოა შეგვისწოროს, მიგვანიშნოს ამ საკითხში ჩვენს არაკომპეტენტურობაზე და დასძინოს, რომ ამგვარი ცვლილებები განაპირობა დღევანდელი სამხედრო სპეციფიკის თავისებურებამ. რომ სამხედრო ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ და დღევანდელმა საერთაშორისო ვითარებამ განაპირობა ერთობ-სწრაფი და ფართე მოქმედების არმიათა შექმნა, ჯარის სხვადასხვა სახეობათა შერწყმა, მართვის ცენტრალიზება და სხვადასხვა შეერთთა ერთი წარმმართველი მიზნისადმი დაქვემდებარება, რომელთა წარმატება ბოლოა თითოეულმა ნამმაც კ[illegible] ასე რომ, საჭიროა ერთობ სწრაფი, რთული ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი და კოორდინირებული მოქმედება. ამ სირთულეთა გასაიოლებლად კი სასურველია ერთენოვანება არმიაში და რუსულ, როგორც სხვადასხვა ეროვნებათა დამაკავშირებელ ენაზე უკეთ, ამ ფუნქციას ვერც ერთი სხვა ენა ვერ შეასრულებს. გამოდის, რომ ვიდრე მსოფლიოში დაძაბულობა იქნება, ამგვარი არმიების საჭიროება არ მოისპობა. მაგრამ ვის შეუძლია კაცთაგან დრო განუსაზღვროს რაიმე ვითარების ხანგრძლივობას დედამიწაზე. ამადაც მსოფლიო პოლიტიკური ტარიისის ცვალებადობა არ უნდა განაპირობებდეს საქართველოში ქართული ჯარის ნაწილების ფორმირების საქმეს.

არც სამოქალაქო ცხოვრების სფეროში ყოფილა ყველაფერი წესრიგში.

ამა საუკუნის 70-იან წლებში იყო მცდელობა ქართული სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლებში ზოგიერთი საგნის რუსულად სწავლების შემოღებისა. მაგრამ ქართული საზოგადოების აღშფოთების გამო ეს ღონისძიება ვერ განახორციელეს. აღშფოთება სამართლიანი იყო. გაკვირვებას იწვევდა იმ პირთა წრესგადასული კადნიერება, ვის გულსა და გონებაშიც ამგვარმა განზრახვამ დაიბუდა. დაუშვებელია ამის გამფიქრებელი ქართველი ყოფილიყო. მაგრამ ნუთუ დღეს რუსებს შორის ისეთნიც არიან, რომელნიც ფიქრობენ, რომ რუსული ენა რითმე აღემატება ქართულს, ან საქართველოში ქართულის მაგიერ რუსულის შემოღებით რაიმეს შეჰმატებენ რუსეთს? ქართველმა ხალხმა პროტესტის გამოხატვით ჩაიდინა ის, რასაც მის ადგილზე ალბათ რუსებიც გააკეთებდნენ. თუკი ვინმეს ქართული ენის ღირსებაში ეჭვი ეპარება, ვურჩევთ გაეცნოს დიდი მეცნიერების მარი ბროსეს, ნიკო მარისა და ლოსევის აზრებს, ამ ენის შესახებ. ქართული ენა მარტოოდენ შეიარაღებისათვის როდია ვარგისი, არამედ ფილოსოფიისა და ნებისმიერი მეცნიერებისთვისაც. კარგად ვიცით, რომ მომავლის ადამიანი თანაბრად უნდა სწვდებოდეს როგორც მხატვრულ, ასევე მეცნიერულ სფეროებს, რაიც აუცილებელია სამყაროს სრულყოფილი შემეცნებისათვის. ჭეშმარიტება რთულია და ანდრეი ბელის ფრთეული გამოთქმისა არ იყოს, თავად უნდა იყო მრავალძალი (მრავალსიმიანი), რომ შეგეძლოს მარადისობის საკრავზე დაკვრა. ამგვარი უნივერსალიზმის ეტალონები წარსულში იყვნენ ლეონარდო დე ვინჩი, გოეტე, ლომონოსოვი, რუდოლფ შტაინერი და სხვა. მაგრამ ისინი

როგორც მხატვრულ, ასევე მეცნიერულ ქმნილებებს მშობლიურ ენაზე ქმნიდნენ, რადგან უნყოდნენ ნებისმიერი ენის განუყოფლობისათვის, თავისავე თავში რომ ამთლიანებს ცხოვრებისა და საქმიანობის პოლარულ მხარეებს. და არც თუ ვინმე აძალებდა მათ სხვაგვარად მოქცევას. ქართული ენა გამონაკლისი არ გახლავთ და ამიტომ ჩვენი სამართლიანი და შეუმუსრავი სურვილია ქართული მეცნიერება ქართულის ბაზისზე იქმნებოდეს და ქართულსავე ენას ამდიდრებდეს. ქართველი მოსწავლე და სტუდენტი საქართველოში ქართული სახელმძღვანელოების მეშვეობით უნდა ითვისებდეს ნებისმიერ საგანს და ამას მარტოოდენ ფორმალური მნიშვნელობა როდი გააჩნია, არამედ უაღრესად მორალურიც. უფრო დიდი და შორეული მიზნებისათვის არავისთვის დაუშლიათ ჩაღრმავება თუნდაც რუს, გერმანელს თუ ინგლისელ მეცნიერთა ნაშრომებში. და თუ საქმისათვის საჩქაროა საკავშირო ასპარეზზე გატანა, რომელ ქართველ მეცნიერს გაუჭირდება რუსულადაც გამოსცეს თავის ნაშრომი?

ინტერნაციონალურ სულისკვეთების ამაღლებას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ერთენოვანების შემოღება და მშობლიური ენის უგულველყოფა როდი იწვევს. ზეეროვნულობისა და ინტერნაციონალიზმის საფუძველი არა ენის, არამედ აზრის ფენომენში უნდა ვეძიოთ. რადგან აზრია ჭეშმარიტად ზეეროვნული ბუნებისა, ნებისმიერ ენაზე გამოხატვისას მყარი და უცვლელი არც მარტოოდენ აზრია ზეეროვნულობის საყრდენი. ისე ვით ერთია ნებისმიერი ეროვნების ადამიანისათვის სამყარო სიზმრებისა, მითოლოგიური ეპოქიდან დღემდე ასევე ზეეროვნულია ენა სიმბოლიკისა, რისთვისაც ღაღადებს სიმბოლური ანბანის, სიმბოლურ-ხატოვანი ნიშნების გარკვეული იდენტურობა სხვადასხვა ხალხებთან, ზეეროვნულია ენა მუსიკისა და მათემატიკისა, მშვენიერება სახვითობისა და ფერწერისა ხელოვნებაში. არის ამ ქვეყნად რაიმე, სიქველეზე ან ამაღლებულ სიყვარულზე ზეეროვნული, რომლის წინაშე ყოველად უსუსურია გამთიშველი ძალა ნაციონალური, რასსობრივი და წოდებრივი ანტაგონიზმისა? ზეეროვნულია ლაჟვარდოვანება ცისა და ელვარე ვარსკვლავეთი, თავად სიკვდილი და უკვდავება სულეთში. აი, სად უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტი საფუძველი ინტერნაციონალურობისა და კოსმიური მოქალაქეობის და არა ერთენოვანების დანერგვის ცდაში.

ქართული ენა ჩვენთვის ოდითგანვე წმინდათა წმინდას და ცხოვრების ნებისმიერ სფეროთა დაუფლების უმთავრეს საშუალებათაგანს ნარმოადგენდა. ამადაც დაჭრილი აფთარივით ნამოვიმართებით, როგორც კი ვინმე მის ღირსების ხელყოფას დააპირებს. უმჯობესია თავი დაანებონ ჩვენი სიმტკიცის მოსინჯვას და ნურავინ ეცდება ინტერნაციონალიზმის წმინდა სახელით რუსიფიკაციის შემოტყუებას. ამ საკითხში კომპრომისი არ იქნება.

დღეს ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში საგნების რუსულად სწავლების საკითხი კი არ უნდა ისმებოდეს, არამედ პირიქით, საქართველოს რუსულ სკოლებში ქართული ენის იმავე დონეზე სწავლების საკითხი, რა დონეზეც ქართულ სკოლებში ასწავლიან რუსულს. დროა საქართველოში მცხოვრები რუსი და სხვა არაქართველი მოსახლეობა იმდენად ფლობდეს ქართულს, რამდენადაც ქართველობა ფლობს რუსულს. ამას მათ უნდა ავალებდეთ რესპუბლიკისა და იმ ხალხისადმი პატივისცემის გრძნობა, რომელთა შორისაც ისინი ცხოვრობენ. ენის შესწავლას ვერავის დაავალებ, მაგრამ თუ საქართველოს განათლების უწყება მთავრობის მხარდაჭერით გარკვეულ ზომებს მიიღებს და იმდენივე საათს გამოჰყოფს რუსულ სკოლებში ქართული ენის სწავლებისათვის, რამდენიც ქართულ სკოლებში რუსულს ეთმობა, მაშინ იძულებას ადგილი აღარ ექნება და დატვირთვაც თანაბარი გამოვა. ნუ უყურებენ აგდებით ჩვენს კეთილგანწყობასა და გულისხმიერებას, თორემ ჩვენც ხომ შეგვიძლია ზოგიერთი რესპუბლიკის მკვიდრთა მსგავსად დუმილით ვუპასუხოთ, როდესაც რუსულად მოგვმართავენ საქართველოში მცხოვრები არაქართველები? არც ერთი ქართველი არ მოუკლავს რუსული ენის ათვისებას და არც რუსებს დაემართებათ რაიმე ქართულის დაუფლებით. ამ საკითხში დათმობასა და მეტ-ნაკლებობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამასთან დაკავშირებით მეტიც უნდა გაკეთდეს. არაქართველ მოქალაქეთათვის, დიდი ხნით ან სამუდამოდ რომ გადმოდიან საქართველოში სამუშაოდ და ამიტომ საცხოვრებლადაც, უნდა არსებობდეს ქართული ენის შემსწავლელი კურსები. ქართული ენის ათვისების საქმეში, სხვებისათვის სამაგალითოდ მეტი გულმოდგინეობა პასუხისმგებელ პირებს მართებთ. ვერაფერმა ვერ უნდა შეუშალოს ხელი საქართველოს დაწესებულებებში, კომიტეტებსა და სამინისტროებში საქმეების ქართულად წარმოებას, სესიების, პლენუმებისა და ყრილობების ქართულად ჩატარებას, რათა დარწმუნდეს ყოველი, რომ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება არის ფაქტი და არა ფიქცია. ქართველ მწერლებზე მეტად საქართველოს მთავრობა უნდა იცავდეს ქართული ენის ღირსებას. მადლსაც და ზედ მარილის მოყრასაც, მაშინ ექნება ადგილი, როცა საკავ-

შირო მთავრობა თავად განაზრახებს რესპუ-
ბლიკის მთავრობას საქართველოს სახელმწი-
ფო საქმეებში ქართული ენის სრული რეა-
ლიზაციისათვის.

ქართველი ხალხის გულის მოსანადირებ-
ლად ცოტაა საჭირო, მაგრამ ეს ცოტა ამავე
დროს ბევრიცაა, რადგან „ქმნა მართლისა
სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად".
დროა დაუფიქრდნენ, რადგან ქართველობის
სახელმწიფოებრივი შეგნება ამჟამად ისეთ
დონეზე როდია, მთელს სერიოზულობით რომ
არ უდგებოდეს ამ საკითხს. გავიხსენოთ ქარ-
თველი ხალხის მრავალრიცხოვანი დემონსტ-
რაცია 1978 წლის აპრილის თვეში, რომლის
მოწყობა მას იმისათვის დასჭირდა, რათა
საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციით
საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სა-
ხელმწიფო ენად მხოლოდ ქართული ენა
ყოფილიყო გამოცხადებული და არა ქართუ-
ლი, რუსული და სსრკ-ს სხვა ენები, კონს-
ტიტუციის პროექტით რომ შემოგვთავაზეს. ეს
იგივეს ნიშნავს, თავისი ნამდვილი სახელის
ნაცვლად საქართველოსთვის რომ დაერქმიათ
ერთდროულად საქართველოც, რუსეთიც, ბე-
ლორუსიაც, მოლდავეთიც, ყირიგზეთიც და
ა. შ. ამგვარი ღონისძიების განხორციელება
რესპუბლიკების გაუქმების წინარე, მო-
სამზადებელ ეტაპს და ეროვნულ სხვაობათა
მოსპობის მცდელობას ემგვანებოდა, რა-
დგან იმიტომ როდი ვართ ქართველები, ღვი-
ნო და ტყემლის სანებელა რომ გვიყვარს, არა-
მედ იმიტომ, რომ ქართულად ვმეტყველებთ
და ქართული სახელმწიფო ვერ წარმოგვიდ-
გენია მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახე-
ლმწიფო ენის გარეშე. განა მშობლიური ენა
სუვერენულობისა და სახელმწიფოებრიობის
უფრო მნიშვნელოვან ატრიბუტს არ წარმო-
ადგენს, ვიდრე ეროვნული დროშა, გერბი,
ჰიმნი და ა. შ. განა ქართული ეროვნული
დროშისა თუ გერბის არსებობა ამცირებს
ჩვენს პატივისცემას სხვათა დროშებისა და
გერბებისადმი? ასევე არ აკნინებს, არამედ
უფრო ზრდის სხვა რესპუბლიკათა ენებისა-
დმი პატივისცემას, ჩვენი განმასხვავებელი
სახელმწიფო ენის არსებობა. და ისე, ვით
მარჯვენას თვისას არ მოიკვეთს ქართველი,
თუკი მარჯვენა იგი არ აცდუნებს მას, ასე-
ვე არ მოიკვეთს იგი საკუთარი სულიდან
მშობლიურ ქართულს. ვინაიდან ქართულ
ენას აროდეს უცდუნებია იგი, აროდეს მო-
უგვრია მისთვის მზვაობრობა, სხვა ენები-
სადმი პატივისცემის გამნელებელი. დამა-
დასტურებელი ფაქტები სახეზეა: ქართველები
რუსულს ქართულზე არანაკლებად ფლობენ,
ჩინებულად იცნობენ რუსულ ლიტერატურას
და სათანადოდ აფასებენ ამ ენის მხატვრულ
ღირსებებს. ჩვენ დიახაც გვესმის, რომ ჯერ-
ჯერობით რუსული მთარგმნელობითი ლიტე-
რატურის გარეშე ძნელია, ჩვენთვის, ფართო
კონტაქტის დამყარება მსოფლიო ლიტერატუ-
რასთან, თუმცა ამ თვალსაზრისით, ბოლო
ხანებში, საგრძნობლად გაუმჯობესდა, გვეს-
მის რუსული ენის საპატიო როლი უამრავ
ეროვნებათა შორის ურთიერთობათა დამამყა-
რებლის, რაც სავსებით საკმარისია ამ ენის
ღრმა პატივისცემისათვის. რუსულის დასა-
უფლებლად მშობლიური ენის ათვისებაზე
არანაკლები ენერგია გაგვიღია და ამიტომაც
ღია კარების მტვრევად მიგვაჩნია, როცა
კვლავაც და კვლავაც გვიკიჟინებენ ამ ენის
დაუფლების აუცილებლობისათვის. ქართულ-
ზე უკეთ ჩვენ მას ვერც და არც შევისწავლით
და მშობლიურ ენად რუსულს ვერ გავიხდით.
ქართული ენა ქართველთათვის მუდამ უპირ-
ველეს ენად დარჩება, როგორც მისი სახელ-
მწიფოებრივ-მოქალაქეობრივი შეგნებისა და
კულტურული სახის უმთავრესი გამოხატუ-
ლება, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის
გამამთლიანებელი.

დღეს, რუსეთ საქართველოს ხელშეკრუ-
ლების 200 წლისთავზე, საკმაო ღრმა ურ-
თიერთგაგებანისა და თანამშრომლობისაგან მი-
ღებული გამოცდილების შემდეგ, სასაცილოა
იმგვარ რამეზე საუბარი, რაც თავისთავად
ცხადი უნდა იყოს. თუ მუდამ და მხოლოდ
ქართული არ იქნება საქართველოს სახელ-
მწიფო ენა, თუ საგნებსა და მეცნიერებებს
მუდამ ქართულ ენაზე არ დავეწაფებით სკო-
ლებსა და სასწავლებლებში და ქართულ მე-
ცნიერებას ქართული ენის ბაზისზე არ დავა-
ფუძნებთ, თუ ღრმად არ შევისწავლით სკო-
ლებში საქართველოს ისტორიას, როგორც
ცალკე საგანს, თუ საქართველოში განლაგე-
ბულ სამხედრო ნაწილებში ერთ ქართულ
სიტყვასაც ვერ გავიგონებთ, თუ ვერ ავიცი-
ლებთ ზემოხსენებულ და სხვა გაუგებრობებს
და თამამად ვერ განვაცხადებთ ჩვენი ნების-
მიერი უკმაყოფილების მიზეზს, მაშინ რაღა
ქართველები ვიქნებით, ან სადღა უნდა ვე-
ძიოთ თავად საქართველო?

ეგებ იმას მოვითხოვთ, რასაც ჩვენს ადგი-
ლას სხვა არ მოთხოვდა? განა იგივეს, არ
მოიმოქმედებდნენ რუსები, ვინმეს რომ გა-
ნეწესებინა მათ სკოლებსა და უმაღლეს სას-
წავლებლებში სხვა რომელიმე ენაზე სწავ-
ლება საგნებისა, ან რუსეთის სახელმწიფო
ენად რუსულთან ერთად სხვა ენებიც გამო-
ეცხადებინა? მშობლიური ენის პრესტიჟის
დაცვის საქმეში მაგალითს ჩვენთვის სწო-
რედ მსოფლიოს ყველაზე კულტურულანი ხა-
ლხები წარმოადგენდნენ. მუდამ სამაგალი-
თონი იყვნენ ჩვენთვის მე-19 საუკუნის დიდი
რუსი მწერლები, რომელნიც იღვწოდნენ რა
რუსული ენის მომავლისათვის და მისი სიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდის დაცვისათვის, სამართლიანად ილაშქრებდნენ რუსეთის მაღალ საზოგადოებაში დაბუდებული მოდური ფრანგომანიის წინააღმდეგ. ჩვენთვის სამაგალითო იყო რეფორმაციის ეპოქაში გმირული ბრძოლა ევროპის ხალხებისა მშობლიური ენის უფლებებისათვის, ოდეს ლათინური ენის ბორკილებისაგან გამოთავისუფლებით დასაბამი მისცეს საკუთარი ეროვნული კულტურების აღორძინებას. ასე რომ, ვაკეთებდით და მუდამ ვეცდებით იმის გაკეთებას, რასაც მსოფლიოს უგანათლებულეს ხალხთა რჩეული შვილები გვასწავლიდნენ თავიანთი ცხოვრების მაგალითით, ჩვენს დიდ წინაპართა ცხოვრების მაგალითისათვის რომ აღარაფერიც ვთქვათ. დიახ, მუდამ შეუპოვარი ვიქნებით საქართველოს უფლებებისა და მისი სახელმწიფოებრიობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. ან და მარადის ძირს არ დავუშვებთ ქართული ენის დიდების დროშას. ან რად არ უნდა გავწიოთ ჭაპანი სიკვდილის შვილთათვის ღირსებად შესარაცხი?: რაც ჩვენ ოდითგან შევქმენით და დედის ნანასთან ერთად შევისისხლხორცეთ, რაც საკუთარი სისხლით გავაპატიოსნეთ, ათას ქარცეცხლში გამოვატარეთ და თვალის ჩინივით შემონახული დღემდე ღირსეულად მოვიტანეთ, რატომ არ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში? ქედმაღლურად ჩვენი თავი სხვა ერებზე მაღლა არასოდეს დაგვიყენებია და არც სხვებზე მეტ პრივილეგიებს მოვითხოვთ, მაგრამ საქართველო ქართველების საკუთრებაა და სახელმწიფოებრივი უფლებების განმტკიცებით საკუთარი მეობის განმტკიცება თვითდამკვიდრებისა და პარტნიორთა გულწრფელი დამოკიდებულების ერთადერთ გარანტიად მიგვაჩნია. მხოლოდ ამგვარად თვითდამკვიდრებულ პარტნიორებს შორის შეიძლება ნაღდი, უმლიქვნელო მეგობრობა, სადაც ადგილი არ რჩება გულგრილობის, დაფარული აზრებისა და განზრახვებისათვის. მეგობარმა რომ შენს სახლში არც მასპინძლად და არც ძალზე მორიდებულ სტუმრად იგრძნოს თავი, ამიტომ თავად შენ უნდა იყვე შენს ჭერქვეშ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და ჭეშმარიტი მასპინძელი. უმადურები არა ვართ და არ დავუკარგავთ, თუ რამ კარგი გვახსოვს რუსებისაგან. მაგრამ არ დავუთმობთ იმას რაც არ დაითმობის. ორი ადამიანის მეგობრობა მხოლოდ მაშინ არის იდეალური, ოდეს არცერთის პიროვნული თავისუფლება არ კნინდება. მაგრამ აქ კიდევ დასაშვებია და მოსანონიც, როცა ერთის საკეთილდღეოდ მეორე თავისივე ნებით გაიღებს ხოლმე მსხვერპლად საკუთარ თავისუფლებას. მაგრამ სახელმწიფო პიროვნება როდია და ამიტომ, ორი ხალხის მეგობრობისას, ბრძნულად და გულწრფელად უნდა იქნას განბჭობილი ურთიერთობა. გამაბრუებელი ქება-დიდების გარეშე ერთობლივად წარმოჩენილი და მორალის სასწორზე დადებული წარსულის ყოველი დარღვევა, შეცდომა თუ გატეხილი სიტყვა, რათა შემდგომში მსგავსი აღარ განმეორდეს.

აქ შესაძლოა გაგვაჩერონ და გვითხრან: რადგან ზეიმია, კარგი აღვნიშნოთ, მხოლოდ და აუგის გახსენებით გუნებას ნუღარ გავიფუჭებთო.

ღმერთმა დაგვიფაროს გუნების გაფუჭებისაგან! ან ვინ დაუშლის, თუკი ვინმეს ეზეიმება? ან რისა უნდა გვეშინოდეს, თუ სინდისი სუფთა გვაქვს? მაგრამ მოდით გუნებას ნუ გავიფუჭებთ იმის თქმითა და მოსმენით, რაც აუცილებლად სათქმელია და მოსასმენი, რადგან რა დასამალია და გეორგიევსკის ტრაქტატის აღმნიშვნელ თარიღზე მეტად, მისივე შინაარსის ცხოვრებაში რეალიზების ხარისხი გვაინტერესებს. გეორგიევსკის ტრაქტატი იყო და დღესაც რჩება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განსახორციელებელ იდეალად. თუმცა მონარქია და ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი რახანია გადაეგო, მაგრამ ამ ხელშეკრულების შინაარსი ძალაში რჩება ნებისმიერი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის პირობებში. პარტნიორობას სუვერენიტეტის დაურღვევლად — აი მისი უბერებლობისა და ვარგისიანობის საწინდარი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელი ისტორია ამ ტრაქტატის ცხოვრებაში განხორციელებისათვის ბრძოლისა თუ მცდელობის ისტორიაა. და ეს ბრძოლა ჯერაც არ დამცხრალა. როგორც ჩანს, ერეკლე მეორემ, ამ დოკუმენტზე საქართველოს სახელმწიფო ბეჭდის დასმით მზამზარეულად კი არ მოგვართვა მასში გათვალისწინებული ღირებულებები, არამედ მათ მოსაპოვებლად შეუპოვარი ბრძოლა დაგვიბედა. საბოლოო შედეგი ამ ნაბიჯისა მაინც საკმაო ბუნდოვანებით იყო მოცული საქართველოს მეფეებისათვის. მე კი განმეცალა კაგკასიონის კარიბჭე, უთქვამს გიორგი მეთორმეტეს, და ან უფლისთვის მიმინდვიაო მისი დახშობისა და გაღების საქმე. იმჟამად, ახალგაზრდა რუსეთი, თავისი მორალური სახის ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, პროცესში, რომელიც ერთობ ხანგრძლივია, არასწორხაზოვნად ვითარდება და საბოლოო ნაყოფს შორეულ მომავალში, ანუ ამ ერის სიჭარმაგესაც წარმოაჩენს. საქართველოს მეფეებმა ამ გაურკვევლობის ოკეანეში გადაშვება ამჯობინეს სპარსეთისა და თურქეთის მათთვის ცნობილ, უკვე დადგენილ და იმთავითვე მიუღებელ, ერთ ადგილზე გაყინულ და კონსერვირებულ მორა-

ლურ სახეს. სპარსეთი და თურქეთი არაოდეს ყოფილა ქართველი ხალხის ორიენტირი. შეუპოვარი წინააღმდეგობის გარდა ამ ქარიბდასა და სცილას შორის იგი ლავირებდა მხოლოდ მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ქართველების ჭეშმარიტი ორიენტირი მუდამ საკუთარი თავის იმედი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო. რუსეთთან არა არსებობის, არამედ სახელდობრ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად დასდო ხელშეკრულება საქართველომ, რადგან მათ გარეშე რაღა ფასი ექნებოდა არსებობას.

ამიტომ, იქედან მოყოლებული დღემდე და დღიდან უკუნისამდე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების მიზანშეწონილება მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებრივი სარწყულით განიზომება. მკვიდრად ჩავიბეჭდოთ თავში ეს აქსიომა, თორემ საკითხი: ან ტრაქტატით გათვალისწინებული სუვერენიტეტი, ან ხელშეკრულებამდელი მდგომარეობის დაბრუნება, არასოდეს მოძველდება.

1976 წ.

P. S. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ნარსულის შეუსაბამობებს ხაზი გადავუსვათ, ისინი მხოლოდ მაშინ შეიძლება ამოვიცნოთ მეხსიერებიდან, როდესაც [illegible] ურთიერთობა იმდენად [illegible] ბა, რომ არც ამჟამად, არც მომავლისათვის სადაოს აღარაფერს დავტოვებთ. სწორედ ამ ურთიერთობათა ამგვარი სრულყოფისათვის უნდა ისწრაფვოდეს ის, ვისაც ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი მეგობრობა სწყურია.

სცდება, ვისაც ჰგონია, რომ ამ საკითხში საწადელს უკვე ვეწიეთ და საბოლოო წერტილი დავსვით. ეს ურთიერთობა სტატიური არასოდეს ყოფილა და მომავალშიც განუწყვეტელ ევოლუციას ჰგულისხმობს, სრულყოფას მხოლოდ სამართლის ყოვლის განმკურნებელი სასნორით. ისე კი, აღარაფერი გვექნება საწინააღმდეგო მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიაროთ დედა ენის დონეზე რუსული ენა ქართულ სკოლებში, თუკი საქართველოს არაქართულ სკოლებში ასევე დედა ენის დონეზე გაივლიან ქართულს. (თუ შენ მთავაზობ მეგობრობის განსამტკიცებლად შენს საყვარელ დედასაც ვეშვილო, მაშინ შენც, ჩემი კეთილი და სათნო დედა საკუთარ დედად უნდა მიიჩნიო, რადგან ამ საკითხში ცალმხრივობას იძულება დაერქმევა და არა ნებაყოფლობითობა.

—•—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯან თინხუა

დაუვიწყარი დღეები

1989 წლის მაისში, პეკინის პედაგოგიური უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში საბჭოთა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ლუ ნინი, ჟურნალ „საბჭოთა ლიტერატურის" მთავარი რედაქტორის მოადგილე ჯან თინხუა, ჩინური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი ლი ფუვეი, თანამედროვე ჩინური ლიტერატურის კათედრის გამგე ლუ სიციანი და საბჭოთა ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორი ჯან პეივენი შედიოდნენ, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მოწვევით საქართველოს დედაქალაქ თბილისს ესტუმრა. თბილისში გატარებულმა ათმა დღემ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

ჟურნალ „საბჭოთა ლიტერატურის" მკითხველებმა კარგად იციან, რომ ამ ჟურნალის 1988 წლის მესამე ნომერი მთლიანად ქართულ ლიტერატურას დაეთმო. საქართველოს მწერალთა კავშირი ამ მოვლენას მაშინვე გამოეხმაურა. ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განსამტკიცებლად აქ გადაწყვიტეს ჟურნალ „საუნჯეს" ერთ-ერთი ნომერი მთლიანად ჩინური ლიტერატურისათვის მიეძღვნათ. ჩვენც ხელორედ იმ მიზნით ჩამოვედით, რომ მასალების შერჩევასა და მომზადებაში მონაწილეობა მიგვეღო.

22 მაისს მოსკოვში ჩავედით და იმავე საღამოს თბილისში გადავფრინდით. თუმცა ძალიან გვიანი იყო, თბილისის აეროპორტში მაინც გველოდა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თანამშრომელი...

გამარჯობა, თბილისო! აი ჩამოვედით, მეგობრობისა და თანამშრომლობის იმედებით აღსავსენი მოგეახლეთ!

მთაწმინდა და პანთეონი

ოფიციალურად ჩვენი ვიზიტი 23 მაისს დაიწყო. დილით ჩვენთან მთავარი სარედაქციო კოლეგიის თანამშრომელი ელა შულგა მოვიდა და ოფიციალურ შეხვედრამდე ქალაქში გასეირნება შემოგვთავაზა. რუსთაველის გამზირი გადავკვეთეთ და სამგორო გზით მთაწმინდაზე ავედით. ჩვენს წინ გადაიშალა ულამაზესი ხედი ქალაქისა, რომელსაც დამსახურებულად უწოდებენ „ალმოსავლეთის პარიზს". მოშორებით დაკბილული სერები მოჩანდა, მომწვანო ფერის მტკვარი, ნეფრიტის სარტყელს რომ დამსგავსებოდა, თავის ტალღებს მთელ ქალაქში მიაქანებდა და თვალწარმტაც პეიზაჟს პოეტური სულით ავსებდა. ჩვენს ფერხთით კი ქალაქის ცხოვრება დუღდა. კრამიტის სახურავებს შორის ასობით ქუჩა ერთმანეთს ახირებულად ერწყმოდა და მათზე უამრავი ავტომანქანა დაქროდა. უძველესი სიტყვები „მოძრაობა სიმყუდროვეში" ამ განსაცვიფრებელ სანახაობას ალბათ ყველაზე უკეთ დაახასიათებდა. მთის წვერიდან პანთეონისაკენ ფეხით დავეშვით და თითქმის შესახვლელთანვე კლდეში ამოკვეთილი სამარე დავინახეთ. აქ ცნობილი რუსი დრამატურგი, პიესის „ვაი ჭკუისაგან" ავტორი გრიბოედოვი და მისი ქართველი ცოლი, თავადის ასული ნინო ჭავჭავაძეა დაკრძალული. გრიბოედოვი დეკაბრისტებს დაუკავშირდა და მეფის რისხვა დაიმსახურა. იგი ელჩად გაგზავნეს სპარსეთში, რაც თავისებურ პოლიტიკურ გადასახლებად ითვლებოდა. 1829 წელს რუსეთის საელჩო თეირანში ფანატიკოსებმა დაარბიეს, გრიბოედოვი კი მხეცურად მოკლეს. მოგვიანებით მისი ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. პუშკინმა თავის ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუმში" აღწერა, თუ როგორ იხილა უბადრუკი დროგი, რომლითაც გრიბოედოვის ნეშტს მოასვენებდნენ. პანთეონში მარადიული ძილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

განისვენებენ საქართველოს უდიდესი მწერლები და პოეტები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა და სხვები. ღრმა პატივისცემის ნიშნად თაყვანი ვეცით დიდ ადამიანთა სამარეებს და სამახსოვროდ რამდენიმე სურათიც გადავიღეთ.

თათბირი კოლეგიაში. პუშკინის მემორიალი

28 მაისს ჩინეთის დელეგაციის წევრები საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სათედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, ეურნალ „საუნჯის" მთავარ რედაქტორსა და ლიტერატურული ურთიერთობების განყოფილების გამგეს შეეხვდით. ამის შემდეგ გაიმართა თათბირი, რომელზედაც ჩინური ლიტერატურისადმი მიძღვნილი ეურნალ „საუნჯის" სპეციალური ნომრის საკითხი დაწვრილებით განვიხილეთ. ჯერ კიდევ ჩინეთში, ამ შეხვედრისათვის სერიოზულად ვემზადებოდით. თანამედროვე ჩინური ლიტერატურის ორმა სპეციალისტმა საეურნალო პუბლიკაციებიდან, დაახლოებით, ათასი გვერდი ყველაზე საინტერესო მასალა აარჩია, თანამედროვე ჩინური ლიტერატურის შესახებ სტატია და რამდენიმე ათეულ თანამედროვე ჩინელ მწერალზე ბიბლიოგრაფიული ცნობარი მოამზადა. ჩვენს შრომას უკმად არ ჩაუვლია, ქართველმა კოლეგებმა იგი ღირსეულად დააფასეს.

საქართველოს მწერალთა კავშირში „საუნჯის" ჩინური ნომრის შექმნის იდეას ძალიან სერიოზულად მოეკიდნენ. მეცნიერებათა კანდიდატის, ელა შულგას ხელმძღვანელობით შეიქმნა მთარგმნელთა ჯგუფი, ამ ჯგუფმა კი შეარჩია ყველაზე საინტერესო ნაწარმოებები იმ ჩინური ეურნალებიდან, რომლებიც მთავარ სარედაქციო კოლეგიას აქვს გამოწერილი. თათბირზე ქართველ კოლეგებს ჩინური ლიტერატურის შესახებ რამდენიმე კონკრეტული რჩევა-დარიგება მივაწოდეთ. მასპინძლებმა ჩინური ნომრის სავარაუდო შინაარსი გაგვაცნეს. აქ გამოქვეყნდება ბელინეას მოთხრობა „თეთრი ფრინველები", ძინ ხეს „მუნჯი", დენ განის „ვილსონი მკვია", ბეი დაოს, შუ ტინის და სხვა პოეტთა ლექსები.

თათბირის შემდეგ პუშკინის მემორიალი დავთვალიერეთ. როგორც გვიამბეს, ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება ახლა სწორედ იმ სახლში ბინადრობს, რომელიც ადრე ო. სმირნოვა-როსტეს, პუშკინის, გოგოლისა და მეცხრამეტე საუკუნის სხვა ცნობილ მწერალთა მეგობარს ეკუთვნოდა. ამ ბინაში ფასეული წიგნები, ტილოები, ხელოვნების სხვა ნიმუშები თუ იმ ეპოქის ავეჯი დღესაც შემონახულია. სმირნოვას უკანასკნელმა მემკვიდრეებ[illegible] ხელმწიფოს უანდერძა და მასში [illegible] მორიალის მოწყობა ითხოვა. [illegible] ველოს 1829 წელს მართლაც ეწვია და ორი კვირა თბილისში იცხოვრა. თავის ჩანაწერებში მან ფართოდ აღწერა საქართველოს ბუნება, მისი ზნე-ჩვეულებები, განსაკუთრებული ყურადღებით მოიხსენია გოგირდის აბანოები.

რუსთაველი და "ვეფხისტყაოსანი"

სასტუმრო „ივერია", სადაც ჩვენ დავბინავდით, რუსთაველის გამზირზე მდებარეობს. სასტუმროს პირდაპირ, ცოტა ქვემოთ მოჩანს რუსთაველის მოედანი, სადაც მწვანე ხეებს შორის დიდი პოეტის ძეგლი ამოზიდულა. ეს სახელი საქართველოში ყველასათვის ძვირფასია. მეთორმეტე საუკუნეში შოთა რუსთაველმა ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი" შექმნა. ეს პოემა ქართული კლასიკური ლიტერატურის შედევრი და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის ერთ-ერთი მარგალიტი გახლავთ. ქართველ კოლეგებს ვუამბე, ჩინეთში ეს წიგნი არა ცრთ გზის გამოიცა-მეთქი. ყველაზე ადრეული თარგმანი 1944 წელს ჩუნცინში გე ბაოციუანას წინასიტყვაობით გამოვიდა. ორმოცდაათიან წლებში ამ თარგმანის გადამუშავებული ვარიანტი კიდევ ორჯერ გამოიცა. 1961 წელს გამოჩნდა მოსკოვის გამომცემლობის „ინოსტრანნი რაბოჩის" ინგლისური გამოცემის მიხედვით შექმნილი ახალი თარგმანი, რომელსაც თან ახლდა დიდი სტატია „შოთა რუსთაველი და ქართული ლიტერატურა". ამ წიგნს დიდი წარმატება ხვდა წილად, 1951-53 წლებში იგი ხუთგზის გამოიცა. საერთო ტირაჟმა კი 70000 ეგზემპლარს მიაღწია. „ვეფხისტყაოსნის" უკანასკნელი, რუსული ტექსტით შესრულებული თარგმანი ოთხმოციან წლებში გამოვიდა. წიგნი შესანიშნავადაა გამოცემული და არაჩვეულებრივი ილუსტრაციებით გამოირჩევა. ჩვენმა ქართველმა კოლეგებმა, რომლებიც შესანიშნავი პოეტით ამაყობენ, ეს ინფორმაცია სიხარულით მოისმინეს.

რუსთაველი დიდად განათლებული ადამიანი იყო. მან შეითვისა არა მხოლოდ ხალხური ზეპირსიტყვიერება, არამედ ყოველივე საუკეთესო, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურებს გააჩნდათ. განსაკუთრებით საინტერესოა ისიც, რომ ადამიანის ცხოვრებაში მეგობრობის უმთავრეს როლზე საუბრისას, იგი ჩინურ გამონათქვამებსაც იყენებს. „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იაპონურ, ესპანურ, იტალიურ და სხვა მრავალ ენაზეა თარგმნილი. 1966 წლის სექტემბერში მსოფლიო საზოგადოებამ რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი აღნიშნა. მის შემოქმედებას მსოფლიოში სპეციალური დარგი შეისწავლის. აზრი გამოთქვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინელმა სწავლულებმა რუსთველოლოგიაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ-მეთქი. ამ აზრმა მასპინძელთა მხურვალე მხარდაჭერა მოიპოვეს.

ჯვრის მონასტერი, საქართველოს ძველთაძველი დედაქალაქი მცხეთა

საქართველო უძველესი კულტურული და ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანაა. უძველესი შენობები, ძეგლები და ტაძრები თბილისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. პირველსავე დღეს ანდრო წულაძემ სიონის კათედრალურ ტაძარში მიგვიყვანა, სადაც ამ დროს წირვა მიმდინარეობდა. მან უძველესი ფრესკები გვაჩვენა და წმინდა სამების ქრისტიანული დოგმატის აზრი აგვიხსნა.

24 მაისს მანქანაში ჩავსხედით და დასავლეთისაკენ გავემგზავრეთ. მტკვრის მეორე სანაპიროზე გადავედით და მალე ყვითელი ყვავილებით მოფენილ მთებსა და ველებს შორის აღმოვჩნდით. უცებ ჩვენს თვალწინ მაღალი კლდის მწვერვალზე აღმართული უშველებელი ტაძარი ამოიმართა. ეს მეხუთე საუკუნეში აგებული ჯვრის მონასტერი გახლდათ. ტაძარი გარეგნულად დიადი და უბრალოა. შორიდან იგი უშველებელ ჯვარს ჩამოგავს. მთის მწვერვალს ავუარეთ და ტაძარში შევედით. ანდრომ გვიამბო, ოდესღაც ტაძარი ხელოვნების ნიმუშებით იყო სავსე, მაგრამ მტერთა ურიცხვი შემოსევების დროს გაძარცვესო. ახლა აქ მხოლოდ ერთი ფრესკაღაა შემორჩენილი, სადაც სტეფანოს მეორე ქრისტეს ეთაყვანება და კიდევ ანგელოზთა ქანდაკებები, რომლებიც ჯვარცმის ამაღლებას ცდილობენ. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს თავს უამრავი მტერი ესხმოდა და მართლმადიდებლური ტაძრები ხალხისთვის არა მხოლოდ სულიერი საყრდენი, არამედ მტრისგან თავშესაფარი ციხე-სიმაგრეებიც იყო. ამიტომ ტაძარში წყლისა და ხურსათის შესანახი ადგილია გათვალისწინებული.

სწორედ ჯვრის მონასტერთანაა დაკავშირებული ლერმონტოვის პოემა „მწირი", რომლისთვისაც ეს ტაძარი ისტორიულ ფონს ქმნის. ლერმონტოვი ორგზის გადაასახლეს კავკასიაში და დღეს, ჯვრისკენ მიმავალ გზაზე მისი ძეგლი დგას.

სწორედ იმ მთის ძირში, სადაც ჯვარი დგას, მდინარეების მტკვრისა და არაგვის გადაკვეთის ადგილას, საქართველოს ძველთაძველი დედაქალაქი მცხეთა გადაჭიმულა. მისი ცენტრი, სვეტიცხოვლის ტაძარი, მე-11 საუკუნეშია აგებული და ქართული ხუროთმოძღვრების ჭეშმარიტი შედევრია. გადმოცემის მიხედვით ამ ტაძრის ამგებ ოსტატს, სამუშაოს დასრულების შემდეგ, მეფის ბრძანებით მარჯვენა ხელი მოჭრეთეს, რათა უფრო მშვენიერი ტაძარი ვეღარ აეგო. ტაძრის კედელზე ამოკვეთილია [illegible] დღესაც იქცევს მნახველთა ყურადღებ[illegible]

სამონასტრო კომპლექსი დავითგარეჯი

26 მაისს სტუმართმოყვარე მასპინძლებთან ერთად მთებში გავემგზავრეთ. გზის გასწვრივ მხოლოდ უდაბური მთები და გორაკები მოჩანდა. თვალი ისის იყო გზის მონოტონურობამ დაღალა. რომ უცებ მანქანამ მკვეთრად გადაუხვია და ჩვენს თვალწინ მოულოდნელად უძველესი ციხე-სიმაგრის ხედი გადაშალა. სავტომობილო გზა აქ დასრულდა. ჩვენც მანქანიდან გადმოვედით და გზას ზემოთ ფეხით ავუყვეთ. კარიბჭემდე ძლივს მივაღწიეთ და გოგონებულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ეს ციხე-სიმაგრე კი არა, ტაძრის უშველებელი კომპლექსი იყო, რომელიც მე-6 საუკუნეში აიგო. მთავარი ხარედაქციო კოლეგიის სორგანიზაციო განყოფილების გამგემ, ანატოლი მინდიაშვილმა გვიამბო, კომპლექსი 17-18 ჰექტარზეა გადაჭიმულიო. ოდესღაც აქ ცამეტი წმინდა მამა მოხულა და გამოქვაბულებში დაუდიათ ბინა. ამ უდაბურ ადგილას არც საჭმელი ჰქონდათ, არც სასმელი, ამგრამ ირმები მოდიოდნენ და განდეგილებს თავიანთ რძეს ასმევდნენ, უფალმა კი „ცრემლის წყარო" უძღვნა, სადაც წვეთ-წვეთობით წყალი ეთხევდა და პატარა აუზში გროვდებოდა. თანდათანობით აქ ეკლესია და სამრეკლო აშენდა. თუმცა განდეგილები ძველებურად გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. მამათა შორის პირველის, დავითის გარდაცვალების შემდეგ, ტაძრის კომპლექსი კიდევ უფრო გაიზარდა და დღემდე უძველესი ქართული ცივილიზაციის ნიშნად შემორჩა.

გორჯომის ფელები, ვარძია

28 მაისს ვარძიაში გავემგზავრეთ. გზად მინერალური წყლებით მსოფლიოში ცნობილი საკურორტო ქალაქი ბორჯომი უნდა გაგვევლო. მინერალური წყალი „ბორჯომი" 80 მილიონელემენტზე მეტს შეიცავს. მას სამკურნალო თვისებები აქვს. განსაკუთრებით კი კუჭ-ნაწლავის დაავადებებს უხდება. მაღალ პავილიონში შევედით, სადაც უამრავი ონკანიდან მინერალური წყალი მოსჩქეფდა და მისი შესმა ყველა მსურველს უფასოდ შეეძლო. ცნობილია, ყველამ გავსინჯეთ ეს სამკურნალო სასმელი, რომელიც თბილი იყო და სპეციფიკური გემო ჰქონდა. ეს კი, როგორც ავუხსნეს, ყველაზე მაღალხარისხოვანი მინერალური წყლებისათვის უოფილა დამახასიათებელი. ეს წყალი უამრავ ქვეყანაში თითო ჭიქა ერთი დოლარი ღირს, აქ კი ყველას შეუძლია უფასოდ დალიოს.

ბორჯომიდან გავედით თუ არა, პირდაპირ ვარძიისაკენ გავემართეთ. ვარძია ზედ თურქეთის საზღვართან მდებარეობს. მანქანა დიდი ხისწრაფით მიქროდა, მაგრამ მოგზაურობის მიზანს მაინც მხოლოდ საღამოს მივაღწიეთ და მაშინვე დავინახეთ მაღალი კლდე, რომლის ფერდობები უთვალავ გამოქვაბულს თითქოს დაეცხრილა. ღამე სასტუმროში გავათიეთ. მეორე დღეს კი, დილიდანვე, ექსკურსიამძღოლის თანხლებით მთაზე ავედით. ვარძია საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მუზეუმ-ნაკრძალია. ეს მთის მონასტერი მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში დაარსდა. აქ 2500-3000 კლდეში გამოკვეთილი სენაკი-გამოქვაბულია, რომელსაც სიგრძივ 500 მ. სიმაღლით კი 158 მ. ფართობი უკავია. ამ მონასტერში 700-ზე მეტი ბერი ცხოვრობდა. ომიანობის დროს მონასტერი მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადაიქცეოდა ხოლმე, სადაც 40.000 კაცს შეეძლო თავის შეფარება. გამოქვაბულები ცხოვრებისათვის ყოველივე აუცილებლით იყო მომარაგებული. დერეფნებისა და წყალსადენების უმეტესობა მიწისძვრებმა დაანგრია და დღეს მხოლოდ 450-მდე გამოქვაბულია შემორჩენილი. ჩვენ დავინტერესდით, ამ უდაბურ და დაშორებულ ადგილას, ასეთი გამოქვაბულებიანი მონასტერი რისთვის აგეს. ექსკურსიამძღოლმა აგვიხსნა, ადრე, აქ აბრეშუმის საქარავნო გზა გადიოდა, თანაც საქართველოში შემოჭრილი სპარსელები და თურქები სწორედ ამ გზით შემოდიოდნენო. ამიტომ მე-12 საუკუნეში, როცა ამ მთებში წყაროები აღმოაჩინეს, მეფე გიორგი მესამემ აქ ციხე-სიმაგრისა და ტაძრის აგება ბრძანა. მშენებლობა თამარ მეფის დროს გაგრძელდა. ყველა გამოქვაბული ხელის იარაღებითაა გამოკვეთილი და ძნელი წარმოსადგენია, თუ რა გრანდიოზული და მძიმე შრომითაა მონასტერი აგებული. მე-8 საუკუნეში აქ სპარსელები შემოიჭრნენ. მათ მონასტრის ცენტრალური ნაწილი დაიპყრეს, ეკლესია დაანგრიეს, ფრესკა წიგნები დაწვეს. ორმოცდაათ [illegible] სპარსელები აქედან თურქებმა გაიძევეს და მონასტერი 150 წელზე მეტი ხნით ჩაიგდეს ხელში. 1828-1829 წწ. თურქები ვარძიიდან გაიძევეს და მონასტერი აღადგინეს.

მთაზე ასულები, გამოქვაბულებში შევედით და უძველესი ხუროთმოძღვრების ოსტატობის შემხედვარეს, აღტაცების შეძახილები აღმოგვხდა. დავათვალიერეთ საცხოვრებელი სადგომები, ტერასები, დერეფნები. ხატრაპეზოები, წყალსადენი, პატარა წყალსაცავი, ხაჯინიბოები, ხასურსათო საწყობები, ძარნები და ვენტილაციის რთული სისტემა...! მეტრი სიგრძისა და 2 მეტრი სიმაღლის დერეფნები ყველა სადგომს ერთმანეთთან აკავშირებდა. მთელი კომპლექსის გული კი ცენტრალური ეკლესია იყო. კლდეში ამოკვეთილი ეკლესიის სიგრძე 14 მეტრია, სიგანე — 8 მეტრი, სიმაღლე — 4 მეტრი. ოდესღაც მას ოქროს ჯარიბეჯი, ოქროსავე ხატები და ჯვარცმები ამშვენებდა. მაგრამ შემოჭრილ მტერს გაუძარცვავს. თავად ეკლესია კი 800 წლის მანძილზე არც ქარიშხალსა და სეტყვას და არც მიწისძვრას არ დაუზიანებია. ხასხასა, ფერადოვან ფრესკებზე წმინდა წერილის სხვადასხვა ეპიზოდებია გამოსახული.

ვარძიის გამოქვაბულები ქართველი ხალხის ისტორიული ბედის, მისი ეროვნული სულის, სიმამაცის, თავისუფლებისმოყვარეობისა და უძველესი კულტურული ტრადიციების გამოხატულებაა. ვარძიაში ჩასულებმა უფრო ღრმად შევიცანით ქართველები, მათი კულტურა და ისტორია, კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურა.

ათი დღე საქართველოში უცებ გაფრინდა. 1 ივნისს მახპინძლებმა გზა დაგვილოცეს და თბილისი დავტოვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვთიმე თაყაიშვილი

დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო

დიდ ქართველ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს ემიგრაციაში ყოფნის წლებშიც (1921-1945) არ შეუწყვეტია ნაყოფიერი კვლევა-ძიება. მიუხედავად ცხოვრებისა და მუშაობის მძიმე პირობებისა, ის მაინც ახერხებდა როგორც საჟურნალგაზეთო, ისე სქელტანიანი წიგნების დაწერასა და გამოქვეყნებას. მისი წერილები და გამოკვლევები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში („დამოუკიდებელი საქართველო", „საქართველო", „ქართლოსი", „ჟურნალ აზიატიკ", „პრომეთე", „ბიზანტიონი", „გეორგიკა"), როგორც ქართულ, ისე უცხო (ფრანგულ, ინგლისურ) ენებზე. ამას გარდა, წიგნების სახით (მათ შორის, ერთი 400 გვერდს აჭარბებს) პარიზში დაბეჭდილია ექ. თაყაიშვილის ოთხი მონოგრაფია ქართულ ენაზე. ამ შრომებს ჩვენი ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა არ იცნობს. ამის ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ თვით ექ. თაყაიშვილის მიერ ჩამოტანილ პირად არქივშიც კი არ მოიპოვება ყველა მათგანი (ჩვენს წიგნთსაცავებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია!). ხოლო მეცნიერის მიერ შედგენილ თავის შრომათა ბიბლიოგრაფიებში ზოგჯერ ამ ნაშრომთა პუბლიკაციის ზუსტი მონაცემებიც არ არის მითითებული (შდრ. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია, თბ., 1963; აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, თბ., 1972). ესეც ადვილი ასახსნელია, რადგან ყველას კარგად გვახსოვს, რომ იმ დროს და მერეც კარგა ხნის მანძილზე ემიგრანტული ქართული პრესის მითითება და იქ გამოქვეყნებული მასალებით სარგებლობა მაინცდამაინც დიდი მოწონებით არ სარგებლობდა. ამიტომ იყო, რომ ეს გადაუდებელი საქმე ამდენ ხანს გაჭიანურდა. ჩვენ შეძლებისდაგვარად თავი მოვუყარეთ ექ. თაყაიშვილის უცხოეთში გამოქვეყნებულ ყველა ნაშრომს როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე და შევადგინეთ მათი დაზუსტებული ბიბლიოგრაფია, რომელიც ასე გამოიყურება:

I. წერილები ქართულ ენაზე

1. დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1927, № 18. გვ. 2-3; № 19, გვ. 2-3.

2. სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები (ნაწილი პირველი), ჟურნ. „კავკასიონი", პარიზი, 1929, № 1-2, იანვარ-თებერვალი, გვ. 85-106.

3. ქართული სიძველენი ევროპულ ანტიკვარებთან, გაზ. „საქართველო", პარიზი, 1929, № 1-2, ივნის-ივლისი.

4. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1935, № 109.

5. ელენე თარხან-მოურავისეული ვეფხისტყაოსანის სურათებიანი ხელნაწერი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1935, № 118.

ლო", პარიზი, 1936, № 123; (დასასრული), გაზ. „საქართველო", პარიზი, 1935, № 7; (გაგრძელება), გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1936, № 123; (დასასრული) გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1936, № 124.

7. იური ნიკოლოზის ძე მარრი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1935, № 120.

8. ეროვნული განძეულობის თაობაზე (აკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხენკელის თანაავტორობით), გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1936, № 126.

9. მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1936, № 129; ჟურნ. „ქართლოსი", პარიზი, 1937, № 1.

10. წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1937, № 134.

11. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1937, № 137, 139.

12. ჯვარის მონასტრისეული „თთვენი" ანუ „საგალობელნი" მეთერთმეტე საუკუნისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1938, № 144.

13. ჩუმი მოღვაწის იოსებ დადიანის ხსოვნას, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1938, № 145.

11. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, № 146.

15. კოლია თაყაიშვილი (ნეკროლოგი), გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1938, № 149.

16. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1938, № 152.

17. მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერებში, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1939, № 159.

18. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1939, № 159.

19. სამუსულმანო საქართველო, ჟურნ. „ქართლოსი", პარიზი, 1939, № 19-23.

II. წერილები უცხო ენებზე:

1. წყაროები იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსისა აფხაზთა მეფის შესახებ (აღწერილობა ქართველთა და აფხაზთა მეფისა და მისი სამეფოსი), „ჟურნალ აზიატიკ", ტ. CCX, პარიზი, 1927, გვ. 357-368 (ფრანგულ ენაზე).

2. მოკლე ისტორიული მიმოხილვა ინტელექტუალური ცხოვრებისა საქართველოში, „პრომეთე", პარიზი, 1928, № 17, გვ. 22-27 (ფრანგულ ენაზე).

3. ქართული სიძველენი: I. ვანის სახარება, „ბიზანტიონი", ტ. X, ბრიუსელი, 1935, გვ. 655-663 (ფრანგულ ენაზე).

4. ქართული ქრონოლოგია და ბაგრატიდების მმართველობის დასაწყისი საქართველოში, „გეორგიკა", ტ. 1, № 1, ლონდონი, 1935, გვ. 9-27 (ფრანგულ ენაზე).

5. ქრისტეს ჯვარცმის ხატი სამეგრელოში, წალენჯიხის ეკლესიაში, „გეორგიკა", ტ. 1, № 2-3, ლონდონი, 1936, გვ. 12-14 (ინგლისურ ენაზე).

6. ოთხი ეკლესია აგებული ბიზანტიურ სტილში, მდ. ყვირილას დაბლობზე, „გეორგიკა", ტ. 1, № 2-3, ლონდონი, 1936, გვ. 154-173 (ინგლისურ ენაზე).

7. ქართული სიძველენი: II. სვანთა ერისთავ იოანე ვარდანიძის მე-12 საუკუნის ორი წარწერა: III. ხვამლის ეკლესიის წარწერის შესახებ, „ბიზანტიონი", ტ. 12, ბრიუსელი, 1937, გვ. 197-206 (ფრანგულ ენაზე).

8. საქართველოს სიძველენი: 1. საქართველოს კათალიკოს ეპიფანეს სახარება. 2. უძველეს ქართულ ეკლესიათა კანკელების ზოგიერთი ნიმუში, „გეორგიკა", ტ. 2, № 4-5, ლონდონი, 1937, გვ. 96-116 (ინგლისურ ენაზე).

9. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაფარნა და ენკერი და მათი წარწერების გარჩევა, ჩართულია გრ. ფერაძის სტატიაში: „ქართველი ბერები და მონასტრები", „გეორგიკა", ტ. 2, № 4-5, ლონდონი, 1937, გვ. 242-245 (ინგლისურ ენაზე).

10. საქართველოს კათალიკოს ეპიფანეს წარწერა, „რევიუ დე ლ'ორიენ შრეტიენ" (ქრისტიანული აღმოსავლეთის ჟურნალი), გამომავალი რ. გრაფენის ხელმძღვანელობით, მესამე სერია, ტ. X (XXX), პარიზი, 1935-36, № 1-2, გვ.216-224 (ფრანგულ ენაზე).

III. წიგნები

1. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, 64 გვ.

2. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, 440 გვ.

3. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ. პარიზი, 1938, 87 გვ.

4. მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, პარიზი, 1939, 16 გვ. (პირველად გამოქვეყნდა გაზ. „დამოუკიდებელ საქართველოში", პარიზი, 1939, № 150.

სანამ ჩვენი მკითხველი მიიღებდეს ექ. თაყაიშვილის ემიგრანტული ნაწერების სრულ გამოცემას, მანამდე გადავწყვიტეთ „მნათობის" ფურცლებზე გამოვაქვეყნოთ ზოგიერთი მათგანი.

გურამ შარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდის აწ გარდაცვალებულს პროფესორ პეტრე მელიქიშვილს ქართული ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობდა. ამისი მიზეზი იყო ორი გარემოება, სრულიად გასაგები. ერთი ის, რომ პეტრე მელიქიშვილი საქართველოში არ ცხოვრობდა და ქართულ საზოგადო საქმეებში პირად მონაწილეობას ვერ იღებდა. მეორე ის, რომ პეტრე იყო მეცნიერი ისეთი დარგისა, რომლის მიღწევების გაგება და დაფასება შეუძლიათ მხოლოდ სპეციალისტებს და არა ფართო საზოგადოებას.

ჩვენი საზოგადოება კარგათ იცნობდა ჩვენს პოეტებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს და საზოგადოთ ქართული საქმიანობის მოღვაწეებს, რომელნიც სათავეში უდგენ და ბელს უწყობდნენ ეროვნულ აღორძინებას. საკმაოდ ცნობილნი იყვნენ აგრეთვე მუმანიტარულ დარგის პროფესორებიც, ვინაიდან მათი შრომანი უფრო გასაგები და ხელმისაწვდენი იყო ფართო საზოგადოებისათვის. საბუნებისმეტყველო დარგის პროფესორები კი ნაკლებათ ცნობილნი იყვნენ. ასეთები ჩვენ მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდის ცოტანი გვყავდა. სულ სამი კაცი: ფიზიოლოგი თარხნიშვილი და ქიმიკოსები ვასილ პეტრიაშვილი და აწ განსვენებული პეტრე მელიქიშვილი.

თარხნიშვილი სამკურნალო სამხედრო აკადემიის პროფესორი იყო პეტერბურგში, დიდი ნიჭის პატრონი, საუცხოო ლექტორი და ჩინებული პოპულიზატორი. ჩემს უნივერსიტეტში ყოფნის დროს მის საჯარო ლექციებს „სალიანოი გარადოკში" პეტერბურგში აუარებელი საზოგადოება ეხეჩრებოდა და დიდის ინტერესით უსმენდა. შემდეგ ის უნივერსიტეტშიც მიიწვიეს და იქაც უდიდესი აუდიტორია ვერ იტევდა თურმე მის მსმენელებს. მას კარგი ადამიანის სახელიც ჰქონდა. მე მას პირადათ არ ვიცნობდი და არც რაიმე შემიძლია ვთქვა მის ქართული სულისკვეთების, მისი სამშობლოს სიყვარულის შესახებ. ერთი კი აშკარაა, ქართულ საზოგადო საქმეში ის ნაკლებათ სჩანს.

ჩემი დროის პეტერბურგელმა ქართველმა სტუდენტობამ ამაოდ სცადა მასთან დაახლოვება და მისი გამოყენება. ამის მიზეზი შეიძლება თვით სტუდენტობა იყო. ჩვენ მაინც დიდათ მოგვჭონდა თავი, რომ ასეთი ნიჭიერი პროფესორი გვყავდა. სულ სხვა იყო ვასილ პეტრიაშვილი და მისი განუყრელი ამხანაგი და მეგობარი პეტრე მელიქიშვილი. ესენი პროფესორობდნენ ოდესაში, ნოვოროსიის უნივერსიტეტში, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველ სტუდენტობასთან და მათ ხელმძღვანელობდნენ. ნამეტნავად ვასილ პეტრიაშვილი და მისი მეუღლე პატივცემული თავადგირიძის ასული დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ოდესელ ქართველ სტუდენტობის მიმართ. ამათი ოჯახი თვითეულ სტუდენტისათვის თითქო საკუთარი ოჯახი იყო. აქ პოებდნენ ისინი მშობლიურს ალერსსა და სითბოს. ვასილ პეტრიაშვილი მეგავიცანი, როდესაც ის ჩამოვიდა ტფილისში როგორც ხელმძღვანელი ოდესელ სტუდენტების ექსკურსიისა. მთელი ექსკურსია ჩვენთან მოვათავსეთ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. მისი მეუღლე წინეთ მყავდა გაცნობილი. ამ ექსკურსიაში ბევრი ქართველი სტუდენტობა იყო და მათგან ვიცი, თუ რა იყო მათთვის პეტრიაშვილის ოჯახი. ნამეტნავათ მათ ამბავს მიამბობდა სტუდენტი ხარლამპრი ღლონტი, დიდი პატრიოტი და ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც შემდეგ ჩემთან იყო მასწავლებლად სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. შემდეგ 1905 წ. რევოლუციისა, რომელშიაც დიდი მონაწილეობა მიიღო, ღლონტი რუსეთში მოექცა და ჩვენ ალარ შეგვხვედრია. წრფელი პატრიოტი, მშვიდი, წყნარი და დაუღალავი მუშაკი-მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი თავის პირადობით ახდენდა ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას. პეტრე მელიქიშვილი გვერდში უდგა ამ ოჯახს სტუდენტთა ხელმძღვანელობაში და მფარველობაში. თვითონ პეტრე უცოლშვილო იყო. ვასილ პეტრიაშვილს ტფილისის სახალიერო ხემინარია ჰქონდა გათავებული და მან ქართული უკეთ იცოდა, ვიდრე პ. მელიქიშვილმა. ვასილ პეტრიაშვილმა მოგვცა პირველად ორი დიდი ღირსშესანიშნავი სამეცნიერო გამოკვლევა ქართულს ენაზედ საბუნებისმეტყველო დარგიდან. ეს არის მისი შრომები მეღვინეობის და მერძეობის შესახებ.

ყველა ჩვენი პროფესორების გულითადი მი-

მოგონებანი წაკითხული იყო ქართველთა საზოგადოების კრებაზე პარიზში 1927 წლის მაისის 8-ს. დაიბეჭდა გაზ. „დამოუკიდებელ საქართველოში", პარიზი. 1927. № 18-19.

11. „მწათობი", № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფება იყო როგორმე თფილისში, სამშობლოს ცენტრში, გადმოეტანათ თავიანთი მეცნიერული მოღვაწეობა. აქ მოეწყოთ შესაფერი ლაბორატორიები და სამეცნიერო დაწესებულებანი. ვასილ პეტრიაშვილს ეს საუბედუროდ ალარ დასცალდა. ამ მხრით უფრო ბედნიერი იყო პეტრე მელიქიშვილი, რომელსაც წილად ხვდა გამხდარიყო პირველი რეკტორი სამშობლოს ქართული უნივერსიტეტისა.

მელიქიშვილის გვარი ორი იყო საქართველოში. ერთი საქართველოს სომხითის ხელისუფალის მელიქისაგან იყო წამომდგარი. ამ გვარის წევრნი თავადები იყვნენ. მეორე სამცხიდან იყო, ქართველ კათოლიკების გვარი იყო. პეტრეს მამა გრიგორი ახალციხიდან იყო მოსული ტფილისში. წინეთ ქართველი კათოლიკეები მანდამაინც არ ქართველობდნენ, ზოგნი უფრო სომხებს ეკედლებოდნენ, ზოგნი ამბობდნენ, ჩვენ ქართველები არა ვართ, ფრანგები ვართო. მაგრამ სიტყვა ფრანგი ნიშნავდა ჩვენში კათოლიკეთა ხარწმუნოებას და არა ფრანგს, საფრანგეთის მკვიდრს. პეტრეს მამის ოჯახი იმ თავითვე ქართველობდა. ამ ოჯახში საზოგადო მოღვაწეობა ტრადიციული იყო. პეტრეს მამა გრიგორი და მისი ძმა სტეფანე იმ ქართველ პატრიოტთა პატარა ჯგუფს ეკუთვნოდნენ, რომელთაც დაარსეს პირველი კერძო სტამბა ქართულ ეურნალ-გაზეთების გამოსაცემათ. ეს მაშინ დიდი პატრიოტული საქმე იყო. ამ ჯგუფს ეკუთვნოდნენ გარდა მამა-შვილი მელიქიშვილებისა ისტორიკოს-არქეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ღოღობერიძე და ვახტანგ თულაშვილი. სტეფანე ვენაში იყო გაგზავნილი სტამბის მაშინების და მოწყობილების შესაძენად და ქართული ასოების ჩამოსასხმელად. ჩვენი ეურნალ-გაზეთობა სულ ამ შრიფტით იბეჭდებოდა, რომელსაც ვენის შრიფტი დაერქვა. ეს შრიფტი განირჩევა აკადემიური შრიფტისაგან. სტამბა გაიხსნა 1864 წ. „დროებამ" დაიწყო გამოსვლა 1868 წელს. გამომცემელი იყო სტეფანე მელიქიშვილი, რედაქტორი გიორგი წერეთელი. შემდეგ ამ გაზეთის რედაქტორი იყო კარგათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგი მესხი, რომელსაც ცოლათ ყავდა პეტრეს და. ეხლაც კარგათ მუყოფი საზოგადო მოღვაწე მანდილოსანი ეკ. მესხი. მელიქიშვილის სტამბა ჩემს დროსაც არსებობდა და პეტრეს უმცროსი ძმა იოსებ (სოსიკო) მელიქიშვილი განაგებდა. მე ჩემი პირველი შრომის „სამი ისტორიული ბრონიკის" ბეჭდვა ამ სტამბაში დავიწყე, მაგრამ სანამ გავათავებდი. ეს სტამბა სამჯერ გაიყიდა. სამი სხვა და სხვა პატრონის ხელთ გადავიდა, რამაც ცუდი გავლენა იქონია გამოცემაზე. პეტრე მელიქიშვილის ბიოგრაფია მოკლეთ ასეთია: ის ნიჭიერი მოსწავლეა ტფილისის პირველი გიმნაზიისა. წარმატებით ათავებს გიმნაზიას, შემდეგ ოდესის უნივერსიტეტს. ბრწყინვალე საძღვარს გარეთ. 1878 წელს ხდება ადგილობრივი ოდესის უნივერსიტეტში, 1884 წ. იცავს სამაგისტრო დისერტაციას, 1882 წ. ხელმეორედ მიემგზავრება საძღვარს გარეთ. პარიზში უსმენს ლექციებს ბერთელოს. მიუნხენში მუშაობს ბაიერთან. 1884 წლიდან დოცენტია ოდესის უნივერსიტეტის. 1885 წელს იცავს დოქტორობის დისერტაციას და ხდება ჯერ ექსტრა ორდინარული პროფესორი. შემდეგ ორდინარული და ბოლოს დამსახურებული.

პეტრე მელიქიშვილს ქართული საზოგადო მოღვაწეობა წილად ხვდა, როგორც მოგახსენეთ, ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან. მანამდე ის იყო წმიდა წულის მეცნიერი, ფრიად ნიჭიერი და ნაყოფიერი მუშაკი, კარგათ ცნობილი არა თუ რუსების სპეციალისტთა შორის, არამედ საძღვარს გარეთაც. მას ეკუთვნის 81-ზე მეტი სხვა და სხვა გამოკვლევა დაბეჭდილი რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ქართულს ენაზედ, თუ რამდენად ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო პეტრეს სამეცნიერო შრომა, იქიდანაც სჩანს, რომ მისი ერთ-ერთი გამოკვლევა დაჯილდოებული იყო ლომონოსოვის დიდის პრემიით. ბოლო დროს ის რუსული სამეცნიერო აკადემიის კორესპონდენტ წევრად იყო არჩეული.

პეტრე მელიქიშვილი მე გავიცანი სულ რამოდენიმე თვის წინათ უნივერსიტეტის დაარსებისა. გამაცნო პატივცემულმა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისამ, რომლიდგანაც წერილი მივიღე: ამ ხალამოს ჩემთან პეტრე მელიქიშვილი იქნება და გთხოვთ მეწვიოთო. მეც ვიახელი. გარდა დიასახლისისა იქ იყვნენ კიდევ პეტრეს დაი ეკ. მესხი და ქალბატონი ალექსანდრა ფალავანი. პირველ გაცნობიდანვე პეტრემ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა თავისი კეთილი გამომეტყველებით, ხანდომიერი სახით და ტკბილი ხაუბრით. ბაასი ჯერ პოლიტიკაზე იყო. შემდეგ პროფესორ ჰუგო შუხარდზე და აკადემიკოს კანდაკოვზე. გამოჩნთა, რომ ერთიც და მეორეც დიდად დაახლოვებული მეგობრები ყოფილიყვნენ პეტრესი. ჰუგო შუხარდი ცნობილი ლინგვისტია გრაცში. ის კარგი ხანია ქართულს ენას იკვლევს. ბასკურ ენას უფარდებს ქართულს და სხვა კავკასიურ ენებს. მას ეკუთვნის სხვათა შორის სტატია ქართული ენის ტერიტორიალურ გავრცელების შესახებ მშვენიერის რუქითურთ, რომელიც რუსულათაც არის გამოცემული. პეტრემ მითხრა, ჩემს გრაცში ყოფნის დროს შუხარდმა შემარცხვინა, რომ ჩვენ ახე მნიშვნელოვანს საინტერესო ჩვენს სამშობლო ენას არ ვიკვლევთო, ამბა მე რა ქართულის მცოდნე ვარ, მაგრამ მან მაიძულა დამეწყო მასთან მაცადინეობა და მოვხმარებოდი ქართულის ენის შესწავლაში და ცნობების მიწოდებაშიო. ზოგი რამ მოვიგონე,

ზოგი წავიკითხე, წიგნები ვიშოვე და ასე ვცოდვილობდითო. სულ ამას მეუბნებოდა, რა თქვენი საქმეა ქიმია, ქიმიაში კვლევა-ძიებას ევროპელებიც კარგად შესძლებენო. თქვენ ასეთი მდიდარი ენა გაქვთ და მისი კილოკავები, ეს შეისწავლეთ და ამის გამოკვლევაში დაგვეხმარეთო, უთქვენოთ ამას ჩვენ თავს ვერ გავართმევთო. როგორც რაიმე გადანაცემიდან მოეწონებოდა, მაშინვე დაუმატებდა, ხან ხუმრობით, ხან ისე, მე რომ შენი ვიყო, ქიმიას თავს დავანებებდი დაქართული ენის კვლევას დავიწყებდიო. მე გატყობ ამაში უფრო წარმატებას გამოიჩენო. ერთს გამოკვლევას ქართული ენის შესახებ, რომელიც შუხარდმა გამოსცა 1896 წელს, ზედ აწერია თურმე, როგორც პროფესორი აკაკი შანიძე გადმოგვცემს: „ნიშნად მადლობისა ვუძღვნი ჩემს ხაუკარელს მეგობარს პროფესორ პ. მელიქიშვილს. გ. შუხარდი". პაგო შუხარდს მიწერ-მოწერა ჰქონდა ახლად განსვენებულს ქართველების მეგობართან არტურ ლეისტთან და ხულ იმას სთხოვდა, ვინმე ქართველი მოსწავლე გამოგზავნეთ გრაცში უმაღლესი სწავლის მისაღებად, რომ ქართული ენის კვლევის დროს გამომადგესო. მართლა და ლეისტმა და მე კიდეც აგგზავნეთ ერთი ჩემი ყოფილი მოწაფე კარგი და ნიჭიერი უმაწვილი ბეშკენაძე. მისთვის სტიპენდიის მიწოდება პატივცემულმა მარიამ ვიქტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ იკისრა. ბეშკენაძე ეხმარებოდა შუხარდს, მაგრამ შუხარდი არ იყო მანდამანიც კმაყოფილი ამ ახალგაზრდათი. ბეშკენაძე იყო გატაცებული ლიტერატურის და ფილოსოფიის შესწავლით, შუხარდს კი უნდოდა, ის ლინგვისტი გაეხადა. შუხარდი ლეისტს სწერდა: ბეშკენაძე ხაუცხოო უმაწვილია, მაგრამ ჩემი ცდა, რომ მას ენათა მეცნიერება შევაყვარო, ამაოდ რჩებაო. მე რომ ლინგვისტიკაზე ველაპარაკები, ის ფილოსოფიაზე და ლიტერატურაზე მიწყებს ბაასსო. ძალათ ხულიერი მიმართულების შეცვლა, რასაკვირველია, ძნელია.

კანდაკოვის შესახებ ბაასი პეტრეს და მე უფრო გაგვიგრძელდა. კანდაკოვის და მელიქიშვილის მეგობრობას უფრო მჯიდრო კავშირი ჰქონდა. კანდაკოვმაც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ოდესაში დაიწყო. აქ დახწერა მან თავისი გამოკვლევა ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. არც ერთს რუსის პროფესორს იმდენი ღვაწლი არ მიუძღვის საქართველოს შესწავლაში როგორც კანდაკოვს. მან ჩაუყარა საფუძველი ქართული ხელოვნების შესწავლას. რასაკვირველია პეტრე ასეთი კაცის მეგობარი იქნებოდა. მან მიამბო თუ რა დიდი სახელი აქვს კანდაკოვს ევროპის მეცნიერთა შორის, როგორი დაუღალავი მუშაკია და სხვა. შემდეგაც ჩვენი თავისუფლების დროს პეტრე ხულ იმას მეუბნებოდა, კანდაკოვი როგორმე მოვიყვანოთ საქართველოშიო. უკანასკნელი შეხვედრის დროს მან მითხრა: საქართველოთი დავიწყებ ჩემი მეცნიერული მუშაობა და მინდა საქართველოთი დავამთავროო. მე ვუთხარი პეტრეს, ნეტავი როგორმე მოვიდოდეს, თორემ ვინ იქნება წინაადმდეგი ის უნივერსიტეტში მოვაწყოთ და ყოველი დახმარება აღმოუჩინოთ მეთქი. ამ დროს არა ერთი გადმოხვეწილი ცნობილი რუსის პროფესორი გვყავდა მოწვეული უნივერსიტეტში და კანდაკოვი ჩვენთვის ყველაზე უფრო სახურველი იყო. მაგრამ კანდაკოვმა ბოლშევიზმის დამყარების შემდეგ დასტოვა რუსეთი და ჩვენ არც ვიცოდით, სად იმყოფებოდა. ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მივაწოდეთ. ხამი დღის წინად ჩვენი ტფილისიდან გამოსვლისა. როდესაც მე ფილტვების ანთებით ავათმყოფი, მაგრამ უკვე მოკეთებული, პეტრე მელიქიშვილი მიხეილის ხამკურნალოში ვინახულე, მან მაშინაც მომაგონა კანდაკოვის შესახებ. მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, თუ ჩვენც თვითონ მოგვიხდებოდა ხამშობლოს დატოვება. შემდეგ გამოირკვა, რომ კანდაკოვი პრაგის უნივერსიტეტში მოთავსებულ იყო და იქ განაგრძობდა სიკვდილამდის თავის მეცნიერულ მუშაობას. ხოლო ჩვენმა უნივერსიტეტმა ის, როგორც ვიცით, თავის ხაპატიო წევრად აირჩია.

პირველი გაცნობის შემდეგ მე პეტრეს შევხვდი კრებაზე, რომელიც იყო მოწვეული უნივერსიტეტის დაარსების საკითხის გადახაწყვეტად. ამ დღიდან ხამი წლის განმავლობაში პეტრეს ვხვდებოდი ორ-ხამჯერ მაინც კვირაში, ხან უნივერსიტეტში, ხან ხამეცნიერო ხაბჭოში და სხვა და სხვა დაწესებულებებში, სადაც პეტრე მონაწილეობას იღებდა. ჩვენ გულწრფელი მეგობრული განწყობილება გვქონდა და სხვაფერ არც შეიძლებოდა, ვინც ამ ღირსეულ ადამიანს კარგად იცნობდა.

ვინაიდგან ჩემი მოგონება პეტრეს შესახებ ამ უნივერსიტეტის გახსნაზეა დამყარებული. ნება მიბოძეთ ამას ცოტა ვრცლად შევეხო.

ცარიზმის დროს ქართულ უნივერსიტეტზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. არა თუ ქართული უნივერსიტეტი, რუსული უნივერსიტეტიც არ აღირსეს კავკასიას. არა ერთხელ ყოფილა აღძრული შუამდგომლობა თავად-აზნაურობის, ქალთა მმართველობის და სხვა ხაზოგადოებათა მიერ, მაგრამ ყოველთვის ამაოთ. მთავრობა მეცნიერებაზე და კავკასიის ერთა ჯეროვან განათლებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ მათ გარუსებაზე. ამას გარდა მას ეშინოდა, რომ უნივერსიტეტი გაჩდებოდა ცენტრი პოლიტიკური მოძრაობისა. პასუხათ რუსის ჩინოვნიკობას ამის შესახებ ასეთი ფრაზა ჰქონდა: კავკასია ჯერ არ მომწიფებულა უნივერსიტეტისათვისო. ჩვენ ხომ ვიცით, ჩვენი მხარე არ თუ მომ-

წიფებული გადამწიფებულიც იყო უნივერსიტეტისათვის, რაც ცხადათ დაამტკიცა ქართული უნივერსიტეტის გახსნამ.

შეგნებული ქართული საზოგადოება, როგორც იცით ებრძოდა გამარუსებელ პოლიტიკას, ამის წინააღმდეგ იყო მიმართული პოეზია, ლიტერატურა, ეურნალ-გაზეთები, საჯაზაროო სკოლები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, საადგილ-მამულო ბანკები და სხვა დაწესებულებანი, რომელთაც საერთოდ და კერძოთ თვითეულს ეროვნულ-პატრიოტული მიმართულება ჰქონდა. სასტიკმა გარუსების პოლიტიკამ მაღალწოდებათა ზედა ფენები მართალია შეარყია, მაგრამ ფართო შეგნებულ საზოგადოებაში წინააღმდეგ შედეგებს მიაღწია. დასთესა სიძულვილი და გამოიწვია მტრობა რუსეთის ხელისუფლებისადმი, გამრავლდა ქართული საკულტურო საზოგადოებანიც, როდესაც სახელმწიფო დუმაში გატარებულმა კანონმა შეძლება მოგვცა კერძო საზოგადოებათა გახსნისა. წინეთ ეს შეუძლებელი იყო. მართალია ქარ. შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოება წინეთ იყო დაარსებული, მაგრამ შუამდგომლობა ამის შესახებ მაშინ იყო აღძრული, როდესაც რუსეთს ოსმალეთთან ჰქონდა ომი და ჩვენი გულის მოგებისათვის უარი უხერხულად ჩასთვალეს. მაშინ თავს გვიქონავდნენ. პირველი საზოგადოება ახალის კანონით დაარსებული იყო „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება". ამ საზოგადოებას ჩვენ განგებ ვრცელი პროგრამმა დავუსახეთ. მუზეუმის გახსნა, ბიბლიოთეკის დაარსება, ლექციების და რეფერატების კითხვა, გამომცემლობა, მოგზაურობანი, საეთნოგრაფიო მასალის შეკრება და სხვა. ეს საზოგადოება თანდათან მოღონიერდა, მიიზიდა ფართო საზოგადოების ყურადღება, გაიჩინა თავისი მუზეუმი, წიგნთსაცავი, მოაწყო ლექციები, რეფერატები, მოგზაურობანი, გამოსცა საისტორიო საეთნოგრაფიო მასალანი და შეუდგა მზადებას საკუთარი მუზეუმის შენობის აგებისათვის. ჩვენი ნიჭიერი ისტორიკოსი და პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დიდის ხალისით იღებდა მონაწილეობას ამ საზოგადოებაში. მიდიოდა კანიკულებზე ტფილისში, კითხულობდა მოხსენებებს საზოგადოების სხდომებზე, მართავდა ლექციებს საზოგადოების სახელით და სხვა. რამდენადაც მე ვაკვირდებოდი ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობის განვითარებას, ჩვენთვის აშკარა შეიქმნა, რომ მას გული ნაკლებათ ერჩოდა რუსულათ ეწერა თავისი გამოკვლევანი. გარდა პირვანდელი რამოდენიმე შრომისა და სამაგისტრო დისერტაციისა ყველა მისი საუკეთესო გამოკვლევანი ქართულად დაიბეჭდა. მისი მიმართულება ცხადი იყო, მას უნდოდა სამშობლო ენაზედ შეექმნა მეცნიერული კვლევა-ძიება, ასეთ ლტოლვილებამ მისთვის ერთგვარი უხერხულობაც შექმნა. მოუთმენლად მიელტოდა [illegible] დოქტორო დისერტაციას, [illegible] რუსულათ უნდა დაწერილიყო. თითეული მისი ქართულად გამოცემული გამოკვლევა მიანიშნებდა მას ამ ხარისხს რუსულად რომ დაეწერა. მაგრამ რაკი გული არ ერჩოდა, თავს ძალა ვერ დაატანა. სადოქტორო შრომა, მგონია დაწყებულიც, დარჩა წარუდგენელი.

რაკი ჩემთვის ივ. ჯავახიშვილის მიმართულება აშკარა იყო და კარგათ მქონდა შეგნებული აუცილებელი საჭიროება, რომ უკვე გაზდილს, გაფართოებულს და მოღონიერებულს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ჰყოლოდა ისე სპეციალურად მომზადებული, ენერგიული და ნიჭიერი მკვლევარი, როგორიც იყო ივ. ჯავახიშვილი, მე მივმართე მას წერილობითი წინადადებით, რათა თავისი მეცნიერული მუშაობა ტფილისში გადმოეტანა და გამხდარიყო თავმჯდომარე და ხელმძღვანელი ამ საზოგადოებისა. მაშინ ჩვენ ერთი კაცის მატერიალურად უზრუნველყოფა ასე თუ ისე შეგვეძლო. სხვები ვინც იქ ვმუშაობდით, უფრო მოყვარულნი ვიყავით სამეცნიერო შრომისა, ვიდრე სპეციალისტები, და მასთან ყელამდის დატვირთულნი ჩვენი საქმეებით. სიბეჭოს უმეტესად პედაგოგები შევადგენდით. იდეა რომ ქართველ საზოგადოებას ტფილისში ერთი კაცი ყოლოდა სპეციალურად საისტორიო გამომცემლობისა და კვლევა-ძიებისათვის, კარგი ხანია მომწიფებული იყო ჩვენში. მაგრამ ამის განხორციელებისათვის სახსარი არ იყო. მე მახსოვს ერთხელ განსვენებულმა ნ. ღოღობერიძემ მიგვიწვია სათათბიროთ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, იაკობ იხარლოვი და მე. ცოტა ფული მაქვს ანდერძით დასატოვებელი და რა საგნისთვის სჯობს გადავსდოო? ილია ჭავჭავაძემ პირდაპირ განაცხადა, სჯობია ეს ფული ფონდით დაიდვას, რომ მაგის პროცენტით ერთი კაცის უზრუნველყოფა შეგვეძლოს, რომელსაც საისტორიო მასალათა შეკრება და დამუშავება ჰქონდეს მარტო საზრუნველათო. მაგრამ სხვებმა და თვით ღოღობერიძემ ამჯობინეს, წერა-კითხვის საზოგადოებისათვის დაეტოვებინა მის ხოფელში სკოლის გასახსნელად და სტიპენდიისათვის. ბოლო დროს ნ. ღოღობერიძემ ჩემის წინადადებით თავის ანდერძი ცოტა შესცვალა და ნაწილი თავის ნულილისა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც დაუტოვა.

ივანე ჯავახიშვილს ჩემი წინადადება საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, რაც პირადათ მოლაპარაკების დროს გამოირკვა ტფილისში. ის ყოყმანში იყო. კიდეაც გულით ხურდა ტფილისში გადმოსვლა, მაგრამ ბევრ უხერხულობასაც ითვალისწინებდა. კიდევ მოვიფიქრებო, უკანასკნელად გამიცხადა. თავ დაბრკოლებას იმაში ხედვიდა. რომ მას არ ეკნებოდა საშვა-

ლება სისტემატიური ლექციების მოწყობისა. არ ეყოლებოდა აუდიტორია, როგორიც პეტერბურგში ყავდა. ის მაშინ ხელმძღვანელობდა არა მარტო აღმოსავლეთის ფაკულტეტის სტუდენტებს, არამედ პეტროგრადის ყველა ფაკულტეტების ქართველ სტუდენტებს, რომელნიც ქართველოგიის შესწავლაში ჩაება, კიდევ ის რომ ტფილისში ვერ იშოვიდა საჭირო წიგნებს და სხვა. მანამ ამ საკითხს ივ. ჯავახიშვილი საბოლოოდ გადასწყვეტდა, მოგვისწრო თებერვლის რევოლუციამ. დაინგრა ცარიზმის ტახტი, დაარსდა დროებითი მთავრობა და მისი კომისარიატი ტფილისში, მოედო ქვეყანას პირველი აღფრთოვანება უკეთესი მომავლის იმედისა, გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკა, და ივ. ჯავახიშვილი უკვე შემუშავებული კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსების გეგმით ჩამოვიდა ტფილისში.

ივანე ჯავახიშვილმა გამაცნო გეგმა კერძო უნივერსიტეტის დაარსებისა. გეგმა მარტივი იყო. უნდა შეგვედგინა საზოგადოება, რომელიც იზრუნებდა სალსარის აღმოსაჩენად, თანხის შესაკრებად. თვით უნივერსიტეტი სწავლა-მეცნიერების და გამგეობის საქმეში სრულიად ავტონომიური იყო. მას განაგებდა პროფესორთა საბჭო, უნდა დაგვეწყო სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტით (ეხლა პედაგოგიური ფაკულტეტია), რომლისათვის ნიადაგი კარგი ხანია იყო მომზადებული. აუარებელი მასალა იყო შეგროვილი ჩვენს მუზეუმებში, ამ დარგში წინეთ საჭარო ლექციები და მოხსენებანიც იმართებოდა. კადრი პროფესორებისა და ლექტორებისა, რომელნიც ცნობილნი იყვნენ უკვე თავისი სამეცნიერო შრომებით, საკმაო იყო. სამეცნიერო ცენზი პროფესორთათვის ერთნაირისხოვანი იყო. სიბრძნის ფაკულტეტს შეძლებისამებრ უნდა მოჰყოლოდა სხვა ფაკულტეტების გახსნაც. უნივერსიტეტს თანდათან უნდა შემოეკრიბა რუსეთში მყოფი ქართველი პროფესორები, პრივატდოცენტები და საპროფესოროდ დატოვებული ახალგაზრდობა. თუ სახსარი ნებას არ მოგვცემდა, პირველ ხანად პროფესორები გასამრჯელოს არ აიღებდნენ.

მოვიწვიეთ პირველი ხაორგანიზაციო კრება უნივერსიტეტის საზოგადოებისა. ამ კრების თავმჯდომარეობა მე მხვდა წილად, ვინაიდან ივ. ჯავახიშვილი მომხსენებელი იყო და თავმჯდომარეობა არ ინება. კრებას დაესწრო პ. მელიქიშვილიც, რომელიც მაშინ ტფილისში ჩამოსული იყო. პეტრე ავირჩიეთ საპატიო თავმჯდომარეთ კრებისა. კრება აღტაცებით შეხვდა აზრს ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა. წარმოდგენილი გეგმა მოიწონა, აირჩია გამგეობა საუნივერსიტეტო საზოგადოებისა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კოტე აბზახი, ყოფილი თავადაზნაურობის წინამძღოლი. მაშინ თავად-აზნაურობის წოდება უკვე გაუქმებული იყო და საკითხი იყო აღძრული, თუ ვისთვის უნდა გადაეცათ ქონება თავად-აზნაურობისა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობას შედარებით დიდი ქონება ჰქონდა. მას ეკუთვნოდა განაწილება საადგილ-მამულო ბანკის მოგებისა. მას ჰქონდა მრავალი უძრავი ქონება: ქარვასლა თავის ბაღით, თეატრით და შენობებითურთ, თვით ის შენობა სადაც სათავადაზნაურო გიმნაზია იყო. რომელშიაც ეხლა უნივერსიტეტი და მუზეუმებია მოთავსებული, და სხვა მამულები. სწორეთ მოგახსენოთ, მე დიდი იმედი არ მქონდა. რომ ჩვენი ღარიბი საზოგადოება საკმარის სახსარს მოუპოვებდა უნივერსიტეტს თავის თავზე ხარჯის გაწერით, როგორც განზრახული იყო, ქალაქების და სხვა დაწესებულებების ერთხელ გადაჭრილი წლიურის გადასახადით და სხვა. ასეთი ენთუზიაზმის გამო დაპირებული გადასახადის იმედით დიდი არაფერი გამოდიოდა სხვა დროსაც და სხვა საპატიო მიზნებისთვის. ამიტომ ჩემი პირადი აზრი იყო, რომ თავად-აზნაურობას გადაეცა მთელი თავის ქონება უნივერსიტეტისათვის და ეს იქნებოდა მისი საუკეთესო ფონდი. მაგრამ ეს აზრი არ შეიწყნარა ყოფილმა თავად-აზნაურთ დეპუტატთა საკრებულომ, რომელსაც უნდა მოეხდინა ლიკვიდაცია ქონებისა. მან ამჯობინა ქონების გადაცემა ქართული ნაციონალური კრებისადმი. სხვათა შორის ამ გადაცემის საკითხი დაიდვა ხაბაბათ ნაციონალური კრების მოწვევისა. როგორც იცით, ნაციონალური კრება მოწვეულ იქნა და ქონება გადაცემული. ხოლო ერთი დიდი ადგილი წყნეთის ჭუჩაზე ჩვენ ვიყიდეთ ხაისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის მუზეუმის შენობის ასაგებად. იმ ფასში, რა ფასშიაც თვით თავადაზნაურობას ჰქონდა ნაყიდი (ასი ათას მანეთად).

მერმენდელი პოლიტიკური ცვალებადი ჩვენი ერის ბედისა თქვენ მოგეხსენებათ. ნაციონალურ კრებას მოჰყვა ამიერკავკასიის სეიმი, სეიმს ხაქართველოს თავისუფალ ხახელმწიფოთ გამოცხადება. ჩვენი უნივერსიტეტი დიდის ამბით და ზეიმით გახსნილი 28 იანვარს 1918 წელს გამოცხადებულ იქმნა ხახელმწიფო უნივერსიტეტად. გაიხსნა ხაბუნებისმეტყველო და ხამათემათიკო, ხამკურნალო, ხაეკონომიო და ხაagრონომო ფაკულტეტები და სხვა. პირველ ხაბჭოთა ხხდომაზევე 18 იანვარს 1918 წელს პ. მელიქიშვილი არჩეულ იქმნა რექტორად ამ პირველი ქართული ხამეცნიერო ტაძრისა. ხამართლით ჩვენ უნდა ავეერჩია რექტორად ივ. ჯავახიშვილი, როგორც ამ ხაქმის ინიციატორი, მისი სულის ჩამდგმელი, რომელთანაც სრულის ერთსულობით მხნედ და აღტაცებით დღე და ღამე დაუღალავად მუშაობდა მცირე ჯგუფი ქართველოლოგიაში უკვე კარგად ცნობილი, მაგრამ ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეას ბევრი მოწინააღმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენი ყავდა. ჯერ ერთი, რომ ახალმა რევოლუციის მიერ წარმოშობილმა დროებითმა მთავრობამაც ალმაცერად შეხედა ამ საქმეს, აღგილობრივი რუსის საზოგადოება და ყოფილი ჩინოვნიკობა მტრულად იყო განწყობილი, რატომ ქართული უნივერსიტეტი და არა საერთო ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი, რომელშიაც ყველა ერის ახალგაზრდობას შეუძლია მიიღოს უმაღლესი განათლება რუსულ ენაზე, — ამბობდნენ ისინი, — ქართველებს ხომ არც პროფესორები ჰყავთ, არც მეცნიერული ტერმინოლოგია აქვსთ, არც სამეცნიერო წიგნები მოეპოვებათ და სხვა ამგვარი არგუმენტებით ცდილობდნენ ხელის შეშლას. პეტერბურგის მთავრობამ კიდეც მიიღო პრინციპიალური გადაწყვეტილება ამიერკავკასიის უნივერსიტეტის დაარსებისა, რომ ამით ხელი შეეშალა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ბოლოს რუსულმა საზოგადოებამ და ყოფილმა ჩინოვნიკობამ უცხოელებზეც იქონია გავლენა, როდესაც მათი ჯარი შემოვიდა ამიერ-კავკასიაში, და ისინიც უფრო მომხრე იყვნენ რუსული უნივერსიტეტისა, ვიდრე ქართულის. ამიტომ ჩვენთვის საჭირო იყო უნივერსიტეტის სათავეში მოგვეყვანა ისეთი კაცი, რომელსაც მტრის თვალშიაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და რომლის წინააღმდეგ აღარაფრის თქმა არ შეეძლოთ. ასეთი კაცი იყო ერთადერთი პ. მელიქიშვილი, დამსახურებული პროფესორი უმნიშვნელესი სახუნებისმეტყველო დარგისა, ქიმიისა, კარგათ ცნობილი მთელ რუსეთში, რომელსაც გაელილი ჰქონდა 45 წლის სტაჟი პროფესორობისა, აგრეთვე გამოცდილება დეკანობისა[1] და რექტორის თანამდებობის აღმსრულებელიც იყო ერთხანად ოდესის უნივერსიტეტში. თვით ივ. ჯავახიშვილმა გადაჭრილი უარი სთქვა რექტორობაზე და აუცილებლათ მიიჩნია პეტრე მელიქიშვილის არჩევა. პეტრე მელიქიშვილი ერთხმად იქმნა არჩეული. აქ დამაბრკოლებელი ერთი გარემოება იყო მხოლოდ, რაზედაც თვით პეტრე აქცევდა ჩვენს ყურადღებას, რომ ის ნაკლებად იცნობდა ჩვენს საზოგადოებას. არ იყო დახელოვნებული ქართულს ენაში, მაგრამ ამას არ ჰქონდა საიმისო მნიშვნელობა, ვინაიდან ივ. ჯავახიშვილი, სიბრძნის ფაკულტეტის დეკანათ არჩეული, გვერდში ედგა მელიქიშვილს და ეხმარებოდა, რაც მელიქიშვილისათვის საძნელო იყო. გადაჭარბებას თუნდ ყოვლად ღირსეული გადაცვალებულის მოღვაწის დაფასებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ყველას თავისი უნდა მიუსაჯოთ, და ამიტომ მე უნდა ვთქვა, რომ, თუ გნებავთ, ფაქტიური რექტორი ივ. ჯავახიშვილი იყო. ის იღებდა სტუდენტობას, მსმენელებს, საზოგადოების წევრებს, მოსამსახურეთ, მასწავლებელთა და პროფესორთა პერსონალს და სხვა. პეტრე [illegible] ტვირთული იყო თავის [illegible] ის იყო ხელმძღვანელი და მომწყობი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა. მას წილად ხვდა სხვადასხვა ლაბორატორიების ჩაბარება, მათი ერთი ბინიდან მეორეში გადატანა, მათი მოწყობა და ამუშავება, მთავრობასთან და უცხოელების წარმომადგენლებთან სიარული სხვადასხვა უნივერსიტეტის საქმეების გამო და სხვა. საზოგადოთ უნივერსიტეტის აღმშენებლობის და მოწყობის ხანაში ფუნქციების განაწილება ფორმალური არც ყოფილა. ყველა იმას აკეთებდა, ვისაც რა მოხვდებოდა, ვისაც რის გაკეთება შეეძლო, თუმც ეს ფორმალურად მისი საქმე არ ყოფილიყო. ვის ურმით თუ ფურგუნით ავეჯი გადმოჰქონდა, ვინ წიგნებს ეზიდებოდა, ვინ აუდიტორიას ამზადებდა, ვინ ლაბორატორიას და კაბინეტებს აწყობდა და სხვა.

მე შემიძლია ვთქვა, რომ უდროოთ გადაცვალება ახალგაზრდა მეცნიერის იოსებ ყიფშიძისა იყო შედეგი დაღლილობისა უნივერსიტეტის საქმეების გამო.

მხცოვანი პეტრე მელიქიშვილი სამშობლოს განთავისუფლებამ და უნივერსიტეტის დაარსებამ თითქოს გაახალგაზრდავა. ჩვენთვის საოცარი იყო, როგორ შერჩა მას, უკვე მოხუცებულს, ასეთი ენერგია ფიზიკური და პსიქიური, საქმიანობა და დაუღალობა. სოლოლაკის ჭუჩიდან ფეხით მიდიოდა უნივერსიტეტში, საქმეები აუარებელი იყო, საბჭოს სხდომები ზოგჯერ ღამის ორს საათამდის გრძელდებოდა, ამას შემდეგ ის ფეხითვე მიდიოდა სახლში, დილას თავის დროზე უნივერსიტეტში იყო. საკვირველი და მასთან სასიამოვნო კიდევ ის იყო ჩვენთვის, რომ კაცი რომელიც თავისუფლად საუბრობას ძლივს ახერხებდა ქართულს ენაზედ, იმდენათ დახელოვნდა ამ ენაში, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ ქართულად კითხულობდა ლექციებს. ეს იმის მომასწავებელია, რომ მელიქიშვილი დიდი ნიჭის პატრონი იყო და რასაც ხელს მოჰკიდებდა, ადვილად ითვისებდა. ამიერიდან მან ქართულად დაიწყო თავის გამოკვლევათა წერა და მოხსენებების კითხვა. ქართულს ენაზე პეტრეს აქვს გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები:

ჩვენი სასმელ-საჭმლის ქიმიური შემადგენლობა (ტფილ. უნივ. მოამბე, I).

ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა (ტფ. უნივ. მოამბე, I).

ვაზი და ღვინო(იქ. № II).

პასტერი როგორც ქიმიკოსი (საქართველოს სამკურნალოს მოამბე, 1922, № I).

ჩვენებური ყველი (ტფ. უნივ. მოამბე, II).

ქიმია და ქიმიური მრეწველობა (ჩვენი მეცნიერება, I).

როგორც პროფესორი მელიქიშვილი სასტიკი

---

1 ის ეერ ავტოკეფალიის აღდგენას შეუერიგდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, მისი საგნის ზერელეთ შესწავლა და ასე ფონს გასვლა სტუდენტს არ შეეძლო. მას ჯეროვნად, გულმოდგინეთ და ხიყვარულით უნდა შეესწავლა საგანი, მხოლოდ ასეთი სტუდენტითვის ის ყველაფერი იყო: მამა, მრჩეველი, ძმა და მეგობარი. მას ჰქონდა უნარი გადაეცა ხიყვარული თავის საგნისადმი თავის მოწაფეებისათვის, რომელთა შორის ზოგიერთები ცნობილი პროფესორები არიან: ზ ე ლ ი ნ ს კ ი მოსკოვის უნივერსიტეტში, პ ე ტ რ ე ნ კ ო ოდესის უნივერსიტეტში, ბ ე ზ რ ე დ კ ო პასტერის ინსტიტუტში პარიზში, პ ი ს ა რ ე ვ ს კ ი ეკატერინოსლავის სამთამადნო სასწავლებელში.

ერთხელ პეტრემ ნაღვლიანად მითხრა. დღეს გამოცდა მქონდა სტუდენტებისა. ზოგმა ჯეროვნად გამოიჩინა ცოდნა, ზოგი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნთა, ერთმა ხულ არაფერი არ იცოდა და კიდევ პრეტენზია გააცხადა, რომ საკმაო ნიშანი არ დაუსვიო და ასეთი ლაპარაკი დამიწყო: „ეხლა ისეთი დრო არის, რომ შეღავათით უნდა მოგვეპყროთო, მე დიდათ დავბრკოლდები, რომ სემესტრი არ ჩამეთვალოსო". მე ვუთხარიო: დიან, ეხლა ისეთი დროა, რომ ყველამ კარგათ უნდა აღვიპურვოთ ცოდნით, თორემ მაგეთი უვიცობით შენ რომ მიდიხარ, სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ-მეთქი.

მელიქიშვილი იყო მედგარი დამცველი უნივერსიტეტის ინტერესებისა და სახელისა, მას ღირსეულად ეჭირა თავი როგორც შინაურების ისე უცხოელების წინაშე. მან იცოდა ვისთვის რა პასუხი გაეცა. როდესაც ამერიკის წარმომადგენელმა მიიწვია პეტრე უნივერსიტეტის საქმეები საინფორმაციოთ და მოისმინა მდგომარეობა უნივერსიტეტისა, თურმე შენიშნა: „არ ემჯობინებოდა რუსული უნივერსიტეტი გაგებინათ ქართულის მაგიერ, თქვენ ალბათ ქართული ძალების ნაკლებობას განიცდით, მეცნიერება ხომ ინტერნაციონალურია, ხულ ერთია რომელ ენაზედაც შეითვისებთ მეცნიერებასო". პეტრემ უპასუხა: დიახ მეცნიერება ინტერნაციონალურია და ამიტომაც ყველა ხალხს თავის ენაზე უნდა ჰქონდეს შეთვისებულიო.

პეტრე იყო სპეტაკი ადამიანი. ყოვლად უანგარო, ლმობიერი და თავდაბალი, სასიამოვნო მოსაუბრე და ფხიზელი გონების პატრონი. ის უნივერსიტეტის საქმეში დიდს მომჭირნეობას იჩენდა, ვინც ოთახს იწუნებდა კაბინეტისათვის და ლაბორატორიისათვის, ის შენიშნავდა ხოლმე, ეხლა კომფორტის და ფუფუნების მოთხოვნას თავი უნდა დავანებოთ, ცოტათი უნდა დავკმაყოფილდეთ. თორემ ნორჩი უნივერსიტეტი ფეხს ვერ აიდგამს, თუ ყველამ დიდი მოთხოვნილება წარუდგინეთო. და მაგალითი მოყავდა, რომ ოდესაში 15 წელიწადი ლაბორატორია პატარა ნესტიან სარდაფში გვქონდა მოწყობილიო.

ადამიანი უნაკლულო არ არის და პეტრესაც თავისი პატარა ნაკლი ჰქონდა, რომელიც მისი ჩვეულებრივი ცხოვრებით და პროფესიით გამოწვეული. პეტრე უცოლშვილო კაცი იყო, გატაცებული თავის სპეციალობით და ცნიერო მუშაობით, უმეტეს დროს ატარებდა ლაბორატორიაში და კაბინეტში, მას ჰქონდა საქმე მათემატიკურად ჩამოყალიბებულ ფორმულებთან, რომელსაც ვერც ვერაფერს გამოაკლებ და ვერც ვერაფერს მიუმატებ. ამიტომ ის ჩვენებურ გაუთავებელ დისკუსიას და შეხლა-შემოხლას ვერ იტანდა, მოწინააღმდეგეს ეზრს დამშვიდებით ვერ ისმენდა, მეტადრე თუ ეს ეზრი მისი შეხედულებით გულწრფელი არ იყო. ღელავდა და გული ადვილად მოსდიოდა. როდესაც პეტრე თავის სერთუკის ღილების შესკვნას დაიწყებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ის ჯავრობდა, აღელვებული იყო და მზად იყო კრება დაეტოვებია. ერთხელ ერთმა პროფესორმა მაცინა: გუშინ პეტრე გამიჯავრდაო. ფაკულტეტის კრება გვქონდა. კრების ბოლოს ჩვენს მატერიალ უმწეობაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ შუამდგომლობა აღვძრათ, ჯამაგირი მოგვიმატონო. პეტრემ თქვა, არ შეიძლება, მთავრობას სახსარი არა აქვს, უნდა ყველამ გავიკვიროთ, მოვითმინოთ და ნაკლულოვანება ავიტანოთო. მე ხუმრობით უპასუხეო: „თქვენ შეგიძლიათ ატანა, რადგან მარტოხელა ხართ და მერმე კიდევ ხანშესრული ბრძანდებით. ხანშესრულის კაცის კუჭი ნელად მუშაობს, მას ცოტა ხაზრდოც ეყოფა, ჩვენი, შუახნის კაცის და ახალგაზრდების კუჭი უფრო სწრაფად მუშაობს და უფრო მეტს ხაზრდოს თხოულობს. ეს ფიზიოლოგიური კანონია, თქვენც კარგათ მოგეხსენებათქო. გამიჯავრდა პეტრეო. გაწყრა, აღელდა. ეს რომ შევნიშნე, მივედი: პეტრე, ნუ გამიჯავრდები, გეხუმრე, კარგი ახლა, შევრიგდეთ, ვუთხარიო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, უცებ შეიკრა ღილები, ხმაც არ გამცა და წავიდაო.

იყო ერთი შემთხვევა, უფრო არა სასიამოვნო: ერთხელ მას უნივერსიტეტის საპროფესორო ოთახში ერთს თუ ორს კოლეგასთან ლაპარაკი მოსლოდა. მოთმინებიდან გამოსულიყო და არა საკადრისი სიტყვები ეხმარა. შემდეგ გულმოსულს განეცხადებია, რომ ის თავს ანებებს რექტორობასაც და პროფესორობასაც უნივერსიტეტში და წასულიყო. რაში იყო საქმე არც დღეს ვიცი და არც სიანტერესოა, ხოლო როცა ეს ამბავი ივ. ჯავახიშვილმა გადმოგცა, მთხოვა წავსულიყავი პეტრესთან და ეს საქმე როგორმე მომეგვარებია, თუ მანდამაინც რექტორობას თავს დაანებებდა, პროფესორობა განეგრძო. მე ერთი-ორი დღე დავიცადე, რომ პეტრე დამშვიდებულიყო. მერე მივედი ბინაზე მასთან. იამა ჩემი მისვლა. თვითონ მიამბო ყველაფერი ინციდენტის გამო. მე ვუთხარი. მე არ შევდივარ იმის განხილვაში რაშია საქ-

მე, ან ვინ არის დამნაშავე ამ სამწუხარო ინციდენტისა, მე მხოლოდ ისე, როგორც თქვენი პატივისმცემელი და მეგობარი ივ. ჯავახიშვილი და სხვა ჩვენი ამხანაგები, ვერ შევრიგებივართ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენ მიგიღიათ მომხდარი ინციდენტის გამო. ვთქვათ, ისინი დანაშაულნი არიან, მაგრამ აქ რა შუაშია უნივერსიტეტი, ან ჩვენ დანარჩენი ახლოდე კაცისაგან შემდგარი უნივერსიტეტის კოლეგია, რომ გვიწყრებით, გვტოვებთ და მიდიხართქო. აქ საჭირო არ არის განვაგრძო რა ველაპარაკე ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემმა გულწრფელმა ლაპარაკმა მის ნაზ გულზე იქონია გავლენა, ტირილი მოუვიდა, გული ამოესკვნა, ისე რომ იძულებული ვიყავი წყალი მიმეწოდებია. ძლიერ გულჩვილი ადამიანი აღმოჩნდა. ცხადი იყო, პეტრე თავის თავს უფრო სასტიკ მოთხოვნილებას უყენებდა, ვიდრე სხვას. გრძნობდა, რომ არ უნდა დაეშვა არა საკადრისი სიტყვები, რომელთა შემდეგ მას უხერხულად მიაჩნთა უნივერსიტეტში დარჩენა, კოლეგების რცხვენოდა. ბაასი ჩვენი გაგრძელდა. პეტრე დამშვიდდა. გადამკოცნა, დამეთანხმა, რომ მისი წასვლა უნივერსიტეტს ავნებდა, პროფესორათ დარჩენაზე თანხმობა გამოუცხადა, ხოლო რექტორობაზე უარი თქვა. ამის შემდეგაც ისე გულმოდგინეთ და მხნედ განაგრძობდა მოღვაწეობას უნივერსიტეტში, როგორც წინეთ. რექტორათ ივ. ჯავახიშვილი ამოვირჩიეთ. ფაქტიური რექტორი მაინც ხომ ის იყო და ამით არაფერი არ შეცვლილა არსებითად. ამ დროს უნივერსიტეტი უკვე ისე მოღონიერებული იყო, რომ არავითარი ხაშიშროება არ მოელოდა.

პეტრე იყო დიდათ დაინტერესებული ჩვენი მრეწველობის საკითხით. თქვენ [illegible] თუ რა დიდი მნიშვნელობა [illegible] ველობის განვითარებაში. გერმანიამ თუ წინ გაუსწრო სხვა ქვეყნებს ომის წინ მრეწველობაში და ტექნიკაში, ეს იყო შედეგი ქიმიის დარგის განვითარებისა და მისი თეორეტიული მიღწევების პრაქტიკულად გამოყენებისა. პეტრე იყო ჩვენში ამ საკითხში პირველი ავტორიტეტი, მრჩეველი და ხელმძღვანელი ყველასთვის. მას აზრათ ჰქონდა სხვა და სხვა სამრეწველო ამხანაგობის დაარსება და ზოგი კიდეც დაარსა მგონი. აქ მას დიდი საქმეების მოწყობა შეეძლო, რომ დახცალებოდა.

ხანშესული ადამიანი, რასაკვირველია, ყოველ დღე უნდა ელოდეს აღსახრულს. ეს ბუნების კანონია, მაგრამ პეტრეს სიკვდილი მაინც მოულოდნელი იყო. უბრალო შემთხვევითი ჭრილობა გაუმიზეზებია, როგორც სწერენ, და ამის შედეგი ყოფილა სიკვდილი, უამისოდ მის ხალ ბუნებას კიდევ კარგს ხანს შეეძლო განეგრძო თავისი ნაყოფიერი მუშაობა. ისე შეიძლება ვთქვათ, რომ პეტრე მელიქიშვილი ბედნიერი კაცი იყო: ბედნიერი იყო მით, რომ თვალსაჩინო კვალი დასტოვა მეცნიერებაში; ბედნიერი იყო მით, რომ სიბერეშიც შეინარჩუნა ძალა, ენერგია და უნარი მუშაობისა, რაც ასე იშვიათია სხვებისათვის; კიდევ უფრო ბედნიერი იყო მით, რომ მას ბოლოს მაინც წილად ხვდა გამოსდგომოდა თავის საყვარელ ხამშობლოს და გამხდარიყო ერთი იმ ბურჯთაგანი, რომელზედაც დაემყარა და გაიფურჩქნა ჩვენი ნორჩი ქართული უნივერსიტეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ლორთქიფანიძის ფილოლოგიური ძიებანი

ამ ბოლო პერიოდში საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია 20-ანი წლების ცნობილი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ლორთქიფანიძის პიროვნებამ. ქართველმა ისტორიკოსებმა გამოაქვეყნეს მისი ისტორიულ-პოლიტიკური „ნარკვევები" და მაღალი შეფასება მისცეს მის ეროვნულ მრწამსს, რაც შესანიშნავად აისახა მის „ანდერძში": „ჩემი მტკიცე სურვილია, თუ ვინცობაა რუსეთის ტყვეობაში გარდავიცვალე, ნურავითარ შემთხვევაში ნუ ჩამოვა ამჟამად ჩემი მეუღლე ან სხვა ჰირისუფალი. რა თქმა უნდა, ჩემი სურვილია სამშობლოს მიწის გულში ჩახუტება". მისი ნებაა დაიკრძალოს მესხეთში, „სადაც დაიბადა და აირწო ქართველი ხალხის კულტურის აკვანი. მაგრამ ეს მეტად ძნელი იქნება და თანაც, სანამ საქართველო თვით ამგვარ ტყვეობაშია, მე მირჩევნია ვიქნე ამ ორმაგ ტყვეობაში... და როდესაც საქართველო შესძლებს თავისი შვილების დატყვევებული ნეშტების თავის მოყრას ...მხოლოდ მერმეთაა დასაშვები ზრუნვა ჩვენი თაობის ასეთ საფლავთა შესახებ. როგორიც ჩემი ძვირფასი მეგობრის ალექსანდრე ლომთათიძის, სტეფანე ახმეტელაშვილის და სხვათა საფლავებია. („გრიგოლ ლორთქიფანიძის ანდერძიდან").

(„სახალხო განათლება", 1989, № 39).

მოკლედ შევჩერდებით გრიგოლ ლორთქიფანიძის ბიოგრაფიულ ცნობებზე, რადგანაც სწორედ მისი ბიოგრაფია ბევრ რამეს გვიხსნის მისი მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ.

გრიგოლ ლორთქიფანიძე დაიბადა 1881 წ. სოფელ ისრითში, რომელიც მაშინ ქუთაისის მაზრის ვანისთემში შედიოდა. 1901 წ. დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია და მომდევნო წელს ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ანტისამთავრობო გამოსვლების გამო 1904 წ. უნივერსიტეტიდან გარიცხეს და დააპატიმრეს. 1907 წ. გაათავისუფლეს და ოდესის უნივერსიტეტს დაუბრუნდა. მაგრამ სწავლა განაგრძო ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით. ამ წლებში იგი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, სადაც კითხულობდა საჯარო ლექციებს. 1912 წ. გრიგოლ ლორთქიფანიძე საქართველოდან გაასახლეს და დააპატიმრეს. ცხოვრობდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში, სადაც ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1916 წლიდან ვორონეჟის გუბერნიის დაბა ურეოში მასწავლებლობდა. იქ დაქორწინდა პედაგოგ ლუბოვ ტიმოთეს ასულ აკრამენკოზე. 1918 წ. იგი ოჯახითურთ საქართველოში დაბრუნდა. როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი იგი დანიშნეს დემოკრატიული მთავრობის განათლების მინისტრად; ატარებდა ეროვნული თავდაცვის ღონისძიებებს. 1921 წ. გრიგოლ ლორთქიფანიძე დამფუძნებელი კრების რწმუნებით მოლაპარაკებას აწარმოებდა კრემლიდან დანიშნულ კომისიასთან, რომელშიც შედიოდნენ: ა. ენუქიძე, ს. ორჯონიკიძე და მ. ორახელაშვილი. მოლაპარაკება საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტასა და დემოკრატიული მთავრობის შემდგომ ბედს ეხებოდა; ის უშედეგოდ დამთავრდა და საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. გრიგოლ ლორთქიფანიძე არ გაჰყოლია პარიზში ემიგრირებულ ქართულ მთავრობას; საქართველოში დარჩა, დასახლდა თავის სოფელ ისრითში, რათა მცირეწლოვანი შვილები აღეზარდა, მაგრამ ვანის რევკომის მესვეურებმა საეკვო პიროვნებად მიიჩნიეს და დააპატიმრეს. 1921-1922 წლებში სხვადასხვა დროს სასჯელს ქუთაისისა და თბილისის ციხეებში იხდიდა. 1922 წ. გრიგოლ ლორთქიფანიძე სხვა ქართველ პატიმრებთან ერთად რუსეთის გზას გაუყენეს და მოათავსეს ვლადიმირის გუბერნიის

ქ. სუზდალის სამონასტრო საპყრობილეში, სადაც შემდეგ განსაკუთრებულ ბანაკში გადაიყვანეს.

სუზდალის ციხის საკანში 1922-1924 წლებში მან დაწერა თავისი „ნარკვევები", „ფიქრები საქართველოზე". 1925 წ. სუზდალის ქართველი პატიმრების ჯგუფი საპყრობილიდან გაათავისუფლეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნება აუკრძალეს და ისინი რუსეთის სხვადასხვა ადგილებში გაფანტეს. გრიგოლ ლორთქიფანიძე სამი წლით გადაასახლეს ქალაქ კურსკში, სადაც მან კვლავ პედაგოგობას მიჰყო ხელი. მისი დაჟინებული თხოვნით 1928 წ. ნება დართეს, საქართველოში ჩამოსულიყო ოჯახისა და მოხუცი მშობლების სანახავად.

1929 წ. გრიგოლ ლორთქიფანიძე ისევ დაბრუნდა კურსკში გადასახლების ადგილას. აქ განაგრძობდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას. მან, სტალინს, მისი 50 წლის იუბილეასთან დაკავშირებით, დეპეშა გაუგზავნა, სადაც ასე მიმართავს მას:

„მოხდა აღმაშფოთებელი წინააღმდეგობრიობა და თქვენს მიერვე შექმნილი ისტორიული ფაქტი ეროვნული პოლიტიკის სფეროდან: ტაჯიკებისათვის რესპუბლიკის უფლებების მიცემა და, იმავდროულად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიის ნაშთთა საბოლოო ლიკვიდაცია და მათი გადაქცევა რუსულ საბჭოთა საადგილმამულოდ კრინიკის მეთაურობით. 1931 წ. 27. 09". გრიგოლ ლორთქიფანიძე ამ დეპეშის გაგზავნის მეორე დღესვე დააპატიმრეს და ქ. ვორონეჟის საპყრობილეში გაგზავნეს. გათავისუფლების შემდეგ მიუსაჯეს ვორონეჟში ცხოვრება სამი წლით. ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია მას ცხარე კამათი მთავრობის უმაღლეს წარმომადგენლებთან საქართველოს საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც იგი 1937 წ. კვლავ დაუპატიმრეს ვორონეჟში — 5 წლის ვადით. ამის შემდეგ ოჯახს მის შესახებ არავითარი ცნობა არ მიუღია. მხოლოდ 1955 წ., როცა რეპრესირებულთა საქმეების გადასინჯვა მიმდინარეობდა, გაირკვა, რომ 1937 წ. იგი ბერიას განკარგულებით ჩამოუყვანიათ საქართველოში. ბერია ცდილობდა, გამოეყენებინა იგი, როგორც წამყვანი ძალა რაღაც დივერსიული ჯგუფისა. გრიგოლ ლორთქიფანიძე აწამეს, მაგრამ დოკუმენტზე მას ხელი არ მოუწერია.

1937 წ. 2 სექტემბერს დალიეს სული თბილისის საპყრობილეში.

გრიგოლ ლორთქიფანიძე იმდროინდელ საზოგადოებაში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რასაც მოწმობს მისი ერთ-ერთი თანამედროვის მოგონება:

„გრიგოლ ლორთქიფანიძე, ეს ერთ-ერთი ღირსეული გენერალთაგანია ქართველი ერის, მოქნილი ინტელიგენტი. ნათელი აზრი, უთუოდ დიდი პოლიტიკური ტაქტის მქონე ... ქართველი ინტელიგენტია, რომელმაც თავისი სიბრძნეს საუკეთესო დღეებ[illegible] ... ატარა... მან თვითონ ატარა ჩვენი ქვეყნის ბანმოკლე მზიან დღეებში ქართველი ერის სუვენერობა, ყველაზე ნაკლები დანაშაული მიუძღვის ამ ნათელი დღეების დაბნელებაში. სამაგიეროდ ყველაზე მეტად მას ხვდა წილად ერის ღირსების და თავმოყვარეობის დასაცავად გოლგოთამდე მძიმე ჯვრის აზიდვა... დაუფასებელია მისი „მიმოხილვები". აქ ჩანს აშკარად საღი ლოღიკა, სინთეტური გონება" (ვლ. ანთელავა, „ფიქრები მამულზე" ხელნაწერი, 1922-1928 წწ. თბილისის მეტეხისა და სუზდალის პოლიტხსპატიმროებში ნაწერი დღიურები. „სახალხო განათლება". 1989 წ., № 38)

საპყრობილეში ყოფნის დროს გრიგოლ ლორთქიფანიძე ახერხებდა თვალი ედევნებინა საქართველოში მიმდინარე პროცესებისათვის. მას მოსვენებას არ აძლევდა თავისი სამშობლოს ბედ-იღბალი. სწორედ ღრმა ქართული ეროვნული გრძნობის გამოხატვად უნდა ჩავთვალოთ მისი ამონაწერი ქართული ენის შესახებ:

„თითქოს უდაო ჭეშმარიტებად და ელემენტარულ სამართლიანობად უნდა ითვლებოდეს ის გარემოება, რომ საუკუნეების განმავლობაში დაკოდილი, დასახიჩრებული ქართული კულტურა, მისი სკოლა, გაზეთი, თეატრი და სხვა, ერთგვარ სოციალისტურ ანაზღაურებას უნდა ღებულობდეს რუსული, ესე იგი რ. ს. ფ. ს. რ-ის ბიუჯეტიდან. ნამდვილად კი ხდება დაუჯერებელი ამბავი, ქართული ხაზინა უდიდეს ხარკს აძლევს რუსულ კულტურას და ენის საქმეს (ჟურნალ-გაზეთები: „ზარია ვოსტოკა", „რაბოჩაია პრავდა" და სხვა რუსული ჟურნალები... ამ დღეებში მიღებულია გადაწყვეტილება, რომ რუსულადაც იბეჭდებოდეს ყოველგვარი ოფიციალური გამოცემანი). როგორ შეუძლია პაწია ქართველ ხალხს ასეთი გიეფური ფლანგვა, როგორიცაა საერთოდ ორ ენაზე ცხოვრება, რუსული წიგნების გამოცემა, „ზაკნიკა", ამიერკ. კომ. — უნივერსიტეტი, რუსული პოლიტექნიკური „ზაკვეტინსტიტუტი" და სხვადასხვა ეროვნული უმცირესობანი ხომ საქართველოს ხაზინამ უმთავრესად რუსულად უნდა გაანათლოს და რუსულად მართოს.

ქართული ენა არა სიტყვით, დეკრეტით, დეკლარაციით, არამედ საქმით, ნამდვილი საქმით უნდა შეიქმნეს ნამდვილ სახელმწიფო ენად. ყველგან და ყველა დაწესებულებაში. რა თქმა უნდა, ადგილობრივ ენასაც უნდა მიენიჭოს სათანადო უფლება, დიახ, ადგილობრივ ენას და არა მესამე ნაციის ენას. რაც შეეხება საკავშირო ხელისუფლებასთან მიმოწერას და ურთიერთობას, მხოლოდ და მხოლოდ აქ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნეს დაშვებული რუსული ენა (რა თქმა უნდა, გარდა საქართველოში არსებული რუსული თემებისა და რაიონებისა). საქართველოში უნდა იქნეს ერთადერთი სახელმწიფო ენა და გარდა ამისა ადგილობრივ უმცირესობათა ენა, როგორც ადგილობრივი დამბმარე ენა. აფხაზეთში და ოსეთში, მესხეთსა და ჯავახეთში... საქართველოს სახკომსაბჭოში და კომპარტიის ცეკაში უნდა იქნეს (იქნება) ქართული ენა, და თუ ეს არ იქნება, მაშინ საქართველოს სახელიც უნდა წაიშალოს და უფრო მოხდენილი და იაფი იქნება თფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ამა თუ იმ სახით „უეზნაჩალნიკების" ინსტიტუტის აღდგენა. მესამე გზა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მესამე გამოსავალი არ არსებობს". (გრიგოლ ლორთქიფანიძე. „საქართველოს კპ ცკ-ის მდივანს მოქ. ლევან ღოღობერიძეს" „სახალხო განათლება", 1989 წ. № 39).

ამ ამონაწერიდან სრულიად გარკვევით ჩანს, თუ რა უდიდეს ღირებულებას ანიჭებს გრიგოლ ლორთქიფანიძე მშობლიურ ენას: ენის სიკვდილი მისთვის ერის სიკვდილსაც მოასწავებს, იგი ამ პროცესების ხელშემწყობ პირობებს აქტიურად ებრძვის.

სწორედ მშობლიური ენის სიყვარულმა დააწერინა მას სქელყდიანი საერთო რთველი,[1] რომელშიც ქართული ენის — ძირითადად, ტერმინოლოგიისა[2] და აგრეთვე გრამატიკის ზოგი საკითხია განხილული.

ნაშრომი შედგება 182 გვერდისაგან: არა აქვს სათაური; ბოლო ფურცლები — ბოლოსიტყვაობა აკლია, ფაქტობრივად 175 გვერდია დაცული.

ნაშრომის შინაარსი ასეთია:

წინასიტყვაობა გვ. 1.

I. დღევანდელი ეპოქა ქართული კულტურის ისტორიაში — 6.

II. ენის განვითარების გზები — 11.

III. ინტუიციისა და რაციონალობის როლი ტერმინოლოგიის შექმნაში — 17.

IV. მეცნიერული ტერმინოლოგიის შედგენის მეთოდი: ინტერნაციონალური თუ ნაციონალური — 28.

V. ქართული გრამატიკისა და მართლწერის წესები — 34.

VI. ინტერნაციონალურ ტერმინთა თარგმნა და გადმოღება — 78.

VII. კონკრეტული შენიშვნები ტექნიკური ტერმინოლოგიის შესახებ — 89.

VIII. ზოგადი მოსაზრებანი მეცნიერული ტერმინოლოგიის დადგენის შესახებ

IX. ლექსიკოლოგიური მუშაობის პრინციპები — 168.

ბოლოსიტყვაობა — 182 (ნაშრომში არ არის წარმოდგენილი).

ნაშრომის ქვესათაურებიდან ნათლად ჩანს გრიგოლ ლორთქიფანიძის ღრმა ინტერესი ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემატიკისადმი.

ნაშრომის წინასიტყვაობაში გრიგოლ ლორთქიფანიძე გულისტკივილით შენიშნავს, რომ როდესაც საქართველო აღორძინებული იყო და „შოთა რუსთაველის მუსიკალური და ბრძნული ენარი ძალუმად ეღერდა", მაშინ დღევანდელი მოწინავე ერები ახლადფეხადგმულნი იყვნენ. XX საუკუნის დასაწყისი ის პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ევროპულმა კულტურამ არნახული პროგრესი განიცადა: ტექნიკამ, მეცნიერების ყველა დარგმა, ფილოსოფიამ, ხელოვნებამ „თავბრუდამხვევი გიგანტური ნახტომები გააკეთა", და აი, შენიშნავს ავტორი, „ბედის უკუღმა ტრიალმა" საქართველო ამ პროგრესს საოცრად ჩამოარჩინა, ქართველ ერს ყველა პირობა ჩამოერთვა, რათა ამყოლოდა მოწინავე ერებს ცივილიზაციაში. ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართველი ერის მეზობლები — მისი მონათესავე კავკასიელი ტომები. გრიგოლ ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ შექმნილი ისტორიული პირობების გამო ქართველმა ერმა მეცნიერებასა და კულტურის დარგში სწრაფი ტემპით, ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში, უნდა მიაღწიოს პროგრესის იმ დონეს, რომელიც მოწინავე ერებმა საუკუნეთა განმავლობაში განვლეს.

ამ მხრივ, ავტორის აზრით, „საქართველოში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მეცნიერების ყველა სფეროში. ამ საქმეს სათავეში უდგას ქართველ სწავლულთა და მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადა", მათ შორის „ივანე ჯავახიშვილი ქართული კულტურული რენესანსის შვენება და სიამაყე".

გრიგოლ ლორთქიფანიძის ნაშრომის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით ქართული უნივერსალური ტერმინოლოგიური ლექსიკონის შექმნით ყოფილა დაინტერესებული. იგი სპეციალურად განიხილავს იმ პრინციპებს, რომელთა საშუალებით ტერმინოლოგიური ლექსიკონები[1] უნდა შეიქმნას. იქვე

---

1 გრიგოლ ლორთქიფანიძის ნაშრომი გადმოგვცა მისმა ოჯახმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

2 საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრების თანახმად ტერმინოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, მოიცავს ინტელექტუალურ სფეროში ადამიანის მოღვაწეობის უბანს.

1 სრულიად ბუნებრივია, რომ რ. ლაძბაშიძის მონოგრაფიაში „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები", სადაც ავტორი განიხილავს ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორიას, გაკვეთილი ისტორიული პირობების

ავტორი იბოდიშებს მკითხველის წინაშე, რომ ბედავს ამ სერიოზულ საკითხებზე მსჯელობას. ასევე, ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ გადასახლებაში მყოფს, საშუალება არა აქვს სრულად, სისტემატურად გაეცნოს ყველა შრომას, რომელიც საქართველოში 20-30-იან წლებსა და შემდგომ პერიოდში იქმნება. ვფიქრობთ, ეს მობოდიშება მას ახასიათებს როგორც თავმდაბალ პიროვნებას: გრიგოლ ლორთქიფანიძეს ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი ჰქონდა ქართველოლოგიურ ფილოსოფიის განხრით, ასე რომ, ის სწორედ თავის სპეციალობაზე მსჯელობს; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სამეცნიერო ლიტერატურის უქონლობა ნაშრომს ნაკლებ ეტყობა: როგორც ჩანს გრიგოლ ლორთქიფანიძე როგორღაც მაინც ახერხებდა გასცნობოდა როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ლინგვისტთა და ისტორიკოსთა ნაშრომებს. ასე მაგ. უცხოელი მეცნიერებიდან ასახელებს სეპირს, ბენედეტო კროჩესა და სხვებს.

ტერმინოლოგიის პრინციპებზე მსჯელობის დროს იგი განსაკუთრებით იყენებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს, „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონს" (1925 წ.) და „ტექნიკურ ლექსიკონს" (1935 წ.).

სანამ ტერმინოლოგიის პრინციპების განხილვას შეუდგებოდეს, გრიგოლ ლორთქიფანიძე მსჯელობს ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგად საკითხებზე. ენა ხალხური ქმნილებაა, აღნიშნავს იგი, უსახელო კოლექტივის შემოქმედების ნაყოფია. სწორედ ამიტომ ძნელი დასადგენია თუ როგორ და როდის წარმოიშვა ესა თუ ის სიტყვა. ხოლო თუ ვინ შექმნა ის, ამის თქმა თითქმის შეუძლებელია. თითო-ოროლა ცნობილი შემთხვევის გარდა. ავტორი შენიშნავს, რომ ისიც ცნობილია, რომ სიტყვები კვდებიან, თუ ისინი ცხოვრების სოციალური წყობისთვის არ არიან საჭირო.

სწორედ ამ ზოგად დებულებასთან კავშირში გრიგოლ ლორთქიფანიძის წინაშე იბადება კითხვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ახალ ტერმინთა შექმნა ენაში: ინტუიციურად და სტიქიურად, თუ რაციონალურად და გეგმის გათვალისწინებით. მართალია, შენიშნავს ავტორი, ენის განვითარება და სიტყვის წარმოშობის გზები მეტწილად ირაციონალური იყო, მაგრამ დღევანდლამდე მეცნიერებამ აზროვნების სფეროში ისეთი პროგრესი განიცადა, რომ ამჟამად ტერმინოლოგიური და ლექსიკოლოგიური მუშაობა მხოლოდ რაციონალური და გეგმიანობის პრინციპით უნდა წარიმართოს საქართველოში, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება მოწინავე ერების დონეზე აღმოჩნდეს ქართველი ერი.

გრიგოლ ლორთქიფანიძე ახალ მეცნიერულ ტერმინთა შექმნასთან დაკავშირებით [illegible] რმინოლოგიისათვის კარდინალურ საკითხს: როგორი პრინციპით უნდა მოხდეს [illegible] თა შექმნა, როგორი ხასიათი უნდა ჰქონდეს ამ პროცესს: ნაციონალური თუ ინტერნაციონალური.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ღრმა რწმენით, მთავარია ეროვნული ენისათვის ინდივიდუალური სახის შენარჩუნება. მისი აზრით, ეროვნული ენის შეუვალობა, მისი შენახვა და განვითარება ბუნებრივი და პატივსაცემი გრძნობაა. ტერმინთა უმრავლესობა სწორედ ქართულ ეროვნულ ნიადაგზეა შექმნილი. მაგრამ აქ იბადება შემდეგი კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს, რომ უცხო ენებიდან შემოსული ტერმინები ქართული ენის ბუნებას დაამახინჯებს? გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, ენის ინდივიდუალობას ქმნის მისი თავისებური აგებულება და სინტაქსი; ენის თავისებურება და ინდივიდუალობა დამოკიდებულია არა მის „რასიულ სიწმინდეზე", არამედ მის გრამატიკაზე. მისი აზრით, ქართული ენა ამ მხრივ იმდენად თავისებური აგებულებისაა, რომ უცხო ტერმინოლოგიური მასალა მას იერს ვერ შეუცვლის. პირიქით, ავტორს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ქართული მეცნიერების დარგებს უცხო ტერმინები გაამდიდრებს კიდეც. გრიგოლ ლორთქიფანიძეს შემჩნეული აქვს, რომ ქართული ენა აფიქსური ბუნებისაა. უცხო ტერმინთა სესხების დროს სწორედ ამ აფიქსებით ქმნის ენა ახალ ტერმინებს თავისი შინაგანი ბუნებისა და კანონზომიერების მიხედვით.

გარდა ეროვნული მეცნიერული ტერმინოლოგიისა, ავტორის აზრით, უნდა ვისარგებლოთ ევროპულ ენებში უკვე დამკვიდრებული ინტერნაციონალური ხასიათის ტერმინებით, რომელთა ძირები კი არ უნდა ითარგმნოს, არამედ გადმოვიტანოთ და ქართულ ენას შევუგუოთ. ასევე, ავტორის აზრით, უკვე ნაცად ელინურ-ლათინურ საუნჯეს უშიშრად უნდა დაეყრდნოს ქართული მეცნიერება და საერთოდ ინტელექტუალური სფეროს ყველა დარგი.

გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, ხშირად არასწორად იხმარება სიტყვათა ძირები. მაგალითად მოჰყავს ფორმები: „ცემა" და „ცთა". ამ ორი ძირის გარშემო, მისი აზრით, „დიდი გაუგებრობაა" შექმნილი. ეს ფორმები გამიჯნული აქვს მხოლოდ რუსთაველს, საბა-სულხან ორბელიანთანაც კი არეულია. ავტორის აზრით, ამ ორი სიტყვის ძირისა და მათგან ნაწარმოებ სიტყვათა გამიჯვნა აუცილებელია.

„ცთა", „ცთომა", „ცთომილი" (ვარსკვლავი), „შემცთარი", „მცთარი", „ცთუნება", „გაცთენა" სიტყვათა „ერთი ბუდეა" და მათ რუსული შესატყვისობებიც აქვთ.

მეორე მხრივ, კი, „ცდა", ფორმა ომონიმია ორი ცნებისათვის: პირველი იქნება „ცდა", „ვიცდი", „საცადი" (დარბაზი). „იცადე", „იცა-

---

გამო გრიგოლ ლორთქიფანიძემ თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ" (უდარებს რუსულ შესატყვისებს: „«ожидать», «ждать» ,«ожидальня») ბოლო ამ ომონიმის მეორე მნიშვნელობა იქნება: „ცდა", „ვცდი", „საცდელი" (სკოლა), „ცადონ", „ცადე" — ამ ფორმათა რუსული შესატყვისი იქნება: «опыт», опытный, попытка და სხვ.

ლექსიკოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით გრიგოლ ლორთქიფანიძე იხსენებს ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ცხარე კამათს ამ საუკუნის დასაწყისში. ეს კამათი მიმდინარეობდა ქართველ სტუდენტთა მიერ შექმნილ ტერმინოლოგიურ კომისიაში (ზალვა მიქელაძის, ვახო ბერეჟიანის, კაპიტონ მეუნარგიას, სვიმონ ავალიანის და სხვათა შემადგენლობით). ახალგაზრდებს ორი ღამე უკამათიათ იმის გამო, თუ რამდენად შეესაბამება „ლორწოიანი გარსი" «слизистая оболочка»-ს

ასეთივე ცხარე კამათი გაიმართა სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს შორის, თუ რა ტერმინი დამკვიდრებულიყო ქართულში რუსული „власть" სიტყვის შესატყვისად. ფედერალისტების პრესა „ხელისუფლებას" ხმარობდა, სოციალ-დემოკრატებისა კი — "ძალაუფლებას". გრიგოლ ლორთქიფანიძეს არც ერთი არ მოსწონდა (თუმცა, როგორც შენიშნავს, ის მაშინ „ხომ კიდევ უფრო ნაკლები მოქართულე იყო, რადგან ნასწავლი იყო რუსულ გიმნაზიაში, სადაც ქართული ენის გაკვეთილები კვირაში ორჯერ და ისიც ფორმად, მხოლოდ მეორე კლასამდე მიდიოდა და მოწაფეები იაკობ გოგებაშვილის ელემენტარულ სახელმძღვანელო „დედა ენასაც" კი ვერ ითვისებდნენ). გრიგოლ ლორთქიფანიძე მაშინაც „მთლიანი" ცნების მომხრე იყო და უპირატესობას „უფლობა" ფორმას ანიჭებდა, თუმცა იმ დროიდან სწორედ „ძალაუფლებასა" და „ხელისუფლება" ფორმებს ხვდა წილად გამარჯვება.

ტერმინოლოგიური საკითხების გარდა გრიგოლ ლორთქიფანიძე ვრცლად ეხება ქართული ენის სხვა საკითხებს. მისი აზრით, ობიექტურად შესაძლებელია ენის ღირსება-ნაკლოვანებაზე ლაპარაკი (თუმცა, შენიშნავს იგი, ყველა ერს, რა თქმა უნდა, თავისი მშობლიური ენა მოსწონს და უყვარს. ამ წესიდან არც ქართული ენა წარმოადგენს გამონაკლისს).

ავტორი წარმოაჩენს ქართული ენის ღირსებებს:

ა) ყოველ ასოს თავისი ბგერა შეესაბამება, რასაც ბევრი ენა მოკლებულია. იწერება ისე, როგორც გამოითქმის; ინგლისური ენის შესახებ ასეთი გამოთქმაც კი არსებობს — „იწერება მანჩესატერი და გამოითქმის ლივერპულიო".

ბ) ქართულის ღირსებად მიაჩნია ავტორს ისიც, რომ ენაში არაა წარმოდგენილი სჭესები;

გ) ქართული ენა მდიდარია სუფიქსებით, რომელთა საშუალებით თავისუფლად აწარმოებს ზმნებსა და სახელებს;

დ) „ზმნა ქართული ენის სიმდიდრეა, თავისი მრავალფეროვნებით".

ქართული ენის ამ ღირსებათა ფონზე ავტორს მიაჩნია, რომ გარკვეული გრამატიკული ფორმები რთულია. მას ესმის, რომ ეს ისტორიული ფაქტია ქართულისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიაჩნია, რომ გარკვეულ შემთხვევებში, როცა ქართული ენის ბუნება არ იბღალება, შესაძლებელია, ეს რთული ფორმები გამარტივდეს. ავტორს მხედველობაში აქვს მეორე და მესამე პირთა აღმნიშვნელი პრეფიქსების ხმარება. იგი დიფერენციაციას არ ამყარებს, პირდაპირია ობიექტი თუ ირიბი. წესი მისთვის ორივე ობიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს. მისი აზრით, სრულიად ზედმეტია ადამიანმა იზეპიროს მეხსიერებისათვის თითქმის დაუძლეველი შემდეგი წესი: „თუ ზმნის ძირი ბ, გ. ვ, ზ, კ, ლ, მ, ნ, უ, რ, ფ, ქ, ღ. ყ და ხ-ანით იწყება, წინ დაერთვის პრეფიქსი მ-აე, ბოლო დ, ტ, თ, ჩ, ც, ძ, წ, ჯ ბგერების წინ პრეფიქსად მეორე პირში ს-ანი უნდა წარემძღვაროსო". ეს წესი ვრცელდება მესამე პირის პრეფიქსზეცო. ავტორის აზრით, შესაძლებელია ეს პრეფიქსები არ ვიხმაროთ. ამას ისიც ემატება, რომ მეტყველებაში ზოგჯერ ს-ანის მაგიერ მ-აე ისმისო მსგავსად ქრისტესა. თვით რუსთაველიც ხმარობს მდაღა-ს სდაღას" მაგიერ („მიკვირს თუ გული ალმახი შავმა წამწამმან მდაღა რად"). ასევე ზედმეტია, ავტორის აზრით, პირველი სუბიექტური პირის აღმნიშვნელ ვ-პრეფიქსთან ს-ანის ხმარება: ვსტირ, თუმცა ეს ფორმა რუსთაველთანაც გვხვდება.

გრიგოლ ლორთქიფანიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართული ენისათვის სუფიქსაციის გარდა პრეფიქსაციაცაა დამახასიათებელი. მისი დაკვირვებით, თავსართები ისტორიულად თავიდანვე იხმარებოდა, მაგრამ ამჟამად მათი ხმარება უფრო გაბშირებულია: ავტორს მხედველობაში აქვს ზმნის პრევერბიანი ფორმები, ახალი სიტყვათწარმოებითი ფორმანტები. მრავალი ფორმანტი ჩრდილავს სიტყვის აზრის მატარებელ მოკლე ძირს. როდესაც ორ-და სამ-ბგერიან სიტყვის ძირს ათამდე სხვადასხვა ფორმანტი თავსა და ბოლოში მიეწერება, ხოლო ზოგიერთ ამ ფორმანტთაგანი თვით შედგება ოთხი ბგერისაგან, ეს, მისი აზრით, ამძიმებს ენას. ხშირად იქ, სადაც პრეფიქსიცა და სუფიქსიც ერთი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი, შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, მხოლოდ ერთი იქნეს დატოვებული. ასე მაგ., პრეფიქსი მ-ანი, ხშირად მაჩვენებელია აგენტისა. ამავე თვისებას აჩვენებს სუფიქსი ელი, ავი და სხვ. ეს ორი ფორმანტი აწარმოებს მიმღეობას. ავტორის აზრით, ამ ორი ფორმანტიდან ერთიც საკმარისია: ან თავსარ-

თი, ან ბოლოსართი; ანალოგიურად მსჯელობს მიმღეობის სპ-პრეფიქსზეც, რომელიც, მისი განსაზღვრებით, მუთითებს დანიშნულებას, აგრეთვე განმარტავს ქვეყნის სახელწოდებას იმ ხალხის მიხედვით, რომელსაც ის ეკუთვნის, ან სადაც სახლობს.

მისი აზრით, გეოგრაფიული სახელებისათვის ორგვარი წარმოებაა მიღებული: კახი — კახეთი, ან ქართველი — საქართველო... ხოლო ორი ფორმანტი ერთად უმართებულოდ არის ნაბმარი იმგვარ მაგალითში, როგორიცაა საფრანგეთი. ფრანგი სიტყვიდან უნდა წარმოებულიყო ფრანგეთი ან საფრანგო (კახეთისა და საქართველო-ს მსგავსად) და არა „საფრანგეთი", სადაც ქვეყნის აღსანიშნავად ორი ფორმანტია გამოყენებული ერთი მნიშვნელობით. გრიგოლ ლორთქიფანიძე იქვე დასძენს, სასაცილო იქნებოდა, ვინმეს ქართული პრეფიქსებისათვის ომი გამოეცხადებინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი კვლავ იმეორებს, რომ იქ, სადაც შესაძლებელია ენის კანონმდებელმა გრამატიკული ფორმა გაამარტივოს ისე, რომ ქართული ენის ბუნება არ შეიბღალოს, ეს უნდა მოხერხდეს. ამ მხრივ, საინტერესოა გრიგოლ ლორთქიფანიძის მსჯელობა, ზოგი სხვა მიმღეობის შესახებაც. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: „საპასუხისმგებლო მომენტი" და ასე აანალიზებს ამ ფორმას: პირველი სიტყვის პირველ ნაწილში ნათესაობითი ბრუნვის ფლექსია „ის" არ არის საჭირო, რადგან სიტყვა „პასუხი" შესულია როგორც ნაწილი რთულ ტერმინში, ამიტომ სიტყვის ძირიც საკმარისია. მეორე ნაწილის მ-ანით დაწყება უმართებულოა, რადგან მომენტი კი არ არის „მქმედი", ე. ი. სუბიექტი, რომელიც აგებს პასუხს, არამედ თვით მომენტია ისეთი მნიშვნელობის, რომ ჩვენ, ვინც ვმოქმედებთ, უნდა ვაგოთ პასუხი, ე. ი. პასუხის მგებელი ვართ ჩვენ და არა მომენტი, რომელიც არის არა „მგებელი" არამედ „საგები". ავტორის აზრით, უფრო მოკლე და მოხდენილი იქნებოდა „პასუხგები მომენტი", ანდა „პასუხსაგები მომენტი", ან უკიდურეს შემთხვევაში „პასუხგებელი მომენტი" და ყოველ შემთხვევაში არა „საპასუხისმგებლო მომენტი". ასევე ხშირად შესაძლებელია უპირატესობა მიენიჭოს შემდეგ მოკლე ფორმებს: გულმოდგინეობის მაგიერ — გულმოდგენა, გულმტკივნეულობა, გულტკენა, გულმავიწყობა, გულვიწყობა; შორსმჭვრეტელობის ნაცვლად — შორსჭვრეტა და სხვ. ავტორი უხვად გვთავაზობს ამ ტიპის შემოკლებულ სიტყვებს. გარკვეულ შემთხვევებში ნაზმნარ სახელებში შესაძლებელია პრევერბთა უკუგდება, რაც, ავტორის აზრით, არამც თუ ავნებს ენას, არამედ არგებს. ასახელებს მაგალითს: ჩამოსხმული — სხმული (პრევერბის წინაადმდეგია).

ავტორს გული შესტკივა იმის გამო, რომ ზოგი მოხდენილი ძველი ფორმა, ხმალივითაა, გამოდის, ასეთია, მისი აზრით, [illegible] ფორმები: „წერად" ამჟამად [illegible] ვლად იხმარება „დასაწერად".

ინტერესს იწვევს გრიგოლ ლორთქიფანიძის დაკვირვებანი ფონეტიკის დარგშიც. მისი აზრით, ქართული აფრიკატები ერთგვარად კეთილხმოვანებას უკარგავენ ენას (იგი ქართულს უდარებს ფრანგულსა და იტალიურს). მაგრამ მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სწორედ ეს ბგერები ქმნიან ქართულის სპეციფიკას. უეჭველია, წერს იგი, ყველა ვინც ამ ბგერათა გაძევებას მოინდომებს, სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს, ისევე როგორც ეს ერთ პარიზელ ყმაწვილს დაემართა. თურმე პარიზელ ქართველ ბავშვთა სმენას ეს თანხმოვნები ამძიმებდნენ. საფრანგეთიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდა მოღვაწემ განაცხადა, რომ არ იქნებოდა ცუდი, რომ ეს ბგერები გაგვაძევებინა ქართული ენიდანო. ამის გამგონე აკაკი წერეთელმა პასუხად გაუგზავნა წერილი, რომელიც დაწერილი იყო ახალგაზრდა რეფორმატორის წინადადების თანახმად და ასე იწყებოდა „ჩემო სავარელო და ვირფასო მაო სვიმონ".

ავტორი ფონეტიკაშიც ფორმათა გამარტივების მომხრეა. როგორც ცნობილია, წერს ავტორი, არსებობს სიტყვათა შეკვეცა-შემოკლების წესები, რომელთა საშუალებით მოკლე სიტყვა იქმნება ენაში, მაგრამ ავტორის დაკვირვებით, ეს წესი ყოველთვის არ არის დაცული იქაც კი, სადაც ეს სრულიად ბუნებრივია. ავტორის აზრით, ქართულში, ისევე როგორც გრამატიკულ წესებში, არის საკმაოდ მრავალი გამონაკლისი. გამონაკლისთა სიმრავლე ენის შეთვისებას აძნელებს. ამიტომ იგი სვამს კითხვას, აუცილებელია თუ არა, გვქონდეს ყველა ეს გამონაკლისი საერთო გრამატიკული წესიდან. მისი აზრით, ხშირად შეიძლება მათი შემცირება. ფონეტიკური წესების გამონაკლისი რომ შემცირდეს, უკეთესი იქნებოდა, — ენის ათვისებას გააადვილებდა და გაამარტივებდა.

გრიგოლ ლორთქიფანიძისათვის სიტყვის შემოკლება და ამ გზით გამარტივება თვითმიზანი არ არის. ეს ჩანს იქიდან, რომ გარკვეულ შემთხვევებში იგი გრძელ, მაგრამ ქართულისათვის „უფრო ბუნებრივ" ფორმებს ანიჭებს უპირატესობას. მაგ.: „დავა" — „სადაო", სუფიქსის ამოღება ამოკლებს სიტყვას, მაგრამ არ არის დასაკანონებელი, უნდა იყოს „სადავო".

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მართლწერის საკითხებს. მისი აზრით, უნდა დაზუსტდეს მართლწერის ის საკითხები, რომლებიც ერთგვაროვანი პრინციპით არ არის გადაწყვეტილი. ასე მაგ., ზოგი ავტორი იმ სიტყვათა დაბოლოებას, რომელნიც უპასუხებენ კითხვებზე — რად (რათ), ვისად (ვისად), როგორ და

ხვ. დასავლეთ საქართველოში ავტორის დაკვირვებით, Ო-ანია გავრცელებული, აღმოსავლეთში დ-ონი, თუმცა დიალექტებში ერთი წესი არ არის გატარებული. ავტორი დ-ონს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა, როგორც შენიშნავს, ყოველთვის ვერც თვითონ იცავს ამ წესს. ამგვარ სიტყვათა დ-ონით დაბოლოების სახარგებლოდ ავტორი მოიხმობს მაგალითებს „ვეფხისტყაოსნიდან": „დაჯდა წერად ანდერძისა", „მელნად გიშრისტბა", „კალმად მინარხეული" და სხვ.

ასე მსჯელობს ავტორი იმის შესახებ, თუ რომელ ფორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა: „ჩვენ ენაში", თუ „ჩვენს ენაში". თვითონ პირველი ფორმა მიაჩნია უფრო მართებულად. მიუხედავად იმისა, რომ ზედსართავი სახელი ბრუნვაში ეთანხმება არსებით სახელს (ხოლო ამ შემთხვევაში ნაცვალსახელი უნდა ეთანხმებოდეს ბრუნვაში არსებითს), მისი აზრით, პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები ამ კონტექსტში არ აირევა, ამიტომ შესაძლებელია დაკანონდეს „ჩვენ ენაში" (საერთოდ კონტექსტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს).

გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, გარკვეულ სიტყვათა დაწერილობაში ერთგვარი თავისუფლება შეიმჩნევა, რაც, მისი აზრით, მტკიცედ დადგენილი ნორმების უქონლობით უნდა იქნეს ახსნილი. ასე მაგ., დავით ყარიჭაშვილი თავის გრამატიკაში აკანონებს სიტყვას „ცარიელი", აგრეთვე ხშირად იხმარება სიტყვა „ძრიელი".

გრ. ლორთქიფანიძე, მიუთითებს რა შ. რუსთაველზე და სულხან-საბა ორბელიანზე, რომელთაც მართებულ ფორმებად ცალიერი და ძლიერი მიუჩნევიათ, აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში აქ ავტორიტეტების მოშველიებაც კი არ არის საჭირო. ერთადერთი სწორი ფორმაა: „ცლა", „დაცალე", „ცალიერი"; „ძალა", „ძლიერი" და არა „ცარიელი" და „ძრიელი".

გრიგოლ ლორთქიფანიძის მხედველობის არედან არც სინტაქსის საკითხები რჩება. ძირითადად ის მოითხოვს, წინადადება ისე აიგოს, რომ მარტივი და არაორაზროვანი იყოს. მას ზოგი გაუმართავი წინადადება მოჰყავს ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან და ცდილობს, შეცვალოს მარტივი, სადა ქართულით. დიდ ყურადღებას აქცევს სიტყვათა თანმიმდევრობას ანუ სიტყვათა რიგს წინადადებაში.

ვფიქრობთ, ამ ძალზედ მოკლე მიმოხილვიდანაც კი ჩანს გრიგოლ ლორთქიფანიძის სერიოზული ინტერესი ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი. მისი ფილოლოგიური ძიებანი ლოგიკური და ნათელია, ინტერესების სფერო — ფართო: ტერმინოლოგია, ლექსიკოლოგია, გრამატიკა (მორფოლოგია, ფონეტიკა, სინტაქსი).

გრიგოლ ლორთქიფანიძის ზოგადი დებულება, თუ როგორ უნდა გამდიდრდეს ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკა, მისაღებია და ენის განვითარების დღევანდელი დონის შესაბამისი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული შინაარსის შექმნილ ტერმინთა აუცილებლობაზე მიუთითებს და, ამასთანავე, სამართლიანად მიიჩნევს ბერძნულ-ლათინური (და საერთოდ, ამერიკულ-ევროპული) უკვე საყოველთაოდ დამკვიდრებულ და მიღებულ მეცნიერულ ტერმინთა ძირების პირდაპირ შემოტანას და ქართული გრამატიკის წესების მიხედვით გამართვას. მისი აზრით, ეს მხოლოდ გაამდიდრებს ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას.

გრიგოლ ლორთქიფანიძე კარგად ერკვევა ქართული ენის ბუნებაში, რაც ჩანს მისი მსჯელობიდან გრამატიკის საკითხებზე: ქართული ზმნა რთულია; ქართულს ახასიათებს სუფიქსაცია, უფრო ჭარბია პრეფიქსაცია. ყოველი ძირიდან სუფიქსების საშუალებით შეიძლება, ვაწარმოოთ მეტყველების სხვადასხვა ნაწილი. შემჩნეულია არა მხოლოდ ლექსიკური სინონიმიისა და ომონიმიის ფაქტები, არამედ ფუნქციებიც. ფორმათა გამარტივების მომხრეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით ქართული ენის ბუნება ოდნავაც არ დაკარგავს თავის იერს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ წამოჭრილი სადავო საკითხები, ვფიქრობთ, მეტწილად მართებულია და მეცნიერული თვალსაზრისით განგარიშგასაწევი იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად ზუსტია მისი პოზიცია ყველა კერძო შემთხვევაში. ჩვენი აზრით, მთავარი კი მაინც ის არის, რომ ქართული ენის შესწავლის ისტორიაში გრიგოლ ლორთქიფანიძემ ღირსეულად უნდა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი.

ეს სტატია გვინდა დავამთავროთ იმით, რითაც დავიწყეთ. კერძოდ, გავიხსენოთ გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვები:

„თუმცა მე ამჟამად და არც მომავლისათვის არა ვარ მომხრე მეფური წყობილებისა და კათალიკოზებისა და მიტროპოლიტების მიერ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ საქმის ხელმძღვანელობისა, მაგრამ მე მათ ვიხსენებ დიდის პატივისცემით და ასევე უნდა მოექცეს მთელი ხალხი, ვინაიდან ისინი უნდა განსჯილი იქნან არა ეხლანდელი საზომით, არამედ იმ დროინდელით, ხოლო ისინი ჩვენი წარსულის ღირსეული გამომხატველნი არიან. განა იმიტომ რომ მე ჩემს ძვირფას მშობლებზე უფრო გვიან დავიბადე და ამის გამო და მათივე შრომით მეტი ვისწავლე და გავიგე, ვიდრე იმათ, განა ამიტომ მათდამი მე სიძულვილსა და უპატიობას უნდა ვგრძნობდე?! ანდა თქვენმა თაობამ ჩვენ უნდა იმიტომ შემოგვწყრეს, რომ

---

1 იხ. რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ. 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ჩვენზედ უფრო წინ იქნებით წასული?!"

ვფიქრობთ, ამ ანდერძის დასაწყისში გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ გამოთქმული სურვილი, ოდესმე „ხამშობლოს მიწას გულში ჩახუტებოდა", სიმბოლურად მაინც აღსრულდა:

მისმა სულმა სამუდამო სავანე „ტოგა" მოიძია საქართველოში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: მთ. **რედაქტორის—93-55-11,** მთ. **რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-13** და **განყოფილებების — 93-55-45; 93-55-17, 93-55-20.**

გადაეცა ასაწყობად 22. 01. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 02. 90 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 07843. ტირაჟი 30.500. შეკვ. 141. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

23/
6 7/33

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ